



ბაგრატი (შოთა) ჯანაშია  
(1901-1978)

ბაგრატ (შოთა) ჯანაშია აფხაზეთის მკვიდრი, გამორჩეული ქართველი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა აფხაზური ენის მეცნიერულ კვლევას, აფხაზური ენობრივი და ფოლკლორული მასალების სოფელ-სოფელ მოძიებას, ქართული ლიტერატურის ძეგლთა აფხაზურ ენაზე თარგმნას... მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა გაღრმავების საქმეში: XX საუკუნის 20-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე იგი აქტიური მონაწილე იყო აფხაზურ ენასა და კულტურასთან, ქართულ-აფხაზურ საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებული ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმისა.

ენათმეცნიერი, აფხაზოლოგი,  
პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე



ქუთაისის ილია ჭავჭავაძის  
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა  
KUTAISI ILIA CHAVCHAVADZE PUBLIC LIBRARY

## წელიწდეული

XIV

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა  
აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს,  
ენათმეცნიერს, ლიტერატორს, აფხაზოლოგ

**ბაგრატ ჯანაშიას**

Dedicated to  
the Honored Scientist of the Abkhaz ASSR, Linguist, Writer, Abkhazologist

**Bagrat Janashia**

ქუთაისი  
2022  
Kutaisi

001(479.22)(058)

ქ. 84

„წელიწდეულში“ იბეჭდება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის XIV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, ასევე, რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

### სარედაქციო საბჭო:

**ნოზადი ბართაია, ლევან ბაბურიშვილი, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, თაიშურაბ გვანცელაძე** (პასუხისმგებელი რედაქტორი), **ეპა დადიანი** (მთავარი რედაქტორი), **ლუკა დვალისხილი, როლანდ თოფჩიშვილი, რუსუდან კაშია, მერაბ კეზევაძე, მანია მიქაბაძე** (რედაქტორი), **ალექსანდრე მღაბრიშვილი, ავთანდილ ნიკოლაიშვილი, ოთარ ნიკოლაიშვილი, საად აბდ ალ-რაჰიმი, რუსუდან სალინაძე, ნათია სვინტრაძე, გიორგი სოსიაშვილი, ნინო უგულავა** (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), **ლალი ურდულაშვილი, ნათია ფუტყაძე, ლეილა ჟვალაძე, გრიგოლ ჭობალიანი, მურმან ჟუთელია, დავით შავიანიძე, რევაზ შერთოია, ფაფვი ჩალაბი, ჰარუნ ჩიჩქაძე, მალხაზ ჩოხარაძე, რიტა წაქაძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **მაგდა ჭიქაბერიძე, ლუიზა ხაჭაპურიძე, სტივენ ჯონსი.**

პროექტის დირექტორი  
**გრიგოლ ქობალიანი**



ფინანსური მხარდაჭერი: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო



ინტელექტუალური მხარდაჭერი: ა(ა)იპ „ტარიელ ფუტყაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება“

ISSN 1987-9288  
E-ISSN 2720-8311

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ. ნუცუბიძის ქ. N1  
ელფოსტა: [k.library1873@gmail.com](mailto:k.library1873@gmail.com)  
ჟურნალის ელვერსია იხ.: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>  
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/164105>

© საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2022

**Annual** publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze public library XIV International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistics, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc.).

### **EDITORIAL BOARD:**


**Nomadi Bartaia, Levan Beburishvili, Merab Beridze, Merab Gvazava, Teimuraz Gvantseladze** (Editor responsible), **Eka Dadiani** (Editor - in chief), **Luka Dvalishvili, Roland Topchishvili, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia Mikautadze** (editor), **Aleksandre Mgebrishvili, Avtandil Nikoleishvili, Otar Nikoleishvili, Saad Abd Al-Rahim, Rusudan Saginadze, Natia Svintradze, Giorgi Sosiashvili, Nino Ugulava** (editor of the English texts), **Lali Urdulashvili, Natia Putkaradze, Leila Kvelidze, Grigol Kobaliani, Murman Kutelia, Davit Shavianidze, Revaz Sherozia, Fevzi Chelebi, Harun Chimke, Malkhaz Chokharadze, Rita Tsakadze** (Secretary responsible), **Magda Chikaberidze, Luiza Khachapuridze, Stephen Jones.**

Project Director

**GRIGOL KOBALIANI**



**Financial supporter: Kutaisi Municipality City Hall and City Council**



**Intellectual supporter: N(N)LE „Tariel Putkaradze International Society of Kartvelology“**

**Address of the Editorial Office: #1, L. Nutsubidze str., Kutaisi, 4600**

**Email: k.library1873@gmail.com**

**E-version of the Journal: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>  
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/164105>**

**© Publishing Centre „Kutaisi“, 2022**

## შინაარსი – Contents

<b>გვანცა გვანცელაძე, თეიმურაზ გვანცელაძე</b> – გამოჩენილი ქართველი აფხაზოლოგი და მისი ერთი ნაშრომის უცნაური ბედ-იღბალი <b>Gvantsa Gvantseladze, Teimuraz Gvantseladze - An Eminent Georgian Scholar in Abkhaz Studies and the Peculiar Journey of One of His Works</b> .....	9
<b>ნანა აბულაძე</b> – ღვთაება აჟვეიფშაა აფხაზურ ხალხურ ლექს-სიმღერებში <b>Nana Abuladze – Deity Ajveifshaa in Abkhaz folk songs</b> .....	19
<b>ომარ არდაშელია</b> – ეუთოს ინსტიტუციონალიზაცია და აფხაზეთის საკითხი <b>Omar Ardashelia – Institutionalization of the European Union and the Abkhazia Issue: Discussion in International Resolutions</b> .....	25
<b>ლია ახალაძე</b> – აფხაზეთის სამთავრო სახლის წერილობითი მემკვიდრეობა XIX საუკუნეში (საბუთები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ეპიტაფიები) <b>Lia Akhaladze - The Written Legacy of the Abkhazian Princely House in the 19th Century: A Study of Documents and Epistolary Heritage</b> .....	41
<b>დალი ბეთხოშვილი</b> – აფხაზეთის საკითხი გიორგი მერჩულის „გრეგოლ ხანძელის ცხოვრების“ მიხედვით <b>Dali Betkoshvili – The Issue of Abkhazia in Giorgi Merchule’s „Life of Grigol Khanzteli“</b> .....	54
<b>კესო გეჯუა</b> – მეგრული ლექსიკა აფხაზურში <b>Keso Gejua – Megrelian Lexicon Assimilation in the Abkhazian Language</b> ....	68
<b>გვანცა გვანცელაძე</b> – ბერძნები და ბერძნული ენა აფხაზეთის ასსრ-ში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები) <b>Gvantsa Gvantseladze – The Presence of Greeks and the Greek Language in the Abkhazian Autonomous Soviet Socialist Republic (20th-30th Century)</b> .....	74
<b>თეიმურაზ გვანცელაძე</b> – აფხაზეთისა და მისი მომიჯნავე მხარეების მეცნიერული კვლევის ამოცანები ზოგი მცდარი მოსაზრების კრიტიკული ანალიზის ფონზე <b>Teimuraz Gvantseladze – Challenges of the Scientific Investigation into Abkhazia and its Surrounding Territories: A Critical Analysis Perspective</b> .....	85

<b>თამარ გოგოლაძე, ციალა მესხია</b> – ფიქრის ფიქრით აფხაზეთიდან <b>Tamar Gogoladze, Tsiala Meskhia</b> – With the thought of thought: from Abkhazia .....	94
<b>ეკა დადიანი</b> – ზმნურ ფორმათა გავრცობისათვის მეგრულში (გალის მეტყველების მიხედვით) <b>Eka Dadiani</b> – On Verb Forms with Emphatic Vowels in Megrelian (according to Gali Speech) .....	99
<b>ლაშა დეისაძე-შარვაშიძე</b> – მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) ცხუმ-აფხაზეთის კათედრაზე <b>Lasha Deisadze-Sharvashidze</b> – Metropolitan Ambrosi (Khelaia) as the Catholicos-Patriarch on the Cathedra of the Diocese of Tskhum-Abkhazia in Georgia .....	110
<b>იამზე ვაშაკიძე</b> – პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე აფხაზეთის შესახებ (ჩანაწერების მიხედვით) <b>Iamze Vashakidze</b> – Professor Tariel Putkaradze on Abkhazia (based on his notes) .....	118
<b>ნინო ვახანია</b> – აფხაზეთი ბაბო შარვაშიძის „მემუარებში“ <b>Nino Vakhania</b> – The portrayal of Abkhazia in the memoir of Babo Sharvashidze .....	127
<b>ეთერ ინსკირველი</b> – სამკედლოს სოციალურ-რელიგიური ასპექტები აფხაზურ-ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში <b>Eter Intskirveli</b> – Exploring the Socio-Religious Significance of the Forge in the Myth-Ritual System of Abkhazian-Georgian Culture .....	137
<b>სალომე კაპანაძე</b> – ომისა და მშვიდობის ნარატივი თანამედროვე ქართულ მწერლობაში („ვილაპარაკოთ - 33 ამბავი აფხაზეთზე“ მიხედვით) <b>Salome Kapanadze</b> – The narrative of war and peace in modern Georgian literature (According to „Let’s Speak - 33 Stories about Abkhazia“).....	152
<b>ჯემალ კარალიძე, რევაზ დიასამიძე</b> – აფხაზთა მუჰაჯირობა და აჭარაში დამკვიდრება (მიზეზები, ქრონოლოგია, განსახლების არეალი) <b>Jemal Karalidze, Revaz Diasamidze</b> – Migration of Abkhazians and Settlement in Adjara: Reasons, Chronology, Settlement Patterns .....	163
<b>რუსუდან კაშია, მადინა უგლავა-ჯინჯიხაძე</b> – ბოლშევიკების გამოსვლები აფხაზეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დროს (ქუთაისური პრესის მიხედვით) <b>Rusudan Kashia, Madina Uglava-jinjikhadze</b> – The Speeches of Bolsheviks in Abkhazia during the Time of the Democratic Republic (Based on the Perspective of Kutaisi Press) .....	174

<b>მერაბ კეზევაძე</b> – პირველი აფხაზის ოჯახი XIX საუკუნის ქუთაისში <b>Merab Kezevadze</b> – First Abkhazian Family in Kutaisi in the 19th Century .....	179
<b>სოფიო კეკუა</b> – გვარები და გვართა დასახლებები გალის რაიონის სოფელ ცხირში <b>Sopio Kekua</b> – Family Names and Family Settlements in the Village of Tskhiri, Gali Region .....	186
<b>მარიამ კობერიძე</b> – გორში მცხოვრებ ჩხორთოლელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება <b>Mariam Koberidze</b> – Linguistic Characteristics of the Chkhortolian Dialect Spoken by the Inhabitants of Gori .....	193
<b>ირაკლი ლორთქიფანიძე</b> – აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი გრიგოლ II (ლორთქიფანიძე) <b>Irakli Lortkipanidze</b> – Grigol II (Lortkipanidze) - Catholicos of Abkhazia (Western Georgia) .....	204
<b>თინათინ მშვიდობაძე</b> – აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა ციფრულ საცავებში <b>Tinatín Mshvidobadze</b> – Preserving the cultural heritage of Abkhazia: A scientific exploration of digital archives .....	215
<b>ავთანდილ ნიკოლეიშვილი</b> – თედო სახოკია და აფხაზეთი <b>Avtandil Nikoleishvili</b> – Tedo Sakhokia and Abkhazia .....	221
<b>ოთარ ნიკოლეიშვილი</b> – XIX საუკუნის ამერიკული წყარო აფხაზეთის შესახებ <b>Otar Nikoleishvili</b> – A 19th Century American Source on Abkhazia .....	230
<b>ნიკოლოზ ოთინაშვილი</b> – დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეპიგრაფიკის ენობრივ-პალეოგრაფიული თავისებურებანი <b>Nikoloz Otinashvili</b> – Epigraphy of Western Georgia (Abkhazia). Linguistic-paleographic peculiarities .....	239
<b>ლელა სარალიძე</b> – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის ისტორიიდან (1918-1921 წწ.) <b>Lela Saralidze</b> – The Political Status of Abkhazia in the Democratic Republic of Georgia (1918-1921) .....	246
<b>ნათია სვინტრაძე</b> – აფხაზეთი შუა საუკუნეების სპარსულ პოეზიაში <b>Natia Svintradze</b> – Abkhazia in the Persian poetry of the Middle Ages .....	258



<b>ლევან ტყეშელაშვილი</b> – აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ეთნიკური წარმომავლობა <b>Levan Tkeshelashvili</b> – Ethnic Origin of Catholicoses of Western Georgia - Abkhazia .....	267
<b>ნესტან ფიფია, თეონა ხუფენია</b> – ომით ვერძლეული ჰუმანიზმი (შორენა ლებანიძის რომანის „მანანა ანუა. ტყვეობის 52 დღე“ მიხედვით) <b>Nestan Pipia, Teona Khupenia</b> – Not Overcame Humanism (According to the Novel by Shorena Lebanidze „Manana Anua. 52 Days of the Slavery“) .....	279
<b>მეჰმეთ ალი ქესქინი</b> – აფხაზური ოჯახები ქემალფაშაში <b>Mehmet Ali Keskin</b> – Abkhazian families in Kemalpasha .....	287
<b>რევაზ შეროზია</b> – აფხაზეთთან დაკავშირებული ზოგი საკითხისთვის <b>Revaz Sherozia</b> – On some issues about Abkhazia .....	292
<b>მალხაზ ჩოხარაძე, მარიამ ჩოხარაძე</b> – აფხაზთა მუჰაჯირობა და ზღვით მგზავრობის ნარატივები ზეპირ ისტორიებსა და მხატვრულ ლიტერატურაში <b>Malkhaz Chokharadze, Mariam Chokharadze</b> – Abkhaz Migration and Sea Travel Stories in the Oral History and Fiction .....	295
<b>მაია ტსერტსვაძე</b> – საოჯახო არქივიდან – აკაკი ჯობავას ჩანაწერები „ფიქრები აფხაზებზე“ <b>Maia Tsertsvadze</b> – Archival insights: Exploring Akaki Jobava’s records on „Thoughts about Abkhazians“ .....	305
<b>სოფიკო ჭაავა</b> – ბერი იაკიმე აფხაზეთში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ (1934 წლის საარქივო მასალების მიხედვით) <b>Sopiko Chaava</b> – Monk Iakime’s Account of Georgian Manuscript Books Preserved in Abkhazia (Insights from Archival Materials of 1934) .....	317
<b>მაგდა ჭიქაბერიძე</b> – დიმიტრი ყიფიანის საიდუმლო მოხსენება აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის შესახებ <b>Magda Chikaberidze</b> – Dimitri Kipiani’s Confidential Report on the Life and Legacy of Mikheil Sharvashidze, the Last Prince of Abkhazia.....	324
<b>ნინო ხარჩილავა</b> – თანამედროვე გალის რაიონის სულიერი კულტურა (გალის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) <b>Nino Kharchilava</b> – Traditional Culture of the Gali District (Based on the ethnographic materials of Gali) .....	331

<b>ლუიზა ხაჭაპურიძე</b> – თეიმურაზ გვანცელაძე და აფხაზეთი <b>Luiza Khachapuridze</b> – Teimuraz Gvantseladze and Abkhazia .....	341
<b>მანანა ხვინგია</b> – თვალხილული ჯოჯობეთი გურამ ოდიშარას „დევნილთა უღელტეხილის“ მიხედვით <b>Manana Khvingia</b> – A Visible Hell according to Guram Odisharia’s „Pass of the IDPs“ .....	348
<b>მონიკა ხობელია</b> – სამურზაყანოს აფხაზური და ქართველური ტოპონიმების მორფოლოგიური სტრუქტურა <b>Monica Khobelia</b> – Morphological structure of Abkhazian and Georgian place names of Samurzakhano .....	353
<b>მზია ხოსიტაშვილი</b> – დაპირისპირება ქართველთა და აფხაზთა შორის – საზოგადოებაზე სპეცპროპაგანდის გავლენის შედეგი <b>Mzia Khositashvili</b> – The Confrontation between Georgians and Abkhazians: Examining the Impact of Propaganda on Societal Dynamics .....	360
<b>ავტორთა მონაცემები</b> .....	372
<b>CONTRIBUTORS</b> .....	380

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6965>

**გამორჩენილი ქართველი აფხაზოლოგი  
და მისი ერთი ნაშრომის უცნაური ბედ-იღბალი**

**An Eminent Georgian Scholar in Abkhaz Studies and  
the Peculiar Journey of One of His Works**

**გვანტა გვანტელაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**თეიმურაზ გვანტელაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Gvantsa Gvantseladze**

Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**Teimuraz Gvantseladze**

Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

Bagrat (Shota) Janashia (1901-1978) was a distinguished specialist in Abkhaz studies and a prominent public figure hailing from Abkhazia. Having been born and raised in an Abkhazian village, he acquired a profound understanding of the Abkhazian language, along with its customs, traditions, folklore, and way of life. Upon graduating from Tbilisi State University in 1929, he returned to his homeland of Abkhazia, dedicating himself to scholarly and educational pursuits.

Bagrat Janashia demonstrated remarkable expertise in Abkhazian language, folklore, and literature. He conducted extensive fieldwork, gathering linguistic materials from local villages, and actively contributed to the compilation of Abkhazian language and literature workbooks. Furthermore, he undertook the task of translating literary works by Georgian and overseas authors into Abkhazian. His profound knowledge and contribution to the field earned him a distinguished position within the Abkhazian intelligentsia, while also garnering respect and recognition from both Abkhazian and Georgian communities.

One of Bagrat Janashia's notable achievements was the creation of the „Abkhazian-Georgian Dictionary“ in 1954. This pioneering bilingual dictionary encompasses approximately eight thousand words, translating them from the primary

lexical corpus of the Abkhazian language into Georgian. Even today, this dictionary retains significant scientific and practical value for researchers studying both the Abkhazian and Georgian languages.

Interestingly, it remains relatively unknown within the scientific community that Bagrat Janashia also compiled the first concise Georgian-Abkhazian dictionary, which accompanied the workbook entitled „Georgian Language for Abkhazian Schools. The First Year of Studying“, drafted by Klimenti Tevzadze and Tinatin Goniashvili and published in 1937.

The „Abkhazian-Georgian Dictionary“ by B. Janashia experienced an unusual journey. Initiated in 1937 in collaboration with D. Gulia, the author continued working on the dictionary alone after D. Gulia's departure due to personal reasons, ultimately completing it within a year. However, the book encountered numerous obstacles since 1938:

- In 1938, due to the conversion of the Abkhazian language script from Latin to Georgian graphics, the author had to rewrite the entire book.
- The progress of the work was hampered by the tumultuous years of 1941-1945, marked by the upheaval of war.
- In 1947, the unfortunate passing of academician Simon Janashia, who was meant to serve as the book's editor, posed further challenges.
- In 1950, academician Ketevan Lomtadze assumed the responsibility of finalizing the edition, and the dictionary was submitted to the publishing house. However, due to the complex nature of the text, the book was only published in the spring of 1955. Regrettably, it did not garner widespread readership. This lack of readership can be attributed to the fact that, in 1954, the Abkhazian language script underwent a change from the Georgian script to the Russian alphabet (Cyrillic) under Moscow's directive. Consequently, the new generation of Abkhazians was unfamiliar with the alphabet used between 1938 and 1954, rendering the book inaccessible to them.

Thus, owing to political circumstances, it took eighteen years for the writing, editing, and publishing of the book designated to contribute to the rapprochement of the two peoples. Still, as it turned out, the book was lost to the mass of readers.

საკვანძო სიტყვები: ბაგრატ ჯანაშია, პირველი აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, ქართველი აფხაზოლოგები, რეპრესირებული წიგნები.

Keywords: Bagrat Janashia; First Abkhazian-Georgian dictionary; Georgian Abkhazologists; Repressed Books.

ბაგრატ (შოთა) პეტრეს ძე ჯანაშია აფხაზეთში მცხოვრები ქართველი აფხაზოლოგი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იყო. იგი 1901 წლის 31 დეკემბერს დაიბადა კესარია დგებუაძისა და პეტრე ჯანაშიას ოჯახში კოდორის მაზრის (ამჟამინდელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის) აფხაზურ სოფელ შქაწყარში (დღეს ამ სოფელს აძვიბუჯა „ორ წყალს შუა“ ჰქვია). ეს ოჯახი ბაგრატის ბიძაშვილის, აკად. სიმონ ჯანაშიას ოჯახთან ერთად მე-19

საუკუნის მეორე ნახევარში დასახლებულა შქაწყარში. აფხაზურ სოფელში მცხოვრებმა პატარა ბაგრატმა სრულყოფილად შეისწავლა აფხაზური ენა, აფხაზური ადათ-წესები და ტრადიციები, აფხაზური ფოლკლორი. მან დაამთავრა სოხუმის მთიელთა სკოლა (ამჟ. სოხუმის №10 აფხაზური საშუალო სკოლა). შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის პედაგოგიურ სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1920 წელს. ამის შემდგომ ბაგრატი მცირე ხანს მუშაობდა მასწავლებლად, შემდეგ კი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტზე. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, მისი ბიძაშვილი სიმონ ჯანაშია და სხვანი. უნივერსიტეტი მან 1929 წელს დაამთავრა და დაბრუნდა მშობლიურ აფხაზეთში, ქ. სოხუმში, სადაც განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა სკოლებში, ტექნიკუმებში, მოგვიანებით 1932 წელს დაარსებულ სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამ სასწავლებლებში ბაგრატი ასწავლიდა აფხაზურ ენას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას. ამ დისციპლინათა ჩამონათვალად კი ცხადად გვიჩვენებს, რომ ბაგრატ ჯანაშიას ჰქონდა არა მარტო ფართო ინტერესები, არამედ ღრმა ცოდნაც დასახლებულ დარგებში.

1933 წელს ბაგრატმა მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთარგმნელობით ბიუროში, სადაც ის წარმატებით იყენებდა ქართული, აფხაზური და რუსული ენების ღრმა ცოდნას, თარგმნიდა სამეცნიერო ლიტერატურასა და საკვლევ წყაროებს და რედაქტირებას უწევდა ამ ენებზე შედგენილ სხვადასხვა შინაარსის ტექსტს.

1934-1937 წლებში ბაგრატი იყო აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორ-კონსულტანტი. მას ევალებოდა რუსული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და შრომის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

1937 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ზემოთ უკვე ხსენებული აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1950 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამავე ინსტიტუტის სწავლული მდივანი (ინსტიტუტს იმ დროს უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი ერქვა).

ბაგრატ ჯანაშია გამორჩეული ქართველი აფხაზოლოგი იყო და წარმატებით იკვლევდა აფხაზურ ენას, ფოლკლორსა და ლიტერატურას, სოფელ-სოფელ კრებდა ამ ენის დარგობრივ ლექსიკას, აქტიურად მონაწილეობდა აფხაზური ენისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაში, აფხაზურად თარგმნიდა ქართველ და სხვა ეროვნების მწერალთა ნაწარმოებებს. მას გამორჩეული ადგილი ეჭირა აფხაზეთის ინტელიგენციაში და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც აფხაზ, ისე ქართველ მოსახლეობაში.

ბაგრატ ჯანაშიას მიერ შედგენილი „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“

(ჯანაშია 1954) პირველი თარგმნითი ლექსიკონია, რომელშიც აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენელი 7 970 სიტყვა თარგმნილია ქართულ ენაზე. თითქმის ყოველი სიტყვა ილუსტრირებულია ტიპური აფხაზური კონტექსტებით (ფრაზებით, ან მყარი შესიტყვებებით) და გასაოცარი სიზუსტით არის გადათარგმნილი ქართულ ენაზე. ამ ლექსიკონს დღემდე არ დაუკარგავს დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც აფხაზური, ისე ქართული ენის მკვლევართათვის.

აქამდე ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია ის ფაქტი, რომ ბ. ჯანაშიამ შეადგინა პირველი მოკლე ქართულ-აფხაზური ლექსიკონი, რომელიც ერთვის კლიმენტი თევზაძისა და თინათინ გონიაშვილის მიერ შედგენილ და 1937 წელს გამოცემულ წიგნს „ქართული ენა აფხაზური სკოლებისათვის. სწავლების პირველი წელი“ (თევზაძე... 1937: 63-87). ეს წიგნი მთლიანად ბ. ჯანაშიას საგანგებოდ გადაუშუშავებია აფხაზურ სკოლებში გამოსაყენებლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ დარგობრივ ლექსიკას, რომელიც ბ. ჯანაშიამ შეკრიბა აფხაზურ სოფლებში ექსპედიციების დროს და ასახავდა საფეიქრო საქმეს, მშენებლობას, მეღვინეობა-მევენახეობას, მეცხოველეობას, მეფრინველეობას, მეფუტკრეობას, მებოსტნეობას, ხალხურ მედიცინასა და სხვ. თვით ავტორის ცნობით, ეს მასალა ნაწილობრივ შეტანილია მის აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში (ჯანაშია 1954: V). ავტორი იმასაც გვამცნობს, რომ მას შედგენილი ჰქონია აფხაზურ-რუსული ლექსიკონიც, რომლის წინასწარი რედაქცია შეუსრულებია პროფ. ქეთევან ლომთათიძეს (იქვე: VI). სხვა წყაროდან ვიგებთ, რომ მეცნიერს ეს ლექსიკონი 1957 წელს დაუსრულებია და მასში შესული ყოფილა 12 000 სიტყვა (ვიკიპედია Джанашиа, Багра́т Петро́вич). ვვარაუდობთ, რომ ბ. ჯანაშიას „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეტანილ იქნა 1964 წელს გამოცემულ კოლექტიურ „რუსულ-აფხაზურ ლექსიკონში“ (ზღაჟბა... 1964). მეცნიერი ასევე თანაავტორი ყოფილა „რუსულ-აფხაზური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონისა“, რომელიც არ გამოცემულა (ვიკიპედია Джанашиа, Багра́т Петро́вич).

სამწუხაროდ, ორი უკანასკნელი ლექსიკონი და აფხაზური დარგობრივი ლექსიკის ჩანაწერები დაკარგულია (ცნობა მოგვაწოდა მეცნიერის შვილიშვილმა ლევან კიკნაველიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ).

საყურადღებოა ბ. ჯანაშიას გამოკვლევა „მევენახეობისა და მეღვინეობის აფხაზური ლექსიკა“, რომელშიც ავტორმა გამოიკვლია თავის მიერვე შეკრებილი დარგის ლექსიკა. ამ ნაშრომის საფუძველზე მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. გამოკვლევის ტექსტი მოგვიანებით შეტანილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის საგამომცემლო გეგმაში,

რეცენზენტებს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებს ნელი არშბასა და ლილი ჰაგბას რეცენზიებიც დაწერილი ჰქონდათ, მაგრამ წიგნი მაინც არ გამოიცა ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო. მხოლოდ დიდი ხნის შემდგომ, 2010 წელს თბილისში დევნილობაში მოქმედი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსცა ეს წიგნი პროფ. თ. გვანცელაძის რედაქტორობით (ჯანაშია 2010).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ ვაპირებთ ბ. ჯანაშიას ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობის სრულ მიმოხილვას. ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, თუ რა უმძიმეს პოლიტიკურ პირობებში უხდებოდა აფხაზურ-ქართული ლექსიკონის შედგენა და მის გამოცემაზე ზრუნვა კაცს, რომელიც ამ წიგნით სამმო ხიდის გადებას აპირებდა თავის მშობელ ხალხსა და იმ ხალხს შორის, რომელთანაც მჭიდრო კავშირი მას დაბადებიდან მუდმივად ჰქონდა და უსაზღვროდ უყვარდა.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ბ. ჯანაშია წერდა: „ლექსიკონის დამუშავება დაიწყო 1937 წლის ოქტომბერს და ძირითადად დამთავრდა 1938 წლის ბოლოს“ (ჯანაშია 1954: V). ვისაც ლექსიკონზე უმუშავია, ის წარმოიდგენს, თუ რა სასწაული ტემპით უმუშავია მეცნიერს - ერთ წელზე ცოტა მეტ დროში 8 000-მდე სიტყვის ამოკრება წყაროებიდან, მათი ანბანზე გაწყობა, ურთულესი კონსტრუქციის მქონე აფხაზური ზმნისათვის ოპტიმალური სალექსიკონო ფორმის შერჩევა, საილუსტრაციო ფრაზების მოფიქრება და სათანადო ადგილას ჩართვა, მთელი მასალის ქართულად თარგმნა უდავოდ უდიდესი ენერჯისა და ნერვების ხარჯვის ფასად იქნებოდა შესაძლებელი. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს ხდებოდა სისხლიან 1937-1938 წლებში, როცა არავინ იცოდა, მეორე დღე გაუთენდებოდა თუ არა.

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აზუსტებს, რომ თავიდან მასთან ერთად ლექსიკონზე მუშაობას შესდგომია აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, მწერალი და მეცნიერი დიმიტრი გულია, რომელსაც მხოლოდ 200 სიტყვის მოძიება-თარგმნა მოუსწრია. ბ. ჯანაშიას ეს ფაქტი მაღლიერებით აქვს აღნუსხული (ჯანაშია 1954: V). ჩვენთვის ცნობილია, რომ სწორედ იმ დროს დ. გულია ორ დიდ საქმეს იყო შეჭიდებული და ლექსიკონისათვის ნამდვილად ვერ მოიცლიდა: ჯერ ერთი, ძალიან აქტიურად მონაწილეობდა აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის იმ დროს მოქმედი იაკოვლევ-პოლივანოვის ლათინიზებული დამწერლობის ნაცვლად ქართულ დამწერლობაზე (მხედრულზე) დაფუძნებული ახალი დამწერლობის რამდენიმე პროექტის შედგენაზე და, მეორე, განაგრძობდა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის აფხაზურ ენაზე თარგმნას (თარგმანი 1941 წელს გამოიცა). აქვე დავძენთ, რომ ორივე საქმე საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების დაკვეთა იყო.

ლექსიკონის ავტორი დახმარებისათვის მაღლობას უხდოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის

ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებსა და მწერლებს: ხ. ბლაჟბას, ბ. შინქუბას, კ. შაყრილს, გ. ძიძარას, შ. ინალიფას, გ. შაკირბაის, ჭ. ჯონუას, ა. ჯინუას, ა. ღურჯუასა და მ. გადლიბას. ასევე მადლიერებას გამოხატავდა ავტორი იმ აფხაზი ინფორმატორების, უბრალო გლეხების მიმართაც, რომლებიც დახმარებიან მას ლექსიკური მასალის შეკრებასა და სიტყვათა სემანტიკის დაზუსტებაში.

ავტორი გვამცნობს, რომ 1938 წელს ლექსიკონის შედგენის პრინციპების შემუშავებაში მას დახმარებია ოთხი გამორჩეული თბილისელი კავკასიოლოგი: აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, ქეთევან ლომთათიძე, არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია (ჯანაშია 1954: V). მათგან ს.ჯანაშიამ და ქ. ლომთათიძემ პრაქტიკულადაც შესანიშნავად იცოდნენ აფხაზური ენა და სწორედ მათ გაუწევიათ პირველადი სარედაქციო სამუშაო 1940 წელს (ჯანაშია 1954: VI). ამ ცნობებიდან ვარკვევთ, რომ ჯერ დაიწერა ლექსიკონის შავი, სამუშაო ვარიანტი, ხოლო ლექსიკონში აფხაზური ენის მეტყველების ნაწილთა ასახვის წესებზე ამის შემდეგ შეთანხმებულან ავტორი და დასახელებული ოთხი ქართველი კავკასიოლოგი, რაც კოლეგიალობის მშვენიერ მაგალითად უნდა ჩავთვალოთ.

ლექსიკონის წინასიტყვაობა მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა წიგნის შედგენა, რედაქტირება და ტირაჟის ბეჭდვა. თუმცა იმის გამო, რომ იმ დროში ყველაფრის დაუფარავად წერა სახიფათო იყო სიცოცხლისათვის, მოგვიხდა ზოგი არსებითი დეტალის აღდგენა სტრიქონებს შორის დაფარული სიმართლიდან.

ავტორი არ ახსენებს იმას, რომ 1947 წელს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აკად. ს. ჯანაშია, რომელიც ბ. ჯანაშიას ახლო ნათესავიც იყო. ვვარაუდობთ, რომ ეს ამბავი მეორე მსოფლიო ომთან ერთად უეჭველად შეაფერხებდა წიგნზე მუშაობას. მართლაც, ავტორის სიტყვით, ლექსიკონის საბოლოო რედაქტირება გაუწევია ქ. ლომთათიძეს 1949 წელს, ხოლო 1950 წელს წიგნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაუცია ამავე აკადემიის გამომცემლობისათვის (ჯანაშია 1954: VI). მეცნიერთა უფროს თაობას ახსოვს, რომ იმ პერიოდში მოქმედი წესები ხელოვნურად აფერხებდა და აჭიანურებდა არა მარტო მხატვრული, არამედ სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემასაც:

1. წიგნის ტექსტი ერთი წლით ადრე მაინც უნდა ყოფილიყო მზად და ამის შემდგომ შეჰქონდა ზემოთ უკვე ნახსენებ სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს საგამომცემლო გეგმაში;

2. გეგმაში შეტანილი წიგნი ხელახლა რედაქტირდებოდა გამომცემლობის მიერ, რაც გულისხმობდა ტექსტის ტექნიკური მხარის მოწესრიგებას და, რაც უფრო არსებითად მიიჩნეოდა, შინაარსის კონტროლს გამომცემლობისა და ცენზურის მხრიდან. ამის შემდეგ ეძლეოდა უფლება გამომცემლობას, წიგნი ტირაჟის დასაბეჭდად გადაეცა მეცნიერებათა აკადემიის ერთადერთი სტამბისათვის, რომელიც მუდმივად



გადატვირთული იყო და დიდხანს უნდებოდა საქმის ბოლომდე მიყვანას;

3. ამ ბარიერებით აიხსნება ის, რომ მაშინ დაბეჭდილი წიგნები სტამბიდან მუდმივად დაგვიანებით გამოდიოდა, თუმცა სატიტულო გვერდზე მუდამ რეალურად გამოცემის წლის ნაცვლად წინა წელი ეწერა ხოლმე;

4. წიგნის ბეჭდვა რამდენიმე წლითაც იგვიანებდა: თუ ტექსტი ასაწყობად რთული იყო (შეიცავდა ბევრ დამატებით სიმბოლოს, ფორმულებს, ცხრილებს...), ან იდეურად მიუღებელი იყო რეჟიმისათვის და საფუძვლიან გადამუშავებას საჭიროებდა.

წიგნის ბოლო გვერდიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ გამომცემლობას ბ. ჯანაშიას „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ სტამბისათვის (ანუ, როგორც მაშინ აწერდნენ წიგნებს, წარმოებისათვის) 2 წლის მერე, 1952 წლის 10 დეკემბერს გადაუცია, ბეჭდვა კი დაწყებულა (ხელი მოუწერიათ დასაბეჭდად) 2 წლისა და 1 თვის მერე, 1955 წლის 19 იანვარს.

გამოდის, რომ ლექსიკონმა რთული და ხანგრძლივი გზა გაიარა 1937 წლის ოქტომბრიდან 1955 წლის იანვრამდე, ანუ მთელი 18 წლის განმავლობაში, მაგრამ, როგორც ირკვევა, დროის დაკარგვა ამ პროცესში ყველაზე ნაკლებად მტკივნეული უნდა ყოფილიყო ავტორისთვისაც და აფხაზი თუ ქართველი მკითხველისთვისაც და აი, რატომ:

წინასიტყვაობაში ჩართულ ერთ-ერთ სქოლიოში ავტორი წერდა: „სხვადასხვა მიზეზების, უმთავრესად ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო (შრიფტი) ლექსიკონის დაბეჭდვა ძალზე გაჭიანურდა“ (ჯანაშია 1954: VI). როგორ უნდა გავიგოთ ეს ცნობა?

თუკი ჩვენ შრიფტის პრობლემას მხოლოდ სტამბას დავეუკავშირებთ, მაშინ წინააღმდეგობაში ჩავვცვივდებით, ვინაიდან ლექსიკონი, როგორც ითქვა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ სტამბას, ანუ წარმოებას გადასცა 1952 წლის 10 დეკემბერს, ხოლო ტირაჟის ბეჭდვა დაიწყო 1955 წლის 19 იანვარს. იმ ეგზემპლარს, რომელიც ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში ინახება, აქვს აფხაზურ და ქართულ ენებზე შესრულებული მიძღვნიტი წარწერა იმ დროს სოხუმში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მეცნიერისადმი, ისტორიკოს ირაკლი ანთელავასადმი და ეს მიძღვნა დაწერილია 1955 წლის 15 აპრილით. თუ ვივარაუდებთ, რომ წიგნის საავტორო ცალეები ბ.ჯანაშიამ თბილისიდან სოხუმში მიიღო, ან პირადად ჩაიტანა წარწერის დაწერის დღესვე, მაშინ გამოდის, რომ წიგნის მთელი ტირაჟის ბეჭდვა დასრულებულა წინა დღეებში, არა უადრეს 10 აპრილისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წიგნი სტამბაში იმყოფებოდა 1952 წლის 10 დეკემბრიდან 1955 წლის 10 აპრილამდე, ანუ 2 წელიწადსა და 4 თვეს, რაც იმ დროისათვის რთულტექსტიანი წიგნის ბეჭდვის დროით ნორმებს არ სცდებოდა და ბ.ჯანაშიას არ ექნებოდა საფუძველი, წინასიტყვაობის სქოლიოში დაეწერა „ლექსიკონის დაბეჭდვა ძალზე გაჭიანურდა“-ო. სამიებელია სხვა ახსნა და ეს ახსნა უკავშირდება კონკრეტული პირისათვის გადაულახავ პოლიტიკურ და პოლიტიზებულ აქტებს:

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ბ. ჯანაშია შრიფტის პრობლემაში

გულისხმობდა სტამბის შეყოვნებულ მუშაობასაც და, რაც უფრო არსებითია, აფხაზური სალიტერატურო ენის ორგზის გადაყვანას მოქმედი სადამწერლობო-გრაფიკული სისტემიდან სხვა სისტემებზე. კერძოდ, 1938 წელს აფხაზურ ენას შეეცვალა დამწერლობა და იგი ლათინიზებული დამწერლობიდან გადაიყვანეს ქართულ დამწერლობაზე, ხოლო 1954 წელს ქართული დამწერლობა შეეცვალა კირილიცას რუსულმა ვარიანტმა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ბ. ჯანაშიას დიმიტრი გულიასთან ერთად ლექსიკონის შედგენა დაუწყია 1937 წლის ოქტომბერში. შეუძლებელია, მას, როგორც აფხაზეთის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელს, არ სცოდნოდა, რომ იმავე წლის 5-11 მაისს სოხუმში გამართულ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზური სალიტერატურო ენისათვის იმ დროს მოქმედი ლათინიზებული ანბანის ნაცვლად ქართული ანბანის საფუძველზე ახალი დამწერლობის შექმნის შესახებ, ხოლო ერთი თვის შემდეგ მხარისგაზეთებში დაიწყო სტატიებისა და ახალი დამწერლობის პროექტების გამოქვეყნება (გვანცელაძე... 2021: 53). მეტიც, მისი იმდროინდელი თანაავტორი დ.გულია ყველაზე აქტიური მონაწილე იყო ამ პოლიტიზებული აქციისა და ბ.ჯანაშიას მისგანაც შეეძლო უტყუარი ინფორმაციის მიღება.

იმის გამო, რომ ქართულ სადამწერლობო სისტემაზე დაფუძნებული ახალი ანბანი ოფიციალურად დამტკიცდა იმავე 1937 წლის 4-5 დეკემბერს ქ. სოხუმში გამართულ საგანგებო თათბირზე, რომლის ერთ-ერთი მდივანიც ა. ფადეევთან ერთად პირადად ბ. ჯანაშიაც იყო (თათბირის ოქმები იხ. წიგნში: გვანცელაძე... 2021: 318-330), მანამდე ბ. ჯანაშია ვერ გამოიყენებდა ახალ დამწერლობას და ლექსიკონის აფხაზურ ნაწილს აუცილებლად ჩაწერდა მოქმედი ლათინიზებული ანბანის გამოყენებით, მაგრამ მომდევნო 1938 წლის ბოლოს, როცა მან ლექსიკონის წერა დაასრულა, აფხაზური ენა უკვე გადაყვანილი იყო ქართულ გრაფიკაზე, რის გამოც ლექსიკონის ავტორი იძულებული გახდებოდა, ქართული დამწერლობის გამოყენებით გადაეწერა მთელი წიგნი, რაც საკმაოდ ბევრ დროს წაიღებდა.

ქართული ასოებით აწყობილ ლექსიკონს საბოლოო სახე უკვე მიცემული ჰქონდა და სტამბაში მიმდინარეობდა მისი აწყობა-კორექტირება, როცა 1954 წლის გაზაფხულზე კიდევ ერთხელ შეეცვალა აფხაზური სალიტერატურო ენის გრაფიკული საფუძველები: ქართული გრაფიკა გაუქმდა და მისი ადგილი კირილიცამ დაიკავა. მართალია, ეს მეორე პოლიტიზებული აქტი ლექსიკონს აღარ შეხებია და იგი ისე დაიბეჭდა, როგორც გადაეცა გამომცემლობიდან სტამბას, მაგრამ მისი ტირაჟის დაბეჭდვის მერე მას უკვე აღარ ჰყავდა და მომავალშიც არ ეყოლებოდა მკითხველი აფხაზი მოსწავლეებისა და სტუდენტების სახით – მათ არც სკოლაში და არც სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში არ ასწავლიდნენ ქართულს, რადგან არც ეს ენა ისწავლებოდა აფხაზურ სკოლებში.

ვვარაუდობთ, რომ ბ. ჯანაშია სწორედ დამწერლობების ცვლასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და პოლიტიკურ სირთულეებსაც გულისხმობდა, როცა წერდა, წიგნის გამოცემა ძალიან გაჭიანურდაო. იგი პირდაპირ ვერ

დაწერდა, მკითხველების დაკარგვა მადარდებსო.

ლექსიკონის გამოცემა, რა თქმა უნდა, ავტორისათვის დიდად სასიხარულო იყო, მაგრამ ეს **სიხარული ჩაამწარა პოლიტიკის ჩარევამ**, რის გამოც ამ მართლაც მშობის ხიდად გამოსადეგ წიგნს მკითხველი ხელოვნურად დაუკარგეს.

სამწუხაროდ, ჩვენი აფხაზი კოლეგები და პოლიტიზებული პირები ვერ თუ არ იცავენ ობიექტურობას, როცა ერთხმად აცხადებენ, 1938 წელს ლათინიზებული დამწერლობის ქართული ანბანით შეცვლამ აფხაზი მოსწავლეები სტრესში ჩააგდო და სწავლაზე ხელი ააღებინა მთელ თაობასო. ამ აქციას ანტიაფხაზურ ქმედებად აცხადებენ, მაგრამ ბრალმძებლებს ავიწყდებათ, რომ ზუსტად ასეთივე პოლიტიზებული აქტები მოხდა კიდევ სამჯერ და ოთხი ფაქტიდან მხოლოდ ერთზე აქცენტის გადატანა მიკერძოებაა. კერძოდ:

- 1926 წელს უკვე მოქმედი, კირილიცაზე დაფუძნებული აფხაზური დამწერლობა გაუქმდა და მის ნაცვლად სასწრაფოდ შემოიღეს აკად. ნიკო მარის მიერ შექმნილი ურთულესი, 77-ასოიანი ლათინიზებული დამწერლობა. ეს ანბანი იმდენად რთული იყო, რომ მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები ერთხმად აპროტესტებდნენ მის შემოღებას;

- 1928 წელს ნ. მარის დამწერლობა გაუქმდა და მის ნაცვლად დაამკვიდრეს პროფ. ნიკოლაი იაკოვლევის, პროფ. ევგენი პოლივანოვის, მწერალ სამსონ ჭანბასა და ენათმეცნიერ არსენტი ჰაშბას მიერ შექმნილი სხვა ლათინიზებული დამწერლობა, რომელიც სირთულის მხრივ ოდნავ სჯობდა ნ. მარის ვარიანტს. მოსახლეობა ამ დამწერლობასაც იწუნებდა;

- 1954 წელს, როგორც ზემოთაც ითქვა, გაუქმდა ქართულ გრაფიკაზე, მხედრულზე დაფუძნებული დამწერლობა და აღდგა 1926 წლამდე მოქმედი, კირილიცაზე დამყარებული დამწერლობა.

აფხაზ მოსწავლეებს სტრესი განაცდევინა არა მარტო 1938 წელს შემოღებულმა ქართულმა გრაფიკამ, არამედ 1926, 1928 და 1954 წლების სადამწერლო აქციებმაც და ისინი ერთნაირად უნდა განიხილებოდეს და არა შერჩევით. აქვე გვსურს იმის ხაზგასმაც, რომ საკუთარი ენისათვის დამწერლობის შერჩევა მხოლოდ ამ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსის ნებას უნდა ემყარებოდეს!

ბაგრატ ჯანაშია გარდაიცვალა 1978 წლის 4 თებერვალს. იგი დაკრძალულია მშობლიურ სოფელ აძვიბჟაში. სამწუხაროდ, ამ გამოჩენილი მოღვაწის ოჯახს ამჟამად დევნილობაში უწევს ცხოვრება და არა აქვს უფლება, მოინახულოს მისი საფლავი და პატივი მიაგოს მას.

---

**დამოწმებული ლიტერატურა**

ბლაჟბა 1964: Бгажба Х.С., Джанашиа Б.П., Шакирбай Г.З., Шакрыл Е.П., Шакрыл К.С., Шинкуба Б.В. Русско-абхазский словарь. – Сухуми: Институт языка, литературы и истории Абхазии им. Д.И. Гулия АН Грузинской ССР, 1964.

გვანცელაძე 2021: გვანცელაძე თ., ჭაავა ს., აფხაზური ენა. წარსული, აწმყო და... (ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზი). თბილისი, 2021.

თევზაძე 1937: თევზაძე კლ., გონიაშვილი თ., ქართული ენა. აფხაზური სკოლებისათვის. თბილისი, 1937.

ჯანაშია 1954: ჯანაშია ბ., აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1954.

ჯანაშია 2010: Джанашиа Б.П., Абхазская лексика виноградарства и виноделия. Тбилиси, 2010.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6966>

ღვთაება აჰვეიფშაა  
აფხაზურ ხალხურ ლექს-სიმღერებში

Deity Ajveifshaa in Abkhaz folk songs

ნანა აბულაძე

დადიანების სასახლეთა  
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი  
საქართველო, ზუგდიდი

Nana Abuladze

Dadiani Palaces History and  
Architectural Museum  
Georgia, Zugdidi

ABSTRACT

Throughout the long process of human civilization, traditions have shaped and evolved within the realm of spirituality, being passed down through generations. This assertion is supported by a wealth of oral storytelling materials that serve as chroniclers of past days.

Various peoples around the world possess their distinctive traditional poetry and rituals, reflective of their unique ways of life. The Abkhazian folk tradition and ethnography are no exception.

Abkhazian folk culture is particularly abundant with hunters' songs. Preserved textual materials demonstrate that hunters approached the deity Azhveipshaa, the god of hunting and protector of wild animals, with profound reverence, seeking his aid in capturing large game, ensuring successful hunts, and safeguarding against misfortune. Traces of pagan beliefs can be discerned in these songs dedicated to the deity Azhveipshaa.

It is noteworthy that hunters' songs were often performed by groups of individuals. In ancient times, men would hunt together in groups, assisting one another. On occasion, a solitary individual would sing the song.

At certain stages of human development, people held the belief that the success of hunting hinged largely upon the favor of the hunting god. They believed that Azhveipshaa governed their destinies. Consequently, hunters felt compelled to uphold traditions and perform the necessary rituals before and during their hunts. It is important to highlight that, whether or not one believes in these practices, hunters

continue to adhere to the generally established rules.

Simultaneously, alongside the pagan deities associated with hunting, the influence of Christianity grew stronger and began to impact traditions connected to hunting. Christian beliefs gained prominence in the lives of the people, bringing about significant changes in the spiritual world of hunters. Consequently, some hunters began to turn to Saint George, seeking his intercession for successful hunts.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზური ფოლკლორი, ნადირობის ღვთაება აჟვეიფშაა, ქართული წარმართული პანთეონი, წმინდა გიორგი.

**Keywords:** Abkhaz folklore, hunting deity Azhveifsha, Georgian pagan pantheon, Saint George.

მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე კაცობრიობა თავის სულიერ სამყაროში ძერწავდა წეს-ჩვეულებებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დროის სრბოლას უამრავმა ტრადიციამ ვერ გაუძლო, რადგანაც დრო თავის უღმობელ ხელს ატყობს ირგვლივ ყოველივეს, ცივილიზაცია თავის ქურაში აქცევს უამრავ ადათს. მაგრამ წეს-ჩვეულება იმდენად დიდი ფენომენია, ის გადმონაშთის სახით მაინც აგრძელებს არსებობას. ამის დასტურია ის უამრავი ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც გვევლინება გარდასულ დღეთა მემკვიდრეად.

მსოფლიოში მცხოვრებ ადამიანებს თავიანთი საწესჩვეულებო პოეზია და ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულება აქვთ. გამონაკლისს. არც აფხაზთა ფოლკლორი და ეთნოგრაფია წარმოადგენს.

აფხაზეთი ყოველთვის იყო ერთ-ერთი უძველესი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. აფხაზი აფხაზეთის მცხოვრებლებს ეწოდებოდა (აფხაზეთი 2016: 7).

ქართულ-აფხაზური კულტურისა და ყოფის დიდი მსგავსება გამოძახილია ამ ორი ხალხის თანაცხოვრებისა.

აჟვეიფშაა, ზოგიერთი წარმოდგენით, მჟავე წყლებისა და ტყის მზრძანებელიც არის. ღვთაება ლოცვის ტექსტებში არცთუ იშვიათად იხსენიება: „აზნა ინცვაჰუ აჟვეიფშაა აჰდუ“ (ტყის ღმერთი აჟვეიფშაა დიდი ბატონი). ამ თვალსაზრისით აფხაზური ნადირთმფარველის სემანტიკურ პარალელს წარმოადგენს ადიღეელების მეზითხი, რომელიც ნადირთა და ტყეთა ბატონად ითვლებოდა. აჟვეიფშასთან ტიპოლოგიურად ახლოს დგას ოსურ-ბალყარულ-სვანური აფსათი და ჩეჩნური ელტა, ასევე აზაზური შვაზაფში (თაფანტოელებში) და აჟვაფში (შქაროელებში). საინტერესოა, რომ შქაროელებში სამონადირეო ენას „აჟვაფშიბიზხვა“ – „აჟვეიფშას ენა“ ეწოდება.

ტერმინ „აჟვეიფშაას“ წარმომავლობა უცნობია. არის მისი ახსნის ორი, ნუგზარ ანთელავას აზრით, წარუმატებელი ცდა: ერთი მას რიცხვით სახელს – „თოთხმეტს“ (ჟდიფშ, ჟდ ფშჟ) უკავშირებს, მეორე კი შიფრავს

როგორც „მოდარაჯე ფრთა (ა-ჟდჯა – მხარი, ფრთა და ა-ფშარა – დარაჯობა) (ანთელავა 2006: 54). მეცნიერის აზრს ერთმნიშვნელოვნად ვიზიარებთ.

შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, რომელმაც შემოგვინახა წარმართული დროიდან მომდინარე უამრავი ადათი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერა.

ქართული წარმართული პანთეონის შესახებ ვრცელი გამოკვლევა ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს. იგი ქართულ სამონადირეო ღვთაებათა სახელებსა და ფუნქციებს არკვევს. წარმართულ სამონადირეო ღვთაებათა შორის იგი ასახელებს საქართველოს მრავალ კუთხეში ცნობილ ანთარ-ანატორს, ნადირთ მწყემს ოჩოპინტრეს ანუ ოჩოპინტეს, ნადირთ ანგელოზს, სამეგრელოს „ტყაშ-მაფას“, გალენიშ ორთას და მესეფს, რომელსაც იგი სვანეთის დალის, ცხეკიშ ანგელოზსა და აფსატს, აფხაზეთის ამშაპს და ჩაჩნების მიზითხას უკავშირებს.

„ოდესღაც ქართველ ტომებს სათვისთავო სათემო ღვთაებათა გარდა ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონიათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა“ – ასკვნის ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1960: 116).

ქართული მონადირეობის ისტორიას ჰქონდა როგორც აღმავლობისა და გაფურჩქვნის, ისე დაკნინების პერიოდები, როდესაც მონადირეობამ ეკონომიკის წამყვანი დარგის მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ ერთ-ერთი დამხმარე დარგის სახით იქნა შემორჩენილი (ვირსალაძე 1964: 25).

მონადირეობასთან დაკავშირებული მასალა საქართველოში ჟანრობრივად მრავალფეროვანია. მაგრამ აქ ჩვენ ნადირობის თემაზე შექმნილ ყველა ნაწარმოებს ვერ განვიხილავთ. ჩვენი საუბარი მხოლოდ აფხაზურ სანადირო სიმღერებს შეეხება.

საქართველოში ნადირობა უძველესი დროიდან მამაკაცის საქმედ იყო მიჩნეული. ბუნებრივია, არსებობდა ნადირთ ღვთაებებთან დაკავშირებული უამრავი წარმოდგენა. მიუხედავად წარმოდგენათა მრავალფეროვნებისა, ალ. რობაქიძემ დაასკვნა, რომ მაინც, ყველაზე მეტად გავრცელებული წარმოდგენით, ნადირთ პატრონი ლამაზი ახალგაზრდა გრძელთმიანი ქალია (რობაქიძე 1941: 192).

მეგრულ-კოლხურ მითოლოგიაში დალის ფუნქციას ტყაში მაფა ასრულებს. ისიც მონადირეებს ეტრფიალება და გვირგვინოსან მამაკაცებს საკუთარ ცოლებთან წოლის უფლებას არ აძლევს (ჩიქოვანი 1986: 79).

აფხაზები ნადირობისა და ტყის ღვთაებად აჟვეიფშაას მიიჩნევენ. მისი წყალობის მიღების გარეშე ვერც ერთი მონადირე ვერ შეძლებდა ნადირის მოკვლას. აჟვეიფშაას წყალობის მოსაპოვებლად მონადირეებს უძველესი წეს-ჩვეულება უნდა შეესრულებინათ. ნადირი მარტო მსროლელს არ ერგებოდა, მას მეგობრებისთვისაც უნდა მიეცა წილი. სანადიროდ წასვლისას აჟვეიფშაას სთხოვდნენ, მიეცა თითოეული მონადირისათვის თავისი წილი. ღვთაების სახელზე თხას ან ცხვარს კლავდნენ და ლოცულობდნენ (ზუზუბა 1988: 83).

თანდათან სამონადირეო ღვთაებათა პანთეონი რთულდება. მთავარი ღვთაების ფუნქციები ეკისრება მამაკაც ღვთაებას, მაგრამ ქალი ნადირთ პატრონი განაგრძობს არსებობას მის პარალელურად (ვირსალაძე 1964: 32).

აფხაზთა რწმენით, ყველა ნადირი ნადირთა მეფეს, ყრუ და ბრმა ადაგვას ეკუთვნის. ადაგვას სამი ქალიშვილი და ურიცხვი ხელქვეითი ნადირის მწყემსი ჰყავს. ადაგვას ქალიშვილები მონადირეებთან სატრფიალო ურთიერთობაში იმყოფებიან ხშირად და ამ შემთხვევაში მონადირეებს კარგი იღბალი აქვთ ნადირობაში. როგორც ადაგვა და მისი ქალიშვილები, ისე ნადირთ მწყემსები ნადირთა ხორციით იკვებებიან. ჭამის შემდეგ ისინი ნადირთა ძვლებს ნადირის ტყავში ჩაყრიან, დაჰკრავენ მათრახს ან ჯოხს და ნადირს კვლავ გააცოცხლებენ. მონადირეებს ერგებათ ხოლმე ნადირობის შედეგად მხოლოდ ასეთი, ერთხელ შეჭმული და გაცოცხლებული ნადირი. თუ ჭამის დროს ადაგვას ან მის მხლებელს ნადირის რომელიმე ძვალი დაეკარგათ, იმის მაგიერ ჩხირს ჩასდებენ, რომელიც ძვლის მაგივრობას სწევს (აკაკის კრებული 1899: 25).

ანალოგიური შეხედულებები ფართოდ არის გავრცელებული ხევსურეთში, რაჭაში, სამეგრელოსა და კავკასიაში.

დღემდე შემორჩენილ აფვეიშას სიმღერებში კარგად ჩანს წარმართული შეხედულების კვალი. მოვიხმოთ ტექსტი:

თუ ერთად ვმღერთ, გავიხაროთ ერთადვე დასტურ,  
გათენებისას გაგვახარე, გათენებისას,  
ტკბილი თაფლუჭი მოგვაგოს დედამ,  
მამამ – ნადირი მათათა და ტყეთა.

აფვეიფშაა, ნუ მოგვაკლდეს ნუროდეს შენგან  
ჯიხვების ჯოგი, მწყალობელო, ირმების ჯელგა.  
შენი ოქროს ფრთა დაგვაფარე, იმედის კალთა,  
გათენებისას გაგვახარე, გათენებისას.  
ზნელ იწროებში გვაძებნინე ნადირი მათათა,  
ნუ მოგვაკლდება ტყავი და ხორცი,  
ტყავს გრძელი ჰქონდეს უთუოდ ბეწვი,  
თხა იყოს ერთწილ,  
ქურციკი – ორწილ.

არჩვს ჰქონდეს წვერი, გრძელი კანჭი - ქორბუდა ირემს,  
დათვი გვაჩუქე, მწყალობელო და დიდი ტახი.

(აირგის სიმღერა 1984: 6).

მოხმობილი ტექსტი ნათლად ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანებს გულწრფელად სჯეროდათ ბედ-იღბლის, რომელიც ნადირთ ღვთაების კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული.

საგულისხმოა, რომ აფხაზთა რწმენით აფვეიფშა მამაკაცი იყო. იგი მარტოკა არ ცხოვრობდა, ჰყავდა ვაჟი (სიმღერებში მას ზოგჯერ საკუთარი სახელიც აქვს – იუანა) და საოცარი ლამაზი ასულები (ზუხბა 1988: 84).



ნადირობის სიმღერებში მონადირეები შესთხოვენ ნადირთ ღვთაებას, მისცეს მათ ნადირობის ბედ-იღბალი. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული ტექსტუალური მასალა, რომელიც საკმაოდ ვრცელია და ჩვენ ამჟერად მცირე ნაწყვეტით შემოვიფარგლებით:

დად, იუანა, შენი ჭირიმე,	... აჟვეიფშაა, შენი ჭირიმე,
დადი, დადი!	დადი, დადი!
თითოს თითო თხა ჩამოგვირიგე,	ფურებში ხარი გამომირიდე,
დადი, დადი! ...	დადი, დადი!...

(აირგის სიმღერა 1984: 7-8).

აფხაზური ფოლკლორი მდიდარია ნადირობის სიმღერებით. ჩვენამდე მოღწეულ ტექსტებში მონადირეები ნადირთ უფალს დიდი მოწიწებით მიმართავენ და შესთხოვენ დიდ ნადირს კარგ დღესა და ყოველი მოსალოდნელი განსაცდელისგან დაცვას.

როგორც აღვნიშნეთ, აჟვეიფშაას სიმღერები ღვთაების განდიდების სახით იმღერებოდა. მათ ერთი პირიც ასრულებდა, მაგრამ უმეტესწილად ჯგუფი მღეროდა. უწინ უპირატესად მრავალი კაცი ჯგუფ-ჯგუფად ნადირობდა და ერთმანეთსაც ეხმარებოდნენ. ასეთ ჯგუფში შემავალნი სანადიროდ წასვლის წინ მღეროდნენ:

ზეციურო აჟვეიფშა, ჩვენო დიდო ბატონო,  
სიხარულით გევედრებით, არასდოს არ დაგვტოვო  
ვარადა გურღია, დად, გურჭაჭგა!<sup>1</sup>  
ჩვენი გუნდის წევრთა მიმართ ეგ სხივები დაღვარე,  
გაგვახარე, გევედრებით, მარადის გაგვახარე!  
ო, ციურო აჟვეიფშა, ჩვენო დიდო ბატონო!  
რაც გვიბოძე აქამომდის, უკვე შეგვიჭამია,  
გთხოვთ ახალი გვიბოძო და უფრორე გაგვახარო,  
გუნდის წევრთ კი, დე, მადლობის ნიშნად თავი დავხაროთ,  
ოო, რირა, ოო, დად, ოო, რირა, გურჭაჭგა!

(ზუხბა 1988: 86-87).

მნიშვნელოვანია იმის მითითება, რომ ნადირობის სიმღერების შესრულება ყველას არ შეეძლო. „ამ სიმღერათა ყველგან და ყველას მიერ თქმა არ შეიძლებოდა, ქალებს ამის უფლება საერთოდ არ ჰქონდათ, მათ მხოლოდ და მხოლოდ მონადირე მამაკაცები ასრულებდნენ და ისიც თავის სურვილზე კი არა, მხოლოდ და მხოლოდ სანადიროდ წასვლისას, ნადირის მოკვლის მერე ბინაზე მობრუნებისას“ (ინალ-იფა 1961: 29).

საზოგადოების განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანებს სჯერათ, რომ ნადირობის წარმატებულად წარმართვა ნადირთ ღვთაებაზეა დამოკიდებული, რომ აჟვეიფშაა განკარგავს მათ ბედ-იღბალს. აქედან გამომდინარე; მონადირეები ვალდებულნი არიან დაიცვან ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ნადირობამდე და ნადირობის დროს არის შესასრულებელი. მნიშვნელოვანია, რომ მონადირეები დღემდეც

<sup>1</sup> „ლხინის სიმღერა, დად, გულის მოსაოხებელი“ (მთარგმნელი - თ. გ.)

ასრულებენ წესებს, რომლებიც ზოგადად დაწესებულია, რამდენადაც გასაკვირად არ უნდა გვეჩვენებოდეს.

ფართოდ გავრცელებული ნადირობის წარმართული ღვთაებების გვერდით ქრისტიანული სარწმუნოება იკრებს ძალას და ის თავის კვალს ატყობს ნადირობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. ადამიანებში ქრისტიანულმა ნაკადმა იმპლავრა და მონადირეების სულიერ სამყაროში მოახდინა გარდატეხა და მათ ნაწილს წმინდა გიორგის ძალისა სჯერათ. მონადირეები სწორედ მას შესთხოვეს ნადირობის იღბლიან წარმართვას.

### დამოწმებული ლიტერატურა

- აირგის სიმღერა 1984: აირგის სიმღერა, აფხაზური ხალხური პოეზია. თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ. თბილისი, 1984.
- აფხაზეთი 2016: ჩემი საქართველო – ის, რაც ერთხელ მაინც უნდა ნახო. აფხაზეთი, ფოტოალბომი, ტ., 12. მარიამ ლორთქიფანიძის წინასიტყვაობით, თბილისი, 2016.
- აკაკის კრებული 1899: ჯანაშია ნ., აფხაზეთი, აკაკის კრებული, განყ. 4, თბილისი, 1899.
- ანთელავა 2006: ანთელავა ნ., აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. ენციკლოპედია, თბილისი, 2006.
- ვირსალაძე 1964: ვირსალაძე ელ., ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი, 1964.
- ზუხბა 1988: ზუხბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება, აფხაზურიდან თარგმნეს თეიმურაზ გვანცელაძემ და ავთანდილ არაბულმა. თბილისი, 1988.
- რობაქიძე 1941: რობაქიძე ალ., კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში. თბილისი, 1941.
- ჩიქოვანი 1986: ჩიქოვანი მიხ., ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბილისი, 1986.
- ჯავახიშვილი 1979: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1979.
- Инал-ипа 1961: Инал-ипа Ш., Из истории абхазской литературы, Сухуми, 1961.

ევროს ინსტიტუციონალიზაცია და  
აფხაზეთის საკითხი

**Institutionalization of the European Union  
and the Abkhazia Issue:  
Discussion in International Resolutions**

**ომარ არდაშელია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Omar Ardashelia**  
Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

In the context of international involvement in the Abkhazia conflict, the most active participants are representatives from the OSCE and the UN. From September 27, 1993, throughout the 1990s and into the 2010s, negotiations between the conflicting parties of Abkhazia and Georgia have been facilitated by the United Nations and the Organization for Security and Cooperation in Europe.

The primary focus of these negotiations revolves around the human factor, particularly the repatriation of internally displaced persons from conflict-affected regions, which is intricately tied to the determination of the political status of the designated territories.

This report examines the resolutions of the United Nations and the OSCE about the post-war Abkhazia of 1992-1993 and the peaceful settlement of the conflict. The institutionalization of the OSCE, which occurred concurrently with the Abkhazian war, played a significant role in bringing attention to the Abkhazian issue, as well as the subsequent problem of the Shida Kartli mountains, within international organizations. Resolutions and decisions made at summits place a prominent emphasis on human rights concerns, the return of civilians to Gali, and the protection of property rights for displaced individuals in the occupied region, among others. Notably, one of the UN resolutions addresses the right of return for displaced persons, including their descendants.

However, the question arises regarding the significance of these resolutions and decisions if their implementation has been consistently delayed. It is crucial to recognize that these resolutions demonstrate the efforts of the Organization for Security and Cooperation in Europe and the United Nations in resolving the Abkhazia conflict (as

well as the situation in South Ossetia). Despite facing strong opposition from Russia at the UN General Assembly and the Organization for Security and Cooperation in Europe during the research period from 1992 to 2021, the UN resolutions and OSCE summit decisions serve as a constant reminder to the international community that Abkhazia and the so-called South Ossetia (which actually refers to the Shida Kartli mountains) are integral parts of Georgia. These resolutions assert the rights of the indigenous people of these regions to return to their ancestral lands and waters. They affirm that the state of Georgia will never relinquish its land and water, where the ethnogenesis of the Georgian nation originated three thousand years ago and where the rich traditions of Georgian culture and statehood have developed over centuries.<sup>9</sup>

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთის საკითხი საერთაშორისო რეზოლუციებში, გაეროსა და ეუთოს პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში.

**Keywords:** The issue of Abkhazia in international resolutions, The position of the United Nations and the OSCE in the issue of resolving the conflict in Abkhazia.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან XXI საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება მიმდინარეობს გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ჩართულობით. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მონაწილეობა გაცილებით მაღალი იყო პრობლემის მოგვარების საკითხში, ეუთომ უმნიშვნელოვანესი რეზოლუციები და გადაწყვეტილებები მიიღო საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ჩვენი კვლევის მიზანია, აჩვენოს ინსტიტუციურად XX საუკუნის 90-იანი წლებში ჩამოყალიბებული ეუთოს ჩართულობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში, მაშინ, როდესაც ის პირდაპირ არ მონაწილეობდა აფხაზეთის სადამკვირვებლო მისიაში. როგორც გაეროს, ასევე ეუთოს მთავარი თემა იყო და არის კონფლიქტის რეგონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაბრუნების დაკავშირება/მიზმა საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან (Conciliation Resources 2009: 13). საგულისხმოა, რომ ეუთოს ინსტიტუციონალიზაციის საკითხი და მისი ავტორიტეტის გაფართოება კონფლიქტების მოგვარების საკითხში დროში დაემთხვა აფხაზეთის ომის შემდგომი ვითარების დარეგულირების პერიოდს.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) გაეროსთან ერთად მნიშვნელოვანი საერთაშორისო მექანიზმია კონფლიქტების მოგვარების, უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამყარების საკითხებში. ეუთოს ისტორია სათავეს იღებს 1970-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში არსებული პოლიტიკური დამაბულობის ფაზაში, როდესაც მუშაობა დაიწყო ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ სპეციალურმა კონფერენციამ (CSCE). კონფერენცია შეიქმნა, რათა

მომსახურებოდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგისა და მოლაპარაკებებისთვის საჭირო მრავალმხრივ ფორუმს. ორი წლის განმავლობაში ჰელსინკსა და ჟენევაში შეხვედრისას კონფერენციამ მიაღწია შეთანხმებას ჰელსინკის საბოლოო აქტზე, რომელსაც ხელი მოეწერა 1975 წლის 1 აგვისტოს (OSCE History).

ეს დოკუმენტი უამრავ ძირითად ვალდებულებას შეიცავდა პოლიტიკურ-სამხედრო, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და ადამიანის უფლებების საკითხებზე, რომლებიც ე. წ. „ჰელსინკის პროცესში“ ცენტრალური საკითხი გახდა. მან ასევე დაადგინა ათი ფუნდამენტური პრინციპი („დეკალოგი“ – the ‘Decalogue’ = განსაზღვრება), რომელიც არეგულირებს სახელმწიფოების ქცევას როგორც მათი მოქალაქეების, ისე ერთმანეთის მიმართ. 1990 წლამდე CSCE ძირითადად ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრებისა და კონფერენციების სერია, რომელიც ეფუძნებოდა და აფართოებდა მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებებს, პერიოდულად განიხილავდა მათ შესრულებას. თუმცა ცივი ომის დასრულების შემდეგ, 1990 წლის ნოემბერში, პარიზის სამიტმა CSCE ახალი რეალობის წინაშე დააყენა. პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისთვის CSCE-ს მოუწოდეს შეესრულებინა თავისი როლი ევროპაში მიმდინარე ისტორიული ცვლილებების მართვაში და პასუხი გაეცა ცივი ომის შემდგომი პერიოდის ახალ გამოწვევებზე. ამან გამოიწვია კონფერენციის ინსტიტუციონალიზაცია, ანუ მუდმივი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და მისი ოპერატიული შესაძლებლობების გაზრდა. პარიზის ქარტიაში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებმა და მთავრობების მეთაურებმა სპეციალურად მოითხოვეს CSCE-ს საპარლამენტო ასამბლეის შექმნა (OSCE History).

1991 წლის აპრილში, ესპანეთის პარლამენტის მოწვევით, მადრიდში შეიკრიბნენ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს მაღალი დონის საპარლამენტო ლიდერები, რათა შეექმნათ CSCE-ს საპარლამენტო ასამბლეა, როგორც ამას მათი შესაბამისი სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურები ითხოვდნენ. შეხვედრის შედეგი იყო მადრიდის დეკლარაცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია ასამბლეის მუშაობის ძირითადი წესები, სამუშაო მეთოდები, მანდატი და ხმების განაწილება. 1991 წელს ბერლინის სხდომაზე CSCE-ს მინისტრთა საბჭო მიესალმა საპარლამენტო ასამბლეის შექმნას და განაცხადა, რომ მინისტრები მოუთმენლად ელიან საპარლამენტო ასამბლეის შეხედულებების „კოლექტიურ გამოხატვას“ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის, ასევე CSCE-ს მომავალი განვითარების შესახებ. 1992 წლის ივლისში ბუდაპეშტში გაიმართა საპარლამენტო ასამბლეის პირველი ოფიციალური სესია. ასამბლეამ გადაწყვიტა, მიეღო დანიის პარლამენტის მოწვევა კოპენჰაგენში საერთაშორისო სამდივნოს შექმნის შესახებ. 1994 წელს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ კონფერენციას (CSCE), გაფართოებული როლის გამო, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE//ევთო) ეწოდა (History and background of the CSCE/OSCE). ევთოს სამიტებმა ჰელსინკში (1992), ბუდაპეშტსა (1994) და სტამბოლში (1999) კიდევ

ერთხელ დაადასტურა მონაწილე სახელმწიფოების ინტერესი ეუთოს პროცესში პარლამენტარების აქტიური მონაწილეობის კუთხით და მოქმედ თავმჯდომარეს მჭიდრო კონტაქტების დამყარება დაავალა.

როგორც ვხედავთ, ეუთოს ინსტიტუციონალიზაცია დროში დაემთხვა აფხაზეთის კონფლიქტს და მომდევნო პერიოდს. მიუხედავად ამისა, ეუთომ პირველი დღეებიდანვე ყურადღება მიაქცია როგორც აფხაზეთში, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილ პრობლემებს და წამოიწყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და მოლაპარაკების ეტაპი. ეუთოს 1992 წლის ჰელსინკის დეკლარაცია რეალურად ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი აქტი იყო, მაგრამ მომდევნო – ბუდაპეშტისა და სტამბოლის დეკლარაციებში უკვე ასახულია საქართველოში არსებული კონფლიქტები და მათი მოგვარების მშვიდობის პერსპექტივები.

საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი სპეციალისტის ლევან ალექსიძის აზრით, აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთომ გადამწყვეტი როლი შეასრულა. ჯერ კიდევ 1994 წლის 24 მაისს გამოქვეყნდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი ექსპერტთა კომისიის მოხსენება, რომელშიც განმარტებული იყო ცნება „ეთნიკური წმენდა“, როგორც წინასწარგანზრახული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ერთი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის სასტიკი მოპყრობის ან ტერორის გზით განდევნას სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის მიერ გარკვეული გეოგრაფიული არიდან. ძირითადად, ეს ხდება ცრუ ნაციონალიზმის, ისტორიული წყენისა და შურისძიების მძლავრი მამოძრავებელი გრძნობის სახელით. ამ ქმედების ნამდვილი მიზანი ტერიტორიის ოკუპაცია და მისი გარკვეული ჯგუფებისაგან გაწმენდაა (UN Doc. S/1994/674, para.129, May 24, 1994).

იმავე, 1994 წლის 6 დეკემბრის ეუთოს ბუდაპეშტის სამიტმა აღიარა აფხაზეთში ჩატარებული ეთნოწმენდის ფაქტი (CSCE, BUDAPEST DOCUMENT 1994 TOWARDS A GENUINE PARTNERSHIP IN A NEW ERA). ბუდაპეშტის დოკუმენტს „ახალ ეპოქაში ჭეშმარიტი პარტნიორობისკენ“ უწოდეს და მან განიხილა მაშინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა კონფლიქტური რეგიონის პრობლემა, მათ შორის ცალკე თავი მიუძღვნა საქართველოში არსებულ კონფლიქტებს (CSCE, BUDAPEST DOCUMENT 1994. TOWARDS A GENUINE PARTNERSHIP IN A NEW ERA, BUDAPEST SUMMIT DECLARATION 1994: 7-8). საქართველოსადმი მიძღვნილი გადაწყვეტილებების პირველივე მუხლში ეუთო აცხადებს, რომ, მიუხედავად საქართველოში არსებული საგანგაშო ვითარებისა, სამიტის მონაწილე სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ამ პრინციპების დაცვის საფუძველზე უნდა მოხდეს საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარება. დეკლარაციაში ასევე ხაზგასმულია, რომ კონფლიქტის მოგვარებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მრავალეთნიკური მოსახლეობის ინტერესები კონფლიქტურ ადგილებში (იქვე: 7). ეუთომ

დაგმო 1994 წლის 26 ნოემბერს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მიერ მიღებული კონსტიტუცია, რომელსაც ცალმხრივი აქტი უწოდა და რომელიც ძირს უთხრის როგორც გაეროს, ასევე ეუთოს ძალისხმევას საქართველოში კონფლიქტურ მხარეებს შორის მოლაპარაკებების გზით მშვიდობიანი პოლიტიკური მოგვარების ხელშეწყობისთვის (იქვე: 7, მუხლი 2).

საგულისხმოა, რომ, ამ კონსტიტუციის მიხედვით, წამყვანი, აღმასრულებელი პრეზიდენტი და მასზე დაქვემდებარებული საკანონმდებლო ოპერაციები ტანდემში მართავდნენ ქვეყანას (ჰიუიტი 2012), რაც არღვევს სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ძალაუფლების გადანაწილებისა და დემოკრატიული განვითარების პრინციპებს.

ბუდაპეშტის სამიტის დეკლარაციის მე-2 მუხლით, ეუთოს წევრმა ქვეყნებმა გამოხატეს ღრმა შეშფოთება საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, „ეთნიკური წმენდის“, ხალხის მასიური გამეფების გამო. დეკლარაცია ხაზგასმით ამბობს, რომ საცხოვრებელი ტერიტორიებიდან ძირითადად ქართველები იქნენ გამეფებული, ამ პროცესს თან ახლდა დიდი რაოდენობით უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა (იქვე).

ეუთო იმედს გამოთქვამდა, რომ გაერო-ს ეგიდით რუსეთის ფედერაციის, როგორც ფასილიტატორის, მიერ გატარებული იქნება ძალისხმევა და გააუმჯობესებენ არსებულ სიტუაციას აფხაზეთში, დაუშვებენ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნებას (იქვე). ეუთომ მოუწოდა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, მკაცრად დაეცვათ ჩამოყალიბებული პრინციპები და რეკომენდაციები, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებსა და მოლაპარაკებებში მიღწეული შეთანხმებები.

ეუთოს მხრიდან საქართველოში არსებული კონფლიქტების მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღება აისახა ბუდაპეშტის დეკლარაციის კიდევ ერთ მუხლში, რომლის მიხედვითაც, სამიტის მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა სასურველი იყოს და საჭირო დროს მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენციები ეუთოსა და გაეროს ეგიდით, ასევე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული სახელმწიფოების მონაწილეობით, რათა განიხილონ პროგრესი კონფლიქტების მოგვარებისა და განვითარების მიმართულებით, ასევე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების შესახებ საქართველოში (BUDAPEST SUMMIT DECLARATION 1994; 7, მუხლი 2).

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ეუთოს 1996 წლის 2-3 დეკემბრის ლისაბონის სამიტი და მისი დეკლარაცია, რომელმაც აფხაზეთში ეთნოწმენდის ფაქტი აღიარა. სამიტის დეკლარაციის მე-20 მუხლში ვკითხულობთ: „ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს უდიდეს მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ ვგმობთ აფხაზეთში „ეთნიკურ წმენდას“, რასაც მოჰყვა მასობრივი განადგურება და ძირითადად ქართველი მოსახლეობის იძულებით განდევნა. სეპარატისტთა დესტრუქციული ქმედებები, მათ შორის ლტოლვილთა

და დევნილთა დაბრუნების შეფერხება და არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ძირს უთხრის პოზიტიურ ძალისხმევას ამ კონფლიქტების პოლიტიკური დარეგულირების ხელშეწყობის მიზნით. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ, განსაკუთრებით გაერომ და ეუთომ რუსეთის ფედერაციის, როგორც ფასილიტატორის, მონაწილეობით უნდა გააგრძელონ და აქტიური წვლილი შეიტანონ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ძიებაში“ (LISBON DOCUMENT 1996: 8, მუხლი 20).

ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებზე დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე საუბრის დროს, ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები იმთავითვე გალის ქართული მოსახლეობის დაბრუნებაზე საუბრობენ და ეს რამდენიმე გადაწყვეტილებაშიც აისახა. სამწუხაროდ, ოჩამჩირის, სოხუმის, გულრიფშის, ტყვარჩელის, გუდაუთისა და გაგრის ქართველი მოსახლეობის დაბრუნების თემა დღემდე არ განიხილება. აფხაზეთის დევნილი მოსახლეობისადმი საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთმა დამოკიდებულებამ უცხოელ ექსპერტებსა და სპეციალისტებში ერთგვარი სტერეოტიპი გააჩინა – თითქოს აფხაზეთიდან მხოლოდ გალის მოსახლეობა იყოს გამოდევნილი.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს შეეხო ეუთოს მომდევნო სამიტი, რომელიც 1999 წლის 17-18 ნოემბერს გაიმართა სტამბოლში. სამიტის მიერ მიღებული დოკუმენტი აღიარებს აფხაზეთში ჩატარებულ ეთნოწმენდის ფაქტს (ISTANBUL SUMMIT DECLARATION 1999: 46-55.).

სამიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროპის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, რითაც ხაზი გაუსვა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობას, განსაკუთრებით ამ რეგიონების პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის გზით. წინა სამიტებთან შედარებით სტამბოლის სამიტის დეკლარაციამ მკაცრად დასვა საკითხი დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სწრაფი, უსაფრთხო და უპირობო დაბრუნების შესახებ, რათა ხელი შეუწყოს ამ კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. გარდა ამისა, ეუთო მიესალმა სამიტის შეხვედრაზე მიღწეულ პროგრესს ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში - საქართველოში რუსული სამხედრო ტექნიკის შემცირებაზე (ISTANBUL SUMMIT DECLARATION 1999, პარაგრაფი 15).

ეუთოს სტამბოლის დეკლარაციამ დაადასტურა გაეროს წამყვანი როლი და გააგრძელა მისი მხარდაჭერა აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოგვარებაში. სამიტის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არსებული ჩიხიდან გამოსავალი იყო მხოლოდ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა და მზადყოფნა გამოთქვეს ამ კუთხით ეუთოს ჩართულობის შესახებ. სამიტმა დაადასტურა ლისაბონის სამიტის დეკლარაციის მიერ აღიარებული „ეთნიკური წმენდის“ ფაქტი, რომელსაც მოჰყვა მოსახლეობის მასობრივი განადგურება და იძულებით განდევნა



აფხაზეთიდან (საქართველო). ამას დაემატა ძალადობრივი აქტები 1998 წლის მაისში გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობის მიმართ. სტამბოლის დეკლარაციამ მკაცრად დაგმო აღნიშნული ფაქტები და, აფხაზეთში არსებული არასტაბილური სიტუაციის გათვალისწინებით, გაეროს ურჩია, რომ 2000 წლის დასაწყისში გალის რაიონში გაეგზავნათ გაეროსა და ეუთოს ფაქტების დამდგენი კომისია, რომელიც შეაფასებდა ვითარებას, ხომ არ გაგრძელდა „ეთნიკური წმენდის“ შემთხვევები. დეკლარაციაში გამოთქმული იყო იმედი, რომ ასეთი მისია გაზრდიდა საერთაშორისო მხარდაჭერის საფუძველს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებისთვის და ხელს შეუწყობდა რეგიონის ზოგად სტაბილურობას (იქვე, პარაგრაფი 17).

სამწუხაროდ, აღნიშნული კომისია არ შექმნილა, მაგრამ, ლევან ალექსიძის შეფასებით, ეუთოს დეკლარაციაში აფხაზეთში არსებული კონფლიქტისთვის ასეთი დიდი ყურადღების დათმობას და „ეთნიკური წმენდის“, სეპარატისტთა საშინელ დანაშაულთა კიდევ ერთხელ დაგმობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მობილიზაციისათვის (ალექსიძე 2008: 35).

1998 წლის ნოემბერსა და 1999 წლის ოქტომბერში გალის მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი აქტები და „ეთნიკური წმენდის“ ახალი ფაქტები დადასტურდა. სწორედ იმ პირობებში, როცა აფხაზეთიდან გამოძევებული იყო მისი ძირძველი მოსახლეობის 47 პროცენტი. 1999 წლის 3 ოქტომბერს აფხაზეთში ჩატარდა უკანონო რეფერენდუმი, რომლის საფუძველზე აფხაზეთის ე.წ. სახალხო კრებამ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც არ იქნა აღიარებული არც ეუთოსა და არც გაეროს მიერ. სტამბოლის დეკლარაციამ მტკიცედ დაგმო და არალეგიტიმურად გამოაცხადა აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი აფხაზეთში (საქართველოში), ხოლო გაეროს მოუწოდა, მოამზადოს დოკუმენტის პროექტი, რომელიც კონსტიტუციურ უფლებამოსილებას გაანაწილებდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის (საქართველო) ხელისუფლებას შორის. სტამბოლის შეხვედრის შედეგებიდან საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო ეუთოს მხრიდან მიღებული „მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი“ „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის გზით“ (ISTANBUL SUMMIT DECLARATION 1999).

ეუთო თავის გადაწყვეტილებებში უფრო შორს წავიდა, როდესაც 2001 წლის 23 თებერვალს ვენაში გამართულმა საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის (საქართველო) თაობაზე, კონკრეტულად, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის დაარსების შესახებ. კომიტეტის დაარსების აუცილებლობა გამოწვეული იყო კონფლიქტის ზონაში ვითარების დამაბვით, არსებობდა კონფლიქტის განახლების რისკი, „იმ შემთხვევაში, თუ მრავალრიცხოვანი ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები არ მიიღებენ თავიანთი სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესაძლებლობას“

(აფხაზეთის ლაბირინთი 2000: 139-140). ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ კომიტეტს მიენიჭა შემდეგი ვალდებულებები და უფლებამოსილებები: ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანი და სამართლიანი მოწესრიგებისათვის პოლიტიკური შესაძლებლობების გაფართოებას; ეუთოს პრინციპებისა და ვალდებულებების საფუძველზე, მხარი დაუჭიროს საქართველოში სტაბილურობასა და სახელმწიფოებრივ ერთიანობას, რეგიონში ეუთოს აქტიურ ყოფნას, შესთავაზოს რეკომენდაციები კონფლიქტის გადაჭრის პროცესში მონაწილე მხარეებს ამგვარი კონფლიქტების მომავალში თავიდან ასაცილებლად (იქვე).

ეუთოს ვენის ასამბლეამ გადაწყვიტა გამოეკვლია მიზეზები, რომელთა გამოც ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ეუთოსა და მისი საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული მრავალრიცხოვანი რეზოლუციები არ შესრულდა. ასამბლეამ დაავალდებულა სპეციალური კომიტეტი მოხსენებები რეგულარულად წარედგინა თავისი საქმიანობის და რეგიონში სიტუაციის შესახებ, შეემუშავებინა შესაბამისი რეკომენდაციები და გაეგზავნა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში. სამწუხაროდ, აფხაზურმა მხარემ არ ისურვა ეუთოს მიერ შექმნილ, სრულიად დამოუკიდებელ კომიტეტთან თანამშრომლობა, რაც აისახა კიდევ 2005 წლის ვაშინგტონის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მეთოთხმეტე ყოველწლიური სესიის რეზოლუციაში, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ. მანამდე, 2001 წლის 3-4 დეკემბერს, ბუქარესტში გაიმართა ეუთოს მინისტრთა საბჭოს მეცხრე შეხვედრა, რომელმაც საქართველოსთან დაკავშირებით გააკეთა სპეციალური განცხადება და მიიღო №2 გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მონაწილე ქვეყნები აცხადებდნენ მტკიცე ერთგულებას საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისადმი და კვლავ დაადასტურეს ეუთოს უმაღლესი დონის და მინისტრთა საბჭოს შეხვედრებზე საქართველოსთან დაკავშირებით ადრე მიღებული დოკუმენტები.

მინისტრიალი მიესალმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ნაბიჯების გადადგმას და რუსეთის ძალისხმევას, რეგიონში მსუბუქი და ცეცხლსასროლი იარაღის შემცირების საქმეში, მაგრამ დაგმო აფხაზეთში 2001 წლის 11 ოქტომბერს გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ვერტმფრენის ჩამოგდების ფაქტი. საბჭომ დაბეჯითებით მოუწოდა, კეთილსინდისიერად დაეცვათ ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით ყველა შეთანხმება, მათ შორის 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმება და აუცილებლად მიიჩნია კონსტრუქციული დიალოგის განახლება, რომელიც მიმართული იქნებოდა სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მისაღწევად, მათ შორის აფხაზეთის, როგორც სუვერენული წარმონაქმნის, პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა საქართველოს შემადგენლობაში. გარდა ამისა, დოკუმენტში გამოთქმულია რწმენა, რომ უნდა შეიქმნას პირობები დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის თავიანთ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მასიური განადგურებისა და ძალადობრივი განდევნის შედეგად. დეკლარაციაში აღნიშნულია სტამბოლში მიღებული ვალდებულების შესრულებაში

მიღწეული პროგრესი: რუსეთის ბაზის დახურვა ვაზიანში და გუდაუთი-დან რუსეთის ბაზის სამხედრო ტექნიკის გატანა. ჩვენ ველოდებით სტამბოლში მიღებული ყველა ვალდებულებების შესრულებას – აღნიშნულია დოკუმენტში, რაც ითვალისწინებდა საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების განახლებას გუდაუთაში სამხედრო ბაზის დახურვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მინისტრიალის მონაწილე ქვეყნებმა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ობიექტების გატანის მხარდასაჭერად ნებაყოფლობითი შენატანების ფონდი შექმნეს (Bucharest Ministerial Declaration 2001: 20-21), რაც დააჩქარებდა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას.

ეუთოს ინსტიტუციური განვითარების ამ ეტაპზე მინისტრიალის ასეთ მხარდაჭერას შეიძლება უპრეცედენტო ვულწოდოთ, რადგან ეს იყო ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების განმტკიცებისთვის გადადგმული გადაწყვეტი ნაბიჯები, მორიგი აგრესიის შემაკავებელი ერთგვარი ინსტრუმენტი, რაც რუსეთის ხელისუფლებას მიანიშნებდა, რომ საქართველო მის პირისპირ მარტო არ იყო.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების დღის წესრიგიდან საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხები არასოდეს გამქრალა, რასაც ადასტურებს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიების განცხადებები, გადაწყვეტილებები და რეზოლუციები. მიუხედავად ეუთოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთი ძალისხმევისა, რუსეთმა კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან. 2005 წლის 12 იანვარს აფხაზეთში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და დეფაქტო პრეზიდენტად განმეორებით აირჩიეს სერგეი ბაგაფში, რომელიც ფაქტობრივად გალის მოსახლეობის ხმების საფუძველზე გახდა პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის დროს, 2005-2011 წლებში, თითქოს უნდა შემსუბუქებულიყო გალის მოსახლეობის მდგომარეობა და ცხოვრების პირობები, მაგრამ რეალურად პირიქით მოხდა.

2005 წლის 1-5 ივლისს ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, გამართული ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მეთოთხმეტე ყოველწლიური სესიის რეზოლუციის თანახმად, აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიმართულებით პროგრესი არ შეინიშნება, რაც მიუღებელია. ეუთო შეახსენებდა რუსეთის ფედერაციას ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლის მიხედვით ხელი უნდა შეუწყოს და უზრუნველყოს დიალოგის გამართვა კონფლიქტის მხარეებს შორის. იმავე რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ კონფლიქტის დარეგულირებაში, ბოლო ოთხ წელიწადში, ერთი ნაბიჯით წინ წაწევაც კი ვერ მოხერხდა, ასევე, პროგრესი არ შეინიშნება სპეციალური კომიტეტის მუშაობაში, რამდენადაც აფხაზურ მხარეს არ აღმოაჩნდა პოლიტიკური მზადყოფნა, შეხვედროდა ეუთოს აფხაზეთის სპეციალური კომიტეტის წარმომადგენლებს, რაც ხელს უშლიდა კომიტეტს განეხორციელებინა დიალოგის მოწყობის მანდატი (Washington Declaration DC 2005: 20-21).

2005 წლის 6 დეკემბერს ლუბლიანაში გაიმართულ ეუთოს მინისტრიალის საბჭოს სხდომაზე მორიგი განცხადება გაკეთდა საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ. მინისტრიალმა განცხადებით მოუწოდა მხარეებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში (საქართველო) სიტუაციის სტაბილიზაციის შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელებისაკენ, კერძოდ, კონფლიქტის ზონის დროული და სრული დემილიტარიზაციისკენ (Ljubljana Statement 2005: 1-2). საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ეუთო იყო პირველი, რომლის მინისტრიალმა მხარი დაუჭირა გაეროს სამოქალაქო პოლიციის კონტინგენტის განლაგებას გალის რაიონში და მოუწოდა აფხაზურ მხარეს დათანხმებოდა მათ სწრაფ განლაგებას აფხაზეთში (იქვე). სამწუხაროდ, ეუთოს ეს ძალისხმევაც მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური მხარისთვის, რომელიც, ბუნებრივია, რუსეთის მხარდაჭერით სარგებლობდა.

აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი სპეციალურად იქნა განხილული 2008 წლის 29 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით ასტანაში (ყაზახეთი) გამართულ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მეჩვიდმეტე ყოველწლიურ სესიაზე. ასტანის დეკლარაციის იმ ნაწილში, რომელიც ეხება საქართველოში უსაფრთხოების გარემოს შესახებ დადგენილებას, გამოთქმულია ღრმა შეშფოთება საქართველოს კონფლიქტის ზონებში მზარდი არასტაბილური მდგომარეობის შესახებ. ეუთო პირდაპირ მიუთითებდა, რომ ეს გამოწვეული იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების სეპარატისტულ რეჟიმებთან რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ ოფიციალური კავშირების განმტკიცების და ცალმხრივი გადაწყვეტილებით აფხაზეთის რეგიონში დამატებითი სამხედრო პერსონალის გადაყვანის გამო (Astana Declaration 2008: 16, 2).

ეუთოს ასტანის დეკლარაციის რეზოლუცია პირდაპირ მიუთითებს იმ დარღვევებზე, რომელიც რუსეთმა განახორციელა აფხაზეთში. დეკლარაციაში ეუთო აღიარებს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ რუსული პასპორტების გაცემა საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მაცხოვრებლებისთვის და რუსეთის მთავრობის მიერ ამ ადამიანებისთვის სამხედრო ძალით საკუთარი უფლებების დაცვის წართმევა წარმოადგენდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევას (იქვე: 16, 3). ეუთოს დეკლარაციებიდან პირველად სწორედ ასტანის დეკლარაციაში არის პირდაპირ მითითებული, რომ რუსეთის მხრიდან ასეთ მოქმედებებს, უნებლიედ, შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაცია გამოეწვიოს რეგიონში. და ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოს მთავრობამ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ფართო ავტონომია შესთავაზა სუვერენული ქართული სახელმწიფოს ფარგლებში (იქვე: 16, 6).

ეს იყო საგანგაშო სიგნალი მოახლოებული აგვისტოს ხუთდღიანი ომის წინ. მსგავსი სიგნალები ეუთოს გარდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც მოდიოდა. ვფიქრობთ, მათ შორის ეუთო ყველაზე თანმიმდევრულ და პროგნოზირებად შეტყობინებებს უზღავნიდა საერთაშორისო თანამეგობრობას და საქართველოს ხელისუფლებას. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ ასტანის დეკლარაციით პირდაპირ მოუწოდა

რუსეთის ფედერაციის მთავრობას, თავი შეეკავებინა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლებასთან ისეთი კონტაქტებისა და კავშირებისაგან, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა საქართველოს სუვერენიტეტს (იქვე: 16, 7). უფრო მეტიც, ეუთოს მიაჩნდა, რომ შექმნილ ვითარებაში არსებობდა შესაძლებლობა რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის განახლებას საერთოევროპული მასშტაბით უსაფრთხოების გაუარესება მოჰყოლოდა (იქვე: 16, 5). აქედან გამომდინარე, ეუთო დაბეჯითებით მოუწოდებდა რუსეთის ფედერაციას, დამორჩილებოდა ეუთოს სტანდარტებს და საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში კონფლიქტების მოსაგვარებლად ძალის გამოყენების შესახებ (იქვე: 16, 8).

ფაქტობრივად, ასტანის დეკლარაცია იყო გაფრთხილება, საიდანაც კარგად ჩანს, მაშინდელი საერთაშორისო აქტორები რამდენად სწორად ხედავდნენ და გრძნობდნენ მოახლოებული ომის პერსპექტივას. თითქოს ეს ბუნებრივად მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო მას შემდეგ, რაც 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დასავლეთის სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა ის აღიარა. ეს სიგნალი იყო რუსეთისთვის, რათა საქართველოს წინააღმდეგ XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში დაწყებული მოქმედებები ახალ ეტაპზე გადაეყვანა. 2008 წლის 6 მარტს რუსეთი გამოვიდა დსთ-ს (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის) 1996 წლის 19 იანვრის შეთანხმებიდან „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონფლიქტის დარეგულირების შესახებ“ (Решение Совета... 1996), რომელიც კრძალავდა ამ ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან. შემდეგი ნაბიჯები რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით გადადგა. 21 მარტს რუსეთის დუმამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მთავრობას მოუწოდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებისა და იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვისკენ (ბატაშვილი 2018: 5-6). 2008 წლის 16 აპრილიდან, რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებით, აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებასთან დაიწყო მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა. ვითარების დაძაბვას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ 2008 წლის 20 აპრილს რუსეთის საჰაერო ძალებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს უპილოტო ქართული საფრენი აპარატი. ბუნებრივია, ეუთო და საერთაშორისო ორგანიზაციები ხვდებოდნენ, რუსეთის მომდევნო ნაბიჯები კონფლიქტის ესკალაციისკენ იქნებოდა მიმართული. თანაც რუსი დიპლომატები არც მალავდნენ კავშირს საქართველოში თავიანთ ქმედებებსა და კოსოვოს დამოუკიდებლობას შორის.

მიუხედავად ასეთი წინაპირობებისა, მაშინდელმა საერთაშორისო თანამეგობრობამ და საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლეს რუსეთის აგრესიის თავიდან აცილება და აგვისტოს 5-დღიანი ომის შედეგები დღემდე საქართველოს გამოწვევად რჩება. შეუსრულებელია ევროკავშირის შუამავლობის საფუძველზე საფრანგეთის პრეზიდენტის – ნიკოლა სარკოზის მიერ მომზადებული გეგმა, რომელიც ექვს პრინციპს ეფუძნება. აგვისტოს ომის შემდეგ ეუთო აქტიურად ჩაერთო

ამ გეგმის განხორციელების პროცესში. 2008 წლის 19 აგვისტოს ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს №861 გადაწყვეტილებით, საქართველოში ასამდე გაიზარდა სამხედრო მონიტორინგის ოფიცერთა რაოდენობა სულ მცირე ექვსი კალენდარული თვის განმავლობაში (DECISION № 861: დანართი1).

2010 წლის 6-10 ივლისის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ოსლოს რეზოლუციით, ეუთომ დაგმო მეზობელი და მოსაზღვრე სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების სამშვიდობო ზომების გამოყენების ნაცვლად ეროვნული სამხედრო ძალების გამოყენების ფაქტები. მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, დაიცვან გაერთიანებული ერების ქარტიისა და ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო აქტით გათვალისწინებული ნორმები და პრინციპები, გადახედონ ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც უკავშირდება ძალის გამოყენებას, მათ შორის: სამხედრო დოქტრინებს, თავდაცვის შესახებ კანონებს და ა.შ. მოახდინონ გარკვეული ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა, რათა თავიდან აიცილონ უკანონო ძალის გამოყენება მეზობელი და მოსაზღვრე სახელმწიფოების ტერიტორიებზე (Oslo Declaration 2010: 35-36).

როგორც ვხედავთ, უაღრესად მნიშვნელოვანია ეუთოს ძალისხმევა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ეუთო ინსტიტუციურად სწორედ აფხაზეთის კონფლიქტის პერიოდში იწყებდა ჩამოყალიბებას, ამ საერთაშორისო გაერთიანებამ მოკლე ხანში აულო ალლო შექმნილ საერთაშორისო ვითარებას და ჩვენს ქვეყანას მრავალი სერიოზული გამოწვევის დაძლევაში დაეხმარა. მათ შორის უმთავრესია ჩვენი ქვეყნისთვის უკიდურესად დამაბულ და რთულ სიტუაციებში ქართული სახელმწიფოს ერთიანობის მხარდაჭერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენის საკითხი. ეუთოს რეზოლუციები გახდა ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი ჩვენს ქვეყანაში ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნის გზაზე, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა დაბლოკა ეუთოს მისია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონში. 2008 წლის 8 სექტემბრის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ითვალისწინებდა ეუთოს დამკვირვებლების საქმიანობის გაგრძელებას სამხრეთ ოსეთში, როგორც ეს აგვისტოს ომამდე იყო, მათ მანდატში შემდგომი კორექტივების შეტანის შესაძლებლობით. იმავე წლის დეკემბერში ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანა ფინეთი შეეცადა წამოეყენებინა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მანდატის გაგრძელების წინადადება, თუმცა რუსეთმა ეს წინადადება დაბლოკა. „საქართველოში ეუთოს დარჩენის შესახებ კონსენსუსი მიღწეული ჯერ არ არის. ძალიან ვწუხვარ ამ სიტუაციის გამო,“ – განაცხადა ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე სტუმბმა 22 დეკემბერს, – ფინეთი ბევრს ეცადა სიტუაციის მოგვარებას. ეუთოს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს რეგიონში. მიუხედავად დღეს არსებული სიტუაციისა, ვიმედოვნებ, რომ მოლაპარაკებები საქართველოში ეუთოს შემდგომ საქმიანობაზე მომავალ წელს გაგრძელდება“. მოსკოვის სურვილი იყო, რომ ახალ მანდატში ასახულიყო ის „ახალი რეალობები“, რომლებიც რეგიონში აგვისტოს ომის შემდეგ წარმოიშვა, კერძოდ, რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების

დამოუკიდებლობის აღიარება. თუმცა თბილისის განცხადებით ეს „წითელი ხაზების“ გადაკვეთის ტოლფასი იქნებოდა. საქართველოს მაშინდელმა ელჩმა ეუთოში ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, რომ რუსეთმა მისიის მანდატის სამთვიან ტექნიკურ გაგრძელებასაც კი არ დაუჭირა მხარი. ამის შემდეგ მისიამ განაგრძო საქმიანობა 20 დამკვირვებლით, რომელთაც 30 ივნისამდე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე სიტუაციის მონიტორინგის მანდატი გააჩნდათ.

2009 წლის 13 მაისს ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანამ საბერძნეთმა წამოაყენა წინადადება ორგანიზაციის დამკვირვებლების საქართველოში დატოვების თაობაზე, რომელთაც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე თავისუფალი გადაადგილების უფლება ექნებოდათ. სამწუხაროდ, რუსეთმა ეს წინადადებაც უარყო. რუსეთის მიერ შესწორებულ ვერსიაში, სეპარატისტულ რეგიონში დამკვირვებლების გადაადგილებაზე დე ფაქტო ხელისუფლების თანხმობა იყო საჭირო. თანაც რუსეთის ელჩმა ეუთოში ანვარ აზიმოვი „იტარ-ტასს“ განუცხადა, რომ საბერძნეთის ინიციატივა არ ითვალისწინებს ახალ რეალობებს, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. ბუნებრივია, მას მხედველობაში ჰქონდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. საგულისხმოა, რომ ეუთოს წევრი სახელმწიფოების უმეტესობა საბერძნეთის ინიციატივის მომხრე იყო. ყველა წევრმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა საბერძნეთის ინიციატივას, გარდა ყაზახეთისა და ბელარუსისა, რომლებმაც თავი შეიკავეს, თუმცა წინააღმდეგობაც არ გამოუხატავთ. მიუხედავად, ეუთოს თავმჯდომარე ქვეყნის – საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დორა ბაკოიანისის განცხადებისა, რომ მისი ქვეყანა მზადაა იმუშაოს საქართველოში, რათა უზრუნველყოს ეუთოს „მნიშვნელოვანი“ როლის შესრულება, 2009 წლის 30 ივნისს ეუთოს სადამკვირვებლო მისია კონფლიქტის რეგიონში დაიხურა.

2009 წლის შემდეგ ეუთოს ვერც ერთმა თავმჯდომარე ქვეყანამ ვერ შეძლო ეუთოს სრულფასოვანი მისიის დაბრუნება საქართველოში. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საბერძნეთი, თუმცა რუსეთი არც მის მიერ შეთავაზებული სტატუსნეიტრალური მისიის ამოქმედების იდეას დათანხმდა. საქართველოში ეუთოს საქმიანობის დაბლოკვის შესაძლებლობა რუსეთს ეძლევა ეუთოში დამკვიდრებულმა კონსენსუსის პრინციპით, რომლის თანახმად, ამა თუ იმ საკითხის ჩასაგდებად 57 წევრი სახელმწიფოდან ერთის უარიც საკმარისია.

მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ეუთოს არ შეუწყვეტია საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მხარდაჭერა. მაგალითად, 2020 წლის 3 სექტემბერს, ეუთოს მუდმივი საბჭოს შეხვედაზე, საქართველოს ინიციატივით, 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის წამოწყებისა და საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციის შესახებ იმსჯელეს. ეუთოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ქეთევან ციხელაშვილმა დელეგაციების წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ აგვისტოს ომიდან 12 წლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია ისევ არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის

შუამავლობით დადებულ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, უფრო მეტიც, აძლიერებს ოკუპირებული რეგიონების მილიტარიზაციას, რათა მოახდინოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ანექსია. რუსეთმა COVID-19-ის პანდემიის ფონზეც კი არ შეწყვიტა პროვოკაციული ქმედებები და აქტიურად გამოიყენა ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტები საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს ამ განცხადებების პასუხად, 2020 წლის 3-4 დეკემბერს ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გამართულ ეუთოს 27-ე მინისტრიალზე საქართველოს მეგობართა ჯგუფმა – ბულგარეთი, კანადა, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, შვედეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, აშშ – საქართველოს მხარდაჭერი განცხადება გააკეთეს, რომლითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული მხარდაჭერა და მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას, დაუყოვნებლივ შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი მკაფიო ვალდებულება და გაიყვანოს თავისი ძალები კონფლიქტის დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე (Tirana Ministerial statement 2020).

2020 წლის 5 დეკემბერს, სლოვაკეთის (ივან კორჩოკი), ალბანეთის (ედი რამა), შვედეთის (ენ ლინდე), პოლონეთისა (ზბიგნევ რაუმმა) და ჩრდილოეთ მაკედონიის (ნიკოლა დიმიტროვი) საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც ეუთოს წინა, ამჟამინდელ და მომავალ თავმჯდომარეებს წარმოადგენდნენ, 27-ე მინისტრიალის შემდეგ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც შეშფოთება გამოხატეს საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესების გამო. „ხუთმა საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“ (Statement of the five ministers of the OSCE 2020).

ცხადია, შიდა ქართლის მთიანეთში ეუთოს მისიის მონიტორინგის გაგრძელება გაზრდიდა საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებულობას საქართველოს ორივე ოკუპირებულ რეგიონში არსებულ ვითარებაზე, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენის, ქართული ენის სწავლებისა და სხვა ფუნდამენტალურ უფლებათა დარღვევების შესახებ. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შეძლებდა რუსეთის მიერ განხორციელებული მცოცავი ოკუპაციის პრევენციას, შესაბამისად, კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს ექნებოდათ სიცოცხლის უსაფრთხოების მეტი გარანტიები და დაცულობა. მიუხედავად ამისა, შექმნილ ვითარებაში ეუთოს რეზოლუციები და განცხადებები მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერაა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესაკავებლად. 2018 წელს საქართველოს პარლამენტის წევრმა, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა გიორგი წერეთელმა ავსტრიის დედაქალაქში ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოში სიტყვით



გამოსვლისას განაცხადა: „როგორც ქართველს, შემიძლია დავადასტურო ეუთოს მისიის როლის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩემს ქვეყანაში დაიხურა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მოუგვარებელი კონფლიქტის გამოვითარება საგრძნობლად დაძაბული იყო. ეუთოს მისიის აღდგენას ჩემს ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მას შეუძლია ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს როგორც დაზარალებულ მოსახლეობას, ასევე მთლიანად ქვეყანას“ (წერეთელი 2018).

ბუნებრივია, ეუთოს (და არა მარტო ეუთოს) რეზოლუციების, გადაწყვეტილებებისა და განცხადებების შესრულება დროში უსასრულოდ გაჭიანურდა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ რეზოლუციებში ღიად ჩანს ეუთოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. რომ არა ეს ბერკეტები, საქართველოს სახელმწიფო დღეს ვერ იარსებებდა, ან გაცილებით მეტი პრობლემები ექნებოდა. ამ სამართლებრივი მექანიზმებით საქართველო მუდმივად ახსენებს საერთაშორისო თანამეგობრობას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონების მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ – დაუბრუნდნენ მშობლიურ მხარეს, რომ საქართველოს სახელმწიფო არასოდეს იტყვის უარს საკუთარ მიწა-წყალზე, სადაც სამი ათასი წლის წინ დაიწყო ქართველი ერის ეთნოგენეზი, სადაც ჩამოყალიბდა ქართული კულტურისა და ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ალექსიძე 2008: ალექსიძე ლ., აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2008. <https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Int-Law-Journ/Int-Law-Jour-1-2008.pdf>
- აფხაზეთის ლაბირინთი 2000: აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წწ. ნაწილი II. 1995-1999 წწ. ავტორები და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თბილისი, 2000.
- ბატაშვილი 2018: ბატაშვილი დავით, 7 აგვისტო: როგორ მოამზადა და დაიწყო რუსეთმა 2008 წლის ომი საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2018. <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/103-expert-opinion-geo.pdf>
- ჰიუიტი 2012: ჰიუიტი ჯ., დემოკრატია აფხაზეთში: გამოსაცდელი წელიწადი, 2012 წლის 6 მაისი. For.ge. <https://for.-ge/view/11532/demokratia-afxazeTSi-gamosacdeli-weliwadi.html>
- Astana Declaration 2008: ASTANA DECLARATION OF THE OSCE

PARLIAMENTARY ASSEMBLY AND RESOLUTIONS ADOPTED AT THE SEVENTEENTH ANNUAL SESSION ASTANA, 29 JUNE to 3 JULY 2008. <https://www.oscepa.org/en/documents/all-documents/annual-sessions/2008-astana/declaration-7/256-2008-astana-declaration-eng/file>

**Budapest Summit Declaration 1994:** BUDAPEST SUMMIT DECLARATION, CSCE, BUDAPEST DOCUMENT 1994 TOWARDS A GENUINE PARTNERSHIP IN A NEW ERA <https://www.osce.org/files/f/documents/5/1/39554.pdf>

**Bucharest Ministerial Declaration 2001:** Ninth Meeting of the Ministerial Council 3 and 4 December 2001, <https://www.osce.org/files/f/documents/c/7/40515.pdf>

**Conciliation Resources 2009:** Conciliation Resources (CR) „შერიგების რესურსები“. გარიყულობიდან ჩართულობისაკენ. დევნილთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, საქართველოს გაკვეთილები. თბილისი, 2009.

**Decision No. 861:** INCREASING THE NUMBER OF MILITARY MONITORING OFFICERS IN THE OSCE MISSION TO GEORGIA, <https://www.osce.org/files/f/documents/6/c/33139.pdf> OSCE History: <https://www.oscepa.org/en/about-osce-pa/history>

**Oslo Declaration 2010:** OSLO DECLARATION OF THE OSCE PARLIAMENTARY ASSEMBLY AND RESOLUTIONS ADOPTED AT THE NINETEENTH ANNUAL SESSION OSLO, 6 to 10 JULY 2010, <https://www.oscepa.org/en/documents/annual-sessions/2010-oslo/declaration-5/267-oslo-declaration-english/file> History and background of the CSCE/OSCE: <https://www.jstor.org/stable/pdf/resrep-07044.6.pdf>

**Istanbul Summit Declaration 1999:** ISTANBUL DOCUMENT, ISTANBUL SUMMIT DECLARATION 1999. <https://www.osce.org/files/f/documents/6/5/39569.pdf>

**Statement of the five ministers of the OSCE, 2020:** OSCE Chairs Reiterate Support for Georgia's Sovereignty, Territorial Integrity, <https://civil.ge/archives/385870>

**Lisbon Document 1996:** Lisbon Summit Declaration (3 December 1996), პარაგრაფი 20, გვ. 4. [https://www.cvce.eu/en/obj/lisbon\\_summit\\_declaration\\_3\\_december\\_1996-en-968bae91-2288-432f-b3be-6916f927a73c.html](https://www.cvce.eu/en/obj/lisbon_summit_declaration_3_december_1996-en-968bae91-2288-432f-b3be-6916f927a73c.html)

**Ljubljana Statement 2005:** Ljubljana Ministerial Statement on Georgia <https://www.osce.org/files/f/documents/b/9/17355.pdf>

**Washington Declaration DC, 2005:** OF THE OSCE PARLIAMENTARY ASSEMBLY AND RESOLUTIONS ADOPTED AT THE FOURTEENTH ANNUAL SESSION WASHINGTON, DC, 1 to 5 JULY 2005, gv. 20-21 file:///C:/Users/admin/Downloads/9C9297D96AEC2CC5492570370021DDE2-osce-geo-5jul.pdf

**Tirana Ministerial statement 2020:** Georgia in OSCE Ministerial Council Statements, <https://civil.ge/archives/385473>

**Решение Совета 1996:** GEORGIA/ABKHAZIA: VIOLATIONS OF THE LAWS OF WAR AND RUSSIA'S ROLE IN THE CONFLICT <https://www.hrw.org/reports/pdfs/g/georgia/georgia953.pdf>

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6969>

**აფხაზეთის სამთავრო სახლის წერილობითი  
მემკვიდრეობა XIX საუკუნეში  
(საბუთები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ეპიტაფიები)**

**The Written Legacy of the Abkhazian Princely House  
in the 19th Century: A Study of Documents and  
Epistolary Heritage**

**ლია ახალაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Lia Akhaladze**

Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The exploration and reevaluation of the written legacy of the princely house of Abkhazia in the 19th century hold considerable importance within the Georgian-Abkhazian scientific historiographical discourse. During this era, the primary language of Abkhazian culture and education was Georgian, a fact substantiated by historical documents and artifacts. Of particular interest are the official documents, epistolary heritage, and epigraphic monuments associated with the Sharvashidze family, representatives of the Abkhaz princely house. These three groups of historical sources, which encompass official documents, family correspondence, political letters, and various written materials, are predominantly written in Georgian.

This paper focuses on the study and analysis of official historical documents attributed to Kelesh-Bey Sharvashidze, Giorgi (Safar-Bey) Sharvashidze, and Mikheil Sharvashidze. The examination emphasizes the language of the documents, writing styles, textual editing practices, signatures, and other relevant aspects. Notably, these documents adhere to the diplomatic norms of medieval Georgia, employing various diplomatic terms developed in the Georgian kingdoms of the late Middle Ages. They also feature specific appellations characteristic of the Georgian literary language, traditional forms of prayer, and other linguistic elements. It is evident that these documents were not authored by individuals or groups with an „other“ identity; instead, the Georgian language serves as the language of their inner world and their sense of self, evident in every sentence.

The epistolary heritage, preserved and published in the Mikheil Sharvashidze Foundation at the National Archives of Georgia, can be categorized into three groups: 1) Georgian-language letters with Russian translations provided by official authorities, 2) Russian-language letters sent to the author in Georgian and subsequently translated from Georgian to Russian (though the originals are not extant), and 3) letters composed by the author in Russian and sent to the addressees. Notably, the third group comprises the fewest number of letters.

The third group of epigraphic material within the written heritage of the Sharvashidze feudal house encompasses construction and memorial inscriptions, primarily in the form of epitaphs. Grave decoration and the carving of epitaphs are integral aspects of the culture of numerous countries, directly linked to societal traditions, attitudes towards the deceased, and death in general. As a manifestation of philosophical aesthetics concerning life and death, epitaphs hold distinct value as artifacts representing the mentality and cultural identity of individuals within their traditional context. The language, script, content, and attitudes toward death reflected in tombstone epitaphs provide clear indications of diverse cultures and identities. The epitaphs of the last prince of Abkhazia, his wife, and Abkhaz dignitaries serve as significant guardians of cultural identity within our symbolism-laden world.

The examined material confirms that the language of the historical documents, letters, and inscriptions, as well as how they are composed and the traditions observed in writing epitaphs, is unequivocally Georgian. For the authors of these texts, Georgian serves not only as a language of culture but also as the language of their inner world, allowing them to convey their thoughts and feelings metaphorically. These materials unintentionally manifest collective historical memory and cultural identity, solidifying the Abkhaz princely house's written monuments as a treasure trove of inherited collective knowledge preserved in the Georgian language, employing Georgian script and diverse traditional methods of transmission and embellishment.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის წერილობითი მემკვიდრეობა XIX საუკუნეში, შარვაშიძეების ეპისტოლარული მემკვიდრეობა, აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები.

Keywords: Written heritage of Abkhazia in the 19th century, Epistolary heritage of the Sharvashidzes, Epigraphic monuments of Abkhazia.

XIX საუკუნის აფხაზეთის სამთავრო სახლის წერილობითი მემკვიდრეობის შესწავლა და აქტუალიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართულ-აფხაზურ სამეცნიერო ისტორიოგრაფიულ დისკურსში. ამ ეპოქის აფხაზეთის კულტურისა და განათლების ძირითადი ენა ქართულია, რასაც ისტორიული დოკუმენტები და არტეფაქტები ადასტურებენ. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ აფხაზეთის სამთავრო

სახლის – შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ოფიციალური საბუთები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა და ეპიგრაფიკული ძეგლები. სამივე ჯგუფის საისტორიო წყარო, რომელშიც ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად შედის საოჯახო მიმოწერა, პოლიტიკური ხასიათის წერილები და სხვა სახის წერილობითი მასალა, მცირე გამოწაკისის გარდა, ქართულ ენაზეა დაწერილი.

მთავართა მიერ გაცემული ისტორიული საბუთებიდან ყურადღებას იქცევს ქელეშ-ბეი შარვაშიძის (XVIII ს. 80-იანი წლები – 1808 წწ.) 1806 წლის 20 მაისით დათარიღებული ორი ქართულენოვანი დოკუმენტი, რომლებიც რამდენიმე საინტერესო ცნობას გვაწვდიან. პირველი დოკუმენტი მიმართულია სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის ქვრივის – ნინო ბაგრატიონ-დადიანისადმი: „ესე მტკიცე ხელის-წერილი მოგართვი თქვენ, ბატონს, საქართველოს მეფის ასულს, დედოფალს ნინოს და თქვენს ძეს დადიანს ლევანს, მე შარვაშიძე ქელეშ აჰმად-ბეგმან, – ასე რომ ჩვენსა და თქვენს შუა ცუდის კაცის ენით გულ-ძვირობა მოხდა და შეგულძვირებული ვიყავით და ისევ გარიგება ვინებეთ, ღენერალ-მაიორის რიქხოფისა და უფლის პოდპოლკოვნიკის ტარასოვის შუამავლობით გავრიგდით, ასე რომ თქვენ თუ ჩვენს დასამდაბლებელ საქმეშიდ არ შეხვიდეთ, ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელს საქმეშიდ არ შევიდეთ და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე. არის ამის მოწამე ღენერალ - მაიორი რიქხოფი, პოდპოლკოვნიკი ტარასოვი, თავადი პარუთჩიკი სტეფანე მელიქის-ძე, თავადი პრაპორჩიკი ადილ-ბეგ. თუ ამ წერილზედ გარდავხდე და გავმტყუნდე, ღენერალ-მაიორმა რიქხოფმა მოიკითხოს როგორც რიგი არის და იმისი პასუხის გამცემი მე ვიყო. მაისი 3 დღესა, ჩყვ წელსა. - ციხესა ანაკლიასა“ (Акты 1869: 189).

ქელეშ-ბეი შარვაშიძის მეორე საბუთი აწესრიგებს ვასალურ ურთიერთობებს საკუთარ ძმისშვილთან, რომელიც „შეგულძვირებული“ ყოფილა ბიძასთან და მან შესარიგებლად სამეგრელოს დედოფალსა და გენერალ რიქხოფს მიმართა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ესე ხელისწერილს გაძლევ შენ ჩემს ძმისწულს ბექირ-ბეგის შვილს სოსრან-ბეგს, ასე რომ მე და შენ შეგულძვირდით და გენერალ-მაიორს რიქხოფს და ბატონ დედოფალს ეახელი; აწ, ამათმან უგანათლებულესობამ იწება ჩვენი და შენი გარიგება და თავათ დედოფალი მობრძანდა, ღენერალის მაგიერი კაცი პოდპოლკოვნიკი მოვიდა და გაგვარიგეს, ასე რომ რაც მამაშენს ბექირ-ბეგს ადგილ-მამული ყმა და მოსამსახურე ყავდა, ან რაც ქონდა, სრულათ ოთხივე ძმებისათვის მოგვიცემია მამიშენისეული ადგილ-მამული; კიდევ როგორც რიგი არის ბატონყმობისა, ისე თავის ყმა იმსახურე და შენდა ნებათ გყვანდეს, და ჩემდა არც სიკვდილით, არც დაჭირით, არც კაცის შეჩენილობით ფიქრი არ გქონდეს, თუ ცხადათ შენგან ვნება არა გამოცხადდეს რა. ესე წიგნი ჩემგან შენ არას დროს არ მოგეშალოს, თავათ ამის თავდები პოტპოლკოვნიკი ტარასოვი, და თუ ამას გარდავხდე ღენერალს რიხსოფის პასუხის გამცემი მე ვიყო. ამისი მოწმე

თავადი მელიქოვი, პარუთჩიკი სტეფანე. მაისი 3 დღეს ჩყვ წელსა. ციხესა ანაკლიასა“ (Акты 1869: 190).

ორივე საბუთი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით რამდენიმე მიმართულებით იქცევეს ყურადღებას: 1. დამოკიდებულება სამეგრელოს ფაქტობრივი მმართველის ნინო დადიან-ბაგრატიონისა და ზოგადად ბაგრატიონებისადმი; 2. რუსი მოხელეების შუამავლობა და ჩართულობა სამთავროს საშინაო საქმეების მოგვარებაში; 3. ურთიერთობები ვასალსა და სიუზერენს შორის – „ბატონისა“ და „ყმის“ ურთიერთობების პრობლემა; 4. მამულის მემკვიდრეობის საკითხი XIX ს. დამდეგის აფხაზეთში; 5. სამთავროს ოფიციალური სამუშაო ენა როგორც საგარეო, ასევე საშინაო საკითხების მოწესრიგებისას და კულტურული იდენტობის პრობლემა; 6. მთავრის მიერ გაცემული დოკუმენტის დიპლომატიკური ნორმები, მისი სახელდება და მრავალი სხვა. ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა ბოლო ორი საკითხი.

ორივე საბუთიდან ღიად ჩანს, რომ აფხაზეთის სამთავროს ოფიციალური სამუშაო ენა ქართულია და სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტების შედგენა როგორც საგარეო საკითხების მოწესრიგებისას, ასევე შიდა მოხმარებისთვის – ხელქვეითებისა და ვასალებისთვის – ქართულ ენაზე მიმდინარეობს. საბუთების შედგენისას შარვაშიძეთა სამთავრო სახლი ზედმიწევნით იცავს ქართული ისტორიული საბუთების შედგენის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას – იცნობს და იყენებს ძველი ქართული დიპლომატიკის აღიარებულ წესებსა და ნორმებს, განარჩევს სხვადასხვა ქართულ დიპლომატიკურ ტერმინებს, აძლევს მას მტკიცებით ფორმას და ა. შ. კულტურული იდენტობის თვალსაზრისით, ეს საბუთები ქართული ისტორიული დოკუმენტების ერთი ნაწილია.

ქელემ-ბეი შარვაშიძის მეორე დოკუმენტის განხილვისას, ზურაბ პაპასქირმა სამართლიანად მიიჩნია, რომ იგი შედგენილია შუა საუკუნეების საქართველოში გამომშავებული დიპლომატიკური ნორმების მიხედვით და წარმოადგენს ხელწერილს (პაპასქირი 2016: 413).

საბუთი, მართლაც, შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიკის მთელი რიგი ნორმების დაცვითაა შესრულებული, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ „ხელწერილი“, რადგან მასში მამულის გადაცემის იურიდიული აქტია ასახული და უნდა მივიჩნიოთ მამულის ბოძების/დამტკიცების დოკუმენტად. რაც შეეხება დიპლომატიკურ ტერმინს „ხელწერილი“, ყურადღებას იქცევს დოკუმენტში მისი ფიქსაცია. სიტყვები „ხელი“ და „წერილი“ წარმოდგენილია დეფისით, ცალ-ცალკე, ე.ი. დოკუმენტი არ არის ჩვეულებრივი „ხელწერილი“ და იგი „ხელით ნაწერი“, „ხელით ნაწერი წიგნის“ მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინია. ამ მოსაზრებას ასაბუთებს ტექსტის მომდევნო სტრიქონებში წარმოდგენილი სიტყვები, როცა ქელემ-ბეი წერს: „ესე წიგნი ჩემგან შენ არას დროს არ მოგეშალოს“, ანუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძველ საქართველოში საბუთის აღმნიშვნელ

ტერმინ „წიგნის“ გამოყენებასთან და სიტყვა „ხელწერილი“ ჩანს, როგორც „წიგნის“<sup>1</sup> უფლებამონაცვლე დიპლომატიკური ტერმინი. ცხადია, მასში უფრო ფართო მნიშვნელობა დევს, ვიდრე „ხელწერილის“ ჩვეულებრივი თანამედროვე გაგებაა. დოკუმენტში წარმოდგენილი ტერმინის – „ხელწერილის“ სახით საქმე გვაქვს გვიანი შუა საუკუნეების ქართულ სამეფო-სამთავროებში შემუშავებული მრავალფეროვანი დიპლომატიკური ტერმინებიდან ერთ-ერთის გამოყენებასთან. „ხელწერილი“ როგორც წიგნი გამოყენებულია სხვა ისტორიულ დოკუმენტებშიც (ახალაძე 2021: 48).

ქელემ-ზეის მიერ გაცემული საბუთები ფასდაუდებელ ინფორმაციას ინახავს აფხაზეთში სენიორალურ-ვასალური ურთიერთობების, მამულის ბოძებისა და წყალობის, საკუთრების უფლების შესწავლის თვალსაზრისით. გაცემული დოკუმენტით, ავტორი „ბექირ-ბეგის შვილს სოსრან-ბეგს“ იურიდიულად უკანონებს მამულებს, ამავე დროს დასტურდება, რომ ქვეშევრდომებთან მთავრის კომუნიკაციის ოფიციალური ენა ქართულია.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის (1808-1821) „სათხოვარ პუნქტებს“, რომელიც ქართულ ენაზეა შედგენილი და შვიდი პუნქტისგან შედგება. გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის „სათხოვარი პუნქტების“ მიზანი იგივე იყო, რასაც სხვა ქართული სამეფო-სამთავროების მეფე-მთავრები ითხოვდნენ რუსეთის იმპერატორისგან: „რათა ვიყო მე მთავრად და გამგებლად ქვეყნისა ჩემისა და აგრეთვე მე ჩემი და ძის ძენი საუკუნოდ იყვნენ აღუხოცელ მთავრობისაგან და მპყრობელობისა სამკვიდროს სამფლობელოთა მოწყალებით ესრედ“ (ლეკიშვილი 1989, №26).<sup>2</sup> საბუთს ხელს აწერენ გიორგი შარვაშიძე და თულა შარვაშიძე, ხოლო ბოლოს მიწერილია: „ხელს ვაწერთ და ვამოწმებთ წერილსა ამას თავადნი აფხაზეთისანი“. საბუთი დათარიღებულია 1808 წლის 12 აგვისტოთი და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, კოლექტიური ისტორიული მეხსიერებითა და კულტურული იდენტობით რომელ სამყაროს ეკუთვნის „თავადნი აფხაზეთისანი“. ამ სამყაროსადმი თავის კუთვნილებას ღიად ადასტურებს აფხაზი წარჩინებულის ალექსანდრე შარვაშიძის ცნობილი სიტყვები: „Я не абхазский, а грузинский князь“ (ბერძენიშვილი 1990: 611).

სამწუხაროდ, ისტორიამ გვიჩვენა, რომ გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის და სხვა ქართული სამეფო-სამთავროების მესვეურთა „სათხოვარი პუნქტები“ დროებითი, ნდობის მოპოვების მიზნით შექმნილი დოკუმენტები იყო და რუსეთის იმპერიას გათვლილი ჰქონდა კონკრეტულ ისტორიულ პერსპექტივაზე, რომლის შედეგად 1801-1867 წლებში ყველა ქართული სამეფო-სამთავრო იმპერიის მიერ გაუქმებულ იქნა (ახალაძე 2021: 49).

გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის „სათხოვარი პუნქტები“ შინაარსზე

<sup>1</sup> ძველ ქართულ დიპლომატიკაში ტერმინი „წიგნი“ მკვიდრდება XV საუკუნიდან და ყველაზე გავრცელებული ტერმინია XVI-XVIII სს-ის ქართულ საბუთებში (შოშიაშვილი 1984: 9).

<sup>2</sup> ს. ლეკიშვილის ცნობით, „ქართულ ენაზე შედგენილი ამ „სათხოვარი პუნქტების“ ორიგინალი (ეტრადი, ზომით 5040), დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრაფ. ნ. პ. რუმიანცევის პირად საარქივო ფონდში. ამ დოკუმენტის რუსული თარგმანის ბეჭდური, უთარიღო ვარიანტი გამოქვეყნებულია დოკუმენტების კრებულში (Акты 1869: 209). იქვე მითითებულია, რომ ეს არის ძველი თარგმანი.

მეტად სხვა მხრივ არის საინტერესო. ყურადღებას იქცევს დოკუმენტის ენა, დამწერლობა, ხელმოწერები და გამართული ტექსტი, რომელშიც დაცულია XIX საუკუნის დასაწყისის ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, სპეციფიკური მიმართვები, უფლისადმი ლოცვის ტრადიციული ფორმები და ა.შ. ეს არ არის „სხვა“ იდენტობის მატარებელი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის შედგენილი დოკუმენტი. მისი ავტორისთვის ქართული შინაგანი სამყაროს, საკუთარი „მე“-ს ენაა, რაც საბუთის თითოეულ წინადადებაში იგრძნობა: „სარწმუნოებითა ჩვენი, რომელიცა იყვნენ წინაპარნი ჩვენი“, „ინებოს მოწყალებით მოხედვა ჩვენი სახიერებისაგან მისის იმპერატორებითა დიდებულებს“, „ვექმნები მორჩილ საქართველოსა უპირატეს მმართველისა ერთგულთა და სარწმუნოთა მონათა და ყმათა ჩემთათანა...“. ჩანს, ტექსტის ავტორისთვის ქართული მხოლოდ კულტურის ენა არ არის, ეს მისი შინაგანი სამყაროს ენაცაა, რომლითაც ასე ხატოვნად ცდილობს საკუთარი სათქმელის გადმოცემას. ისევე როგორც ზემოთ მოხმობილ საბუთებში, აქაც ეს არის საბუთის ავტორის მიერ საკუთარი იდენტობის უნებლიე დემონსტრირება (ახალაძე 2021: 49-50).

გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ეს დოკუმენტი შედგენილია ქართველების მიერ და მას ბრმად აწერენ ხელს აფხაზეთის მთავარი და „თავადნი აფხაზეთისანი“. ეს მოსაზრება, პირველ რიგში, უარყოფს XIX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთში მიმდინარე ისტორიულ რეალიებს, როცა ასე მარტივად და ბრმად ისტორიულ დოკუმენტებზე ხელმოწერა „აფხაზი თავადების“ მხრიდან სრულიად გამორიცხულია, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზი მთავრებისა და თავადების წერილების დიდი უმრავლესობა ქართულ ენაზეა დაწერილი და შეუძლებელია სამთავრო სახლს ოფიციალური და პირადი წერილები მათთვის „სრულიად უცხო ენაზე“ შეედგინა.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიხეილ შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ ის შესანიშნავად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს, კავკასიის მმართველობას ქართულ ენაზე უგზავნიდა წერილებს, თუმცა არსებობს რამდენიმე რუსულენოვანი წერილიც. საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში დაცულია მიხეილის ქართული საბუთები, მათ შორის დედნებიც (სცსია, ფ. №41, №42, №48).<sup>3</sup> წერილების ნაწილი გამოქვეყნებულია კავკასიის არქეოგრაფიულ აქტებშიც. მიხეილ შარვაშიძის ფონდში დაცული და გამოქვეყნებული ეპისტოლარული მემკვიდრეობა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. ქართულენოვანი წერილები, რომელთა რუსული თარგმანი შესრულებულია ოფიციალური ხელისუფლების მიერ;
2. რუსულენოვანი წერილები, რომლებიც ავტორს გაგზავნილი აქვს ქართულად და თარგმნილია ქართულიდან რუსულზე, მაგრამ დედანი შემორჩენილი არ არის (იქვე მიწერილია მთარგმნელის ვინაობაც);
3. წერილები, რომლებიც ავტორმა იმთავითვე რუსულად შეადგინა

<sup>3</sup> აქედან მხოლოდ 42-ე ფონდში არის დაცული მიხეილ შარვაშიძის შვიდი ქართულენოვანი ხელნაწერი, რომლებიც თავის დროზე გამოქვეყნა შალვა ჩხეტიამ (ჩხეტია 1963: 123-263); აღნიშნული დოკუმენტების არსებობაზე მიუთითებდა სიმონ ჯანაშია (ჯანაშია 1988: 27).



და გაუგზავნა ადრესატს (ახალაძე 2021: 51).

დავასახელებთ ქართული დედნის სახით დაცულ რამდენიმე საბუთს:

1. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 18 მაისის წერილი მეუღლე ალექსანდრასადმი; 2. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 16 ივნისის წერილი გენ. ვასილ ბებუთოვისადმი თურქეთის სარდლობის გეგმის ჩაშლის შესახებ; 3. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 1 ოქტომბრის წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი; 4. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 17 დეკემბრის წერილი გენ. ვასილ ბებუთოვისადმი; 5. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 17 დეკემბრის წერილი სიმამრის გიორგი დადიანისადმი. 6. 1856 წლის არაუგვიანეს 1 იანვრისა, აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის მიერ რუსეთის სარდლობისათვის მოწოდებული ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოში დაბანაკებული ომერ-ფაშას ჯარების რაოდენობის შესახებ; 7. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1856 წლის 22 იანვრის წერილი გენ. ვასილ ბებუთოვისადმი, მისი მოქმედებებისა და გეგმების შესახებ (ჩხეტია 1963: №9, №17, №40, №51, №52, №56, №61). ეს საბუთები მოწმობენ, რომ მიხეილ შარვაშიძე ოჯახის წევრებსაც და სახელმწიფო მოხელეებსაც წერილებს უმეტესად ქართულ ენაზე მხედრული ანბანით წერდა.

ოფიციალური რუსული საისტორიო წყაროებითაც აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი კავკასიის მმართველობასა და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავდა. საყურადღებო ცნობას ვხვდებით 1855 წ. 11 ივლისით დათარიღებულ თავად ვასილ ბებუთოვის ანგარიშში თავად დოღგორუკოვისადმი, რომელშიც ავტორი აღნიშნავს 7 ივნისს აფხაზეთის მთავრის წერილის ქართულ ენაზე მიღების ამბავს (Акты 1888) და იქვე გადმოსცემს წერილის შინაარსს რუსულ ენაზე. ამასვე ადასტურებენ XIX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთში მყოფი რუსი სიძველეთ-მოყვარულები, რომელთა ნაშრომებში ასახული ცნობებით რეგიონის კულტურისა და განათლების ენა ქართული იყო, ხოლო აფხაზი მთავრები და სამთავროს წარჩინებული მოსახლეობა ქართულს შესანიშნავად ფლობდნენ. მაგალითად, რუსი სამხედრო და სიძველეთმოყვარული მიხეილ სელეზნევი, რომელიც 1841 წელს იყო აფხაზეთში, წერს, მაღალი წრის წარმომადგენლებმა ქართული კარგად იციანო (Селезнев 1847: 206).

იმავე რუსი მკვლევრებისა და მოგზაურების ნაშრომებში მრავლად ვხვდებით ცნობებს XIX საუკუნის აფხაზეთში ქართული ასომთავრული წარწერებით შემკული არტეფაქტების შესახებ. ქართული წარწერები ახლავს მიხეილ შარვაშიძის დაკვეთით 1829 და 1848 წლებში შეჭედილ ხატებს, რომლებიც მან ლუხუნის (ლიხნის) ტაძარს შესწირა. ერთ-ერთზე ამოკვეთილი წარწერა იუწყება, რომ ხატი შეაჭედინა „მთავარმან სრულიად აფხაზეთისამან, მიხეილ გიორგის ძემ შარვაშიძემან“, „სადღეგრძელოდ საყვარლისა მეუღლისა ჩემისა და მემკვიდრისა ჩვენისა გიორგისა...“ (სახოკია 1903). ქართულადაა დაწერილი მიხეილ შარვაშიძის 1864 წ. 21 ივლისით დათარიღებული წერილი, რომელიც მან ქუთაისის გენერალ-

გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკის გაუგზავნა და რომელშიც სურვილს გამოთქვამდა, დაესაფლავებინათ მის მიერ აღდგენილ მოქვის ტაძარში (სცსია, ფ. 416, აღწ. 3. ს. 177. ფურც. 86. შდრ. ხორავა 2011: 278). ქართულ ენაზე შედგენილი იმავე ადრესატისადმი გაგზავნილი 6 ნოემბრით დათარიღებული წერილი. მიჩნეულია, რომ ეს არის მიხეილ შარვაშიძის უკანასკნელი წერილი (ჯანაშია 1988: 33), მაგრამ რეალურად ეს არის არა უკანასკნელი, არამედ აფხაზეთიდან გაგზავნილი ბოლო წერილი, რადგან გადასახლების შემდეგ მან რამდენიმე წერილი კვლავ გაუგზავნა იმპერიის მოხელეებს: 1865 წლის 7 მარტს კავკასიის არმიის მთავარსარდალს მიხეილ რომანოვს (სცსია, ფ. 416, აღწ. 3. ს. 177. ფურც. 118-119. შდრ. ხორავა 2011: 281), 1865 წლის 23 ივლისის დეპეშა სამხედრო მინისტრ გენერალ-ადიუტანტ დიმიტრი მილიუტინს (სცსია, ფ. 545, აღწ. 1. ს. 75. ფურც. 67-69. შდრ. ხორავა 2011: 282), 1865 წლის 23 დეკემბრის წერილი კვლავ კავკასიის არმიის მთავარსარდალ მიხეილ რომანოვს (სცსია, ფ. 545, აღწ. 1. ს. 75. ფურც. 71-72. შდრ. ხორავა 2011: 283) და ცალკე წერილი მის თანაშემწეს ალექსანდრ კარცოვს (სცსია, ფ. 545, აღწ. 1. ს. 75. ფურც. 73-74. შდრ. ხორავა 2011: 283).

მთავრის ოჯახის სხვა წევრების მიმოწერაც ქართულია და შესრულებულია გამართული ქართულით. სიმონ ჯანაშია მიხეილ შარვაშიძის წერილებში დაცულ სალიტერატურო ქართული ენის ნორმებზე, მიმართვის ფორმებსა და გამართულ გრამატიკულ სტილზე დაკვირვებით ასკვნის, რომ „ქართული ენის ასეთი ფუნქცია აფხაზეთის ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების ნაყოფი იყო“ (ჯანაშია 1988: 35).

ამ კონტექსტში საყურადღებოა აფხაზეთის სამთავრო სახლის კულტურული ცხოვრების ისტორიის ცალკეული ეპიზოდები. მაგალითად, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი გიორგი ძიძარია აფხაზეთის სამთავრო კარის კულტურულ ცხოვრებაზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნავს უკანასკნელი მთავრის ოჯახის დამოკიდებულებას რუსული ენისა და რუსული კულტურისადმი და იმოწმებს 1867 წლის ზაფხულში კავკასიაში ჩამოსული ტურისტის ჩანაწერებს, რომლის მიხედვით მთავრის ბიბლიოთეკაში ნახავდით ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირს“, დისერტაციას ლათინურ ენაზე, იტალიური ოპერების ლიბრეტოს, ფრანგულ სამედიცინო წიგნებს, გაფანტულ მრავალრიცხოვან რუსულ რომანებს, ჟურნალებს, გაზეთებსა და სხვა გამოცემებს... აქ იყო ნაპოლეონისა და სუვოროვის ისტორიები, 1812 წლის ლაშქრობის ისტორია და ა. შ. (Кавказ 1867, №45; Дзидзария 1979: 35). ეს ფაქტი მიხეილ შარვაშიძის მიერ რუსული და ფრანგული ენების ცოდნაზე, მრავალმხრივ განათლებასა და კულტურულ ინტერესებზე მიუთითებს.

გიორგი ძიძარია აფხაზეთის სამთავრო სახლის კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივ საქმიანობის აღწერისას თავშეკავებით საუბრობს მიხეილ შარვაშიძის ურთიერთობებზე ქართველ საზოგადო

მოღვაწეებთან. არადა ცნობილია მისი ახლობლობა ქართული კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებთან. სამაგალითოა მთავრისა და ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის მეგობრული ურთიერთობები. გიორგი ძიძარას მოჰყავს მიხეილ შარვაშიძის 1859 წლის 16 ივნისით დათარიღებული წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი, მაგრამ ავტორი მთავრის ეპისტოლედან მშრალად იმოწმებს მხოლოდ ერთ წინადადებას: „სასიამოვნოა იხილო ისეთი მეგობარი, როგორც ისაა“ (ხეც, დიმიტრი ყიფიანის ფონდი, დ. 1715). ეს არის მიხეილ შარვაშიძის მაღლიერების წერილი მეგობრისადმი, როცა მეფისნაცვალმა ნიკოლაი მურავიოვმა (1854-1856) ყირიმის ომის შემდეგ (1856) მოითხოვა მიხეილ შარვაშიძის როგორც „მოლაღატის“ გადაყენება და რუსეთის შორეულ გუბერნიაში გაგზავნა (АКТЫ 1888: 54). დიმიტრი ყიფიანმა, რომელსაც სახელმწიფოსგან მიწდობილი ჰქონდა მიხეილ შარვაშიძის „ლაღატის“ საქმის გამოძიება, დიდი რისკის ფასად, დოკუმენტურად დაადასტურა აფხაზეთის მთავრის სიმართლე<sup>4</sup> და მისი აფხაზეთიდან გასახლება ფაქტობრივად რამდენიმე წლით შეაჩერა (Эчадзе 1907: 147; ჯანაშია 1988: 9). სწორედ ამ მეგობრობის გამო წერს მიხეილ შარვაშიძე სამადლობელ წერილს, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ქართულ-აფხაზეთური მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად. ეს არის საერთო ფესვების მქონე, მსგავსი მენტალობისა და იდენტობის ადამიანების ბრძოლა იმ ერთი მთლიანის გადარჩენისთვის, რომლის ნაწილსაც წარმოადგენენ.

და მაინც, აფხაზი მეცნიერი დუმილით უვლის გვერდს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის კანცელარიის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან ცნობებს, რომლებიც ადასტურებენ მიხეილ შარვაშიძის სამთავრო კანცელარიის ქართულენოვნებას (ჯანაშია 1988: 7-13; პაპასჭირი 2016: 412). ზურაბ პაპასჭირი აღნიშნავს: ნათელ დადასტურებად იმისა, რომ შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენლები ერთნიშნად

<sup>4</sup> შალვა ჩხეტიას შეფასებით, 1855 წლის 11 სექტემბერს დიმიტრი ყიფიანი მეფისნაცვალ ნიკოლაი მურავიოვისა და გენერალ ვასილ ბეზუთოვის დავალებით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში ...მოიარა და მოინახულა ის ადგილები და პირები, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ გამოსარკვევ საკითხთან. ის იყო იმერეთში (ქუთაისი, ორპირი, გორდი, კულაში), გურიაში (ოზურგეთი, საჯევახო, აკეთი) და სამეგრელოში (ზუგდიდი, სენაკი, ჭკადუაში, კურზუ, სალხინო), სადაც მას შეხვედრები და საუბრები ჰქონდა მთელ რიგ კერძო და თანამდებობის პირებთან: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ პოლკ. კოლიუბაკინთან, გურიის რაზმის უფროს გენ. ივ. მუხრან-ბატონთან, სამეგრელოს დედოფალ ეკ. დადიანთან, აფხაზეთის მთავრის მეუღლე, ალექსანდრა შარვაშიძესთან, მის მამა გიორგი დადიანთან, გურიის თავად მიხეილ ერისთავთან, მ. შარვაშიძის ცოლყოფილ მენიკ დადიანთან და სხვებთან, რომელთაგან ზოგი მ. შარვაშიძის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა, ზოგი მის მომხრეთა... განსაკუთრებით მონდომებული იყვნენ შავად წარმოედგინათ იგი მის პირად მტრებს, ამიტომ საჭირო იყო დამატებითი ობიექტური ცნობებისა და მასალების მოგროვება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სწორი დასკვნის გაკეთება. ისეთი დასკვნის, რომელიც დამაჯერებელი იქნებოდა მთავრობისთვისაც. დიმიტრი ყიფიანმა ეს მოახერხა - მან შეძლო მიეღო მ. შარვაშიძის მეუღლის ალექსანდრასა და მისი მამის გიორგი დადიანისაგან საიდუმლო მიმოწერა მიხეილ შარვაშიძესთან და ზოგ სხვა პირებთანაც, საიდანაც კარგად ჩანდა მიხეილ შარვაშიძის უდანაშაულობა... ამის საფუძველზე დ. ყიფიანმა შეადგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიც აღწერილი იყო დ. ყიფიანის ყოველი ნაბიჯი და შეხვედრები სხვადასხვა პირებთან, მოცემული იყო ანალიზი მოპოვებული ცნობებისა თუ მასალებისა და გატარებული იყო ის აზრი, რომ მ. შარვაშიძეს რუსეთის მთავრობის წინაშე არავითარი დასაგმობი და ღალატი არ ჩაუდენია (ჩხეტია 1963: 132-133).

მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს, შეიძლება მივიჩნიოთ ქელემ-ზეი შარვაშიძისა და მისი მემკვიდრეების: გიორგი (საფარ-ზეი), შარვაშიძისა და მიხეილ შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მათი კანცელარიიდან გამოსული სხვა ოფიციალური დოკუმენტები. დანამდვილებითაა ცნობილი, ეს მთავრები თავიანთ ოფიციალურ და არაოფიციალურ მიმოწერას მხოლოდ ქართულ ენაზე აწარმოებდნენ (პაპასქირი 2016: 412).

გარდა ქელემ-ზეი, გიორგი (საფარ-ზეი) და მიხეილ შარვაშიძეების ზემოთ ხსენებული ისტორიული საბუთებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობისა, ამ ფაქტს აფხაზეთში შარვაშიძეთა კარზე მყოფი რუსი გენერალ-მაიორი კოცებუც ადასტურებს თავის წერილში, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალ ნიკიტა მურავიოვს გაუგზავნა. წერილის ავტორის სიტყვებით: „მთავარ შარვაშიძეთა გვარში მიღებული წერილობითი ენა ქართულია“ (ჩხეტია 1963: 154).

აფხაზეთის სამთავრო სახლის კულტურული იდენტობის პირდაპირი გამოხატულებაა მოქვის კათედრალურ ტაძარში უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა და მისი მეუღლის ალექსანდრა დადიანის 1862 და 1866 წლების საფლავის ქვის ქართული ასომთავრული ეპიტაფიები. ცნობილია, რომ ალექსანდრა დადიანი მიხეილის გადასახლებაამდე, 1862 წელს გარდაიცვალა და მისი საფლავის ქვა და ეპიტაფიაც მეუღლის დაკვეთით ქართული ასომთავრულით იქნა შესრულებული: „აქ განისვენებს/ მთავრინა აბჯაზეთისა/ ალექსანდრა,/ გიორგის დადიანის ასული,/ მიცვალებული 1862 წელსა“ (Бражна 1967: 32-33; სილოგავა 2004: 298-299; ახალაძე 2021: 55).

ალექსანდრა დადიანის გვერდით განისვენებს მიხეილ შარვაშიძეც, რომლის გარდაცვალება სამთავროს გაუქმების საკითხს უკავშირდება. 1864 წლის 24 ივნისს კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა (1862-1881) ოფიციალური წერილით აუწყა მიხეილ შარვაშიძეს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის (1855-1881) ბრძანება, რომლის მიხედვით მიხეილ შარვაშიძე განთავისუფლებულ იქნა მთავრის მოვალეობისგან, ხოლო აფხაზეთში რუსული მმართველობა შემოიღეს (სცსია, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 177, ფურც. 48). რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების ომის დროს ოსმალეთთან თანამშრომლობაში დადანაშაულებული და საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ უკიდურესად დათრგუნული და დაავადებული მიხეილ შარვაშიძე ითხოვდა ქუთაისსა და რაჭაში დარჩენას ან იერუსალიმში სალოცავად წასვლას, მაგრამ გასახლებულ იქნა ვორონეჟში, სადაც 1866 წლის 16 აპრილს გარდაიცვალა. მისივე სურვილით (სცსია, ფონდი 545, აღწ. 1, ს. 75, ფურც. 2-5) დაკრძალულ იქნა მეუღლის გვერდით, მოქვის ტაძარში. მიხეილ შარვაშიძის ძველი ქართული ასომთავრულით შესრულებული საფლავის ქვის ეპიტაფია ამჯერადაც სევდიანად გვამცნობს პატრონის ვინაობისა და იდენტობის შესახებ: „აქ განისვენებს/ მთავარი აბჯაზეთისა/ მიხაილ გიორგის-ძე/ შარვაშიძე/ მიცვალებული 1866 წელსა“ (Бражна 1967: 32. 33;

სილოგავა 2004: 300-301).

XIX საუკუნის რეალობაში ეს არ არის ერთეული შემთხვევა, როდესაც აფხაზეთში აფხაზი ან ქართველი წარჩინებული წრის საერო და სასულიერო წარმომადგენელი ქართულ ენაზე აკეთებდა ეპიტაფიებს. იმავე ტაძარში გვაქვს რუსეთის გვარდიის პოლკოვნიკის, თავად მიხეილ მარშანას საფლავის ქვის მხედრული ეპიტაფია, რომელიც მისი მეუღლის, კნენა დარია მანუჩარ შარვაშიძის ასულის დაკვეთითაა შესრულებული (Бражра 1967: 31; სილოგავა 2004: 302-303). მრავალრიცხოვანი საფლავის ქვის ეპიტაფიები აღმოჩნდა ოჩამჩირისა და გალის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მრევლის მიერ სოფლის ეკლესიების გაწმენდისას. მაგ., სოფ. ღუმურიშის ცენტრში XIX საუკუნეში აგებული ეკლესიის გაწმენდის დროს ნაპოვნ ეპიტაფიებს შორის ყურადღებას იქცევს კნენა სალომე ანჩაბაძისა და მისი მეუღლის კიაზო ემხვარის საფლავის ქვის ეპიტაფიები (ახალაძე 2006: 208-208, 212) და ა.შ.

საფლავის შემკობა და ეპიტაფიების კვეთა მრავალი ქვეყნის კულტურის ნაწილია და იგი პირდაპირ უკავშირდება ამ ქვეყნის სოციალურ ტრადიციულ ყოფას, დამოკიდებულებას გარდაცვლილი ადამიანისა და ზოგადად გარდაცვალების მიმართ. მაგრამ მას, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიური გააზრების ესთეტიკას, აქვს გაცილებით სხვა ღირებულებითი დატვირთვა; ის ტრადიციულ ყოფაში არის ბუნებრივად, შეულამაზებლად ასახული ადამიანთა მენტალობისა და კულტურული იდენტობის არტეფაქტი. საფლავის ქვის ეპიტაფიების ენა, დამწერლობა, ტექსტის შინაარსი და სიკვდილთან დამოკიდებულება (გარდაცვალება თუ სიკვდილი, მიცვალებული თუ მკვდარი) სხვადასხვა ეთნოფსიქოლოგიის ერებთან, ცხადია, სხვადასხვა კულტურისა და იდენტობის მანიშნებელია. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა და მისი მეუღლის, აფხაზი წარჩინებულების ეპიტაფიები, როგორც „ბეჭედნი საფლავისანი ჰგიენ აღუტეხელად“ და სიმბოლოებით დატვირთულ ჩვენს სამყაროში, გარდაცვლილთა კულტურული იდენტობის საუკეთესო მცველები არიან.

კულტურის სოციალური ბუნებაა, ასახოს საზოგადოებისგან მემკვიდრეობით მიღებული კოლექტიური ცოდნის ის საგანძური, რომელსაც ინდივიდი იღებს თავისი ჯგუფისაგან. აფხაზეთის სამთავრო სახლთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლები მემკვიდრეობით მიღებული კოლექტიური ცოდნის საგანძურია და აღნიშნული ისტორიული საბუთების, წერილებისა და წარწერების ტექსტის ენა, დოკუმენტის შედგენის წესი, ეპიტაფიების წერის ტრადიცია ქართულია. ტექსტების ავტორთათვის ქართული მხოლოდ კულტურის ენა არ არის, ეს მათი შინაგანი სამყაროს ენაცაა, რომლითაც ხატოვნად ცდილობენ საკუთარი სათქმელის გადმოცემას. შესწავლილ მასალებში სახეზეა ავტორთა კოლექტიური ისტორიული მემკვიდრეობისა და კულტურული იდენტობის უნებლიე დემონსტრირება.

განხილული ოფიციალური დოკუმენტები და მიმოწერა, პირადი

წერილები და საფლავის ქვის ეპიტაფიები, ტექსტების გადმოცემა-გაფორმების ხერხებითა და შინაარსით, წარმოადგენენ მათი პატრონების ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული იდენტობის ყველაზე მყარ და შეუცვლელ სიმბოლოებს. იდენტობის ამ სიმბოლოებს ვერ ცვლის ხელოვნურად შექმნილი და ჩანაცვლებული ახალი სიმბოლოები, ამ სიმბოლოებს ვერ ერევა ისტორია.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ახალაძე 2006: ახალაძე ლ., კიდევ ერთი წარწერა აფხაზეთიდან. საისტორიო ძიებანი. წელიწდეული, VIII-IX. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი, 2006.
- ახალაძე 2021: ახალაძე ლ., საქართველოს განათლებისა და კულტურის ისტორიის ნარკვევები – აფხაზეთი (XIX-XX სს), თბილისი, 2021.
- ბერძენიშვილი 1990: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისთვის. თბილისი, 1990.
- ლეკიშვილი 1989: ლეკიშვილი ს., ერთი ფურცელი XIX საუკუნის ისტორიიდან, გაზეთი „სახალხო განათლება“, 31 მაისი, №26 (3343), 1989.
- პაპასქირი 2016: პაპასქირი ზ., შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის საკითხისათვის, იხ. მონოგრაფიაში: საქართველო – ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, 2016.
- სახოკია 1903: სახოკია თ., აფხაზეთში. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 11.12.1903.
- სილოგავა 2004: სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბილისი, 2004.
- შოშიაშვილი 1984: შოშიაშვილი ნ., წინასიტყვაობა, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ვალერი სილოგავამ, ნოდარ შოშიაშვილმა. თბილისი, 1984.
- ჩხეტია 1963: ჩხეტია შ., აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. საისტორიო მოამბე, №15-16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო. თბილისი, 1963.
- ხორავა 2011: ხორავა ბ., აფხაზეთის სამთავროს გაუქმება. თბილისი. 2011.
- ჯანაშია 1988: ჯანაშია ს., გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. შრომები, ტ. VI, თბილისი, 1988.
- Акты 1869: Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею. Издан под редакцией председателя комиссии Ад. Берже, т. III. Издательство: Типография Главного Управления Наместника Кавказского. Тифлис, 1869.
- Акты 1888: Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею. Издан под редакцией председателя комиссии Дм. Кобякова, т. XI. Издательство:

- Типография Главного Управления Наместника Кавказского. Тифлис, 1888.
- Бгажба 1967: Бгажба Х. С., Из истории письменности в Абхазии. Тбилиси, 1967.
- Селезнев 1847: Селезнев М., Руководство к познанию Кавказа, кн. II. Санкт-Петербург, 1847.
- Дзидзари 1979: Дзидзария Г. А., Формирование дореволюционной абхазской интеллигенции. Издательство «Алашара». Сухуми, 1979.
- Эсадзе 1907: Историческая записка об управлении Кавказом. Том 1. Составил Редактор Военно-Исторического Отдела Окружного штаба Семен Эсадзе. Тифлис, 1907.
- Кавказ 1867: Из записок Кавказского туриста, Кавказ, 11 (23), VII, 1867, №45.

### დოკუმენტები

- სცსია: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. №41, №42, №48.
- სცსია: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 416, აღწ. 3, ს. 177, ფურც. 86, ფურც. 118-119.
- სცსია: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 545, აღწ. 1, ს. 75, ფურც. 2-5, 67-69, 71-72, 73-74.
- სცსია: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 177, ფურც. 48.
- ხეც: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმიტრი ყიფიანის ფონდი, დ. 1715.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6970>

აფხაზეთის საკითხი გიორგი მერჩულის  
„გრისოლ ხანძელის ცხოვრების“ მიხედვით

The Issue of Abkhazia in Giorgi Merchule's  
„Life of Grigol Khandteli“

**დალი ბეთხოშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ახალციხე

**Dali Betkhoshvili**

Samtskhe-Javakheti State University  
Georgia, Akhaltsikhe

**ABSTRACT**

In the genre of Georgian hagiographical writing known as „On lives“, there are approaches suitable for the given era, where clergymen occupy a central role in organizing secular life and resolving worldly matters through the service of spiritual life. This phenomenon is exemplified in the „Life of Grigol Khandteli“, whose spiritual journey is directed towards constructive engagement with secular life, aiming to regulate it. With this kind of exploit, the rapprochement of the earthly life and life in heaven turn more visible, this synthesis transforms the existence of the country and shapes the way of its unification, based on a single cultural-state soil.

The contributions of Saint Grigol Khandteli extend beyond bridging the gap between heavenly and earthly realms; they also encompass the formation of Georgia as a unified nation. Throughout his endeavors, spanning various regions such as Samtskhe, Kartli, Tao-Klarjeti, and Abkhazia, he serves as a unifying force, bringing these „countries“ together into a cohesive state known as Georgia. The persona of St. Grigol Khandteli transcends the confines of a specific historical period, dismantling the boundaries of a single nation and uniting a fragmented society and country through the construction of churches and monasteries, the offering of prayers, the establishment of regulations, and the promotion of literacy

In the daily life of St. Grigol Khandteli, there emerges an aspiration towards universal work rather than personal gain, stemming from the harsh realities of life within the country. Ioane Sabanidze's call for the protection of the national route of development takes on new dimensions in the ninth century and is complemented by the scholarly endeavors of Giorgi Merchule, who expands the national idea through his exploration of St. Grigoli's merits.

Grigol Khandteli becomes a unifier of the earthly and heavenly worlds, establishing order in the wilderness and fostering religious and secular life on solid



foundations. These achievements are the result of his inexorable efforts and exalted superhuman qualities, which command respect and reverence from both secular and religious spheres. The obedience and awe expressed towards St. Grigol Khandzteli's divinely ordained mission demonstrate the acknowledgment of his authority.

In Giorgi Merchule's „Life of Grigol Khandzteli“, the development of principles centered around national unity and the search for national foundations represents a significant step not only within the context of a specific era but also in a contemporary context. Previous national ideologies paved the way for the establishment of national values, the preservation of territorial integrity, and the cohesion of the nation.

St. Grigol Khandzteli integrates the „country“ of Abkhazia into the broader space of unified Georgia, bringing it into the realm of spiritual and state coexistence. Through the construction of the Ubei monastery, he establishes a center of Christian faith in western Georgia, where the king, as a statesman, governs the country not only unilaterally but also as an active participant in spiritual life. In his discourse with King Demete, St. Grigol Khandzteli emphasizes the pivotal role of the king's authority in the process of rebuilding the nation while highlighting the indispensable contributions of spiritual figures and nuns, without whom the unification, development, and progress of the country would not be able to inspire benevolent paths.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები.

Keywords: Abkhazia in Georgian hagiographic writing, work of Grigol Khandzteli, Tao-Klarjeti church-monasteries.

ქართულ მწერლობაში ღირებულ ადგილს იკავებს მეთავე საუკუნის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები – გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელიც მრავალასპექტიანი ძეგლია, დღესაც არანაკლებ აქტუალური; ის მოიცავს როგორც საღვთისმეტყველო, ასევე სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლებს, რომლის სათავეში იდგა წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელი, რომლის პიროვნებასა და საქმიანობაში გაერთიანდა სულიერი და ხორციელი არსებობა, ეს ერთიანობა კი აისახა სრულიად საქართველოს გაერთიანებისათვის ზრუნვაში. ნაშრომის მთავარი სიახლეა კიდევ ერთხელ წარმოჩნდეს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა და ღირებულება დღევანდელობასთან მიმართებით.

გრიგოლ ხანძთელი და მისი სულიერი ძმები ღმერთის უწყებით გაემგზავრებიან ტაო-კლარჯეთის უდაბნოში, დაუსახლებელ, სულიერ არსებობას მოკლებულ ადგილას, სადაც წმიდა გრიგოლისა და მისი სულიერი ძმების დაუცხრომელი ღვაწლით, ეკლესია - მონასტრების აღმშენებლობით საფუძველი ეყრება ქვეყნის გაერთიანებას – სულიერ-სახელმწიფოებრივ ერთობას. რ. სირაძის აღნიშვნით, „გრიგოლ ხანძთელი უდაბნოთა მაშენებელია. ამის მიღმა იგულისხმება „ახალი ქართლის“ შექმნა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს „მარადიული სამშობლოსაკენ“ მობრუნებას“ (სირაძე 1987: 712).

წმიდა გრიგოლ ხანძთელის ღვაწლი ითავსებს არა მარტო ზეცისა და ქვეყნის დამაკავშირებლისა და გამაერთიანებლის, არამედ საქართველოს ერთიან ქვეყნად გაერთიანების ფუნქციასაც, რაც წარმოჩნდა მისი საქმიანობის დასაწყისიდან დასასრულამდე: სამცხე, ქართლი, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი... ეს ის „ქვეყნებია“, რომლებიც ერთიანდებიან ერთიან სახელმწიფოდ და გაერთიანებულ „საქართველოდ“ ყალიბდება. ადამიანი როგორც ორი ბუნების – სოფლისა და ზესთასოფლის მატარებელი წმიდანში უფრო აირეკლა და ამ შეზავებით ნასაზრდოები გრიგოლ ხანძთელი საქართველოს სულიერ და ხორციელ გამაერთიანებლად წარმოჩინდება.

რ. სირაძის აღნიშვნით, „ახალ გმირს (ჰაგიოგრაფიულ პერსონაჟს – დ. ბ.) თავისი დროის მსოფლმხედველობა და თავისი ქვეყნის ბედი უნდა გაეზიარებინა. იგი ამაღლებული და შთაგონების მომნიჭებული სახე უნდა ყოფილიყო...“ (სირაძე 1987: 693).

წმიდა გრიგოლ ხანძთელის პიროვნება ერთ ქრონოტოპში ვერ თავსდება, იგი არღვევს „ერთი ქვეყნის“ საზღვრებს და ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობით, იქ აღვლენილი ლოცვით, დამკვიდრებული წეს-განგებით და მწიგნობრობით გახლენილი ერი და ქვეყანა გააერთიანა. წმ. გრიგოლ ხანძთელის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოჩნდა არა პირადი, არამედ საყოველთაო საქმისადმი მისწრაფება, რაც ქვეყანაში არსებული მძიმე რეალური ცხოვრებიდან გამომდინარე იყო; ჯერ კიდევ იოანე საბანისძის „წმიდა ჰაზოს წამებიდან“ ცნობილი ხდება, რომ მერვე საუკუნიდან საქართველოში მძიმე სულიერი და სახელმწიფოებრივი ვითარება იქმნება. იოანე საბანისძე იძულებული ხდება არაბთა მომძლავრების შედეგად რწმენაშერყეულ ქართველობას შეახსენოს ეროვნული გზის დაცვის აუცილებლობა: „ჩვეულებისაგებრ მამულისა სლვისა“ (იოანე საბანისძე 1987: 445). ეს მოწოდება შემდეგ, მეცხრე საუკუნეში სხვა მასშტაბებს იძენს წმ. გრიგოლ ხანძთელის ღვაწლით განხორციელებული და რჯულის მცოდნე გიორგი მერჩულე წმ. გრიგოლ ხანძთელის ღვაწლით ეროვნულ იდეას აფართოებს: „ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხოლო „კვირიელესონი“ ბერძულად ითქმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო, შეგვიწყალებ“ (გიორგი მერჩულე 1987: 591).

გრიგოლ ხანძთელი სოფლისა და ზესთასოფლის შესაკრებლად გარდაისახა, მან განსაზღვრა უდაბნოს მოწესრიგება, სასულიერო და საერო ცხოვრება მყარ საფუძვლებზე დააფუძნა, რასაც მიაღწია თავისი დაუცხრომელი საქმიანობით, ამაღლებული ზეადამიანური თვისებებით, რომლის წინაშეც სასულიერონიც და საერონიც ქედმოხრილნი არიან, გამოხატავენ მორჩილებას და მოწიწებას წმიდა გრიგოლ ხანძთელის ღვთაებრიობით მოსილი მისიის წინაშე: „ჟამთა მისთა არავინ ურჩ იყო სიტყვათა მისთა, უფროდს ხოლო ხელმწიფენი მის ჟამისანი“ (გიორგი მერჩულე 1987). აფხაზთა მეფეს ერთხელ კიდევ განურისხდება წმ. გრიგოლი. სხვა არაერთი ფაქტიცაა კურაპალატთა საქმეებში ჩარევისა; „მთავარია ის, რომ გრიგოლი მიჩნეული იყო ტაო-კლარჯეთის ქართველთა

სამეფოს ისეთ მამამთავრად, რომელიც მთელი საქართველოს მომავალს ამზადებდა და ვერვის ხელეწიფებოდა მაშინ ამგვარ მამამთავრად ყოფნა, ვერც კურაპალატს, ვერც დასავლეთ საქართველოს მეფეს და ვერც კათალიკოსს“, – წერს რ. სირამე (სირამე 1987: 715).

წმ. გრიგოლ ხანძთელმა მოახერხა ეროვნული ნიადაგის შექმნა, ერთიანი ეროვნული წიადის დამკვიდრება, საქართველოში „მრავალი ქვეყნის“ სინთეზი, გაერთიანება, ერთ ორგანიზმად ჩამოყალიბება, ერთიანი ეროვნული მწიგნობრობის კერის, კულტურის შექმნა, რაც გამოჩნდა ქვეყნის ეროვნული ერთიანობის კონცეფციის სახით: „ქართლად ფრიადი ქუეყანად...“, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ. ყოველივე ეს მარტო ეროვნულ ჩარჩოებში კი არ განთავსდა, არამედ მან საყოველთაო, გლობალური მასშტაბის ღირებულება შეიძინა: საბაწმინდის განგების ჩამოტანა, იერუსალიმიდან ეკლესიის ცხოვრების წესის გადმოღება და დამკვიდრება, ამ მიზნით თვით წმ. გრიგოლის მიერ კონსტანტინოპოლში მოგზაურობა, იქაური ეკლესიის ცხოვრების წესის შესწავლა და ქართულ ეკლესიებში მისი დამკვიდრება, წმიდა გრიგოლ ხანძთელის ხელით დაწერილი „საწელიწდო იადგარი“ ... უტყუარი დასტურია მისი თაოსნობით საქართველოში გაცხოველებული სულიერ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაწინაურებისა. გიორგი მერჩულის ეროვნული ერთიანობის წარმომჩენი ფრაზა გამომხატველია ქვეყნის სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი მთლიანობის, სულიერი ერთიანობის გზით „ქვეყნების“ ერთ სახელმწიფოში განთავსებისა. ვლ ნორაკიძის აზრით, „აქ ეროვნული სუვერენიტეტისადმი იდენტიფიკაციის ცნობიერების ორი მნიშვნელოვანი მომენტია აღსანიშნავი: მირონის კურთხევა სამშობლოში და ქართველი კაცის შეგნებაში დასადგურებული ერის მთლიანობის იდეა“ (ნორაკიძე 1995: 37).

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის „ცხოვრებათა“ ჟანრში ახალი დროის შესაფერისი თანამედროვე მიდგომები იკვეთება, სასულიერო მოღვაწენი საერო ცხოვრების მოწყობის ცენტრში იმყოფებიან და ზესთასოფლიური საქმიანობით ამქვეყნიურ საქმეებსაც აგვარებენ. ამის გამოხატულებაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებად“ – წმიდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობაც, რომლის სულიერი ცხოვრების გზა საერო ცხოვრების აღმშენებლობითი საქმიანობისკენ არის მიმართული და მის მოწესრიგებას ემსახურება. ამგვარი ღვაწლით სოფლისა და ზესთასოფლის დაახლოება უფრო მეტად იხილვება, ეს სინთეზი გარდაქმნის ქვეყნის არსებობას და სახავს მისი გაერთიანების, ერთი კულტურულ-სახელმწიფოებრივი ნიადაგის შექმნის გზას. რ. ბარამიძის აღნიშვნით, „გრიგოლის აღმზრდელმა იოანემ დიდი ცოდნის მიცემასთან ერთად მასში ჩაკირა მამულის ხსნის შინაგანი იმპულსი, ჩამოაყალიბა გიგანტური აზროვნებისა და გაქანების მამულიშვილი, რომელმაც საოცარი სიბრძნით პოვა, ნერსესაგან განსხვავებული, ახალი გზა ქვეყნის ხსნისა და თვითვე განახორციელა კიდეც ეს დიდებული მისია“ (ბარამიძე 1999: 84). მისივე შენიშვნით, „ნერსე ერისთავის კარზე აღზრდის ფაქტორმაც განაპირობა გრიგოლის დამუხტვა ფართო ეროვნული მიზნებით, რამაც უაღრესად ნაყოფიერი გამოვლენა ჰპოვა გრიგოლის მოღვაწეობაში; თვით აღმოსავლეთ

და დასავლეთ საქართველოს ერთიანობა, ერთი მიზნითა და ერთიანი საქმიანობით ცხოვრება, რომელიც ასე შთამბეჭდავდა ასახული გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში...“ (იქვე).

ქვეყნის ერთმთლიანობა მუდავნდება საერთო და სასულიეროთა შეზავებულ თანაარსებობაში. გაბრიელ დაფანჯულის სიტყვები: „აწ ჩვენ-თანა არს ხორციელი კეთილი და თქვენ-თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერთას“ (გიორგი მერჩულე 1987: 541-542), ქვეყნის კეთილდღეობისათვის ერთიანი, საერთო ნაბიჯის გადადგმის მომასწავებელია.

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ქვეყნის ერთიანობის პრინციპების შემუშავება და ეროვნული საფუძვლების ძიება მნიშვნელოვანი საფეხური იყო არა მარტო ერთი ეპოქის ფარგლებში, არამედ დღევანდელი კონტექსტშიც, წინარე ეროვნულმა ნაზრევმა დასახა გზები ეროვნული ღირებულებების დამკვიდრების, ქვეყნისა და ერის მთლიანობის ჭრილში. როგორც თვით გრიგოლ ხანძთელის ხატი არის მთლიანი და განუყოფელი, სულიერ-ხორციელის ნაზავი, ასევე არის მისი საქვეყნო საქმეები. გიორგი მერჩულის დამოძღვრით, დიდი საქმისათვის, ეროვნული და სარწმუნოებრივი იდეალებისათვის ზრუნვისას ადამიანი უპირველესად მთლიანი პიროვნება უნდა იყოს, გაორება და თვალთმაქცობა არა მარტო ადამიანის სახეს აჩენს, არამედ, საერთოდ, მისგან არაფერი სასიკეთო არაა მოსალოდნელი“, – წერს რ. ბარამიძე (ბარამიძე 1999: 91).

ქ. ელაშვილი იხილავს რა გრიგოლ ხანძთელისა და მისი სულიერი ძმების სახელდებას, აღნიშნავს, რომ „განა შემთხვევითობას უნდა მივა-წეროთ, რომ გრიგოლ ხანძთელი შეინაწევრებს იმ სამეულს (საბა, თევდორე და ქრისტეფორე – დ. ბ.), რომელთა საწოდებელშივეა გაცხადებული მათი ქრისტიანული მისია...“ (ელაშვილი 1999: 94). „და ესე ვითარსა კეთილსა განზრახვასა და გზავნასა მისსა პოვნა მოყუასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტეს მადლისადათა: საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ეპისკოპოსი მისი, და თევდორე, ნეძვისა მაშენებელი და მამა, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშენებელი და მამა. ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყვარულმან შეამტკიცა ერთ ზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გვამთა შინა დამტკიცებული“ (გიორგი მერჩულე 1963: 252).

ღმერთის რჩეული წმ. გრიგოლ ხანძთელი თავისი სიმდაბლით და საღმრთო სიბრძნით აღვსებული ქართლს ევლინება ბიბლიური აბრაჰამის სახედ, რომელიც უძლოდა ისრაელ ერს უდაბნოში. გრიგოლ ხანძთელიც იმეორებს იმავე გზას – ტაო-კლარჯეთის უდაბნოში მთელი ქართველი ერის წინამძღვრად, მამამთავრად და ამქვეყნიურ განსაცდელთაგან გადამრჩენლად ისახება როგორც სულიერი, ასევე მიწიერი არსებობის თვალსაზრისით. როგორც გიორგი მერჩულე შეგვახსენებს: „რადთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამოზრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალე ზედა სასანთლესა მას მაღალსა, ზეთითა მით განუპარველითა...“ (გიორგი მერჩულე 1987: 529). თავის კრებულს წინ წარუძღვა „...და მათ თანა მოდასეობისა წადიერებითა დაუტევა შეცვალებადი პატივი ქვეყანისა მოკვდავთა კაცთა სუფევისად და მოჰრიდა

ჟამიერთა და ნივთიერთა ბუნებათა, რადთა უჟამოდ იგი ნათელი უძლოდის უნივთოსა მას სამკვიდრებელსა და უცვალებელსა დიდებასა სასუფეველსა ცათასა“ (იქვე: 530).

ტექსტის მიხედვით, წმიდა გრიგოლ ხანძთელის კეთილი და ჭეშმარიტი გზის მოზიარენი იყვნენ საბა, დედის დისწული, იშხნის მეორედ მაშენებელი და ეპისკოპოსი, თევდორე, ნემძის მაშენებელი და მამა და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშენებელი და მამა. საღმრთო სიყვარულის გზაზე ოთხნი განასახიერებენ სამყაროს ერთიანობას, ერთ არსს, ერთ ზრახვად გაერთიანებულნი იღვწიან ერთი მიზნის აღსასრულებლად – აღაშენონ ეკლესია-მონასტრები მთლიანი ქვეყნის, საქართველოს მასშტაბით. მათი სულიერი ცხოვრება წარმართება წუთისოფლის ფარგლებში, რადგან ორისახე, ორბუნებოვნებასი ცოცხლე-არსებობისათვის ღმერთის მიერ არის შექმნილი და ეს ერთიანობა განუყოფელია. ამიტომაც გრიგოლ ხანძთელისა და მისი სულიერი ძმების საქმიანობა სწორედ წარმავლობის ფარგლებში ხდება მარადიულობის დასამკვიდრებლად. მათი ღვაწლი აისახა საქართველოს არა მარტო ერთი მხარის, არამედ ერთიანი, მთლიანი საქართველოს ჩამოყალიბებაში: „ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების...“ იოვანე საბანისძის მიერ წამოწყებული ეროვნული გზა განავრცო, განავითარა და სრულყოფილებაში მოიყვანა წმ. გრიგოლ ხანძთელმა თავის მოწაფეებთან ერთად. ამ თვალსაზრისით მისი კრებულიდან უნდა გამოვყოთ წმ. გრიგოლის სულიერი ძმები – თევდორე და ქრისტეფორე, რომელთაც უდაბნოს წინამძღვართან, გრიგოლ ხანძთელთან ერთად დააარსეს ეკლესია-მონასტრები ქვეყნის მასშტაბით, რომელმაც განსაზღვრა სულიერი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების შეზავება და დამკვიდრება.

აღნიშნულ სულიერ-სახელმწიფოებრივ ცხოვრების წარმართვაში წმ. გრიგოლთან ერთად უდიდესი ღვაწლი გასწიეს მისმა სულიერმა ძმებმა – თევდორემ და ქრისტეფორემ, რომელთაც თავს იღვეს დამოუკიდებლადაც დაეარსებინათ ეკლესია-მონასტრები ტაო-კლარჯეთისაგან მოწყვეტილ სხვა მხარეში, კერძოდ, აფხაზეთში. როგორც გიორგი მერჩულე გვამცნობს: „...თევდორეს და ქრისტეფორეს აქვნდა გულსა მათსა საღმრთოდ შური მონასტრისა შენებისაჲ. და არა გამოუცხადეს მამა გრიგოლს განზრახვად მათი. არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარჰყვეს“ (გიორგი მერჩულე 1987: 533). ჰაგიოგრაფი ავტორის მხრიდან შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ ფაქტის აღწერა და საგანგებოდ აღნიშვნა, რადგან უნდა წარმოჩნდეს სულიერ მოღვაწეთა სამოქმედო სივრცე, რომელშიც მოიაზრება არა დანაწევრებული, არამედ ერთიანი ქართლი, „საქართველო“; მათი სამოღვაწეო არეალის მასშტაბი კი არ ვიწროვდება, პირიქით, ფართოვდება. წმიდა გრიგოლ ხანძთელი ქართლიდან მიდის ტაო-კლარჯეთში, აფუძნებს ეკლესია-მონასტრებს, შემდეგ იღვწის მათი სულიერ-ინტელექტუალურ კერებად ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც თვითონ მიემართება კონსტანტინოპოლში – მეორე იერუსალიმში იქაური სულიერი ცხოვრების შესასწავლად და წეს-განგების ჩამოსატანად და იერუსალიმში მიმავალ მეგობარს აზარებს იქაური ეკლესიის წესის გადმოღებას თავის ეკლესია-მონასტრებში დასამკვიდრებლად. ეს გზა

კიდევ უფრო ფართოვდება თევდორესა და ქრისტეფორეს წყალობით, რაც გამოიხატა „საღმრთოა შურით“ ეკლესიების გამრავლებით, მათ შორის აფხაზეთში. სანამ უშუალოდ მასზე გავაგრძელებთ მსჯელობას, შევნიშნავთ, რომ აფხაზეთში მიმავალნი სამცხეში დაიმოწაფებენ არსენს, მომავალში ქართლის კათოლიკოსს და აფხაზეთში ჩასული ძმების მოსამიებლად წასული მამა გრიგოლ ხანძთელი ეფრემს ქართლიდან, მომავალში აწყურის ეპისკოპოსს, რომლის სახელთან დაკავშირებულია მირონის ქართულად კურთხევის წესის დამკვიდრება, რამაც კიდევ მეტად განსაზღვრა ქართული ეროვნული სივრცის განმტკიცება და ქვეყნის გაერთიანების საფუძვლების მომზადება.

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, თევდორესა და ქრისტეფორეს წასვლა აფხაზეთში და შემდეგ მათ კვალზე მამა გრიგოლის დასავლეთში ჩასვლა მრავალასპექტიანი ეპიზოდია, რომელმაც აჩვენა ნაწარმოების ღირებულება გეოგრაფიული, ისტორიული, სახელმწიფოებრივი, სულიერ-ინტელექტუალური, კულტურული და სხვ. თვალსაზრისით. ფაქტობრივად, წარმოჩნდა ქვეყნის ისტორიული ერთობა, გეოგრაფიული მდებარეობის სიცხადე და მისი განუყოფლობა ერთიანი ქართული ეროვნული სივრცისა, ასევე სულიერი ცხოვრების დამკვიდრების გარეშე ვერ მოხერხდება ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სახელმწიფოებრივი კონტექსტის შექმნა და კულტურულადაც ვერ დაწინაურდება „საქართველოს“ ცალკეული მხარე. ამ თვალსაზრისით აფხაზეთის, როგორც ცალკე „ქვეყნის“, ფარგლებში სულიერ მოღვაწეთა ჩასვლას და მათ საქმიანობას ღრმა საფუძვლები გააჩნია.

სულიერი ძმების – თევდორესა და ქრისტეფორეს მხრიდან აფხაზეთის შერჩევა ღვთის ნებით, ღმერთის სიყვარულით და ეკლესიების აშენების დიდი სურვილით მოხდა. ჩანს, მათ თავიდანვე აქვთ გაცნობიერებული საღვთო მისიის აღსრულების შესაძლებლობა და ვალი ქვეყნის წინაშე, თანაც დამოუკიდებლად, წმ. გრიგოლ ხანძთელის დახმარების გარეშე, ჩათვლიან საჭიროდ საქვეყნო საქმის კეთებას და გიორგი მერჩულის სიტყვებით: „და წარვიდეს აფხაზეთად“ (გიორგი მერჩულე 1987: 53).

თევდორესა და ქრისტეფორეს გადაწყვეტილებაში უთუოდ მოიაზრება უდიდესი სულიერი და სახელმწიფოებრივი შენების სურვილი, ვფიქრობთ, ეს ნაბიჯი გამოიზნულიც იყო და არა შემთხვევითი. ტაო-კლარჯეთისაგან დაშორებულ მხარეში – აფხაზეთში წარმოებული „ქალაქ-ყოფა“ საქართველოს მთლიანი სახელმწიფოს მოწყობას მოასწავებს. ამ საქმის განხორციელებაში მათ დაეხმარება აფხაზთა მეფე დემეტრე, რომელმაც უკან არ დაიხია, პირიქით, იქ ჩასული სულიერი ძმები დიდი პატივით მიიღო: „ხოლო მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატივითა პატივ სცა და ადგილსა კეთილსა დაამკვიდრნა“ (გიორგი მერჩულე 1987: 553). სავარაუდებელია, აფხაზთა მეფე დემეტრეც ელოდება იმ დროს, როდის დადგება უკეთესი ხანა ქვეყნის აღმშენებლობისათვის და სულიერი მამების გამოჩენას დიდი პატივით ხვდება. აფხაზეთის ქვეყნისთვის და დემეტრე მეფისთვის წმიდა მამების ჩასვლა მის სამფლობელოში, ფაქტობრივად, ახალი ცხოვრების დასაწყისია, ამიტომ დემეტრე მეფე სასულიერო მოღვაწეებს გვერდში თანადაუდგება და მათ და საკუთარ სურვილებს ერთმანეთში შეაზავებს.

აფხაზეთში ფართო სასულიერო, კულტურული და სახელმწიფო-ებრივი საქმიანობა რომ უნდა დაიწყო, გამოჩნდება უდაბნოს წინამძღვრის წმ. გრიგოლ ხანძთელის გადაწყვეტილებით – წავიდეს აფხაზეთში დაკარგული ძმების მოსაძიებლად, რაც თავისთავში უკვე მოიცავს სულიერი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაფართოებას. ცხადია, თევდორესა და ქრისტეფორეს წასვლაც აფხაზეთში ეკლესია-მონასტრების ასაშენებლად და კულტურულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ასაღორძინებლად და შემდეგ წმ. გრიგოლის ჩასვლაც მარტო საკუთარი არჩევანით არაა განსაზღვრული, მასში ღვთის განგებაა ჩარეული და ის არის წინამძღოლი უცხო გზაზე გასავლელად. გიორგი მერჩულე გვამცნობს, რომ როგორც კი მამა გრიგოლ ხანძთელი შეიტყობს თევდორესა და ქრისტეფორეს წასვლას აფხაზეთში, მაშინვე გადაწყვეტს წავიდეს მათ მოსაძიებლად... „გრიგოლი შეწუხნა ფრიად და თანაწარიყვანნა ოთხნი ძმანი და წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი“ (გიორგი მერჩულე 1987: 533). ამ ერთ ფრაზაში მრავალი აზრი იკითხება. შეწუხნა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წმ. გრიგოლისთვის ძნელი აღმოჩნდა იმის გაცნობიერება, რომ მისგან დამოუკიდებლად თევდორემ და ქრისტეფორემ გადაწყვეტეს „სხვა ქვეყანაში“ წასვლა სულიერების დასამკვიდრებლად. მეორეც, ეს ნაბიჯი არც ისე იოლი იყო დაქუცმაცებულ ქვეყანაში; წმიდა გრიგოლის მიერ ოთხი ძმის წაყვანა მათ მოსაძიებლად სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. ქრისტიანულ მწერლობაში ოთხი – სამყაროს ერთიანობის საფუძველია, აქედან გამომდინარე, გრიგოლ ხანძთელი თავიდანვე განსაზღვრავს მის მიერ დასახულ გზას და მიზანს, რომელსაც გარკვეული შედეგი ექნებოდა. იგი ჩადის იმ ქვეყანაში, რომელიც მთლიანი საქართველოს ნაწილი ხდება; ბიბლიური აბრაჰამის მსგავსად, წმ. გრიგოლი აფხაზეთში ჩასვლით მთელი ერის მხსნელად, ეროვნულ გამაერთიანებლად წარმოისახება. „მწყემსი კეთილი“ ხდება არა მარტო სულიერი ძმების, არამედ მთელი ერისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის მოთავე.

გზად მიმავალმა გრიგოლ ხანძთელმა ძმების მოძიების გზაზე ქართლის სანახების გავლით იპოვა „ეფრემ ყრმა“, შემდეგში ეფრემ მაწყვერელი, რომლის სახელთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ეროვნული ფაქტი – მირონის ქართულად კურთხევის უფლების მოპოვება. ეს ფაქტიც არაა შემთხვევითი, რადგან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნაჩვენებია ყოველი ქვეყანა მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები და წყაროებია საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული ვითარების დასახატავად, დაქუცმაცებული საქართველო როგორ იკვრებოდა, ერთიანდებოდა ერთ წრედ, რისი საფუძვლებიც უკვე დაწყებული იყო სასულიერო პირებისა და ცალკეულ მეფეთა ღვაწლის შედეგად.

წმ. გრიგოლ ხანძთელი ჩადის აფხაზეთში, მიდის მეფის წინაშე, რადგან მეფე ქვეყნის გამგებელია, პირველი პირია და უცხო ქვეყნის მეფესთან მისვლა მეფის პატივიც არის და სულიერი მოღვაწისაც. მეფეც „ზე აღდგა და წინამოეგება და სიმდაბლით მოიკითხა, რამეთუ ზარი აჰხდა მადლთაგან სიწმიდეთა მისთაჲსა და დიდებულებისაგან პირისა მისისა. რამეთუ ვითარცა პირი მოსე წინამსწარმეტყველისაჲ იყო დიდებულ ამის ნეტარისაჲცა ხატი მადლითა ღმრთისაჲთა“ (გიორგი მერჩულე

1987: 534). სიმდაბლე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სათნოებათაგანია ქრისტიანისათვის, მორწმუნე ადამიანი სიმდაბლის გარეშე სულიერ, ქრისტეს გზაზე სლვას ვერ განახორციელებს... სიმდაბლით დემეტრე მეფემ გამოხატა მოწიწება და პატივისცემა, ჯერ ერთი, სულიერი მოძღვრის წინაშე და მის უპირველესობას აღიარებს, მეორეც, როგორც უცხო სტუმრის წინაშე „თავის“ ქვეყანაში და მისი დაფასების აუცილებლობა გამოხატა. ამ მომენტში, რა თქმა უნდა, ნათლად ჩანს მეფის, როგორც პიროვნებისა და სახელმწიფო მოღვაწის, მხატვრული სახე, რომელშიც გაერთიანებულია სულიერი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების ორიენტირები, რომელთა გათიშულობა ქვეყნის მოწყობას შეუშლის ხელს, ამიტომ დემეტრე მეფე, ფაქტობრივად, ახალ ნაბიჯებს დგამს ქვეყნის სულიერი და სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით; ვფიქრობთ, დემეტრე მეფემდე მიღწეული იყო ხმა, უწყება, ცნობა წმიდა მამის, მისი წმინდა საქმიანობის შესახებ. წმ. გრიგოლ ხანძთელის პიროვნება შედარებულია მოსე წინასწარმეტყველთან, რომლის ხატი-სახე ღვთიური მადლით იყო განზრწყინებული; დემეტრე მეფე მამა გრიგოლის ჩასვლას აფხაზეთში ხელს კი არ უშლის, პირიქით, სიკეთით ხვდება, რადგან ქვეყანა რომ განვითარდეს, აღორძინდეს, ჩაკეტილი სივრცე ვერ მოაწესრიგებს ამ პრობლემას, აღორძინებისათვის უთუოდ საჭიროა სხვა სივრცე, რომელიც განითავსებს სახელმწიფოს მოწყობის ნათელ გზას და პერსპექტივას.

ნეტარმა გრიგოლ ხანძთელმა, მეფისაგან მოკითხვის შემდეგ, შეაქო მეფის პიროვნება, მისი მისია ქვეყნის წინაშე და როგორც გიორგი მერჩულე წერს: „წმიდამან განგრძობილად ულოცა“ (გიორგი მერჩულე 1987: 534); ლოცვას, უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ სათნოებას ზოგადად დიდი ადგილი ეთმობა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რადგან ქრისტიანული სათნოებით გამოიხატოს ღმერთისა და ადამიანის, სოფლისა და ზესთასოფლის მჭიდრო კავშირი, რადგან სამყაროც ისეთივე განუყოფელი ორბუნებოვნების მომცველია, როგორც ზოგადად არსებობა და, მით უმეტეს, უფალი, რომელმაც სულიერ-მატერიალურის შეზავებით აჩვენა სიცოცხლის მარადიულობა და ეს განცდა განათავსა ცოდვითმოსილ წუთისოფელშიც. ამავე დროს, ლოცვის სათნოებით წმ. გრიგოლ ხანძთელმა აფხაზეთის სამყარო გაასულიერა, ახალი შინაარსით დატვირთა: უფლის მიერ წარგზავნილი წმ. გრიგოლი აფხაზეთის წინაშე იქცევა სულიერ წინამძღვრად, რომელმაც ერი სულიერ დაღუპვას უნდა გადაარჩინოს. სწორედ ამ მისიას იტვირთავს ნეტარი გრიგოლ ხანძთელი.

აფხაზეთის მეფე წმ. გრიგოლს ჰკითხავს მის ქვეყანაში ჩასვლის მიზეზს: „ვინაჲ არს მიზეზი...“ (გიორგი მერჩულე 1987: 534). სავარაუდებელია, დემეტრე მეფე ხვდება, რისთვის არის ჩასული წმ. გრიგოლ ხანძთელი, მაგრამ დაზუსტებისათვის წმ. მამისაგან უნდა მოისმინოს პასუხი, როგორც პირველი მოძღვრისაგან და შესაბამისად გადადგას შემდეგი ნაბიჯები... წმიდა გრიგოლი მოახსენებს მეფეს მისვლის მიზეზს და სთხოვს, „მოვიდენ ივინი ჩვენდა“ (გიორგი მერჩულე 1987: 534). ცხადია, წმ. გრიგოლმა უწყის, რომ სხვა ქვეყანაში ჩასულს თვითონ კი არა, ჯერ მეფეს ეკუთვნის პირველი ნაბიჯების გადადგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის უფლებებსაც იტოვებს, რაც გამოჩნდა მეფისაგან უარის



მიღების შემთხვევაში. დემეტრე მეფის პასუხში: „არა მოსრულ არიან აქა ეგვეითარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდე შენი“ (გიორგი მერჩულე 1987: 534), ერთგვარი გაბედულებაა ღმერთის მონაცვლე ხატის წინაშე ამქვეყნად, სადაც წარმოჩნდა მეფე სულიერ ცხოვრებას მოკლებულ გაამპარტავებულ პიროვნებად, რომელიც ცდილობს წმ. გრიგოლის მისიის საღვთო სიბრძნესაც ჩაუკვირდეს და საკუთარი თავიც გამოსცადოს ამ ძნელ, ჭირვეულ გზაზე. როგორც კი წმ. გრიგოლი განურისხდება დემეტრე მეფეს და პირდაპირ მოსთხოვს ძმათა გამოჩენას, ჩანს უფლის ყოვლისშემძლებლობა, მისი ღვაწლის („შრომის“) უპირატესობა საერო ხელისუფალთან შედარებით; მეფემ ეს იგრძნო და მაშინვე ბრძანა „მოყვანება ძმათა ძათ“ (გიორგი მერჩულე 1987: 534). ამ შემთხვევაშიც მეფე სასულიერო ცხოვრების უპირატესობის მორჩილი ხდება და მორჩილება, ქედის მოხრა იგივე საღვთო, წმინდა გზაზე დადგომას მოასწავებს.

ძალიან საინტერესოა წმ. გრიგოლისა და სულიერი ძმების – თევდორესა და ქრისტეფორეს შეხვედრის სცენა, რომელშიც მთელი სისავსით სულიერი ცხოვრების არსი და მადლი იკვეთება და წარმოაჩენს სულიერ მოღვაწეთა სახეებს, მათ სათნო ცხოვრებას, სიკეთით და ცრემლით აღვსილს, სინანულის განცდას რომ იტევს, ისევ საღვთო გზას რომ არ მოსწყდეს ადამიანი. „და ვითარ იხილეს მამად გრიგოლ, შეუვრდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინა და შეიტკბნა სიყვარულით და ჰმადლობდა ქრისტესა პოვნისა მათისათვის...“ (გიორგი მერჩულე 1987: 534). წმ. გრიგოლ ხანძთელის მისია უფლის მსგავსად ადამიანის განსაცდელში არმიტოვება, მოძიება და დალოცვაა. წმ. გრიგოლ ხანძთელმა კი არ მიატოვა, არამედ აფხაზეთში ჩასვლით თანადგომა და კურთხევა არ მოაკლო ძმებთან ერთად აფხაზეთის მხარეს. მეორე ასპექტითაც შეგვიძლია გავიაზროთ წმ. მამის ჩასვლა თავის ძმებთან „სხვა“ ქვეყანაში – ეს არის გზა, უფლის გზა, ეკლით, განსაცდელით მოფენილი, რომლის დაძლევა უნდა დამკვიდრდეს სიკეთე... საფიქრებელია, წმ. გრიგოლი თვლის, რომ ამ მისიის აღსრულება თევდორესა და ქრისტეფორეს გაუძნელდებოდათ, ან კიდევ სჯერა მათი შესაძლებლობის და მხოლოდ ამაში დარწმუნება სჭირდება. იგი რომ კეთილი განზრახვით არის ჩასული, ჩანს გიორგი მერჩულის ფრაზაში: „აღადგინა და შეიტკბნა სიყვარულით და ჰმადლობდა ქრისტეს...“ წმ. გრიგოლი კმაყოფილია თავისი შრომის ნაყოფის – თევდორეც და ქრისტეფორეც მის ნათელ გზას ადგანან და სულიერი მოძღვრის წმინდა საქმეებს აღრმავებენ. თევდორესა და ქრისტეფორეს გათავისებული აქვთ „უდაბნოს ვარსკვლავის“ მწყემსობა, თავისი მისია, მოინანიებენ საქციელს – გრიგოლის დაუკითხავად წასვლას და „შეუვრდეს ცრემლით“, რითაც წარმოჩნდება მათი ღრმა სულიერი ცხოვრება, სიმდაბლე, ქედის მოდრეკა უდაბნოს უპირველესი მაშენებლისა და მოძღვრის წინაშე, რაც გამოიხატა სინანულით სავსე ცრემლში, რომელიც მოინანიებასთან ერთად ცოდვის გაცნობიერების, ასევე, სიწმინდის, განწმენდის, სიკეთის მომასწავებელია. ტექსტის მიხედვით, მათ დიდი სიხარული გამოხატეს, გრიგოლს კვლავ რომ შეხვდნენ და ამით აღიარეს მასთან ერთობა-განუყოფლობა, ერთიანი, მთლიანი საქართველოს შენების სურვილი ახლაც და სამომავლოდ.

დემეტრე მეფისათვის ცხადი ხდება, რომ ქვეყნის, სახელმწიფოს აღმშენებლობისა და გაერთიანების გზაზე ეკლესია-მონასტრების

დაფუძნება უპირველესი და მნიშვნელოვანია, ამიტომ თავის ქვეყანაში წმიდა მამების ყოფნას ამ მისიის აღსასრულებლად დაუბრკოლებლად ხვდება და მამა გრიგოლს შესთავაზებს, უფრო სთხოვს, აფხაზეთში ააშენოს მონასტერი, რისთვისაც წმ. გრიგოლს უთმობს იმ ადგილებს, რომელიც მას მოეწონება სამონასტრედ: „აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და, სადაცა სიწმიდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი“ (გიორგი მერჩულე 1987: 535).

დემეტრე მეფემ და წმ. გრიგოლმა მოინახულეს ყველა ადგილი, განსაზღვრული სამონასტრედ, რომელიც, საფიქრებელია, ვრცელი სივრცის დამტევი იქნებოდა, მაგრამ უდაბნოს წინამძღვარსა და ქალაქმყოფელს, „არა სთნდა“ სამონასტრედ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ წმ. გრიგოლი უბრალოდ თავს არიდებს სახელმწიფოებრივად აფხაზეთში ეკლესია-მონასტრების აგებას, მაგრამ, ვფიქრობ, ეს თავშეკავება იმით უნდა იყოს განპირობებული, სანამ შესაფერის ადგილს არ ჰპოვებს ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების დასამკვიდრებლად. წმ. გრიგოლი აფხაზეთის მეფეს განუცხადებს: „არა არს მიწად, არცა წყალი ქვეყანასა ამას, სადამცა მონასტერი აღეშენა. რამეთუ ტალანტი მონაზონისად მარხვად არს და ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვად სულისაგან ხორშაკისა მაკვდინებელისა“ (გიორგი მერჩულე 1987: 535). წმ. გრიგოლ ხანძთელი ჯერჯერობით ვერ ხედავს სულიერი ცხოვრების წარმართვისათვის საჭირო ადგილს, სადაც არათუ ამქვეყნისაგან დაშორებული, არამედ მასთან სიახლოვით არსებული სამოღვაწეო ადგილი უნდა შეერჩიათ, სადაც ცხოვრების წყაროა დასადგურებული, ხორშაკი, უსიცოცხლო, სულის მაკვდინებელი ადგილი ვერ შეეწევა მოკვდავთ სიცოცხლეს. სავარაუდოა, უდაბნოს მოძღვარი ღმერთის განგების უწყების მოლოდინშია და შესაფერის დროსა და ადგილს ელოდება, ვინაიდან ამქვეყნიური მეუფის – დემეტრე მეფის გამორჩეული ადგილი ვერ იქნება სულის საყდარი, მიუხედავად იმისა, რომ წმ. გრიგოლს უტოვებს არჩევანს... გრიგოლ ხანძთელს წინასწარ ექნებოდა გათვლილი მონასტრის აშენება „სხვა“ ქვეყანაში, როდესაც ის ძმების მოსაძიებლად წავა აფხაზეთში, რაც გამოჩნდება უბის ეკლესიისათვის შეწირული წიგნებით, ე.ი. ის მზად მიდის შესაფერისი მისიის აღსასრულებლად, ან კიდევ, საფიქრებელია, წმ. გრიგოლს სურდა თევდორესა და ქრისტეფორეს მოემიათ სამონასტრე ადგილი და მხოლოდ მათი ძალისხმევით ყოფილიყო აგებული მონასტერი, რომელიც გამოავლენდა, ფაქტობრივად, უდაბნოს წინამძღვრის ღვაწლს მის საძმოში განხორციელებულს. ფაქტია, თევდორესა და ქრისტეფორეს წვლილი დიდია, მათ გაარღვიეს და გააფართოვეს საქართველოს სახელმწიფოებრივი სივრცე და ხელი შეუწყვეს ქვეყნის ეროვნულ მთლიანობას, რომელშიც უპირველესი როლი სულიერი კულტურის დაფუძნებას ერგო წილად.

აფხაზთა მეფე დემეტრე წმ. გრიგოლს მიმართავს თხოვნით, ეს ქვეყანაც მისი სულიერი აღმშენებლობის მოწილე, მთლიანი საქართველოს ეროვნული ერთიანობის თანაზიარი გახდეს: „არა სამართალ არს კეთილთა თქვენთაგან უნაწილობად ამის ქვეყანისად“ (გიორგი მერჩულე 1987: 535). აქ ნათლად იკვეთება დემეტრე მეფის მაღალი სახელმწიფოებრივი

აზროვნება და მასშტაბი, მისი როგორც პიროვნებისა და სახელმწიფო მოღვაწის ინტერესები, რაშიც აღნიშნულია აუცილებელი საჭიროება, რომ აფხაზეთში სულიერი ცხოვრებაც დამკვიდრდეს, გახდეს ნაწილი იმ საერთო ქვეყნისა, რომელსაც საქართველო ჰქვია. ქვეყანა, სადაც პირველივე საუკუნეებიდანვე თავს იჩენს ქრისტიანული რწმენა, უდიდესი კულტურა თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო კერებით, მწიგნობრობით, ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობითი საქმიანობით, გამორჩეული სახელმწიფოებრივი არსებობით... ეს საფუძვლები VIII-IX საუკუნეების საქართველოში ფართო მასშტაბს იძენს და საჭიროებს ვრცელ არეალში განთავსებას, რასაც მოწმობს წმ. მამების ჩასვლა აფხაზეთში და დემეტრე მეფესთან ერთად უშურველი საქმიანობის განვრცობა-გაღრმავება როგორც სულიერ-ინტელექტუალური, ასევე სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით.

აფხაზთა მეფის დემეტრეს უშუალო თანადგომითა და ინიციატივით ეკლესიის აშენების სურვილი, ჩემი აზრით, გაჩნდა დასავლეთ საქართველოს ამ მიწაზე სულიერი მამების ჩასვლის შემდეგ; უკვე მის დღის წესრიგში გარკვეულმა ცვლილებებმა იჩინა თავი, დადგა აფხაზეთის არსებობაში „სხვა“ ცხოვრების დამკვიდრების საჭიროება, ამიტომ მეფე წმ. გრიგოლს სთხოვს ეკლესიის აშენებას, რითაც მეფე აღიარებს იმას, რომ აფხაზეთი ისეთივე ნაწილია საქართველოსი, როგორც დანარჩენი, რომელსაც სულიერი აღშენებით უნდოდა გამაგრება-განმტკიცება ერთიან საქართველოს სივრცეში განსათავსებლად. ამ საქმიანობის სათავეში წმ. გრიგოლთან ერთად მეფე – ამქვეყნიური ხელმწიფე დგას, რომელსაც კარგად ესმის, რომ სულიერ-ხორციელის შეზავებით არის შესაძლებელი ქვეყნის „აღშენება“. მეფის გამორჩეულობა ჩანს წმ. მამებთან განშორების ეპიზოდში, კერძოდ, შეკითხვაზე, აფხაზეთიდან წამოსვლისას მეფე ჰკითხავს წმ. გრიგოლს, როგორი ადგილია ტაო-კლარჯეთი, წმ. გრიგოლი თავის პასუხში ასე მიმართავს მეფეს: „– ღმრთისმსახურო მეფეო...“ (გიორგი მერჩულე 1987: 535), მეფეც კი ჯერ საღვთო სიბრძნის განმასახიერებელია, ღმრთის გზაზე მდგომი და მისი სწავლების აღმსრულებელია და შემდეგ – მიწიერების მსახური.

წმ. გრიგოლიც აღარ აყოვნებს და „სარწმუნოებისაებრ მეფისა, აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბეა“ (იქვე), რომლის მამასახლისად დაადგინა იერუსალიმიდან მოსული წმიდა კაცი ილარიონი, რომელსაც თან ჰქონდა წმინდა წიგნები. აქ რამდენიმე საგულისხმო ფაქტია გასათვალისწინებელი, კერძოდ, „აღშენება“ პირდაპირი მნიშვნელობის გარდა ნიშნავს სიკეთის მოფენას, სიკეთით აღვსებას (გავიხსენოთ ამავე ნაწარმოების მიხედვით წმ. გრიგოლისადამისი დედის შეხვედრის ეპიზოდი: მამა გრიგოლმა „და აღაშენა ფრიად სანატრელი იგი მოხუცებული“ (იქვე: 570), – წერს გიორგი მერჩულე), ილარიონის, როგორც იერუსალიმიდან ჩამოსული წმ. მამის, უბედს ეკლესიის წინამძღვრად დადგინებით, ფაქტობრივად, ხაზგასმულია არა მარტო მისი განსწავლულობა და წმინდა საქმიანობა, რომ გამართლდეს მისი მამად კურთხევა ეკლესიაში, არამედ ისიც, რომ აფხაზეთის ეკლესიაც ძველი ქრისტიანული წესით იარსებებდა, ამ წყაროზე დაეფუძნებოდა და გააგრძელებდა სასულიერო

ცხოვრებას. მრავლისმეტყველია აგრეთვე წმიდა წიგნების მოხსენიება, რითაც მინიშნებულია გაშლილ მწიგნობრულ კულტურაზე, რომელმაც მოიცვა სრულიად საქართველო. ცნობილია, რომ წმინდა წიგნები ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ პირველივე საუკუნეებიდანაა საგულვეტელი, რის შესახებაც ცნობებს გვაწვდის იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“ (და არა მარტო) და ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბებული მაღალი აზროვნება ამის დამადასტურებელია. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით კი წმიდა წიგნები გამრავალფეროვნებულია, „სხვა“ ქვეყანაშიც იმკვიდრებს ადგილს, ეს კი კულტურულადაც იწვევს ქვეყნის გაერთიანებას, სულიერი ცხოვრების მასშტაბი ფართოვდება და მწიგნობრობაც ვრცელ არეალს იძენს. ამავე დროს, არა მარტო იერუსალიმიდან ჩამოტანილ წიგნებს, არამედ წმიდა გრიგოლი უბის მონასტერს შესწირავს საკუთარ წიგნებსაც, სავარაუდოდ, მეტად ქართულს. ყოველივე ამან განსაზღვრა ამ მონასტრის წმინდა ქრისტიანული რწმენისა და მწიგნობრობის კერად ჩამოყალიბება. სავარაუდოდ, სხვა წიგნებთან ერთად, წმ. გრიგოლს ექნებოდა საკუთარი ხელით დაწერილი წიგნები, რასაც სწირავს მონასტერს. წიგნები, ქრისტიანული მოძღვრების სწავლებასთან ერთად, ამავე დროს, იქნებოდა ეკლესიის ცხოვრების განმსაზღვრელი წესდება, რომელზეც უნდა დაეფუძნოს ერთიანი განგებულება და ცხოვრება საქართველოს ფარგლებში არსებული ეკლესია-მონასტრებში სულიერი ცხოვრების დამკვიდრებისათვის.

მონასტრის აშენების შემდეგ დადგა სულიერი მამებისა და აფხაზთა მეფის დემეტრეს განშორების ჟამი, რომელიც საგულისხმო შტრიხებს მოიცავს. მეფეს აინტერესებს წმიდა გრიგოლისაგან მოისმინოს სარწმუნოდ ტაო-კლარჯეთის „ქვეყნის“, საქართველოს სხვა ნაწილის, ისტორიული, კულტურული, გეოგრაფიული ვითარების გასაგებად და, რაც მთავარია, იქ არსებული ეკლესია-მონასტრებისა და, ზოგადად, ტაო-კლარჯეთში დაფუძნებული სულიერ-მატერიალური ცხოვრების შესახებ. ტაო-კლარჯეთი, გრიგოლ ხანძთელის აღწერით, „ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უკანადასათა ჟამთა დაჰჰადა იგინი მონაზონთა სამკვიდრებელად და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელად ორკერ-ძოვე...“ (გიორგი მერჩულე 1987: 556). ღმერთმა მისცა ნება მორწმუნე მეფეებს ქვეყანაში ეკლესია-მონასტრების აშენებისა და ამქვეყნიურობის მთავრად დაადგინა, რადგან ისინი შემკობილი და შემოსილი არიან საღმრთო სიბრძნით, „ხოლო სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქვეყანასა ზედა არა ვისსა ხელმწიფებასა ქვეშე არიან. ვინადგან მოჰრიდეს საშეგებელთა საწუთრომსათა ნებსით და აღირჩიეს ღმრთისათვის მწუხარებად ადგილთა გლოვისათა, მსგავსად პირველთა მათ მამათა წმიდათა, რომელთა სიგლახაკესა შინა დიდსა მყოფთა აღაშენნეს წმიდანი უდაბნონი...“ (იქვე: 557). საწუთროს განრიდებულნი მონაზონნი იგლოვენ წუთისოფლის სატანჯველს, მის წარმავლობას და ცოდვებს, ამიტომ ისინი (მონაზონნი) აშენებენ სულიერ, რწმენის საყდრებს უქმი, უსიცოცხლო ადგილის ფარგლებში ღმრთის დასამკვიდრებლად, ხოლო ხელმწიფენი ემსახურებიან მათ კეთილ საქმეებს და „თანამონაწილე იქმნებიან საფასეთა უხვად მიცემითა“, - ეუბნება წმ. გრიგოლი დემეტრე მეფეს, - ვითარცა-ესე დღეს დიდებულებამ შენმან მეფობამან განამდიდრა სიგლახაკე ჩვენი

ფრიადითა კეთილითა და ყოვლადვე მოზიარე ხარ ლოცვასა ჩვენსა თანა“ (გიორგი მერჩულე 1987: 557).

წმ. გრიგოლ ხანძთელმა აფხაზეთის „ქვეყანა“ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში განათავსა, სულიერ-სახელმწიფოებრივი თანაარსებობის საზღვრებში მოაქცია; უბის მონასტრის აღმშენებლობით ქრისტიანული რწმენის კერა დააფუძნა დასავლეთ საქართველოში, სადაც მეფე, სახელმწიფო მოღვაწე ქვეყნის მმართველობას განაგრძობს არა ცალმხრივად, არამედ როგორც სულიერი ცხოვრების თანამოზიარეც; წმ. გრიგოლ ხანძთელმა ხაზგასმით აღნიშნა მეფე დემეტრესთან საუბარში, რომ მეფის ხელისუფლება მთავარია ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე, მაგრამ უპირატესია სულიერ მოღვაწეთა, მონაზონთა საქმიანობა, რომელთა ღვაწლის გარეშე ქვეყნის გაერთიანება, განვითარება და წინსვლა კეთილისმყოფელ გზებს ვერ დასახავს.

#### დამოწმებული ლიტერატურა

- ახალი აღთქუმად 2009: ახალი აღთქუმად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით. თბილისი, 2009.
- ბარამიძე 1999: ბარამიძე რ., ეროვნული ცნობიერების საკითხი გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XX. თბილისი, 1999.
- ბარამიძე 2000: ბარამიძე რ., ზოგიერთი ქრისტელოგიური საკითხები გიორგი მერჩულეს შემოქმედებაში, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“. თბილისი, 2000.
- გიორგი მერჩულე 1987: გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, წიგნში: ქართული მწერლობა, ოცდაათ ტომად, ტ. I, თბილისი, 1987.
- გიორგი მერჩულე 1963: გიორგი მერჩულე, „შრომად და მოღვაწეზად ღირსად ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა, დამის თანა კსენებად მრავალთა მამათა ნეტართად“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1 (V-X სს.). რედ. ი. აბულაძე. თბილისი, 1963.
- ელაშვილი 1999: ელაშვილი ქ., წმინდა მამათა სახელდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XX, თბილისი, 1999.
- ნორაკიძე 1993: ნორაკიძე ვლ., „ვეფხისტყაოსნის“ გმირების პროტოტიპები ძველ ქართულ მწერლობაში, გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1993.
- სირაძე 1987: სირაძე რ., ბოლოსიტყვა, წიგნში: ქართული მწერლობა, ოცდაათ ტომად, ტ. I, თბილისი, 1987.
- სულავა 2016: სულავა ნ., წმ. გრიგოლ ხანძთელის სარწმუნოებრივი ღვაწლი და სახელმწიფოებრივი ხედვა, VII საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის (საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში) მასალები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016.

**მეგრული ლექსიკა აფხაზურში**

**Megrelian Lexicon Assimilation  
in the Abkhazian Language**

**კესო გეჯუა**

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Keso Gejua**

Saint Andrew the First-Called  
Georgian University of the  
Patriarchate of Georgia  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The Abkhazian language exhibits a rich vocabulary, consisting of a considerable number of loanwords, including a significant amount derived from the Georgian language. This article focuses on the identification and analysis of Megrelian phonetic elements observed in the Abkhazian lexicon, based on the work conducted by Prof. T. Gvantseladze in the development of the Abkhaz-Georgian dictionary. Examples of Megrelian loanwords in Abkhazian are provided, such as „a-máká“ in Abkhazian corresponding to „make“ in Megrelian, meaning „oilstone“, and „a-nüş“ in Abkhazian corresponding to „niši/nəši“ in Megrelian, meaning „boat“.

According to Prof. T. Gvantseladze, given the historical presence of Georgians in the region of contemporary Abkhazia, it is reasonable to consider fragments of Georgian languages and dialects as a linguistic substrate within the phonological system of the Abkhazian language, particularly in various semantic domains of its vocabulary. However, alternative viewpoints expressed in scientific literature propose that a similar type of vocabulary in Abkhazian may have been borrowed from Megrelian. Taking into account the notion that „apxaza/apxazi“ (Abkhazian) refers to an ancient Kartvelian inhabitant of the region, and considering the perspective that the term itself has Georgian origins (apxaza meaning „apxaš zani“ or „mountain Zani“ in Megrelian, as suggested by A. Lomtadze and R. Sherozia), it further strengthens our position that the Georgian-derived lexical units identified in the Abkhazian language represent a substrate layer in the present-day Abkhazian linguistic landscape.

Further research is required to ascertain whether the identified lexical units

persist in their current form within the Abkhazian language. If they are indeed found to be present, we can interpret them as borrowings from the Kartvelian language family.

საკვანძო სიტყვები: ქართულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობები, ქართველური ლექსიკა, სუბსტრატი აფხაზურში.

Keywords: Georgian-Abkhaz language relations, Georgian vocabulary, Substrat in Abkhazian.

აფხაზურ (აფსურ) ენაში ქართველური ლექსიკის საკმაოდ დიდი ფენა არსებობს. ამ მიმართულებით არაერთ მეცნიერს უკვლევი აფხაზური ლექსიკა და დღესაც გრძელდება (პ. ჭარაია, ნ. მარი, ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, თ. გვანცელაძე...). ჩვენის მხრივ, მასალის მოსაძიებლად დავამუშავეთ პროფ. თეიმურაზ გვანცელაძის აფხაზურ-ქართული ლექსიკონი (2019). მოვიპოვეთ არცთუ მცირე ლექსიკური ერთეული, რომლებიც საკუთრივ ქართველურ (სალიტერატურო ენის და დიალექტურ) მასალას წარმოადგენენ და ასევე, ისეთი უცხო ენის ლექსიკა, რომლებიც ქართველურის, კონკრეტულად მეგრულის გზით შევიდა აფხაზურში. სტატიაში წარმოვადგენთ აფხაზურში ფიქსირებულ მეგრული გახმოვანების რამდენიმე ქართველურ ლექსიკურ ერთეულს:

1. აფხაზ. ა-მჩა- ქასური, სალესი ქვა; ერთეულის მეგრულ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს მეგრ. მაქე „სალესი ქვა, სალესველა“ (ქობალია 2000); გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მაქური ფორმით „დანის სასრევი. დანის ქვა“ და იქვე მიგვითითებს სასრევი ერთეულისკენ, სადაც გვაწვდის სალესი ქვების სახეობათა ბუდეს: „განიყოფებიან შვიდად: სასრევი არს ქვა ჯმალთა, მანგალთა და ცელთა აღმლესველი; ხოლაზნა არს სამართებელთა და შაშართა აღმლესველი, მაქური არს დანათა და მისთანათა აღმლესველი; ხარტი არს ცულთა, წალდთა და პირ-ბლაგეთა აღმხარტველი; აფუარი არს სასრევი მრგვალი და მბრუნავი; მასათი არს ბასრისაგან, მსგავსი მაქურისა“ (ორბელიანი 1991-1993). ქეგლში (რვატომეული) ამ სემანტიკით გვაქვს ქასური ერთეული, რომელთანაც სიძველეზეა მინიშნება და ზოგადი განმარტება ახლავს: ძვ. ერთგვარი სალესავი ქვა (ქეგლ).

აკად. ქ. ლომთათიძე აფხაზ. ა-მჩა და მეგრ. მაქე-ს შორის აკეთებს შედარებას, როცა აღნიშნავს, რომ „პალატალიზებული გ ქ კ ხშულები საკუთრივ აფხაზურ ლექსიკურ ფონდში არ არის მაინცდამაინც გავრცელებული, თუმცა ძალზე ხშირად გვხვდება სხვა ენათაგან (განსაკუთრებით ქართულ-ქართველურიდან, ადიღურიდან, თურქულიდან) შესულ სიტყვათა ფუძეებში. ეს იმ შემთხვევაში, როცა მათ მოსდევს ამ ენებში ი ან ე ხმოვანი“ (ლომთათიძე 1976: 170).

2. აფხაზ. -ანგშ- მორისგან გამოთლილი მცირე ნავი, ნუშა ნავი; მეგრ. ნიში, ნეში – ნავი; ნუშა (პატარა ნავი). ონიშოლი – სანავე, ნავით გასასვლელი ალაგი მდინარეში (ჭარაია 1997). მე-ნიშოლე მენავე (ყიფშიძე 1914). ასევე, ჰიდრონიმი ნიშონი ღელეს სახელად გვხვდება ზემო გალის

ტერიტორიაზე. ამ ძირისგან ნაწარმოები სიტყვაა აფხაზურში ა-ნგშხჩა „მენავე//ნავის მწყემსი“. აკად. ქ. ლომთათიძის მიხედვით, კომპოზიტი შედგება ა-ნგშ- „ნავი“ + ახჩა „მწყემსი“ ფუძეებისაგან (ლომთათიძე 1976: 114). ავტორი ამ შემთხვევაში ა-ნგშ- ერთეულის მეგრულ ნიშ-თან შედარებაზე არ უთითებს. ვფიქრობთ, ა-ნგშ აფხაზურის ძირეული ლექსიკური ერთეული ვერ იქნება, ამ თვალსაზრისს გვიმყარებს პროფ. თ. გვანცელაძის შემდეგი დასკვნა: „აფხაზურ წარმართულ პანთეონში არ დასტურდება არც ზღვის, არც ზღვაოსნობისა და არც თევზთა მფარველი სულები თუ ღვთაებები, რაც კიდევ ერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ აფხაზთა წინაპრები შავი ზღვის სანაპიროზე არ ცხოვრობდნენ გვიანდელ შუა საუკუნეებამდე. ...აფხაზთა წინაპრების მთავარი საქმიანობა მეცხოველეობა და ნადირობა ყოფილა“ (გვანცელაძე 2011: 348). ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში ნავის ბუდეში ვხვდებით არაერთ სახეობას, რომლებსაც არნ. ჩიქობავა სამართლიანად მიიჩნევს მეგრული წარმოშობისად: „ნუშა იგივეა, რაც მეგრული ნიში („ესე ნავნი ნუშა მცირეა, ერთი ოდენ კაცი შთაიტევა, ხოლო სხვაში რომელშიმე ათი და ოცი და რომელშიმე ორმოცი და ასი და მეტი“ – ს.-ს. ორბელიანი), ოლეჰკანდერი-ც დასტურდება მეგრულ მეტყველებაში (ონჩხომელიც მეგრული ჩანს: „სათევზაოს“ ნიშნავს)“ (ქეგლ 1950: 009).

3. აფხაზ. ა-რანჯა - ხაფანგი, სარეგავი; შდრ.: მეგრ. რაგვი „ხაფანგი, დასასხლეტი მახე, კაკანათი; სარეგავი, ჯებირი, ღობე“ (ქობალია 2000). სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. სალიტ. რეგუ- ძირის კანონზომიერ შესატყვისობადაა მიჩნეული მეგრ. რაგვ- და ლაზ. რაგ- (<რაგუ-) (ფენრიხი... 2000: 381; ჩუხუა 2000-2003: 188). აღსანიშნავია, რომ მეგრულ გაბმულ მეტყველებაში ისმის უ – რაგუტი.

4. აფხაზურში საზღვრის მნიშვნელობით ფიქსირდება ა-სანძღ – საზღვარი, მიჯნა, რომელიც მეგრულ სანძღო ფუძეს იმეორებს. სანძღო „სამზღვარი“ (ჭარაია 1997). მეგრ. სა-ნძღ-ო სალიტერატურო ქართულის ზღვარ- ძირისგან ნაწარმოები სა-ზღვარ-ი სიტყვის შესატყვისია. აფხაზურში ამ შემთხვევაშიც მეგრული ვარიანტი ფიქსირდება.

5. აფხაზ. ა-უღ- 1. უღელი 2. წყვილი; მეგრ. უღუ „უღელი, უღუული უღლეული (ჭარაია 1997). ეტიმოლოგიური ანალიზისას გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სალიტ. უღ-ელ ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. უღ-უ. ფუძე-ენისათვის კი აღდგენილია \*უღ-ელ არქეტიპი“ (ფენრიხი... 2000: 454). „სპეციალურ ლიტერატურაში ადრიდანვე მიუთითებდნენ ქართველური ენებიდან სიტყვის სესხების შესაძლებლობაზე (კავკასიურ ენებში?) (ჭარაია 1912: 15), თუმცა ამ შემთხვევაში სესხებაზე საუბარი არ ჩანს გამართლებული“, – აღნიშნავს პროფ. მ. ჩუხუა, – ვინაიდან უბიხური (დაუ-გ) შებრუნებულ წყობას წარმოგვიდგენს ს.-სინდ. \*უაღუ- არქეტიპისა, ხოლო ღ-ს პალატალიზაცია ამოსავალი ძირის ლაბიალიზებულ ხასიათზე მიუთითებს (ჩუხუა 2017: 369). ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ სესხებაზე საუბარი არ არის გამართლებული, რადგან აფხაზურში ამ ქართველური წარმომავლობის ფუძის არსებობას სუბსტრატულ ფენად განვიხილავთ.



6. აფხაზ. ა-ფაცხა – ფაცხა; მეგრულ ლექსიკონებში ფაცხა „წნელის (დაწნული) სახლია“ (ჭარაია 1997). დასტურდება ლაზურშიც ფაცხა „კარავი, ფაცხა, ქოხი, პატარა სახლი“ (თანდილავა 2013). ა. ლლონტის ლექსიკონის მიხედვით, ფიქსირდება გურულშიც: ფაცხა<sup>1</sup> წნელით მოწნული უჭერ-უიატაკო, ისლით დახურული ქოხი (ღლონტი 1984). ვფიქრობთ, სიტყვა მეგრული გახმოვანებისაა (იხ. გეჯუა 2021: 202). ის ფორმოზრივ-სემანტიკურად ვერ დაშორდება ფეცხი „ფიჩხი“ სიტყვას (შდრ.: როგორც ტყებ- : ტყაბ-, ჟვერ- : ჟვარ- შემთხვევებში. მეგრულში ე : ა ხმოვანმონაცვლეობის წესი, საკითხისათვის იხ. შეროზია 2013: 368).

7. აფხაზ. ა-ჭაბ – წებო; მეგრ. ჭაბუ წებო, ჭაბუა წებვა (ჭარაია 1997). ამავე ძირისგანაა ნაწარმოები არაერთი ფორმა მეგრულში: ჭაბაკუა „ტკეპნა“, ჭაბაკანს „ტკეპნის“, ჭაბუა „დაწებვა“, ჭაბილი „დაწებილი“... სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია თვალსაზრისი სალიტ. წებ- : მეგრ.-ლაზ. ჭაბ- ძირითა ერთიანობაზე (ჩიქობავა 2008: 391; ჩუხუა 2017: 510). წებ- ძირი შეპირისპირებულია საერთოსინდურ \*ზგჳ-ა ძირთან, რაც შეფასებულია შებრუნებული წყობის ძირის წარმოჩენად ქართველურში (ჩუხუა 2017: 510). ჩანს, აფხაზურში ფორმოზრივ-სემანტიკურად მეგრული ერთეული გლინდება.

8. აფხაზ. ა-ჯარგალ – ძელური, ჯარგვალი, მეგრ. ჯარგვალ// ჯარგუალ ფუძეს შეიცავს, რომელიც შედგება ჯარგუალ კომპოზიტური ელემენტებისაგან. ამაზე მიუთითებს ი. ყიფშიძე განმარტებისას: ჯა „ხე“; ჯარგვალი მრგვალი მორების ნაგებობა (ყიფშიძე 1914). ეს მეგრული გახმოვანების სიტყვა დასტურდება სხვა დასავლურ კილოებშიც (გურ., იმერ., აჭარ.), გვხვდება ლაზურშიც მრგვალი ხის მნიშვნელობით: ჯაგვალა – მორი, ჯაგვალი – მრგვალი ხე (თანდილავა 2013). შესულია ს.-ს. ორბელიანის „ქართულ ლექსიკონშიც“: ჯარგუალი (ჯარგვალი) – ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამ-ოთხ კუთხედ მაღალი, ვიეთნი კიდობანად სახელს დებენ. ლექსიკოგრაფი შესადარებლად გვაგზავნის იმავე მნიშვნელობის ჯირგუალი\* (ნუსხებშია „ჯირგვალი“) ერთეულისკენ (ორბელიანი 1991) (იხ. გეჯუა 2021: 209). ჯარგვალი ქართველურ სივრცეში უმეტესად თავისუფალი გამოყენებისაა; შესაბამისად, ეს ეხება ამ სივრცის ნაწილ იმ ქართველურ მოსახლეობასაც, რომელიც მოიხმარდა ამ ერთეულს და დღემდე შემორჩა, უკვე როგორც სუბსტრატული ფენა.

9. აფხაზურში ა-კაკალ ერთეული იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მეგრულ მეტყველებაში: 1. მარცვალი 2. სათესლე ჯირკვალი; საგულისხმოა ისიც, რომ მეგრულში მისი დამატებითი მნიშვნელობა საუზმობა აფხაზურშიც გაჰყვება: ა-კაკალკრა – საუზმობა, წასაუზმება; კაკალ : იკუტეიტ საუზმობს. მეგრულში კაკალეობა – საუზმობა, ცოტა რისმე შეჭმა (ჭარაია 1997), შენაყრება, კაკალობა – საუზმობა, დანაყრება, საუზმის დრო, კაკალეზური – ნასაუზმევი, საკაკალო – სასაუზმე (ქობალია 2000). ამავე ძირისაა მეგრულში კაკალუა – დაფშენა, დამარცვლა, კაკლვა, კაკალერი – დაფშენილი, კაკალი – მარცვალი, კაკალია – ერთი კაკალი, ერთი ცალი.

10. აფხაზ. ა-ყალმითა – პიტნა, რომელიც მეგრულში ცუალმინთა გახმოვანებით დასტურდება. ბოტანიკურ ლექსიკონში გვხვდება

ცვალმითა//ცვალმინთა – ტყის პიტნა (მაცაშვილი 1991). ნათელია, ერთეული კომპოზიტიური წარმოებისაა: პირველი წევრი მეგრ. ცვალ-//ცტალ- ძირს უკავშირდება, მეორე კომპონენტი მინთა//მითა ძველ ბერძნულში „პიტნის“ სახელწოდებაა, თუმცა ნ. ბართაია არ გამორიცხავს, რომ „ამ ფიტონიმის სახელწოდება ძველ ბერძნულში ქართველურ ნასესხობას შეიძლება წარმოადგენდეს“ (ბართაია 2021: 47). სახელწოდებაც ცვალმინთა (ზედმიწ. ყველის პიტნა) მიგვანიშნებს, რომ მას იყენებენ რძის ნაწარმის (ყველის) შესაკაზმად, პიტნის ფოთლებით ამზადებენ გებჭალიას, ფუჭხოლიას... აღსანიშნავია, რომ აფხაზურში პიტნის აღსანიშნავად გამოიყენება მეგრული გახმოვანების ერთეული, მაშინ როცა ყველის ზოგადი სახელია აშ, აშზა – ერთი წველა ყველი, ყველის ერთი თავი.

აფხაზურში აგრეთვე ფიქსირებულია მეგრული გახმოვანების შემდეგი ლექსიკური ერთეულები: აფხაზ. ა-კაჰკუშ – ინდაური, მეგრ. კოკუში; აფხაზ. ა-კაჰაბტი – დანაყილი ნიგვზის ურწყული; 2. ძუნწი, წუწურაქი, მეგრ. კაჰაბე; აფხაზ. ა-მრთა / ა-მნთა – შვილიშვილი, მეგრ. მოთა; აფხაზ. ა-სარა-ნ-ჯ – ფიჭა, მეგრ. სარანჯი - სარაჭი, სარაჯი, გოლი, გოლეული თავლისა; აფხაზ. ა-ჭგნ – წნელი, მეგრ. ჭინი; აფხაზ. ა-ძლაბ, მეგრ. ძლაბი გოგო; აფხაზ. ა-ჯაჰაჰალ – დეკეული, მეგრული ჯაკელი, ჯაკელა – მეორე წლის ხბო, უშობელი...

როგორც პროფ. თ. გვანცელაძე მიუთითებს, ვინაიდან „თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე ქართველები სახლობდნენ, ლოგიკურია, თუ აფხაზური ენის ფონოლოგიურ სისტემაში და განსაკუთრებით ლექსიკის მრავალ დარგობრივ ჯგუფშიც რელიეფურად ჩანს დამხვედური ქართველური ენა-კილოების დანაშევრები სუბსტრატის სახით“ (გვანცელაძე 2008: 63). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სხვა თვალსაზრისის მიხედვით, მსგავსი ტიპის ლექსიკა აფხაზურში მეგრულიდან ნასესხობას წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზა//აფხაზი ძველი ქართველური მოსახლეა ამ ტერიტორიაზე და თვით ტერმინის ქართველურ წარმომავლობასთან გამოთქმულ თვალსაზრისსაც გავიზიარებთ (აფხაზა - „აფხაშ ზანი“ მთის ზანი, მეგრელი; იხ. ლომთაძე... 2002: 257), გამყარდება ჩვენი პოზიცია, რომ აფხაზურში ფიქსირებული ქართველური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები სუბსტრატულ ფენას წარმოადგენენ დღევანდელ აფხაზურ ენაში. მომავლის საკვლევი თემაა, წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები აფხაზურში ამ ფორმით გვხვდება თუ არა. თუ ასეა, მაშინ ისინი უნდა შევაფასოთ როგორც ქართველურიდან ნასესხობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

ბართაია 2021: ბართაია ნ., სპარსულიდან შემოსულ აღმოსავლურ თემატურ ნასესხობათა შესახებ ქართულში, თბილისი, 2021.

გეჯუა 2021: გეჯუა კ., მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი, თბილისი, 2021.

- გვანცელაძე 2019: გვანცელაძე თ., აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2019.
- გვანცელაძე 2011: გვანცელაძე თ., აფხაზური ენა – სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი, 2011.
- გვანცელაძე 2008: გვანცელაძე თ., აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, თბილისი, 2008.
- თანდილავა 2013: თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013.
- ლომთათიძე 1976: ლომთათიძე ქ., აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი, 1976.
- ლომთაძე... 2002: ლომთაძე ა., შეროზია რ., ეთნონიმ აფხაზის ეტიმოლოგიასა და ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები; კრებ. საისტორიო მტუდიები, საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო შრომათა კრებული, III, 2002.
- მაყაშვილი 1991: მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1991.
- ორბელიანი 1991-1993: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, თბილისი, ტ. I – 1991, ტ. II – 1993.
- ფენრიხი 2000: ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
- ქეგლი 1950-1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული. მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა. თბილისი, 1950-1964.
- ქობალია 2010: ქობალია ა., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2010.
- ღლონტი 1984: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.
- ყიფშიძე 1914: ყიფშიძე ი., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.ПБ., 1914: წიგნში: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებები, თბილისი, 1994.
- შეროზია 2013: შეროზია რ., ქართველური ეტიმოლოგიური მასალისათვის X, ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, XVII, ქუთაისი, 2013.
- ჩიქობავა 2008: ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938; წიგნში: შრომები, IV, თბილისი, 2008.
- ჩუხუა 2000-2003: ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.
- ჩუხუა 2017: ჩუხუა მ., ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი (მასალები იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის), თბილისი, 2017.
- ჭარაია 1997: ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი თბილისი, 1997.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6972>

**ბერძნები და ბერძნული ენა აფხაზეთის ასსრ-ში  
(XX საუკუნის 20–30-იანი წლები)**

**The Presence of Greeks and the Greek Language in the  
Abkhazian Autonomous Soviet Socialist Republic  
(20th-30th Century)**

**გვანტა გვანტელაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Gvantsa Gvantseladze**  
Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

This study represents the first attempt in the Georgian language to analyze the fundamental aspects of the presence of Pontic Greeks and the usage of the Greek language across various domains during the 20th-30th century, after their relocation from Ottoman Turkey to Abkhazia in 1867. The research draws upon documents preserved in the Georgian archives and information obtained from scholarly literature.

The establishment of the new Greek diaspora in Abkhazia transpired following the dissolution of the Abkhazian Principality in 1864, which resulted in the mass deportation of Abkhazians to Ottoman Turkey. The inaugural Greek settlement, known as „Pervinka“ (meaning „firstborn“ in Russian), was founded in 1868. Greek resettlement from Ottoman Turkey to Abkhazia continued until 1921. During the 20th-30th century, the Greek population in Abkhazia ranked third in number, following the Abkhazians and Georgians. The majority of Greeks did not possess Soviet Union citizenship, a pretext employed by the communist regime to justify their deportation in 1938, 1942, 1944, and 1949. Allegations ranged from anti-Soviet sentiments and suspicions of espionage on behalf of Greece, Germany, England, and Japan, to refusal to comply with communist reforms. However, these deportations were fundamentally driven by military-strategic considerations. The year 1938 witnessed widespread anti-Soviet sentiments and an upsurge in foreign espionage activities. In 1942 and 1944, sympathy towards

Germany was added to the previous accusations. The 1949 deportation stemmed from the Soviet Union's preparations for war against Turkey and its opposition to the newly formed NATO. Due to a lack of trust, the coastal Greek population was deemed potentially disloyal in the event of a conflict with Turkey or NATO.

The Greeks residing in Abkhazia predominantly spoke the Pontic dialect of the Greek language, which markedly differed from other dialects. The communist regime initially planned to establish schools with Greek as the language of instruction. However, artificial barriers were imposed, and the so-called Greek schools initially conducted classes in the mother tongue, only to be replaced by the Russian language at a later stage. Greek textbooks were compiled and published in Rostov, but their availability was limited, resulting in some schools lacking adequate resources. Eventually, these schools transitioned to using Russian as the primary language. Textbooks brought from Greece for the second stage of education were rejected by a special commission for ideological reasons. Consequently, Russian became the medium of instruction during the second stage of education. Furthermore, most lectures at the Greek Pedagogical College in Sokhumi were delivered in Russian, and education at the Sokhumi Pedagogical Institute, across all disciplines, also took place in Russian.

During this period, a Greek language newspaper and a Russian literary newspaper with a Greek supplement were briefly published. Additionally, a Greek theater existed; however, in 1938, the publication of the newspaper and its supplement was terminated, and the Greek theater was closed. Therefore, while verbal assurances suggested the development of the Greek ethnic diaspora and the preservation of their linguistic rights in Abkhazia, the reality witnessed a policy of Russification and extensive discrimination against the Greek population, including loss of life.

**საკვანძო სიტყვები:** ბერძნები აფხაზეთში, პონტოელი ბერძნები აფხაზეთში, ბერძნული ენა აფხაზეთის ასსრ-ში, ბერძენთა დეპორტაციები

**Keywords:** Greeks in Abkhazia, Ponto Greeks in Abkhazia, Greek language in the Abkhazian ASSR, Greek deportations.

ნაშრომში პირველად ქართულად გაანალიზებულია XX საუკუნის 20-30-იან წლების აფხაზეთში 1867 წლის შემდგომ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ ბერძენთა ცხოვრების ძირითადი ასპექტები და ბერძნული ენის ფუნქციონირება სხვადასხვა სფეროში. გამოვიყენეთ საქართველოს არქივში დაცული ზოგი დოკუმენტი და სამეცნიერო ლიტერატურა.

\*\*\*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბერძენთა პირველი დასახლებები გაჩნდა გვიანანტიკურ პერიოდში (გიორგაძე

2017: 10-11). შუა საუკუნეებში აქ ბერძენთა დასახლებები აღარ ჩანს. ახალბერძნული მასა აფხაზეთში გამოჩნდა რუსეთის იმპერიის მიერ 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდგომ, უპირატესად 1867 და 1877-1880 წლებში. ამ დროს რუსეთმა და ოსმალეთმა გაცვალეს მოსახლეობა: რუსებმა აფხაზეთში ოსმალეთიდან მოიყვანეს მათთვის სანდო პონტოელი ბერძნები და სომხები, ხოლო ოსმალეთმა მიიღო აფსუები (მუჰაჯირები). ბერძნები აფხაზეთში დასახლდნენ აფსუათა ნასოფლარებში, ანდა შექმნეს ახალი დასახლებები. მოგვიანებით ისინი განსახლდნენ დაბა-ქალაქებშიც. მაგალითად, აფხაზეთში პირველი ბერძნული ახალშენი იყო პერვინკა (რუს. „პირველი, პირმო“), რომელიც 1868 წელს დაარსდა, როცა ოსმალეთიდან მოყვანილი 20 ბერძნული კომლი დაასახლეს ამ ადგილას (გვანცელაძე... 2021: 32). შემდგომში ბერძნული ახალშენები გაჩნდა ამჟამინდელი სოხუმის, გულრიფშისა და ნაწილობრივ გაგრის რაიონების ტერიტორიაზე. მათ უმრავლესობას რუსული სახელწოდებები დაერქვა (იქვე: 176-177).

საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს დაპყრობის დროს ბერძენთა შედარებით კომპაქტური დასახლებები არსებობდა აჭარაში, აფხაზეთში, თრიალეთსა და ქვემო ქართლში. მათგან ბერძნულენოვანნი იყვნენ პონტოელი<sup>1</sup> ბერძნები (ბერძნ. Πόντιοι, Έλληνοπόντιοι), რომლებიც ცხოვრობდნენ აჭარაში, აფხაზეთში, ქვემო ქართლსა და ნაწილობრივ თრიალეთში, ხოლო იმავე თრიალეთში მცხოვრები ბერძნების მეორე ნაწილი, ანუ ურუმები (თურქ. Urumlar // Rumlar) ლაპარაკობდნენ თურქულად. პონტოელთა ბერძნული მეტყველება ძალზე განსხვავდება ბერძნული სამწიგნობრო ენისაგანაც და მისი სხვა დიალექტებისგანაც. ბერძენთა ორივე სუბეთნიკური ჯგუფი ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ.

სოხუმის ოლქში ბერძნების რაოდენობა 1887 წელს იყო 2 000-ზე მეტი კაცი (მოსახლეობის 3%), ხოლო 1897 წელს – 5 400 კაცი (5%). ბერძენთა რაოდენობა ბევრად გაიზარდა პირველი მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ, როცა თურქთა აგრესიისაგან თავდასაცავად ისინი საქართველოში შემოდიოდნენ. 1926 წლის აღწერის დროს აფხაზეთის მაზრების მიხედვით ისინი ასე ნაწილდებოდნენ: სოხუმის მაზრა – 12 829 პირი; გალის მაზრა – 0; გულდაუთის მაზრა – 526; კოდორის მაზრა – 36 პირი; გაგრის მაზრა – 89 პირი (ლექავა 1989: 16-20). შენიშვნა: გაგრის მაზრაში იმ დროს მხოლოდ გაგრა და 5 სოფელი შედიოდა. ამრიგად, 1926 წელს ბერძენთა რაოდენობა აფხაზეთში 13 480 კაცი გამოდის, მაგრამ ამ მონაცემებისაგან მკვეთრად განსხვავდება 1926 წლის აღწერის სხვა მონაცემები, რომელიც, თავის მხრივ, დიდ სხვაობას გვიჩვენებს ბერძენთა ეთნიკური იდენტობისა და ენობრივი კუთვნილების თვალსაზრისითაც: გამოქვეყნებულ მასალებში ბერძნად აღრიცხულია 14 045 კაცი, ხოლო ბერძნული ენის მცოდნედ თითქმის ორჯერ, 11 574 კაცით მეტი – 25 619 კაცი (მოსახლეობის აღწერა 1928: 125). ვვარაუდობთ, რომ ეთნიკურობის აღრიცხვისას არ მიათვალეს საბჭოთა

<sup>1</sup> პონტო ეწოდება შავი ზღვის სამხრეთ ნაპირის შუა ნაწილში, ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას თურქეთის რესპუბლიკაში.

კავშირის მოქალაქეობის უქონელი ბერძნები (ახალი მიგრანტები).

აქ აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ საკვლევი პერიოდის ზოგადი პოლიტიკური ვითარებაც და ენობრივი პოლიტიკაც.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე რუსულმა რეჟიმმა მთავარი ყურადღება გადაიტანა შემდეგ კარდინალურ საკითხებზე:

- დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის არისტოკრატიის, ინტელიგენციის, ბურჟუაზიისა და სასულიერო ფენის მოსპობა;

- მუშათა და გლეხთა დარწმუნება იმაში, ვითომდა ახალი პოლიტიკური წყობა შეუქმნიდა მათ იდეალურ პირობებს სახელმწიფოს სამართავად და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად;

- არაქართული უმცირესობების დარწმუნება იმაში, თითქოს წარსულში მათი მთავარი მტრები მათივე ეროვნების „ბოზოლებთან“ ერთად „შოვინისტი“ ქართველები იყვნენ;

- უმცირესობათა უფლებების გაზრდის იმიტაციით ურთიერთობის დაძაბვა, ერთი მხრივ, თვით ამ უმცირესობათა ჯგუფებს შორის და, მეორე მხრივ, მათსა და ქართულ მოსახლეობას შორის (მართვადი ქაოსის პრინციპი);

- ახალი თაობების აღზრდა ანტიეროვნული სულისკვეთებით;

- ყველა ეროვნების შერწყმა და გარუსება...

თქმული ეხებოდა ბერძნებსაც და ქართულ-აფხაზურ-ბერძნულ ურთიერთობებსაც.

არსებითია ისიც, რომ საქართველოს ბერძნული დიასპორა იყო ის ეთნიკური ჯგუფი, რომლის ისტორიული სამშობლო მდებარეობდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ და იმ ქვეყანაში არსებობდა კომუნისტებისათვის საძულველი პოლიტიკური წყობა. კომუნისტებს სჯეროდათ, რომ საბერძნეთს საბჭოთა კავშირში ჰქონდა თავისი აგენტურა, რომელიც ადრე თუ გვიან მტრულ აქციებსაც გამართავდა. გარდა ამისა, ბერძენთა შორის ბევრი იყვნენ მოქალაქეობის უქონელი პირებიც. ეს წარმოქმნიდა უნდობლობას ბერძენთა მიმართ.

პონტოური ბერძნული დიალექტი აფხაზეთში თითქმის ყველა ბერძენმა იცოდა, მაგრამ წერა-კითხვა ბევრს არ შეეძლო. ბერძნული სოფლის გარეთ ამ ენას ვერ იყენებდნენ საქმისწარმოებაში, სავაჭრო და პირად ურთიერთობებში. ამიტომ ეს ენა პრაქტიკულად მონოეთნიკურ გარემოშიღა ფუნქციობდა.

20-იან წლებში საქართველოში ბერძნებისათვის გაიხსნა 66 ბერძნული სკოლა, მათ შორის იქაც კი, სადაც ბერძნების (ურუმების) დედაენა უკვე თურქული იყო (ჭაავა 2021: 99-100, 102, 107...). აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის ანდრეი ჭოჭუას ცნობით, 1920 წელს აფხაზეთში იყო 18 ბერძნული სკოლა, რომლებშიც სწავლობდა 1 115 მოსწავლე და მუშაობდა 24 ბერძენი მასწავლებელი. 1927-1928 სასწავლო წელს აქ უკვე იყო 54 ბერძნული სკოლა, მაგრამ რაკი არ კმაროდა ბერძნული სახელმძღვანელოები,

იმდროინდელი პრაქტიკის გათვალისწინებით ივარაუდება, რომ ბერძნულ, აფხაზურ და სომხურ სკოლებში სწავლების ენად რუსული გახდებოდა (ჭაავა 2021: 185-187). 1928 წლის მაისში დონის როსტოვში ჩატარდა თათბირი ბერძნული ენის სწავლების საკითხებზე. მას აფხაზეთიდან 3 მასწავლებელი დასწრებია. თათბირზე პედაგოგებს გააცნეს ბერძნული ენის ორთოგრაფიის რეფორმა, რაც გულისხმობდა წერის დაახლოებას ხალხურ მეტყველებასთან – დიმოტიკა-სთან. რეფორმამ ბერძენთა დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია – დახვეწილი ბერძნული სამწიგნობრო ენის შეცვლა ხალხურ ზეპირმეტყველებაზე დაფუძნებულ ვარიანტზე დედანის შერყვნად იქნა აღქმული. ვფიქრობთ, უპირატესად სამხრეთ უკრაინაში, კრასნოდარში, სტავროპოლსა და საქართველოში მცხოვრებმა ბერძენებმა ეს რეფორმა ლოგიკურად მიიჩნიეს საბერძნეთისაგან, დანარჩენი ბერძენი ხალხისაგან, ბერძნული ეკლესიისა და კულტურისაგან მოწყვეტის უხეშ მცდელობად. რეჟიმმა ეს კანონიერი უკმაყოფილება უმაღვე კლასობრივ ბრძოლად და იდეურ დივერსიად მონათლა. როსტოვში დაბეჭდილი დაწყებითი კლასების ახალი სახელმძღვანელოები ვერ გასწვდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს (ჭაავა 2021: 196-197). ვვარაუდობთ, რომ წიგნების ნაკლებობის პრობლემა შესაბამის სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების გადაყვანით „გადაწყდებოდა“.

უფრო ადრე, 1926 წელს, საბერძნეთში შეისყიდეს სკოლის მეორე საფეხურის სახელმძღვანელოები. ამ წიგნების შინაარსი ჯერ კომისიამ შეამოწმა იდეოლოგიური თვალსაზრისით და დაასკვნა, რომ მათი შეტანა სკოლებში დაუშვებელი იყო ბურჟუაზიული შინაარსის გამო. დაწუნებული წიგნები გაანადგურეს (ჭაავა 2021: 198), სკოლებს კი სახელმძღვანელოები ისევ არ ჰქონდათ და რუსულად ასწავლიდნენ. ჩანს, მიზანიც ეს იყო.

კომუნისტებმა 20-იან წლებში შემოიღეს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოები, რომლებიც უნდა შექმნილიყო უკლებლივ ყველა მმართველ უწყებაში, ხოლო მათი რეკომენდაციები უნდა გათვალისწინებულიყო. 1927 წლის 17 მარტს აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკ-მა) შექმნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომლის წევრი ბერძენი სემერჯიევი გახდა (იოანიდი 1990: 37). ამ საბჭოების უმთავრეს საქმედ უმცირესობათა უფლებების დაცვა ცხადდებოდა, მაგრამ პრაქტიკულად თანამდებობებზე ეთნიკური ნიშნით პირთა დასმას და უმცირესობათა ურთიერთდაპირისპირების გაღვივებასაც გულისხმობდა, ვიდრე პროფესიონალიზმის პრიორიტეტს. აქვე დავძენთ, რომ ზნეობისა და პროფესიონალიზმის სანაცვლოდ ეთნიკურობის ნიშნის წინ წამოწევამ სარგებელი არც უმცირესობებს მოუტანა და არც უმრავლესობებს, ეთნიკური ურთიერთობები კი ყველგან გაამწვავა.

მიუზბრუნდეთ ენობრივ საკითხებს. 30-იან წლებში წინა ათწლეულში დაწყებული ანბანთა ლათინიზაციის მასობრივი პროცესი ბერძნულ ენას არ შეუხებია. ეს ენა ამ მხრივ იშვიათი და თითქმის სასწაულებრივი გამონაკლისი იყო. ეს ალბათ იმან განსაზღვრა, რომ ბერძნულ დამწერლობას მინიმუმ



29-საუკუნოვანი ტრადიცია უმყარებდა პოზიციას.

ბერძნული სკოლები აფხაზეთში მოქმედებდა 1938 წლამდე (იოანიდი 1990: 44). მათში სწავლება ბერძნულად მხოლოდ დაწყებით კლასებში მიმდინარეობდა. 1927 წელს ქ. სოხუმში გაიხსნა ქართული, ბერძნული და სომხური პედაგოგიური ტექნიკუმები (აფხაზური წინა წელს დაარსდა), რომლებიც სკოლის მასწავლებლებს ამზადებდნენ (იოანიდი 1990: 44). ამ „ეროვნულ“ ტექნიკუმებში სწავლების ენა უმთავრესად რუსული იყო, ხოლო დედაენას კვირაში 4-5 საათი ეთმობოდა (გვანცელაძე... 2021: 102-103). ბერძნული ტექნიკუმის კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი 1930 წელს გამოუშვეს. იგი დაიხურა 1938 წელს.

როგორც ცნობილია, კომუნისტური რეჟიმი თავიდანვე განსაკუთრებულ როლს აკისრებდა ე.წ. შრომის სკოლას. მას წამყვანი როლი უნდა შეესრულებინა „ახალი ადამიანების“ აღზრდაში, რაც შემდეგს გულისხმობდა: მოსწავლე უნდა ქცეულიყო ახალი ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის მებრძოლად; იგი არ უნდა შეჰგუებოდა კლასობრივ-სოციალურ ჩაგვრას; არ უნდა ეღიარებინა არცერთი რელიგია და უნდა ეწამა მხოლოდ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის იდეები; წარსული უნდა შეეფასებინა როგორც ბნელი, ნათელ მომავლად კი მხოლოდ სოციალისტური წყობა უნდა დაესახა; პირადი საკუთრების ქონა ბოროტებაა; უნდა ცხოვრობდე ისევე, როგორც ყველა ცხოვრობს; სიმდიდრის ფლობა დანაშაულია; ჭეშმარიტება მხოლოდ კომუნისტი ბელადების მოძღვრებაა... ამ „იდეალების“ დანერგვა მიიჩნეოდა სკოლის მოვალეობად და სახელმძღვანელოებიც ამ განწყობით იწერებოდა. ამიტომ ნებისმიერ ენაზე გამოცემული ყველა სახელმძღვანელო უინტერესო, მდარე და ნაძალადევი იყო, პოლიტიზებული ენობრივი კლიშეების სიჭარბე ხელს აღებინებდა მოსწავლეს კითხვისა და სწავლისაგან. თქმული ეხებოდა მხატვრულ ლიტერატურასაც.

1932 წელს დაარსდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. მასშიც სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა (გვანცელაძე... 2021: 105). 1935 წელს ინსტიტუტს 67 ბერძენი სტუდენტი ჰყავდა, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 17%-ს შეადგენდა (იოანიდი 1990: 48).

1932 წელს დაარსდა ბერძნული გაზეთი „კოკინოს კაპნას“ („წითელი მეთამბაქოე“), რომელსაც მალე ეწოდა „კომმუნისტის“. იგი ვრცელდებოდა აფხაზეთის ფარგლებს გარეთაც. გაზეთის გამოცემა შეწყდა 1938 წლის 1 ოქტომბრიდან და აღარასოდეს აღდგენილა (იოანიდი 1990: 45-46). 1930-1933 წლებში სოხუმში იბეჭდებოდა აფხაზეთის მწერალთა კავშირის ორგანო „ლიტერატურნაია აბხაზია“, რომელიც ძირითადად რუსულენოვანი იყო, მაგრამ ჰქონდა ჩანართები აფხაზურ, ქართულ, ბერძნულ და სომხურ ენებზე (იქვე: 45). იგი დაიხურა მკითხველთა სიმცირის მოტივით.

ბერძნული თეატრალური დასი არსებობდა XX საუკუნის 10-იანი წლებიდან. კომუნისტებამდე შექმნილი ბერძნული და სომხური თეატრალური დასები 1931 წელს გადაიყვანეს სახელმწიფო ბიუჯეტზე,

მაგრამ ბერძნული დასი 1938 წელს დაიხურა (იოანიდი 1990: 47).

კომუნისტები 20-იანი წლებიდან აგროვებდნენ ბერძნული მოსახლეობისადმი წასაყენებელ ბრალდებებს: ბევრნი არიან საბერძნეთის მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე ბერძნები; არ სურთ ენის რეფორმა; ყოველგვარ გარდაქმნებს შეკლებული ბერძნები ეწინააღმდეგებიან და სხვებს აქეზებენ; არ სურთ რუსულად განათლების მიღებაო. 1931 წელს შედგენილი დოკუმენტიდან ცხადად ჩანს, რომ, ერთი მხრივ, ბერძნები უკმაყოფილონი ყოფილან მოძალადე რეჟიმით და არ ფარავდნენ ამას და, მეორე მხრივ, მათ მართლა სურდათ საბერძნეთში გადასახლება (შსსა, ფ. 14). ორივე მომენტი კომუნისტებს უდიდეს დანაშაულად მიაჩნდათ. აფხაზეთის ასსრ არქივის ყოფილი დირექტორი, ბერძენი ნ. იოანიდიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთში უკვე 50-60 წლის განმავლობაში მცხოვრები ბერძნები კი აქაურობას თავის სამშობლოდ ვერ აღიქვამდნენ. მათთვის ეს მხარე დროებითი საცხოვრისი იყო და ნატრობდნენ საბერძნეთში ემიგრირებას. ამიტომ 20-30-იანი წლების მიჯნაზე აფხაზეთში დაწყებულ საბერძნეთის მოქალაქეებად მასობრივი ჩაწერა. ზოგი ფუნქციონერიც (ჩვენი ვარაუდით, ეთნიკური აფხაზები) ემუქრებოდა ბერძნებს, თუ საბერძნეთის მოქალაქეებად არ ჩაეწერებოდა, მალე შემოვა ბერძნული გემი და ძალით გაგიშვებთ საბერძნეთშიო (იოანიდი 1990: 39-40). ცხადია, საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე უარის თქმა და არაკომუნისტური საბერძნეთისკენ ცქერა ცოდვად ჩაეთვლებოდა ყველა ბერძენს. ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ აფხაზეთში 20-იანი წლების მეორე ნახევარში ბერძენთა არანაკლებ ერთ მესამედს არ ჰქონდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა (იოანიდი 1990: 36). ბერძენთა წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს უეჭველად დაემატებოდა მათი უკმაყოფილება თანამომძე მრეწველთა, სამღვდელოების, ინტელიგენციის განადგურების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალდატანებით გაერთიანების, მიწების ჩამორთმევის, საბერძნეთში გადასახლების აკრძალვის გამო. ამდენი „დანაშაული“ ბერძნებს უდავოდ გადააქცევდა მასობრივ დამნაშავეთა პირველ კატეგორიად. ჩაუდენელი „დანაშაულის“ გამო სასჯელმაც არ დააყოვნა.

ბერძნული დიასპორა იყო აფხაზეთში პირველი, ხოლო საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ეთნიკური ჯგუფი, ვის მიმართაც რეპრესიები ეთნიკური ნიშნით განხორციელდა.

ჯერ კიდევ 20-იან წლებში საბჭოთა ბერძნების უმრავლესობა ითხოვდა საბერძნეთში გადასახლების ნებართვას, მაგრამ მაშინ საბერძნეთის ხელისუფლებამ უარი თქვა მათ მიღებაზე იმიტომ, რომ დააფრთხო მიგრანტთა მიერ კომუნისტური იდეოლოგიის მასობრივად გავრცელებისა და კლასობრივი ბრძოლის იმპორტის აღბათობამ. მეორე მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ბერძნულ ხელისუფლებას არ სურდა იმ დროს საბჭოთა კავშირთან დადებული მისთვის სასარგებლო სავაჭრო ხელშეკრულების გაწყვეტა.

როცა 1935 წელს საბერძნეთში აღდგა მონარქია, ხოლო 1936 წელს პრემიერ-მინისტრი გახდა გენერალი იოანის მეტაქსასი, რომელმაც აკრძალა საბერძნეთის კომუნისტური პარტია, ბოლშევიკებმა უმაღლვე გაიხსენეს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ბერძენთა „ცოდვებიც“ და სასჯელიც დაატეხეს თავს სრულიად უდანაშაულო ადამიანებს:

1937 წლის 11 დეკემბერს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ნიკოლაი ეჟოვმა ხელი მოაწერა N 50215 დირექტივას, რომლის პრეამბულაში აღინიშნება, თითქოსდა საბჭოთა კავშირში ინგლისური, გერმანული და იაპონური დაზვერვის სასარგებლოდ გააქტიურდა საბერძნეთის დაზვერვა და სააჯანყებო საქმიანობა. უცხოეთის აგენტები თურმე ეწეოდნენ ნაციონალისტურ ანტისაბჭოთა აგიტაციას შეძლებულ ბერძენთა შორის. ამ „დივერსანტებისა და ჯაშუშთა“ ალაგმვის მიზნით ეჟოვი ბრძანებდა 5 დღეში მთელ საბჭოთა კავშირში დაეპატიმრებინათ ყველა ექვმიტანილი ბერძენი. ბერძნებისაგან უნდა „გაწმენდილიყო“ სამხედრო და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ობიექტები (დირექტივა N 50215, 1937). ოპერაცია უნდა დასრულებულიყო 1937 წლის 18 დეკემბერს, მაგრამ, ჩანს, იგი ვერ დასრულდა, რის გამოც სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1938 წლის 31 იანვარს გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც სსრკ შინსახკომს ნება დაერთო, 1938 წლის 15 აპრილამდე განეგრძო პოლონური, ლატვიური, გერმანული, ესტონური, ფინური, ბერძნული, ირანული, ხარბინულ-ჩინური და რუმინული ჯგუფების „განადგურება“ (პოლიტბიუროს გადაწყვეტილება 1938).

სამწუხაროდ, რუსულ-კომუნისტური რეჟიმის ავადმყოფურ ახირებას სხვადასხვა ეროვნების ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. საბერძნეთის ხელისუფლებამ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში ამ ქვეყნის ჩართვამდე (ე.ი. 1940 წლამდე) ცოტა ხნით ადრე ბათუმსა და სოხუმში გამოგზავნა გემები, რათა საბერძნეთში გადაეყვანათ საქართველოსა და კრასნოდარის მხარეში მცხოვრები ბერძნები. სწორედ ეს ამბავია ფრაგმენტულად ასახული ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „Hellados-ში“.

რაც შეეხება იმ ბერძნებს, ვინც დარჩა აფხაზეთში საცხოვრებლად, მათ 1942, 1944 და 1949 წლებში გამოსცადეს დეპორტაციის მთელი სიმწარე, როცა მასობრივად გაასახლეს ციმბირსა და ყაზახეთში. მათი უმრავლესობა უკან არ დაბრუნებულა. 40-იანი წლების დეპორტაციებს ერთმანეთის მსგავსი საფუძველი დაუძებნეს კომუნისტებმა:

1942 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სამხრეთ უკრაინასა და ყირიმში მიმდინარე ბრძოლების დროს გერმანული არმიის წარმატება და ამ ტერიტორიების დაპყრობა დაჰბრალდათ ყირიმელ თათრებს, ბერძნებს, ბულგარელებსა და სომხებს, რომელთა დიდ ნაწილს ალბათ არ ჰქონდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა. ამიტომ როცა 1942 წელს გერმანელები მოუახლოვდნენ აფხაზეთს, სსრკ ხელმძღვანელობამ და კერძოდ, შინსახკომმა მასობრივად განდევნა ბერძენთა დიდი ნაწილი აფხაზეთიდან და აჭარიდან – ზღვისპირას მცხოვრები ეს დიასპორა მას სანდოდ არ

მიაჩნდა და სწორედ სამხედრო-სტრატეგიულმა ფაქტორმა გამოიწვია ბერძნების მეორე მასობრივი გაძევება შუა აზიაში.

1944 წელს გერმანული ჯარისაგან ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის განთავისუფლების შემდეგაც კომუნისტებმა ღალატის გამოგონილი ბრალდებით შუა აზიაში გააძევეს ყარაჩაელ-ბალყარელები, ჩეჩნები, ინგუშები, ყირიმელი თათრები, ბერძნები, ბულგარელები და სომხები. ჩვენ ხელთ გვაქვს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 2 ივნისის N 5984სს დადგენილება, რომელშიც წერია (თარგმანი ჩვენია – გ.გ.): „დაევალოს შინსახკომს (ამხანაგ ბერიას), თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 11 მაისის N 5859cc დადგენილების მიხედვით ყირიმის ასსრ-ს ტერიტორიიდან ყირიმელ თათართა გასახლებას დაუმატოს გერმანელთა დამხმარე 37 000 ბულგარელის, ბერძნისა და სომხის გასახლება“. მართალია, აქ არ იხსენიებიან აფხაზეთის მცხოვრები ბერძნები, მაგრამ მათი ნაწილის დეპორტაცია ფაქტია. ეს დეპორტაციაც გერმანული და თურქული (თურქეთის ომში ჩართვის შემთხვევაში) დესანტის აფხაზეთში გადმოსხმის დროს სამხედრო უსაფრთხოების გაზრდის პრევენციად უნდა შეფასდეს. მეოთხე დეპორტაცია ბერძნებს უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს დაატყდა თავს.

ბერძენთა ოთხივე დეპორტაციას საბერძნეთში რეპატრირებული ზოგი ბერძენი ავტორი და რუსული ვიკიპედია მთლიანად ქართველებს აბრალებენ. აი, რას წერს ვიკიპედია (თარგმანი ჩვენია – გ.გ.):

„აფხაზეთიდან დეპორტაციის მიზეზი „სახალხო-სამეურნეოა“. ეს ცხადი ხდება გადასახლებისათვის მზადების მასალათა გაცნობისას, ასევე მათ (დეპორტაციათა – გ.გ.) შემდგომ მაშინვე მომხდარი ამბებიდან. საქართველოს სსრ-ს სატიტულო ერის (ე.ი. ქართველების – გ.გ.) გაზრდილი ინტერესი რესპუბლიკის ზღვისპირა პრესტიჟული ტერიტორიებისადმი ეჯახებოდა დაბრკოლებას: მრავალი სანუკვარი ადგილი უკვე დაკავებული იყო“ (იხ.: [https://ru.wikipedia.org/i/%D0%94%D0%B5%D0%BF%D0%BE%D1%80%D1%82%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F\\_%D0%B3%D1%80%D0%B5%D0%BA%D0%BE%D0%B2\\_%D0%B2\\_%D0%A1%D0%A1%D0%A0#:~:text=%D0%92%201942%2C%201944%20%D0%B8%201949,%D0%B2%20%D0%A1%D0%B8%D0%B1%D0%B8%D1%80%D1%8C%20%D0%B8%20%D0%BA%D0%B0%D0%B7%D0%B0%D1%85%D1%81%D1%82%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B5%20%D1%81%D1%82%D0%B5%D0%BF%D0%B8.](https://ru.wikipedia.org/i/%D0%94%D0%B5%D0%BF%D0%BE%D1%80%D1%82%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F_%D0%B3%D1%80%D0%B5%D0%BA%D0%BE%D0%B2_%D0%B2_%D0%A1%D0%A1%D0%A0#:~:text=%D0%92%201942%2C%201944%20%D0%B8%201949,%D0%B2%20%D0%A1%D0%B8%D0%B1%D0%B8%D1%80%D1%8C%20%D0%B8%20%D0%BA%D0%B0%D0%B7%D0%B0%D1%85%D1%81%D1%82%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B5%20%D1%81%D1%82%D0%B5%D0%BF%D0%B8.)). ამ ტექსტის ავტორი მოცემულ ვარაუდს მიაწერს ამერიკელ მკვლევარს ჯ. ოტო პოლს (J. Otto Pohl) და იმოწმებს მის წიგნს „ეთნიკური წმენდა სსრკ-ში (1937-1944)“, 1999: 119, რომლის ნაშრომი, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ. მიგვაჩნია, რომ ეს დასკვნა არ შეეფერება სინამდვილეს. საქმე ისაა, რომ 1949 წლის დეპორტაციაც ისევე, როგორც წინა სამი დეპორტაცია, კვლავ განპირობებული იყო სამხედრო-სტრატეგიული მიზეზებით და უშუალოდ უკავშირდებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მალევე წარმოქმნილ

მწვავე დაპირისპირებას დასავლურ სამყაროსა და საბჭოთა კავშირს შორის. სწორედ 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში 12-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა სამხედრო-თავდაცვითი შინაარსის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ნატო – სამხედრო ინტერესებით გაერთიანებული ორგანიზაცია. საბერძნეთი და თურქეთი ნატოში მხოლოდ 1952 წელს კი გაერთიანდნენ, მაგრამ მანამდე არასანდო მოსახლეობად გამოცხადებული ბერძნები მის მიერ კვლავ აღიქმებოდა საფრთხედ ზღვის სანაპიროზე. რაც შეეხება ბერძენთა ნამოსახლარი „სანუკვარი ადგილების მითვისების“ გამო ქართველთა დადანაშაულებას, თუ ჩვენც ვიკიპედიის ავტორივით ვაღიარებთ, რომ ქართველთა იძულებითი ჩასახლება აფხაზეთიდან განდევნილი ბერძნების ნაბინავარზე დანაშაულია, მაშინ ამავე ლოგიკით დამნაშავეებად უნდა გამოცხადდნენ ბერძნები, რუსები, უკრაინელები, სომხები, გერმანელები და ესტონელები, რომლებიც 1867 და 1878-1880 წლებში აფხაზეთში მოიყვანა რუსეთის ხელისუფლებამ და დაასახლა გაძევებული აფსუების ნასახლარებზე. ეს ხომ აბსურდია!

დღეისათვის აფხაზეთში უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი ბერძნული მოსახლეობა, რადგან აქ 1992-1993 წლებში მიმდინარე ომის დროს ბერძენთა ნაწილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წავიდა, უმრავლესობა კი საბერძნეთში გადასახლდა.

### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

გვანცელაძე 2021: გვანცელაძე თ., ჭავჭავაძე ს., აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და... (ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზი). თბილისი, 2021.

გიორგაძე 2017: პონტოელი ბერძნები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა, მთ. რედ.: მ. გიორგაძე. ბათუმი, 2017.

დირექტივა №50215, 1937: [https://bessmertnybarak.ru/article/direktiva\\_nkvd\\_sssr\\_50215/#:~:text=11%20%D0%B4%D0%B5%D0%BA%D0%B0%D0%B1%D1%80%D1%8F%201937%20%D0%B3%D0%BE%D0%B4%D0%B0%20%D0%B4%D0%B8%D1%80%D0%B5%D0%BA%D1%82%D0%B8%D0%B2%D0%B0,%D0%B2%20BF%D0%B8%D0%BE%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B9%2C%2080%D1%81%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%BD%D0%BE%D0%B9%2C%20D0%B0%D0%BD%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B9%20%D0%B8](https://bessmertnybarak.ru/article/direktiva_nkvd_sssr_50215/#:~:text=11%20%D0%B4%D0%B5%D0%BA%D0%B0%D0%B1%D1%80%D1%8F%201937%20%D0%B3%D0%BE%D0%B4%D0%B0%20%D0%B4%D0%B8%D1%80%D0%B5%D0%BA%D1%82%D0%B8%D0%B2%D0%B0,%D0%B2%20BF%D0%B8%D0%BE%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B9%2C%2080%D1%81%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%BD%D0%BE%D0%B9%2C%20D0%B0%D0%BD%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B9%20%D0%B8) (დამოწმება: 10.01.2023).

Всесоюзная перепись 1928: Всесоюзная перепись населения 17 декабря 1926 г. Краткие сводки, Выпуск IV, Народность и родной язык населения СССР. Москва, 1928.

Иоаниди 1990: Иоаниди Н.Н., Греки в Абхазии, Очерки истории греческого населения Абхазской АССР. Сухуми, 1990.

**Лежава 1989:** Лежава Г. П., Изменение классово-национального состава Абхазии (Конец XIX в.-70-е гг. XX в.). Сухуми, 1989.

**Решение Политбюро 1938:** Решение Политбюро ЦК ВКП(б) №157/49 от 31 января 1938 г. 49. Вопрос НКВД. <https://web.archive.org/web/20161106183648/http://www.memo.ru/history/document/pbnac.htm> (დამოწმება: 10.01.2023).

**შსსა ფ. 14 1931:** Спецсводки о греческих волнениях и переселенческих настроениях в Абхазии, Аджарии и Ахалцихском уезде. - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, ანაწერი 6, საქმე №40, 1931 წ.

**ჭაავა 2021:** ჭაავა ს., საქართველოს ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იან წლებში, თბილისი, 2021.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6973>

**აფხაზეთისა და მისი მომიჯნავე მხარეების  
მეცნიერული კვლევის ამოცანები  
ზოგი მსდარი მოსაზრების კრიტიკული ანალიზის ფონზე**

**Challenges of the Scientific Investigation into Abkhazia  
and its Surrounding Territories:  
A Critical Analysis Perspective**

**თეიმურაზ გვანცელაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Teimuraz Gvantseladze**  
Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The present work provides a critical evaluation of the hypothesis put forward in the scientific study of Abkhazia, which has distorted the historical narrative of Abkhazia and its neighboring Georgian provinces, thereby fueling separatism.

In the examination of Abkhazia's history, both Georgian and Abkhaz scholars employ linguistic material as either an additional or fundamental source. However, regrettably, they often neglect the fact that linguistic analysis requires specific methodologies, and drawing false and sometimes unscientific conclusions based solely on superficial analysis, while disregarding recommended procedures, is not only unacceptable but also detrimental. Therefore, before utilizing the scholarly heritage of previous generations, it is imperative to ascertain the accuracy and validity of these ideas through linguistic methodology.

This study delves into the viewpoints of esteemed scholars such as N. Marr, I. Javakhishvili, and S. Janashia regarding the etymology of certain lexical units documented in Western Georgia from the perspective of modern linguistics. We challenge the Abkhazian and Circassian origins attributed to toponyms like Tskhumi, Pasisi, Chibati, Ancha, Kutatisi, Boboqvati, as well as hydronyms such as Gubazouli and Supsa, and the masculine name and surname Gubazi.

The specific hypothesis subjected to our critical analysis lacks a sound methodological foundation and requires linguistic substantiation. It is also evident that the claims made by Abkhaz separatists regarding the preexistence of various

parts of Western Georgia (including Abkhazia, Samegrelo, Imereti, Racha, Guria, and Adjara) before the arrival of Georgians are unfounded.

საკვანძო სიტყვები: დასავლეთ საქართველოში ძველავხაზური ტოპონიმების არსებობის პრობლემა, დასავლეთ საქართველოში ჩერქეზული ტოპონიმების არსებობის პრობლემა, ქუთაისის ეტიმოლოგია, სუფსას ეტიმოლოგია, ბობოყვათის ეტიმოლოგია, გუბაზოულის ეტიმოლოგია, გუბაზის ეტიმოლოგია, ნიკო მარის ეტიმოლოგიების კრიტიკა.

Keywords: The problem of the existence of ancient Abkhazian toponyms in Western Georgia, the problem of the existence of Circassian toponyms in Western Georgia, the etymology of Kutaisi, the etymology of Supsa, the etymology of Bobokvati, the etymology of Gubazouli, the etymology of Gubazi; Criticism of Niko Mari etymologies.

ნაშრომში პირველად კრიტიკულად შეფასებული აფხაზეთის მეცნიერული კვლევის ის პრობლემები, რომლებიც ამხინჯებენ როგორც საკუთრივ აფხაზეთის, ისე მისი მეზობელი ქართული პროვინციების წარსულს და ხელს უშლიან მომავლის საქართველოში აფხაზეთის ღირსეულად რეინტეგრაციას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზოგი ავტორიტეტული მეცნიერის მიერ გამოთქმული იმ უარგუმენტო ჰიპოთეზების ობიექტურ და ახლებურ კრიტიკას, რომლებიც ისტორიას მცდარად წარმოაჩენენ. აქვე წარმოდგენილია ამ საკითხების ახლებურად დასაბუთების ცდა.

არსებობს სრული საფუძველი საიმისოდ, რომ განვაცხადოთ: საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიურ მხარეთა შორის აფხაზეთი ერთ-ერთი ღრმად შესწავლილი მხარეა: გამოქვეყნებულია უამრავი მაღალხარისხოვანი მონოგრაფია და სტატია მისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შესახებ, აღწერილი და გაანალიზებულია აფსუათა ეთნიკური ისტორიისა და ქართულ-აფსუურ ურთიერთობათა, კულტურის ისტორიის სპექტრის მრავალი საკვანძო საკითხი. გამოკვლეულია მხარეში გავრცელებული ქართველური და აფსუური სამეტყველო ერთეულები, ეთნოგრაფიული ჯგუფები, აფხაზური სიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორი და მრავალი სხვა პრობლემა, მაგრამ თქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხარის კომპლექსური კვლევა იდეალურ დონეზეა და საკვლევი აღარაფერი რჩებოდეს. მეტიც შეიძლება ითქვას: ჰუმანიტარულ კვლევათა შედეგებში იშვიათია საკითხები, რომელთა შესახებაც ქართველ და აფსუა მეცნიერებს საზიაროპოზიცია აქვთ. არის პრობლემები, რომლებიც აფსუა მეცნიერებს არ აინტერესებთ, ქართველები კი საჭიროზე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ... მაგალითად, თითქმის არ არის კრიტიკულად შეფასებული აფხაზეთის ისტორიული წარსულის წყაროთმცოდნეობითი მხარე – ბევრია უსაბუთო განცხადებები და მითოლოგიზებული დასკვნები ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის შესახებ, რომლებიც უმეტეს



შემთხვევაში აფსურული სეპარატიზმის წისქვილზე ასხამს წყალს, მაგრამ მათი გადასინჯვის მცდელობებს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.

ბუნებრივია, გაყალბებული ისტორიის ნაცვლად ნამდვილის დადგენა-დაზუსტება, წერილობით ისტორიულ წყაროთა ახლებური ანალიზი, აქამდე უცნობი დეტალების გარკვევა და სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრება, დაუსაბუთებელი მოსაზრებების ერთხელ და სამუდამოდ უკუგდება, სამეცნიერო სიახლეთა ფართო საზოგადოებაში გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა და არქეოლოგთა გადაუდებელი საქმეა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით წარმოებული კვლევების საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სათანადოდ, ღირსეულად დაფინანსება, ახალ მიგნებათა და დებულებათა გავრცელების უზრუნველყოფა არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ ინგლისურად, რუსულად, თურქულად და სხვა ენებზე თარგმნისა და გასაჯაროების ფინანსური ხელშეწყობა.

აფხაზეთის ისტორიის კვლევის დროს როგორც ქართველი, ისე აფსუა მკვლევრები დამატებითი და უმთავრესი წყაროს სახით ხშირად იყენებენ ენობრივ მასალას: გეოგრაფიულ სახელებს (ქორონიმებს, ოიკონიმებს, ჰიდრონიმებს...), ეთნონიმებს, პირსახელებს, გვარებს და სხვათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა და არქეოლოგთა უმრავლესობას ავიწყდება, რომ ყოველი სიტყვის ანალიზს თავისი წესები და მეთოდები აქვს და მათ გამოუყენებლად, მხოლოდ ზედაპირული, ზერელე მიდგომის საფუძველზე გამოთქმული დასკვნები სპეციალისტთათვის სრულიად მიუღებელი, მცდარი და ზოგჯერ ანტიმეცნიერული, ან მავნე კი არის. ამიტომ წინა თაობების მკვლევართა მემკვიდრეობის გამოყენება-ციტირებამდე აუცილებელია შემოწმდეს, ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით რამდენად გამართული და მისაღებია წინა თაობების მეცნიერთა მიერ ენობრივ ფაქტებზე დამყარებული მოსაზრებები. ისინი ხომ გამოთქმული იყო 50, 80, 100 და მეტი წლის წინ, როცა სამეცნიერო კვლევის დონე ახლანდელთან შედარებით ბევრად უფრო დაბალი იყო, მწირი იყო საკვლევი მასალაც, ბევრი წყარო ჯერ კიდევ ელოდა მიგნებასა და კვლევას. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინა თაობების მეცნიერთა შრომა უნდა დაფასდეს, მაგრამ ობიექტურადაც უნდა შეფასდეს. ქვემოთ ჩვენ სწორედ თანამედროვე ენათმეცნიერების პოზიციიდან მიმოვიხილავთ წინა თაობების რამდენიმე სახელოვანი მეცნიერის მიერ დაშვებულ შეცდომებს და შევეცდებით ახლებური კონკრეტული დასკვნების გამოტანას.

დავიწყებთ აკად. ნიკო მარის ზოგი მოსაზრების კრიტიკით. ეს მეცნიერი უკვე აღიარებული მკვლევარი იყო, როცა 1912 წელს პირველად ჩამოვიდა სანქტ-პეტერბურგიდან აფხაზეთში, რამდენიმე დღე დაჰყო აქ და იმავე წელს გამოაქვეყნა პირველი აფხაზოლოგიური ნაშრომი. მასში მეცნიერმა გამოთქვა არა მარტო წმინდა ლინგვისტური, არამედ შორს მიმავალი ისტორიულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისებიც, რომლებიც,

სამწუხაროდ, არ არის სათანადოდ დასაბუთებული, მაგრამ ფართოდ არის გავრცელებული როგორც აფხაზ, ისე ქართველ მეცნიერთა შორისაც. მაგალითად, ნ. მარი სერიოზული ანალიზისა და არგუმენტირების გარეშე მიიჩნევდა ქართულ ენას მეგრულ-ჭანურ-სვანურთან ერთად სემიტურ ენათა მონათესავედ. ამ ენათა გავრცელების გეოგრაფიული დაცილების ასახსნელად მან მოიფიქრა ჰიპოთეზა, რომ დასავლეთ საქართველოს მიწაზე თავდაპირველად ბინადრობდნენ აფხაზ-ჩერქეზთა, აღმოსავლეთ საქართველოში კი ჩეჩენ-ინგუშ-ლეკთა წინაპრები, ხოლო ქართველთა წინაპრები ცხოვრობდნენ უფრო სამხრეთით, სემიტების მეზობლად. მოგვიანებით ამ საკითხს ნ. მარმა განმაზოგადებელი ნაშრომიც უძღვნა, რომელშიც ძნელია რაციონალური მარცვლის პოვნა (ვრცლად იხ.: Mapp 1916: 1379-1408), მაგრამ, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ეს ყოვლად უსაბუთო „მიგრაციის თეორია“ ძალზე პოპულარული გახდა ქართველ და აფხაზ მკვლევართა უმრავლესობაში და გამზიარებელნი არც დღეს აკლია. სამწუხაროდ, ნ. მარის ამ ტიპის ნაშრომები მაშინვე გადაიქცა აფხაზური სეპარატიზმის უმთავრეს „სამეცნიერო საძირკველად“. თქმული რომ ლიტონ განცხადებდა არ ჩაგვეთვალოს, აქვე გავაანალიზებთ მეცნიერის ზოგი ისტორიულ-ეთნოლოგიურად მნიშვნელოვან ვარაუდს.

ერთგან ნ. მარი ეხება ქალაქ სოხუმის სახელწოდებებს. ჩანს, მისთვის უცნობი იყო, რომ ამ ქალაქის აფსუური სახელი აყია (გამოითქმის აყვა) აფხაზურად ნიშნავს „დამყაყებულ წყალს“, ხოლო სახელი ცხუმი სვანურია და რცხილის სახელს წარმოადგენს, ანუ აფსუური და ქართული სახელები ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არიან. ავტორი ამ სიტყვას შლიდა ასე: ა-ყვ-ა და საჭიროდაც არ თვლიდა, განემარტა, რას წარმოადგენენ თავკიდურა და ბოლოკიდურა ხმოვნები. მისი აზრით, აყვა სიტყვისათვის უნდა აღვადგინოთ მისი „წინა საფეხური“ \*სყუ, რომელიც თურმე უნდა ჩავთვალოთ \*ჰყუ ფორმისაგან მომდინარედ და ეს იმ მიზნით, რათა აყვა თავის წინაპრებიანად გავაიგივოთ ცხუმი სახელთან, ეს უკანასკნელი კი მივიჩნიოთ \*სყუმ ანდა \*შყუმ [თუ \*შყუმ – თ.გ.] წინარეფორმებიდან ერთ-ერთისაგან მომდინარედ (Mapp 1938: 28). არც აქ ასაბუთებდა ნ. მარი იმას, თუ რა მიზეზით აღადგენდა \*სყუმ/\*შყუმ-ს, ან რატომ აიგივებდა ერთმანეთთან აყვა-სა და ცხუმ-ს, რომლებსაც რეალურად არცერთი ბგერა არ აკავშირებს! ამგვარი „ანალიზი“ მეორეკურსელ ფილოლოგსაც კი არ ეკადრება, არამცთუ სახელოვან მეცნიერს. აქ არა მარტო არცერთი მოსაზრება არ არის დასაბუთებული, არამედ მე-16 საუკუნეში ოსმალურ თურქულში ფონეტიკურად სახეცვლილი, ქართული ცხუმ-ისაგან მომდინარე სუხუმ ფორმაც კი ერთ-ერთი წინარეგარიანტის საფუძვლადაა გამოცხადებული...

სხვა მაგალითი: ძველბერძნულ წყაროებში მდინარე რიონისა (და ზღვისპირა ქალაქის – ფოთის) სახელად დადასტურებული ფასის-ის შესახებ ნ. მარი წერდა (მოგვყავს ჩვენეული თარგმანი): „მდინარე რიონის ბერძნულმა Φασις ან Φάσις სახელწოდებამ შემოინახა მოწმობა, როცა ეს მდინარე მიედინებოდა არა იმერთა (ივერთა), არამედ ფას-ების, ანუ აფხაზთა ტომის

გავლით“ (მარი 1938: 48). იქვე ავტორი აცხადებდა: „უსლარიც ასევე უშვებდა მდინარის  $\Phi\alpha\sigma\zeta$  დასახელების ნათესაობას ეთნიკურ აბასგ ტერმინთან და ა.შ., მაგრამ ის [უსლარი – თ.გ.] ჩქარობდა წარმოედგინა ეტიმოლოგია აფხაზური „წყალი“ სიტყვის ბზ ნაირსახეობასთან თანაჟღერადობიდან ამოსვლით“ (Mapp 1938: 48). იქვე ამავე მოსაზრების სამტკიცებლად ნ. მარი ფასის მთის სახელს უყოყმანოდ აკავშირებდა აფსილ-აფმილთა ტომისა და აფხაზთა აღმნიშვნელ აფსუა სახელებთან, მაგრამ არც ეს ეტიმოლოგიის მცდელობაა დასაბუთებული, ვინაიდან: 1. აფსილ- ფუძე პირველად იხსენიება ლათინურ წყაროში მხოლოდ ახ.წ. I საუკუნეში; 2. აფხაზურ ენაზე წყალს ბზ- ძირი არ აღნიშნავს; 3. მართალია, მთის ფასი სახელი აშკარად კავშირში ჩანს მდინარისა და ქალაქის ფასის სახელთან, მაგრამ ფასისი აფსილთა მოხსენიებამდე ბევრად უფრო ადრე სახელდება კოლხების მიწაზე ბერძნულ წყაროებში, კოლხები კი აფსუები არ ყოფილან; 4. რატომ უნდა ვეძიოთ კოლხური ქალაქისა და მდინარის სახელწოდებათა ეტიმოლოგია საეჭვო „ეტიმოლოგიების“ საფუძველზე აფსურ ენაზე, როცა ქართულ ნიადაგზე მთის, მდინარისა და ქალაქის სახელების ახსნა მაინც არ უნდა იყოს საძნელო: ბერძნ. ფასის < ქართ. ფას-ის-ი < ფას-ის წყალი, ან მეგრ. ფას-იშ-ი წყარი, ანდა სვან. ფას-იშ ლიც, ხოლო ფას- ძირის რაობა მხოლოდ ქართველურ ნიადაგზეა უპრიანი და არა აფსურზე, მით უმეტეს, როცა თვით ნ. მარი უსაბუთოდ და უსისტემოდ ერთ ტაფაზე აქცევდა უამრავ ფორმას, რომლებშიც მონაწილეობენ ფონემები ფ, ბ, ს, შ, ზ, ძ, ჯ და ა.შ. საბოლოოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ნ. მარმა ვერ დაასაბუთა აფხაზეთიდან მოშორებით, დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში აფსუათა ბინადრობა უძველესი დროიდან.

ნ.მარიზოგჯერისეიყოსაკუთარიიდეითგატაცებული,რომ თვითონაც ქმნიდა ფაქტებს. მაგალითად, იგი აცხადებდა, ახ. წ. V-VI საუკუნეთა ეგრისის მეფეების – გუბაზ I-ისა და გუბაზ II-ის სახელიც აფსურიაო. მისი სიტყვით, ამას თურმე ადასტურებს პირსახელის შემადგენლობაში აფხაზური გვარების მაწარმოებელი -ზა სუფიქსის არსებობა, ხოლო ბოლოკიდურა ზ ბგერა ქართული მაგვარსახელებელი -ძე სუფიქსის გამარტივებული ვარიანტი ყოფილა: ე ხმოვანი მოკვეცილა, ხოლო ძ ბგერა ზ ბგერად გადაქცეულა. ნ. მარი აღადგენდა „პირველად“, „აფსურ“ \*გუ-ზა „გულიძე“ გვარს და დაასკვნიდა: გუზა გვარი გაქართულდა და მივიღეთ გუზაძე ფორმა, რომელიც ქართულ მატთანებში დასტურდებაო (Mapp 1938: 57), მაგრამ სინამდვილეში გუზაძე არცერთ მატთანეში არ გვხვდება – ნ. მარმა სასურველი ფაქტი თვითონვე შეთხზა. მისი აზრით, ახ. წ. V-VI საუკუნეებამდე გვარი გუზაზ-ი უკვე ქართველთა შორის პირსახელადაც ქცეულა, ხოლო ამ გვარის მქონე ნააფხაზარი ქართველები კვლავ გააფსუებულან და თითქოს ამას გვიდასტურებს ბზიფელ აფხაზთა შორის გავრცელებული რეალური გვარი გუზაზ. ნ. მარს ამ კონტექსტში მოჰგონებია გურიაში, კერძოდ, ამჟამინდელ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული მდინარე გუზაზოლის // გუზაზეულის სახელიც, რომელიც „უტყუარი

საბუთი“ ყოფილა გურიის მიწაზე ოდესღაც აფსუების ბინადრობისა (იქვე: 57-58). გარდა სიყალბის რეალურად გასაღების მცდელობისა, ნ. მარს არ გაუთვალისწინებია ზოგი მნიშვნელოვანი გარემოებაც: 1. აფსუათა შორის სუფიქსიანი თუ უსუფიქსო გვარსახელების არსებობა ახ. წ. V საუკუნემდე წარმოუდგენელია იმ მიზეზის გამო, რომ რეალურად უძველესი აფსურის გვარები დასტურდება მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში, ხოლო 1867 წლის მუჰაჯირთა სიებიდან ჩანს, რომ -ბა დაბოლოებით გვართა გაფორმება ამ წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული; 2. აფხაზთა შორის ამჟამად გავრცელებული გვარი გუბაზ და ქართველებში ცნობილი პირსახელი გუბაზ-ი რეალურად მართლაც ერთი და იგივეა და მას საფუძვლად უდევს მეგრულ მეტყველებაში დღემდე გავრცელებული სიტყვები: გუბაზ-უ-ა „ლალობა, სილალე“ (ქაჯაია 2001: 410) და ზედსართავი სახელი გუბაზ-ი „ლალი“. ამ და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, სრულიად ცხადია, რომ ახლანდელ აფხაზთა წინაპრების ცხოვრება გურიის მიწაზე ნ. მარმა ამ სახელთა ზერელე და მიკერძოებული „ეტიმოლოგიებით“ ვერ დაამტკიცა (ვრცლად იხ.: გვანცელაძე 2008: 8-11).

ნ. მარი ზოგჯერ ყოველგვარი მსჯელობის გარეშე აფსურად აცხადებდა აფხაზეთიდან მოშორებით მდებარე გეოგრაფიულ ობიექტთა დასახელებებს. მაგალითად, თურმე აფსურის ყოფილა სოფელ ჩიბათის სახელი გურიაში (ლანჩხუთის მუნიციპ.), რომელსაც საფუძვლად სდებია „აფხაზური სიტყვა“ ჩი-ბა, ხოლო კლარჯეთში მდებარე მონასტრის (და სოფლის) სახელი ან-ჩა თურმე აფსურად ნიშნავს „ზეცის დედას“ (მარი 1938: 58), სინამდვილეში აფსურ ენაში არც სიტყვა ჩიბა არსებობს და არც ანჩა. ბუნებრივია, მეთოდოლოგიისა და ენობრივი ფაქტებისადმი ამგვარი უკადრისი მიდგომით ყველაფერი შეგიძლია „დაამტკიცო“ და ნ. მარმაც „წარმატებით დაასაბუთა“ ქალაქ ქუთაისის სახელის „აფსურობაც“. იგი წერდა (თარგმანი ჩვენია):

„...უმნიშვნელო არ უნდა იყოს ამჟამად წარმოქმნილი შესაძლებლობა, აფხაზური ენის მასალებით განიმარტოს ბერძნების მიერ არგონავტთა თქმულებებთან დაკავშირებული ზოგი ტერმინი და, უპირველეს ყოვლისა, კოლხთა ქვეყანაში მეფის რეზიდენციის სახელი Κύτα. მას დიდხანს აიგივებდნენ ქუთაისთან ფაზის-რიონზე; არსებული ქართული სახელი ქუთ-ა-ის-ი არა მარტო ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშნით წარმოადგენს გაქართულებულ სახეობას, არამედ -ათ სუფიქსითაც არის ძველქართული ქუთ-ათ-ის-ი სახეობა, აქედან [მოდის - თ.გ.] ჯერ კიდევ პროკოპისეული [იგულისხმება VI ს. ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი პროკოპი კესარიელი - თ.გ.] Κοιτανίδιον; რაც შეეხება ქუთ, ან ქუთა ფუმეს, ქართულად ის არაფერს ნიშნავს, აფხაზურად კი ის სწორედაც ადგილის დასახელების ფორმაა, ვინაიდან ამგვარი [სიტყვები - თ.გ.] აფხაზურში სხვათა შორის იწარმოება -თა სუფიქსის დახმარებით. მეტიც, ძალიან შესაძლებელია, რომ ქუთა // Κύτα არსებითად [გეოგრაფიული] დასახელება კი არა, საზოგადო სახელიც იყოს და ადგილობრივ ენაზე აღნიშნავდეს „სოფელს“, „ქალაქს“, ან რაიმე

მსგავსს. და, მართლაც, აფხაზურად ქეთა (ა-ქეთა) ნიშნავს „სოფელს“ (Mapp 1938: 72-73).

ნ. მარი არ ცდებოდა იმაში, რომ ამჟამად აფსუურ ენაზე სიტყვა ა-ქეთა მართლაც ნიშნავს „სოფელს“ (მისთვის ცნობილი არ იყო, რომ იგივე მნიშვნელობა აქვს აზაზურად ქეთ ვარიანტსაც), მაგრამ ეს სიტყვა სრულებითაც არ არის აფსუური და ნასესხებია აფსუურშიც და აზაზურშიც თურქული ენიდან, სადაც ქეთა-ს მრავალი მნიშვნელობიდან „უბანი“-ს სემანტიკაც მოეპოვება (Баскаков 1977: 545), რაც მეტად ახლოსაა „სოფლის“ მნიშვნელობასთან. რაც მთავარია, თურქებთან კონტაქტი აფხაზებს არ ჰქონიათ XVI საუკუნემდე – ოსმალებმა პირველად აფხაზეთში XVI საუკუნის 70-იან წლებში ილაშქრეს, ევროპის ერთ-ერთ უძველეს ქართულ ქალაქს კი თუნდაც პროკოპი კესარიელის დროიდან უკვე ერქვა ქართული სახელი ქუთათისი, შდრ.: Κουταττι-ον ფორმა, რომელსაც ნ. მარიც იცნობდა და რომელიც მთლიანად შეიცავდა ძველქართულ ქუთათისი ფორმას სახელობითი ბრუნვის ნიშნის ჩათვლით.

მიგვაჩნია, რომ ქუთათის-ის ეტიმოლოგიზება მხოლოდ ქართველურ ნიადაგზეა შესაძლებელი: მისი ძირია სამეგრელოში დღემდე გავრცელებული მამაკაცის პირსახელი ქუთა (დლონტი 1986: 209), რომელიც წარსულში უფრო ფართო არეალშიც ყოფილა გავრცელებული – იგი დასტურდება გალის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახინგუს საფარფალიოს უბანში არსებული ქუთაშ ჭყონი „ქუთას მუხა“ მიკროტოპონიმის შემადგენლობაშიც (მიკროტოპონიმის პარალელური ვარიანტია: ყინიშ გითახვამური „უზენაესის გამონალოცი“) (ცხადაია 2011: 229). იგივე ქუთა პირსახელი უდევს საფუძვლად აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლის ქუთა-ურ-ი „ქუთას კუთვნილი“ სახელწოდებასაც.

ზემოთ განხილული დაუსაბუთებელი დასკვნების მსგავსი მოსაზრებანი გამოთქმულია ზოგი სხვა ცნობილი მეცნიერის მიერაც. განვიხილავთ ორ ტიპურ მაგალითს:

მიიჩნეოდა, თითქოსდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის სახელი (ისევე, როგორც ყვა მარცვლიანი სხვა ტოპონიმები: მალთაყვა, აჭყვა, ჯურუყვეთი...) ჩერქეზული წარმომავლობის სახელია, რაკი ყვა-ს უკავშირებდნენ ყაზარდოულ ყვ „ხევი; დელე; ხრამი“ სიტყვას (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია...). სამწუხაროდ, ამ მოსაზრების ავტორ მეცნიერებს არ განუმარტავთ, თუ როგორ იხსნება ყაზარდოულად ტოპონიმების დანარჩენი ნაწილები: ბობო-, მალთა-, აჭ-, ჯურუ- და დაბოლოება თ. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ამ სიტყვების ეტიმოლოგია დღემდე დადგენილი არ არის. ჩვენ ძიება წარვმართეთ ქართველური ენობრივი კონტინუუმისაკენ. გაირკვა, რომ მარტვილისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში დღემდე არსებობს ორი სოფელი აბსოლუტურად იდენტური ბოზოთი სახელწოდებით. გარდა ამისა, სამეგრელოშივე, ჩხოროწყუს რაიონში 1963 წელს შეკრებილ პირსახელებში დასტურდება მამაკაცისა და ქალის პირსახელი ბობო (დლონტი 1986: 91, 261), შეგვხვედრია

ბობუა-ს (< \*ზობო-ა) გვარის მქონე გალელი ქართველებიც. იგივე გვარი ბობუა ბეჭდურ გამოცემაშიც იხსენიება (Сагария 1983: 331).

ამ მონაცემების მიხედვით უდავოა, რომ ბობოთი და ბობოყვათი რეალურად არსებულ ერთსა და იმავე ბობო პირსახელს შეიცავენ, ყვა ელემენტი კი, როგორც მ. ჩუხუამ გაარკვია, მეგრულში ყმა სიტყვის ფონეტიკური ვარიანტია (ყ თანხმოვნის მომდევნო პოზიციასში მ ბგერა იძლევა ვ ფონემას), შესაბამისად, ბობო-ყვა ისეთივე წარმოებისაა, როგორც ვაშა-ყმა (შდრ., ვაშაყმამდე), კეჭა-ყმა (შდრ. კეჭაყმამდე)... (ჩუხუა 2011: 227-228), მალა-ყმა (შდრ., მალაყმამდე). რაც შეეხება ბობოყვათ-ის თ ელემენტს, იგი ან საერთო ქართველური ნართანნიანი მრავლობითი რიცხვის ნიშანია (შდრ., ოიკონიმები: ჟინო-თ-ა, ლაგვან-თ-ა, გოგოლაურ-თ-ა, მუხა-თ-წყარო, წარბას-თ-უბანი, გორ-თ-უბანი, კობალ-თ-ა, ჯავახ-თ-ა, კალო-თ-ა, მოლი-თ-ი, ბაბო-თ-ი, მუხა-თ-ი, ტობა-თ-ი, მამა-თ-ი, კოკა-თ-ი, გრიგალ-ა-თ-ი...), ანდა მეგრულში გავრცელებული თი „ოჯახი, სახლი, სახლკარი“, რომელიც ტოპონიმებში გამოხატავს გვარის საბინადროს (ქაჯაია 2002: 46) ან პიროვნების შთამომავალთა დასახლების ადგილს (შდრ.: კახა-თი, თეკლა-თი, კვარია-თ-ი, აბედა-თი, მახა-თი...).

ამრიგად, დასკვნა ერთია: ტოპონიმი ბობო-ყვა-თი სრულებით არანაირ კავშირში არ უნდა იყოს ჩერქეზულ ენასთან.

გურიის მდინარისა და სოფლის სახელი სუფსას. ჯანაშიამ ჩერქეზულ სახელად მიიჩნია, ხოლო ივ. ჯავახიშვილმა დაუკავშირა ლეონტი ლულიეს მიერ ადიღეში ჩაწერილ მდინარის სუფ სახელსა და წყლის, მდინარის აღმნიშვნელ ჩერქეზულ ფსგ სიტყვას (ჯავახიშვილი 1950: 44; ჯანაშია 1959: 117-123). სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს ლ. ლულიეს ჩანაწერზე დაყრდნობამ მცდარი დასკვნა გამოატანინა: მართალია, რუსულ ენაზე Сун ეწოდება ადიღეში მდებარე კაზაკთა სტანიცასა და ტყეს, ხოლო მდინარეს რუსულადვე ჰქვია Суншас, მაგრამ ადიღელი ენათმეცნიერის ყასიმ მერეტუკოვის ცნობით, ამ ობიექტების ადიღური სახელები ფონეტიკურად საკმაოდ დაცილებულია რუსული ფორმებისაგან: სტანიცა და ტყე ადიღურად იწოდება როგორც სჭგ [ადიღურად: ШИҭ], ხოლო მდინარეს ჰქვია ფსგსჭ [ПсышИҭ] „კეთილი მდინარე“ (მერეტუკოვი 1990: 182). რაც მთავარია, მდინარის სახელის სისინ-შიშინა ლაბიალიზებული სჭ ფონემა აკუსტიკურ-პერცეფციულად წჭ // ჭჭ // შჭ კომპლექსებთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სადა ს ბგერასთან და იგი ქართულ ენაზე სუ მარცვლით არ გადმოვიდოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩერქეზული ფსგსჭ ჰიდრონიმის კომპონენტთა თანმიმდევრობაა არსებითი სახელი + ზედსართავი, ხოლო სუფსა ჰიდრონიმში „კომპონენტთა“ მიმდევრობა საპირისპიროა.

დასკვნა აქაც იგივეა: ჰიდრონიმი და ოიკონიმი სუფსა არ უკავშირდება ჩერქეზულ ენას. ჩვენი აზრით, ეს ჰიდრონიმი ქართულია და უნდა უკავშირდებოდეს სურების მთების, ასევე სოფლების: ზემო სურების, თავსურების, ქვემო სურებისა და შუა სურების სახელებს და მიღებული

ჩანს ასეთი ცვლილებების შედეგად: სურების წყალი > \*სურებისა > \*სურბსა > \*სურფსა > სუფსა.

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ კრიტიკულად განხილული კონკრეტული ენობრივი და ისტორიულ-ეთნოლოგიური მოსაზრებები არ ემყარება სწორ მეთოდოლოგიას და არ არის ლინგვისტურად დასაბუთებული. ცხადია ისიც, რომ არანაირი სამეცნიერო საფუძვლები არ მოეპოვება აფსუა სეპარატისტთა პრეტენზიებს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში (აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, აჭარაში...) მათი შორეული წინაპრების ოდინდელი ბინადრობის შესახებ.

### დამოწმებული ლიტერატურა

- გვანცელაძე 2008: გვანცელაძე თ., აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. თბილისი, 2008.
- ქაჯაია 2001: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I. თბილისი, 2001.
- ქაჯაია 2002: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II. თბილისი, 2002.
- ღლონტი 1986: ღლონტი ა., ქართველური საკუთარი სახელები. თბილისი, 1986.
- ჩუხუა 2011: ჩუხუა მ., -ყვა დაბოლოების გენეზისისათვის ქართველურ გვარებში. კრებ. ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, II. ბათუმი, 2011.
- ცხადაია 2011: ცხადაია პ., უძველესი რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ზოგი ტოპონიმი სამეგრელოსა და სამურზაყანოში. კრებ. ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, II. ბათუმი, 2011.
- ჯავახიშვილი 1950: ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950.
- ჯანაშია 1959: ჯანაშია ს., შრომები, ტ. III. თბილისი, 1959.
- Баскаков 1977: Баскаков А.Н., Турецко-русский словарь. Москва, 1977.
- Март 1916: Март Н., К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа. – Известия Императорской Академии Наук. Петроград, 1916.
- Март 1938: Март Н.Я., О языке и истории абхазов. Москва-Ленинград, 1938.
- Меретуков 1990: Меретуков К.Х., Адыгейский топонимический словарь. Москва, 1990.
- Сагария 1983: Сагария Б., История Абхазской АССР (1917-1937). Сухуми, 1983.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6974>

**ფიქრის ფიქრით აფხაზეთიდან**

**With the thought of thought:  
from Abkhazia**

**თამარ გოგოლაძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, გორი

**ციალა მესხია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Tamar Gogoladze**

Goris State University  
Georgia, Gori

**Tsiala Meskhia**

Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

Three writers, Rene, Geno, and Zaur Kalandia, were born in Abkhazia from a single family. This work focuses on the poetry of René Kalandia (1944-2014). While René Kalandia's poetic work has been the subject of study in newspaper publications, this article represents the first scientific research on the poet's work, specifically addressing his connection to Abkhazia. The scientific novelty of this work lies in its attempts to comprehensively examine Kalandia's unique and profound philosophical poetry. The paper explores various aspects of Kalandia's work, ranging from deep contemplation to playful wordplay, revealing the individuality of his thinking and his poetic expressions of bohemianism, spiritual yearning, and pagan visions. The harmony between the native surroundings of Abkhazia, the sea, the sky, and its people is eloquently depicted in his poetry, sometimes with confessional undertones and a sense of longing. Reading René's poetry requires extraordinary energy, talent, and willpower to navigate the emotional storms embedded within. The paradigms presented possess an inexplicable charm and a distinctive enchantment, making it



challenging even for professional critics to fully encapsulate. René Kalandia's poetic rhetoric skillfully combines alienation from the text with intense confessional intonations, evoking unmanageable traumatic impulses that serve as metaphorical expressions. These impulses give rise to representations of neuroses and formations, bearing metaphorical connotations. Through his poetry, René explores the wonders of the cosmic world, the human soul, dreams, unfulfilled aspirations, and shattered hopes. He embodies the archetype of a lost poet, a sailor navigating the sea of stars, imbued with immense pain and suffering, representing the collective anguish of Georgia. René, who unites the sea and the poet within himself, emerges as a seeker of eternity, possessing unearthly qualities and boundless love. His beautiful poetic masterpieces will forever captivate the interest of future generations, ensuring the continued relevance and resonance of René Kalandia's poetry.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი ქართველ პოეტთა შემოქმედებაში, რენე კალანდიას პოეზია.

Keywords: Abkhazia in the works of Georgian poets, the poetry of Rene Kalandia.

სამი მწერალი დაიბადა კალანდიების ოჯახში: ძმები რენე, გენო და ზაური, რომელთაც იწვნიეს აფხაზეთის ომის საშინელებანი, პოეტური მუზა „მამულის დროშის მცველად“ განაწესეს და ააჟღერეს. სამივე ძმის შემოქმედება უკიდურესად განსხვავებულია და თვითმყოფადი – პოეზიასა თუ პროზაში განსახოვნებული. თითოეულს თან მოსდევს სოხუმის სევდა, მშობლიური კუთხის ძახილი და მოძახილის მოლოდინის განცდა.

„რენე კალანდიას სხვათაგან უთუოდ განსხვავებული ბიბლიური ჰაბიტუსი, ცხოვრებისა და აზროვნების წესების თვითმყოფადობა და თავისებურებანი, ბოჰემური დარდიმანდობა, დიონისეს კულტთან თამაში ახასიათებს“ – უთქვამს მკვლევარ ტიტე მოსიას. რენეს პოეზიის კითხვისას გჭირდება უზვეულო ენერჯია, ნიჭი და ნებისყოფა, გაუძლო სულიერ ქარიშხალს. აუხსნელი ხიბლი აქვს მისეულ პარადიგმებს, თავისებური მაგია და თვით პროფესიონალ კრიტიკოსსაც უჭირს, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას, რამეთუ რენე კალანდიას პოეტურ რიტორიკაში მტკივნეულად იგრძნობა ტექსტის გაუცხოების შეთანხმება ინტენსიურ აღსარებით ინტონაციებთან.

და ეს გაუცხოება ტექსტშივე ფორმდება უმართავი ტრავმატული იმპულსების გამოაშკარავებით. ეს იმპულსები რაღაც ინკოგნიტო (და ინკოგნიტური) მეტაფორის როლს ასრულებენ.

სხვა ვარიანტია – ნევროზებისა თუ ფორმირების რეპრეზენტაცია: და ისინიც მეტაფორული კონოტაციებით გვეძლევიან.

და აი, გვიყვება პოეტი თავის შემოქმედებაში საოცრებებს კოსმოსურ

სამყაროზე, ადამიანის სულზე, სიზმრებზე, ზმანებებზე, აუსრულებელ ოცნებებსა და დამსხვრეულ იმედებზე.

„იზადებიან ჩემი ლექსები –

მეამბოხენი, ხელუკარება.

აქ მიწას სტკივა სიღრმე ფესვების,

იქ ზეცას რტოთა მშობიარობა“ (კალანდია 2014: 294).

– წერს პოეტი იმ მისტიკურ პროცესზე მინიშნებით, როცა სიტყვით ხდება შესაძლებელი, სულის სიღრმეში, მის ფარულ შრეებში ჩამალული განცდები ამოიტანო ზედაპირზე სრულად ხელშესახებად. და გრძნობ, წარმავალი დროის ნაკადში, კოსმიური სამყაროს ორომტრიალში ჩართული შემოქმედისათვის მარადიული, ზედროული, ზესივრცული პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმავალი...

რენე კალანდია თავისი მშვენიერი ბუნდოვანებითა და მისტიციზმით მუდმივად რაღაც უჩვეულო სადა, უცნაურის შესაგრძობად განგვაწყობს. ეს მის პოეზიაში მრავალსახოვანი, განმაცვიფრებელი მხატვრული სიმართლე, სეზანისეული სევდა, სახეებით მოცემული საგნობრიობა, სულის სიღრმეში გაგრძობილი სამყაროს ხელშეუხებლობის იდეა, წვდომა მისტიკური საწყისებისა და მაინც, უღმობელი ომით გამოწვეული შავი ღრუბელი, უსასრულოდ სევდიანი, მშობლიური საქართველოს იმედგადამწყდარი, შეუპოვრობა და მარადიული მეამბოხე სული, აფხაზეთის დაბინდული სიდიადით დამთრგუნველი მისტიკა, მაგრამ აქვია წარმოსახვის შესაშური უნარით მოსული ალიონი ამავე ზღვარზე: სიწმინდე, სისპეტაკე, გულწრფელობა, კეთილშობილება. ერთად დაწყვილებული ორი ფენომენი – სინდისი და ნათელი გონება...

მისი შთაბეჭდილებები კოსმიური სულისა და გონების განსახოვნებაა, მისი მგრძობიარობის ანარეკლები. ყოფიერების დაურვების ჟინი აძლევს მის პოეტურ ხელოვნებას საყრდენს არსებობისათვის:

„ხილვები შენი მოგლეჯილი ყვავილებია,

წამება შენი დასასრულის დასაწყისია,

ლექსები შენი ბღავილი და სისხლის ძვლებია,

ქვითინი შენი გადუხდელი პარაკლისია“ („დღე განდგომისა“)

(კალანდია 2014: 144).

რენე კალანდია განერიდა სულიერად დაცლილ, გამოფიტულ სამყაროს, სულში ჩაბრუნებული მზერით, მონანიებით, განწმენდით, ჭემმარიტების ძიებით ბრძოლა გამართა სინამდვილესთან, ჩაეჭიდა თავის თეორიას, „კალანდიური“ პოეზიის სემანტიკას: „კეტით უნდა გატყდეს თავი, რომ ბლაოდე ლექსებით, როგორც სასაკლავოს ხარი. ღვთიურ ბახის – მოსმენის ჟამს ფოთოლივით ეკიდო. გენიოსთან გვერდის დგომის გეშინოდეს, გეკიდოს ფეხებით... და ლექსი შენი უფლის ჩამომახილი – ბნელს ფატრავდეს განაჩენის უზენაესი მახვილით“... რენეს არაორდინარული პიროვნული ხასიათი, ნონკომფორმისტული და ავანგარდისტული ნატურა ჩანს მის პოეტურ ტექსტებში. შემოქმედი, პიროვნება გაუზზარავი და

მონოლითური, რომელიც ორი ათეული წლის წინათ მეორედ მოვევლინა სრულიად საქართველოს, რაც ჭეშმარიტად ასრულდა.

რენე კალანდია ტკივილის პოეტია, ტკივილიანი მზე ანათებს მის ლექსებში. არაფერია იმაზე უფრო გაუნელებელი დარდი და სევდა, ვიდრე მშობლიური კუთხის დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილი. თუკი მართლა არსებობს ტკივილის ესთეტიკა, მაშინ რ. კალანდიას ამ ტკივილის საუკეთესო გამომხატველია.

„გადაგვარებით გამწარებული მნახონ?

– დაუდგათ ისემც გვერდები,

თუმც სისხლში ცურავს ბოლო კრებული,

– ვერ მიხილავენ!...

მკლავი მომკვეთა ომმა და

ველარ აღვდგები მკვდრეთით...

უკან მომზღავის ბიბლიოთეკა – ჩემი“ (კალანდია 2014: 320).

რენე კალანდიასთვის ნიღაბი სულის გაშიფვრის უცთომელი საშუალებაა. ეს მხოლოდ რენეს ხელწერაა, მხოლოდ მისეული, ინდივიდუალური, უჩვეულო ასოციაციებითა და ხატ-სახეებით გამორჩეული. და მასთან ექსპრესიის დოზა მუდმივად შენარჩუნებულია შთაგონების სიწრფელის ხარჯზე. აკი, „მარტო ოდენ ხატვის ცოდნით ვერაფერს გახდები, აუცილებელია აზროვნებდე კიდევ“ რენეს შემოქმედებითი კრედაა. ნიღბით, მარადისობის ტვირთით შემოვიდა რენე კალანდია ქართულ პოეზიაში, როგორც ძალზე ორიგინალური და უჩვეულო, საოცრად ტევადი და სუფთა, უანკარესი აზრებითა და გრძნობებით. ნიღაბში უფრო იკვეთება მისი სულის გამჭირვალეობა და თავისუფლება. თუმცა მის სულს მარადჟამს ღრღნის უკმარისობის განცდა. მისი პოეტური სამყარო უძიროა ფანტაზიით, გარემოს შეგრძნებითა და და მისი დანახვის სიუხვით: „რამ დაამსგავსა ბგერის ცხოვრება – სხვის ჟრუანტელს. უსაზღვროებას? ან სევდის სევდა რად მეორდება? რად მესიზმრება უფლის გალია – საწუთრო, ნეტავ, ვისი ბრალია, რომ ერთმა ჩიტმაც სული დალია, ხედავ?!“ („სევდის აჩრდილი“). რენე კალანდიას პოეტური სევდა ჩვენი, აფხაზეთიდან გამოდევნილი თითოეული ქართველის, სრულიად საქართველოს ტანჯვისა და ტრაგედიის მარადიული სარკეა. თვალთ, რომელიც გამჭოლად იმზირება ენგურგადმა დარჩენილი საქართველოსკენ, უფრო მეტიც, ყოველი ჩვენგანის იქით, შორეულში, მიუწვდომელში.

„წერა – ნავი!... ნეტავ, როდის?

იქნებ, ვერც გახვიდე იმ ნაპირზე,

სადაც კბოდეს, დროა, რომ შუბლს ახლიდე...

წამი – სისხლი!

გიხმობს ლექსი – ნერვი ოკეანეში...

მოცახცახე ნავი კვნესის სიზმარეთის მხარეში“ („ლანდისადმი მიძღვნილი ლექსი №2“) (კალანდია 2014: 322).

სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული დარდითა და ნაღველით

გაჯერებული მისი ლირიკული ლექსები მისი სულის მთლიანობის ბიბლიური ხატია:

„დაგაგვიანდათ, იმედია, რომ მაპატიებთ  
და თუ ყოველი მდინარია ლექსის ღვთაებავ,  
დავშორდეთ!

მე მწამს, მელოდება ჩემი ნაპირი,  
აღორძინება, პოეზია და უკვდავება!“

- ეს იმ პოეტის სიტყვებია, რომელიც გემივით ჩაიძირა ცხოვრების ზღვაში. მდულარე ცრემლებს თქეშითა და აწიოკებული სულით განერიდა ამქვეყნიურ ყოფას და მარადისობის ტვირთით „დაღლილმა“, მაგრამ მაინც ამაყმა, კვლავ მარადისობაში დაივანა.

რენე კალანდია ზღვის ვარსკვლავებში გზააბნეული პოეტი – მეზღვაური, უცნაური ნიჭისაგან აბორგებული სრულიად საქართველოს დარდი და ტკივილია. რენემ ზღვა და პოეტი ერთმანეთს დაუკავშირა, ზღვა დაუდგრომელი და ბოზოქარი, თავად მეზღვაური მატროსის ქუდით, „ვარსკვლავიანი სულით“ (რენე კალანდია) მარადისობის მამიებელი, არამიწიერი თვისებებითა და ზეადამიანური სიყვარულით ქმნიდა პოეზიის ულამაზეს შედეგებს“.

რენე კალანდიას პოეზია კვლავაც იქნება ინტერესის საგანი მომავალი თაობებისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა

კალანდია 2014: კალანდია რ., ერთტომეული, თბილისი, 2014.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6974>

**ზმნურ ფორმათა გავრცობისათვის მეგრულში  
(გალის მეტყველების მიხედვით)**

**On Verb Forms with Emphatic Vowels in Megrelian  
(according to Gali Speech)**

**ეკა დადიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Eka Dadiani**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

In Megrelian emphatic vowels that extend word forms are widespread. Vowels y, u, and ŭ can be attached to words ending in a consonant, including verb forms and perform such functions.

In the presented article, the cases of the occurrence of the extending vowel with the verb forms are discussed in the Samurzakano Megrelian, one of the municipalities of currently occupied Abkhazia - according to the Gali speech. The published Megrelian texts (I. Kipshidze 1914; M. Khubua 1938) were taken for analysis, which was compared with the new material recorded in the villages of Gali municipality (Otobaia, Ghumurishi).

From the analyzed material, it can be seen that in Samurzako Megrelian, the verb extension vowel is found in a sufficient number, although it is not characterized by such a frequency as it is in Senaki speech.

Marker suffixes of person and number can be complicated with a long vowel; The structure of the verb stem (the number of syllables) does not matter, it will be attached to different screeve forms. It occurs with a pause both at the end of a sentence and within it. In a certain position, the unextended variant alternates with the extended form, and in some cases (before the particle -a of reported speech) only the extended option is used. Of the extended vowels, the 2 vowel is often used. The occurrence of extended /u/ seems to be due to the phonetic factor: it is mainly found with forms containing a vowel. As a matter of fact, the vowel /i/ is rarely attested in Samurzakano Megrelian.

In general, Maghrelian differs from literal Georgian in terms of the frequency of extended verb forms, although similar facts are more or less confirmed in dialects.

საკვანძო სიტყვები: მეგრული მეტყველება, სამურზაკანოული კილოკავი, ემფატიკური (მავრცობი) ხმოვნები მეგრულში, ზმნის გავრცობა მეგრულში.

Keywords: Mengrelian speech, Samurzakan sub-dialect, emphatic (expanding) vowels in Mengrelian speech, verb extension in Mengrelian speech.

მეგრულში (აგრეთვე ლაზურში), ქართული სამწიგნობრო ენისა და დიალექტების მსგავსად, სიტყვები შეიძლება გავრცობილ იქნეს ხმოვნით, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ: ემფატიკური (ნ. მარი, ქ. ძოწენიძე, ი. იმნაიშვილი, ა. ლომთაძე, თ. ზურაბიშვილი, თ. უთურგაიძე...), მავრცობი (თ. ზურაბიშვილი, თ. უთურგაიძე...), ნართაული (ა. შანიძე), მარცვალთლიაობის ა (ალ. ფოცხიშვილი), პარაზიტული ხმოვნები (ს. ჟღენტი).

მეგრულში მავრცობის ფუნქციას ასრულებს ი, უ, გ ხმოვნები, ხოლო ლაზურში – ო, უ, გ, ი ხმოვნები. გ და ი შეზღუდულად იხმარება (კარტოზია 2005: 63). შდრ.: სალიტერატურო ქართულში მავრცობ ხმოვნებად გამოიყენება ა და ი.

მეგრულ-ლაზურის მავრცობ ხმოვანთა წარმომავლობა და ფუნქცია სხვადასხვაგვარადაა ახსნილი:

ი. ყიფშიძის აზრით, ი, უ, გ ხმოვნები უფუნქციო ელემენტებია, რომლებიც გამოთქმის გასაადვილებლად ჩნდება თანხმოვნით დასრულებულ სიტყვებთან (Кипшидзе 1914: 012); ს. ჟღენტიც ი, გ, ო/უ ხმოვნებს მორფოლოგიურად უფუნქციო, „პარაზიტულ“ ხმოვნებს უწოდებს (ჟღენტი 1953: 177).

ლაზურისა და მეგრულის უ < ო შეესატყვისება ქართ. ა ემფატიკურ ხმოვანს (Климов 1962 25; გამყრელიძე..., 1965: 158; კარტოზია 2005: 64-68). ემფატიკური უ გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში (ფუძეში ო, უ-ს არსებობისას) შენარჩუნებულია, სხვა შემთხვევაში გ და ი-დ იცვლება (კარტოზია 2005: 68). შდრ.: გ. კლიმოვი: ემფატიკური უ მიღებულია გ, ი ხმოვნებისაგან ფუძისეულ უ, ო ხმოვნებთან ასიმილაციით (Климов 1962: 25).

მავრცობ ხმოვანთა გამოვლენის სიხშირე მეტ-ნაკლებად განსხვავებულია სალიტერატურო ქართულსა და კილოებში. თანამედროვე სალიტერატურო ენაში, ძველ ტექსტებთან შედარებით, მავრცობი ხმოვნის გამოყენების არე გაფართოებულია. ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს კილოებში, დასავლურ დიალექტებში კი იშვიათია (ზურაბიშვილი 1956: 232-233).

მავრცობი/ემფატიკური ხმოვნები ფართოდაა გავრცელებული მეგრულში. ამასთან, მეგრულის კილოკავები გარკვეულ სხვაობას გვიჩვენებს მავრცობ ხმოვანთა სახესხვაობების მიხედვით; გ ხმოვანი

დამახასიათებელია ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავისთვის, გვხვდება აგრეთვე ჩხოროწყუ-მარტვილის მეტყველებაში. სენაკისა და ხობის მეტყველებაში უმთავრესად ხმოვანი გვაქვს. მავრცობი უმეტწილად უ ხმოვნის შემცველ ფუძეებთან ფიქსირდება.

მავრცობი ხმოვანი მეგრულში შეიძლება ახლდეს თანხმოვანზე დასრულებულ სხვადასხვა (როგორც ფორმაცვალებად, ისე ფორმაუცვლელ) სიტყვას. სალიტერატურო ენისა და კილოების მსგავსად, ძირითადად პაუზასთან, წინადადების ან შესიტყვების ბოლოს გამოიყენება. შეინიშნება განსხვავებული ფაქტებიც.

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ზმნურ ფორმებში მავრცობი ხმოვნების გამოვლენის შემთხვევებს სამურზაყანოულ მეგრულში ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის – გალის სოფლების მეტყველების მიხედვით. საანალიზოდ ავიღეთ გამოქვეყნებული მეგრული ტექსტები (Кипшидзе 1914; ხუბუა 1937; ლომია... 2012)<sup>1</sup>, რომლებიც შევუდარეთ ახალ მასალას, კერძოდ, გალის სოფლების (ოტობაია, ღუმურიში) მონაცემებს<sup>2</sup>. მასალის ანალიზის შედეგად საინტერესო სურათი გამოიკვეთა.

მეგრულში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მავრცობი ხმოვანი თანხმოვნით დასრულებულ ნებისმიერ სიტყვასთან შეიძლება შეგვხვდეს. ჩვეულებრივ იხმარება ზმნურ ფორმებთანაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ზემორაჭულში გამოყენებულ ამ ტიპის ხმოვანს შ. ძიძიგურმა „ზმნური მავრცობი“ უწოდა (ძიძიგური 1954: 75).

ზმნური მავრცობი ხმოვანი ძველ ქართულ ტექსტებში არ დასტურდება. იშვიათად გვხვდება თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენაში. მავრცობი -ა უმთავრესად ჩნდება -ს, -თ, -ნ სუფიქსების მომდევნოდ პაუზასთან როგორც წინადადების ბოლოს, ისე შიგნით. მაგალითად:

ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ნახესა და განიცადეს (ზურაბიშვილი 1972: 45).

მსგავსი ფაქტები ფიქსირდება XVIII საუკუნის დოკუმენტში: ...ოცდარსა თუმნათ და(ა)ფასესა, თვრამეტი თუმანი ნაღდი უნდა მივცეთ, რაც ჩვენი მართებსა (ქავთარაძე 1964: 73).

მავრცობი ა ზმნებთან ხშირია რიგ კილოებში (რაჭული, ფშაური, ხევსურული, ინგილოური, იმერული, ლეჩხუმური). თვალში საცემია მისი ხმარება ტაოურში, სადაც, სხვა კილოებთან შედარებით, მავრცობი ა სისტემებზე დაერთვის ერთმარცვლიან ზმნებს, როგორც თანხმოვნით, ისე

<sup>1</sup> ი. ყიფშიძე ცალკე გამოყოფს ზუგდიდურ-სამურზაყანოული მეტყველების ნიმუშებს (ჩაწერის ადგილი მითითებული არ არის). მ. ხუბუას ტექსტები ჩაწერილია გალის სოფლებში (წარჩე, ბარღეფი, საბერიო, ნაბაკი, ოტობაია), მ. ლომიასა და რ. გერსამიას მასალა ჩაწერილია სოფელ ბარღეფში.

<sup>2</sup> საანალიზო აუდიომასალა ჩაიწერეს და მოგვაწოდეს აღნიშნული სოფლების მკვიდრებმა, საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევრებმა, ფილოლოგიის დოქტორებმა სოფიო კვკუამ და კესო გუჯუამ, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით.

ხმოვნით დასრულებულ ფორმებს (დადიანი 2018). შდრ.: შ. ფუტკარაძე ა მავრცობს „უფუნქციო ა ხმოვანს“ უწოდებს (ფუტკარაძე 2016: 213, 300).

სპეციალურ ლიტერატურაში ზმნური მავრცობი ხმოვნები, სახელებთან შედარებით, ნაკლებადაა შესწავლილი.

მეგრულში ზმნურ ფორმათა გავრცობის შემთხვევები განხილულია სხვადასხვა ნაშრომში (Кипшидзе 1914: 012, 067-069; ეზუგბაია 2010: 174-175; ლომია... 2012 (1): 78-84; ქირია... 2015: 265, 750). თუმცა საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა.

მეგრულში მავრცობი ხმოვნით შეიძლება გართულდეს პირისა და რიცხვის სუფიქსები; ზმნის ფუძის სტრუქტურას (მარცვლის რაოდენობას) მნიშვნელობა არ აქვს, დაერთვის სხვადასხვა მწკრივის ფორმას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სენაკურ მეტყველებაში მავრცობი ხმოვნები უფრო ხშირად გვხვდება, მათ შორის ზმნურ ფორმებთან, ვიდრე სამურზაყანოულში.

ზმნური მავრცობი ხმოვნები გამოვლინდება შემდეგ პოზიციებში:

1. -ქ სუფიქსის მომდევნოდ აწმყო-მყოფადისა და I-III თურმეობითის ფორმებთან მხოლოდითი რიცხვის I-II პირში.

ი. ყიფშიძის ტექსტებში შესაბამის პოზიციაში მეტწილად გ. უ ხმოვნები გვხვდება:

ქაარწყეჟე ჩქიმი გაჭირებასე (70) „ხედავ ჩემს გაჭირებას“; მა ვორეჟე ღორონთი (70) „მე ვარ ღმერთი“; ნე დოპილგენჟე (50) „ნუ მომკლავ“; მიდურჟე დო ქობთხინჟე ღორონგე (69) „წავალ და შევთხოვ ღმერთს“; მა თეჟი ქედორხვადჟე (51) „მე იქ დაგვხვდები“... ასე მა მიდურჟეჟე ეუდეშა (61) „ახლა მე წავალ სახლში“; სოქიშახე მეურჟე, ჯგირი კოჩი? (69) „სანამდე მიდიხარ, კარგო კაცო?“, თისე მიდგაყუნჟეჟე ჩილოვა (75) „იმას გავყვები ცოლადო“; თიში უკული ქობლურჟეჟე (163) „იმის შემდეგ ვკვდები“.

შდრ.: მ. ხუბუას ტექსტებში -ქ სუფიქსიან ზმნურ ფორმათა გავრცობის ნიმუშები არ დასტურდება.

-ქ სუფიქსიან ფორმებთან გ ხმოვანი ფიქსირდება მ. ლომიასა და რ. გერსამიას მიერ სოფ. ბარლებში ჩაწერილ ტექსტებში:

შქაშა მიშებლენჟე დო... (104) „შუაში შევალ და“... თემ იტალენჟე დო ვარია? (96) „ისე ტოვებ თუ არაო?“.

სოფელ ოტობაიაში ჩაწერილ ახალ მასალაშიც გ მავრცობი იხმარება:

თუთუმს მარკატელით პწილგენჟე „თუთუნს მარკატელით ვწყვეტ“; თენეფს ქენატკუჩანჟე დო... „ამათ დაპრესავ და“...

2. III სუბიექტური პირის -ს/-ც (მხ. რიცხვი) და -ეს (მრ. რიცხვი) ფორმანტების შემდეგ. შესაბამისი ნიმუშები წარმოდგენილია როგორც გამოქვეყნებულ, ისე ახალ მასალაში.

ი. ყიფშიძის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ ტექსტებში, -ც სუფიქსის მომდევნოდ, ჩვეულებრივ, გ, უ ხმოვნები გვაქვს:

დედები სარალოს ანწი მუ უჭირცე (58) „საბრალო დედაბერს აწი რა უჭირს“; ანწი მუს აკეთენცე აქი (55) „აწი რას გააკეთებს აქ“; ჯუნუნცე



ბოშისგ (59) „კოცნის ბიჰს“; მისგთი ოკო ნი, მეურცუ, ჭკუმუნცუ დო შუნცუ (65) „ვისაც უნდა, მიდის, ჭამს და სვამს“; გეჭოფუნცუ ლაკვატასგ, ოფოთანცგ დო ჩიტეფცგ, დუცუ სოფუნცუ (56) „აიღებს ჯოხს, ისვრის და ჩიტებს თავს აცლის“; პატონს ლურსუ (49) „ბატონს სძინავს“...

ჯიხაში კარი გუნჯესგ დო გემგნააშქვესგ დო კონი კარი მოუკილეესგ დო თქვისგ: თის ვე მეჩანდესგ თი ცირას (49) „ციხის კარი გაუღეს და შეუშვეს და კვლავ კარი მოუხურეს და თქვეს: იმას არ მისცემდნენ იმ ქალიშვილს“; საშუალოთ ართი ცუდე გეიოგესგ დო თექი ქოდოდირთესგ (50) „საშუალოდ ერთი სახლი ააგეს და იქ დადგნენ“...

მ. ხუბუას ტექსტებში მსგავსი მაგალითები იშვიათია: მუ უკოხგლე მჭურსგ (268) „თვითონ უკან მოდის“.

მ. ლომიას და რ. გერსამიას ტექსტებში -ს, -ეს სუფიქსების მომდევნოდ ჩვეულებრივ გ ხმოვანი დასტურდება:

თენა უცორსგ ასე თე ხენწფესგ (ლომია... 2012 (1): 102) „ეს უყვარს ახლა ამ ხელმწიფეს“; თე დემიში ძღაბისგ მეყუნსგ თე რაში დო მიდართესგ (100) „ამ დევის გოგოს მიჰყავს ეს რაში და წავიდნენ“; მასგმა დღას ქედარინესგ თამადა (98) „მესამე დღეს დააყენეს თამადა“; თი სახენწიფოსგ ხენწიფალა ჩაბარესგ იშო (116) „იმ სახელმწიფოში ხელმწიფობა ჩააბარეს“.

ჩვენ მიერ დამუშავებულ ახალ მასალაში უმთავრესად გ, იშვიათად კი უ ხმოვანი გამოვლინდა:

დუს ვეგლეყოთანსგ „თავს არ ჩამოაგდებს“; თექ ნერგეფ მოპუნდესგ „იქ ნერგები მოგვყავდა“; ზჟა ეკურსუ დო ცვალო გინირთუ (სოფ. ოტობაია) „რძე შედედდება და ყველი გახდება“; მუდაშე მოულუდესგ, კიევიშე „იქიდან მოჰქონდათ, კიევიდან“; მალურსუ დო ათაქ ეკუჯიკუანა (სოფ. ღუმურიში) „წამოვა და აქ უბიძგებენ“.

3. მრავლობითი რიცხვის -თ, -ნ ფორმანტების შემდეგ:

ა) -თ სუფიქსიან ფორმებთან ი. ყიფშიძის ტექსტებში, ჩვეულებრივ, გ ხმოვანი გვხვდება:

სახელო ქიგიოდვითე „ჯიმუშიერია“ (73) „სახელად დაარქვით „ჯიმუშიერია“; ჩილი დო ქომონჯი ქიბრჩინუთე დო (73) „ცოლი და ქმარი ვბერდებით და...“; ზუგიცგ თქვა ქიმერთითე უჩარდიაშა (3) „ზუგდიდში თქვენ მიდით უჩარდიასთან“; შვიდებით ზოჯენდათე, პატენი! (3) „მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო!“; ღურათ ვა ღურედათე დო... (147) „სიკვდილით არ მომკვდარიყავით და...“

მ. ხუბუას, ასევე, მ. ლომიასა და რ. გერსამიას ტექსტებში გაუვრცობელი ფორმები დასტურდება.

სოფლების – ღუმურიშისა და ოტობაიას მეტყველებაში მავრცობად მეტწილად გ ხმოვანი გვევლინება, იშვიათად უ ხმოვანი დასტურდება. მაგ.:

ქოთომეფს ფჩანდითე, დოფთასუნდით დო დობრგუნდითე „ქათმებს ვაჭმევდით, დავთესავდით და დავრგავდით“; ათე თუთუმ ბოლოშა გეპტახითე „ეს თუთუნი ბოლომდე შევტეხეთ“; ჩაჩაბიას დოინანდითე,

გუაკეთენდით „ჩირობს (ჩალის ჩილობს) იმასვიზამდით, გავაკეთებდით“; მიდურთუ დო სანთელს ქიგულუანთ (სოფ. ოტობაია) „წავალთ და სანთელს შემოვავლებთ“.

ბ) -ნ სუფიქსი კავშირებითის ფორმებს დაერთვის. -ნ-ს მომდევნოდ მავრცობ ხმოვნად, როგორც წესი, ი ხმოვანია წარმოდგენილი. საილუსტრაციო ნიმუშები:

ი. ყიფშიძე: დღას ვაიძირუდანი გახარება (147) „არასდროს გენახოთ გახარება“; გიყორდანი ართიანი (79) „გიყვარდეთ ერთმანეთი“; დუსუ მილუდანი ჭკუა (167) „თავში გვქონდეს ჭკუა“; მარა ვა გვგანჭყორანი ღორონთქე (79) „მაგრამ არ გაგიწყრეთ ღმერთი“; ანწი გიჩქიდან თენა (169) „აწი იცოდეთ ეს“; მუ ქიმიანანი (12) „რა ქნან“.

მ. ხუბუა: დონთხორანი თი მხარე დო... (289) „გათხარონ ის მხარე და...“

ახალი მასალა: ფხვამანთე, ვამმარკანი ბჟა, ცვალი „ვლოცავთ, რომ არ მოგვაკლონ რძე, ყველი“ (სოფ. ოტობაია).

4. მავრცობის ფუნქციას ასრულებს, ასევე, ზმნურ ფორმებთან -კო სუფიქსისა და და „თუ, და“ კავშირის დართვისას წარმოდგენილი გ, უ ხმოვნები:

ა) -კო სუფიქსიანი ფორმები:

ი. ყიფშიძე: ბრელი ინგარეს, მარა მუ ქიმიანესგო? (105) „ბევრი იტირეს, მაგრამ რა ექნათ?“; თინეფი ოკო არძო უჭოფედესგო ნი დო ხენწიფეშა ქემუუსუნაფუდესგო ნი (53) „ისინი ყველა უნდა დაეჭირათ და ხელმწიფესთან მოეყვანათ“; დუუჩინგ ნდემეფცე მუში დორთაშა უყარულესგო ნი (65) „დაუბარა დევებს, რომ მის დაბრუნებამდე ედარაჯათ“.

ბ) და „თუ, და“ კავშირის შემცველი ფორმები რთულ კონსტრუქციაში დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება. და კავშირი ენკლიტიკურად მიერთვის ზმნას. მაგალითები:

ი. ყიფშიძის ტექსტებში და კავშირი ცალკე დგას: ათე კვათილი კურჩის მომირდენქე და, გიგაშქვანქია (51) „ამ მოკვეთილ ფეხს თუ გამიზრდი, დაგარტყამო“; სი ჩქიმი ჩილობაში ვარიას ვა თქუანქე და, ათაურეშეთი მიდაგიცონა (80) „შენ ჩემს ცოლობაზე თუ უარს არ იტყვი, აქედანაც წაგიყვან“; ფაიტონითე მიდაზოჯუნთე და, აღერუაფუ ჟირი მანათი (2) „ფაეტონით თუ წაბრძანდებით, ეღირება ორი მანეთი“; დემქე ქემორთასე და, ომიჭოფი (50) „დევი თუ მოვიდეს, დამიჭირე“.

მ. ხუბუა: ქიგემბუნა პიჯიშ ობონალ წყარსგნ, ქოგიჭირსგ-და, ზესხირო გინმირთუ თინა ხოლოვა (296) „რომ დამისხამენ პირის დასაბან წყალს, თუ გიჭირს, სისხლად გადაიქცევა ისიცო“.

მ. ლომია, რ. გერსამია: ქომჩანსგ-და, ქომჩასია თი მუში გიობუნალი რაშინ, ქოუწივა (98) „თუ მომცემს, მომცესო ის მისი რაში, უთხარიო“.

ზემოთ განხილული გავრცობილი ზმნური ფორმების პარალელურად გამოიყენება გაუვრცობელი ვარიანტებიც. გაუვრცობელი ფორმები მრავლად დასტურდება გაანალიზებულ ტექსტებში:

მ. ხუბუა: ათე შქვილ დო საგანს იბლანქ (296) „ამ მშვილდ-ისარს წავიღებ“; მა იშენ დინაფილი ვორექ (281) „მე მაინც დალუპული ვარ“; ცუდეს და ქიდიტეს დო ონადირუშა მიდართეს (293) „სახლში და დატოვეს და სანადიროდ წავიდნენ“.

ი. ყიფშიძე: ირი კოც დიარა გუუნწყყის (54) „ყველა კაცს ლხინი მოუწყვეს“; [ქორას] კენი გელავჭჳანქ (48) „[მუცელს] კვლავ ამოგკერავ“.

მ. ლომია, რ. გერსამია: ათაქ დოლო ქოგოჩანს (110) „აქ მდელიო ხარობს“; დექორწინეს თენენქ (116) „დაქორწინდნენ ესენი“; ალექსანდრე აღმასხანიშ ბოშ ვორექ (100) „ალექსანდრე აღმასხანის ბიჭი ვარ“.

ახალი მასალა: ურემეფით გულუურდეს „ურმებით დადიოდნენ“; ხეთ თასგნდეს „ხელით თესავდნენ“; ქიდაწკარანქ დო დოკირგნქ თენას „დააწყობ და შეკრავ ამას“ (სოფ. ოტობაია).

გარკვეულ პოზიციებში ზმნები მხოლოდ გავრცობილი სახით იხმარება. მაგალითად:

ა) სხვათა სიტყვის -ა ნაწილაკის დართვისას, როგორც წესი, მავრცობი ი ხმოვანი ჩნდება. საილუსტრაციო ნიმუშები ტექსტებიდან:

ი. ყიფშიძე: ირი ჭუაშე დგგოსქილიდუანქია (50) „ყველა ტკივილისგან მოგარჩენო“; მაჟირა დღას ქიფჩინენთია (54) „მეორე დღეს მოგარჩენთო“; თი ცირასე ცუნცია დიდა (63) „ამ ქალიშვილს ჰყავსო დედა“; თოფიქე გოლასია დო ბოში დოჟვილასია (67) „თოფი გავარდეს და ბიჭი მოკლასო“; პატონი დოპილგნსია (49) „ბატონი მომკლავსო“.

მ. ხუბუა: მა დგგოგურუანქია, ბაბა, ჭარუა დო კითხირსია (283) „მე გასწავლიო, მამა, წერას და კითხვას“; ჭითა ცხენი გაგმიცონითია, ტანი გუბონითია (267) „წითელი ცხენი გამოიყვანეო, ტანი დაბანეთო“; წოხოლე უნჩაშიქ იდასია (283) „წინ უფროსი წავიდეო“; არმაქ თაშ ქიმინესია (277) „ყველამ ასე ქნაო“.

მ. ლომია, რ. გერსამია: მა სქან მუმა ვორექია (94) „მე მამაშენი ვარო“; სი მა გინგოტენქია ოჭგმარესია (96) „შენ მე გიხსნიო დილითო“; მა ბოში ვაპუნსია (92) „მე ბიჭი არ მყავსო“; ისია ვემერჩანსია სი თი დემი (98) „იმას არ მოგცემსო შენ ის დევი“.

ახალი მასალა: დუდ ვეჭოფასია (სოფ. ოტობაია) „თავი არ ასწიოსო“.

ზოგადად, მეგრულში III სუბიექტური პირის -ნ სუფიქსი (მხ. რ.), ასევე -ან სუფიქსისეული (მრ. რ.) ნ თანხმოვანი იკარგება, მაგრამ აღდგება -ა ნაწილაკის დართვისას. -ნ, -ან სუფიქსების მომდევნოდ ი ხმოვანი გვაქვს:

ი. ყიფშიძე: ხენწგფესე თოლეფც აჭუნია დო ლეხი რენია (66) „ხელმწიფეს თვალები ტკივაო და ავად არისო“; მუშო მოკონია მა სქანი აღმასი (72) „რად მინდაო მე შენი აღმასი“; სქუა წანამოწანაშა ქგგაშიინანია

(73) „შვილი წლამდე გეყოლებათო“; ჩქვ სოლეტინი ვა მომირთემუნანია, სქუავა! (58) „ჩვენ არსაიდან არ მოვსულვართ, შვილოო“.

მ. ხუბუა: ჩქიმი მუმაშ ბეჭედი ულუნია ჩქიმი დასია (291) „მამაჩემის ბეჭედი აქვსო ჩემს დასო“; მუ უჩქენია სქანი სარკესია? (279) „რა იცისო შენმა სარკემო“... დიდქალამ თხალეფი გოცილგნანია, გარაგუნანია, მუნერო ვა გოცილგნანია? (306) „დიდრქიანი თხები ხელს გიშლიან, გეურჩებიან, რანაირად არ გიშლიან ხელსო?“.

მ. ლომია, რ. გერსამია: ვეზირი გეუჭოფუნია ისე დო ვასაჭირგნია (92) „ვეზირი აუყვანიაო იმას და არ სჭირდებაო“; ინეფი დოიძახგნანია (94) „ისინი დაგიძახებენო“.

შდრ.: ზმნური მავრცობი ა სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის წინ ცნობილია დიალექტებში:

რაჭული: არა ვართაო; ამტენი ხანი აქა ხარაო; ვხნამაო, უთხრა შვილმა; მშიერს დაქტოვებაო (მიძიგური 1954: 231); ზემოიმერული: კურდღლებს ვერავინ დამიჭერსაო; სოფლის ახლოს არ მიიტანოთაო (მოწენიძე 1952-53: 101); ტაოური: ისე თქუესაო, იყენესაო (ფუტკარაძე 1993: 174).

მავრცობი ი გამოვლინდა კითხვითი -ო ნაწილაკის წინ: მა ჯგირი კოჩი ვა ვორექიო, ობრის სუვა ქიმივობირე ნი? (Кипшидзе 1914: 53) „მე კარგი კაცი არ ვარო, ორბს ფრთა რომ მოვპარე?“.

გ) საინტერესოა ნი „რომ“ კავშირიანი ზმნური ფორმები. ნი კავშირი, როგორც წესი, ენკლიტიკურად მიერთვის ზმნურ ფორმას. ნი-ს წინ კი ყოველთვის დგას ხმოვანი. სამურზაყანოულში მეტწილად გ ხმოვანი დასტურდება, იშვიათად – უ ხმოვანი. ნ-ს წინ წარმოდგენილი გ, უ ხმოვნები სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, მავრცობ ხმოვნებად განიხილება (ეზუგბაია 2010: 175; ქირია... 2015: 265).

საილუსტრაციო მასალა:

ი. ყიფშიძე:<sup>3</sup> შარას მუურსე ნი, ართი მედეჯე ქოძირე (51) „გზაზე რო მიდის, ერთი მელორე დაინახა“; ირო გინოკვათენცე ნი, ირო გინიმიირდულუ (59) „სულ რომ ჭრის, სულ ამოდის“; ნიჭიორი ეთინა რე, ირფელს იგურუნანცე ნი, სიმტყუნეს ვაკათულუ, სიმართლეს თქუანცე ნი (162-163) „ნიჭიერი ის არის, ყველაფერს რომ სწავლობს, სიმტყუნეში არ გაერევა, სიმართლეს რომ იტყვის“.

მ. ხუბუა: ირო ჩქემი ცუდეს ვორექენი, მიდურქ მაჟირა ქალაქიშა“ (280) „სულ ჩემს სახლში რომ ვარ, წავალ მეორე ქალაქში“; ბოშიქ მუდგა თქუასგნ, ვა უღე მუთუნ ქონება, თე ყარულქ გუშტუასგნი (281) „ბიჭმა რაც უნდა თქვას, არ აქვს არაფერი ქონება, ამ დარაჯმა რომ გაუშვას“; სქამი დო სტოლი ქემუდესგნი, ვა დოხოდგ (282) „სკამი და მაგიდა რომ მოუტანეს, არ დაჯდა“; ქივეჩხუპებუქუნი, თი ჭიჭე ჯარი ცუნცენი თინა მიმერიებგ (289) „რომ შევებრძოლები, ის პატარა ჯარი რომ ჰყავს, ის მომერევა“.

მ. ლომია, რ. გერსამია: მუსე თხინქია სკანი მუანთირს, იახან, ქუგაჩუქასგნი (98) „რას თხოვო შენს მამამთილს, რომ გაჩუქოს“; მუს

<sup>3</sup> ი. ყიფშიძის ტექსტებში ნი ცალკეა წარმოდგენილი

უწინქენ, თის იბირსია (104) „რასაც ეტყვი, იმას იმღერებსო“; ალექსანდრე ალმასხანიში ბოში ვორექინ, უწია (94) „ალექსანდრე ალმასხანის ბიჭი რომ ვარ, უთხარიო“.

შდრ.: ახალ მასალაში მსგავს კონსტრუქციაში ზმნურ ფორმათა ბოლოკიდურად გ, უ ხმოვნები დასტურდება (ნი კავშირი არ ჩანს, თუმცა მისი სემანტიკა იგულისხმება). მაგ.:

ქაფუნუნანქე, ხაჭო იი „რომ აადუღებ, ხაჭო იქნები“; ბერგით ხაჩქენქე, თინა რე ჯგირ (სოფ. ოტობაია) „თოხით რომ გათოხნი, ის არის კარგი“; ღუმს ჰჰკუნთუ, წამალერიე (სოფ. ღუმურიში) „ღომს რომ გჰამთ, მოწამლულია“.

ასეთი მაგალითები გამოქვეყნებულ ტექსტებშიც ფიქსირდება:

ი. ყიფშიძე: უჯგუ მიდაბრთათი გვალაშა დო ჩქენი კუნტა ხანი თექი მიდეებლათი (56) „აჯობებს წავიდეთ მთაში და ჩვენი მოკლე ხანი იქ გავატაროთ (წავილოთ)“.

მ. ლომია, რ. გერსამია: ათესე კართეშა ქეწუოთანქე, თიმწკმა თისე გონწყენსია (100) „ამას კალთაში რომ ჩაუგდებ, მაშინ იმას გასხნისო“; უკული ხენწიფე ქომირუნს, ქემოურსე „შემდეგ ხელმწიფე დაინახავს, რომ მოდის (100).“

განხილულ ნიმუშებში ნი კავშირი ცვეთის შედეგად დაიკარგა, თუმცა დაკარგული კავშირის ფუნქციას ბოლოკიდური ხმოვანი ასრულებს (ყიფშიძე 1914: 0140-0141; კარტოზია 1958: 233-234). გ. კარტოზიას აზრით, ნი-ს წინ მდგომი ი/გ ხმოვნები კავშირის ორგანული ნაწილია: ნი < ინი, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ნი-ს მოკვეცის შემდეგ ი/გ ხმოვნებს შეუძლია კავშირის როლი შეასრულოს (კარტოზია 1958: 234).

ზმნის ბოლოკიდური ხმოვანი სადემარკაციო ფუნქციით გვევლინება, ის რთული კონსტრუქციის ნაწილებს მიჯნავს.

განალიზებული მასალიდან ჩანს, რომ სამურზაყანოულ მეგრულში ზმნური მავრცობი ხმოვანი საკმაო რაოდენობით გამოიყენება; ძირითადად ჩნდება პაუზასთან როგორც წინადადების ბოლოს, ისე შიგნით. მ. ხუბუას ტექსტებში გავრცობილი ფორმები შედარებით ნაკლებად გვხვდება. ზმნურ ფორმათა გავრცობილი და გაუვრცობელი ვარიანტები ხშირ შემთხვევებში თავისუფლად მონაცვლეობს, გარკვეულ პოზიციებში (სხვათა სიტყვის -ა ნაწილაკისა და -ნი კავშირის წინ) კი მხოლოდ გავრცობილი ვარიანტებია წარმოდგენილი. მავრცობ ხმოვანთაგან გავრცელებულია ნეიტრალური გ ხმოვანი. უ ხმოვანი უმთავრესად ისეთ ზმნებთან დასტურდება, რომელთა ფუძე უ ხმოვანს შეიცავს. ი ხმოვანი ზმნის ბოლოკიდურად იშვიათად (-ნ სუფიქსის მომდევნოდ) გამოვლინდება. ზოგადად, მეგრული ზმნური მავრცობი ხმოვნების გამოყენების სიხშირით განსხვავდება სამწიგნობრო ქართულისაგან, თუმცა მსგავსი ფაქტები მეტ-ნაკლებად დასტურდება დიალექტებში.

---

 გამოყენებული ლიტერატურა
 

---

- გამყრელიძე... 1965: გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
- დადიანი 2018: დადიანი ე., ზმნური მავრცობი ა ტაოურში: ჟურნ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XXII, ქუთაისი, 2018.
- ზურაბიშვილი 1956: ზურაბიშვილი თ., ემფატიკური -ა ახალ ქართულში, სბი, I, თბილისი, 1956.
- ზურაბიშვილი 1972: ზურაბიშვილი თ., მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1972.
- იმნაიშვილი 1957: იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957.
- კარტოზია 1958: კარტოზია გ., კავშირებითა წარმოებისათვის მეგრულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, №8, 1958.
- კარტოზია 2005: კარტოზია გ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი, 2005.
- ლომთაძე 1976: ლომთაძე ა., ემფატიკური ხმოვნები: მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 1976, №3;
- ლომია 2012 (1): ლომია მ., გერსამია რ., ხაზთაშორის მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი), ნაწილი 1, თბილისი, 2012.
- ლომია 2012 (2): ლომია მ., გერსამია რ., მეგრული ტექსტები, ნაწილი 2, თბილისი., 2012.
- ნოზაძე 1990: ნოზაძე ლ., ემფატიკური ი ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXIX, 1990.
- ჟღენტი 1953: ჟღენტი ს., ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1953.
- უთურგაიძე 1986: თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986.
- ფოცხიშვილი 2000: ალ. ფოცხიშვილი, მარცვალთდიაობის ა ახალ ქართულში: წიგნი: ქართული ენა, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები, თბილისი, 2000.
- ფუტკარაძე 1993: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ტ. I, ბათუმი, 1993.
- ფუტკარაძე 2016: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ტ. II, ბათუმი, 2016.
- ქავთარაძე 1964: ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1964.
- ძიძიგური 1954: შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954.

ძოწენიძე 1947: ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში, თსუ შრომები, XXX-XXXI, 1947.

ქირია 2015: ქირია ჭ., ეზუგბაია ლ., მემიშიში ო., ჩუხუა მ., ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I, მორფოლოგია, თბილისი, 2015.

ხუბუა 1937: ხუბუა მ., მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937.

Кипшидзе 1914: Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914: თხზულებანი, თბილისი, 1994.

Климов 1962: Климов Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

გალის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ოტობაია, ღუმურიში) ჩაწერილი მეგრული ტექსტები. აუდიომასალა ჩაიწერეს ფილოლოგიის დოქტორებმა სოფიო კეკუამ და კესო გეჯუამ 2022 წელს.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6976>

**მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია)  
ცხუმ-აფხაზეთის კათედრაზე**

**Metropolitan Ambrosi (Khelaia)  
as the Catholicos-Patriarch on the Cathedra  
of the Diocese of Tskhum-Abkhazia in Georgia**

**ლაშა დეისაძე-შარვაშიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Lasha Deisadze-Sharvashidze**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

Metropolitan Ambrosi (Khelaia), a notable figure in the history of our country and the esteemed leader of the Catholicos-Patriarchate, served as the Archbishop of the Diocese of Tskhum-Abkhazia, where he dedicated himself to the spiritual and religious interests of the nation and the flourishing Orthodox Church of Georgia. As a wise clergyman and devoted patriot, Metropolitan Ambrosi actively engaged in the affairs of the Georgian government and the ecclesiastical administration of the Diocese of Tskhum-Abkhazia. His tenure played a crucial role in the promotion of the principles and values upheld by the Georgian Orthodox Church and the national identity of Georgia.

Metropolitan Ambrosi was a spiritual father to every faithful Christian, residing within the jurisdiction of the Diocese of Tskhum-Abkhazia, which encompassed the regions of Tskhum and Abkhazia. His influence extended beyond the ecclesiastical sphere, as he ardently safeguarded the righteous interests of the Georgian nation and the Orthodox Church. Furthermore, Metropolitan Ambrosi held a special place as a representative of the ethnic communities residing in the historical territory of Tskhum-Abkhazia.

In September 1921, Metropolitan Ambrosi was elected as the Catholicos-Patriarch of Georgia, relinquishing his position on the Cathedra of the Diocese of Tskhum-Abkhazia. This momentous appointment marked the pinnacle of his religious and administrative career, symbolizing his full dedication to the Catholicos-Patriarchate and the spiritual guidance of the Georgian Orthodox Church.

This article relies on scholarly publications, archival sources, and periodical



materials to present a comprehensive account of Metropolitan Ambrosi's life and contributions.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა რუსეთის ანტიქართული პოლიტიკა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მოღვაწეობა.

Keywords: Anti-Georgian policy of Soviet Russia, Eparchy of Tskhum-Abkhazia, Public activities of Catholicos-Patriarch Ambrose Khelaia.



ჩვენი სამშობლოსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია უკანასკნელი თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და შესაძლოა ითქვას, გარკვეულწილად, საისტორიო ერთობასაც წარმოადგენს. განვლილი თითქმის ორი ათასწლეულის სიღრმეებსა თუ შედარებით ახლო და უახლეს წარსულში ქართველი საეკლესიო იერარქიის არაერთმა წარმომადგენელმა იტვირთა თავდადება და თავგანწირვა მშობელი ქვეყნისა და ეკლესიის კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული და მოწინავე ადგილი უკავია უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქს ამბროსის (ხელაია), რომელიც მღვდელმთავრობისას გახლდათ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. სწორედ მისი მოღვაწეობის ხსენებულ პერიოდს ეხება წარმოდგენილი სტატია, რომელიც მნიშვნელოვანწილად აგებულია სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულ საისტორიო დოკუმენტებზე დაყრდნობით. ასევე, გამოყენებულია შესაბამისი მასალა თანადროული პერიოდიკიდან. სათანადო წყაროების მოხმობით წარმოჩენილია მიტროპოლიტ ამბროსის მართლმკვეთელურ და სამართლიან სახელმწიფო-ფოებრივ-პატრიოტულ საფუძვლებზე დამყარებული სამღვდელმთავრო მსახურება და მოღვაწეობა აფხაზეთის უძველეს ქართულ ქრისტიანულ მიწაზე.

წმიდა ამბროსი აღმსარებელი (ეროზაში ბესარიონ ხელაია) 1861 წლის 7 ოქტომბერს (ძველი სტილით) დაიბადა. ცნობილია მეცხრამეტე საუკუნის რუსული იმპერიული მმართველობის უღლის სიმძიმე საქართველოში... სწორედ ამ დროს იწევა განგებამ, რომ ამქვეყნად მოვლენილიყო წმიდა ამბროსი აღმსარებელი, რომელიც რუსეთის მიერ სისხლისღვრით

დამოუკიდებლობაწარმეულ, უმეფო და უპატრიარქო საქართველოში შეუდგა ქვეყნისა და ეკლესიის გაძლიერებისათვის ძალზედ დიდ მოღვაწეობას, რაც, იმთავითვე, ამ მისიის აღსრულებისთვის მოიცავდა სამართლიან ბრძოლასა და თავგანწირვას.

წმიდა ამბროსი აღმსარებელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტობრივად ყოველ ეტაპზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული აფხაზეთთან. სწორედ ამ ძირძველი ქართული მხარიდან დაიწყო მისი სასულიერო მსახურება, როდესაც ის აფხაზეთის სხვადასხვა ტაძარსა და მონასტერში მსახურობდა მღვდლად და იქვე, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ეწეოდა ადმინისტრაციულ თუ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მოგვიანებით, 1921 წლის სექტემბერში, წმიდა ამბროსი სწორედ ცხუმ-აფხაზეთის კათედრის მღვდელმთავრობიდან აირჩიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, რომელიც იყო და არის მისი გამორჩეულად ბუმბერაზი მოღვაწეობის საგვირგვინო გაბრწყინება.

1917 წლიდან დაიწყო წმიდა ამბროსი აღმსარებლის მოღვაწეობა, როგორც მღვდელმთავრისა. მას ეპისკოპოსად ქიროტონიის დღესვე უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ მიანიჭა მიტროპოლიტის მაღალი სამღვდელმთავრო წოდება. მეუფე ამბროსი დადგინდა ჭყონდიდელ მიტროპოლიტად. იმ დროისათვის აფხაზეთი საეკლესიო მმართველობის მხრივ მიწერილი იყო ჭყონდიდის ეპარქიაზე (ვარდოსანიძე 2010: 115).

1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭომ ოფიციალურად მიმართა მიტროპოლიტ ამბროსის. დოკუმენტს ამ მიმართვის შესახებ ეწოდება „სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა მიტროპოლიტ ამბროსისადმი ცხუმის (აფხაზეთის) კათედრის აღდგენის მიზნით სოხუმის ეპარქიის დათვალიერების შესახებ“, რომელშიც ვკითხულობთ: „ვინაიდან დღეს აფხაზეთი არის მიწერილი ჭყონდიდის ეპარქიაზე, საკათალიკოზო საბჭო მოგმართავთ თქვენ მაღალყოვლადუსამღვდელოესობას და გთხოვთ მიმოვლოთ ეს მხარე (აფხაზეთის) და გააცნოთ ადგილობრივნი მკვიდრნი თუ რაოდენად მოუცილებელი საჭიროება არის, როგორც ქართველთათვის, ისე კიდევ უფრო აფხაზეთათვის განახლება იმ სარწმუნოებრივ-საეკლესიო კავშირისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აერთებდა ამ ღვიძლ ძმებს. შედეგი თქვენის მოგზაურობისა და მეცადინეობისა კეთილ ინებეთ აცნობოთ საკათალიკოზო საბჭოს“ (სსსა ს. 463).

მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიას საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებები მრავლად ჰქონდა აფხაზეთში განხორციელებული. ამ მხრივ არც საეკლესიო მიმართულება იყო გამონაკლისი. რუსეთი ცდილობდა, რომ საეკლესიო თვალსაზრისითაც ჩამოეშორებინა ეს ძირძველი ქართული კუთხე საქართველოსათვის. 1918 წელს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა, მამინვე განიზრახეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და 1918 წლის ივნის-ივლისში ქართულ ჯარს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის

სარდლობით ბრძოლების გადახდა მოუწია, რათა აფხაზეთში აღდგენილიყო საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია, რაც სამართლიანად წარმატებით შესრულდა. სოხუმის რუსი ეპისკოპოსი სერგი ჯიუტად და ანტიკანონიკურად ცდილობდა, რომ მიტროპოლიტ ამბროსის არ მისცემოდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მართვის საშუალება. ამ ურთულეს ვითარებაში, 1918 წლის 27 ივნისს, მოკლეს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი. მისი მკვლელობა დიდი დარტყმა იყო საქართველოს ეკლესიისა და პირადად მიტროპოლიტ ამბროსისთვისაც. მიუხედავად მრავალი სირთულისა, მეუფე ამბროსი შეუდრეკელად ცდილობდა, რომ მართლმკვეთელურად დაემწყემსა ცხუმ-აფხაზეთის სამწყსო.

საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულია 1918 წლის 27 აგვისტოთი დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც ამგვარად არის დასათაურებული: „სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა ქალაქ თბილისის სადგურის უფროსისადმი, მიტროპოლიტ ამბროსის სოხუმში გამგზავრებასთან დაკავშირებით“, რომელშიც ნათქვამია: „სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო პატივისცემით გთხოვთ, მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის, რომელიც ფოთით მიემგზავრება ქალაქ სოხუმში სამსახურისა გამო 28 მარტიდან თვეს სადამოს 10 საათზე და 30 წ; მიეცეს მთლიანად ორადგილიანი პირველი კლასის კუპე“ (სსსა ს. 689). მეუფე ამბროსი 1918 წლის აგვისტოს მიწურულს სოხუმში ჩავიდა.

1918 წლის 1 სექტემბერს მიტროპოლიტმა ამბროსიმ სოხუმის საკათედრო ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს მიმართა სიტყვით, რომელშიც მღვდელმთავარმა მიმოიხილა საქართველოს უძველესი და ამავედროულად ახლად ავტოკეფალია აღდგენილი ეკლესიის იმჟამინდელი მდგომარეობა, ასევე გაიხსენა, რომ სწორედ სოხუმიდან დაიწყო თავისი სასულიერო მოღვაწეობა და აღნიშნა: „აქიდან – სოხუმიდან იწყება ჩემი ეკლიანი გზით სიარული, აქ იყო დასაბამი ჩემი ტანჯვა-დევენულობა-ვაება-უბედურებისა, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ სოხუმი იყო აგრეთვე დასაბამი ჩემის ახლანდელის შედარებით ბედნიერებისა, ვინაიდან მე ბედნიერათ მიმაჩნია ჩემი თავი, რომ ვიხილე ის, რასაც ელტვოდნენ ბევრნი მამულიშვილნი, მაგრამ ვერ იხილეს, ე.ი. მაქვს საშვალეობა თქვენთან ერთად გავიზიარო ბედნიერება ეკლესიურად და ეროვნულად თავისუფლებაში ყოფნისა. მაშ, ჩემთვის ყოველთვის სასიხარულო იყო და იქნება ნახვა, თქვენთან ყოფნა, რომ დავრწმუნდე თქვენს სარწმუნოებრივად და ეროვნულად განმტკიცების გზაზე დადგომაში“ (გამახარია 2006: 235-236).

მიტროპოლიტი ამბროსი ხსენებული ვიზიტის ფარგლებში 1918 წლის 9 სექტემბრამდე იმყოფებოდა აფხაზეთში და არაერთ საზოგადოებრივ და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მუხტით განმსჭვალულ შეხვედრა-საქმიანობაში მიიღო მონაწილეობა, რომელთა შორის ის სიტყვით წარდგა თავად გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებიდან ნახევარი წლისთავისადმი

მიძღვნილ ხსოვნის სადამოწოზე, მოინახულა პატიმრები სოხუმის სატუსაღოში და სნეულები – ქალაქის საავადმყოფოში. მიტროპოლიტ ამბროსის ამ სამწყემსო ვიზიტის შესახებ აფხაზეთში გაზეთი „საქართველო“ წერდა: „მან დარიგებით მიმართა ხალხს, განუმარტა სხვათა შორის თანამედროვე გარემოებათა მსვლელობა და ურჩია არ აჰყენენ ბოლშევიკურ დამლუპველ მოძრაობას. მიტროპოლიტმა სოხუმში დაჰყო ერთ კვირამდე. ამ შემთხვევით ისარგებლა ბევრმა აფხაზეთის სხვადასხვა კუთხის საერო და სამღვდლო საპატიო და გავლენიანმა პირმა, რომელთაც ინახულეს მათი მეუფება და მსჯელობდნენ ჩვენი პოლიტიკურ და საეკლესიო კითხვებზე. მიტროპოლიტი ყველას შესაფერ დარიგებასა და რჩევას აძლევდა“ (ჭახრაკი 1918).

ამ დროისთვის სოხუმის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულების საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. აღნიშნულის გადასაწყვეტად 1918 წლის 26 დეკემბერს მიტროპოლიტმა ამბროსიმ მიმართა საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს, სოხუმის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღდგენა-შემოღების აუცილებლობის შესახებ. იმავე დღეს მეუფე ამბროსიმ საკათალიკოსო საბჭოს გაუგზავნა კიდევ ერთი მიმართვა, რომელშიც მიმოიხილა სოხუმის ეპარქიაში იმჟამად არსებული ვითარება (ვარდოსანიძე 2010: 119).

ჰყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი აქტიურად იღვწოდა აფხაზეთში საქართველოს ეკლესიის კანონიერი და სამართლიანი ინტერესების აღდგენა-განახლებისათვის, თუმცა ის ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იწოდებოდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად. 1919 წლის 7 ოქტომბერს სოხუმში გამართულმა საეკლესიო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ხსენებულმა კრებამ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრობისათვის დაასახელა მხოლოდ ერთადერთი კანდიდატი – ჰყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი. აღნიშნულის შესახებ დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ სოხუმიდან უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს აცნობა დეპეშით, რომელშიც ვკითხულობთ: „თბილისი, უწმიდეს კათოლიკოს ლეონიდეს! აქაურმა კრებამ განაჩინა შემოერთება საკათალიკოსოსადმი, ეპისკოპოსად აირჩია ამბროსი ჰყონდიდელი“ (სსსა, ს. 463). აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს მიმართვა: „ჩემი პასუხი. სოხუმი, მიტროპოლიტ ამბროსის, აფხაზეთ-სამურზაყანოს მორწმუნე ერს და სამღვდლოებას! დედაეკლესიასთან შემოერთებით და მღვდელმთავრის საუცხოვო არჩევნებით აფხაზეთის საეკლესიო კრების წევრებმა ოქროს ასოებით ჩაიწერეს თავი სამშობლოს მატთანეში. ლოცვა-კურთხევა შემოერთებულ ჩემს ძეთა და ასულთ, ხოლო შენ ტკბილი სალამი და ძმური მილოცვა თავისუფალი აფხაზეთის ღირსეულ მწყემსმთავარს“ (სსსა, ს. 463).

1919 წლის ოქტომბერშივე აფხაზეთს ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, რომელსაც სოხუმში გულმხურვალე

სიტყვით შეეგება ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი.

ცხუმ-აფხაზეთის კათედრაზე დადგენილი მიტროპოლიტი ამბროსი სამწყემსო ვიზიტებით მოგზაურობდა ეპარქიის სხვადასხვა მხარეში, წარმოთქვამდა ბრწყინვალე ქადაგებებს მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე, განსწავლიდა და განამტკიცებდა მისთვის ღვთითდადგენილ სამწყსოს.

1919 წლის 12 დეკემბერს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ამბროსიმ წარმოთქვა სიტყვა ჯარისკაცთა წინაშე, სახალხო გვარდიის მეორე წლისთავთან დაკავშირებით, სადაც ისტორიულად არსებული ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ძლიერების შესახებ ისაუბრა და ლოცვა-კურთხევითა და გამხნევებით მიმართა ჯარისკაცებს (გამახარია 2006: 326-330).

1920 წლის 28 თებერვალს მიტროპოლიტმა ამბროსიმ დამფუძნებელი კრების ერთ წლისთავთან დაკავშირებით ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც თავისუფლების მნიშვნელობასა და მის ქრისტიანულ გააზრებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა: „ეკლესია და ქრისტეს სწავლა დამცველია თავისუფლებისა ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით... თავისუფლება უნდა გამოიხატოს მოძმეთადმი სიყვარულში, პატივისცემაში მოძმის პიროვნებისა, მისი რწმენისა და მისწრაფებისა. თუ ჩვენ სიტყვით ვქადაგებთ თავისუფლებას და საქმით მას ვარღვევთ და ვსცდილობთ მხოლოდ პირადი თავისუფლებისათვის, მაშინ ეს იქნება არა თავისუფლება, არამედ თვითნებობა“ (ვარდოსანიძე 2017:143).

მიტროპოლიტი ამბროსი თავისი შესაძლებლობების უდიდესი გამოვლინების ფარგლებში კეთილმსახურებით მოღვაწეობდა მისდამი რწმუნებული ეპარქიის გაძლიერებისათვის. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას იმხანად ფინანსური მხრივ არ ჰქონდა სახარბიელო მდგომარეობა, რის გამოც მეუფე ამბროსის უწევდა ზრუნვა ამ კუთხით და მის თანადგომას ცდილობდა კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე.

1920 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ორი წლისთავზე, სოხუმში, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ამბროსიმ წარმოთქვა გულმხურვალე სიტყვა, რომელიც ამგვარად დაასრულა: „თავისუფალი სამშობლოვ, ნუ შეგეშინდება ცხოვრების ტალღების. ჩვენთან არს ღმერთი და როდესაც პეტრესაებრ შევსთხოვთ მას: „უფალო, გვიხსენ ჩვენო“, ის გვეტყვის: „გამხნევდით, ნუ გეშინისთ, მე თქვენთანა ვარო“. მაშინ ჩვენ მარტონი არ ვიქნებით: ჩვენი შემწე იქნება ღვთისმშობელი და ქრისტე მაცხოვარი. მაშ, მოვიკრიბოთ, აღვიჭურნეთ სარწმუნოებით და ღვთისადმი სასოებით და ამას შეუერთოთ თავგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი. მაშინ მტრები სირცხვილელეულ იქმნებიან და ჩვენი ერის თავისუფლებაც განმტკიცდება. მაშინ ჩვენი სიხარულიც იქმნება სრული და სამარადისო. “უკეთუ ღმერთი ჩვენ კერძო არს, ვინა არს ძვირის მყოფელ ჩვენდა” (რომ. 8, 31) (გამახარია 2006: 353).

1921 წლის 14 იანვარს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ამბროსიმ მღვდელმთავრული სიტყვით მიმართა სოხუმის სამხედრო რაზმს,

დაარსების მესამე წლისთავთან დაკავშირებით (გამახარია 2006: 357-359).

1921 წლის თებერვალში საქართველოში შემოიჭრა საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ძალები. რუსეთმა დანაშაულებრივად და სისხლის ღვრით მოახდინა საქართველოს ანექსია. ბოლშევიკები ეკლესიისადმი იდეურად და აგრესიული ფორმებით მტრულად იყვნენ განწყობილნი. 1921 წლის 15 აპრილის №21 დეკრეტით, კერძოდ, მე-14 და მე-15 მუხლებით, საქართველოს ე.წ. რეგკომმა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშედ გამოაცხადა. ხსენებულ დეკრეტში ჩაიწერა: „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად“ (ვარდოსანიძე 2010: 125). დაიწყო ურთულესი დევნა ეკლესიისა... ამგვარ ვითარებაში, 1921 წლის ივლისში გარდაიცვალა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე. საკათალიკოსო საბჭომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი, რომელსაც აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ალავერდელ ეპისკოპოს პიროსის დეპეშებით ეცნობა, სადაც ჩაწერილია: „მიტროპოლიტი ამბროსი არჩეულია კათოლიკოსის მოსაყდრედ, აცნობეთ, საჩქაროდ ჩამოხრძანდეს“ (სსსა, ს. 539). ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ამბროსიმ წერილობით მადლობა გადაუხადა საკათალიკოსო საბჭოს ამ ნდობისთვის, თუმცა იქვე დასძინა, რომ ის ვერ მოახერხებდა თბილისში ჩასვლას, ვინაიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არსებული ვითარება მოითხოვდა მრავალი საქმის გაკეთებას და აუცილებლად დაესწრებოდა მომავალ საეკლესიო კრებას, რომელიც გელათში გაიმართებოდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევისათვის (ვარდოსანიძე 2017: 146). მიტროპოლიტ ამბროსის ამ უადრესად საგულისხმო ქმედებით განსაკუთრებით გამოხატულია მისი თავდადებული მღვდელმთავრული ზრუნვა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისადმი და ასევე უმაღლესი იერარქიული პატივის წინაშე პირადი მორიდება.

1921 წლის სექტემბერში გელათში გამართულმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ მესამე კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. სწორედ ცხუმ-აფხაზეთის კათედრიდან მოხდა წმიდა ამბროსი აღმსარებლის არჩევა და გაბრწყინება საქართველოს საპატრიარქო ტახტზე, რომელზეც მისი ინტრონიზაცია გაიმართა 1921 წლის 14 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის წმიდა თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში.

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

- სსსა, ს. 463: სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 463, ფ. 5ა, 47, 47ა.
- სსსა, ს. 689: სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 689, ფ. 5.
- სსსა, ს. 539: სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 2, საქმე 539, ფ. 44.
- გამახარია 2006: გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი. თბილისი, 2006.
- ვარდოსანიძე 2010: ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბილისი, 2010.
- ვარდოსანიძე 2017: ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მათიანე (1917-2017 წწ.). თბილისი, 2017.
- ჭახრაკი 1918: ჭახრაკი, გიორგი შერვაშიძის ხსოვნის აღნიშვნა ე. სოხუმში, გაზეთი „საქართველო“, 2 ოქტომბერი, №183, 1918.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6977>

**პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე აფხაზეთის შესახებ  
(ჩანაწერების მიხედვით)**

**Professor Tariel Putkaradze on Abkhazia  
(based on his notes)**

**იამზე ვაშაკიძე**

კავკასიის უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Iamze Vashakidze**  
Caucasus University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

As a respected scholar and public figure, Tariel Putkaradze has extensively examined the past and the determining factors of the current situation in Abkhazia. Employing both scientific-educational methods and social networks, his research aims to facilitate a proper orientation in the struggle for the restoration of the country's conquered territories. This paper summarizes the researcher's position as recorded in his work, highlighting the following key points:

1. Abkhazia is an integral part of a unified Georgia, affirmed by the unanimous support of the Abkhazian population in the March 31, 1991 referendum. The conflict in Abkhazia is viewed as an element of the broader Russo-Georgian war that began on December 22, 1991. It is seen as a war against the state of Georgia, including the Apsua ethnos, and involving state criminals. Addressing these issues within the political spectrum is crucial for establishing the correct trajectory for the country's progress.

2. A differentiated approach is necessary when engaging with the population residing in the occupied territories. While some support the Russian occupiers, others advocate for the restoration of Georgia's territorial integrity.

3. Overcoming the information warfare targeted against Georgia is of paramount importance. This entails combating falsified history and terminological sabotage, which aim to isolate Georgia from the West and leave it unsupported in the face of the Russian Empire.

4. The path towards reunification of Abkhazia (as well as the Tskhinvali region)



lies in achieving real independence for the country through a Western European orientation. Joining the Commonwealth of Nations while preserving its national-ethnic identity requires the unity of Georgian citizens in national-state affairs. This unity will enable the consolidation of the peoples of the Caucasus in their struggle for independence.

5. Following de-occupation, Georgia must take effective measures to reclaim the Russian-occupied territories of Abkhazia. This is crucial for the preservation of the Abkhazian ethnos, language, and culture, which are currently under threat of extinction within the Russian imperial sphere.

By addressing these issues, Professor Putkaradze contributes valuable insights to the discourse surrounding Abkhazia's complex political and social dynamics.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-საქართველოს ომი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, ტარიელ ფუტკარაძე აფხაზეთის შესახებ.

Keywords: Russian-Georgian war, Georgian-Abkhaz relations, Tariel Putkaradze about Abkhazia.

ტარიელ ფუტკარაძის, როგორც მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და მოქალაქისათვის აქტუალურ თემას წარმოადგენდა აფხაზეთი, მისი წარსული და თანამედროვე ვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები. თავისი დაკვირვებებისათვის ის იყენებდა როგორც წმინდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს, ისე სოციალურ ქსელსაც; მიზანი, რაც ამომრავებდა, იყო ხელი შეეწყო სწორი ორიენტირების ფორმირებისათვის ქვეყნის დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნებისათვის ბრძოლაში. მის ჩანაწერებს აფხაზეთის (ფაქტობრივად, საქართველოს) მძიმე ისტორიით გამოწვეული ტკივილი და გამოსავალი გზების ძიება გასდევს. ჩვენც ამ მიმართულებით შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

აფხაზეთი ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილია; ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მოქალაქეთა ერთსულოვნებაზე, რომელიც 1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმზე გამოვლინდა (2010 წლის 31 მარტისა და 2012 წლის 9 აპრილის ჩანაწერები); გამოქვეყნებულია ეროვნებით აფხაზი დეპუტატის – ანზორ კუდბას სატელეფონო ტექსტი: დეპუტატი აცხადებს, რომ 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მოწერით გამოხატა აფხაზების უმრავლესობის, ზოგადად, აფხაზეთის პოზიცია; „საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტში ის არ მისულა როგორც ერთი კაცი“, არამედ მივიდა „აფხაზი ხალხის სახელით“ (2013 წლის 10 აპრილის ჩანაწერი).

1992-1993 წლების აფხაზეთის ომი – 25 000 დაღუპული, 300 000 იძულებით გადაადგილებული (2018 წლის 7 აგვისტოს ჩანაწერი). აფხაზეთის ომი, ისევე როგორც ცხინვალის ეპიზოდი, განხილულია

„გეოპოლიტიკური ინტერესების გამო“ რუსეთ-საქართველოს 1991 წლის 22 დეკემბრიდან დაწყებული ღია ომის ნაწილად, რომელსაც მოჰყვა მალტის 1989 წლის 2 დეკემბრის საერთაშორისო გარიგებით<sup>1</sup> გათამამებული რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა, საქართველოსა და ჩეჩნეთის პრეზიდენტების მკვლელობა, ქართველთა გენოციდი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში; საქართველოს იძულებით დაბრუნება რუსულ იმპერიულ (დსთ-ს) სივრცეში“ და სხვ. (2013 წლის 27 აპრილის ჩანაწერი); ეს იყო „რუსეთის იმპერიის ომი საქართველოს სახელმწიფოს /ასევე, აფსუა ეთნოსის/ წინააღმდეგ, რომლის პროვოცირებაც რუსეთმა შეძლო თავისი აგენტების – ვლადისლავ არძინბას, შამილ ბასაევის... და ედუარდ შევარდნაძის, თენგიზ კიტოვანის... დახმარებით“ (2011 წლის 20 სექტემბრის ჩანაწერი).

ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ რუსეთმა თავისი დამპყრობლური პოლიტიკის განსახორციელებლად გამოიყენა „მოსყიდული კავკასიელები, მათ შორის: აფხაზები, ქართველები, ოსები, სომხები...“ (2017 წლის 17 ოქტომბრის ჩანაწერი). ავტორი მომხრეა დიფერენცირებული მიდგომის: დარწმუნებულია, რომ „მარიონეტთა დანაშაულს კარგად აცნობიერებენ ის აფხაზები და ოსები, რომლებიც საქართველოს ერთიან სახელმწიფოში ხედავენ ოსი თუ აფხაზი ეთნოსების უხიფათო მომავალს“ (2015 წლის 14 ივლისის ჩანაწერი); „საქართველოს ერთიანობის დამცველი წამებული გმირის“ – სოხუმელი რაულ ეშბას (რომელიც მოკლეს ჟიული შარტავასთან ერთად), გურამ გაბესკირიას და სხვათა მაგალითზე, მოგვიწოდებს: „ნუ განაზოგადებთ ცუდ აფხაზს თუ ცუდ ქართველს; განაზოგადეთ კარგი, ღირსეული აფხაზი და ღირსეული ქართველი“ (2019 წლის 21 მაისის ჩანაწერი).

აფხაზების თანამედროვე მდგომარეობის სიმწვავეზე მიუთითებს ჩანაწერი აფხაზეთში გამართულ მიტინგებთან დაკავშირებით:

„1. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფაქტობრივი სახელმწიფო ენა არის რუსული; შესაბამისად, აფხაზი (თვითსახელწოდება: აფსუა) ეთნოსი დიდი საფრთხის ქვეშაა;

2. პოლიტიკური ლიდერი, თუკი 100 პროცენტით პრორუსი არ არის, საწამლავის მსხვერპლი ხდება ან უჩინარდება პოლიტიკური ველიდან;

3. ოკუპირებულ ტერიტორიაზე 100 პროცენტით პრორუსები (აფხაზები, სომხები, თავად რუსები), კრიმინალები და მაფიოზური კლანები ბოგინებენ; ამ მიტინგზე სიტყვით გამომსვლელები კი ცდილობენ, ეთნოსის გაქრობა როგორმე შეაჩერონ“ (2019 წლის 21 მაისის ჩანაწერი; იხ., ასევე 2013 წლის 5 ნოემბრის ჩანაწერი).

RADIOTAVISUPLEBA.GE-ს ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ აფხაზი ოპოზიციის ლიდერი სოხუმისა და თბილისის მოლაპარაკების მომხრეა, ჩანაწერებში საუბარია აფხაზური ენისა და კულტურის

<sup>1</sup> მალტის 1989 წ. 2 დეკემბრის საერთაშორისო გარიგების შედეგად, რუსეთის ჯარმა დატოვა ბალტიის ქვეყნები, მაგრამ კავკასია, უკრაინა, ბელორუსია, მოლდოვა და შუა აზიის ქვეყნები დარჩა რუსეთის გეოპოლიტიკურ ველში.

გაქრობის მოსალოდნელ საფრთხეზე აფხაზეთში რუსული ოკუპაციის გაგრძელების შემთხვევაში (2020 წლის 16 იანვრის ჩანაწერი). მათი გადარჩენის „საშვილიშვილო საქმეში“ ხაზგასმულია აკადემიკოს თეიმურაზ გვანცელაძისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის, ქ-ნი ნანა მაჭავარიანის ღვაწლი (2017 წლის 29 ოქტომბრის ჩანაწერი).

ტ. ფუტკარაძე ხშირად აზიარებს თავის გვერდზე ახალ გამოცემებს, რომლებშიც ასახულია კავკასიელი ხალხების ბრძოლა თავისუფლებისათვის<sup>2</sup>. ის აკრიტიკებს ამ ბრძოლის, რომელიც დღემდე გრძელდება, არასწორად შემფასებლებს, კერძოდ: ერთი მხრივ, რუსულ პოლიტიკელთას, რომელიც „ტერორისტობას აბრალებს კავკასიელებს“ და მეორე მხრივ – რელიგიურ ექსტრემიზმზე ორიენტირებულ ქვეყნებს, რომელთაც სურთ ამ ბრძოლის „რელიგიურ (მუსლიმანურ-ქრისტიანულ) დაპირისპირებაში“ გადაყვანა (2012 წლის 2 მარტის ჩანაწერი).

რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი მათემატიკური რეზულტი კავკასიელი ხალხების ერთობაა. ჩანაწერების ავტორი მიმართავს „კავკასიელ მოძმეებს“, რომ გარეშე ძალების ჩარევით (წინა საუკუნეების მწარე გამოცდილების მსგავსად) კვლავ არ მოხდეს მათი დაპირისპირება (2012 წლის 2 მარტის ჩანაწერი); პანკისში მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მსჯელობისას ის ყველას სიფრთხილისკენ მოუწოდებს, რომ „აღარ დაუშვან“ „რელიგიურ თუ ეთნიკურ დაპირისპირებათა პროვოცირების მექანიზმების მცოდნე რუსეთის ახალი პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ“ (2017 წლის 29 აპრილის ჩანაწერი). პოზიტიურად არის განჭვრეტილი ქართველთა, აფხაზთა და ოსთა ურთიერთობა მომავალში; ავტორი მნიშვნელოვან ამოცანად სახავს არა „რუსების შუამავლობით ე.წ. შერიგებაზე ფიქრს“, არამედ „საერთო მტრის დანახვას“ და მის წინააღმდეგ დროულად გაერთიანებას, რომ „რუსეთმა კავკასია ისევ სრულად არ დააბრუნოს თავის ველში“ (2016 წლის 7 ნოემბრის ჩანაწერი).

„სიმართლეს ჩვენი საზოგადოება, საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს პოლიტიკური სპექტრი სანამ არ გაიაზრებს, მანამდე ჩვენს სახელმწიფოს არ /ვერ ექნება სწორი ორიენტირები“ (2020 წლის 22 იანვრის ჩანაწერი). ჩანაწერებში წამოჭრილია ობიექტური ისტორიის დადგენის პრობლემა, „რომ მომავალში მაინც გვექონდეს პრევენციის თუნდაც მიზეზული საშუალება“ (2018 წლის 31 ივლისის ჩანაწერი). განსაკუთრებული მხილების ობიექტია საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ უახლესი ისტორიის ფაქტების არასწორი შეფასება, თითქოს, მაგ., ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება დაამხო

<sup>2</sup> „კავკასია – ბრძოლა თავისუფლებისათვის. ჩერქეზები“ (ნაშრომის ავტორია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ბეჟან ხორავა); „კავკასია – ბრძოლა თავისუფლებისათვის. ვაინახები“. ნაშრომის ავტორია კავკასიოლოგი მერაბ ჩუხუა; „კავკასია – ბრძოლა თავისუფლებისათვის. დაღესტნელები“... (2012 წლის 2 მარტის ჩანაწერი); „მამილი და ქართველები“ (წიგნის ავტორები არიან ვახტანგ გურული და დარეჯან ობოლაძე (2017 წლის 15 ივლისის ჩანაწერი) და სხვ.

„მხედრიონმა“ (2012 წლის 25 სექტემბრის ჩანაწერი) ანდა ისევე „მრგვალი მაგიდის „მეორე ნაწილი“<sup>3</sup>, ან თითქოს აფხაზებმა დაამარცხეს ქართველები აფხაზეთის ომში (2018 წლის 19 ივლისის ჩანაწერი), ანდა რუსეთთან ურთიერთობა საქართველოსი „გართულდა“ ბოლო წლებში საქართველოს პროდასავლური პოლიტიკისა და ქართველების ნატოსკენ სწრაფვის გამო“<sup>4</sup> და სხვ.

ჩანაწერებში ცალსახად განმარტებულია, რომ მთავარი მოქმედი აღნიშნულ შემთხვევებში რუსეთის იმპერიაა, რომელიც არ შეეგუა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას და 1991-93 წლების პუტჩით დაამხო „(დასავლეთის წაყრუების ფონზე) მხედრიონის, კომუნისტების ნაწილის და კრიმინალებთან ალიანსში მყოფი პოლიტიკოსების გამოყენებით“ (2012 წლის 25 სექტემბრის ჩანაწერი). ამ ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულის დღემდე გამოუმძიმებლობა და „სამართლებრივად შეუფასებლობა“ პუტჩის შემდგომი პერიოდის ხელისუფლებებისაგან აყოვნებს აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დეოკუპაციას, ასევე, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას და საქართველოს ერთგული პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებას; „გამოძიება და... სასამართლოს წესით შეფასება აუცილებელია, რომ მსგავსი დანაშაული მომავალში აღარ განმეორდეს“ (2017 წლის 27 მარტის ჩანაწერი).

ჩანაწერების ავტორი აკრიტიკებს „მაღალი თანამდებობების პირთა“ გამოსვლებს „ოსებისა და აფხაზების მიმართ ქართველთა „დანაშაულის შესახებ“; განმარტავს, რომ „ზოგადად, აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს არაფერი გვაქვს ერთმანეთისთვის საპატიებელი“ – ყველა ერთნაირად ვართ რუსული პოლიტიკის მსხვერპლი (2019 წლის 7 დეკემბრის ჩანაწერი); იმისათვის, რომ დიალოგი შედგეს, როგორც „რუსეთის მიერ კონტროლირებად სოხუმში დარჩენილმა აფხაზებმა, ასევე, საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ“ უნდა აღიაროს, რომ 1992-93 წლებში რუსეთმა ორივე მხარე გამოიყენა „საქართველოს ხელახალი ოკუპაციისა და საქართველოს დსთ-ში დასაბრუნებლად“ (2020 წლის 14 იანვრის ჩანაწერი).

სიყალბეში მხილებულია აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი სერგეი შამბა, რომელიც ე.წ. „აფხაზეთის სახელმწიფოს“ გაქრობაზე ლაპარაკობს; მის პასუხად აღნიშნულია, რომ „აფხაზების სახელმწიფო არასოდეს არსებულა... ეს ტერიტორია დროებითაა ანექსირებული რუსეთის მიერ“ (2018 წლის 19 ივლისის ჩანაწერი).

აფხაზეთისა და ცხინვალის მხარეების ოკუპაციის მაგალითზე განმარტებულია იმპერიული პოლიტიკის ორსაფეხურიანი გეგმის არსი: **სახელმწიფოს დამარცხება ჯერ სამეცნიერო ასპარეზზე (საინფორმაციო**

<sup>3</sup> იხ. 2018 წ. 2 აპრილს „კავკასიაზე“ გასული სიუჟეტი, თემა: „უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობის საქმეზე, რატომ მივიდა ქვეყანა აქამდე და უნდა მიეცეს თუ არა პოლიტიკური შეფასება მომხდარს“; სტუდიაში მიწვეული იყვნენ: აკაკი ასათიანი – უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე; მამუკა გიორგაძე – ეროვნული კონგრესის წევრი; ტარიელ ფუტყარაძე – უზენაესი საბჭოს წევრი.

<sup>4</sup> იხ. 2018 წლის 1 მარტს „რუსთავი-2-ის“ ვრცელი სიუჟეტი თემა გოცამის მონაწილეობით.

ომში!), შემდეგ კი – სამხედრო ექსპანსია. მაგალითად მოყვანილია, როგორ დევნიდნენ პ. ინგოროყვას იმ სამეცნიერო დასკვნის გამო, რომ „VIII საუკუნეში... და შემდეგ ვიდრე მე-17 საუკუნემდე... აფხაზეთის (ანუ დასავლეთსაქართველოს/ეგრისის) სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა იყო ქართული; აფხაზეთის სამეფო ეთნიკურად იყო ქართული“; საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კი დაამკვიდრეს „იდეოლოგემა, რომ აფხაზეთის მაშინდელი სამეფო (თუ გვიანდელი სამთავრო) იყო აფსურენოვანი“.

„სამეცნიერო დივერსიის შემდეგ, გაყალბებული სამეცნიერო დებულებებით, არძინბას კლანმა – კოლაბორაციონისტმა აფხაზებმა (რომელთაგანაც ნაწილი აფსუაა, ნაწილი კი – წარმოშობით ქართველი), იოლად აიყოლია ობიექტური ცოდნის არმქონე აფხაზთა დიდი ნაწილი რუსეთის მიერ ქართველების წინააღმდეგ წამოწყებულ საინფორმაციო ომში“, მერე კი – სამხედრო ინტერვენციაში, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული ტერიტორიების დაკარგვა (2018 წლის 31 ივლისის ჩანაწერი). 2019 წლის 29 დეკემბრის ჩანაწერის მიხედვით, ოკუპაციის ორსაფეხურიანი გეგმა კვალიფიცირებულია ჰიბრიდულ ომად, თავისი ორი მიმართულებით:

„ხისტი ძალით“ – იარაღის გზით – დაპყრობა და ქართველების გენოციდი;

„რბილი ძალით“ – ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებების... პოლიტიზებით, საინფორმაციო ზეწოლით, ანტიდასავლური პროპაგანდით... საქართველოს მოსახლეობის დეზორიენტირება... რომ... დისტანცირდეს დასავლეთისაგან და... თავი ვერ დაიცვას რუსული აგრესიისაგან“.

ისტორიული ფაქტების შეფასებასთან მჭიდრო კავშირში განიხილება ტერმინოლოგიური სიზუსტის დაცვის საკითხი. ტერმინოლოგიური დივერსიის ფაქტად განიხილულია, მაგ., თბილისის ომის, როგორც სამოქალაქო ომის, კვალიფიცირება; სინამდვილეში „ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი“, რომელიც დღემდე გრძელდება (2019 წლის 25 სექტემბრის ჩანაწერი). საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მთავარ დანაშაულად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ რუსეთ-საქართველოს ომი არ განიხილება როგორც ერთიანი მოვლენა და მისი სხვადასხვა ეპიზოდი „მონათლულია“ ე.წ. ეთნოკონფლიქტებად. ტ. ფუტკარაძე მოუწოდებს პოლიტიკურ სპექტრს, არ დაუშვას ტერმინოლოგიური დივერსია, რაც გულისხმობს რუსეთის ოკუპანტობის შეფუთვას ტერმინებით: „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, „ქართულ-ოსური კონფლიქტი“; ითვალისწინებს რა არაოკუპირებულ ტერიტორიაზე სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას, წერს: „არარსებობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები... არის რუსეთის უკანონო ყოფნა კავკასიაში“ (2018 წლის 25 იანვრის ჩანაწერი); „საქართველოში არსებობს ქართულ-რუსული კონფლიქტი, უფრო სწორად, საქართველო თავს იცავს რუსული ოკუპაციისაგან“ (2018 წლის 10 მარტის ჩანაწერი) და სხვ.

„დღეს საქართველო დგას დეოკუპაციისა და სამუდამო ოკუპაცია/

ანექსიის ზღვარზე. 1992-93 წლებისაგან განსხვავებით, დღეს დასავლეთი (ნატო, ევროკავშირი) საქართველოს დეოკუპაციის მომხრეა“ (2019 წლის 20 ნოემბრის ჩანაწერი). ჩანაწერებში ხაზგასმულია, რომ მსოფლიოს დიდ ქვეყნებს ერთი სტრატეგიული მიზანი ამოძრავებთ – კავკასიაზე კონტროლის მოპოვება, კერძოდ: რუსეთს – „გიუმრის ბაზამდე (სომხეთამდე) სახმელეთო გზის აღდგენა“, რის გამოც სჭირდება როკის გვირაბიც, ხოლო ამერიკას და, ზოგადად, დასავლეთს – „ენერგორესურსების ალტერნატიული გზის შენარჩუნება“ (2015 წლის 10 ივნისის ჩანაწერი). აღნიშნული ქვეყნებისადმი გამოკვეთილია ორი განსხვავებული პოზიცია: 1. „რუსეთი არასოდეს არ შეუწყობს ხელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას! 2. დასავლეთის სახელმწიფოები მუდამ დაუჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას იმ საზღვრებში, რაც იყო 1991 წლის 9 აპრილის დროს“ (2019 წლის 14 სექტემბრის ჩანაწერი).

უარყოფითად არის შეფასებული საზოგადოების იმ ნაწილის პოზიცია, რომელიც ყველა სხვა ქვეყანას საქართველოსათვის ერთნაირ საფრთხედ წარმოაჩენს“ (2018 წლის 28 მარტის ჩანაწერი). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რუსეთი ოკუპანტია“; ხოლო „ის, ვინც ყველა მეზობელსა თუ არამეზობელს აცხადებს „ოკუპანტად“, რუსულ ოკუპაციას აუფერულებს“ (2019 წლის 20 ნოემბრის ჩანაწერი).

ჩანაწერების ავტორი თვლის, რომ „რუსეთის იმპერიასთან გესლიან რიტორიკას კულტურული ცივი დიალოგი აჯობებს“, თუმცა „საქართველოს სრულ დეოკუპაციამდე და აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის სრულ ინტეგრაციამდე საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში“ „გულუბრყვილობა ან პროვოკატორობა იქნება „რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლობაზე საუბარი“ (2013 წლის 24 თებერვლის, 2019 წლის 14 სექტემბრის ჩანაწერები); საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად კი „მსოფლიოს თანამეგობრობის ძალისხმევაა საჭირო და ცივილიზებული მსოფლიოს მიერ „არაღიარების პოლიტიკის ბოლომდე მიყვანა“ (2018 წლის 31 ივლისის ჩანაწერები).

მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, რაც „უფრო მეტ შანსს გააჩენს ცხინვალის მხარისა და აფხაზეთის დეოკუპაციისა“ (2019 წლის 10 სექტემბრის ჩანაწერი). გაზიარებულია ს. მასხარაშვილის და ბ. დადეშქელიანის ჩანაწერები საქართველოს ნატოში შესვლის პირობებთან დაკავშირებით, რომ „გერმანიის მსგავსად უნდა გავწევრიანდეთ“ (2019 წლის 11 სექტემბრის ჩანაწერი);<sup>5</sup> საქართველომ იგივე გზა უნდა გაიაროს, რაც ბალტიის ქვეყნებმა (2018 წლის 10 მარტის ჩანაწერი)<sup>6</sup>.

ევროკავშირის/ნატოს – დასავლური – გზის არჩევის შემდეგ... საქართველოსთვის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა იქნება „ქმედითი

<sup>5</sup> როგორც ცნობილია, დასავლეთ გერმანია ნატოში შევიდა 1955 წელს, ხოლო დანარჩენი გერმანია – ბერლინის კედლის დამხობის შემდეგ, 1990 წლის 3 ოქტომბერს.

<sup>6</sup> იგულისხმება 1989 წლის 2 დეკემბრის მალტის საერთაშორისო გარიგების შედეგად რუსეთის ჯარების გასვლა ბალტიის ქვეყნებიდან.

ნაბიჯებით დეოკუპაციის მექანიზმის გააქტიურება და რუსებისგან გამოდევნილთა დაბრუნება აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში“ (2014 წლის 20 დეკემბრის, 2018 წლის 28 მარტის ჩანაწერები).

ჩანაწერებში აღნიშნულია ქვეყნის პოლიტიკურ არჩევანთან დაკავშირებით მოსალოდნელი სირთულეები, კერძოდ: „დასავლეთის გარეშე რუსეთი სამუდამოდ ჩაგვყლაპავს“, რაც 2008 წლის აგვისტოს ომმაც აჩვენა; „ეროვნული კონსოლიდაციის გარეშე კი დასავლური სამყარო შეგვიწოვს“ (2019 წლის 17 სექტემბრის ჩანაწერი). აღნიშნული საფრთხეებიდან გამომდინარე, გამოსავალი არის საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაცია – „ერთიანობა“, განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, „ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმეში“ (2019 წლის 20 ნოემბრის ჩანაწერი); ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნება „კავკასიის ხალხების ელიტის კონსოლიდაციაც რუსული „ჩექმისგან“ მთელი კავკასიის გასათავისუფლებლად (2017 წლის 15 ივლისის ჩანაწერი).

ჩანაწერების ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციის ერთგვარად შემოჯამებულია მისი „მრავალწლიანი ლოზუნგები“: „არა რუსეთის მიერ (თუ სხვათა მიერ) საქართველოს, უკრაინის... ოკუპაციასა და ანექსიას, არა აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ოკუპაცია-ანექსიას!“ „არა რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნებას!“ (2014 წლის 15 ნოემბრის და 2012 წლის 21 სექტემბრის ჩანაწერები). ის არ კარგავს იმედს, რომ „ამჟამინდელი ოკუპაციაც დასრულდება: აფხაზეთში გაგრძელდება ქართველთა და აფხაზთა მშვიდობიანი თანაცხოვრება“ (2014 წლის 20 ივლისის ჩანაწერი) და საქართველოს, რომელმაც თავისი „ეროვნული სიცოცხლის შესანარჩუნებლად“ დიდი მსხვერპლი გაიღო, „მომავალშიც უფლის რწმენა და პრაგმატული ქმედება გადაარჩენს“ (2012 წლის 21 სექტემბრის ჩანაწერი).

დასკვნა: პროფ. ტარიელ ფუტკარაძის პოზიცია აფხაზეთის შესახებ, მისი ჩანაწერების მიხედვით, შემდეგი დებულებების სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. აფხაზეთი ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რაც დაადასტურა აფხაზეთის მოსახლეობის ერთსულოვნებამაც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე; აფხაზეთის ომი განიხილება როგორც რუსეთ-საქართველოს 1991 წლის 22 დეკემბრიდან დაწყებული ღია ომის ნაწილი, ომი საქართველოს სახელმწიფოს /სევე, აფსუა ეთნოსის/ წინააღმდეგ, რომელსაც ჰყავს სახელმწიფო დამნაშავეები. მათი სამართლებრივად განსჯის გარეშე გაძნელდება პოლიტიკური სპექტრის დაწმენდა და სწორი ორიენტირების ჩამოყალიბება ქვეყნის წინსვლისათვის;

2. საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ, რომლის ნაწილი რუსი ოკუპანტების სამსახურშია, ნაწილი კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მომხრეა;

3. მნიშვნელოვანია საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომის დაძლევა – ბრძოლა გაყალბებული ისტორიისა

და ტერმინოლოგიური დივერსიის წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის გათიშვას დასავლეთისგან, მისი მხარდაჭერის გარეშე დატოვებას რუსეთის იმპერიის პირისპირ;

4. გზა აფხაზეთის (ასევე ცხინვალის) დეოკუპაციისა – ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებისა – არის საქართველოს დასავლეთეუროპული არჩევანი: შესვლა მსოფლიოს ქვეყნების თანამეგობრობაში საკუთარი ნაციონალურ-ეთნიკური სახის შენარჩუნებით, რისთვისაც აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა ერთიანობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმეში. ეს შესაძლებელს გახდის, ზოგადად, კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციასაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში;

5. დეოკუპაციის შემდეგ საქართველომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები რუსებისგან დევნილთა აფხაზეთში დასაბრუნებლად; რუსულ იმპერიულ ველში გაქრობის საფრთხის წინაშე არსებული აფხაზი ეთნოსის, აფხაზური ენისა და კულტურის გადასარჩენად.

#### გამოყენებული წყარო

პროფ. ტარიელ ფუტყარაძის სოციალური ქსელის ჩანაწერები (2010-2020 წწ.).



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6978>

**აფხაზეთი  
ბაბო შარვაშიძის „მეშურებში“**

**The portrayal of Abkhazia  
in the memoir of Babo Sharvashidze**

**ნინო ვახანია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Nino Vakhania**  
Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

Memories, diaries, and personal correspondences have long ceased to be considered a marginal genre, as the readers' interest in this form of literature continues to grow worldwide. The memoirs of Babo Sharvashidze, the youngest daughter of Mikheil Sharvashidze, the last prince of Abkhazia, were translated from English by Maya Tsertsvadze and published as a book in 2019 by the „Artanuji“ publishing house.

According to the „Memoirs“, the author's personal qualities, as well as the social circles, environments, and societies with whom she interacted, are extensively depicted. Babo Sharvashidze's life spanned multiple countries, where she encountered numerous distinguished individuals and families from various nationalities including Georgian, Russian, Abkhaz, English, and others. Her memoirs encompass documentary facts and intricate details that hold immeasurable historical significance.

Of particular note are the years of childhood documented in the diaries, providing a reflection of life in our beloved Abkhazia and shedding light on the experiences of a prominent and influential family. Throughout the narrative, names of geographical locations such as Likhni, Sukhumi, Ochamchire, New Athons, and others are intertwined. The vivid portrayal of Babo Sharvashidze's parents and siblings in her memory holds great significance. It becomes evident how Russia played a role in the dissolution of the principality of Abkhazia, while also highlighting that the European way of life was not foreign or unacceptable to the small nation of Georgia; rather, it was internalized. Despite being separated from Abkhazia in her childhood due to unforeseen circumstances, the author never forgot her homeland, which is reflected

in her memoirs.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, ბაბო შარვაშიძის მემუარები.

Keywords: Russian policy in Abkhazia, Georgian-Abkhazian relations, memoirs of Babo Sharvashidze.

მემუარები, მოგონებები, დღიურები, პირადი მიმოწერა... დიდი ხანია, აღარ მიიჩნევა მარგინალურ ჟანრად. მეტიც, მთელ მსოფლიოში ამგვარი ლიტერატურის მიმართ მკითხველთა ინტერესი არნახულად იზრდება. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის უმცროსი ასულის – ბაბო შარვაშიძის მემუარები ინგლისურიდან თარგმნა და სამეცნიერო აპარატი დაურთო მაია ცერცვაძემ, 2019 წელს წიგნად დასტამბა გამოცემლობა „არტანუჯმა“.

„მემუარების“ მიხედვით კარგად ჩანს როგორც ავტორის პიროვნული თვისებები, ისე ის წრე, გარემო, საზოგადოება, რომელთანაც ურთიერთობა უბედობდა მრავლისმნახველ და მრავლისგანმცდელ ქალბატონს. ბაბო შარვაშიძეს მრავალ ქვეყანაში მოუწია ცხოვრება. ბევრ წარჩინებულ პირსა და ოჯახს იცნობდა ახლოს. მეგობრობდა ქართველ, რუს, აფხაზ, ინგლისელ... სხვა ეროვნების ადამიანებთან. მისი მოგონებები ისეთ დოკუმენტურ ფაქტებსა და დეტალებს შეიცავს, რომელთაც ისტორიისთვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა დღიურებში აღბეჭდილი ბავშვობის წლები, მოგონებები მშობლიურ აფხაზეთზე, რეფლექსია დიდი და სახელოვანი ოჯახის ცხოვრებისა. ლიხნი, სოხუმი, ოჩამჩირე, ახალი ათონი და სხვა სახელები გეოგრაფიული ადგილებისა ერთმანეთს ენაცვლება თხრობის დროს. საგულისხმოა ბაბო შარვაშიძის მეხსიერებაში არეკლილი პორტრეტები მშობლებისა და და-ძმების. თვალნათლივ ჩანს, რა როლი ითამაშა რუსეთმა აფხაზეთის სამთავროს გაუქმებაში. იმასაც ვხედავთ, რომ ცხოვრების ევროპული წესი შორეული და მიუღებელი კი არ იყო პატარა საქართველოსთვის, არამედ – სწორედაც შინაგანად განცდილი.

ბედის უკუღმართობით აფხაზეთს ბავშვობაშივე მოწყვეტილ ავტორს არასოდეს დავიწყებია სამშობლო, რაც ნათლად აისახა მის მემუარებში.

ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარები ბაბო შარვაშიძე ერთგან ჩამორჩენილს უწოდებს იმ საზოგადოებას, სადაც დაიბადა და რომლის წიაღშიც აღიზარდა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ გიორგის ძის (იგივე ჰამუთ-ბეის) უმცროსი ასულისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება, ფაქტობრივად, რუსეთისა და ევროპის ქალაქებში გაატარა, ბუნებრივია, გასაოცარი იყო ისიც, რომ მამის მხრიდან წინაპრები „სულ რაღაც ორი

თაობის წინ მაჰმადიანები იყვნენ“ (შარვაშიძე 2019: 15). სარწმუნოება ნახსენებია არა მიუღებლობითა ან რელიგიური ფანატიზმით გამოწვეული დაპირისპირების სურვილით, არამედ გულწრფელი ნაივურობით. მემუარისტს მაჰმადიანობა, როგორც ჩანს, ჩამორჩენილობასთან, არაცივილიზობასთან აქვს გაიგივებული. მიზეზი ამისა კი, ერთი მხრივ, ქრისტიანული, განვითარებული ევროპის ახლოს გაცნობაა. მეორე მხრივ, საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის, სავსებით საამართლიანად, ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ხატი. და ვინ იცის, შესაძლოა, ქრისტიანული რუსეთის, როგორც მთელი საქართველოსა და მათ შორის, აფხაზეთის გადამრჩენლის მითმაც მოახდინა გავლენა ასეთი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

დედის (ალექსანდრა (ცუცუ) გიორგის ას. დადიანი) ქრისტიანობას კი განსაკუთრებული სიამაყით ახსენებს. VIII საუკუნის ჰაგიოგრაფი ავტორის, იოვანე საბანისძის თავმოწონება გაგვახსენდება: „...ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარეის-ღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაითა“ (საბანისძე 1987: 445). ქართველთა მიერ ქრისტიანობის უძველეს ხანაში მიღებას საგანგებოდ უსვამს ხაზს იმპერატორისთვის მისართმევ ნარკვევში ალექსანდრე ჭავჭავაძეც, რითაც თითქოს ფარულად ეჯიბრება რუსეთს და საკუთარი ერის უპირატესობას გამოჰკვეთს დამპყრობელთან შედარებით (ჭავჭავაძე 1992: 80).

ახლა ბაბო შარვაშიძეს მოვუსმინოთ: დედაჩემის „წინაპრები, მოყოლებული მეოთხე საუკუნიდან, ქრისტიანები იყვნენ (შენიშვნა: ქრისტიანობა საქართველოში წმინდა ნინომ მეოთხე საუკუნეში შემოიტანა)“ (შარვაშიძე 2019: 15).

აშკარაა, რომ ამ თავში მოთხრობილი და მთელი შემდგომი ამბები თითქოს „გადაფარვაა“ დასაწყისში ნახსენები წინაპრების მაჰმადიანობისა. ავტორი ლეგენდების, ზეპირგადმოცემების, რეალური ამბების მოთხრობით არწმუნებს მკითხველს თავისი მშობლიური მხარის – აფხაზეთის – უძველეს და ჭეშმარიტ ქრისტიანობაში.

მემუარისტი ხატოვნად აღწერს აფხაზეთის ბუნებას. აშკარად ჩანს თავმოწონება. „ბუნებამ უხვად დააფრქვია ჩემს მამულს მთელი თავისი მშვენება; ხშირტყიანი ხეობები და მთა-გორები, ჩქარი მდინარეები და თოვლით დაფარული მთები“ (შარვაშიძე 2019: 15), – წერს ავტორი. სამშობლოს ეს სავსებით რეალისტური ხატი იტევს უზომო სევდასაც და ნოსტალგიასაც. მერე განაგრძობს: იქაურ ჰავას საფრანგეთის რივიერას ადარებენ, სოხუმი კი ნეაპოლის ყურეს ჰგავსო... საფრანგეთისა და ნეაპოლის ხსენება, ცხადია, შემთხვევითი არ არის. მოთხრობელს თავისი მშობლიური კუთხე ევროპის წიაღში აქვს მოაზრებული.

ახალი ათონის ფერადოვან მონასტერთან მჭიდროდაა დაკავშირებული სახელები სიმონ კანანელისა და ანდრია პირველწოდებულისა, რომელთაც აქ პირველ საუკუნეში უმოღვაწიათ და აქვე აღსრულებულან. მემუარისტი საჭიროდ მიიჩნევს, თავის მოგონებებში ხალხურ გადმოცემებს,

ლეგენდებსაც მიაქციოს ყურადღება, დაუთმოს ადგილი. ნებისმიერი გადმოცემა ხომ, თუ სრულად არ ხატავს რეალობას, ერთგვარად მაინც ასახავს საზოგადოებრივ განწყობას. ასე რომ, ლეგენდა იმის შესახებ, რომ სოხუმის მახლობლად ქრისტესაც უქადაგია, შექმნილია იმ ხალხის მიერ, ვისაც ქრისტიანობა ცხოვრების საძირკვლად მიაჩნდა. ბაბო შარვაშიძეს კი, ეს ამბავი, სავსებით ბუნებრივია, ეამაყება.

სამწუხაროდ, დედა არ ახსოვს. სამი წლის ყოფილა, როცა დედა გარდაცვლია. თუმცა გადმოგვცემს დედის შესახებ სხვათა ნაამბობს. უდედოდ გაზრდილ გოგონას ალბათ სხვა ბევრ რამესაც უყვებოდნენ ულამაზესი ახალგაზრდა ქალის შესახებ, თუმცა მემუარებისთვის მხოლოდ ერთი შეარჩია და ისეთი, რომელიც ნამდვილ, ჭეშმარიტ ღვთისმოსავსა და ღვთის სათნო ქალს ხატავს. ღვთიური მინიშნებები თუ სასწაულები არ ყოფილა უცხო დადიანის ქალისთვის. მაჰმადიან გამზრდელს კი გაქრისტიანება აღუთქვამს ღვთისთვის, თუ ძლიერ დასწეულბული ბაბო გადარჩებოდა და კიდევ შეუსრულებია აღთქმა (შარვაშიძე 2019: 18).

ნამდვილი ქრისტიანული ქვეყანაა მთელი საქართველო და მისი ნაწილი – აფხაზეთიც, სადაც ქრისტეს სჯულს პირველივე საუკუნიდან ქადაგებდნენ მოციქულები. არც რუსეთსა და არცერთ ევროპულ ქვეყანაზე „ველური“ და „ჩამორჩენილი“ არ ვიყავით, – აი, რა ისმის სტრიქონებს შორის, რა არის სამთავრის მმართველის, მიხეილ შარვაშიძის ასულის სათქმელი.

მცირეწლოვანის მეხსიერებას, ცხადია, ვერ შემორჩებოდა ყველაფერი. ლიხნის ტაძრის ქართულენოვანი წარწერებიც არ ახსოვს. მკითხველს მაინც გული დასწყდება – ლიხნი ნახსენებია დაბადების ადგილად, ტაძარსა და წარწერებზე კი არაფერია ნათქვამი.

შარვაშიძეთა სამთავრო ოჯახის უმცროსი ასული საგანგებოდ, ხაზგასმულად არ საუბრობს საქართველოსა და აფხაზეთის განუყოფლობაზე, თუმცა მისთვის ეს უცილობელი მოცემულობაა, იმდენად ცხადი, რომ მასში ეჭვის შეტანა წარმოუდგენელია და ამიტომაც საკითხის აქცენტირება – ალოგიკური და სრულიად ზედმეტი. ყოველ სიტყვასა თუ წინადადებაში იკითხება ორივე ხაზით წინაპართა (დედისა და მამის) გახსენებით მოგვრილი სიამოვნება, ცხადია, მათი ერთი და იმავე სახელმწიფოს, ერთი და იმავე ერის შვილობა. წიგნის წინათქმაში ვკითხულობთ: „ცნობილია ის ფაქტიც, რომ ბაბო შარვაშიძის მამა, მიხეილ შარვაშიძე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, რომელმაც განათლება რუსეთში მიიღო,.. ოფიციალურ და არაოფიციალურ მიმოწერას და სხვადასხვა ტიპის საბუთებს ქართულ ენაზე აწარმოებდა. აფხაზეთის სამთავროს კანცელარიის სამუშაო ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული გახლდათ. ცხადია, ქართულად საუბრობდნენ მთავრის ოჯახშიც“ (ხოფერია 2019: 4).

„ბაბო შარვაშიძის მემუარებში უადრესად ფასეულ მონათხრობს წარმოადგენს აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე კურორტ გაგრის

მშენებლობის წამოწყებისა და პროცესისადმი მიძღვნილი მონაკვეთი“, – წერს მაია ცერცვაძე (ცერცვაძე 2021: 77). მეცნიერს დეტალურად, სკრუპულოზურად აქვს განხილული ეს ეპიზოდი და ამდენად მე თავს უფლებას ვაძლევ, არ განვაგრძო მასზე მსჯელობა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მკითხველს ძალდაუტანებლად მოაგონდება გრიგოლ ხანძთელისა და მისი ძმობის წევრების მიერ წამოწყებული მოძრაობა ეკლესია-მონასტრების ასაგებად ტაო-კლარჯეთის უდაბნოში ან კონსტანტინე გამსახურდიას მიერ „დიდოსტატის მარჯვენაში“ მხატვრული ძალმოსილებით აღწერილი მშენებლობა დიდებული სვეტიცხოვლისა.

მემუარებმა აირეკლა არა მარტო კერძო პირთა თავგადასავალი, არამედ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარებაც იმდროინდელ საქართველოში.

ცნობილია, საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით აფხაზეთის სამთავრო ყველაზე გვიან გააუქმა რუსეთის ხელისუფლებამ და ამით დაამთავრა საქართველოს სრული ანექსია, რასაც თვითონ ცინიკურად მცირე ქრისტიანული ქვეყნის გადარჩენასა და გაერთიანებას არქმევდა.

რუსეთის შემოჭრამდე და ქართლ-კახეთის დაპყრობამდე (1801) სპარსეთსა და ოსმალეთს თავიანთი გავლენის სფეროებად ჰქონდათ საქართველო დაყოფილი. დასავლეთ საქართველოზე ბატონობის პრეტენზიას ოსმალეთი აცხადებდა. ამ ისტორიული ვითარების კონსტატირებას ვხვდებით წიგნში: „ჩემი დიდი პაპის, ქელიშ-ბეი შარვაშიძის მმართველობისას აფხაზეთზე თურქეთის სიუზერენიტეტი ვრცელდებოდა“ (შარვაშიძე 2019: 19). ქელიშ-ბეის მოკვლა 1808 წელს, ყველა ლოგიკით, პოლიტიკური მკვლელობა გახლდათ თურქეთის ხელისუფლების ინტერესების სასარგებლოდ. პორტას ეშინოდა, რომ აფხაზეთის მთავარი რუსეთისკენ იხრებოდა და მალე ამ ქვეყნის ვასალურ დამოკიდებულებას დათანხმდებოდა.

მოკლედ არის გადმოცემული, სულ რამდენიმე წინადადებაშია ჩაწურული ის მწვავე პოლიტიკური რეალობა, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში სუფევდა და რომელმაც განსაზღვრა როგორც ქვეყნის, ისე თავად მემუარისტის შემდგომი ბედი. სამშობლოსა და პიროვნების ცხოვრება ხშირად ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამოცალკეება ძნელია (თუნდაც დავით გურამიშვილის ბიოგრაფია გავიხსენოთ). მით უფრო ითქმის ეს სამთავრო (სამეფო) ოჯახის შვილებზე. უცხოეთში მცხოვრები, უკვე ხანდაზმული ავტორი წერისას არ ერიდება საკუთარი აზრის პირდაპირ გამოთქმას, რაც, ვინ იცის, იქნებ ვერ მოეხერხებინა რუსეთის იმპერიაში ყოფნისას. ჩანაწერებში მკაფიოდ ჩანს ავტორის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის იმპერიალისტური, დამპყრობლური პოლიტიკის მიმართ. აშკარად იგრძნობა მწერალი-ინდივიდი. იგი არ იმეორებს ტრადიციულ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხზე, არ იზიარებს ხშირ შემთხვევაში

გავრცელებულ ყალბ პათოსს. საკუთარ განცდაში აქვს გამოტარებული უახლოესი წარსული. ოჯახური გარემოდანაც (მიუხედავად იმისა, რომ, ფაქტობრივად, ოჯახისგან მოწყვეტილი ცხოვრობდა) იცოდა და სრულიად უცნობი ადამიანების შემთხვევით მოსმენილი საუბრებიც უდასტურებდა მწარე, გულისმომკვლელ სიმართლეს.

მემუარისტის პაპა – გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძე ქრისტიანულად მოინათლა და რუსეთის პროტექტორატი ითხოვა. მართალია, სიტყვა „ითხოვა“ ტექსტში პირდაპირი მნიშვნელობით, უბრჭყალებოდაა გამოყენებული, თუმცა ადვილი წარმოსადგენია, დამპყრობლის რა ძალდატანება, რა ეშმაკობა თუ თაღლითობა, რა მანქანება, რა წინასწარ გამიზნული ნაბიჯები იდგა ამ თხოვნის უკან. სამაგიეროდ, რუსეთის იმპერატორმა სიგელი უბოძა, რომლითაც აღიარა მთავრის სამემკვიდრო უფლება. თუმცა ამ სიგელს სწორედ ისეთი ძალა აღმოაჩნდა, როგორც რუსეთის ხელისუფლების მიერ დადებულ და გაცემულ ყველა სხვა პირობას (იმხანად და შემდეგ). მემუარებში ვკითხულობთ: „1864 წელს ეს დაპირება დაირღვა და მამაჩემი გადაასახლეს, რუსეთმა კი აფხაზეთის ანექსია მოახდინა“ (შარვაშიძე 2019: 20). აი, ასე; ისე უბრალოდ, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყოს. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (იმპერატორ ალექსანდრე II-ის უმცროსი ძმა) ნიამორებზე სანადიროდ დაპატიჟა, სინამდვილეში კი დააპატიმრა. მთელი ამაღა და ძაღლები გემიდან გადასხეს, მიხეილ შარვაშიძე რამდენიმე მსახურისა და მღვდლის თანხლებით როსტოვისკენ წაიყვანეს. ეს ხერხი იმპერატორებს ნაცადი ჰქონდათ. უფრო ადრე დაახლოებით ასე სცადეს იმერეთის უკანასკნელი მეფის მოტყუება, თუმცა მან გაქცევა მოახერხა, მაგრამ იმერეთის ბედი მაინც ვერ შემოაბრუნა. ახლა კი აფხაზეთის მთავართან ამ მზაკვრულმა ხერხმა გაჭრა. ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებს დაამშვენებდა ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ შემთხვევით იგებს ქალი ტრაგიკული მოვლენებიდან 30 წლის შემდეგ თავისი ოჯახისა და სამთავროს ნამდვილ ამბავს. „ისე მოხდა, რომ გემის კაპიტანს, რომელიც ამ ამბავს თავის მეგობრებს უყვებოდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, რომ მას გადასახლებული მთავრის ქალიშვილი უსმენდა“ (შარვაშიძე 2019: 23).

ბაბო შარვაშიძე, გარდა იმისა, რომ იცავს და ეყრდნობა მოგონებათა გადმოცემის აუცილებელ, მთავარ საფუძველს – მართლად გადმოსცემს მომხდარს, ამავე დროს შემოქმედისათვის დამახასიათებელი ოსტატობით აღძრავს მკითხველში ემოციებს და დაუფიწყარ, ცოცხალ, დინამიკურ სურათებს ქმნის.

მამის დატყვევების შემდეგ თვითონაც მალე დედობილთან ერთად როსტოვს გაემგზავრა (იძულებით). გულისმომწყვლელია დედობილთან განშორების ლაპიდარული კომენტარი: „...ჩემი მწუხარება, მრავალი ბავშვისგან განსხვავებით, უტყვი იყო“ (შარვაშიძე 2019: 23).

გამომშვიდობების შესახებ წერს, თითქოს ახლაც ჩამესმის ის, რაც თავიდან სიცილად მეჩვენა და რაც სინამდვილეში მწარე გოდება იყო. კინოკადრებად იხატება ბედი (თუ უბედობა) აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა და მისი ოჯახის მოტყუებული, გაწვილებული, შეურაცხყოფილი, ცალ-ცალკე და სათითაოდ გადასახლებულ-დაპატიმრებული წევრებისა. რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, ადამიანთა სათუთი სულის ტკენას არ მორიდებია.

ვორონეჟში გადასახლებული ოჯახი ხვდება, რომ აფხაზეთში ვერასოდეს დაბრუნდება და ცხოვრებას თავიდან იწყებს. რუსეთის „კეთილშობილური ზრუნვის“ გამოხატულება ის გახლდათ, რომ სიკვდილით არავინ დაუსჯიათ. თუმცა გადასახლებიდან ორიოდე წელიწადში ვორონეჟში მიხეილ შარვაშიძის დამამცირებელი გარდაცვალება ადასტურებს, რომ ეს იყო არაპირდაპირი სასიკვდილო განაჩენი.

მემუარები ლირიკული წიაღსვლებითაც იქცევს ყურადღებას. მწერლის დაკვირვებული თვალი ბავშვობაშივე იმახსოვრებს ვორონეჟის მზეზე მბრწყინავ თეთრ ტაძარსა და მის ლურჯ გუმბათს. ოცდათორმეტი წლის შემდეგ კი გზად მიმავალს ტაძარი ზუსტად ისეთივე დახვდება, როგორც ახსოვდა. ტაძარი-სიმბოლო, ტაძარი-მეტაფორა... ღვთის, ოჯახის, სამშობლოს ერთგულებისა დარწმუნის გამომხატველი! სიმბოლო, მეტაფორა, რომელიც არ ემორჩილება დროთა სვლას, არ იცვლება ამქვეყნიური რეალობის შეცვლასთან ერთად, არამედ ინარჩუნებს გაუხუნარ, მარადიულ მნიშვნელობას. ტაძრის საპირისპიროდ, საცხოვრებელ სახლში მოთავსებული წითელი ჯვარი სწორედ ყოველდღიურობის სწრაფი ბრუნვისა და ცვალებადობის, არამდგრადობისა და წარმავლობის მაჩვენებელია.

ჩანაწერებში ცხადად იკითხება, რომ უმაღლესი არისტოკრატია ერთნაირად (ერთნაირი ჩვევებითა და მისწრაფებებით) ცხოვრობდა თბილისშიცა და სოხუმშიც. არისტოკრატიულ ოჯახებში შვილებს ბავშვობიდანვე ფრანგულს ასწავლიდნენ (ევროპასთან მენტალურ სიახლოვეს ამითაც გამოხატავდნენ). ამ წესს მისდევდნენ შარვაშიძეებიც და ორივე ვაჟს ფრანგი აღმზრდელი ჰყავდა.

აქ ქალბატონი ბაბო ძმებსა და ბიძას, კონსტანტინეს ახსენებს. ეს ის კონსტანტინე შარვაშიძეა, რომელიც 1832 წლის შეთქმულებს ემისრად ჰყავდათ მივლენილი აფხაზეთში. დაკითხვის ოქმები ადასტურებს, რომ იგი იცნობდა ალექსანდრე ორბელიანსა და სხვა მეთაურებს შეთქმულებისა. კონსტანტინეს მეორე ცოლი ყოფილა ფრანგი პიანისტი, ოჯახის უფროსი ვაჟის, გიორგის, ფრანგი მასწავლებლის, დანლუას ქალიშვილი, რომელიც პატარა ბაბოს ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა. ფრანგი მასწავლებელი ჰყოლია უმცროს ვაჟსაც, მიხეილს – ვინმე მარკიზი დე ტრავერსე. ფრანგულს ასწავლიდნენ თბილისის გიმნაზიაშიც და თბილისში არსებულ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტშიც, სადაც ერთხანს სწავლობდა ბაბო შარვაშიძე.

ამ უაღრესად საგულისხმო მემუარებიდან ვიგებთ, რომ მამა-შვილს, მიხეილ და გიორგი შარვაშიძეებს უკანასკნელად კონფიდენციალურად უსაუბრიათ ერთმანეთთან. საუბრის თემა, შინაარსი და დეტალები ყველასთვის უცნობი დარჩა. უმცროს დას მხოლოდ ის ახსოვს, რომ ავადმყოფი მამის ოთახიდან გამოსული უფროსი ვაჟი (რომელსაც მამა თურმე ყოველთვის მკაცრად ეპყრობოდა) მეტად ამღვრეული ყოფილა.

მემუარისტი ადასტურებს, რომ აფხაზები რუსებს არ ენდობოდნენ, რომ ხალხი უკმაყოფილო იყო სამთავროს გაუქმებით და რუსეთთან შეერთებით, რაც ისტორიული წყაროებითაც ცნობილია და თვალსაჩინოა, მაგრამ მერე რატომღაც მიივიწყეს და სულაც შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულებები. როგორც ირკვევა, „სოხუმის სამხედრო განყოფილების“ უფროსი, კონიარი, შემთხვევით, სხვის მაგივრად იმიტომ მოუკლავთ ადგილობრივებს, რომ ის რუსი მოხელე თურმე საეჭვოდ ხუმრობდა მათ ქალებზე. კიდევ ერთხელ ვხედავთ დამპყრობელთა მენტალურ განსხვავებას კავკასიის მოსახლეობასთან და მათ ქედმაღლურ, ცინიკურ, ცხოველურ გრძნობამდე მისულ დამოკიდებულებას ადგილობრივებთან.

ავტორი თვითონაც ერთგვარად გაუცხოებულია აფხაზი ხალხის ჩვეულებებისაგან, თავისებურად კიცხავს, როგორც თვითონ უწოდებს, გადამეტებულ ეჭვიანობასა და ზრუნვას ქალების სახელზე. თუმცა რაიმე ძალისხმევა და სტრიქონებს შორის დაფარული აზრის ამოცნობა არაა საჭირო, ზედაპირზე დევს მენტალური სხვაობა რუსებსა და აფხაზებს შორის, რაც, ცხადია, რბილად რომ ვთქვათ, მრავალ გაუგებრობას იწვევდა მათ ურთიერთობაში.

ამ ინცინდენტის გამო – კონიარის მკვლელობის წაქეზებაში გიორგი შარვაშიძეს ედებოდა ბრალი – ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დამნაშავედ სცნეს და ორენბურგში გადაასახლეს 6 წლით, იმავე ქალაქში, რომელშიც დაახლოებით 25 წლის წინ სასჯელს იხდიდა შეთქმულთა ერთ-ერთი მეთაური ალექსანდრე ორბელიანი.

ისიც ნიშანდობლივია, რომ მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მარტო კი არ დასაჯა ურჩი დიდებული და საკუთარი გენერალ-ადიუტანტი, არამედ შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან, დაემცირებინა კიდევ. – „...ფორმიდან ადიუტანტობის ნიშანი მოხსნა და ბოლოს უბრძანა თავისი ფორმა ჩვეულებრივი ოფიცრის ფორმით შეეცვალა“ (შარვაშიძე 2019: 27). ბედის დაცინვაა, სხვა რა, როდესაც სამხედრო ფორმის გამოცვლითა და ჩინის დამდაბლებით ცდილობენ, დააკნინონ სულიერი თვისებებით გამორჩეული პიროვნება.

ორენბურგიდან გიორგი შარვაშიძეს, როგორც ჩანს, ახლობლებთან მიმოწერა ან სხვა სახის ურთიერთობა არ ჰქონია, რადგან უმცროსი და წერს, ის ექვსი წელი მე ტფილისში ვსწავლობდი და არაფერი მსმენია არც მისგან (გიორგისგან) და არც მის ირგვლივო. და, რაც უფრო საყურადღებოა, მზაკვარმა და დაუნდობელმა დამპყრობელმა შარვაშიძეთა ოჯახის ყველა წევრს აუკრძალა აფხაზეთში დაბრუნება. დიდი მთავარი, ერთი მხრივ,



სრულ გულგრილობას იჩენდა შარვაშიძეთა უფროსი ასულის, მძიმედ დაავადებული ნინოს მიმართ, რომელიც ჭლექისგან პიატიგორსკში გარდაიცვალა და, მეორე მხრივ, თითქოს ზრუნავდა მიხეილზე, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოჩვენებითობა და ფარისევლობა იყო.

მოგვიანებით მიეცა მოგონებების ავტორს ძმებთან შეხვედრის შესაძლებლობა. თუმცა ცხადი იყო, რომ რუსეთის სამეფო კარი შარვაშიძეთა შეხვედრებს, მათ ერთიანობას ყოველნაირად უშლიდა ხელს. „ჩვენ არ გვქონდა შეხვედრის ნება!“ – წერია 32-ე გვერდზე.

ბაბო შარვაშიძე საგულისხმოდ იგონებს ძმასა და რძალთან – გიორგისა და ელენე ერასტის ასულ ანდრეევსკაიასთან ერთად გატარებულ ხანას პეტერგოფსა თუ ვარშავაში. ქართველებთან ურთიერთობის არაერთი ეპიზოდია სიყვარულით აღბეჭდილი წიგნში, თუმცა აფხაზეთის თემა თითქმის აღარ ფიგურირებს უკვე ინსტიტუტდამთავრებული ბაბოს ცხოვრებაში და შესაბამისად – არც მემუარებში.

თბილისში, ინსტიტუტში სწავლის დროსაც აფხაზეთს არც ახსენებდნენ მასთან. „ეს, მგონი, იმ მიზნით კეთდებოდა, რომ დამვიწყებოდა იქაურობა და მე მართლაც დავიჯერე, რომ ის ჩემთვის ძალიან შორეული და მიუწვდომელი იყო“ (შარვაშიძე 2019: 30), – შესაშური სისადავითა და გულწრფელობით წერს უკვე ხანში შესული ქალბატონი.

ავტორის ანალიტიკური ჩაღრმავების უნარს, საუკეთესო ლიტერატურულ გემოვნებასა და სამშობლოს უპირობო სიყვარულს გვიდასტურებს გიორგი შარვაშიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის მოკლე, ლაპიდარული შეფასება: „მთელი სიცოცხლის მანძილზე მას განსაკუთრებით აბედნიერებდა თავისი ლიტერატურული ცდები, რომელთა შორისაა ისტორიული დრამები, კომედიები და ლირიკული ლექსები. ქართულ ენაზე შექმნილი მისი უპოპულარულესი ნაწარმოებია „მომაკვდავნი სურათნი“, თუმცა ლიტერატურათმცოდნენი ყველაზე მნიშვნელოვნად მის დრამას „გიორგი III“ მიიჩნევენ“ (შარვაშიძე 2019: 33-34). როგორც ვხედავთ, თამამად, შეუბოჭავად გამოთქვამს ლიტერატურათმცოდნეთაგან განსხვავებულ შეხედულებას, რის შესაძლებლობასაც მას თავისი დიდი განათლება, წიგნიერება, კულტურა აძლევს. გიორგი შარვაშიძის შემოქმედების ანალიზი სცილდება ჩვენი კვლევის ფარგლებს და ამჟამად მასზე საუბარს აღარ განვაგრძობთ.

მემუარების დარჩენილი, დიდი ნაწილი უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანია როგორც ეპოქის, ცალკეულ პიროვნებათა თუ თვით ავტორის თავგადასავლის შესაცნობად, ასევე, საგულისხმოა წმინდად სალიტერატურო თვალსაზრისითაც. ვფიქრობთ, ბაბო შარვაშიძის „მემუარები“ კიდევ არაერთხელ მიიპყრობს მკვლევართა ყურადღებას.

---

**დამოწმებული ლიტერატურა**

საბანისძე 1987: იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება, წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. I. თბილისი, 1987.

შარვაშიძე 2019: შარვაშიძე ბ., მემუარები, თბილისი, 2019.

ცერცვაძე 2021: ცერცვაძე მ., აფხაზეთის სამთავრო და უკანასკნელი მთავრის ოჯახი ბაბო შარვაშიძის „მემუარებში“. კრებულში: ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში. თბილისი, 2021.

ჭავჭავაძე 1992: ჭავჭავაძე ა., საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე, „ქართული მწერლობა“, ტ. IX, თბილისი, 1992.

ხოფერია 2019: ხოფერია ნ., წინათქმა წიგნისა ბაბო შარვაშიძე, მემუარები, თბილისი, 2019.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6979>

**სამჭედლოს სოციალურ-რელიგიური ასპექტები  
აფხაზურ-ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში**

**Exploring the Socio-Religious Significance of the Forge  
in the Myth-Ritual System of Abkhazian-Georgian Culture**

**ეთერ ინსკირველი**

კავკასიის უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Eter Intskirveli**

Caucasus University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The exploration of South Caucasus culture, specifically the region of Kolkhети, remains a pertinent issue in Georgian scientific research. Throughout the centuries, cultural coexistence has been primarily expressed and reflected in various aspects such as the language used in worship services, folk traditions, and rituals. However, following the „Abkhazia war“ in the late 20th century, the Georgian-Abkhazian relationship was severed not only politically but also culturally, scientifically, and socially.

This study aims at elucidating the historical and cultural foundations of the Georgian-Abkhazian relationship by examining the metallurgy and forge mythology. By analyzing folklore and ethnographic materials from the late 19th and early 20th centuries, a combination of typological analysis and the historical-comparative method is employed.

The research unveils the socio-religious aspects and significance of the forge in the daily lives of the people, particularly from the Bronze Age and into the Iron Age. Both Georgian, specifically Megrelian, and Abkhaz traditions feature a distinctive ritual performed in the forge on New Year’s Eve, accompanied by prayers and sacrifices. While this tradition has disappeared in Megrelian culture, in Abkhazia it not only persists but has been officially recognized as a holiday since 1994, remaining a beloved folk tradition. In Abkhazia, the forge prayer ritual is known as „Azhiranikha“ and is regarded as „the day of creation of the world“.

This article explores the reasons behind the association of the blacksmith cult with cosmogonic myths, delving into the complete myth-ritual complex surrounding

the blacksmith cult and highlighting both similarities and differences within the Colchis culture. Through typological analysis, the study investigates cosmogonic beliefs and rituals associated with the deity and cultural hero of blacksmithing.

Additionally, it addresses the blacksmith as a sacral, central figure in the religious and social fabric, positioned at the heart of the fire, as well as turning blacksmithing tools into cults. The research also emphasizes the role of the blacksmith as a religious-social center. While the traditions related to blacksmithing in the Kolkheti plain likely originated during the same period, the Abkhazian ethnological-folklore materials reveal a more archaic layer compared to the Megrelian sources, which exhibit Christianized elements, such as the deity's name and the nature of the ritual offerings.

საკვანძო სიტყვები: ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობები, აფხაზური ფოლკლორი, აფხაზური ტრადიციები, მჭედლობის კულტი აფხაზურში.

Keywords: Georgian-Abkhazian cultural relations, Abkhazian folklore, Abkhazian traditions, blacksmithing cult in Abkhazian.

ნაშრომში შესწავლილია მეგრულ-აფხაზურ ყოფაში დაფიქსირებული სამჭედლოს კულტი და ახსნილია ის ფაქტი, თუ რატომ ზეიმობენ დღემდე აფხაზურ ტრადიციაში სამყაროს შესაქმნის დღესასწაულს, რა კავშირია კოსმოგონიურ წარმოდგენებსა და მეტალურგიას შორის და რატომ დაუკავშირდა მჭედლობის საკულტო დღესასწაული ახალ წელს.

თანამედროვე მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ გამოკვეთილი კოსმოგონიური მითოსი თავისი ორიგინალური ხელწერით კავკასიურ ფოლკლორში, მათ შორის აფხაზურშიც, პრაქტიკულად არ გვხვდება, რადგან ჩამოყალიბებული ნარატივის სახით (თავისი ფოლკლორული ვარიანტებითურთ) ის მართლაც არ არსებობს. აფხაზურ ფოლკლორში კოსმოგონიური მითოსის ელემენტები გაბნეულია ნართების ეპოსსა და სხვადასხვა თქმულებაში, გავრცელებულია ბიბლიური შესაქმნის ხალხური ვერსიაც, თუმცა საკუთრივ აფხაზური კოსმოგონიური მითოსის კვლევა შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ სხვადასხვა ფოლკლორულ ჟანრში გაბნეულ რწმენა-წარმოდგენებს, როგორც იმპლიციტური მითოსის ფორმას, და ხალხურ ყოფაში დაფიქსირებულ რიტუალებს, როგორც რელიგიური მსახურების აუცილებელ კომპონენტს. მაშინაც კი, როდესაც კოსმოგონიური ნარატივი შემორჩენილი არ არის, მისი რეკონსტრუქცია შესაძლებელია მითის ალტერნატიული კომპონენტების მიხედვით.

რიტუალი – მითის რეკონსტრუქციის საშუალება. მითი, როგორც არქაული საზოგადოების რელიგიურ-სოციალური ცხოვრების უმთავრესი მომწესრიგებელი, კოლექტიურ მეხსიერებაში სხვადასხვა ფორმით შეიძლება არსებობდეს: 1. ექსპლიციტურად – საკუთრივ ნარატივი

პირველსაწყისებზე, გმირებზე და სხვ.; 2. იმპლიციტურად – მეხსიერებაში ეპითეტების, ლოცვების ან რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სახით შემონახული ინფორმაცია, რომელიც მოწყვეტილია ამბავს, თხრობას; 3. რიტუალის სახით – ტრადიციაში წეს-ჩვეულების, ქმედების გამეორების ძალით შემონახული მეხსიერება. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი პირველი ორის ლეგიტიმაციას ემსახურება ხალხში და ცოცხლობს მაშინაც კი, თუ ნარატივი ან რწმენა-წარმოდგენა წაშლილია მეხსიერებიდან. მითოსისგან მიტოვებული რიტუალი ობოლი ბავშვივით ინახავს მშობლის ხსოვნას და ხალხური ტრადიციის ძალით გამუდმებით ააქტიურებს იმპლიციტურ სურათ-ხატებსაც.

კოსმოგონიური რწმენა-წარმოდგენები აფხაზურ მითო-რიტუალურ სისტემაში ძირითადად ნართულ ეპოსშია შემონახული და იგი გადაჯაჭვულია როგორც ანთროპოგონურ, ისე ეთნოგენეტურ მითოსთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორიგინალურ კოსმოგონიურ ნარატივს აფხაზურ ფოლკლორში ვერ ვხვდებით, არსებობს მხოლოდ მითოლოგიური წარმოდგენები პირველსაწყისსა და ყოვლის შემოქმედ უმაღლეს ღმერთზე<sup>1</sup>; სამაგიეროდ, აფხაზეთში დღემდე არსებობს ჩვეულება – სამყაროს შესაქმნის დღის აღნიშვნა 14 იანვარს, ძველით ახალ წელს<sup>2</sup>. აფხაზურ ტრადიციაში „აჟირანიხას“ ერთ-ერთ მთავარ დღესასწაულად მიიჩნევენ და საუფლო დღედ, უქმედ ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ის არ სცდება საოჯახო კალენდარულ დღესასწაულთა ფარგლებს და მისი აღნიშვნა, ტრადიციულად, ოჯახის ან გვარის წიაღში ხდება<sup>3</sup>. ის, რომ ახალი წლის პირველი დღის მაგიურობას სამყაროს შექმნის დღესასწაული დაუკავშირდა, ეს ბუნებრივიც არის და შეკითხვებსაც არ იწვევს. ხოლო ფაქტი, რომ აფხაზურ და მეგრულ ტრადიციაში ახალი წლის დღესასწაული მჭიდროდ უკავშირდება მჭედლობის კულტს, ეს მის უძველეს, არქაულ

<sup>1</sup> არაფერი არ არსებობდა სამყაროს შექმნამდე, ან არსებობდა ქაოსი, ანუ რაღაც ემბრიონალური მდგომარეობა. უმაღლესი ღმერთის – ანცვას („ის, ვინც ჩვენ შეგვქმნა“) მიერ იქმნება სამყარო. მას სხვაგვარად „გამჩენსაც“ უწოდებენ (ზუზუა 1988: 147). საგულისხმოა, რომ მისი წარმოშობის შესახებ ვერ ვხვდებით ვერცერთ მითოლოგიურ გადმოცემას. „დიდი ღმერთი“ – ანცვა (აფხაზებისა და აბაზების უმაღლესი ღმერთი) ყოველთვის არსებობდა და არსებობს. მან გამოძიერწა პირველი ადამიანი თიხისგან და შთაბერა მას სული (შდრ. ბიბლიური კოსმოგონია). ანცვა ცხოვრობს ზეცაში და ჰყავს თავისი ანგელოზები ქვეყანაზე. დასტურდება, რომ ანცვას დღესაც სცემენ თავყვანს აფხაზეთში. მისი სახელის პირველი მარცვალი აღნიშნავს დედას, ხოლო მეორე მარცვალი მრავლობით რიცხვს (გიორგიძე-ჭარაია 2011: 64).

<sup>2</sup> აჟირანიხა იმდენად მნიშვნელოვან დღესასწაულად ითვლება აფხაზეთში, რომ, 2018 წლის გამოკითხვით, გამოკითხულთა 64,5% აღნიშნავს აჟირანიხას, 49% – აღდგომას, 45% – ახალ წელს, დაბადების დღეებს – 39%, შობას – 11,5% და ზაირამს – 4%. იხ. ჰაშუა 2018: 80.

<sup>3</sup> ნიშანდობლივია, რომ 1994 წლიდან „აჟირანიხა“ ოფიციალურ უქმე დღედ არის გამოცხადებული აფხაზეთში, ე.ი. მისი სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადება დაემთხვა სეპარატისტული რეჟიმის აღიარებას რუსეთის ფედერაციის მიერ. აქვე ვიტყვი, რომ აფხაზურ სეპარატისტულ მოძრაობას წინ უძღოდა აფხაზური ფოლკლორის, როგორც თვითმყოფადი და დამოუკიდებელი ერის ფოლკლორის, პროპაგანდა. ამის მაგალითია ვლადისლავ არძინბას 1988 წელს მოსკოვში გამოქვეყნებული სტატია (არძინბა 1988: 263-306). სტატიის ავტორი აფხაზურ სამკედლო ტრადიციას მსოფლიო და ჩრდილოკავკასიურ ფოლკლორთან მიმართებით განიხილავს და არც კი ახსენებს აფხაზურ-მეგრულ პარალელებს, რომელიც რიტუალურ და ენობრივ დონეზეც კი დასტურდება. სტატია თითქოს ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპს ქმნის იმ პროცესებისთვის, რომელიც ოფიციალურად 1989 წლის 18 მარტს დაიწყო სოფელ ლიხნში.

წარმომავლობაზე მიანიშნებს.

მჭედლობისა და მჭედლის საკრალიზება. როგორც ცნობილია, მჭედლობა საკრალიზებული იყო ძველ ხალხებში. ამგვარ საკრალიზებას მისი ორმაგი ბუნება განაპირობებდა, რადგან ის არა მხოლოდ სხვადასხვა ნივთიერების ერთმანეთთან შედნობის ცოდნას ეფუძნებოდა, არამედ – ზეციური და მიწიური ელემენტების ურთიერთქმედების საიდუმლოსაც: მჭედელი ქმნიდა ყველასთვის მნიშვნელოვან და აუცილებელ როგორც სამეურნეო-საბრძოლო, ისე რიტუალურ არტეფაქტებს „მიწიდან წარმოქმნილი“ მეტალის და „ზეციური“ წარმოშობის მქონე ცეცხლის ურთიერთქმედების საფუძველზე. როგორც არაერთ რელიგიაში ზეციური ღმერთი ელვის (თავისი იარაღის) საშუალებით ჰიეროგამიულად უკავშირდება მიწის ქალღვთაებას, რაც სინამდვილეში მიწისა და ზეცის შეერთების სიმბოლოს წარმოადგენდა (ელიადე 1998: 147). სწორედ ისე, მჭედელი იყო ადამიანი, რომელიც თავისი მაგიური ცოდნით ამ ორი სამყაროს შემაკავშირებელი იყო.

შესაბამისად, ტრადიციულ კულტურებში განსხვავებული იყო დამოკიდებულებაც მჭედლობისა და მჭედლებისადმი. ზოგი საკრალურ საწყისს ხედავდა მასში, ზოგი – დემონოლოგიურს. აფხაზურ ტრადიციაში საკრალიზებულია არა მხოლოდ მჭედლობის კულტი და ხელობის საიდუმლო, არამედ თვითონ მჭედელი ყველაზე მეტად მოსარიდებელ და საშიშ ადამიანად ითვლება; ვერავინ გაბედავდა მჭედლის მოტყუებას ან პირობის დარღვევას, რადგან მისი წყევლა (სიტყვის მაგია) განსაკუთრებით საშიშად ითვლებოდა. თავისი მაგიური ხელობა მჭედელს გამუდმებით ცენტრში ამყოფებს, სადაც ერთმანეთს ხვდება მიწისქვეშა ლითონი და ზეციური ცეცხლი. ამიტომ ყოველი მჭედელი ამავედროულად კულტმსახურია, სამჭედლოს ქურუმი, რომელიც ორი სამყაროს გადაკვეთა-შეერთების ცენტრში დგას, ერთდროულად ემსახურება თავის ღმერთს და ადამიანებს და მათ შორის შუამავლად (ე.წ. ანიხაფავი) ითვლება. ამ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო აფხაზურ ყოფაში, ისევე როგორც, მაგალითად, აფრიკულ ტომებში, მჭედლებს ხშირად მიეწერებოდა შამანური თვისებებიც – ჯადოქრობა, ექიმბაშობა და კავშირი დემონურ სულებთანაც კი<sup>4</sup>.

მჭედლის საქმიანობა იმითაც მოიაზრებოდა განსაკუთრებულ საქმედ, რომ ჯერ ერთი, ის – თანამედროვე გაგებით – ზრუნავს დედამიწის ეკოლოგიაზე, ათავისუფლებს რა მას ჟანგვისკენ მიდრეკილი რკინისგან, რაც მიწის ნაყოფიერებას ზრდიდა, და მეორე – ბუნებაში არსებულ მიწიური წარმოშობის თუ მეტეორიტების სახით ჩამოვარდნილ რკინას გარდაქმნის, ბუნებრივ საგანს კულტურულ არტეფაქტად აქცევს და სამეურნეო, საკულტო თუ საბრძოლო იარაღების დამზადებით დემიურგის ქმედებას იმეორებს, რომელმაც უფორმო ქაოსისგან შექმნა ან „გამოჭედა“ სამყარო.

<sup>4</sup> სხვადასხვა კულტურაში ითვლებოდა, რომ რკინის მადანს თავისი მფარველი ჰყავდა და ამ მადნით სარგებლობისთვის, ის უნდა მოემადლიერებინათ ათასწიერი რიტუალით (ელიადე 1998: 170).

მეგრულ ფოლკლორში სოლომონის შემოქმედი ღმერთის ფუნქციით აღჭურვას თან ერთვის სამეგრელოში მის სახელზე 31 დეკემბრის ტრადიციული მჭედელთა საინიციაციო რიტუალი, ე.წ. „ხეხუნჯობა“ (ხელ-მხარის კურთხევა) ან „ხეშხვამა“ (ხელის ლოცვა), რომლის აფხაზურ ფორმად „აჟირანიხას“ დროს აღვლენილი ლოცვა „ხეჩხვამა“ მიიჩნევა.<sup>5</sup> ხელის/მკლავისა და მხარის სიძლიერეზეა დამოკიდებული მჭედლის სამუშაო და ნაყოფიერება. ამიტომაც ხეხუნჯობის დღისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ მჭედლის შვილებიც: დადიოდნენ სოფელში და ყოველი მოსახლისგან აგროვებდნენ მარცვლეულს, კვერცხსა და სხვა სანოვაგეს. ლოცვას მჭედელი თავის ვაჟიშვილებთან ერთად წარმოთქვამდა: „წმინდა სოლომო (ნ), 363 ხელობის დამფუძნებელო, მე და ჩემი შვილები დღევანდელი ლოცვის გამო შეგვიწყალე; ხელ-მხარი გაგვიმართე, მომავალი წლის ლოცვამდე მიგვიყვანე და გაგვიმარჯვე, შენ სახელ-დალოცვილო!“ (ქობალია 1903: 92)<sup>6</sup>, ან: „ხელ-მხარი ბედნიერი და მშვენიერი, ჩემი ხელისა და მხარის ნაქნარით ჩემი გული გაახარე, ჩემი ხელი და მხარის ჯანმრთელობით შენ დამაბერე. ხელის ტეხა, მხარის ტკივილი მე და ჩემ ცოლ-შვილს შორის გაგვიქარვე“ (მაკალათია 1941: 321).

ხელ-მხარის განათვლის რიტუალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არა ლოცვით (როგორც სამეგრელოში), არამედ სისხლით აღინიშნება: ჯვარის მიერ ხევისბრად არჩეული პირი სამსხვერპლო ცხოველის სისხლით უნდა გაინათლოს – შუბლზე, ხელებსა და მხრებზე. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ხელ-მხარის რიტუალი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში საკულტო ადებტის ხელდასახმის რიტუალს წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში დავიწროვდა და საოჯახო ლოცვის ფარგლებში მოექცა.<sup>7</sup>

მჭედლის მაღალი სოციალური სტატუსი განპირობებულია მისი ფუნქციით. ციმბირის ყველა ხალხში ითვლება, რომ მჭედელი მოგებისთვის კი არ მუშაობს, არამედ მემკვიდრეობის გადაცემისთვის, რაც საინიციაციო მისტიკრიასაც მოიცავს. აქ პირველ მჭედლად დავით წინასწარმეტყველი<sup>8</sup> გვევლინება, რომელიც მჭედლისგან ფიზიკურ სისუფთავესთან ერთად, სულიერ სიწმინდესაც მოითხოვს (ელიადე 1998: 184). მსგავსი ტაბუირების სისტემა კოლხეთშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ აქ მჭედლები მხოლოდ თავიანთი საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი და არ ამუშავებდნენ მიწას, არ მისდევდნენ მეთევზეობას და არასდროს ნადირობდნენ. სოფლის მოვალეობაში შედიოდა მათი მიწების დამუშავება, საფასურსაც ნატურალური მეურნეობით იხდიდნენ.

<sup>5</sup> ტერმინის წარმომავლობისთვის იხ. აბაკელია 1997: 83-87.

<sup>6</sup> თარგმანი იხ. აბაკელია 1997: 82-83.

<sup>7</sup> ხელ-მხარის განათვლის რიტუალის შესახებ იხ. სიხარულიძე 2006: 146-150.

<sup>8</sup> დავით წინასწარმეტყველია ასევე გამოსახული თბილისის მჭედელთა ამქრის დროშაზე. დროშა, როგორც წარწერებიდან ჩანს, სომხურია. მასზე დავით წინასწარმეტყველი გამოსახულია კითარით და ასევე დატანებულია სამჭედლო ინსტრუმენტები - გრდემლი, ურო და მარწუხი, რომელიც მაკრატელს უფრო ჰგავს. დროშის უკანა მხარეს კი გამოსახულია გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგი. ინფორმაცია მოგვაწოდა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა გურამ შერვაშიძემ.

აფრიკულ ტომებში მჭედლის საკრალიზება ასევე დაკავშირებულია „ცეცხლის პატრონობასთან“. მათი რწმენით, ნებისმიერი მჭედელი (ისევე, როგორც შამანი) ფლობს ადამიანური საზღვრების მიღმა არსებულ ძალას, ზეადამიანურ მდგომარეობას, რაც მას ცეცხლთან ურთიერთობის საშუალებას აძლევს. ამას გარდა, მჭედელი საბრძოლო იარაღს ჭედს მეომრებისთვის და სწორედ მისი მაგიური ძალა გადაეცემა იარაღს, რომელიც მტრისგან თავდაცვის უმნიშვნელოვანესი პირობაა (ელიადე 1998: 184). შაშვის მიმართ აფხაზურ ლოცვაში კი ჩანს, რომ საბრძოლო იარაღი, რომელსაც ხელოსანი ამზადებს, სინამდვილეში შაშვის ხელიდან არის გამოსული, შაშვის ენერგიით არის დამუხტული, ანუ მჭედელი მედიუმია შაშვის ხელში და ბრძოლის დროს იარაღის სიმტკიცე არათუ მჭედლის, არამედ მებრძოლის დამსახურებაც არ არის: „ოქროს შაშვი, დიდო ბატონო! შენი ხელიდან გამოსული რკინის მჭრელი იარაღის მარცხისაგან დაგვიცავ, წყალობა მოგვეც, იარაღს რომ ავიღებთ, გაგვიმარჯვდეს, გვედრებით, რკინის სამუშაო იარაღი დაგვაჭერინე, გამოსადეგად გვიქციე, მარცხს ნუ მოგვიხდენ, ოქროს შაშვი, დიდო ბატონო!“ (ზუხბა 1988: 94).

მჭედლის სოციალური ფუნქცია არ ისაზღვრება ოდენ იარაღების დამზადებით: „მისი კითხული ვიყავით ყველა. მჭედლის რჩევა-დარიგება კანონი იყო. მათივე თქმით, მჭედელი შაშვამიერი კაცი იყო, საპატიო პიროვნება და რჩეული. იგი ფლობდა რკინის დამუშავების ხელობას, რკინა კი ყველაფერი იყო“ - იხსენებს ერთ-ერთი აფხაზი (რეხვიაშვილი 1964: 164). ჩვენ ვხედავთ, რომ მჭედელი, როგორც მჭედლობის ღვთაების მისტერიებს განდობილი, როგორც გამუდმებით ცეცხლთან და შუაგულში მყოფი პიროვნება, სოციალური ელიტის შუაგულსაც ქმნის, იმეორებს რა თემის უზუცესის, უბრძენესის ფუნქციას (შდრ.: სოლომონ ბრძენი ფოლკლორში).

აფხაზეთში განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ რკინას, მეტალს,<sup>9</sup> რადგან სწამდათ, რომ იგი მჭედლობის ღმერთის, „დიდი ბატონი“ (აპადუ) შაშვამ მიერ შეიქმნა, რომელმაც ქვასთან შეხებით მისგან გამოიყვანა ყველა ლითონი, რაც ადამიანს სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. აქედან მოდის მისი ერთ-ერთი ეპითეტიც – „ოქროს მბრძანებელი“ (ხიაჰ) ანუ ოქროს დამმორჩილებელი, რაც ზოგიერთ მკვლევარს მის სოლარულ ბუნებაზე მიანიშნებს, მზისა და ოქროს ონტოლოგიური კავშირის გამო; შაშვამ შვიდსახოვანია, შვიდპიროვანი, რაც ხშირად გამოიხატება დაფიცების ან დალოცვის ფორმულებში: „შაშვამ შვიდ ხატს ვფიცავ“, „შაშვამ შვიდივე ხატის წყალობა მოგცეს“ ან დაწყევლაში „შაშვამ შვიდმა ხატმა დაგჭყლიტოს“ და სხვ. (ზუხბა 1988: 92). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მასში იგულისხმება ღვთაება თავისი მუდმივი ატრიბუტით – ჩაქუჩით, როგორი ითიფალური ქანდაკებებიც საკმაოდ გავრცელებულია როგორც კოლხურ, ისე იბერიულ-კავკასიურ არქეოლოგიურ მასალებში.

<sup>9</sup>. შემთხვევითი არ არის, რომ კოლხურ კულტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვადასხვა ზოომორფული ორნამენტებით მორთულ ბრინჯაოს ცულებს, რომლებიც ჩვენამდე გაუცვეთელი ფორმით არის მოღწეული, რაც იმას მიანიშნებს, რომ მათ რიტუალური ფუნქცია უნდა ჰქონოდათ. იხ. სიხარულიძე 2006: 147.



ხოლო სამჭედლოს სასამართლოს წინაშე წარმდგარ ბრალდებულს კი ტყუილზე დაფიცებისთვის პირდაპირ შაშვას ურო მოელის სასჯელად: „თუ ამ საქმეებში დამნაშავე ვიყო და ტყუილად ხატი დავიფიცო, შაშვას საყვედური მიმელოს, ამ უროთი შვიდსახოვანმა შაშვამ თავი ათგან ჩამინგრიოს! თუკი უდანაშაულო ვიყო, ვინც ეს საქმე ტყუილად დამაბრალა, ვინც სრულიად უბრალო დამაფიცა, მისთვის ჩაენგრიოს თავი ათგან შვიდსახოვან შაშვას!“ (ზუხბა 1988: 94). შაშვას ატრიბუტია არა მხოლოდ ჩაქუჩი, არამედ ცეცხლიც. ნიკო ჯანაშიას მოჰყავს სამჭედლოში დაფიცების ტექსტი, სადაც ბრალდებული ამგვარად იფიცებს: „დიდო შაშვო, ვისაც გემორჩილება შვიდი ღმერთი და გინთებთ შვიდ სანთელს, გესმის? დაე დამწვას შენმა ცეცხლმა, ვიქნა შენგან დაფერფლილი, თუ ამ საქმეში დამნაშავე ვარ“ - და დაარტყამს ჩაქუჩს გრდემლზე. დამსწრენი, რომელთაც სჯერათ, რომ „შაშვი იმყოფება მათ შორის“ და არ უნდათ მისი განრისხება, მაშინვე წყვეტენ გასამართლების პროცესს და ფიცის მთქმელს უდანაშაულოდ გამოაცხადებენ (ჯანაშია 1960: 73). ამ მრისხანე, „ცალთვალა, მაგრამ ყოვლისმხედველი“ (რეხვიაშვილი 1964: 165) ღვთაების თაყვანისცემის დღე აფხაზურ ტრადიციაში ახალი წლის მაგიურობის, შესაბამისად, სამყაროს განახლების, მისი ახლად დაბადების საზრისს დაუკავშირდა.

რიტუალი. „აჟირანიხას“ სახით საქმე გვაქვს კლასიკურ რელიგიურ რიტუალთან, თავისი შემადგენელი ყველა კომპონენტით. დღესასწაულის სახელწოდება, სარიტუალო სივრცის შესაბამისად, უკავშირდება სამჭედლოს – „აჟირა“<sup>10</sup> რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს არა ნამდვილ, არამედ ამა თუ იმ საგვარეულო სიმბოლურ სამჭედლოს, ზოგჯერ ის ტყეშია საგანგებოდ აშენებული, თავისი რელიგიური სამსხვერპლოთი – სიმბოლური გრდემლით და სპეციალური ლოცვაც, რომელიც აღესრულება, როგორც რელიგიური რიტუალის აუცილებელი კომპონენტი, აფხაზთა მჭედლობის ღმერთს – შაშვას – მიემართება. რიტუალის წარმმართველია მჭედელი (აჟი) ან ოჯახის / გვარის უფროსი, რომელიც ღვთაება შაშვას სახელზე სამწლიან სარიტუალოდ მომზადებულ ვაცს/ოჩს და მამლებს შესწირავს ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით ან შაშვას საღვთო ვალის მიხედვით<sup>11</sup>; ოჯახის თითოეული წევრისთვის მზადდება რიტუალური პურები (აჩაშვა – შაშვას პური) და კოკრები (აკვაკვარ – ყველიანი კვერი) და საგანგებოდ ჩამოიქნება თაფლის სანთელიც (ჯანაშია 1999: 1-2). სამსხვერპლო შესაწირავი – ვაცი, მამალი – მიანიშნებს, რომ ტრადიციულად, რიტუალს ოჯახის მამაკაცები ასრულებდნენ და მასში მონაწილეობას არ იღებდნენ ოჯახის რძლები (სხვა გვარის ქალები, და არა მამის ხაზით ქალიშვილები, რომელთა სახელზე შეიწირებოდა დედალი და სანთელ-კვერები).

13 იანვარს, მზის ჩასვლის შემდეგ, სარიტუალო ლოცვას (ხეჩხვამა =

<sup>10</sup> ნ. ჯანაშიას ცნობით, აფხაზს აჟირა უფრო საკრალურად მიაჩნია, ვიდრე ეკლესია.

<sup>11</sup> ს. მაკალათიას ცნობით, აფხაზეთში თემი ტრადიციულად გოჭს სწირავდა მჭედლობის ღვთაებას საახალწლოდ, ხოლო მუსლიმი აფხაზები გოჭის ხორცს გახვევდნენ ქალაქში, სამჯერ გაღებდნენ და გადმოაფურთხებდნენ (მაკალათია 1927: 46).

ხელის ლოცვა) ადასრულებს მჭედელი (აჟი) ან ოჯახის უფროსი, რომელიც სიმბოლოურად განასახიერებს მჭედელს ან პირველწინაპარს. სიმბოლოურ საკურთხეველთან, რომლის ფუნქციას სიმბოლოური გრდემლი ასრულებს, შემწირველი (მჭედლის ფუნქციით აღჭურვილი პირი) ცალ ხელში კაკლის შამფურზე წამოცმული სამსხვერპლო ვაცის გულ-ღვიძლით და მეორე ხელში – თიხის ჭურჭელში მოთავსებული წმინდა ზედაშით ადავლენს ლოცვას ღვთაება შაშვას მიმართ (რეხვიაშვილი: 160). თვითონ ზედაშეს სამჭედლოს აღმოსავლეთ კედელთან ჩატანებული საზედაში ქვევრიდან (ახაფშა) იღებდნენ და მის მიმართ ლოცვას წარმომთქმელთან ერთად იმეორებდნენ რიტუალის მონაწილე დანარჩენი წევრებიც: „დიდო, ღმერთო შაშვო, რომელსაც გექვემდებარება შვიდი ხატი და რომელსაც გენტება შვიდი სანთელი, გესმის? ჩვენი წინაპრების მსგავსად, შესაწირთან ერთად მორჩილად ვდგავართ შენ წინაშე და შეგთხოვთ, მიიღო ჩვენგან ეს მსხვერპლი და იყო მფარველი ოჯახში, სახლს გარეთ, გზაში, ტყეში, წყალსა და ხეზე... ნუ მოგვაკლებ წყალობას... შემდეგ გრდემლზე დაჰკრავდა კვერს: გესმის? ყველანი ერთად იმეორებდნენ: „გესმის?“ (ანთელავა 2006: 183). ლოცვის დასრულებისა და სამსხვერპლო გულ-ღვიძლთან ზიარების შემდეგ ოჯახის უფროსი ცაში თოფს გაისვრის, რითაც მიაწინებებს, რომ რიტუალი აღსრულებულია (ხაშა 2018: 82). ლოცვა ხშირ შემთხვევაში გარეთ მიმდინარეობს აჟირას მცირე მოცულობის გამო, რაც კიდევ ერთხელ მიაწინებებს მის სიმბოლოურ დანიშნულებას. რიტუალის მეორე ნაწილი საერთო სუფრულ მზიარულებას ეთმობა<sup>12</sup>.

ანალოგიურ მეგრულ რიტუალში თხის ნაცვლად შესაწირავად ითვლება ღორი ან გოჭი. აფხაზეთის გარკვეულ სოფლებში დღესაც შესწირავენ გოჭს. ასევე, სამეგრელოს სოფლებში არ გვხვდება სამჭედლო ნაგებობა განცალკევებით. სამჭედლო ქვევრი ცალკეა ჩამარხული მარანში და სწორედ მას ხსნიან მეგრელები საახალწლოდ.

სამჭედლოს სოციალური ფუნქციები. აფხაზურ პანთეონში ღვთაება შაშვას მეორე ადგილი უჭირავს ანცვას შემდეგ. ნიკო ჯანაშია მას ყველაზე სასტიკ და მრისხანე ღვთაებად მოიხსენიებს, რომლისაც ყველას ეშინია; განსაკუთრებით საშიშია მასთან სიურჩე, რადგან ყველა ურჩ აფხაზს შაშვას სასტიკად სჯის. ავტორი „ფანატისკოს აფხაზებზე“ აღნიშნავს, რომ შაშვას შემცოდველნი სამი-ოთხი წლის განმავლობაში შესწირავდნენ მას მსხვერპლს, ხოლო დიდი უბედურების დროს შაშვას რისხვისგან თავის დასახსნელად თავის ერთ-ერთ ვაჟსაც შესწირავდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მჭედლობა უნდა შეესწავლა იმ აჟირაში, რომელიც მას განურისხდა. რამდენიმე წელიწადში ვაჟი უკვე მჭედელი ხდება და შაშვას

<sup>12</sup> ცხადია, რომ სამჭედლო აფხაზთა რელიგიური ცენტრია, ისევე, როგორც ქაჯავეთის საკულტო შუაგულს სწორედ სამჭედლო წარმოადგენს. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მითოსს არ შემოუნახავს ქაჯავეთის ცოცხალი რელიგია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისი ნამსხვერვეები - ქაჯავეთიდან წამოღებული საკულტო არტეფაქტების და ქაჯი ქალების - აშექალის, მზექალისა და სამძივარის სახით. ამ საკულტო საგანთა შორისაა ქურთემული, ანუ გრდემლი, რომელზე ცხენის ქუსლის დაკვრით და ანაბეჭდის დატოვებითაც ხახმატის წმინდა გიორგიმ სამარადისოდ გატეხა ქაჯავეთი, ქურთემული კი ხახმატის ჯვარის კვრივში წამოიღო.

ნებისა და ბრძანების აღმსრულებელი, მისი მსახურ-ქურუმი. ასეთ ბავშვს წერა-კითხვასაც კი არ ასწავლიდნენ, არათუ სხვა ნებისმიერ საქმიანობაში ჩაერთოთ (ჯანაშია 1899: 9).

გარდა ამისა, თედო სახოკია თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ სამჭედური სასამართლოს როლსაც ასრულებდა აფხაზეთში. „მომჩივანნი მის წინ ფიცულობენ და თავიანთ სიმართლეს საჯაროდ აცხადებენ. აფხაზი, რაც უნდა ძალა ადგეს, ტყუილის თქმას სამჭედლოს წინაშე ვერ გაჰბედავს“ (სახოკია 1950). სხვა მკვლევარები ადასტურებენ, რომ ყოველი დიდი გასაჭირის დროს, სამჭედლოში მიღებული ფიცი უფრო მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი იყო, ვიდრე ეკლესიაში (რეხვიაშვილი 1964: 167)<sup>13</sup>.

სამჭედლოს ის ფუნქციაც ჰქონდა, რომ აჟირაში მიჰყავდათ სულით ავადმყოფები, რომელსაც აჟი გრდემლთან დააჩოქებდა და შესთხოვდა აჟირას ავადმყოფისთვის რკინის სიმაგრე მიეცა და განეკურნა სნეულებისგან. ამ ლოცვას თან ახლდა რიტუალური მსხვერპლი – თხა, რომელსაც შემოატარებდნენ ავადმყოფს, აღმოსავლეთით მიაბრუნებდნენ და ისე დაკლავდნენ (რეხვიაშვილი: 168).

თანდათან შაშვმს საკუთარი სახელი უფერულდება აფხაზთა მეხსიერებაში და მას ანაცვლებს თვითონ მჭედლის/სამჭედლოს (აჟი/აჟირას) საკრალურობის განცდა (ჯანაშია 1899: 2). კულტს აქვს თავისი საინიციაციო რიტუალიც (აჟირა იზაკუ), რითაც ახალბედა მჭედლების ან მჭედლის არასრულწლოვანი ვაჟის ხელდასხმა ხდება<sup>14</sup>.

ნათელია, რომ საქმე გვაქვს არქაული რელიგიური სისტემის სოციალიზაციასთან და კულტმსახურების, ტრადიციის საშუალებით შემონახულ მითოსთან. ის, რაც ზეპირსიტყვიერებამ ვერ შემოინახა ნარატივის სახით, ადამიანის მეხსიერებამ შეინახა რწმენა-წარმოდგენის სახით და ხალხურმა ტრადიციამ – რელიგიური კულტისა და რიტუალის სახით. დროთა განმავლობაში დაიკარგა ღვთაება შაშვთან დაკავშირებული მითოლოგიური ნარატივები, რომელიც ყველა კანონის მიხედვით უნდა ყოფილიყო კულტის დაარსების საწყისში.

ზეციური მჭედლის მემკვიდრე პირველი მჭედელია, რომელმაც ღვთაებრივი ცოდნა ხელმისაწვდომი გახადა ადამიანებისთვის. აფხაზთა წარმოდგენით, მჭედლობის მფარველმა ღვთაება შაშვმამ ხელობა პირველად აჟის ასწავლა და გადასცა მას „სამხელი“, ე.წ. ხნაპიკი – გრდემლის, კვერისა და მარწუხის ერთობლიობა<sup>15</sup>.

<sup>13</sup> ავტორი იმოწმებს აფხაზური ტრადიციების თანამხილველისა და ეთნოგრაფის, გიორგი ალშინაის, 1940 წლით დათარიღებულ ხელნაწერს, სადაც ის ამბობს, რომ აფხაზებს ხატი დიდად არ სწამდათ და ამიტომ შეეძლოთ ტყუილზე დაფიცება ეკლესიაში, სამჭედლოში კი ამას ვერ გაბედავდნენ.

<sup>14</sup> სამჭედლო საქმე მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა. სპეციალურად დანიშნულ დღეს მომავალ მჭედელს მიიყვანდნენ სამჭედლოში, ბავშვს დააჩოქებდნენ გრდემლთან, სანთელს დააკავებინებდნენ, მამა კი შაშვს შეავედრებდა შვილს: „დღეიდან ამ ბავშვს გადავცემ შენს მსახურებას, უწყალობე შენი გულისა და თვალების სითბო. ის, რაც მან იცის, შეასრულებს, რაც უცოდინრობით შესცოდოს, აპატიე, დიდო შაშვო!“ ბავშვს თმას შეუტრუსავდნენ და ის ხელდასხმულად ითვლებოდა (ანთელავა, 2006: 117-118).

<sup>15</sup> შდრ. სვანური გამოცანა: „ოთხი ძმა, ოთხი შრომობს, ერთს მაღლობას უცხადებენ“ (მჭედელი, გრდემლი, ჩაქუჩი და მარწუხი); ბ. ნიჟარაძე, „სვანური ანდაზები, გამოცანები და სიმღერები“. СМОНПН, N.10/1890, отд. 2, стр. 1-8.

სამჭედლო ატრიბუტიკა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მჭედლობის კულტში. მაგალითად, დასავლეთ აფრიკის სამხრეთით მცხოვრები ტომის – ევეს რწმენით, პირველი მჭედელი გრდემლსა და ჩაქუჩთან ერთად ჩამოვარდა ციდან. მათი აზრით, პირველი მჭედელი უმაღლესი ღმერთის ვაჟია, რომელიც მამამ გამოგზავნა, „რათა დაესრულებინა სამყაროს შექმნა და ადამიანებისთვის გადაეცა ხელობათა საიდუმლო“ (ელიადე 1998: 193). გრდემლსა და ჩაქუჩს (კვერს, უროს) ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება აჟირანიხას რიტუალში. სამეგრელოში და აფხაზეთის ზოგიერთ სოფელში სამსხვერპლო ცხოველის გულ-ღვიძლი წამოიცილება არა შამფურზე, არამედ დაიდება სარიტუალო ხონჩაზე, სადაც ასევე აწყვია მომცრო ზომის, ოდენ საკულტო დანიშნულების ჩაქუჩ-მარწუხი და გრდემლი. აჟის სახელს უკავშირდება როგორც ადამიანებისთვის პირველი საბრძოლო და სამეურნეო იარაღების დამზადება, ისე პირველი მსხვერპლშეწირვა შაშვას მიმართ (ანთელავა 2006: 117). ამგვარად, შაშვას კულტის დაარსება აფხაზეთში პირველ მჭედელს, ყველა მჭედლის პირველწინაპარს მიეწერება, რომელიც კულტურული გმირის ფუნქციით გვხვდება ისევე, როგორც მეგრულ გადმოცემებში ერთმანეთს ენაცვლება სოლომო და იესო ქრისტე. მეგრულ ფოლკლორში ქრისტიანიზებულია უძველესი რწმენა-წარმოდგენა და, შესაბამისად, წმინდა სოლომო მამა ღმერთის ფუნქციით არის წარმოდგენილი. მეგრულ-აფხაზური მითოსური სტრუქტურა სრულად იმეორებს აფრიკულ მოდელს. მეტიც, სამივე ერთი და იმავე რწმენა-წარმოდგენათა სისტემის რეპრეზენტაციას წარმოადგენს სხვა მრავალ ხალხში შემორჩენილი სისტემის მსგავსად. ისიც აშკარაა, რომ სხვაობას ქმნის მხოლოდ ღვთაებათა სახელწოდებები, მეგრულ-აფხაზური მასალის ურთიერთშედარებისას კი ვიღებთ თვისობრივად ერთსა და იმავე სისტემას თავისი მითო-რიტუალური კომპლექსით, რომელთაგან აფხაზური ფოლკლორი უფრო ძველ, არქაულ შრეს ინახავს, თუმცა ეს არ ნიშნავს მის პირველადობას ან პირიქით.

ამგვარად, არქაულ კულტურაში იქმნება ერთგვარი ჯაჭვი: ზეციური მჭედელი (უზენაესი ღმერთი, პირველი მჭედელი, ვინც *in illo tempore* შექმნა ეს ხელობა – შაშვა) - პირველი მჭედელი (ვინც ადამიანებს მჭედლობის საიდუმლოს აზიარებს - აჟი) - მჭედელი თავისი არა მხოლოდ პროფესიული, არამედ სოციალური და რელიგიური ფუნქციითაც, ის მჭედელიც არის, მოსამართლეც და კულტის მსახური ქურუმიც ერთდროულად.

საკრალური იერარქია სოციალურ იერარქიაზეც ვრცელდება და მჭედელთა გილდიას ქმნის. სამხრეთ კონგოს მითოლოგიაში მჭედელი წარმოდგენილია, როგორც სოფლის დამაარსებელი, ანუ სოციოგონური სუბიექტი, რომელიც თავის ხელობას მემკვიდრეობით გადასცემს შთამომავლებს. აქ ის გვევლინება ტომის ბელადად, პატრონობს რა თავის ქურაში ცეცხლს და ამით რელიგიურ ფუნქციასაც ითავსებს. მეფედ იმის

მიხედვით ირჩევენ, რამდენად სრულყოფილად ფლობდა პიროვნება მჭედლის პროფესიას. კონგოში გავრცელებული გადმოცემების თანახმად, მჭედლები თავიანთ საიდუმლო გილდიას ქმნიდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთ ხელობას (ელიადე 1998: 192). ჩვენ ვხედავთ, რომ მჭედლებს თავიანთი დახურული, ჩაკეტილი საზოგადოება აქვთ (ისევე როგორც, მაგალითად, ძველთაძველ თავისუფალ ქვისმთელთა სამშოს) თავისი მითოსით, იერარქიული აპარატით და რიტუალური კულტმსახურებით, რომლის განდობილი წევრები მკაცრად იცავენ მის უმთავრეს პრინციპებს და საიდუმლოს. მაგრამ მჭედლობა ადამიანების სამსახურში უნდა იყოს და არა პირიქით. როგორც კი ის ადამიანის დამცირებისა და მანიპულირების ინსტრუმენტად იქცევა, ეს ნიშნავს, რომ ცოდნა არათუ ვეღარ ასრულებს თავის ნამდვილ, სოციალურ ფუნქციას, არამედ – პირიქით, ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული. ასეთ ცოდნაზე დამყარებული სისტემა მტრულად აღიქმება სოციუმის მიერ. კოლხური კულტურისგან განსხვავებით, სწორედ ეს პლასტია შემორჩენილი ხევსურულ მითოლოგიაში, სადაც სამჭედლო საქმე დემონიზებულია და მჭედლობა დევურ საქმედ, მჭედლები კი – დევებად აღიქმებიან ხალხის ცნობიერებაში.

აფხაზური მასალა ასევე აჩვენებს განდობილობის უძველეს პლასტს – ხელობის მამიდან უფროს შვილზე გადაცემას. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში, მეტალურგიის განვითარებასთან ერთად, მასშტაბიც შეიცვალა, დიაქრონიული სტრუქტურიდან (თაობიდან თაობაზე გადაცემა) სინქრონიულ სტრუქტურაზე გადავიდა, რისი მაგალითიცაა მჭედელთა ამქარი ძველი თბილისის სახელოსნო წრეში. მეტალთა შეერთების საიდუმლო, საკრალიზებული ცოდნა აღარ ითხოვდა მემკვიდრეობითობას, საკმარისი იყო „ოსტატის“ თანხმობა და „შეგირდის“ სტატუსიდან „ქარგლის“ სტატუსამდე ამაღლებისას შეგირდის წრფელი გული და მუყაითი შრომა. სამი-ოთხი წლის განმავლობაში მომავალი მჭედელი ცხოვრობდა და ეჩვეოდა სოციალურ გარემოს, რომელსაც საკუთარი წეს-ჩვეულებები და რიტუალები ჰქონდა. მაგალითად, მაისის პირველ ნახევარში თბილისელი მეღვინეები მჭედელთა ამქრის საღვთოს იხდიდნენ: იყიდდნენ მამალ ცხვარს, ღვინოს, შინ გამოაცხოზდნენ პურს და სხვა საჭმელს და მიდიოდნენ დუშეთის თავზე ეკლესიის მოედანთან და ერთად გადაიხდიდნენ სამხვთოს. „თეფშზე სამი ჭიქა ელაგა: პირველით ღმერთს, მეორეთი - ხელობის გამჩენს, მესამეთი – ხელოსნებს ადღეგრძელებდნენ“ (რეხვიაშვილი 1964: 149-150). და იყო წელიწადში ერთი დღე, იდუმალი დიდი ხუთშაბათი, როცა მჭედელი დილაადრიან, უმძრახად (ხმის ამოუღებლად) შეუდგებოდა თავის სამუშაოს. სწორედ ამ დღეს ჭედდა ის ჯვრებს, რომელთაც თილისმის ფუნქციაც ჰქონდა და ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ საკულტო ნივთს – შამფურს, თასს, სახნისს... დიდ ხუთშაბათს უბრად გაკეთებულ ნივთებზე ქართველი

მჭედელი შევაჭრებას არ იკადრებდა, მუშტარიც იმას უხდიდა, რისი საშუალებაც მას ჰქონდა (რეხვიაშვილი 1964: 150)<sup>16</sup>.

საინტერესოა, რომ სამჭედლო რიტუალები ანალოგიურად ახალ წელსა და აღდგომის დღეებში აღესრულება სომხეთშიც. ხალხის რწმენით, 31 დეკემბერს სომეხი მჭედელი დაჰკრავს გრდემლს უროს სამჯერ ან შვიდჯერ ბოროტი სულების განსადევნად. ასევე, ვხვდებით უმძრახობის ელემენტს მჭედლთა საქმიანობაში სააღდგომო დღეებში, ოღონდ არა დიდ ხუთშაბათს, როგორც ჩვენთან, არამედ ვნების პარასკევს. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მჭედელი ჭექა-ქუხილის ღმერთის ფუნქციით არის აღჭურვილი, რომელიც წლის ამ დღეს ებრძვის და მიწისქვეშეთში აგდებს უწმინდურ ძალას, რის წყალობითაც მზე თავიდან იბადება. მზის სიმბოლოს განასახიერებს ამ დღეს გაკეთებული სამაჯურები და ბეჭდები ქალებისთვის, რომელსაც ატარებდნენ როგორც გათხოვილი და ფეხმძიმე ქალები, ისე საუკეთესო ბედის მომლოდინე ქალწულები (ვარდანიანი 2012).

მჭედელი არა მხოლოდ თავისი მაგიური ცოდნით ქმნიდა სხვადასხვა ლითონის სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულების არტეფაქტს, ის თავისი ამ ქმედებით იმეორებდა შემოქმედი ღმერთის თავდაპირველ დემიურგულ ფუნქციას. ქართულ ეტიოლოგიურ გადმოცემებში არსებობს გრდემლისა და ჩაქურჩის წარმოშობის მითები, რომლებიც შემოქმედი ღმერთის/იესო ქრისტეს მუხლისა და მუშტის ანალოგიით წარმოიშვნენ, როგორც ის ქმნიდა სამყაროს. მსგავს ფუნქციას აფხაზურ ფოლკლორში შაშვად, ხოლო მეგრულ ფოლკლორში წმ. სოლომო იმეორებს; მჭედლობის დაფუძნება, მეგრული ფოლკლორული მასალების მიხედვით, წმ. სოლომოს მიეწერება (ბიბლიური სოლომონის ტრანსფორმაცია), რომელიც, ისევე როგორც შაშვად – 363 ხელობის დამფუძნებელი და მფარველია, მაგრამ მის მთავარ საქმიანობას მჭედლობა წარმოადგენს (ამირანაშვილი 1944: 64)<sup>17</sup>. გადმოცემით, ის თავიდან გავარვარებულ რკინას თავის მუხლზე ჭედდა საკუთარი მუშტით. მას არ შეეძლო ამ ცოდნის ადამიანებისთვის გაზიარება, ეს ფუნქცია იესო ქრისტემ იკისრა და ადამიანები „აზიარა გრდემლისა და ჩაქურჩის საიდუმლოს“ (ქობალია 1903: 92). სხვა მეგრულ გადმოცემაში ქრისტესა და სოლომოს ფუნქციები შეცვლილია და ქრისტეს მიეწერება ყველა ხელობის, მათ შორის მჭედლობის, თავდაპირველი ცოდნა, სოლომო კი გონიერი კაცია, რომელიც აკვირდება ქრისტეს საქმიანობას და შენიშნავს: „ცარიელი ხელით რომ გამოგაქვს მხურვალე რკინა და მუხლზე იჭედ მუშტით, – უკეთესი არ იქნება, გაჭედო გრდემლი, კვერი, მარწუხი და გაიადვილო მუშაობა? ქრისტეს დაუჯდა გონივრული რჩევა და მოეწონა მას სოლომოს მიხვედრილობა და ჭკუა. ადგა და მთელი ხელობა მას გადააბარა. ამის შემდეგ სოლომო მეორე კაცი გახდა“ (რეხვიაშვილი

<sup>16</sup> დიდი ხუთშაბათის მაგიურობა „ამირანის ეპოსშიც“ არის გადასული და თანაც ყველა ვარიანტში უცვლელად. მჭედლების მიერ, რომელთაც მიჯაჭვული გმირის გათავისუფლების ემინიათ, სწორედ დიდ ხუთშაბათს მოქმედი უროთი მთელდება და სიმტკიცე უბრუნდება ამირანის გაცვეთილ ჯაჭვს. კითხვა ისმის ამგვარად: რატომ სძულს ამირანს ასე განსაკუთრებულად მჭედლები და რატომ ემინიათ მჭედლებს ამირანის? – რასაც, ამ სტატიაში ვერ ვუპასუხებთ.

<sup>17</sup> ავტორი იმოწმებს მოსე ჯანაშვილის ნაშრომს – *Абхазия и абхазцы*, 1894: 53.

1964: 152). ჩვენი აზრით, სწორედ ეს უკანასკნელი გადმოცემა უნდა იყოს არქაული, პირვანდელი მითოსის შემნახველი, სადაც კულტურული გმირის ფუნქციით გვევლინება არა იესო ქრისტე, არამედ სოლომონ მეფე, რომელიც, ბიბლიის მიხედვით, სიბრძნეს მიიღებს მამა ღმერთისგან და ეს სიბრძნე ადამიანებთან მოაქვს. ქართულ ფოლკლორში ხშირად გვხვდება ბიბლიური სოლომონ მეფის ტრანსფორმაციები, როცა მას იესო ქრისტეს ფუნქციები მიეწერება (ინწკირველი 2017: 183-205).

ნიშანდობლივია, რომ აფხაზური ნართული ეპოსის მჭედელ აინარ-აჟის მუხლი და მარჯვენა მუშტი ასევე განასახიერებს გრდემლსა და ჩაქუსს, ხოლო მარცხენა – მარწუხს<sup>18</sup>. მან თავის ქურაში გამოაწრთო სასრიყვა და უპირობოდ მხოლოდ სათანეი გუაშას ემსახურება. სიკვდილის წინ ის ითხოვს, რომ მისი ცოდნა ადამიანებს გადასცენ (ანთელავა 2006: 10-11). ამრიგად, სამყაროს შექმნა, როგორც მისი გამოჭედვა, უცხო არ არის ქართულ-აფხაზურ ფოლკლორში, მიუხედავად იმისა, რომ ფუნქცია თავისი ატრიბუტიკით გადანაწილებულია სხვადასხვა პერსონაჟზე.

ქურა და ცეცხლი აუცილებელია რკინის მეტალურგიაში და ეს თქმულებები, რომლებიც გავარვარებული ლითონის შესახებ მოგვითხრობენ, რკინის ხანას უკავშირდება, თუმცა აფხაზურ ფოლკლორში შემორჩენილია თქმულება პირველ მჭედელზე, საკუთარი სახელის გარეშე, რომელიც კვერის მაგივრად მუშტს ხმარობდა, გრდემლის მაგივრად – მუხლს და მხოლოდ სპილენძის ნივთებს ამზადებდა (ამირანაშვილი 1944: 65). როგორც ცნობილია, სპილენძის დამუშავება ცივი წესით ხდება და ცეცხლის მონაწილეობა მასში აუცილებელი არ არის. ბრინჯაოს დამუშავებიდან რკინის დამუშავებაზე გადასვლის პროცესი კი კარგად ჩანს კახურ გადმოცემაში, რომელიც შ. ამირანაშვილს მოჰყავს: „მჭედელს ახალი იარაღის – გრდემლისა და კვერის შემოღება ღვთისაგან აკრძალული ჰქონდა. ახალი იარაღის შემოღებამ წაართვა მჭედელს მომადლებული ნიჭი – ცეცხლისაგან უწველობა. მას უკვე აღარ შეეძლო გახურებული რკინის ცეცხლიდან გამოტანა შიშველი ხელით, მისი მუხლზე დადება და მუშტით ჰქედვა“ (ამირანაშვილი 1944: 65). ჩვენ ვხედავთ, რომ კახელ მჭედელზე გადმოსულია ცეცხლისგან უწველობა, ის ღვთის რჩეულია. ტექნოლოგიის გამოგონების გამო კი მას წაერთვა მიმადლებული ნიჭი. მაგრამ ამ გადმოცემაში ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ენეოლითის ხანიდან ჯერ ბრინჯაოს და შემდეგ რკინის საუკუნეზე გადასვლასთან ერთად შეიცვალა ადამიანი, მისი ცხოვრება და ყოფა. დაიწყო სრულიად ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში ახალი მსოფლმხედველობით, რამაც ახალი რელიგიური კულტი წარმოშვა თავისი მითო-რიტუალური კომპლექსით და კოსმოგონიური რწმენა-წარმოდგენებით. ამიტომ გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ რკინის საუკუნეში სამჭედლოს უკავშირდება ისეთი

<sup>18</sup> აქარული მასალების მიხედვით, მჭედელთა მფარველი დაუთ ფელიამბერია, ისევე როგორც თაბასარანელთა (დაღესტნურ) მითოლოგიურ გადმოცემებში პირველი მჭედელი დავით წინასწარმეტყველი („დავუდ ფეიჰამბარი“) ასევე საკუთარ მუხლსა და ხელს იყენებდა გავარვარებული რკინის დასამორჩილებლად. იხ. ანთელავა 2017: 226.

მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაული, როგორცაა ახალი წელი, როგორც სამყაროს განახლების, ახლად დაბადების სიმბოლო. იდიომატურ დონეზე ეს მომენტი დღესაც აქტუალურია ქართულ ენაში: „ვარსკვლავებით მოჭედული ცა“ – რასაც ყოველი ქართველი იყენებს, როგორც მუდმივ ეპითეტს, სინამდვილეში კოსმოგონიურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს, სადაც ვარსკვლავები, შესაძლოა, ზეციური მჭედლის მიერ ზეციურ გრდემლზე ზეციური უროს დარტყმით წარმოშობილ ზეციურ ნაპერწკლებს განასახიერებდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა ქართულ-აფხაზური მითო-რიტუალური სისტემის საერთო წარმომავლობა და თანაარსებობის ისტორია საუკუნეების განმავლობაში. ისტორიის გადაწერის, ფაქტების დამახინჯებისა და უტყუარ წყაროთა შეგნებული დამალვის მრავალი მაგალითი არსებობს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, მაგრამ იდეოლოგიზებული პოლიტიკური ბრძოლის არცერთი ხერხი არ არის ისეთი ვერაგი, როგორც ხალხურ კულტურაში თვითნებურად ჩარევა და მისი ბუნებრივი გარემოდან მოწყვეტა სეპარატული მიზნებით. ხალხური კულტურა მეხსიერების ის ფორმაა, რომელიც სამეცნიერო სტატიებით არ იცვლება, მაგრამ დროთა განმავლობაში ის შეიძლება შეიცვალოს იდეოლოგიზებული პროპაგანდით. ფოლკლორისა და მითოლოგიის პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გამოყენების არაერთი მაგალითი ახსოვს მსოფლიო ისტორიას. ბატონი არძინბა, მის სამეცნიერო კეთილსინდისიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქართული კულტურის თანამონაწილეობის უარყოფით გეოპოლიტიკურ და ისტორიულსაფუძველსაცლის აფხაზურ კულტურას, რაც, ცხადია, საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკით იყო ინსპირირებული და წახალისებულიც.

### გამოყენებული ლიტერატურა

- აბაკელია 1997: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი, 1997.
- ამირანაშვილი 1944: ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I. თბილისი, 1944.
- ანთელავა 2006: ანთელავა ნ., აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. თბილისი, 2006.
- ანთელავა 2017: ანთელავა ნ., კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბილისი, 2017.
- გიორგიძე-ჭარაია 2011: გიორგიძე-ჭარაია პ., აფხაზეთი და აფხაზნი (საეთნოგრაფო მიმოხილვა), თბილისი, 2011.
- ზუხბა 1988: ზუხბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბილისი, 1988.
- ინჭირველი 2017: ინჭირველი ეთ., ბიბლიური ამბები ხალხურ ტრადიციაში. თბილისი, 2017.



- მაკალათია 1927: მაკალათია ს., ახალწელიწადი საქართველოში. თბილისი, 1927.
- მაკალათია 1941: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1941.
- რეხვიაშვილი 1964: რეხვიაშვილი ნ., ქართული ხალხური მეტალურგია. თბილისი, 1964.
- სახოკია 1950: სახოკია თ., მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. თბილისი, 1950.
- სიხარულიძე 2006: სიხარულიძე ქ., კავკასიური მითოლოგია. თბილისი, 2006.
- ჯანაშია 1899: ჯანაშია ნ., აფხაზები (ეთნოგრაფიული მასალები), „მოამბე“, №4, II, 1-10, 1899.
- Ардзинба 1988: Ардзинба В., К истории культа железа и кузнечного ремесла (почитание кузницы у абхазов). Древний Восток: этнокультурные связи. Москва, 1988. [http://apsnyteka.org/898-ardzinba\\_v\\_k\\_istorii\\_kulta\\_zheleza\\_i\\_kuznechnogo\\_remesla\\_pochitanie\\_kuznitsy\\_u\\_abhazov.html](http://apsnyteka.org/898-ardzinba_v_k_istorii_kulta_zheleza_i_kuznechnogo_remesla_pochitanie_kuznitsy_u_abhazov.html) (დამოწმება 19.02.2023).
- Элиаде 2017: Элиаде М., Азиатская алхимия. Москва, 1998.
- Варданын 2012: Армяне. Кузнечное ремесло, отв. ред. Л.М. Варданын, Г.Г. Саркисян, А.Е. Тер-Саркисянц; Ин-т этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая РАН; Ин-т археологии и этнографии НАН РА, Наука. Москва, 2012. <https://www.armmuseum.ru/blacksmith-craft> (დამოწმება: 17.02.2023).
- Кобалия 1903: Кобалия И. Т., Из мифической Колхиды. СМОМПК, N32, отд. III, стр. 89-124. 1903.
- Хашба 2018: Хашба А., Семейные праздники: Традиции и современность. История, Археология и Этнография Кавказа, Т. 14, №1, стр. 79–84. 2018.
- Джанашия 1960: Джанашия Н. С., Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6980>

**ომისა და მშვიდობის ნარატივი  
თანამედროვე ქართულ მწერლობაში  
(„წილანაკრავთ - 33 ამბავი აფხაზეთზე“ მიხედვით)**

**The narrative of war and peace in modern Georgian literature  
(According to „Let’s Speak - 33 Stories about Abkhazia“)**

**სალომე კაპანაძე**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

Salome Kapanadze  
Grigol Robakidze University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The research problem of this paper pertains to the thematic exploration of war and peace in modern Georgian literature. The profoundly impactful human experiences associated with war and the subsequent psycho-emotional consequences intricately depict the boundaries of our collective humanity. Therefore, the latest developments in Georgian literature present a captivating phenomenon that necessitates meticulous examination. The successful cultivation and internalization of the concept of peace among conflict participants significantly hinge upon its artistic representations within this context. Efforts to reevaluate values and establish a new societal order would be futile without drawing upon the spiritual wisdom embodied in culture. Within the realm of Georgian literature, the activation of historical memory, positive traditions, and cultural values assumes paramount importance in the quest to overcome conflict. It is worth noting, however, that no universally applicable formula has been devised to ensure absolute effectiveness in post-conflict periods. The present study delves into the prose works of contemporary Georgian writers (1990-2021), specifically those encompassed in the anthology „Let’s Talk - 33 Stories about Abkhazia“, published in 2019. The analysis revolves around the artistic characteristics of these narratives, which serve as poignant reflections of the Georgian nation’s perspective on the imperative nature of peace. The research corroborates that these literary works offer a meticulously crafted and sincere portrayal of the tumultuous events during the Abkhazian war, steadfastly committed to the ideals of peace and resolutely averse to endorsing calls for vengeance. The latest contributions to Georgian literature admirably preserve a tradition grounded in universal humane principles, fortifying its

significance not only within the national cultural sphere but also in the broader global cultural context.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის საკითხი თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ომისა და მშვიდობის თემა თანამედროვე ქართულ პროზაში.

Keywords: The issue of Abkhazia in modern Georgian literature, the theme of war and peace in modern Georgian prose.

ქვეყნის კულტურა, რომლის ისტორიის მეტი წილი თავდაცვით ბრძოლებზე მოდის, უსათუოდ აირეკლავს ომისგან მიღებულ სულიერ გამოცდილებას. ამდენად, ომისა და მშვიდობის ნარატივი თანამედროვე ქართულ მწერლობაში ბუნებრივი რეაგირებაა ჩვენი უახლესი წარსულის მოვლენებზე და მისი განვითარების დინამიკა საგანგებო კვლევას მოითხოვს, რადგან მასზე დამოკიდებული მშვიდობის იმ კონცეპტის შექმნა, რომელმაც დაპირისპირებულ მხარეთა ცნობიერებაში „კაცთა შორის მშვიდობა“ უნდა დაამკვიდროს. უახლეს ქართულ მწერლობას ომისა და მშვიდობის ფასი საკუთარ გამოცდილებაზე აქვს გააზრებული. მისგან დატოვებულმა ფსიქო-ემოციურმა შედეგებმა შექმნა რეალური სურათი, სად გადის ჩვენი ჰუმანიზაციის ზღვარი. ამ თვალსაზრისით, უახლესი ქართული მწერლობა მეტად საინტერესო მოვლენაა და ტრადიციულთან ერთად პოსტკონფლიქტურ პერიოდში მკაფიოდ მონიშნავს თავის სათქმელს. ღირებულებათა გადაფასებისა და ახალი წესრიგის დამყარების ყველა მცდელობა უშედეგო იქნება იმ სათქმელის გარეშე, რომელიც მშვიდობის დიდაქტიკას ეფუძნება და ქართული კულტურისთვის უაღრესად ორგანულია.

ომის თემა ქართულ მწერლობაში ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურ ნაწილს მსჯელობისათვის ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში განაწყობდა. ტიციან ტაბიძე ერთ-ერთი პირველია, რომელმაც აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ 1915 წელს გაიაზრა თავის წერილში „ომის თემა ქართულ მწერლობაში“. წინასწარმეტყველურია მისი სიტყვები: „ომისთვის არც ერთ ხალხს ისეთი და საგმირო პოემა არ დაუწერია, როგორც ქართველს და ამ პოემის ეპილოგი ჯერ კიდევ დაუწერელია, ჯერ კიდევ ელის ქვეყანა ახალ სასწაულებს“ (ტაბიძე 1966: 6).

არაერთ წერილს უძღვნის ომის თემას გრიგოლ რობაქიძეც. იგი ვრცლად საუბრობს მის ესთეტიკაზე, „ომის ფსიქოლოგიის“ გამოხატვაზე ხელოვნებასა და მწერლობაში. გრიგოლ რობაქიძე შენიშნავს, რომ ნამდვილი მწერლები „ომისას წინ წამოსწევდნენ სიყვარულისა და მშვიდობის მომენტს“ (რობაქიძე 2014: 157).

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველო აღმოჩნდა სამომარ ვითარებაში და მისგან მიყენებული სულიერი ტკივილი ბუნებრივად

აისახა მხატვრულ ტექსტებში. ინგა მილორავა აღნიშნავს: „...მათი შეფასება დოკუმენტური, ისტორიული, პოლიტიკური თვალსაზრისით მრავალმხრივ აუცილებელია და შესაძლოა, ყველაზე მეტად სწორედ მხატვრულ ტექსტში ტრანსფორმირებულმა ტკივილებმა, გრძნობებმა, ფიქრებმა მოჰფინონ ნათელი არა მარტო მათ ჭეშმარიტ არსს, არამედ გამოიკვეთოს სამომავლო პერსპექტივებიც. სიტყვის ძალა დიდია, მხატვრული სიტყვისა კი – განუზომელი.“ (მილორავა 2019:175).

შეიძლება ჩაითვალოს, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში ჩამოყალიბებული ომისა და მშვიდობის პარადიგმა იმ „სასწაულთა“ რიგშია, რომელზეც ტიციან ტაბიძე მიანიშნებდა. თითქმის საუკუნის მერე, 33 თანამედროვე ქართველი მწერლის (2000-2021) მხატვრული ტექსტები, მიუხედავად საქართველოსთვის დამდგარი დრამატული შედეგებისა, კარგად ასახავს ქართველი ერის განწყობას მშვიდობის იდეის მიმართ. ქართველი მწერლები იმარჯვებენ შურისძიებასთან ბრძოლაში. ეს არის საფუძვლიანად გადააზრებული, გულწრფელი მხატვრული რეფლექსია ომისა და მშვიდობაზე. ქართულმა მწერლობამ უერთგულა მშვიდობის იდეას და არ დაუშვა შურისძიებისკენ მოწოდების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის განახლებას არასოდეს დაუტოვებია ჩვენი სამწერლობო სივრცე, დროთა განმავლობაში ამ თემის განახლება, თანაც ახალი რაკურსით, სულ უფრო აქტუალური ხდება, რადგან ვნებათა ღელვა იმ კალაპოტში ჩადგა, სადაც მშვიდობის პარადიგმა ნორმად მიიჩნევა და ალტერნატივა არ გააჩნია.

წიგნის ყდაზე ამოტვიფრულ მოწოდებაში „ვილაპარაკოთ!“ თავს იყრის ამ უნიკალური პროექტის მთავარი მიზანი და ამოცანა – წლების განმავლობაში, ფიქრებში გამოტანჯულმა დიალოგის სურვილმა და მნიშვნელობამ მწერლობაში უნდა მოიყაროს თავი. შემოქმედთა განზრახვა, როგორც ყოველთვის, ლაკმუსის ქაღალდის მისიას ასრულებს იმის გასააზრებლად, თუ რა ხდება ჩვენს ცნობიერებაში. წიგნის სათაურად გამოტანილი მოწოდება მკრებელობითია – მშვიდობის იდეა შეუცვლელია და ამის გასააზრებლად საქართველომ არაერთხელ გაიარა გოლგოთის გზა, ნახა ომი – კაცობრიობის ყველაზე ცუდი გამოცდილება. ბისმარკის მოსაზრება, რომ „ომი ხალხის სიბრძნით უნდა დაიძლიოს“ – მისაღებია, თუმცა შევნიშნავთ, რომ ხალხის სიბრძნე სწორედ კულტურაში პროექცირდება – აქ გადის ერის ჰუმანიზაციის ნიშნული და მას შეუძლია განადმოს სიძულვილით დანადმული ველი, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის მოგვარების იდეალური ფორმულა ჯერ კიდევ არ არსებობს.

წიგნის იდეისა და კონცეფციის ავტორი ახალგაზრდა მწერალი ირაკლი შამათავაა. როგორც თავად აღნიშნავს, იგი იმ თაობას წარმოადგენს, რომელიც „ომმა ერთ დღეში გაზარდა“. მან თავისი „შინ“ ენგურის ხიდზე, გამშვები პუნქტის მიღმა დატოვა და სიმბოლურია, რომ ეს მრავალმნიშვნელოვანი გზავნილი სწორედ 33 წლისამ – „ქრისტეს ასაკში“

გაკეთა. უფრო ადრე, ახალგაზრდა ავტორმა თავისი წიგნით – „გამშვები პუნქტი“ საზოგადოებას სარწმუნო არგუმენტი მიაწოდა ამ მისიის მზაობისთვის. ამ პროექტის დასრულების შემდეგ წიგნის იდეისა და კონცეფციის ავტორმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, 33 წლის მანძილზე ამაზე კარგი საქმე ალბათ არც გამიკეთებია! ამ წიგნით უპირველესად დავიბრუნებთ ერთმანეთს, უარს ვიტყვით ხიდჩატეხილობასა და წყენაზე. მჭირდება იმის რწმენა, რომ საერთო ეროვნულ საქმეს ვაკეთებთო.

საქმე უდავოდ ეროვნულია და იგი უპირველესად არა მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიულ, არამედ სულიერ აღდგენას უკავშირდება. პროექტის იდეის ავტორმა და მონაწილეებმაც ზუსტად იციან ამ მარგანიზებელი დებულების ფასი. ასეთი შეგნების მასტერკლასია წიგნის რედაქტორების – ინა არჩუაშვილისა და ირაკლი შამათავას, პროექტის კონსულტანტის – ირმა ბერიძის, მხატვარ-ილუსტრატორის – მამუკა ტყეშელაშვილის, დიზაინერის – თამაზ ჩხაიძის შრომა. წიგნმა თავისი სტრუქტურით, დიზაინით, მხატვრობით მთავარი გზავნილის აღსაქმელად უაღრესად კომფორტული გარემო შემოგვთავაზა. იდეალური სააზროვნო სივრცის შექმნისთვის გამომცემლობა „ინტელექტმა“ ჩვეული ხელწერით იზრუნა, რომელიც ამ გუნდს ზოგადად ახასიათებს – არა მხოლოდ კომერციული „გზნებით“, არამედ ეროვნული კულტურისა და ცნობიერების სასარგებლოდ მოეკიდოს საქმეს.

პროექტის მნიშვნელობა სცდება ლიტერატურულ ტექსტს. მწერლობის – საზოგადოებრივი ცნობიერების ამ ფორმის არსებობა ჩვენი ნაციონალური ყოფისგან განყენებულად წარმოუდგენელია, ვინაიდან, ოთარ ჭილაძის თქმით, ჩვენ არასოდეს მივეკუთვნებოდით იმ ბედნიერ ერთა რიცხვს, რომელთაც სამშობლოს თავისუფლება და ერთიანობა არ ეოცნებება. ამდენად, მნიშვნელობა ასეთი პროექტებისა კარგად უნდა იყოს გააზრებული. ეს წიგნი სცილდება ჩვეულებრივი ლიტერატურული გამოცემის ფარგლებს, მას სამშვიდობო გზავნილის ფუნქციაც გააჩნია.

პროექტის მნიშვნელობაზე საუბრისას როსტომ ჩხეიძემ სოციალურ ქსელში აღნიშნა: „33 ამბავი აფხაზეთზე – უმნიშვნელოვანესი იქნება გადამწყვეტი მოლაპარაკების საწინდრადაც. შემთხვევითია ვითომ, მაინცდამაინც 33 ამბავი რომ უნდა თავმოყრილიყო? იქნებ წინასწარგანზრახვით, იქნებ იდუმალი კანონზომიერებით, ეს სულიერთია. ამბავი ოცდაცამეტია და წარმოგვიდგება სიმბოლურ სურათად – თითო ნიმუში მაცხოვრის მიერ დადენილი სისხლის გაგრძელებად რომ აღიქმება, დიდ ტკივილებში გამოტარებულ სისხლის წვეთებად, ხელშესახებ შეგრძნებად იმისა, ეს ტრაგედია კვლავაც რომ გრძელდება და არც არასოდეს მოთავდება, თუკი გაწყვეტილი ძაფები არ აღდგება და აფხაზეთის მხარე კვლავაც განუყოფელი ნაწილი არ შეიქნება საქართველოს სახელმწიფოსი – აფხაზთა ერთადერთი გადამრჩენისა რუსული წყალდიდობისაგან“.

წიგნში „ვილაპარაკოთ – 33 ამბავი აფხაზეთზე“ თავიანთი ხმა

გააერთიანეს არა მარტო ცნობილმა მწერლებმა, მასში მკითხველს ბევრი საინტერესო „აღმოჩენაც“ ელოდება, რაც ცხადყოფს, რომ ქართული მწერლობა ჩვენი კულტურული სივრცის უპირობო ლიდერია. თანაც, მას ყოველთვის მოეპოვება რესურსი არა მხოლოდ ნაციონალური კულტურის, არამედ მსოფლიო კულტურული სივრცის სასარგებლოდაც, ვინაიდან ომი ტრანსნაციონალური მოვლენაა.

90-იან წლებში, როცა ჩვენი ნაციონალური ყოფა მესიანიზმის, გამორჩეულობის იდეით იყო შთაგონებული, ეროვნული ენერჯის ბევრი გამოვლინება უცნაურად დაემთხვა გარე მტრის სცენარსა და სურვილებს. ენგურის ხიდს მიღმა დარჩა ის საქართველო, რომლის გადარჩენის მისია დღეს ენგურს გამოღმა დარჩენილებს ეკუთვნის და ამის გათავისების აუცილებლობა დამატებით განსჯას არ საჭიროებს. აღნიშნული გამოცემის იდეაში ცალსახად იგრძნობა წარსულის გადასინჯვის გულწრფელი სურვილი, რადგან ამის გარეშე საუბარი ვერ შედგება. ამ სტრატეგიაში, რომელიც არ არის ხელოვნური, ინახება გადარჩენის უნიკალური კოდი, რომელმაც ამ პროცესში სერიოზული როლი უნდა ითამაშოს. პროექტის მონაწილე ყველა მწერალი თითქოს „ეზოთერული“ ცოდნის მფლობელია, რომელმაც ომში „გამარჯვების“ კონტექსტი და ეიფორია რეალური მნიშვნელობით დატვირთა – ამ ომში გამარჯვებული არავინაა და სხვა, პირიქითა მოცემულობაშიც არავინ იქნებოდა. ამდენად, წიგნში თავმოყრილი ყველა ნარატივი ომსა და მშვიდობაზე, სანდო, რაციონალური არგუმენტია დიალოგის მნიშვნელობის გასააზრებლად. დიალოგის აღდგენის არაპოლიტიკური ასპექტები კულტურაში ინახება და ეს წიგნი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ამ მნიშვნელობის წარმატებულ მანიფესტად. წიგნის ავტორები: ნაირა გელაშვილი, გურამ ოდიშარია, ირაკლი სამსონაძე, ვახტანგ კომახიძე, თამრი ფხაკაძე, ბექა ქურხული, ნინო გუგეშაშვილი, დათო ქარდავა, ირაკლი კაკაბაძე, კობა ცხაკაია, ირაკლი ლომოური, ნინო სადღობელაშვილი, მიხო მოსულიშვილი, ილია ჭანტურია, მანანა მენაბდე, გელა ჩქვანავა, დათო ტურაშვილი, კოტე ჯანდიერი, მარინა ელბაქიძე, რეზო თაბუკაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, შორენა ლებანიძე, ბესო პაპასქუა, ნანა აკობიძე, ლადო კილასონია, მანანა დუმბაძე, ანდრო ბუაჩიძე, მარიანა ნანობაშვილი, ბესო ხვედელიძე, თეა თოფურია, ირმა მაღაცაძე, ბესო სოლომანაშვილი და მაკა მიქელაძე ჰყვებიან ომზე, რათა „კაცთა შორის მშვიდობა“ დაიბრუნონ.

„რაც უფრო მცირერიცხოვანია, მით უფრო მძიმე ჯვარი ყოფილა ამ ხალხის შვილად ყოფნა“ – ეს ფრაზა ნაირა გელაშვილის 1989 წელს დაწერილი რომანიდანაა „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“. წიგნში შეტანილია ფრაგმენტი რომანიდან „გუნდა აკაბა“. მემატინის სიზუსტითა და წინასწარგრძნობით შექმნილ ამ მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა დიდია და იგი უპირობოდ ადასტურებს, თუ რატომ უნდა შეინარჩუნოს მწერლობამ თვითგანსჯის ვალდებულება. ნაირა გელაშვილმა და გურამ ოდიშარიამ პირველებმა გაბედეს და აფხაზეთის ომის შემდგომ, ტკივილითა

და მრისხანებით დანადმულ სოციუმს შეახსენეს სულიერი კათარზისის აუცილებლობაზე. მაშინ, როცა ჯერ კიდევ მაღალი იყო შურისძიების მუხტი და ნემუზიდას მახვილი ეკიდა კონფლიქტით, დევნილობის ტკივილით დაზაფრულ ქვეყანას, გურამ ოდიშარიას და ნაირა გელაშვილის მშვიდობის იდეის მსოფლმხედველობრივ სტრუქტურაზე აგებულმა მხატვრულმა ტექსტებმა მყარად განსაზღვრეს მათი შემოქმედების არქიტექტონიკა. ეს იყო კულტურის მორგანიზებელი ფუნქციისა და ეროვნული სულიერი ორიენტირების კარგი სინთეზი. მიუხედავად იმისა, რომ მათი სიტყვა ყოველთვის არ შეისმინებოდა, ემოციათა დასაცხრომად მიმართული მწერლების ენერგია ძლიერი აღმოჩნდა. ამ პროცესის სირთულეებზე ნაირა გელაშვილი აღნიშნავს: „დღესაც მთელი საზოგადოება აიყალყება, თუკი მწერალმა გაბედა და რაიმე მოვლენაზე თავისი აზრი გამოთქვა, თუ არ დაეთანხმა უმრავლესობის შეხედულებას და რწმენას, „ხალხის მტრის იარლიყი“ მზად არის“ (გელაშვილი 2016: 563).

გურამ ოდიშარიას ლიტერატურული გარჯა ჩვენი სიმშვიდისა და მორღვეული კავშირების აღსადგენად შეუფასებელია. ის იდეალური სულიერი მოთხოვნილებების შემოქმედია და მისი რომანების წარმატებებს საქართველოსა და საზღვარგარეთ სწორედ ეს განაპირობებს. წიგნში შეტანილია მისი ერთ-ერთი ადრეული მოთხრობა „მმისშვილი“, რომელიც აფხაზურ ენაზეც არის თარგმნილი. სამშვიდობო დიალოგის თვალსაზრით, იგი მართლაც იღბლიან დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მალე მას კვალში ახალგაზრდებიც ჩაუდგნენ და ეს სამშვიდობო მისია ამ წიგნის 33 ამბავში განსხეულდა, ახალმა თაობამ ომამდელ, ომისდროინდელ და პოსტკონფლიქტურ პერიოდს მხატვრულ ქსოვილი ისე მოარგო, რომ ნამუსიანად გადაიაზრა ამ კონფლიქტის ტრაგიზმი და ომის დისკურსი მშვიდობის ძიების ინსტრუმენტად აქცია.

წიგნის ყველა ავტორმა იცის იმის ფასი, რასაც მოგვითხრობს. ომის ყოველი ანაბეჭდი, მეხსიერებაში შენახული ყოველი კადრი კათარზისის ფუნქციას ასრულებს, რათა ადამიანებმა არასოდეს განიზრახონ მიბრუნება იქ, „სადაც ბედისწერა თავის ულმოზელ პარტიას გვეთამაშება, ყველაზე მუხთალსა და საზარელს, დღემდე ვერ ვხვდები, რა კანონები აქვს ომს და რატომ იკვებება მისი ბნელი, გაუმადლარი სხეული უმწეო, უდანაშაულო ადამიანების სისხლით“ – ამბობს თეონა დოლენჯაშვილის გმირი მოთხრობიდან „გზაზე“ (დოლენჯაშვილი 2019: 330).

წიგნში შეტანილი ყველა მოთხრობა რეალურ ამბავს ეყრდნობა; იგი უშუალოდაა განცდილი, ნანახი და ტექსტის მხატვრულ მეტამორფოზებს ესამირკვლება. ნამდვილია ომისდროინდელი და მისი შემდგომი ყველა შეგრძნება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ომის ცოდვამადლის ამ უზარმაზარ პანოში გარკვევით იკითხება „ადამიანად“ დარჩენის უზარმაზარი სურვილი. ეს არის ღია დუელი ძალისა და მშვიდობის დიქტატს შორის. „თურმე შენც გჭირდება ვიღაც... და სანამ

ამას აღმოაჩენდე, გინდა მოსპო ყველა, ვინც შენთვის შეიძლება გახდეს ის ვიღაც... რადგან თუ გახდა, მაშინ შენს ომს, საკუთარ, პირად ომს ვეღარ გააგრძელებ... სიძულვილი არ გეყოფა“ – ფიქრობს ირაკლი ლომოურის გმირი მოთხრობიდან „მიველ, ვნახე“ (ლომოური 2019: 165).

წიგნში შესულ რამდენიმე მოთხრობაში მოჩანს საღვთო ისტორიის სიუჟეტების სიმბოლური გააზრებისა და ინტერპრეტირების სურვილი. მიხომოსულიშვილის მოთხრობებში „არღარაეყვივლოს მამალსა“, პერსონაჟი „ყუმბარებით გადათხრილ ტრასაზე“ და სისხლით გაჟღენთილ სასტიკ რეალობაში უცნაური ძალისხმევით დაემებს ადამიანთა დაახლოების მიზეზს. სახარება ადამიანების სიცოცხლის თანამგზავრია, მაგრამ არიან ადამიანები – მისი ცოცხალი სახე. სიკეთისა და ბოროტების განწვალების ჟამს ისინი ქმნიან „სიკეთის“ მიწიერ მეტაფორას. განსაკუთრებით მაშინ, „როცა ლულებიდან სიკვდილი იმზირება“. თამრი ფხაკადის გმირი მოთხრობიდან „ჯიმი... ჩემი ჯიმშერა“ ამ ადამიანთა რიგშია, ის იმარჯვებს სიკვდილზე, რადგან „იმ ავტომატების კაკანში, იმ ჰაუბიცების გრიალში ჩიტის ჭიკჭიკს გაიგონებდა... იმ კვამლში და დენტის ხრჩოლში, იმ ცეცხლში და გენიაში მზის ჩასვლას დაინახავდა ზღვაში“ (ფხაკაძე 2019: 70).

ბესო ხვედელიძის პერსონაჟი უცხოელია, მისი თვალთ დანახული ომი თავისუფალია „მხარეების“ ტენდენციურობისგან და მან იცის, რომ „ომი მაინც სიცოცხლის ღირსეული მტერია“ („თავის გემო“). მოთხრობის მთავარი გმირი მუდმივად გრძნობს პირში თავის გემოს, ტექსტში ეს მეტაფორაა „ადამიანების ხრწნადი სურვილების – ერთმანეთი გაანადგურონ“ (ხვედელიძე 2019: 423).

აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორთა უმეტესობა მხატვრულ ტექსტებზე მუშაობისას საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობა. ეს მოცემულობა თხრობისათვის მართალი, შთამბეჭდავია და ავტორის მიმართ განსაკუთრებულ ნდობას აღძრავს. გელა ჩქვანავამ, მიხომოსულიშვილმა, ბექა ქურხულმა, ბესო სოლომანაშვილმა – ჯერ კიდევ უწვევრულმა ჭაბუკებმა „იარეს ნადმზე“ და მძაფრი შეგრძნებები ისახსოვრეს, რათა მოგვიანებით ბევრი ეფიქრათ ამ „მძიმე სათქმელზე“. მათი თხრობა დინამიკური და ენერგიულია. აქ თითქოს ამოსუნთქვის საშუალება არ არის. მკითხველი ერთი წუთითაც ვერ ტოვებს მძაფრი შეგრძნებებით დამუხტულ მათ მხატვრულ სივრცეს. ბევრისთვის იგი ძალიან რეალური, მტკივნეულად ნაცნობია. ტექსტის ყოველი პასაჟი დამნაშავე ომის საბრალდებულო დასკვნაა და მკითხველს უცნაურ შვებას აგრძნობინებს, თითქოს სწორედ ის ვიღაც – უხილავი, აბსტრაქტული იყოს დამნაშავე და არა აფხაზური ან ქართული მხარე. ეს შეგრძნებები ავტორის დამსახურებაა ზოგადად, ყველა თხრობა ამ წიგნში იმ მნიშვნელობით არის დატვირთული, რომელმაც მომავალში ომის პრევენცია უნდა მოახდინოს.

წიგნში თავმოყრილ ყველა ტექსტში ერთი სურვილი მყოფობს – კონფლიქტი, რომელიც იმ საბედისწერო დროს ადამიანების სულსა და გონებაში დაიწყო, უნდა ჩაქრეს და არ განმეორდეს. ყველა ნარატივის დრო



აქ ამ სურვილს ემორჩილება და პირობითად იგი ასე შეიძლება დავყოთ: კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდეგ. მანანა მენაბდემ („ამაფშა და ზესლეთს შორის“), მანანა დუმბაძემ („დიმკა“), დათო ტურაშვილმა („ტატაშ მარშანი“) წარსულიდან ყველაზე საუკეთესო ამოკრიბეს და აქ მოუყარეს თავი. მეხსიერებაში ღრმად ჩაღეჭილი ეს ამბები მოსვენებას არ აძლევს არც ამ ომში „გამარჯვებულს“ და არც „დამარცხებულს“. ნინო გუგეშაშვილის მოთხრობის „ორი კენჭი, ანუ აქ იყო ჩაკ ბერი“ პერსონაჟი ომამდე გრძნობს კონფლიქტის შავბნელ მეტაფიზიკას და არ აღიარებს მის „პატრიოტულ“ მნიშვნელობას. აფხაზ ჭაბუკ ფარნას არ უნდა ომი, მისი იარაღი მუსიკაა. როცა თანამემამულეები დაამუნათებენ, ახლა ვაჟკაცი ავტომატით უნდა იბრძოდესო, „ფარნამ აიღო იარაღი – როცა ქალაქში ყველა ისროდა – აიკიდა გიტარა და ქალაქის პარკში წავიდა დასაკრავად“. ასე გამოხატა ხელოვანმა პროტესტი დაპირისპირებულთა ქალაქში (გუგეშაშვილი 2019: 88).

სამწუხაროდ, თვითგამორკვევის არეულ მდინარეში ფარნასნაირი ადამიანების ხმა ძალზედ მინორული აღმოჩნდა და არავინ გაიგონა. როცა სოხუმში მოვიდა ომი, დადგა მანანა ანუას ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე. შორენა ლებანიძის „მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“ მხატვრულ-დოკუმენტური თხრობაა, იგი რეალურ ამბავზეა აგებული. „ადრე მეგონა, რომ ომს შინაარსი არ აქვს. მასზე თანმიმდევრულად ვერაფერს მოგყვები... მერე კი უეცრად აღმოაჩენ, რომ ერთი მრავალთაგანი კი არა, ამბის გმირი ხარ, მთავარი პერსონაჟი“ („მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“). ირმა მალაციძე („გუნდა“), ვახტანგ კომახიძე („სიყვარულის და დახვრეტის ფრაგმენტები“) ადამიანობის უნივერსალურ მატრიანედ აქცევენ კეთილშობილების, რაინდობის, ერთგულების ისტორიას. ეს ისტორიები ყველაზე ძლიერი და ამავდროულად გულ-წრფელი არგუმენტია, ისეთივე, როგორც დათო ქარდავას მოთხრობის პერსონაჟის, ომში დაქვრივებული აფხაზი ქალის – ესთერის სურვილი: „არაფერი მინდა, უბრალოდ არ მინდა, რომ მოგკლან, არ მინდა, გესმის?!“ („ქვრივი ქალის მუცელი“). ამ ომში არც პროფესიონალმა იცის „საზღვრები, სადაც მთელი მისი ცხოვრება ჩაეტია“ (მარიანა ნანობაშვილი „პროფესიონალი“), რადგან ძმათამკვლელ ომში სამხედრო ხელოვნებაში ვერ დაოსტატდები.

ომის ნარატივი სიყვარულის გარეშე სრულფასოვანი ვერ იქნება. წიგნში შესულია ნანა აკობიძის მოთხრობა „ციცინათელები“. ავტორი მშვენიერების, სიყვარულის მარადიულობის განცდას ისე ოსტატურად აახლებს, თითქოს რაღაც დროით გადაფარავს ომის მრუმე პეიზაჟებს და მწერლობის ერთ-ერთ მისიას აღასრულებს.

სოხუმელი მწერლის თეა თოფურიას მოთხრობაში „შატალო“ სკოლის მოგონებებთან განსაკუთრებული კავშირიც სრულიად ბუნებრივად იკვეთება, რადგან ყველაფერი, რაც სოხუმს უკავშირდება, უკვე სხვანაირად

იკითხება – შატალო, თანაკლასელის სიკვდილი და ცეცხლმოკიდებული პალმა – მშობლიური ქალაქის უკანასკნელი კადრი.

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტკონფლიქტური პერიოდი ცალკე გააზრების თემაა ქართულ მწერლობაში. მიძინა ომით მიყენებული მორალური, ფსიქოლოგიური და მატერიალური ზარალი. პოსტკონფლიქტურ რეალობასთან ადაპტაციისას ის ღირებულებები ფერმკრთალდება, ცოტა ხნის წინ მნიშვნელოვანი რომ გვეგონა და ჩვენს ცნობიერებაში ემოციათა დაცხრომის, სულიერი კათარზისის ჟამი დგება. „ჰჰამბავში“ ამგანცდებიდან ქართველი მწერლების საუკეთესო მასტერკლასია ამოკრებილი. რეალიზმი აქ მთავარი რიზომაა, რომელიც მხატვრულ ტექსტში აგრძელებს სიცოცხლეს. ნინო სადღობელაშვილის „ბამბაზის სამოთხე“, ბესო პაპასქუას „ბარათის მცველი“ მიძინე მემკვიდრეობის ამბავზეა, მაგრამ ამ ქაოტურ სამყაროშიც ადამიანი მაინც რჩება სიკეთის საჭეთმპყრობელი და წინააღმდეგობას უწევს ადამის ცოდვათა აღსრულებას. სწორედ ასეთ დროს მწერლობას არ უნდა გამორჩეს არცერთი ასეთი ფაქტი, არცერთი გაელვება ადამიანურობის ამ ისტორიიდან. ბესო პაპასქუას „ბარათის მცველი“ იმ მეომართა შორისაა, ვინც გადარჩა, მაგრამ ომის დეტალებს არასოდეს იხსენებს. ნამდვილი მეომარი, „ვალადაროგველი მუჟიკი, ტურბაზის ბირჟის დაფასებული წევრი“, რომელმაც ნახა „ზღვისპირა კარნავალის დასასრული“ – დუმს და ახლა თავგამოდებით იცავს ერთადერთ ძველ ალბომს, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი ყველა ოჯახის „გადასარჩენ ნივთთა აუცილებელ სიაში“ იყო. „ეს ალბომები ჩვენი უახლესი მეხსიერების ჩიპებია“ – ამბობს მწერალი. ამ ალბომებმა საკუთარი თავის დავიწყებისგან უნდა დაგვიცვან. ვეტერანის დუმილიც სიმბოლურია, ყველაზე სრულყოფილი მეტაფორაა შინაგანი პროტესტის გაურკვეველი ომის მიმართ, რომელიც არ უნდა მომხდარიყო. ომის შემდგომ „გამარჯვებულები ოდესღაც, კანონზომიერად მივლენ კობა ცხაკაიას მოთხრობის პერსონაჟის – აფხაზეთის „ეროვნული გმირის“, დეპუტატ ფედერიკო ბუტბას შეგრძნებებამდე. მისი სამყარო „უკუნეთში კიდია“ და კითხვა: „ფედერიკო ბუტბა! ცხოვრობ, ხარობ, გრიალებ, სხვებს თავზე აზიხარ, რატომ? რა გაგიკეთებია კარგი? ისეთი რამაც შენი ერი, შენი ქვეყანა, კაცობრიობა უკეთესი გახადა?“ – მისთვის განაჩენია. ფედერიკო ბუტბასთვის ერთადერთი ხსნა იმაზე ფიქრია, რომ „ერთხელაც დადგება ის დრო, როცა გადამწვარი სახლების პატრონებთან ერთად ჩამოჯდება მუხის ჩრდილში, გახედავს ზღვის უკიდევანო სივრცეს, მოწრუპავს ყავას, ზოგჯერ ღვინოსაც, და ადამიანურად დაისვენებს... მოისვენებს“ (ცხაკაია 2019: 151).

აღსანიშნავია, რომ უახლეს ქართულ მწერლობაში ომის ესთეტიკა ტრანსფორმაციას განიცდის. როგორც ცნობილია, გააზრებები ომის ესთეტიკაზე იძებნება გრიგოლ რობაქიძესთან, ფ. დოსტოევსკისთან, მიგელ დე უნამუნოსთან, ნ. ბერდიაევთან. გრიგოლ რობაქიძე სისტემატურად ეხებოდა ომისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხს. მათი

ნაწილი იბეჭდებოდა იმდროინდელ რუსულ პრესაში და იგი მატანეა კულტურის გაბრძოლებისა ომის წინააღმდეგ. თუმცა შიგადაშიგ მაინც იგრძნობა აღტაცება „ბატალური ხელოვნებით“. „ომი, როგორც სუფთა ადამიანური მოვლენა ვერ ჯდება იმ რთული აპარატის ფაქიზ ნორმებში, რომლის სახელია ადამიანური ცნობიერება. ცნობიერების თვალსაზრისით, ომი არის სტიქიის სიგიჟე და ადამიანთა უფუნურება“ (რობაქიძე 2014: 157), – წერს იგი, თუმცა იქვე აღიარებს ომის ესთეტიკის არსებობის ფაქტს ხელოვნებასა და მწერლობაში: „ბატალური ხელოვნების მორალური ჩიხი მხოლოდ ლიტერატურით გადაიფარება“ (რობაქიძე 2014: 157)

როგორც ვხედავთ, ქართულ მწერლობაში წინაპირობები სამშვიდობო ნარატივისთვის ყოველთვის არსებობდა, თუმცა 21-ე საუკუნე თავის გამორჩეულ შტრიხს შემატებს ამ ტრადიციულ ხედვას. თანამედროვე ქართულ მწერლობაში ჰეროიზმი თანდათან სცილდება ნარატივს და ამის მიზეზი არ გახლავთ ის, რომ ქვეყნის დაცვის სურვილი იკლებს, არამედ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა მიდის დასკვნამდე – ეს იყო ომი, რომელიც არ უნდა მომხდარიყო და გამარჯვების ეიფორია ყალბია. ამას ადასტურებს მხატვრულ ტექსტებში ირონიისა და გროტესკის სიუხვე. როგორც ცნობილია, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ირონია „მაკორექტირებელი ხერხია“ (ოსკარ უაილდი) და იგი არავის დაცინვას არ ისახავს მიზნად. ასეა „33 ამბავშიც“, ირონია აქაც ხერხია, რათა აღიწეროს ომი, როგორც ადამიანის მანკიერი შესაძლებლობების ასპარეზი. თანამედროვე ავტორებთან წაშლილია ზღვარი ფილოსოფიასა და ირონიას შორის. „ომი სუპერსტრესული სიტუაციაა, ადამიანებს სჭირდებათ, რომ დაინახონ, რა შესაძლებლობები აქვთ, რომ შეუძლიათ გმირები იყვნენ, ან პირიქით, დაინახონ როგორი ნეხვეები არიან“ (ელბაქიძე 2019: 284).

როგორც ვხედავთ, პროექტი „33 ამბავი აფხაზეთზე“ უნიკალური საშუალებაა იმ ფიქრამდე მისასვლელად, რომ ამ ომში მხოლოდ დამარცხებულები არსებობენ, აქ არავინაა გამარჯვებული და მისი მონაწილეებისთვის შესაძლოა სწორედ ეს და მისი მსგავსი იდეის მქონე ლიტერატურული ტექსტები გახდეს მორგანიზებელი. მთავარია, კულტურის ესრესურსისწორადიყოსგააზრებული. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართულმა მწერლობამ უნაკლოდ შეინარჩუნა ის ტრადიციები, რომელიც ზოგადჰუმანურ საწყისებს ეფუძნება და ამყარებს მის პოზიციებს არა მხოლოდ ნაციონალური კულტურის, არამედ მსოფლიო კულტურული კონტექსტის თვალსაზრისითაც.

---

**გამოყენებული ლიტერატურა**

გელაშვილი 2016: გელაშვილი ნ., უნდა ენდოთ მემატთანეს, ლიტერატურული წერილები, ესეები. თბილისი, 2016.

მილორავა 2019: მილორავა ი., დაბრუნება სოხუმის გრძნობიერ ველში, XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2019.

რობაქიძე 2014: რობაქიძე გრ., ომი და კულტურა. თბილისი, 2014.

ტაბიძე 1966: ტაბიძე ტ., ომის თემა ქართულ მწერლობაში, ტ. III. თბილისი, 1966.

შამათავა 2019: ვილაპარაკოთ – 33 ამბავი აფხაზეთზე, ირაკლი შამათავას რედაქციით. თბილისი, 2019.

<https://ka.wikipedia.org/wiki/სანავარდო> (დამოწმება: 20.10.2021).

**ინფორმატორები**

მარინე მანანაძე 1954 წ., ექთანი, სოფ. სანავარდოს მკვიდრი.

იური მანანაძე 1949 წ., ეკონომისტი, სოფ. სანავარდოს მკვიდრი.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6982>

**აფხაზთა მუჰაჯირობა და აჭარაში დამკვიდრება  
(მიზეზები, ქრონოლოგია, განსახლების არეალი)**

**Migration of Abkhazians and Settlement in Adjara:  
Reasons, Chronology, Settlement Patterns**

**ჯემალ კარალიძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

**რევაზ დიასამიძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

**Jemal Karalidze**

Shota Rustaveli shtate University  
Georgia, Batumi

**Revaz Diasamidze**

Shota Rustaveli shtate University  
Georgia, Batumi

**ABSTRACT**

The Caucasus region has historically attracted the attention of powerful states seeking to expand their influence. During the 16th century, Russia initiated an active policy to establish its presence in the Caucasus, leading to a decisive rivalry with the previous regional powers, the Ottomans and Iran, during the 18th century. Capitalizing on the favorable international context and the sentiments of the Caucasian peoples, Russia gained a significant advantage in the region by the turn of the 18th-19th centuries.

Following Russia's penetration into Transcaucasia, the issue of the Abkhazian Principality gained prominence in the early 19th century. In 1806, recognizing the circumstances, the head of Abkhazia, Kelesh Beg Sharvashidze, decided to seek protection under Russia, as the Ottomans showed no intention of relinquishing control over Abkhazia. The fate of the principality was ultimately determined by the intense conflicts between Russia and the Ottoman Empire during the first half

of the 19th century. On July 12, 1864, the Abkhazian Principality was abolished, and its last leader, Mikheil Sharvashidze, was exiled to Russia.

Russia's subsequent objective became evident: to reorganize Abkhazia, a strategically vital region along the Black Sea coast, under the empire's administrative, economic, and demographic interests. As a result, a forced mass emigration of Abkhazians took place in 1867, with a significant number settling in Adjara. However, the migration of Abkhazians to Adjara had already commenced before this emigration wave, dating back to the late 18th century. Nonetheless, the majority of Abkhazians who settled in Adjara arrived during the 1860s and 1870s. Several families completely abandoned Abkhazia, with some of their descendants no longer residing there. Testimony to this can be found in the presence of Kudbes, Atrushbes, and Khokhbes descendants living in Adjara.

The majority of Abkhazian immigrants settled in Batumi and its environs, primarily within the present-day Khelvachauri Municipality, including locations such as Bartskhana, „Gorodok“, Angisa, Minda, Adlia, Feria, Salibauri, Sameba, Kakhberi, and Charnali. The local population of Adjara warmly welcomed these emigrants, fostering a harmonious coexistence between Georgians and Abkhazians for nearly a century and a half. Remarkably, there has been no recorded instance of ethnic-based confrontation, an aspect deserving thorough analysis and evaluation.

საკვანძო სიტყვები: აფხაზთა მუჰაჯირობა, აფხაზები აჭარაში, რუსეთ-ოსმალეთის ომი (1877-1878).

Keywords: Migration of Abkhazians, Abkhazians in Adjara, Russian-Ottoman war (1877-1878).

ნაშრომში ახალი საარქივო დოკუმენტებისა და საველე ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე შესწავლილია აფხაზი ერის ისტორიის ტრაგიკული მოვლენის – მუჰაჯირობის მიზეზები, აჭარაში დასახლების ქრონოლოგია და განსახლების არეალის საკითხები. ნაშრომი დადებით როლს შეასრულებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების საქმეში.

კავკასია, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული რეგიონი, უძველესი დროიდან იყო მსოფლიოში გაბატონების მოსურნე ახლო თუ შორეული ძლიერი სახელმწიფოების პირველხარისხოვანი სამიზნე. XV-XVI საუკუნეებიდან კავკასიაში გაბატონებისათვის სამი დიდი სახელმწიფოს – ოსმალეთის, ირანისა და რუსეთის ინტერესები გადაიკვეთა.

რუსეთის სწრაფვა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში დასამკვიდრებლად განპირობებული იყო როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებით.

რუსეთისა და კავკასიელი ხალხების ურთიერთობის თვალსაზრისით გარდამტეხი აღმოჩნდა XVIII საუკუნე. ამიერიდან კავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში ირანსა და ოსმალეთთან ერთად აქტიურად ებმება გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფო. XVIII საუკუნეში რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. „ამ პერიოდში რუსეთის იმპერია გახდა უდიდესი ევრაზიული სახელმწიფო, ძლიერი არმიითა და ფლოტით“ (Россия и Восток 2002: 336). რუსეთის პოზიციების განმტკიცება შავი და კასპიის ზღვების აუზში მოითხოვდა საქართველოსთან ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებას. „რადგან საქართველო ამოდენა რეგიონში ერთადერთ ქრისტიანულ ქვეყანად რჩებოდა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებული ჰქონდა და, შესაბამისად, პოლიტიკურ დასაყრდენად გამოდგებოდა. საქართველოს რუსეთისათვის სტრატეგიული პლაცდარმის ფუნქცია უნდა შეესრულებინა წინა აზიაში პოლიტიკურ-ეკონომიკური გაბატონების დასახული ამოცანის განხორციელების პროცესში. სხვა რეალური მოკავშირე, რეალური დასაყრდენი მას ამ რეგიონში არ გააჩნდა“ (სამსონაძე 1988: 26-27).

რუსეთი ძლიერდებოდა მაშინ, როცა მისი ძირითადი მეტოქეები კავკასიაში – ირანი და ოსმალეთი – სუსტდებოდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ძირითადი მეტოქის – ოსმალეთის დასუსტება. „XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია იმყოფებოდა უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში“ (სვანიძე 2007: 260).

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებას რუსეთი სერიოზულ გამარჯვებად მიიჩნევდა, რასაც ადასტურებს ეკატერინე მეორეს წერილი პავლე პოტიომკინისადმი, სადაც აღნიშნულია: „ქართულ საქმეებისათვის კიდევ ერთხელ გმადლობთ, შენ ჩემი ნამდვილი გულითადი მეგობარი ხარ (ამოდენა საქმეები ასე მოკლე ხანში?). ევროპის შურიანობას დამშვიდებით შევცქერით, რაც უნდა ის იყბედონ, ჩვენ კი ჩვენს საქმეებს ბრწყინვალედ ვაკეთებთ“ (Дурновии 1871: 11). რუსეთის წარმატებები კავკასიაში ფაქტიურად ევროპის სახელმწიფოების პასიურობის შედეგად იყო. „დასავლეთის სახელმწიფოებში XVIII საუკუნის 80-იან წლებშიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებს. ამაზე მეტყველებს რუსეთის მიერ ყირიმის უმტკივნეულოდ მიერთება და გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაც“ (ჩხეიძე 2002: 223).

რამდენიმე საუკუნოვანი დაპირისპირება კავკასიაში XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. სამწუხაროდ, კავკასიის პოლიტიკური ერთეულები უფრო დიდი პოლიტიკის ობიექტები აღმოჩნდნენ, ვიდრე სუბიექტები (Дегоев 2001: 50). ოსმალეთისა და ირანის მცდელობა, გამოესწორებინათ მდგომარეობა, უშედეგო აღმოჩნდა. 1804-1813, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და 1806-1812, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად რუსეთმა არათუ შეინარჩუნა,

არამედ კიდევ უფრო გააფართოვა და განამტკიცა პოზიციები კავკასიაში. იგი ენერგიულად შეუდგა სრული ბატონობის დამყარებას, რაშიც მოხერხებულად იყენებდა ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულთა შორის დაპირისპირებას.

XIX დასაწყისში რუსეთის პოზიციების განმტკიცებამ კავკასიაში აფხაზეთის მთავარს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გადახედვისაკენ უბიძგა. ქელემ-ბეგ შარვაშიძე ხვდებოდა, რომ ადრე თუ გვიან აფხაზეთის ჯერიც დადგებოდა (ქორთუა 1964: 109). 1806 წლის მაისში მან რუსეთის ხელისუფლებას მფარველობაში მიღების თხოვნით მიმართა. იმავე დროს აფხაზეთის მთავარი დაუახლოვდა სამეგრელოს სამთავროს. ქელემ-ბეგის ვაჟი საფარ-ბეგი მოინათლა (ნათლობის სახელი გიორგი) და გრიგოლ დადიანის და თამარი შეირთო. 1806 წლის ივნისში ქელემ-ბეგმა რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხი ლიხნში მოწვეულ სახალხო ყრილობაზე განიხილა. ყრილობამ მთავარს მხარი დაუჭირა. 1806 წლის დეკემბერში სულთანმა სელიმ III-მ რუსეთს ომი გამოუცხადა. აფხაზეთში ვითარება დაიძაბა. მთავრის ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო ქელემ-ბეგის ვაჟმა ასლან-ბეგმა, რომელმაც 1808 წელს მამა მოკლა. რუსეთი ჩაერია და 1810 წელს ალექსანდრე I-მა საფარ-ბეგ (გიორგი) შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად მემკვიდრეობის უფლებით, რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ (Дзидзария 1988: 48-49).

რუსეთის დესანტმა 1810 წლის 10 ივლისს დაამარცხა სოხუმში განლაგებული ოსმალური გარნიზონი და ქალაქს დაეუფლა. ოქტომბერში გიორგი შარვაშიძეს საზეიმოდ გადაეცა სამთავრო ნიშნები, მან დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე, რითაც გაფორმდა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა (ნარკვევები 1960: 140; დუმბაძე 1957: 215-223).

ოსმალეთი დაჟინებით ცდილობდა აფხაზეთის დაბრუნებას, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც რთულ ვითარებას. 1821 წელს მთავარი გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა. რუსეთის მხარდაჭერით მთავრის ტახტი გიორგის არასრულწლოვანმა ვაჟმა დიმიტრიმ დაიკავა (1821-1822 წწ.), მაგრამ მცირე ხნით, იგი ბიძის, ასლან-ბეგის დავალებით მოწამლეს. რუსეთის მხარდაჭერით მთავარი გახდა გარდაცვლილი მთავრის ძმა მიხეილ შარვაშიძე (1823-1864). მისი ხელისუფლება მუდმივად განიცდიდა ოსმალური ორიენტაციის მომხრეთა თავდასხმებს, რომლებიც კარგად სარგებლობდნენ იმ სიძულვილით, რომელსაც ცარიზმის პოლიტიკა იწვევდა აფხაზ ხალხში (წურწუშია 2012: 116). კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზებმა არაერთი აჯანყება მოაწყვეს 1821, 1824, 1837, 1841, 1842, 1846, 1850 წლებში. ანტირუსულ გამოსვლებში აფხაზებს აქტიურად უჭერდნენ მხარს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელები. აფხაზეთის სანაპირო და პორტები სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის.

ყირიმის ომის პერიოდში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ



რუსეთს დიდი სამსახური გაუწია, რისთვისაც იმპერატორმა იგი თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა. ამის მიუხედავად, 1856 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა ყირიმის ომის დროს თითქოს მიხეილ შარვაშიძის ღალატის გამო აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი აღძრა, მაგრამ იმპერატორმა ეს შუამდგომლობა არ მიიღო. რადგან ომი ჩრდილოეთ კავკასიაში გრძელდებოდა, ამიტომ ცარიზმს მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ვითარება შეიცვალა. რუსეთის გეგმა, შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას ითვალისწინებდა. მისი განხორციელება მთავრის ხელისუფლებისა და მიწისმფლობელი მკვიდრი მოსახლეობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა (Дзидзария 1982: 250-252), ამიტომ ალექსანდრე II-მ მიიღო აფხაზეთის მთავრის გადაყენებისა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების გადაწყვეტილება (სცსსა, ფ. 416, ა. 3, ს. 177, ფურც. 48). თუ რა მიზანი ჰქონდა ცარიზმს აფხაზეთში, ცხადყოფს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დ. სვიატოპოლკ-მირსკის, კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის, კარცოვისადმი 1864 წელს გაგზავნილი წერილი: „თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ თურქეთში გადასახლებას მოისურვებს, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევეშალოთ“ (ჯანაშია 1988: 7). რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში არც შემდეგ შეცვლილა. სოხუმის ოკრუგის უფროსი 1900 წელს ქუთაისის გუბერნატორს მიმართავდა: „რუსეთის კოლონიზაციას მხარეში (აფხაზეთში – ჯ.კ., რ.დ.) პოლიტიკური თვალსაზრისით აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მით უფრო, რომ აფხაზები, როგორც ოკრუგის ძირითადი მოსახლეობა, დღემდე რჩება უკიდურესად დაბალკულტურულ ეროვნებად განვითარების დონით, მერყევი რელიგიური რწმენით, არაერთხელ გამოავლინა თავისი პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობა... ეს მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, საუკეთესო საშუალებად უნდა ვცნოთ მხარის კოლონიზაცია რუსი მოსახლეობით“ (ქცა, ფ. 186, ა. 1, ს. 69, ფურც. 11-12).

1864 წლის 12 ივლისს აფხაზეთის სამთავრო გააუქმეს, ხოლო მიხეილ შარვაშიძე ვორონეჟში გადაასახლეს. იგი 1866 წელს გარდაიცვალა, ანდერძისამებრ აფხაზეთში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს (ხორავა 2011: 280-284).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარა. მოხელეთა მხრიდან ადგილობრივთა თავისებურებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობამ აფხაზთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. აჯანყება 1866 წლის 26 ივლისს სოფ. ლიხნში დაიწყო. ხელისუფლებამ სასწრაფო ღონისძიებები მიიღო აჯანყების ჩასახშობად. აჯანყების შემდეგ გაჩნდა აფხაზთა თურქეთში გადასახლების დასაბუთებაც. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მიუთითებდა: „არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი

საშიშროების აღმოსაფხვრელად. ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გასახლება“ (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 23).

რუსეთის ხელისუფლებამ მონდომებით შეადგინა აფხაზთა გასახლების გეგმა. განისაზღვრა 4500 ოჯახის გასახლება. ამ საკითხში რუსეთმა ოსმალეთთან საერთო ენა გამონახა. რუსეთისა და ოსმალეთის თანამშრომლობა აფხაზეთისა და სხვა კავკასიელი ხალხების მუჰაჯირობის საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. თუ რუსეთი აბორიგენი მოსახლეობის გასახლებით კოლონიზაციის საქმეს „აწესრიგებდა“, თურქეთს სურდა მთიელები დაებინავებინა დაუსახლებელ და ნაკლებად დასახლებულ ადგილებში, აგრეთვე რუსეთის საზღვრისპირა რაიონებში. რომელთაც სულთანმა გამოიყენებდა როგორც იმპერიაში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, ისე რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში (აჩუგბა 1988: 15).

აფხაზთა გადასახლების პირველი ტალღა იყო 1867 წელს. მთავრობამ „გეგმა“ ბოლომდე ვერ შეასრულა – დაგეგმილი 4500 ოჯახის ნაცვლად ოსმალეთში გადასახლდა 3358 ოჯახი, 19.342 სული (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 205-250; ხორაგა 2011: 73). სამწუხაროდ, აფხაზთა გადასახლების პროცესი ამით არ დასრულებულა. რუსეთს სურდა ახლად შეერთებული მხარე ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისითაც აეთვისებინა, რათა იგი იმპერიის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად გადაეცვია. რისთვისაც აუცილებელი იყო ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია, სწორედ ეს იყო კავკასიის არაერთი ერის, მათ შორის აფხაზთა, მშობლიური ადგილებიდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების – მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი.

მშობლიური მიწიდან განდევნილი აფხაზები ძირითადად სახლდებოდნენ ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში, მათ შორის ამჟამინდელი სირიის, იორდანის, თურქეთის, ეგვიპტისა და სხვა ტერიტორიებზე. მუჰაჯირთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზის გამო დამკვიდრდა აჭარაში. აფხაზთა პირველი დასახლებები აქ გაჩნდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ჭიჭინაძე 1912: 169). ეს იყო ე.წ. საოჯახო-ინდივიდუალური მიგრაციის შედეგი და, როგორც ჩანს, განისაზღვრებოდა ძირითადად რელიგიური და სოციალური მიზეზებით. აჭარაში გადმოსახლებულმა აფხაზებმა შეინარჩუნეს თავიანთი მშობლიური ენა, მათ შორის აფხაზურის ისეთი დიალექტი, რომელზეც დღეს თვით აფხაზეთში აღარ საუბრობენ (გვანცელაძე... 2011: 37).

აფხაზთა პირველი დასახლებები აჭარაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაწყებულია (ზ. ჭიჭინაძე, თ. აჩუგბა...). ჩვენ მიერ შეკრებილი საველე მასალებით იკვეთება, რომ აფხაზები აჭარაში უფრო ადრეც ყოფილან დასახლებული (მაგ., ცნობილი ბათუმელი ექიმის, თენგიზ შერვაშიძის მონათხრობით, შერვაშიძეები აჭარაში XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან დამკვიდრებულან. მაგრამ აშკარაა, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზების ძირითადი ნაწილი ე.წ. დიდი მუჰაჯირობის დროს, XIX

საუკუნის 60-70-იან წლებში, გადმოსახლებულა. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიც.

აჭარაში აფხაზთა პირველი დიდი ჯგუფი გამოჩნდა 1867 წელს, მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ ჩაახშო 1866 წლის აჯანყება და მოსთხოვა აფხაზეთის მოსახლეობას თურქეთში გადასახლება. მაშინ აჭარა ჯერ კიდევ შედიოდა ოსმალეთის შემადგენლობაში. აფხაზების ნაწილი დასახლდა რეგიონში, რომელიც კლიმატურ-გეოგრაფიულად ძალიან ჰგავს აფხაზეთს. მათ არჩევანს ალბათ ისიც განაპირობებდა, რომ აფხაზები ქართველ ხალხს მოძმე ერად აღიქვამდნენ და მანამდეც ჰქონდათ მათთან თანაცხოვრების გამოცდილება (გვანცელაძე... 2011: 61).

მეორე უფრო დიდი ჯგუფი აფხაზებისა აჭარაში დასახლდა 1878-1880 წლებში, როცა ახალი დამთავრებული იყო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი. ამ ომში აფხაზთა ნაწილმა თურქებს დაუჭირა მხარი, რაც საბაზად გამოიყენა რუსეთმა.

აფხაზები აჭარაში თავიდანვე ქობულეთ-სარფის ზღვისპირა ზოლში სახლდებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1878 წელს აჭარა რუსეთის ხელთ აღმოჩნდა, მათი ნაწილი აფხაზეთში დაბრუნდა, ნაწილი კი თურქეთის სიღრმეში გადავიდა საკუთარი ნებით, ან იძულებით განიდევენა რუსეთის ხელისუფლების მიერ. აფხაზთა ჯგუფები დარჩა ბათუმის სხვადასხვა უბანში (ბარცხანაში, „გარადოკში“, „პივზავოდის“ უბანში) და ბათუმის ახლომახლო მდებარე ქართულ სოფლებში: ფერიაში, ურეხში, მნათობში, სალიბაურში, ქვედა სამებაში, ანგისაში, მინდაში, ადლიაში, კახაბერში, ჭარნალში... აქ დასახლებულ აფხაზებს დროდადრო ემატებოდნენ თურქეთის სიღრმიდან წამოსული სამშობლოში დაბრუნების მოსურნე აფხაზებიც.

ასე შეიქმნა პირველი აფხაზური დასახლებები აჭარაში: ნურიის უბანში, ანგისაში, სოუქსუში, სალიბაურში, ჩელტაში, ადლიაში, გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში და ა.შ. ჯიფორდ პალგრევის ცნობით, 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ აჭარაში დაახლოებით 10 000 აფხაზი და ჩერქეზი ცხოვრობდა. მიგრაციული პროცესები გრძელდებოდა და სტატისტიკაც იცვლებოდა, მაგრამ აფხაზთა ძირითადი დასახლების ადგილი ბათუმი და მისი შემოგარენი იყო, ფაქტობრივად, ასე რჩება დღემდე.

2002 წლის აღწერის მონაცემებით, აჭარაში ცხოვრობდა 1558 აფხაზი, მათგან 800 – ბათუმში, 645 – ხელვაჩაურის რაიონში.

გადმოსახლებული აფხაზები ძალიან კარგად მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ. თითქმის 1,5 საუკუნის მანძილზე ბათუმში არ ყოფილა აფხაზთა და ქართველთა შორის რაიმე არსებითი ინციდენტიც კი (აფხაზები აჭარაში 2018: 27).

აფხაზები აქტიურად მონაწილეობდნენ და ამჟამადაც მონაწილეობენ ჩვენი რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

აფხაზურ საგვარეულოთა ცნობილი წარმომადგენლები არიან: ხაშიმ

სმირბა, შერიფ აბდიბა, მემედ ბედია, ხალილ ფშანავა, ალი ჩამბა, ფერიდე აცამბა, ანზორ კუდბა, ნუნუ ჩაუშბა და ა.შ.

გადმოსახლების დროისა და სადაურობის მიხედვით, აჭარაში მცხოვრები აფხაზები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) რომელთაც ზუსტად არ იციან, როდის და საიდან გადმოსახლდნენ;

ბ) რომლებიც XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის I ნახევარში გადმოსახლდნენ. ამ შემთხვევაში გადმოსახლების მიზეზი პირადულ-ყოფითი ხასიათისა იყო, მაგ., კონფლიქტი მეზობელთან (მკვლელობა, მაგ., ფერიელი ჩამბების შემთხვევაში), ან ქალის მოტაცება (მაგ., ჭარნალელი აკვაზების შემთხვევა);

გ) ვინც მუჰაჯირობის დროს XIX საუკუნის 60-70 წლებში გადმოსახლდა აჭარაში (ასე მიიჩნევა აჭარაში მცხოვრები აფხაზების ძირითადი ნაწილი);

დ) ვინც იცის გადმოსახლების კონკრეტული წელი, ადგილი, თუ უშუალოდ ვინ გადმოსახლდა და ა.შ. (მაგ., ანზორ კუდბას შემთხვევაში – 1864 წელს სოჭის მხრის კუდფესთადან რუსეთის წინააღმდეგობის გამო წამოვიდა სამი ძმა, მათგან ორი დამკვიდრდა აჭარაში, ფერიაში, ხოლო მესამე ძმა ქერიმი თურქეთში წასულა; ზაურ ასაძბას შემთხვევაში – 1896 წელს აჭარაში გადმოსახლებულა ალი სამბა, ბზიფის ხეობიდან...) (აფხაზები აჭარაში 2018: 28).

აჭარაში დამკვიდრებული აფხაზების მდგომარეობა არ იყო მშვიდი; 877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს არაერთ მათგანს მეორედ მოუხდა მუჰაჯირად წასვლა. (შემდეგ – პოლიტიკური კატაკლიზმები, რევოლუციები). ქალაქის განაშენიანების საბაზით ხელისუფლება მოითხოვდა მათგან შეეცვალათ საცხოვრებელი ადგილი – სხვაგან გადასახლებულიყვნენ.

აფხაზებს ოდითგანვე ჰქონდათ კეთილმეზობლური დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც მჭიდრო მოყვრულ ურთიერთობებში გადადიოდა. მაგ., ჭარნალში მცხოვრებ აკვაზებს 20-მდე ქართულ გვართან ჰქონია მოყვრობა: კვირიტიძე, გოგიტიძე, ბექთაშვილი, რიჟვაძე, კაკაბაძე, ფევაძე, კახიძე, აფაქიძე, დუმბაძე, სურმანიძე, ლომაძე, მალაყმაძე, სირაბიძე, ხაჯიშვილი, ვარშანიძე, ჩერქეზიშვილი, ხალვაში, გორგილაძე (აფხაზები აჭარაში 2018: 29).

სამშობლოდან დევნილ აფხაზთა ერთი ნაწილი აჭარის ტერიტორიაზე გადმოსახლდა. შესწავლილი მასალების მიხედვით, მათი საგრძნობლად დიდი ჯგუფების დასახლება აჭარის ზღვისპირეთში XIX საუკუნის 60-იან წლების დასაწყისიდან მიმდინარეობდა. გაზ. „დროების“ 1882 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებული აფხაზი მუჰაჯირების განცხადების მიხედვით, რომელიც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მისამართით იყო დაწერილი, ირკვევა, რომ აფხაზების ერთი ჯგუფი ბათუმში 20 წლით ადრე, ე. ი. 1862 წლისათვის, დასახლებულა. ამავე, 1862 წელს აფხაზების აჭარაში დასახლებაზე მიუთითებს გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკში“ 1900 წლის 12 იანვარს დაბეჭდილი წერილიც. პრესის მასალებს ადასტურებს საარქივო მონაცემებიც, რომელიც მიუთითებს, რომ აფხაზთა ჯგუფი 60-იანი წლების დასაწყისში დასახლებულა ბათუმში, ე.წ. „ნურიე გელის“ უბანში. ბათუმში მცხოვრები ერთ-ერთი მუჰაჯირი აფხაზი ხუსეინ

ხასანის ძე გაბლია სტამბოლში რუსეთის გენერალურ კონსულს აცნობებდა, რომ იგი წარმოშობით სოხუმელია, სოფელ კელასურიდან, რომელიც თავის თანამომქმეთა სამი ათას ოჯახთან ერთად 15 წლის წინათ ჩამოსახლდა ბათუმში (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 2073, ფურც. 56). წერილი დაწერილია 1879 წელს. ჩანს, რომ აფხაზების საკმაოდ დიდი ჯგუფის ჩამოსახლება აჭარაში 1864 წელს მომხდარა. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი მწერლის გ. წერეთლის ცნობა, რომელიც გაზ. „გოლოსში“ დაიბეჭდა 1878 წლის 14 მაისს. წერილის ავტორს ქობულეთში დაუქირავებია იალქნიანი ნავი, რომლის მენიჩბეები აფხაზი ჭაბუკები ყოფილან, მათ მწერლისათვის უცნობებიათ, რომ ისინი, სხვა მუჰაჯირებთან ერთად, სოხუმიდან ბათუმში გადმოუსახლებიათ. ამ ცნობითაც ირკვევა, რომ აფხაზთა გარკვეული ჯგუფი იმავე 1864 წელს დასახლებულა აჭარაში.

მოპოვებული დოკუმენტები თუ საველე-ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფს, რომ აფხაზები აჭარაში არა მარტო უშუალოდ აფხაზეთიდან გადმოსახლების შემდეგ მკვიდრდებოდნენ საცხოვრებლად, არამედ ოსმალეთში გადასახლების შემდეგაც ბრუნდებოდნენ აჭარაში იმ იმედით, რომ აქედან ისევ მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდებოდნენ. მაგრამ ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლება არ აძლევდა მათ სამშობლოში დაბრუნების ნებას, რის შემდეგაც მათი ნაწილი აჭარაში რჩებოდა საცხოვრებლად, ნაწილი კი უკან ოსმალეთში ბრუნდებოდა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1865 წლის 17 მაისს ტრაპიზონში რუსეთის გენერალური კონსული ა. მოშნინი იტყობინებოდა, რომ არტაანში გადასახლებული ჩერქეზები ბრუნდებიან ბათუმში და იმუქრებიან, რომ მოაწყობენ აჯანყებას, თუ ოსმალეთის ხელისუფალნი არ მიუჩენენ მათ დასასახლებლად უკეთეს ადგილს, ზოგიერთი მათგანი გაემართა მდ. ჩურუქ-სუსაკენ (მდ. ჩოლოქი), იმ განზრახვით, რომ გაარღვევდნენ ოსმალეთ-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს წმ. ნიკოლოზის ფორტთან და გადავიდოდნენ რუსეთის სამფლობელოში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ ფაქტით შეწუხებული რუსეთის კონსული სთხოვდა ოსმალეთის ადგილობრივ ხელისუფალთ, არ დაეშვათ ჩერქეზების მიახლოება რუსეთის საზღვართან. მუჰაჯირთა განზრახვის ჩასაშლელად გამოყვანილ იქნა რეგულარული ჯარის ნაწილები (Дзидзария 1982: 237).

აფხაზ ემიგრანტთა თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნების ამსახველი მასალები ხშირად იბეჭდებოდა XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართულ პრესაში.

საარქივო მასალები და პრესის მონაცემები ცხადყოფენ იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რაც თან ახლდა აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების მცდელობას. მოსახლეობა ბრუნდებოდა როგორც გემებით, ისე ფეხით. ორივე შემთხვევაში, ისინი ბათუმზე გავლით მოდიოდნენ, მაგრამ ბათუმის ხელისუფალთ ზემოდან მიღებული ჰქონდათ მითითება, არ დაეშვათ აფხაზების დაბრუნება სამშობლოში (Френкель 1879: 81).

თურქეთიდან ბათუმში ჩამოსული აფხაზებით დატვირთულ გემებს რუსეთის მთავრობა უკან აბრუნებდა, თურქეთის ხელისუფლება მათ ხელმეორედ აღარ იღებდა და ზარბაზნის სროლით ზღვაში ერეკებოდა. „აფხაზებს, – წერდა გაზეთი „დროება“, – ბურთივით ისვრიან ჩვენი პორტიდან ოსმალთს პორტამდის, საიდანაც იმათ თოფის სროლით

აბრუნებენ უკან და არიან ეს საწყლები გაჩერებული ორ მიწას შუა იმედმოღებულნი და სასოწარკვეთილნი“. თოფის სროლითვე ეგებებოდა რუსეთის ხელისუფლება იმ მუჰაჯირებს, რომლებიც დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ აფხაზეთის ნაპირებს აღწევდნენ. გაზ. „დროება“, რომელიც აქტიურად ეხმაურებოდა აფხაზების მუჰაჯირობასთან დაკავშირებულ ყველა ფაქტს, იუწყებოდა: „სოხუმის სამხედრო რაზმის უფროსი პოლკოვნიკი არაკინი, როგორც რამდენჯერმე იყო გაზეთებში გამოცხადებული, თოფითა და ზარბაზნით ხვდებოდა ყველა აფხაზებსა და ჩერქეზებს, რომელნიც კი იმის მახრამში შავი ზღვის ნაპირზე ფეხის გადმოდგმას ბედავდა“ (დროება 1880).

XX საუკუნეში, პირველი მსოფლიო ომის დროს, ბათუმის ოლქში შექმნილმა რთულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა გარკვეული ნაწილი კვლავ მიეტოვებინა აჭაურობა. ზოგი მათგანი აფხაზეთში გადასახლდა, ზოგიც – თურქეთში. 1918 წლიდან ერთი ნაწილი აჭარაშივე დაბრუნდა და მათი შთამომავლებიც დღემდე აქ ცხოვრობენ.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- აჩუგა 1988: აჩუგა თ., აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი, 1988.  
 აფხაზები აჭარაში 2018: აფხაზები აჭარაში წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი, 2018.  
 გვანცელაძე... 2011: გვანცელაძე თ., ტაბიძე, მ., გითოლენდია თ., ჭავჭავაძე ს., აჭარაში მცხოვრები აფხაზების იდენტობის მთავარი ასპექტები (რუსულ ენაზე) თბილისი, 2011.  
 ნარკვევები 1960: აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1960.  
 დროება 1880: გაზეთი „დროება“, №223, 1880.  
 სამსონაძე 1988: სამსონაძე მ., საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბილისი, 1988.  
 სვანიძე 2007: სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი., 2007.  
 ქორთუა 1964: ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში, თბილისი, 1964.  
 წურწუმია 2012: წურწუმია ზ., აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში, თბილისი, 2012.  
 ჯანაშია 1988: ჯანაშია ს., გიორგი შარვაშიძე, შრომები, VI, თბილისი, 1988.  
 ჭიჭინაძე 1912: ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. თბილისი, 1912.  
 Дегоев 2001: Дегоев В., Большая игра на Кавказе (история и современность), Москва, 2011.  
 Дубровин 1871: История воин владычество русских на кавказе, т. II, СПб, 1871.

**Дзидзария 1988:** Дзидзария Г., присоединение Абхазии к России , Сухуми, 1988.

**Дзидзария 1982:** Дзидзария Г., мохаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982.

**Очерки истории абхазской АССР 1960:** Очерки истории абхазской АССР , ч.1, Сухуми, 1960.

**Россия и Восток 2002:** Россия и Восток, СПб, 2002.

**Френкель 1879:** Очерки Чурук-су и Батума, Тифлис, 1879.

**სცსსა:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 416, საქმე 177; ფონდი 545, საქმე 91, 314, 2073.

**ქცა:** ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 186, საქმე 69.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6982>

**ბოლშევიკების გამოსვლები აფხაზეთში  
დემოკრატიული რესპუბლიკის დროს  
(ქუთაისური პრესის მიხედვით)**

**The Speeches of Bolsheviks in Abkhazia  
during the Time of the Democratic Republic  
(Based on the Perspective of Kutaisi Press)**

**რუსუდან კაშია**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკა  
საქართველო, ქუთაისი

**მადინა უგლავა-ჯინჯიხაძე**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკა  
საქართველო, ქუთაისი

**Rusudan Kashia**

Kutaisi Ilia Tchavchavadze public library  
Georgia, Kutaisi

**Madina Uglava-Jinjikhadze**

Kutaisi Ilia Tchavchavadze public library  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

In 1918-1919, a volatile situation unfolded in the region surrounding Georgia, as the newly independent nation faced challenges from both Russia and internal disruptions. Among the various factions, the Abkhaz separatists emerged as a particularly active group, advocating for the independence of Abkhazia and expressing dissatisfaction with the autonomy agreement previously reached with the representative of the People's Council of Abkhazia. The Georgian society closely monitored these developments, relying on periodicals such as „Our Country“, „Social-



Democrat“, and „People’s Friend“, which were published in Kutaisi and provided regular updates on the unfolding events.

During this period, the Bolsheviks, led by Lakoba, and the White Guards, under the command of General Denikin, together with a volunteer detachment, became increasingly active. In response, the Georgian government dispatched General Mazniashvili with a sizable army to confront them. Although the battles against the Red Army and the Volunteer Army proved challenging, General Mazniashvili achieved some successes in the struggle for Abkhazia. Efforts were made to negotiate an agreement between the conflicting parties, and a meeting took place on September 25, 1919, attended by Denikin, Alekseev, Romanovsky, as well as representatives from the Georgian side, including Evgeni Gegechkori and Giorgi Mazniashvili. During the meeting, Russian generals laid claim not only to the Sochi Mazra but also to the Gagra district, rendering a mutual agreement unattainable.

Subsequently, the British military mission assumed the role of an arbitrator, but their attempts to restrain Denikin proved ineffective. The Georgian government repeatedly appealed to the British military mission, albeit without success. Eventually, Denikin’s army was defeated by the Red Army, and Abkhazia became part of the Socialist Republic of Georgia in the form of autonomy.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის პოლიტიკა საქართველოში, აფხაზეთი XX საუკუნის 10-იან წლებში, ანტიბოლშევიკური გამოსვლები აფხაზეთში.

Keywords: Russian policy in Georgia, Abkhazia in the 10s of the 20th century, anti-Bolshevik speeches in Abkhazia.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული პერიოდული გამოცემები თითქმის დაუმუშავებელ მასალას მოიცავს.

ქუთაისურ პრესაში 1917-1921 წლების შესახებ დაბეჭდილი ინფორმაცია ნაკლებად არის შესწავლილი.

ჩვენ დავამუშავეთ და ერთად შევკრიბეთ 1918-1919 წლებში გამოქვეყნებული მასალა: ბოლშევიკების მიერ აფხაზეთის დაპყრობის მცდელობა და თავისუფალი საქართველოს გმირული და თავგანწირული ბრძოლა ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებისთვის.

დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ქართულმა პარლამენტმა სამ რეგიონს მიაკუთვნა ავტონომია: აფხაზეთის, ბათუმისა და ზაქათალის ოლქებს (საქართველოს ისტორია 2012, 1919 წლის მარტი.) 1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა აფხაზეთის სახალხო საბჭოს რწმუნებულთან გააფორმეს შემდეგი ხელშეკრულება:

1. საქართველოს დროებით მთავრობასთან მოწვეული იქნება აფხაზეთის წარმომადგენელი, აფხაზეთის საქმეთა მინისტრი;

2. აფხაზეთის შინაგანი მმართველობა და თვითმმართველობა

ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს;

3. აფხაზეთის მართვა-გამგეობისთვის საჭირო კრედიტები და ფული გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ და იხარჯება აფხაზეთის სახალხო საბჭოს სურვილისამებრ;

4. რევოლუციური წესრიგის დამყარებისა და ხელისუფლების განმტკიცებისთვის აფხაზეთში იგზავნება გვარდიის ნაწილები;

5. აფხაზეთში ყალიბდება ინტერნაციონალური რაზმი და იგი იქნება აფხაზეთის სახალხო საბჭოს განკარგულებაში (ბედიანიშვილი 1980: 225).

„აფხაზეთს ენიჭება სრული ავტონომია, ეძლევა სრული უფლება აიღოს ხელში ადმინისტრაცია და ერობა“ (სოციალ-დემოკრატი 1919, 13 მარტი).

აფხაზისეპარატისტებიარდაკმაყოფილდნენსრულიავტონომიით და დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. „1918 წლის ივნისში თბილისში მოსულა სეპარატისტული ნაწილის წარმომადგენელი ინჟინერი კაკუბავა, რომელსაც მთავრობასთან განუცხადებია, რომ აფხაზებსაც სურთ ისარგებლონ სუვერენული უფლებებით“ – ვკითხულობთ გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 9 ივნისის ნომერში.

ქართული საზოგადოება დამაბული ადევნებდა თვალყურს აფხაზეთში მომხდარ ამბებს. ქუთაისში გამომავალი პერიოდული გამოცემები: „ჩვენი ქვეყანა“, „სოციალ-დემოკრატი“, „ხალხის მეგობარი“ ყოველდღიურად აცნობებდნენ ქართველ ხალხს მიმდინარე მოვლენებს.

ამ პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ბოლშევიკები. გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ 1918 წლის ივნისის ნომერში წერდა: „სოხუმიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, რომ სოხუმზე ბოლშევიკებმა გამოილაშქრესო, ისინი მცირერიცხოვანი რაზმით შეაჩერეს. ამჟამად სოხუმისკენ გაგზავნილია დიდძალი ჯარი, რომლის მიზანია ბოლშევიკები საქართველოს საზღვრებიდან საშუაამოდ გარეკონ“.

„ბოლშევიკების რიგებს ავსებენ არყით გაჟღენთილი „ბოსიაკი“ რუსები“ – აღნიშნავდა „სოციალ-დემოკრატი“ (სოციალ-დემოკრატი 1919, 9 ივნისი).

ბოლშევიკების შემოსევები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. „გუდაუთის ალების დროს მათ მეთაურობდა ბოლშევიკი ლაკობა. ბოლშევიკებმა 11 კაცი აწამეს, ზოგს თვალები დათხარეს, ზოგს ხელები მოაჭრეს და ხანჯლებით აკუწეს“ – წერდა 6 ივლისის ნომერში „სოციალ-დემოკრატი“.

„ასეულის მეთაური ემხვარი ჯარისკაცებს გადასცეს მათ. იგი სასტიკად აწამეს და მოკლეს“ (იქვე).

მძიმე პერიოდში თავი იჩინა ეროვნულმა შუღლმა აფხაზებსა და ქართველებს, კერძოდ, მეგრელებს შორის. „აფხაზები ჩივიან, რომ მეგრელებს კარგი მიწები უჭირავთ, ვიდრე ჩვენ“ (სოციალ-დემოკრატი 1919, 19 ივლისი).

აფხაზეთის სახალხო საბჭომ თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, გაეგზავნათ ძალები ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ქართულ ჯარს სათავეში ჩაუდგა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ 20 ივლისის ნომერში წერდა: „გენერალ მაზნიაშვილის განკარგულებით სოხუმისკენ გაიგზავნა დიდი რიცხვი ჯარისა, გადაწყვეტილია ასევე, სოხუმში მუდმივად დააყენონ მეორე პოლკი პოლკოვნიკ ფირალოვის მეთაურობით“.

გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ 1918 წლის 24 ივლისს იტყობინებოდა: „გენერალი მაზნიაშვილი თავისი შტაბით ამჟამად სოხუმში იმყოფება. ჯარისკაცებს ძალიან უყვართ თავიანთი გენერალი. ხალხიც პატივისცემით ეპყრობა როგორც გენერალს, ასევე ქართულ ჯარს“.

გენერალმა მაზნიაშვილმა წარმატებას მიაღწია ბოლშევიკებთან ბრძოლაში. „ქართულმა ჯარმა ცხარე ბრძოლების შემდეგ აიღო ტუაბსე“ – წერდა 30 ივლისის „სოციალ-დემოკრატი“, ხოლო იმავე პერიოდში გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ ამცნობდა მკითხველს: „ჩვენი ჯარები ადღერთან იმყოფებიან, დამარცხებული ბოლშევიკები იფანტებიან“.

ქართულმა ჯარმა დაიკავა ახალი ათონი, გუდაუთა, ქალაქი ადღერი. „ჩვენი ქვეყანა“ აქვეყნებდა ცნობას, რომ „ბოლშევიკთა ბრბოები გარბიან. მთავრობის მხედრობამ დაიკავა ადღერი, მიიწევს გაგრისკენ“.

„წესიერად მუშაობენ ქალაქის გამგეობა. საოლქო კომისარიატი და საბჭოები“ (სოციალ-დემოკრატი).

„ტუსადი ბოლშევიკებისოხუმიდან და ოჩამჩირედან ჩამოიყვანეს, რომლებიც ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს“ – წერდა გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ 1918 წლის ივლისში.

რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის პერიოდში საქართველოს ჩრდილოეთიდან დაემუქრა საფრთხე. თეთრგვარდიელთა არმია გენერალ დენიკინის მეთაურობით ებრძოდა როგორც წითელ არმიას, ასევე ილაშქრებდა დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ, რომელმაც „გაბედა და გამოეყო დიდ რუსეთს“.

„ვის არ სმენია დენიკინის სახელი, რომელიც მოხალისეთა არმიის მთავარსარდლად ითვლება. მან თავი ისახელა ჩრდილო კავკასიაში რეაქციის დამყარებით. ეს ის გენერალია, რომელმაც მთელი კავკასია სახრჩობელებით მოფინა. ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი ყუბანის დაბა-ქალაქები და ეს შავი გენერალი ახლა ჩვენზე ილესავს კბილებს. ჩვენსკენ აგზავნის თავის ჯარს. შავმა გენერალმა გადმოლახა სოჭის საზღვრები და სოხუმისკენ მიიწევს“ – ვკითხულობთ „სოციალ-დემოკრატის“ 1919 წლის 3 თებერვლის ნომერში.

10 თებერვალს გაზეთი აღნიშნავდა, რომ „შავმა გენერალმა სოჭიდან სამხრეთით მოულოდნელად შეუტია გაგრას. სოჭი დაიკავეს სომეხთა ბანდებმა“ (სოციალ-დემოკრატი).

1919 წლის 1 ივნისს საქართველოს დამფუძნებელთა კრების დამფუძნებელ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა მიმართა კრების წევრებს: „დენიკინის შავმა ლაშქარმა გაანადგურა მთიელთა რესპუბლიკა და აზერბაიჯანის საზღვარზე გავიდა. ამავე დროს მტერმა

გააქტიურა მოქმედება სოჭის ოლქში. „საქართველოს მიმართულებით მრავალრიცხოვანი ჯარი დაძრა“. საქართველოს მთავრობის სურვილი იყო სადაო საკითხები მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოეგვარებინა, მაგრამ „მალე დავრწმუნდით, რომ დენიკინის მიზანია დემოკრატიული რესპუბლიკის ჩახშობა, საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება“ (სოციალ-დემოკრატი 1919).

1919 წლის 25 სექტემბერს გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ: დენიკინი, ალექსეევი, რომანოვსკი, ქართველთა მხრიდან – ევგენი გეგეჭკორი და გიორგი მაზნიაშვილი. რუსმა გენერლებმა განაცხადეს, რომ არა მარტო სოჭის მაზრა, არამედ გაგრის რაიონიც ჩვენიაო.

მხარეთა შეთანხმება შეუძლებელი გახდა. მოგვიანებით არბიტრის როლი ინგლისის სამხედრო მისიამ იტვირთა, თუმცა მან დენიკინი ვერ შეაკავა. საქართველოს ხელისუფლებამ რამდენჯერმე მიმართა ინგლისის სამხედრო მისიას, მაგრამ ამაოდ (საქართველოს ისტორია 2012 229).

საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო მზადება მობილიზაციის გამოსაცხადებლად.

როგორც ცნობილია, დენიკინის ჯარი დაამარცხა წითელმა არმიამ. საბოლოოდ აფხაზეთი შევიდა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში ავტონომიის სახით.

### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

ბენდიანიშვილი 1980: ბენდიანიშვილი ალ., ეროვნული საკითხი 1901-1921 წლებში. თბილისი, 1980.

საქართველოს ისტორია 2012: საქართველოს ისტორია. ავტორები: დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე, გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, მ. სამსონაძე, ნ.ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური, მ. ნათმელაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, ტ. IV. თბილისი, 2012.

სოციალ-დემოკრატი 1918-1919: გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, 1918-1919.

ჩვენი ქვეყანა 1918-1919: გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1918-1919.

ხალხის მეგობარი 1918-1919: გაზეთი „ხალხის მეგობარი“, 1918-1919.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6984>

პირველი აფხაზის ოჯახი XIX საუკუნის ქუთაისში

**First Abkhazian Family  
in Kutaisi in the 19th Century**

**მერაბ კეზევაძე**

ქუთაისის ცენტრალური არქივი  
საქართველო, ქუთაისი

**Merab Kezevadze**  
Kutaisi Central Archive  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

The present article delves into the hitherto unexamined topic of the settlement of the first Abkhazian individual, Taku (Simon) Shkhvatsabaya, in Kutaisi. Born in the 1830s, Taku was brought up by Ioba Chi-burdanidze, a resident of Kvitiri, who hailed from the village of Tkhina in Abkhazia. Upon reaching adulthood, Taku decided to embrace the Orthodox Christian faith and establish himself in Imereti. His godfather, Simon Abashidze, was the grandson of King Solomon I. After his baptism, Taku (Simon) Shkhvatsabaya settled in the vicinity of present-day Lado Asatiani Street, Kutaisi, which was later renamed Abkhazia Street in honor of his ethnicity in 1885. Subsequently, the family relocated to Levashov Street, presently known as Merab Kostava Street, where their ancestral house still stands, featuring a commemorative plaque. This family played a pivotal role in bringing up several prominent public figures, scientists, and artists, including professors Konstantine and Giorgi Shkhvatsabaia, Igor Shkhvatsabaia, Zurab Shkhvatsabaia, acclaimed sculptor Giorgi Shkhvatsabaia, and others. This study presents a comprehensive investigation into the initial settlement of the first Abkhazian, Taku (Simon) Shkhvatsabaya, in Kutaisi, shedding light on the history behind the naming of his family and residential street. It discusses the circumstances surrounding Taku's relocation from the village of Tkhina in Abkhazia to be raised by Ioba Chiburdanidze in Kvitiri during the 1830s. Furthermore, it explores his subsequent conversion to Christianity and establishment in Kutaisi.

საკვანძო სიტყვები: პირველი აფხაზის ოჯახი ქუთაისში (XIX საუკუნე), ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა, აფხაზეთის ქუჩა ქუთაისში.

**Keywords:** The first Abkhazian family in Kutaisi (19th century), relations between Georgians and Abkhazians, Abkhazeti Street in Kutaisi.

ქუთაისის ახალი ისტორიის მკვლევართათვის ცნობილია და კარგადაცაა შესწავლილი 1887 წელს ქუთაისში რუსულ ენაზე დაბეჭდილი ბროშურა სათაურით “Кутаис по однодневной переписи 10 апреля 1885 г. Кутаис. 1887“. ამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობების შემცველ ბროშურაში ჩემი ყურადღება მიიქცია იმდროინდელი ქუჩების სახელწოდებებმა, რომელშიც იხსენიება აფხაზეთის ქუჩა. მასზე, გარდა სახელწოდებისა, სხვა არაფერია ნათქვამი, ანუ იმასაც ვერ ვიგებთ, ქალაქში იმ დროს არსებულ 144 ქუჩას შორის რომელს ეკუთვნოდა, 38-ს ძველთაგანვე რომ ატარებდა სახელს, თუ იმ 106-ში შედიოდა, აღწერის მომზადების პერიოდში რომ გახდნენ სახელდებულნი. ქუჩებისათვის სახელების მიკუთვნების იმდროინდელი წესის გათვალისწინებით, აფხაზეთის ქუჩა უნდა ყოფილიყო ან აფხაზეთისაკენ მიმავალი გზის დასაწყისი, ან ამ ქუჩაზე უნდა ეცხოვრა ვინმე აფხაზს. პირველი ნაკლებად სავარაუდო იყო. უფრო აქ მცხოვრები აფხაზის ვინაობა უნდა დაგვედგინა. საბედნიეროდ, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული აღმოჩნდა 1885 წლის 10 აპრილის ერთდღიანი აღწერის დოკუმენტაცია, საიდანაც შევიტყვეთ, რომ აფხაზეთის ქუჩა იყო ყოფილი თურმანიძის ქუჩა, რომელზეც სულ ცხოვრობდა 219 სული. ეს იყო პატარა ქუჩა, რომელიც წინათ ამ სახელს აქ მცხოვრები ცნობილი მკურნალის, თურმანიძის პატივსაცემად ატარებდა, ხოლო შემდეგ დაერქვა ამ უბანში მცხოვრები ერთ-ერთი პირველი მოსახლის შხვაცაბაიას ეროვნების, აფხაზის მიხედვით აფხაზეთის სახელი. სწორედ მისი სახლიდან, მესხეთის (ნ. დუმბაძის – მ.კ.) ქუჩიდან იწყებოდა ეს ქუჩა და მთავრდებოდა ლაგერის (თავისუფლების – მ.კ.) ქუჩასთან (ქცა, ფ. 108 ან. 1 ს. 309 ფ. 124, 138, 193).

ვინ იყო პირველი შხვაცაბაია, რომლის პატივსაცემადაც ქუჩის ასეთი სახელდება მოხდა? სანამ ამაზე ვიტყვოდეთ, ამ გვარის ეტიმოლოგიაზე აღვნიშნავთ. პავლე ინგოროყვა მას ლაზურ-ჭანურიდან თარგმნიდა და „სხვა ცის შვილებით“ მოიხსენიებდა. გვარი გამორჩეულად მცირერიცხოვანია, მაგრამ არაერთი ღირსეული პიროვნების მშობელი. ქუთაისში შხვაცაბაიას გვარს პირველად ვხვდებით 1845 წელს, კერძოდ, 1845 წლის 7 იანვარს იმერეთის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ დავითს თხოვნით მიმართა სოფელ ქვიტირში დროებით მცხოვრებმა აფხაზეთის სოფელ თხენას (ასეა დოკუმენტში), თხინას მცხოვრებმა აზნაურმა ტაკუ ხალილას ძე შხვაწაბაიამ. დოკუმენტს წარმოგიდგენთ მთლიანად:

„მისს მაღალ ყ~დ უსამღვდელოესობას

იმერეთის საეპარხოს განმგებელს, უ~ს მიტროპოლიტს და კავალერს დავითს.

აფხაზეთის სოფელსა თხენას მცხოვრების თათრის სარწმუნოების

აზნაურის ტაკუ ხალილას ძის შხვაწაბაიასაგან  
თხოვნა

ჩვეულებისამებრ ჩვენის მხრისა, მშობელთა ჩემთა მიმცეს რა აღსაზრდელად მეუღლასა ქუტირს მცხოვრების სახაზინო ყმის იობა ჩიბურდანიძისასა (რადგან იყო იგი ჩიბურდანიძე გადავარდნილი აქედამ აფხაზეთში). მოიქცა რა იგი ჩიბურდანიძე თავისსავე სამშობლო ქვეყანასა ქუთაისის ნაწილის სოფელსა ქუტირს (ქვიტირს – მ.კ.), მეცა ძუძუს მწოვარე ყრმად წარმიყვანა მუნიტგან და აღმზარდა, ხოლო აწ მოვეგე რა ცნობასა, მსურს დატევებად მახმედიანთ სარწმუნოებისა და მიღებად მართლ მადიდებელის ქრისტიანის სარწმუნოებისა, და ცხოვრებად იმერეთსა შა. ამისთვის უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს მაღალ ყდ უსამღვდელოესობასა, მიიღოთ თხოვნად ესე ჩემი საკუთარსა ყურად ღებასა შა და ვიქმნე განზანდობილ წმიდა ემბაზსა შინა, რათა შდ მისა ვიქმნე ყოვლის გულითა და სულითა ჩემითა მიმღები წა სარწმუნოებისა, და ვირჩიო უშორესად სისხლის დაღვრად ვინემც დატევებად მართლ მადიდებელი სარწმუნოებისა. – სიტყვითა მთხოვნელისათა არზასა ამას ვსწერ. და რადგან ტაკუ შხვაწაბაიმ წერა არ იცოდა, ამისივე თხოვნით ხელსაც ვაწერ გრიგორ აკოფოვი.

იანვრის ზსა დღესა.

ჩემეს წელსა“ (ქცა, ფ. 21, ან. 2, ს. 340, ფ. 1).

ამ თხოვნის პასუხად 19 იანვარს მიტროპოლიტმა დავითმა წერილით მიმართა ქუთაისის მთავარანგელოზთა ტაძრის დეკანოზს იესე გიორგაძეს, რომელშიც ავალეზდა ტაკუ შხვაწაბაიას ნათლისღებისათვის მომზადებას (ქცა, ფ. 21, ან. 2, ს. 340, ფ. 2). 26 მარტს დეკანოზმა მიტროპოლიტ დავითს აცნობა, რომ: „წარმოგზავნილი ჩემდამო მოწერილობისათანა თქუწნის მაღალ ყდ უსამღვდელოესობისა იზს იანვრიდგან ამა წლისა №90 თათარი მცხოვრები სოფელსა იხეთის (თხინა – მ.კ.) რომელიც არის აფხაზეთში ტყვე შხვაწაბაია განგრძობასა შინა ორმოცსა დღეს განვსცადე მართლ მადიდებელსა ჩუწნსა სარწმუნოებასა და ლოცვასა შინა ღმრთისასა განუმარტე დოდმატი ჩუწნისა სარწმუნოებისა და აღმოჩენისამებრ მისისა განუდრეკელ მსურველად მიღებისა თვისისა ჩუწნისა სარწმუნოების მართლ მადიდებლობისა კდსა რიცხვსა ამა მდგომარესა თვისისა მოვნათლე წეს დებულებისამებრ ეკკლესიისა რომელსაცა მონათვლის დროს უწოდე სახელი სიმეონ - დეკანოზი იესე გიორგაძე

№5

კვსა მარტსა

ჩემესა წელსა“ (ქცა, ფ. 21, ან. 2, ს. 340, ფ. 3).

უფრო კონკრეტულია ქუთაისის მთავარანგელოზთა საკრებულო ტაძრის 1845 წლის მეტრიკული წიგნის ჩანაწერი, სადაც მამრობითი სქესის დაბადებულებში და ნომერ 8-ით მარტის თვეში (რიცხვი არ არის მითითებული) მონათლულებში აღნიშნულია შემდეგი ფაქტი: სახელი დაბადებულთა სიმეონ, ხოლო მშობლებად მითითებულია „სოფელ თხენის

მცხოვრები, რომელიც არის აფხაზეთში ივანე შხვაცაბაია (როგორც ჩანს, ამ დროს ხალილიც უკვე მონათლულია და ივანედ იწოდება) სურვილისა მისისამებრ მოვნათლე ქუთაისის მთავარანგელოზის სობოროსა შინა და არს მართლმადიდებლის სარწმუნოებისა. მიმრქმელად იმყოფებოდნენ ქუთაისს შინა მცხოვრები თავადი სვიმონ იოვანეს ძე აბაშიძე (მეფე სოლომონ I-ის შვილიშვილი, რომლის სახელის პატივსაცემადაც უწოდეს სახელი სიმონი – მ.კ.) და სათავადო აზნაური ვაკის უჩასტკის სოფელს მაღლაკს მცხოვრები ბესო ფირანის ძე კოპეშავიძე“ (სცა, ფ. 489, ან. 6, ს. 579, ფ. 21). მიტროპოლიტმა დავითმა დეკანოზს დაავალა ახალმონათლული სიმონ შხვაცაბაია თავის ეკლესიის მრევლად ჩაეწერა და ეზრუნა მის შემდგომ ქრისტიანულ აღზრდაზე (ქცა, ფ. 21, ან. 2, ს. 340, ფ. 4).

ასე გავიცანით პირველი ქუთაისელი აფხაზი ტაკუ (სიმონ) ხალილის ძე შხვაცაბაია.

შემდგომი კვლევით ისიც დავადგინეთ, რომ ის მართლაც ყოფილა აზნაური. აფხაზეთის მთავრის, გენერალ-ადიუტანტის, გენერალ-ლეიტენანტის, მიხეილ შარვაშიძის მიერ 1850 წლის 1 ოქტომბერს გაცემული მოწმობით დასტურდება, რომ სოფელ დალის მცხოვრები იმჟამად იმერეთის გუბერნიაში მცხოვრები მართლმადიდებელი აზნაური სიმონ ხალილის ძე შხვაცაბაია იყო უკვე გარდაცვლილი აფხაზი აზნაურის, ხალილ შხვაცაბაიას ნამდვილი შვილი (ქცა, ფ. 1, ან. 1, ს. 6742, ფ. 5). მის აზნაურობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ის მხოლოდ ერთხელ 1869 წელს შეცდომით იქნა შეყვანილი გადამხდელთა სიაში (ქცა, ფ. 1, ან. 1, ს. 6742, ფ. 4).

რაც შეეხება მის საცხოვრებელ ადგილს, თავდაპირველად ის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელ ქვიტირში ცხოვრობდა. მონათვლიდან მალე და უკვე სრულწლოვანს 1852 წელს საკუთარი სამოსახლო მამული უბოძა ეკლესიამ, რომელიც მდებარეობდა რიონის მარჯვენა მხარეზე, ე.წ. „სილაზე“ შემდეგ საზღვრებში: აღმოს. „საღდათების სახლები“ (სლობოდეკა), დასავ. „ყაძახის ფოჩტაში“ (ყაზახის შტაბში) მიმავალი გზა, ჩრდილ. თავად ოტია ერისთავის მიწა და სამხრ. საფოსტო სადგურის ეზო, ზომით სიგრძე 8 და სიგანე 8 საჟენი სადაც 1852 წელს აშენებს სახლს (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 4991, ფ. 1, 5).

1860 წელს ამ მამულის ნახევარი სვიმონ შხვაცაბაიამ დაუთმო აზნაურ გიგო ლორთქიფანიძეს (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 4991, ფ. 3), ხოლო 1861 წელს მთლიანად (ქცა, ფ. 21, ან.1, ს. 4991, ფ. 8). 1860 წელს ასევე მამულის ნაწილი მიჰყიდა ალექსანდრე ლორთქიფანიძეს (ქცა, ფ. 59, ან. 1, ს. 275, ფ. 1).

1873 წელს ქუთაისის საგუბერნიო მმართველობამ სვიმონ შხვაცაბაიას დაუმტკიცა მესხეთის ქუჩაზე ერთსართულიანი ქვის სახლის პროექტი (ქცა, ფ. 130, ან. 1, ს. 127, ფ. 126). ამ პროექტით როდის განახორციელა მან მშენებლობა, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ვიცით, რომ 1876 წელს მიხეილის სათავადაზნაურო ბანკიდან 3000 მანეთ თანხას ითხოვდა



ქუთაისის მცხოვრები აზნაური სვიმონ შვაცაბაია და გირაოში დებდა ერთსართულიან ოროთახიან ქვის დუქანს და ერთსართულიან ხის ექვსოთახიან სახლს (ქცა, ფ. 22, ან. 1, ს. 14, ფ. 40), ხოლო 1878 წელს მან საადგილმამულო ბანკში დააგირავა მესხეთის ქუჩაზე მდებარე მამული ფართით 248 კვ. საჟენი. მამულში იდგა სამოთახიანი კრამიტით დახურული ქვის დუქანი და ერთსართულიანი ყავრით დახურული შელესილი ექვსოთახიანი ხის სახლი. მოგვიანებით ეს მამული შეიძინეს მელიტონ და მარიამ ჩხეტიებმა (ქცა, ფ. 22, ან. 1, ს. 312, ფ. 3).

XX საუკუნის დასაწყისში ლევაშოვის (მერაბ კოსტავას – მ.კ.) ქუჩაზე მცხოვრებად ჩანს სიმონის ვაჟი იაკობ შვაცაბაია (ქცა, ფ. 108, ან. 1, ს. 2701, ფ. 30). აქ ეს ოჯახი თბილისში გადასვლამდე ცხოვრობდა.

სიმონ შვაცაბაიას ოჯახის შემადგენლობაა და საქმიანობაზე მცირე ცნობები მოგვეპოვება. ვიცით, რომ მას ჰყავდა ზემოთ ნახსენები შვილი იაკობი და ვლადიმერი, რომელიც 1883 წლის 30 აპრილს დაიბადა და 5 ნოემბერს ქუთაისის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში მონათლეს. მისი მშობლები არიან აზნაური სიმონ ხალილის ძე შვაცაბაია და ეფემია ბეროს ასული, ორივე მართლმადიდებლური სარწმუნოების. ნათლია იყო კოლეჟსკი სეკრეტარი ვახტანგ დავითის ძე თურმანიძე (ქცა, ფ. 1, ან. 1, ს. 6742, ფ. 3). 1867 წლის 24 იანვარს ქუთაისელი კოლეჟსკი სეკრეტარი სიმონ ღულაძე სთხოვდა ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორს ი. ლევანდას თავისი ნათლულის, აფხაზი აზნაურის მცირეწლოვანი იაკობ სიმონის ძე შვაცაბაიას გიმნაზიაში მიღებას, რომელიც მართლაც მიღებულ იქნა, მაგრამ 1868 წლის 22 ივნისს გამოცდებზე უარყოფითი შეფასების გამო გარიცხულ იქნა (ქცა, ფ. 94, ან. 1, ს. 6485, ფ. 1). ასევე მისი შვილი უნდა იყოს 1922 წელს ქუთაისში მცხოვრები სოფიო სიმონის ასული შვაცაბაია (ქცა, ფ. 21, ან. 2, ს. 4004, ფ. 3).

იაკობი მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი ყოფილა. ის ადრე გარდაცვლილა, სავარაუდოდ, 1905 წელს (იაკობი 1904 წლის აგვისტოში ჯერ კიდევ ცოცხალი ჩანს (ქცა, ფ. 94, ან. 1, ს. 3978, ფ. 19). როგორც მისი ვაჟის, 1904-1915 წლებში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლის, 1896 წლის 26 იანვარს დაბადებული აზნაურ კონსტანტინე იაკობის ძე შვაცაბაიას პირადი საქმიდან ჩანს (ამ საქმეში მას ეროვნებად მითითებული აქვს მეგრელი) (ქცა, ფ. 94, ან. 1, ს. 3978, ფ. 1), ის მრავალშვილიანი ღარიბი ოჯახის შვილი იყო. 1906 წლისთვის მისი დედის, 35 წლის ქვრივ პელაგია თევდორეს ასულის ოჯახში ცხოვრობდნენ შვილები: 1) მიხეილი – 14 წლის, ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლე, 2) კონსტანტინე – 10 წლის, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უფროსი მოსამზადებელი კლასის მოსწავლე, 3) ვარლამი – 8 წლის, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის მოსწავლე, 4) ელენე – 5 წლის, 5) ქეთევანი – 3 წლის, 6) გიორგი – წლინახვერის და 7) ლუბა – 17 წლის. ყველა ესენი იმყოფებოდნენ დედის კმაყოფაზე, რომელიც შვილებთან ერთად ცხოვრობდა ლევაშოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში, რომელიც 6 ოთახისაგან შედგებოდა. აქედან

4 ოთახი გაქირავებული ჰქონდათ თვეში 12 მანეთად (ქცა, ფ. 94, ან. 1, ს. 3978, ფ. 14). კონსტანტინე შემდეგში პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა (ქცა, ფ. 94, ან. 1, ს. 3978, ფ. 3). ის გახლდათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ფედერაციის მთავარი თერაპევტი. მოღვაწეობდა რუსეთში ი.მ. სეჩენოვის კვლევით ინსტიტუტში. გარდაიცვალა 1960 წელს. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევრიჩის სასაფლაოზე. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გახლდათ მისი ვაჟი იგორ კონსტანტინეს ძე შვაცაბაია (1928-1988). ისიც ნოვოდევრიჩის სასაფლაოზეა დაკრძალული. მამა-შვილის შესანიშნავი საფლავი გაკეთებულია მათი ძმისშვილისა და ბიძაშვილის, გიორგი გიორგის ძე შვაცაბაიას მიერ.

იაკობ შვაცაბაიას მეორე ვაჟი გიორგი (1904-1993) ასევე ცნობილი პიროვნება გახლდათ. ის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალისტი იყო, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მისი შვილები არიან: გიორგი გიორგის ძე შვაცაბაია – საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე და ზურაბ გიორგის ძე შვაცაბაია – პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი.

ასეთია ქუთაისში პირველი აფხაზის დასახლებისა და ოჯახის ისტორია, რასაც ქუთაისში აფხაზეთის ქუჩის დაარსებაც მოჰყვა. ქუთაისში მცხოვრები პირველი აფხაზის, სიმონ შვაცაბაიას ოჯახმა საქართველოს შესანიშნავი შვილები მისცა.

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- სცა ფ. 489: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 579, ფურცელი 21.
- ქცა ფ. 1: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 6742, ფურცელი 3, 4, 5.
- ქცა ფ. 108: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 108, ანაწერი 1, საქმე 309, ფურცელი 124, 138, 193.
- ქცა ფ. 108: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 108, ანაწერი 1, საქმე 2701, ფურცელი 30.
- ქცა ფ. 130: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 130, ანაწერი 1, საქმე 127, ფურცელი 126.
- ქცა ფ. 21: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, ანაწერი 1, საქმე 4991, ფურცელი 1, 3, 5, 8.
- ქცა ფ. 21: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, ანაწერი 2, საქმე 340, ფურცელი 2, 3, 4.

- ქცა ფ. 21: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, ანაწერი 2, საქმე 4004, ფურცელი 3.
- ქცა ფ. 22: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 22, ანაწერი 1, საქმე 14, ფურცელი 40.
- ქცა ფ. 22: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 22, ანაწერი 1, საქმე 312, ფურცელი 3.
- ქცა ფ. 59: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 59, ანაწერი 1, საქმე 275, ფურცელი 1.
- ქცა ფ. 94: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 94, ანაწერი 1, საქმე 3978, ფურცელი 1, 3, 14, 19.
- ქცა ფ. 94: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 94, ანაწერი 1, საქმე 6485, ფურცელი 1.
- ნიკოლეიშვილი 1984: ნიკოლეიშვილი მ., ქუთაისი 100 წლის წინათ, გაზეთი „ქუთაისი, 11.11.1984, გვ. 4.
- ნიშნინიძე... 2022: ნიშნინიძე ო., კუპრაშვილი ს., კეზევაძე მ., თავბერიძე ე., წვერავა ვ., ქუთაისი და ქუთაისის ქვეყანა. ქუთაისი, 2022.
- Кутаиси по однодневной переписи 10 апреля 1885 г. Кутаиси. 1887.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6985>

**გვარები და გვართა დასახლებები  
გალის რაიონის სოფელ ცხირში<sup>1</sup>**

**Family Names and Family Settlements  
in the Village of Tskhiri, Gali Region**

**სოფიო კეკუა**

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Sopio Kekua**

Saint Andrew the First-Called  
Georgian University of the Patriarchate  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The village of Tskhiri is located within the occupied territory of Abkhazia in the Gali region approximately 12 kilometers from Gali. Extending across a significant area on both sides of the Eristkali River, Tskhiri was historically divided into three villages in 1930. One village became part of the first village council of Gali, the second joined the Recho-Tshiri council, and the third integrated with the Tskhiro-Gali village committee, assuming the name «Kvemo Tskhiri.» Eventually, Tskhiri established its village council with Tskhiri village serving as its center.

Presently, Tskhiri falls under the Tkvarcheli region, an artificial administrative division that encompasses portions of the Gali and Ochamchire villages. However, it adopted the name «Tshir» upon becoming part of this region. The village is located 70 kilometers away from the contemporary regional center. The local population categorizes Tskhiri into three districts: Tshiti, Jhin Tskhiti (Upper Tskhiri), and Etseri. These districts are further subdivided into ancestral neighborhoods, with each district housing closely related families.

The ancestral neighborhoods primarily consist of one family, resulting in their relatively small size. According to local classifications, there are currently five ancestral neighborhoods: Sazukhbaio (derived from Zukhbaia), Sakamkio (derived

<sup>1</sup> საანალიზო მასალა ჩაწერილია 2022 წელს სოფელ ცხირში.

from Kamkia), Sanakofio (derived from Nakofia), Sarodonaio (derived from Rodonaia), and Satsatavo (derived from Tsatava). While only one family remains from the Zukhbaia, Kamkia, and Tsatava communities, their ancestral neighborhoods, namely Sazukhbaio, Sakamkio, and Satsato, have endured.

The data presented in this article was collected in 2022 in the village of Tskhiri. The objective of this research is to examine the changes in family settlements within Tskhiri over the past two decades. Before the war, approximately 30 family names were recorded in the village, which decreased to 25 following the conflict. The current residents have identified the following family names in the village: Alsandia, Alphenidze, Aronia, Bakarandze, Buava, Gogilandze, Gogokhia, Esaia, Zukhbaia, Kamkia, Kortava, Krementsovi, Laishvili, Matua, Nakopia, Rodonaia, Uzarashvili, Shafanski, Chekheria, Tsaguria, Tsatava, Tsikolia, Tsimitia, Cholaria, and Khiklandze.

The family names that emerged in the village after the war include Krementsovi, Tsaguria, and Cholaria.

Despite recent developments, there has not been an ethnic transformation within the village. Georgian families have historically populated the area, a characteristic that remains true to this day. However, the population has significantly declined, with approximately 100 households in the past reducing to around 40 presently. While there is one family of Polish origin, they also speak Georgian like the rest of the residents.<sup>9</sup>

**საკვანძო სიტყვები:** ქართველები ოკუპირებულ აფხაზეთში, გვარები და გვართა დასახელებები გალის რაიონში, სოფელ ცხირის მოსახლეობის სტატისტიკა.

**Keywords:** Georgians in occupied Abkhazia, clans and clan settlements in Gali district, population statistics of Tskhiri village.

სოფელი ცხირი მდებარეობს ოკუპირებულ აფხაზეთში – გალის რაიონში. იგი გალიდან დაშორებულია 12 კმ-ით. სოფლის შესახებ არსებული გამოკვლევების მიხედვით, ცხირი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას მდ. ერისწყლის ორივე მხარეს ჭუბურხინჯიდან ღუმურიშამდე. 1930 წელს იგი სამ სოფლად დაიყო, რომელთაგან ერთი პირველი გალის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა, მეორე – რეჩხო-ცხირის, მესამე კი „ქვემო ცხირის“ სახელწოდებით – ცხირო-გალის სასოფლო საბჭოში. მოგვიანებით შეიქმნა ცხირის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ცხირში (ვრცლად იხ.: ცხადაია... 2003: 309).

დღეს ცხირი შედის ნაწილობრივ გალისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის სოფლებისაგან ხელოვნურად შექმნილი ტყვარჩელის რაიონის შემადგენლობაში შეცვლილი ცხირ სახელით. დღევანდელი რაიონული ცენტრიდან სოფელი დაშორებულია 70 კმ-ით. ადგილობრივი მოსახლეობა

სოფელს ყოფს სამ უბნად: ცხირი, ჟინცხირი „ზემო ცხირი“, ეწერი. თითოეულ უბანში კომპაქტურად ჩასახლებული გვარები ცალკე ქმნიდნენ საგვარეულო უბნებს, რომელთა სახელები დღესაც შემორჩა, ასეთია, მაგ., საზუხბაიო, საროდონაიო, საკამკიო და სხვ.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ბოლო ოცი წლის მანძილზე დღევანდელ სოფელ ცხირში მომხდარი ცვლილებები გვართა დასახლებების თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, ომამდე სოფელში 30-მდე გვარი ცხოვრობდა, ომის შემდეგ კი მათი რაოდენობა შემცირდა 25-მდე. ეს გვარებია: ალსანდია, ალფენიძე, არონია, ბაკარანძე, ბუაფა, გოგილანძე, გოგობია, ესაია, ზუხბაია, კამკია, კორტავა, კრემენცოვი, ლაიშვილი, მატუა, ნაყოფია, როდონაია, უზარაშვილი, შაფანსკი, ჩეხერია, ცაგურია, ცატავა, ციკოლია, ციმიტია, ჭოლარია, ხიკლანძე.

გვარების დიდი ნაწილი შედგება თითო ოჯახისაგან, რაც თავისთავად საგვარეულო უბნების სიმცირესაც იწვევს. ადგილობრივთა დაყოფით სოფელში დასტურდება ხუთი საგვარეულო უბანი: საზუხბაიო (< ზუხბაია), საკამკიო (< კამკია), სანაყოფიო (< ნაყოფია), საროდონაიო (< როდონაია), საცატო (< ცატავა). მართალია, დღეს ზუხბაია, კამკია და ცატავა მხოლოდ თითო ოჯახია სოფელში, მაგრამ საზუხბაიო, საკამკიო და საცატო საგვარეულო უბნები მაინც შემორჩენილია.

საზუხბაიო – ზუხბაიების უბანი ცხირში, გალის ზღვის მიმდებარედ<sup>2</sup>. ინფორმატორთა თქმით, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა ზუხბაიების 3 ოჯახი, დღეს ეს უბანი დაცლილია, მაგრამ ადგილის სახელი საზუხბაიო მაინც შემორჩა. ზუხბაია გვარის წარმომადგენელი სოფელში მხოლოდ ერთი ოჯახია, რომელიც ცხოვრობს საროდონაიოს უბანში. ადგილობრივთა თქმით, გვარი აფხაზური ზუხბა-საგან მოდის. გვარსახელის აფხაზურ წარმომავლობაზე მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც: საკუთარი სახელი ზუხუბა, შდრ., აფხაზ. ზუხბა (მაისურაძე 1990: 70). აფხაზეთში დღეს არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, -ბა სუფიქსიანი, ასევე ზოგიერთი სხვა ქართველური წარმომავლობის გვარების გააფხაზურების მცდელობა შეინიშნება.

საკამკიო – კამკიების უბანი. კამკია 3 კომლი იყო სოფელში, დღეს მხოლოდ ერთი ოჯახია დარჩენილი. მიუხედავად ამისა, საგვარეულო უბანი საკამკიო მაინც შემორჩენილია. ნ. ჯომიდავას აზრით, კამკია გვარსახელი დაკავშირებულია კამკამასთან, რასაც კამკამი გააქვს (ჯომიდავა 1996: 89), პ. ცხადაიას შეხედულებით კი გვარსახელი კამკია კანკიას ვარიანტია (ცხადაია 2000: 92).

სამატუო – მატუების უბანი ადრე. სოფელში მატუა 3 კომლი იყო, დღეს დარჩენილია ერთი ოჯახი. ინფორმატორის თქმით, გვარი მოსულია საჩინოდან (წალენჯიხის რ.). პ. ცხადაიას მიხედვით, მატო ძვ. ქართულში, ხოლო მატუ, მატუნა თანამედროვე სამეგრელოში გავრცელებული სახელებია (ცხადაია 2000: 110). მატუ, მატუა საკუთარი სახელები

<sup>2</sup> ადგილობრივი მოსახლეობა გალის ზღვას „დავუბულ წყარს“ უწოდებს.

დასტურდება ალ. ლლონტთანაც (ლლონტი 1986: 158). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მატუა გვარსახელს საფუძვლად უდევს პირსახელი მატო, მატუ. მატუები არიან აფხაზებშიც.

სანაყოფიო – ნაყოფიების უბანი. მართალია, ნაყოფია გვარის წარმომადგენელი სული 8 კომლი იყო სოფელში, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვან გვარად მიიჩნეოდა. დღეს დარჩენილია მხოლოდ 3 ოჯახი. ინფორმატორთა მიხედვით, გვარსახელი მომდინარეობს ნაყოფი სიტყვისაგან. ნაყოფიას ნაყოფაა მეტსახელისაგან წარმომდგარად მიიჩნევენ ნ. ჯომიდავა (ჯომიდავა 1996: 122).

საროდონაიო – როდონაიების უბანი. ინფორმატორთა თქმით, ნაყოფიების შემდეგ დღეს რიცხოვნობით მეორე საგვარეულოა როდონაია. ადრე, როდესაც ცხირი სოფელ რეჩხის თემის შემადგენელი ნაწილი იყო, როდონაიების 52-მდე კომლს ითვლიდნენ, დღევანდელ ცხირში კი 4 ოჯახი ცხოვრობს. გვარი კომპაქტურად არ არის დასახლებული, თუმცა უბანი მაინც საროდონაიოდ იწოდება. ადგილობრივები როდონაიას როდოსისგან მომდინარედ მიიჩნევენ. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისით, როდონაია მომდინარეობს ბერძნული როდიონ (ზ. ჭუმბურიძე), როდონა (ი. მაისურაძე) სიტყვისაგან. ზ. ჭუმბურიძის განმარტებით, როდოს „ვარდს“ ნიშნავს, ასე რომ, როდიონ შეიძლება ითარგმნოს როგორც „ვარდი“ ან „ვარდისფერი“, აქედანაა გვარი როდონაია (ჭუმბურიძე 1992: 138-139; მაისურაძე 1990:138). პ. ცხადაიას მიხედვით, მეგრულში როდონ ეწოდება ზოგადად ყოველგვარ ჭურჭელს. შესაძლებელია, ასეთი სიტყვა მეტსახელად შერქმეოდა პიროვნებას და შემდეგ იქცა გვარსახელად. მეორე მხრივ კი, მეცნიერი გვარსახელ როდონაიას ბერძნული როდიონის მეგრულად ადაპტირებულ ვარიანტად მიიჩნევენ (ცხადაია 2000: 123).

საცატო – ცატაების უბანი. სოფელში ცატავა გვარის წარმომადგენელი 5 ოჯახი იყო, დღეს დარჩენილია 3. ნ. ჯომიდავას ვარაუდით, ცატავა მომდინარეობს ცვატა მეტსახელისაგან: ცვატავა -> ცატავა. ვინი დაკარგული ჩანს (ჯომიდავა 1996: 177). პ. ცხადაიაც ადასტურებს ცატავა გვარსახელს გალის მახლობლად, ზემო ცხირში. ცატა საკუთარი სახელი ფიქსირდება სოფ. ოტობაიაში (ცხადაია, 2000: 155). ვფიქრობთ, რომ ცატავა გვარსახელი მომდინარეობს პირსახელ ცატა-საგან -ვა სუფიქსის დართვით: ცატა > ცატა-ვა.

რაც შეეხება დანარჩენ გვარებს, ისინი თითო, ორ ან სამ კომლად დასტურდება სოფელში.

აღსანიღია გვარის მატარებელი ერთი ოჯახია სოფელში. პ. ცხადაია აღსანიღიას განმარტებისას უთითებს გვარსახელ ალექსანდრიაზე. მისი აზრით, აღსანიღია საპასპორტო ვარიანტია, რომელიც გამოვლენილია ძირითადად ზუგდიდში. ასევე უშვებს ალბათობას, რომ გვარსახელი მიღებულია ასლანიღიასგან: ასლანიღია > აღსანიღია (ცხადაია 2000: 50, 53).

აღფენიძე ერთი კომლია, რომელიც ფიქსირდება ეწერის თემში.

ალფენიძე ალფე <- ალფეზ პირსახელისგან მომდინარედ მიიჩნევა, ალფენ კი მისი კნინობითი ვარიანტია (ცხადაია 2000: 4). ალფენიძეები შედარებით მრავლად არიან გალის რიონის სოფელ ოტობაიაში.

არონია ერთი ოჯახია სოფელში. ინფორმატორთა ვარაუდით, გვარი მომდინარეობს არონ საკუთარი სახელისაგან. მამაკაცის სახელი არონი დღესაც დასტურდება გალის რაიონშიც და ქართველ ებრაელთა შორისაც. პ. ცხადაია პირსახელს ადასტურებს სვანეთშიც (ცხადაია 2000: 52). ვფიქრობთ, გვარსახელს საფუძვლად უდევს პირსახელი არონი: არონი-ა <- არონი.

ზაკარანძე ერთი კომლია სოფელში. გვარსახელის ძირითად ვარიანტად მიჩნეულია ზაკარაძე, თუმცა პ. ცხადაიას კვლევის თანახმად, უფრო მეტად გავრცელებულია ზაკარანძე ვარიანტი: ზაკარანძე 322 სულია სამეგრელოში, ხოლო ზაკარაძე – 129 (ცხადაია 2000: 55). გვარსახელის საფუძვლად მიჩნეულია პირსახელი ზაკარა.

ბუაგა 2 ოჯახია. ნ. ჯომიდავას მიხედვით, ბუაგა: 1. ბუა მოგონილი საფრთხობელა, რომლითაც ბავშვებს აშინებენ; 2. ბუა მოფერებით მსხვილფეხა საქონელი ბავშვის ენაზე. შდრ., გვარსახელი ბუაძე, ბუაშვილი (ჯომიდავა 1996: 38). ბუაგა მიჩნეულია ბუაძის ვარიანტად (ცხადაია 2000: 62). ბუა მეტსახელი ფიქსირდება ალ. ლლონტთან (ლლონტი 1986: 93), ვფიქრობთ, მეტსახელი ბუა უდევს საფუძვლად გვარსახელ ბუაგა-ს: ბუა -> ბუა-გა.

გოგილანძე ორი ოჯახი იყო სოფელში, დღეს დარჩენილია ერთი. ინფორმატორის თქმით, ეს უნდა იყოს გოგილანძე გვარსახელის ნ ჩართული ვარიანტი. ი. გაგულაშვილთან დასტურდება გოგილანძე ვარიანტი (გაგულაშვილი 1993: 27). გოგილა პირსახელი ვლინდება ალ. ლლონტთან (ლლონტი 1986: 104). გვარსახელის მიღების გზა შეიძლება ასე დავსახოთ: პირსახელი: გოგილა -> გვარსახელი: გოგილანძე -> გოგილანძე.

გოგობია გვარის მატარებელი ერთი ოჯახია სოფელში. გოგობია მოსულია სოფ. ფახულანდიდან (წალენჯიხის რ.). ინფორმატორთა თქმით, გოგობი არის მცირე გოდორი. სავარაუდოდ, გვარი გოგობია-ც აქედანაა მიღებული და დაერქვა იმ პროფესიის ადამიანებს, რომლებიც ამ გოგობებს ამზადებდნენ. პ. ცხადაიას მიხედვით, გამოიყოფა პირსახელი გოგო, რომელიც მამაკაცის სახელია (ცხადაია 2000: 73), ი. მაისურაძე სავარაუდოდ გამოყოფს საკუთარ სახელს გოგობი (მაისურაძე 1990: 48).

ესაია ერთი ოჯახია სოფელში, ეწერის თემში. ზ. ჭუმბურიძე საკუთარ სახელებს შორის ასახელებს ძვ. ებრაული წარმომავლობის პირსახელ ესაიას, რაც მისივე განმარტებით ნიშნავს: „ხსნა უფლისაგან“, „ღვთისაგან მოვლენილი დახმარება“. აქედანაა გვარი ესაიაშვილი. მერმინდელი ფორმაა ისაია (ჭუმბურიძე 1992: 110). ესაია საკუთარი სახელი დასტურდება ალ. ლლონტთან (ლლონტი 1986: 119).

კორტავა ერთი ოჯახია ცხირში. ინფორმატორის თქმით, გვარი მოსულია ოჩამჩირის რიონის სოფ. რეკადან. ი. მაისურაძე გვარსახელს



აკავშირებს სიტყვა კორტთან, რაც მისი განმარტებით ნიშნავს: ამაცს, ზვიადს, ქედმაღალს, უნდა ნიშნავდეს გორაკსაც, საერთოდ მაღალს, ამართულს. ავტორის აზრით, ამავე ძირისაა: კორტავა, კორტიაშვილი, კორტანელი (მაისურაძე 1990: 91-92). პ. ცხადაია მიიჩნევს, რომ კორტავა გვარსახელს შესაძლოა საფუძვლად დასდებოდა კოტორი მეტსახელი, რაც მეგრულში ნიშნავს ზაჭიასაც და მოკლე მორსაც. მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში გვარსახელის მიღების შემდეგი გზაა მოსალოდნელი: კოტორი -> კოტორა -> კოტორა-ვა -> კოტრავა -> კორტავა (ცხადაია 2000: 100), შდრ., ოკრიბაში (ტყეზულის რ.) გავრცელებული უსუფიქსო კორტი გვარი.

კრემენცოვი – ერთი კომლი. გვარსახელი რუსული, უკრაინული ან ბელარუსულია.

ლაიშვილი ერთი ოჯახი გვხვდება სოფელში. გვარსახელი ლაიშვილის ერთ-ერთ ვარიანტად არის მიჩნეული (მაისურაძე 1990: 95).

უზარაშვილი ორი ოჯახია. უზარაშვილი დაკავშირებულია უზარა საკუთარ სახელსთან (მაისურაძე 1990: 157). ნ. ჯომიდავასთან დასტურდება გვარსახელი უზარასკუა. უზარასკუა – უზარ-ა, უზარალო, სქუა-ძე – უზარალოშვილი (ჯომიდავა 1996: 141). უზარა ალ. ღლონტსაც აქვს შეტანილი საკუთარ სახელებში. ამდენად, შესაძლებელია, რომ უზარა პირსახელი ედოს საფუძვლად გვარსახელ უზარაშვილს.

შაფანსკი ორი კომლი გვხვდება სოფელში. შაფანსკები ამბობენ, რომ არიან პოლონეთიდან. ტყვედ ჩავარდნილი შაფანსკი დარჩენილა აფხაზეთში. ამ გვარის წარმომადგენელი მოსულა სოფელ ცხირში. ერთი კომლი ცხოვრობს მოსაზღვრე სოფელ ღუმურიშიც. დღეს გვარი გაქართველებულია (კეკუა 2015: 139).

ჩეხერია ერთი ოჯახია. ნ. ჯომიდავას განმარტებით, ჩეხერია მოდის ჩეხერა-საგან, რაც ნიშნავს „ქედმაღალს, ამპარტავანს“ (ჯომიდავა 1996: 171). ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას.

ცაგურია – ერთი კომლი, მოსაზღვრე სოფელ ღუმურიშიდან საცხოვრებლად გადავიდა სოფელ ცხირში. ნ. ჯომიდავას აზრით, ცაგურია-ში ცაგურ შესაძლოა ცაგო სახელის კნინობითი ფორმა იყოს (-ურ კნინობითობის სუფიქსი) (ჯომიდავა 1996: 176). ცაგო, ცაგუ საკუთარი სახელები დასტურდება ალ. ღლონტთან (ღლონტი 1986: 310).

ციკოლია – ინფორმატორთა თქმით, 15-მდე ოჯახი ყოფილა, სანამ სოფლის ნაწილი დაიტბორებოდა. დღეს მხოლოდ ერთი ოჯახია. გვარსახელში გამოიყოფა ციკო პირსახელი (ცხადაია 2000: 155).

ციმიტია ორი კომლია სოფელში. სამეცნიერო ლიტერატურაში დასტურდება ციმინტია ვარიანტიც (გაგულაშვილი 1993: 90; ჯომიდავა 1996: 177) პ. ცხადაიასთან გვხვდება როგორც ციმინტია, ასევე ციმიტია, თუმცა ამ უკანასკნელს მეცნიერი ციმინტიას ვარიანტად მიიჩნევს (ცხადაია 2000: 155).

ჭოლარია ერთი კომლია სოფელში, ციმიტიების ოჯახში ჩასიძებული. აღსანიშნავია, რომ ჭოლარიები ძირითადად აფხაზები არიან (ანდა

აფხაზობენ), მაგრამ ცხირში მოსული ამ გვარის შთამომავლები დანარჩენი ქართულენოვანი მოსახლეობის მსგავსად ცხოვრობენ სოფელში. ეტიმოლოგიურად გვარსახელს ქართული წარმომავლობის პირსახელი ჭოლა უნდა ედოს საფუძვლად, რომელსაც ზ. ჭუმბურიძე ასე განმარტავს: ჭოლა (ქართ.) „ვაჟი“, „ყმაწვილი“ (შდრ., მეგრ. ჭკორი „ყმა“). აქედანაა გვარი ჭოლაძე (ჭუმბურიძე 1992: 151). ნ. ჯომიდავა გვარსახელში გამოყოფს ჭოლარ შერქმეულ სახელს (ჯომიდავა 1996: 190).

ხიკლანძე ორი ოჯახია. ი. გაგულაშვილთან დასტურდება ვარიანტი ხიკლაძე (გაგულაშვილი 1993: 97). ეტიმოლოგია საძიებელია.

ომის შემდეგ სოფელში გაჩენილი გვარებია: კრემენცოვი, ცაგურია, ჭოლარია.

ცხირში დღეს აღარ გვხვდება გვარები: კვარაცხელია, კრემენცოვი, ლეჟავა, ნარმანია, ქარცხია, ჭედია. თუმცა შესაძლებელია რომელიმე გვარის შთამომავალი კვლავ დაუბრუნდეს საკუთარ ფესვებს.

საბოლოოდ, ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ, მიუხედავად ბოლო წლებში განვითარებული მოვლენებისა, სოფელ ცხირში ეთნიკური თვალსაზრისით ცვლილება არ მომხდარა. დასტურდება პოლონური წარმომავლობის ერთი გვარი, თუმცა, როგორც სხვა დანარჩენი, ამ გვარის წარმომადგენელიც ქართულენოვანია. სლავური წარმომავლობისაა კრემენცოვი. სოფელი მუდამ იყო დასახლებული ქართული ოჯახებით და ასეა დღესაც. ცვლილება აისახა მხოლოდ მცხოვრებთა რაოდენობაზე, რომელიც საგრძნობლად შემცირდა. სოფელში ომამდე 100-მდე კომლი იყო, დღეს კი მისი რაოდენობა 40-მდეა შემცირებული.

#### გამოყენებული ლიტერატურა

გაგულაშვილი 1993: გაგულაშვილი ი., ქართული გვარები. საკუთარი სახელები. ქუთაისი, 1993.

კეკუა 2015: კეკუა ს., გვარები და გვართა დასახლებები სოფელ ღუმურიშში, ონომასტიკური კრებული. ახალციხე, 2015.

მაისურაძე 1990: მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები. თბილისი, 1990.

ღლონტი 1986: ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები. თბილისი, 1986.

ცხადაია 2000: ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი, 2000.

ცხადაია... 2003: ცხადაია პ., ჯოჯუა ვ., სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბილისი, 2003.

ჭუმბურიძე 1992: ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბილისი, 1992.

ჯომიდავა 1996: ჯომიდავა ნ., კოლხური (მეგრული) გვარსახელები, წიგნი I, თბილისი, 1996.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6986>

**გორში მცხოვრებ ჩხორთოლელთა  
მეტყველების ზოგიერთი თავისებურება**

**Linguistic Characteristics of the Chkhortolian Dialect  
Spoken by the Inhabitants of Gori**

**მარიამ კობერიძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, გორი

**Mariam Koberidze**

Cori State University  
Georgia, Cori

**ABSTRACT**

The investigation into the linguistic, historical-geographic, and cultural aspects of the indigenous and historical region of Georgia, especially of occupied Abkhazia, holds significant relevance in the context of contemporary society. This article aims to present specific linguistic features observed in the speech of the forcibly displaced population living in Gori, originating from the Chkhortoli village in the Gali district of Abkhazia. The analysis is conducted through the examination of relevant illustrative examples, focusing on the following aspects:

1. Development of the Chkhortolian dialect within the dialectal environment of Shida Kartli, encompassing intonation patterns, accentuation, and grammatical forms.

2. Evolution of memory concerning village toponymy and vocabulary, including the understanding of place names, folk etymology, and scientific etymology.

An intriguing comparison is drawn between the speech of the displaced population during the 1990s and the period following the 2008 war, examining the linguistic variations across generations. The speech of the Chkhortoli people exhibits language phenomena inherent in the Georgian language system.

The toponyms in the Chkhortoli village exemplify two distinctive models of delimiters: either combined with the delimiter or standing alone. Place names originating from the village of Chkhortoli, rooted in Georgian heritage, reflect the region's occupational activities, traditions, and cultural expressions. These place names encapsulate rich, diverse, and reliable information.

The name „Chkhortoli“ itself carries the meaning of „nine eyes“, derived from the Megrelian words „chkhoro“ and „toli“. The term „chkhoro“ (nine) finds confirmation in the toponymy of Georgia, seen in the names of mountainous villages and rivers such as Chkhorotsku, Chkhorotskari, Tskhramukha, and Tskhratska-ro. In each instance, it denotes the abundance of water or water streams.

„Okhoje“ serves as a designation for both a river and a bull stall. The term „khoj“ refers to a bull in Megrelian. The affix „o-e“ signifies a destination or place. Similarly, „Tsarche“ is explained in Megrelian as „tsar-che“, meaning „white water“, but colloquially referred to as „white eyebrow“ by the local population due to the limestone nature of the Chkhortoli area.

Another notable place in Chkhortoli is „Khachalara“, associated with sparse grass growth and predominantly mountainous terrain. The districts within the Chkhortoli village include Ekiani Chkhortoli (Upper Chkhortoli), Guri Chkhortoli (Middle Chkhortoli), and Tudolani Chkhortoli (Lower Chkhortoli). The names of these locations derive from the sa-o prefix-suffix combination, indicating the surnames of individuals re-siding in the village, such as Gamisonia (Sagamisionio), Kikoria (Sakikorio), and Zarkua (Sazarkuo).

The culinary vocabulary of Chkhortoli unveils terms such as Elarji, Gebzhalia, Chincholiya, Jinjolia, and Dzrdzi. Furthermore, attention is drawn to the distinct intonation observed in interrogative sentences within Shida Kartli, where the tone either continues or rises when the particle „-o“ is attached to a specific word in Megrelia.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახები გორში, სოფელ ჩხორთოლიდან დევნილთა მეტყველება.

Keywords: Refugee families from Abkhazia in Gori, refugee speech from Chkhortoli village.

საქართველოს ძირძველი და ისტორიული კუთხის – ოკუპირებული აფხაზეთის ლინგვისტური, ისტორიულ-გეოგრაფიული და კულტურული ფაქტების კვლევა აქტუალურია თანამედროვეობასთან მიმართებით. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია გორში მცხოვრებ ოკუპირებული აფხაზეთიდან, კერძოდ, გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მეტყველების ზოგიერთი თავისებურება. შესაბამის საილუსტრაციო მაგალითებზე დაყრდნობით გაანალიზებულია: 1. როგორ განვითარდა ჩხორთოლელთა მეტყველება შიდა ქართლის დიალექტურ გარემოში (ინტონაცია, მახვილი, გრამატიკული ფორმები...); 2. როგორ შეიცვალა მათი მეხსიერება სოფლის ონომასტიკასა და ლექსიკასთან დაკავშირებით (ტოპონიმთა გააზრება, ხალხური და მეცნიერული ეტიმოლოგია...). საინტერესოა, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებისა და 2008 წლის ომის შემდეგ დევნილი მოსახლეობის მეტყველების ქრონოლოგიური შედარება, თაობათა მეტყველება... კვლევის სიახლეს

წარმოადგენს ჩვენ მიერ ნაშრომში დასმული აღნიშნული პრობლემური საკითხები.

სოფელი ჩხორთოლი მდებარეობს გალის ჩრდილო-დასავლეთით, 25-26 კილომეტრის დაშორებით. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, სოფელს სახელწოდება დარქმევია სამეთვალყურეო ციხის გამო, რომელიც ცხრათვალისანი ყოფილა. რ. ხვისტანის აზრით, სოფლის სახელწოდება „ჩხორთოლი“ მომდინარეობს მეგრული სიტყვებისაგან: „ჩხორო“ და „თოლი“, რაც ნიშნავს „ცხრა თვალს“ და მიუთითებს სოფლის შემოგარენში არსებულ სამეთვალყურეო ციხეებზე, რომლებიც ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ სამთო-სამესაქონლო გზა-გადასასვლელს აკონტროლებდნენ (ხვისტანი 2009: 14).

ქართველებში რიცხვი ცხრა იხმარებოდა (და დღესაც გამოიყენება) სიმრავლის, სიშორის, მიუწვდომლობის მნიშვნელობით: ცხრაგვარი („მრავალგვარი, მრავალნაირი“), ცხრაგზის („მრავალგზის, ბევრჯერ“), ცხრაკეცი („მრავალფენიანი“) და სხვ. საქართველოს ჰიდრონიმიაში დადასტურებულია: ცხრაწყარო, ცხრანაკადა, ცხრაპირა, ჩხოროღალ, ჩხოროწყუ, ცხროჭა და სხვ. ყველა დასახელებულ შემთხვევაში რიცხვი „ცხრა“, „ჩხორო“ გამოყენებულია წყლის სიუხვის ან წყარო-ნაკადულთა სიმრავლის აღსანიშნავად. ჩხორთოლი (ჩხორთოლ, „ცხრა თვალი“) ამასვე გამოხატავს: „უხვწყლიანი, მრავალ წყარო-ნაკადულიანი მდინარე ან ადგილი“. მეგრულიდან აფხაზურში სახელთა სესხების წესების თანახმად, „ჩხორთოლ“ ტოპონიმს უნდა მოეცა „ჩხვართალ“ ფორმა, პირუკუ, ე. ი. აფხაზური „ჩხვართალიდან“ მეგრულ „ჩხორთოლს“ ვერ მივიღებდით (ცხადაია 2000 ბ: 75).

ჩხორო (ცხრა) ხშირად იჩენს თავს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში (მდინარეებისა და მთა-სოფლების სახელწოდებებში). მაგ.: ჩხოროწყუ – ქალაქი, ადმინისტრაციული ცენტრი დასავლეთ საქართველოში, გაშენებულია მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე. ჩხოროწყუს ორივე შემადგენელი ფუძე მეგრულია: ჩხორო („ცხრა“), წყუ („წყალი“, „წყარო“). ცხრა საკრალური რიცხვია და წყაროთა სიმრავლეზე უნდა მიგვანიშნებდეს. ჩხოროწყარი (ჩხოროწყუ) – მდინარე მარტვილის რაიონში, ტეხურის მარცხენა შენაკადი, ცხრამუხა – სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში, ცხრაფონა – სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ცხრაწყარო – ზესტაფონის მუნიციპალიტეტში. ცხრაწყარო – მთა ახალგორის მუნიციპალიტეტში, ხარულის ქედზე. იგივე სახელი (ცხრაწყარო) ჰქვია მთას ბორჯომის რაიონშიც, თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში, ცხრამულა – მდინარე ქართლში, ქსნის მარცხენა შენაკადი. მრავლის სინონიმად გვხვდება მცენარეთა სახელწოდებაში ცხრამარღვა გურულში. ჩხოროწყუ – „წყარომრავალ“ ადგილად უნდა გავიაზროთ (ბედოშვილი 2002: 467, 468).

სიმრავლის გააზრებაა მოცემული ადგილის სახელწოდებაში ჩხორეთი (ცხრამის თემი) (ქართლში, ახალგორის მუნიციპალიტეტი,

სოფელი დადიანეთი)<sup>1</sup>, რომლის ფუძემდებელია ჩხორ (ჩხორი «ცხრა») და -ეთ სუფიქსი.

აფხაზეთის ასრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინების საფუძველზე მიღებული შესაბამისი ბრძანებით, 1952 წელს გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების სასოფლო საბჭოებსა და სოფლებს შეეცვალათ სახელწოდება. მათ შორის, ჩხორთოლის სასოფლო საბჭოს სოფლები: არადუქვა, ზემო ჩხორთოლი და ქვემო ჩხორთოლი გაერთიანდა და ეწოდა ჩხორთოლი (უწყებები 1952: 4).

აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1994 წლის მაისის დადგენილებით, სახელი გადაერქვათ და ტრანსკრიფციული ცვლილება განიცადეს გალის რაიონის დასახლებულმა პუნქტებმა: გალი → გალ, სოფ. აგვავერა → აგვაიურა, აკვარეიკვა → აკვარეიკუა, აჩიგვარა → აჩგუარა, გუდავა → გუდაა, აკვაგა → აკუაგა, ბარდები → ბიარგიაპ, ლუმურიში → გუმრიშ, ლეკუმხარა → ალამკუმხარა, ოქუმი → უაქუმ, წარჩე → წარჩა, ჩხორთოლი → ჩხუართალ, შაშიკვარა → შაშიკუარა ... (ნაწყებია 2010: 2).

ტოპონიმთა სახელწოდების მიზანმიმართულ შეცვლასთან დაკავშირებით შესაბამისი ანალიზი წარმოდგენილია საენათმეცნიერო ლიტერატურაში (მიქიაშვილი 2000: 256; ნაწყებია 2010; გვანცელაძე 2000: 44-51; გვანცელაძე... 2017: 51- 61; გვანცელაძე... 2022: 174-192 ...).

ოკუპაციამდე სოფელ ჩხორთოლში მკვიდრობდნენ გვარები: კიკორია, ზუხზაია, გამისონია, ფაჩულია, სირგინავა, ქვარანძია, ზარაქუა ჩერქეზია, ბერზენია, თარზაია, ბაღზაია, კაჭარავა, გეგია და სხვ. ამჟამად გორში სახლობენ გამისონიები. მათი გადმოცემით, ჩხორთოლში გამისონია სახლობდა 24 კომლი.

გამისონია (ადგილობრივი ვარიანტი – გამსონია) გვარის წარმომადგენლები კომპაქტურად სახლობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ზუგდიდში, თბილისში, წალენჯიხაში. ადგილის სახელწოდებად გვხვდება: ნაგამსონო – ტყე, ფერდობები ხობისწყლის მარცხენა მხარეს (მუხური), საგამსონიო – უბნები ზუგდიდისა და ხობის რაიონებში, კერძოდ: კოკში (აქაური გამისონიები მოსულან კვაუთიდან), მოგირში, ჭკადუაშში, აბასთუმანში, ჭიხურში (ქ. ხობი) და ყოფილა დასახლებული უბანი გამოლმა პირველ ხორგაში (ასუასა და წიფორნას შუა). ზუგდიდელი ინფორმატორის ცნობით: „გამისონიები სამურზაყანოში მკვიდრობენ, ხოლო გაბისონიები ენგურს გადმოლმა ვცხოვრობთ“. შდრ., გაბისონია, კილასონია (ცხადაია 2000 ბ: 66).

სოფელი ჩხორთოლი დაყოფილია უბნებად: ეკიანი ჩხორთოლი (ზემო ჩხორთოლი); გური ჩხორთოლი (შუა ჩხორთოლი); თუდოლენი ჩხორთოლი (ქვემო ჩხორთოლი). სოფლის კუთხეების სახელწოდებას საფუძველად დასდებია მეგრული ლექსიკა. ეკიანი – აღმა მყოფი, ზემოთ მდებარე. ეკი/ეკე – მაღლა. -ან შეიძლება იყოს სიტყვამაწარმოებელი სუფიქსი. გური – გული, ცენტრი, შუა. თუდო – ქვევით. იმავე მნიშვნელობით გვხვდება მეგრულში თუდე „ქვევით, ქვემოთ, ქვეშ“ (ლომაია 2006: 29). სალექსიკონო მასალებში

<sup>1</sup> სოფელი დროებით ოკუპირებულია

დასტუდება: თუდონ – ქვეწარმავალი; თუდონქარი – ქვენაქარი; თუდომე – ქვევიდან; თუდოხზე – ქვემოდან. შესაძლებელია სიტყვაში – თუდო-ლენ-ი -ლე/ლენ-ი სიტყვის მაწარმოებელი აფიქსი იყოს.

როგორც ცნობილია, ქართულში სა-ო, სა-ე პრეფიქს-სუფიქსები გამოყენებულია დანიშნულების სახელების მაწარმოებლად. სა-ე აფიქსი გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს მცენარეთა, ცხოველთა და სხვა საზოგადო სახელებისაგან, ხოლო სა-ო აფიქსებით ნაწარმოებია ეთნიკური ან საკუთარი სახელებისაგან, გვარებისაგან ან სხვა „ვინ“ ჯგუფის სახელებისაგან გეოგრაფიული სახელები (ზურაბიშვილი 1961: 56). ი. ყიფშიძეს სა- პრეფიქსის ერთ-ერთ ფუნქციად ადგილის სახელების წარმოება მიაჩნდა (Кипшидзе 1914: 0129). ამ პრეფიქსით ნაწარმოებ სახელებში ამოსავალია გვარი (ჩიქობავა 1942: 196-197).

სა-ო კონფიქსს მეგრულში აპელატიური დანიშნულებაც აქვს და ტოპონიმურიც. პ. ცხადაიას ვარაუდით, სა-ო კონფიქსი თავდაპირველად უშუალოდ ტოპონიმს (ოიკონიმს) კი არ აწარმოებდა, არამედ ზედსართავ სახელს, რომელიც ახლდა გეოგრაფიულ ტერმინს და მიუთითებდა ობიექტის დანიშნულებაზე. ამის გადმონაშთია ასეთი პარალელური ფორმები: საახალიო// საახალიო კუნთხუ (ახალაიების უბანი ნაგვაზაოში), სააბაშიო//სააბაშიო კუნთხუ (უბანი ახუთში) და სხვ. საახალიო, სააბაშიო... ამ შემთხვევაში საზღვრულდაკარგული და ამ მიზეზით გატოპონიმებული დანიშნულების სახელებია (შდრ., სასადილო ← სასადილო ოთახი). სა-ო კონფიქსი შეიძლება შეგვხვდეს პირსახელთანაც და მეტსახელთანაც (ცხადაია 2000 ა: 44).

ჩხორთოლელების მეტყველებაში დასტურდება გვარსახელებისაგან სა-ო პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ადგილის (უბნების) სახელწოდებები, რომლებიც კონკრეტული გვარისადმი კუთვნილებას გამოხატავენ. მაგ.: გამისონია – სა-გამისონი-ო; კიკორია – სა-კიკორი-ო; ზუხბაია – სა-ზუხბაი-ო; ქვარანძია – სა-ქვარანძი-ო; ფაჩულია – სა-ფაჩული-ო; ზარაქუა – სა-ზარაქუ-ო (სა-ზარაქუ-ო)...

ქართლურში იმავე დანიშნულებით გვხვდება -იან-თ// -ან-თ სუფიქსი: რაზმაძე – რაზმაძ-იან-თ-ი (რაზმაძეების), შავშიშვილი – შავშიშვილი-ან-თ-ი (შავშიშვილების), ბალიაშვილი – ბალი-ან-თ-ი (ბალიაშვილების). ეს მაწარმოებელი გვხვდება ოჯახის უფროსის სახელთანაც, როგორც შტოს მაწარმოებელი: თედო-ანთი, გურამი-ანთი... ქართლში მცხოვრები ჩხორთოლელები მეგრული გვარიდან ნაწარმოებ ადგილის სახელს მოიხსენებენ: სა-გამისონი-ო, სა-ბერეზნი-ო, სა-ჩერქეზ-ო..., ხოლო ქართლში გავრცელებულ ი გვარებიდან ნაწარმოებ სახელებს -იან-თ// -ან-თ სუფიქსით: კობერიძ-იან-თ-ი, ხმალაძ-იან-თი და სხვ.

ქართლურში -იან-თ// -ან-თ სუფიქსი ქონების, კუთვნილების შინაარსთან ერთად სიმრავლისა და შტო-გვარის ფუნქციასაც გამოხატავს. ასეთივე ფუნქცია უნდა ჰქონდეს დაკისრებული სა-ო პრეფიქს-სუფიქსს შიდა ქართლში მცხოვრებ ჩხორთოლელთა მეტყველებაში.

სოფელში შემორჩენილი ძველი არქიტექტურული ძეგლების ნაშთები მიუთითებენ, რომ ჩხორთოლი დასავლეთ საქართველოში თავის დროზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ კერას წარმოადგენდა.

1971-1977 წლებში შავიზღვისპირეთის ქვის ხანის ექსპედიციამ ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჩხორთოლში აღმოაჩინა ნასახლარი, რომელიც გამოირჩევა არქეოლოგიური მასალის სიმრავლით (თიხატკეპნილი იატაკი, სამეურნეო ორმოები, კაჟისა და რიყის ქვის იარაღები – საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები და სხვა). ნასახლარი მიეკუთვნება განვითარებული ნეოლითის ხანას, ძვ. წ. აღ. VII-VI ათასწლეულებს<sup>2</sup> (შონია 2015).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ცენტრიდან 5 კმ-ის მანძილზე, მდ. ოხოჯეს შენაკად ჯუხუს სიღრმეში, მდინარის მარცხენა მხარეზე, დამრეცი ფერდის მცირე გავაკებაზე შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი, რომელიც ქრისტიანულ საკულტო ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი ფუნქციონირებდა XVI საუკუნემდე, შავიზღვისპირეთში თურქეთის გაბატონებამდე. ანალოგიური პილასტრები აქვთ შიდა ქართლის ძეგლებს: სნექვის ეკლესიას, ერედვის ბერის საყდარს (X ს.), ერედვის წმ. გიორგის (906 წ.), კუსირეთის ეკლესიას (VIII-X სს.), ხეთის საბაწმინდის (X ს.) და დისევის დარბაზულ ეკლესიას (X ს.) კომპოზიციური სქემითა და ხუროთმოძღვრული ნიშნებით ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია ანალოგიებს პოულობს ილორის (XI ს.), ლაშქენდარისა (X-XI სს.) და აჩანუას ეკლესიებთან. შუა საუკუნეების ანალოგიური კომპოზიციების მქონე დარბაზული ეკლესიები საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება (ხვისტანი 2009: 13-14). ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია ორგანულად არის დაკავშირებული ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციასთან. გამოხატავს საკულტო არქიტექტურის გავრცელებას აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ (შონია 2015: 8, 9).

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე<sup>3</sup> (XVII ს.) ჩხორთოლის ჩრდილო მხარეზე, მთის ძირში, აღნიშნულია ნანგრევი და ამ პუნქტის სახელწოდება – „გირპიგ“-ი. ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცის, როდის იმართებოდა ეკლესიაში დღეობები და ვის სახელზეა აშენებული იგი. უფრო მეტიც, ნაეკლესიარს ისინი „ჯიხას“-ს (ციხეს) უწოდებენ. აღნიშნული ფაქტი იმის საბუთია, რომ ჩხორთოლში ახალი მოსახლეობის გაჩენის დროისათვის ეკლესია აღარ ფუნქციონირებდა. გამოთქმული ვარაუდის მიხედვით, ლამბერტის რუკაზე მითითებული ნანგრევი ჩხორთოლის ეკლესია უნდა იყოს (ხვისტანი 2009: 15).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილი ნაცინარების – ჯიხა-სა და ჯოტომ ჯიხა-ს კომპლექსებში მოქცეულ, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილ მცირე სამლოცველოების ნაშთებს, საკვლევი ძეგლის გარდა, სოფლის

<sup>2</sup> მასალები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

<sup>3</sup> იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი საქართველოში 1630-1649 წლებში ცხოვრობდა, რომელმაც იტალიაში დაბრუნების შემდეგ დეტალურად აღწერა სამეგრელო და იმდროინდელი აფხაზეთის მხარე ნაშრომში „კოლხეთის აღწერა (წმინდა კოლხიდა)“. იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭკონიამ. გამოცემა მომზადდა ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით.



ტერიტორიასა და მის მახლობლად სხვა ეკლესია არ დასტურდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ არქანჯელიო ლამბერტის რუკაზე მითითებული ნანგრევი ჩხორთოლის ეკლესია უნდა იყოს (ხვისტანი 2009: 19-21).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამეურნეო დანიშნულების, ურთიერთობისა და საკულტო მნიშვნელობის გამომხატველი ადგილის სახელწოდებები.

**ხაჭალარა** – ადგილი ჩხორთოლში. შდრ.: ხარჭალია → ხაჭალია – ჩხრიალი (კენჭებისა), ჭახაჭუხი, ჭახუნი. ხაჭარელი – გახეხილი, გაფხევილი ადგილი, სადაც ბალახი ნაკლებია, უმთავრესად მთიანი.

**ხაჭალარა-ს** სემანტიკა შესაძლებელია ჩხრიალს, ჭახაჭუხს (ქვების) უკავშირდებოდეს, როდესაც ნაკლებად ბალახიან ადგილზე გადაადგილდება ვინმე. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ამ ადგილზე მხოლოდ მწყემსები დადიოდნენ. ხარჭალია → ხაჭალია → ხაჭალარა. -ალ/-არ სუფიქსი წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს.

**ოხოჯე** – 1. მდინარე; 2. ხარების სადგომი, ცალკე შემოღობილი ხარებისათვის. „ოხოჯე – სახარე; ხარებისათვის განკუთვნილი რამ“ (ქაჯაია 2002-2004: 1168). მეგრული ხოჯი – ხარი, ო-ე დანიშნულების მაწარმოებელი აფიქსია, რომელიც შეესაბამება ქართულ სა-ო აფიქსს. მეგრულისათვის დამახასიათებელია ონომასტიკის ასეთი წარმოება. მაგ.: ოჯოლორე (მდ. გალის რაიონში), ოკალმახე (მდ. წალენჯიხის რაიონში), ოკვინორე (მდ. და სოფ. გალის რაიონში), ოვარცე (სოფ. გალის რაიონში)... (ქირია... 2015: 192).

**წარჩე** – მდინარე გალის რაიონში. მას მოსახლეობა წარჩეწყარსაც უწოდებს. წარჩე სოფელიც არის გალის რაიონში. ეს მდინარე მარცხენა მხრიდან ერთვის მდინარე ოხოჯეს სოფელ ფუწყურში, ოხოჯე კი ქვემოთ ერთვის მდინარე ოქუმს. მდინარე წარჩეს შუა წელზე მდებარეობს სოფელი წარჩე, ხოლო ზემო წელზე – სოფელი ჩხორთოლი.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, წარჩე ნიშნავს „თეთრ წარბას“. მისი ეტიმოლოგიაც შესაბამისად ახსნილია: „თეთრი წყალი“.

ახ. წ. აღ. V საუკუნის ანონიმი გეოგრაფის ჩანაწერებში – „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ – აღნიშნულია: „მდინარე ფაზისიდან მდინარე ქარიენტამდე ოთხმოცდათი სტადიონია... მიგანისიდან მდინარე ტარსურამდე (ახლა რომ მოხე ეწოდება), ას ოცი სტადიონია, თექსმეტი მილი, მდინარე ტარსურიდან მდინარე ჰიპოსამდე (ახლა რომ ლაგუმფსა ეწოდება)...“ (არიანე 1961: 88).

ჩხორთოლიდან მომდინარე მდინარე არქანჯელიო ლამბერტის რუკაზე წარმოადგენს ოქუმის მარცხენა მდგენელს. მის მარცხენა მხარეს ეკლესიის თავზე წარწერაა: Tarsce. სწორედ ეს უნდა იყოს წარჩე. „სამეგრელოს აღწერაში“ ასეთი ინფორმაციაა: „ხეთას იქით არის ოქუმი, რომელიც ჩაუდის ტარშენს (Tarchen)“. ამ ტარშენშიც წარჩე უნდა ვიგულისხმოთ და მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე იქნება: სოფელი დღესაც წარჩის შუა წელზეა, ხოლო ჩხორთოლი მის სათავესთანაა (ჩიქობავა 2012: 222).

ჩხორთოლსა და წარჩეს შორის მოცემულია პუნქტი არკამა, რომელიც ჩანჩქერსაც ჰქვია აკვნისებური მოყვანილობის გამო. არქანჯელო ლამბერტი

ამ პუნქტზე შენიშნავს: „იმ მთაზე, რომელი არკამას (Arkama) დასცქერის, მოიპოვება მეორე ნაირი ქვა ნაცრის ფერი. ეს ქვა ძირს ჩამოაქვს მდინარეს, რომელიც ჩამოდის ხსენებული მთიდან“ (ლამბერტი 1938: 207).

ა. ლამბერტის რუკაზე აღნიშნული მდინარე, რომელიც არკამას ჩაუდის და ჩხორთოლთან იღებს სათავეს არის წარჩე. სახელწოდება აიხსნება მეგრულად წყარ-ჩე – „თეთრი წყალი“. მოსახლეობა „თეთრ წარბას“ უწოდებს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩხორთოლის მიდამოები კირქვიანია, ხოლო ჩხორთოლი მთის ძირას მდ. წარჩეს სათავეებთან მდებარეობს, სამეცნიერო ლიტერატურაში ვარაუდობენ, არკამა ჩხორთოლის ერთ-ერთი ადგილის არკვანა-არკავანი-ს დამახინჯებული სახელწოდებაა (ცხადაია... 2003: 23; ჩიქობავა 2012: 222).

საგულისხმოა გამოთქმული მოსაზრებები, უცხოურ წყაროებში დასახელებული მდინარე ტარსური (ანონიმი გეოგრაფი) და ტარჩე (ა.ლამბერტი) წარჩე უნდა იყოს.

წარჩე ორფუძიანი კომპოზიტია. მეორე კომპონენტი [რ] ჩე („თეთრი“), ხოლო პირველი – იგივე, რაც გვაქვს ჰიდრონიმ წაჩხურასა და იოკონიმ წაჩხურში (მარტვილის რაიონი). მაშასადამე, წარჩეც მეგრული სიტყვაა და ნიშნავს: „წყალთეთრა“. ეს ჰიდრონიმიული მოდელი სტრუქტურულად და სემანტიკურად საერთოქართველურია. საქართველოს მრავალ რეგიონში დადასტურებულია ჰიდრონიმები: წყალთეთრა, წყალშავა, წყალწითელა, წყაროთეთრა. პროცესისათვის წყალ → წა[ლ] მეგრულში ანალოგად გამოდგება ზოგი საკუთარი და საზოგადო სახელი, როგორცაა: წაჩხური „წყალცივი“; წამელო // → წყამელო (→ წყარმელე „წყალგაღმა“), რაც მინდვრის სახელია მდ. მადაგანის მარცხენა ნაპირას, ნასოფლარ წყავაშში (წალენჯიხის რაიონი); წაკურთხია → წყალკურთხევა; ო-ნ-წარ-ე „ჭაობი, წყლიანი ადგილი“ და სხვ (ცხადაია 200 ბ: 79).

წარ-რჩე → წარჩე. ჭან. წკ-არ-ი// წკ-ა-ი // წ-არ-ი; მეგრ. წყ-არ-ი; ქართ. წყ-ალ-ი; სვან. ლი-ც // ნი-ც. განსხვავდება -ალ და -არ დეტერმინანტი სუფიქსით (ჩიქობავა 2008 ბ: 189). რ დაკარგულია კომპოზიტის მეორე ნაწილში.

ჩხორთოლში არის ორი ციხე: 1) სვეტისებრი ბორცვი, სიმაღლით 50-60 მეტრი, 150 კვ. მეტრი – ცხრათვალა ციხე-სიმაგრე „ჩხორთოლი“.

2) ჯოტომ ჯიხა – სიგანე 4 მეტრი, სიგრძე 16 მეტრი. აღმოსავლეთით და სამხრეთით აქვს სათოფურები. ჯიხა – 1. ციხესიმაგრე, გამაგრებული ადგილი; 2. ბრგე ადამიანი (მეგრულად). მეგრულ სალექსიკონო მასალებში დასტურდება ჯიხა-დან ნაწარმოები ლექსიკა: ჯიხაზურგა – ციხე-სიმაგრე; ჯიხა-ყორში – ციხე-კოშკი; ჯიხა-ხორა – ჯიხა-სასახლე; ჯიხუა – მჯილის კვრა; ჯიხური – კოშკი; ჯიხუ – ჯმუხი... ჯოტო – დიდპირა, დრუნჩიანი. სახელწოდების მოტივაციის საფუძველი შესაძლება უკავშირდებოდეს „დიდპირიან, დიდსათოფურებიან ციხეს“.

ყურადღებას იქცევს სამზარეულოს აღმნიშვნელი ლექსიკა:

ელარჯი – ღერღილით და სიმინდის ფქვილით მომზადებული კერძი, რომელსაც მომზადების პროცესში უმატებენ ყველს, სულგუნს.

გებჟალია – რძეში, პიტნასა და სანელებლებში გადაზეული ახალი ყველი. ნაწარმოებია მეგრული სიტყვისაგან ზჟა (რძე). გე-ზჟა-არია ← გე-ზჟა-ლია. გე – ზმნისწინი, ა-ს დაკარგვით და რ-ს დისიმილაციით.

ჩინჩოლია // ჯინჯოლია – წვრილად დაფშენილი ახალი ყველი, აჯიკა, ქინძი ღომში არეული. ჩინჩონი// ჯინჯოლი – ნაფხვენი. მეგრულ-ქართულ ლექსიკონში გვხვდება: ჩინჩოლი – მსხვერვის ლეწვის ხმა; ჩინჩოლია – ფშვნადი, მყიფე.

ძრძი – მაწონი, აჯიკა ღომში არეული. მეგრულ-ქართულ ლექსიკონებში არ დასტურდება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულს არ მოეპოვება კითხვითი ნაწილაკი, მაგრამ ძველ ქართულში იხმარებოდა -ა (პეტრე ხარ-ა? პეტრე რექ-ო?). ამ -ა-ს კანონზომიერი შესატყვისი მეგრულში გვაქვს -ო (ჩიქობავა 2008 ა: 193).

ჩხორთოლელთა მეტყველებაში ყურადღებას იქცევს ქართლურისაგან განსხვავებული ინტონაცია კითხვით წინადადებაში, განსაკუთრებით კი სალიტერატურო ენის ფორმების გამოყენებისას, „რაც წინადადების ბოლო სიტყვის უკანასკნელი ხმოვნის ან დაგრძელებითა და ტონის ამალღებით, ან ხმოვნის გაორმაგებით გამოიხატება. ეს უფრო ხშირად გამოიხატება ზმნურ ფორმებში, რაც შეეხება სახელს, აქ მახვილი უფრო ფუძისეულ ხმოვანზე მოდის და არა ხმოვანსუფიქსზე“. ეს მოვლენა ანალოგიით არის ახსნილი (გულუა... 1998: 93).

სავარაუდოა, ანალოგიასთან ერთად კომპენსაციასაც ჰქონდეს ადგილი. კითხვით წინადადებაში გრძელდება ან ტონი მალღდება იმ სიტყვასთან, რომელსაც მეგრულში -ო ნაწილაკი დაერთოდა.

ამრიგად, ჩხორთოლელთა მეტყველება წარმოაჩენს ქართული ენის სისტემისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს.

ადგილის სახელწოდებებში მსაზღვრელი ორი მოდელით არის წარმოდგენილი: შერწყმულია საზღვრულთან ან ცალკე დგას. მდიდარი, მრავალმხრივი და სარწმუნო ინფორმაციის შემცველია სოფელ ჩხორთოლის ადგილის სახელწოდებები, რომლებიც ქართული წარმომავლობისაა და ასახავენ აქ მცხოვრები ქართველი ხალხის შრომა-საქმიანობას, ტრადიციასა და კულტურას. ონომასტიკური მასალა და დარგობრივი ლექსიკა ფიქსირდება მხოლოდ უფროსი და საშუალო თაობის მეტყველებაში. არსებობს საშიშროება იმისა, რომ ცოცხალი მეტყველების ამსახველი მდიდარი მასალა დროთა განმავლობაში დაიკარგოს, ან არასასურველი ცვლილებები განიცადოს. ამიტომ ჩხორთოლელთა მეტყველების ნიმუშების მოძიება და ანალიზი კვლავაც გაგრძელდება. ვფიქრობთ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვება სამომავლოდ კიდევ უფრო საინტერესო ფორმებს გამოავლენს.

---

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

- არიანე 1961: არიანე ფ., უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი II. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭელაძისა. თბილისი, 1961.
- ბედოშვილი 2002: ბედოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2002.
- გვანცელაძე 2000: გვანცელაძე თ., ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ. ჟურნალი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIV. თბილისი, 2000.
- გვანცელაძე... 2017: გვანცელაძე გ., გვანცელაძე თ., ტოპონიმიკური ომის ძირითადი ასპექტები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის მხარეში (1921 წლიდან დღემდე). ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XXI. ქუთაისი, 2017.
- გვანცელაძე... 2021: გვანცელაძე თ., ჭავჭავაძე ს., აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და... (ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზი). თბილისი, 2021.
- გულუა... 1998: გულუა ნ., შეროზია რ., სამეტყველო კოდების შერევისათვის მეგრელთა ქართულ სალიტერატურო ენაზე მეტყველებისას. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, ტ. II. ქუთაისი, 1998.
- ზურაბიშვილი 1961: ზურაბიშვილი თ., ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ჟურნალი ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II. თბილისი, 1961.
- ლამბერტი 1938: ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ. გამოცემა მომზადდა ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1938.
- ლომაია 2006: ლომაია შ., ადგილის და დროის ზმნისართები მეგრულ-ლაზურში. თბილისი, 2006.
- მეგრულ-ქართული ლექსიკონი <https://www.ice.ge/liv/liv/megr.php> (დამოწმება 24.01.2023).
- მიქიაშვილი, 2000: მიქიაშვილი ო., აფხაზეთის ტოპონიმიის ისტორიიდან 1943-1952, 1953-1967. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, ტ. IV. ქუთაისი, 2000.
- ნაჭყეპია 2010: ნაჭყეპია მ., აფხაზეთის ტოპონიმიის მეტამორფოზები. ჟურნალი სპეკალი, №2, 2010. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/2/15> (დამოწმება 24.01.2023).
- უწყებები 1952: ჟურნალი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, №5 (46), 10 სექტემბერი, 1952.
- ქაჯაია 2002: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I-III. თბილისი, 2001-2004.
- ქირია ... 2015: ქირია ჭ., ეზუგბაია ლ., მემიში ო., ჩუხუა მ., ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია. თბილისი, 2015.

- შონია 2015: შონია ნ., იცნობდეთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას. გაზეთი „ჩემი აფხაზეთი“, №30. თბილისი, 2015.
- ჩიქობავა 2008 ა: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი. შრომები, ტ. III. თბილისი, 2008.
- ჩიქობავა 2008 ბ: ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. შრომები, IV. თბილისი, 2008.
- ჩიქობავა 2012: ჩიქობავა აკ., ოდიშ-აფხაზეთის ტოპონიმთა XVI-XVII საუკუნეებში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ინსტიტუტის შრომები, VI. თბილისი, 2012.
- ცხადაია 2000 ა: ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი, 2000.
- ცხადაია 2000 ბ: ცხადაია პ., ტოპონიმური ვითარება სამურზაყანოში: ჟურნალი არტანუჯი, №10. თბილისი, 2000.
- ცხადაია... 2003: ცხადაია პ., ჯოჯუა ვ., სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბილისი, 2003.
- ხვისტანი 2009: ხვისტანი რ., მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის. თბილისი, 2009.
- Кипшидзе 1914: Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка о хрестоматиею и словарем, СПб, 1914.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6987>

**აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი  
გრიგოლ II (ლორთქიფანიძე)**

**Grigol II (Lortkipanidze) - Catholicos of Abkhazia  
(Western Georgia)**

**ირაკლი ლორთქიფანიძე**

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია  
საქართველო, ქუთაისი

**Irakli Lortkipanidze**

Gelati Theological Academy and Seminary  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

The Diocese of Abkhazia in Western Georgia has played a significant role in the history of the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia. Throughout its existence, it was led by numerous distinguished hierarchs. From 1696 to 1742, Grigol II (Lortkipanidze) served as the Catholicos of Abkhazia for a remarkable period of 46 years. Various charters, archival materials, and museum documents provide valuable information about the life and activities of Grigol II, the Catholicos of Abkhazia. In 1701, Dosítheos, the patriarch of Jerusalem, sent a letter to Grigol II, acknowledging his position as the Catholicos of Abkhazia. Pope Clement XI also informed Sulkhan-Saba Orbeliani and Catholicos Grigol Lortkipanidze about sending missionaries to Abkhazia and sought their assistance. Grigol II undertook the restoration of agriculture that belonged to the Diocese of Abkhazia and reclaimed some of the estates seized by feudal lords in Odishi, Guria, and Racha. He notably provided support to the oppressed Catholic serfs who were forcibly relocated across the Enguri River. Grigol II actively participated in the political affairs of the time. As the leader of the Church in Western Georgia, Grigol Lortkipanidze is referred to as both Catholicos and Patriarch. Grigol II, the Catholicos of Abkhazia, passed away in 1742. Renowned writer and theologian Nikoloz Cherkezishvili-Rustveli composed a eulogistic sermon highlighting the merits of Grigol Lortkipanidze in his iambic verse. This article draws upon museum documents and scholarly literature, some of which are being introduced into academic circulation for the first time.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს ისტორია, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ II-ის მოღვაწეობა.

**Keywords:** History of the Catholicos of Abkhazia (Western Georgia), the work of the Catholicos of Abkhazia Gregory II.

„გრიგოლ მეორე ბეჟან ლორთქიფანიძის ძე,  
იყო კაცი გონიერი, დიდი გავლენა იქონია  
მაშინდელ აწეწილ სამეფო საქმეთა დაწყნარებაში“  
მღვდელი პოლიეექტოს კარბელაშვილი

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

საქართველოს (ისტორიული კოლხეთის) ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე – ქრისტიანობის გავრცელება I საუკუნეში მოციქულების სამისიონერო მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული (გამახარია 2006: 27).

#### აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება

აფხაზეთში პირველი სამღვდელმთავრო კათედრის დამაარსებლად, ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, მიჩნეულია წმინდა ანდრია მოციქული: „პირველ წოდებულსა ანდრიას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქცევად ჩინებითა წ[მიდ]ისა ღვთისმშობელისათა“ (კაკაბაძე 1921: 139).

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელება მოციქულთა მოღვაწეობის შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა (გამახარია 2005: 47).

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს დაარსების თარიღთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარი საკათალიკოსოს დაარსებას მიაკუთვნებს IX საუკუნეს, ზოგი – X საუკუნის II ნახევარს, ზოგი კი – XII-XIII საუკუნეებს (ჯაფარიძე 2015: 302).

XV საუკუნიდან, საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო მცხეთის საკათალიკოსოს გამოეყო. ქართლის კათალიკოსისა და აფხაზეთის კათალიკოსის ურთიერთმიმართება საგრძნობლად შეიცვალა. აფხაზეთის კათალიკოსის უფლებამოსილების ამღლებას ადასტურებს კათალიკოს გრიგოლის 1733 წლის სიგელი (ტყეშელაშვილი 2014: 190), რომელშიც ვკითხულობთ: „დიდათ ეღვაწათ მეფეთა, მთავართა და დარბაზიერთა განდიდება ცათა მოზამავისა კათოლიკე ეკლესიისა ბიჭვინთისა ღვთისმშობელისა და სამოციქულოსა საყდრისა და მას ზედა მჯდომარისა კ[ათალიკო]ზისა ამღლებად და აღმატება, რათა შეკრვითა და განხსნითა მისითა ეგნენ სამეფონი ესე ლიხთ

ამერეთისა აფხაზეთისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიანი“ (კაკაბაძე 1921: 139).

ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებაში ქართულმა ეკლესიამ გარკვეული როლი შეასრულა. რელიგიურ მომენტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროის პოლიტიკურ ბრძოლაში. აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს არსებობა ხელს უწყობდა იმერთა მეფეების ბრძოლას ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის. ქართული ეკლესიის რიგებში მრავლად იყვნენ პროგრესულად განწყობილი მოღვაწეები, რომლებიც საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას ხელს უწყობდნენ (ჩხარტიშვილი 1973: 484). ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი (ლორთქიფანიძე).

აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლ II-ის (ლორთქიფანიძე) შესახებ მდიდარ ინფორმაციას შეიცავს ცალკეული სიგელ-გუჯრები, საარქივო თუ სამუზეუმო დოკუმენტები. მის შესახებ მასალები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, რომელთაგან ზოგიერთი გამოქვეყნებულია სარგის კაკაბაძისა და ისიდორე დოლიძის მიერ. ასევე, ხელნაწერები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რამდენიმე დოკუმენტი გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა.

#### წარმომავლობა

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გრიგოლი იყო თავად ბეჟან ლორთქიფანიძის ძე. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „დასუეს კათალიკოზად ბეჟან ლორთქიფანიძის ძე გრიგოლი“ (ვახუშტი 1973: 860). ო. სოსელია წიგნში „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“ წერს: „ბეჟანი იმ ძლიერ თავადთა რიგებშია, რომელნიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოს საქმეებს თავიანთი ნებისამებრ წარმართავენ. აღნიშნულ პერიოდში ბეჟანი უკვე ფრიად წარჩინებული თავადია. მას მოლარეთუხუცესისა და „ქუთაისის ქალაქის მოურავის“ სახელოები აქვს. სათავადო სახლის უფროსადაც იგი ზის. ბაგრატ IV-ის მიერ 1669 წელს რუსთ ხელშეწივის ალექსანდრესათვის გაგზავნილ წიგნში ბეჟანი „დიდი ბაიარად“ (დიდებულ თავადად) არის წარმოდგენილი. ლორთქიფანიძეთა გვარი ამ დროს თავისი პატივით აგიაშვილების, წულუკიძეების, წერეთლების, აბაშიძეებისა და იაშვილების საგვარეულოებზე წინ დგას“ (სოსელია 1973: 141).

მღვდელი პოლიეექტოს კარბელაშვილი წიგნში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი“ კათალიკოს გრიგოლის წარმომავლობის შესახებ აღნიშნავს, რომ „გრიგოლ მეორე იყო ბეჟან ლორთქიფანიძის ძე“ (კარბელაშვილი 1900: 209).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მოლარეთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის სახელოები ბეჟანს ბაგრატ IV-ისაგან უნდა ჰქონდეს მიღებული.



ბეჟანი დიდად ერთგულობს მას. სეხნია ჩხეიძის გამცემლობით 1666 წელს ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქუთაისის ციხე ბეჟანმა გაათავისუფლა“ (სოსელია 1973: 141-142). ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „იცა ჟამი მოურავმან ბეჟან ლორთქიფანიძემან, შეეტყუა ქუთაისის ციხესა, მოსრნა ოსმალნი“ 1667 წელს და ეს ციხე ბაგრატ IV-ს გადასცა (იქვე: 142).

#### კათალიკოსად კურთხევა

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო ტახტზე არაერთი ღირსეული იერარქი მოღვაწეობდა, რომელთა შორის კათალიკოს გრიგოლ II-ს<sup>1</sup> (ლორთქიფანიძე) გამორჩეული ადგილი უჭირავს.

1693 წელს გარდაიცვალა აფხაზეთის კათალიკოსი დავითი (ნემსაძე, კათალიკოსობდა 1673-1693 წლებში) და საკათალიკოსო ტახტზე 1696 წელს აღსაყდრდა გრიგოლ II (ლორთქიფანიძე), რომელიც 46 წელი განაგებდა აფხაზეთის საკათალიკოსოს.

გრიგოლის საკათალიკოსო ბეჭედზე შემდეგი წარწერა იკითხება: „ქ. მეუფე და მღვდელმთავარი აფხაზეთის კ-ში გრიგოლ. ქ-კს ტპდ“. წარწერაში ქორონიკონით აღნიშნული თარიღი 1696 წელს შეესაბამება, რაც მისი კათალიკოსად დადგინების თარიღად არის მიჩნეული (ქორიძე 2021: 153).

ისტორიკოსი ბაბილინა ლომინაძე აღნიშნავს: „გრიგოლ კათალიკოსს აფხაზეთის კათალიკოსებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს. თავისი დროისათვის იგი მოწინავე პიროვნებაა. ამ ენერგიულმა საეკლესიო მოღვაწემ კათალიკოსობა მაშინ დაიწყო, როცა ლიხთ-იმერეთში გავრცელებული იყო „ტყვის ყიდვა მაჰმადიანთა ზედა“ და „ოხრება ქვეყანათა“ (სოსელია 1973: 143-144).

საქართველოს ისტორიაში XVIII საუკუნე ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი იყო. დასავლეთ საქართველო ოსმალთა ბატონობისა და ტყვეთა სყიდვის გამო გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა. „XVIII საუკუნის პირველ ნახევარში კოდორსა და ენგურს შორის XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩამოსახლებულ აფხაზებს შორის მაჰმადიანობის გავრცელება დაიწყო. თურქეთის ძალადობამ ადგილობრივი ფეოდალები აიძულა მიეტოვებინათ ყმა-მამული, რომელსაც გამაჰმადიანებული აფხაზი ფეოდალები იკავებდნენ. შემონახულია ამ მხარის ფეოდალის ბეჟან ჯაიანის პირობის წიგნი გრიგოლ კათალიკოსისადმი. ჯაიანი აღნიშნავს, რომ „ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქნა და იქ აღარ გვედგომებოდა“. როგორც მრავალ სხვას, ისე ჯაიანსაც ეკონომიური დახმარება კათალიკოსმა აღმოუჩინა. გრიგოლ კათალიკოსი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე (1696-1742) ენერგიულად იბრძოდა ტყვის ყიდვისა და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ. XVIII საუკუნის დასაწყისში, რადგანაც „იმერეთს თათრებისგან დიად ძალი დამართებოდათ და ქრისტიანობა

<sup>1</sup> გრიგოლ II აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს, როგორც ჩანს, 1639-1640 წლებში სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ეჭირა საკათალიკოსო ტახტი (გამახარია 2005:216).

მოუძღვრებულ იყო“, მან პირობა დაადებინა იმერეთისა და ოდიშის თავადებს: „იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად ჩვენ თათარს არც პირი მივცეთ, და თუ ვინ იცის და თათარი ლაშქრით აქ ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად. ჩვენ არც მივიდეთ მასთან და უწინამძღვროთ და არც მათი ვიწამოთ რა“. ფიცის დამდებმა ფეოდალებმა კათალიკოსს აღუთქვეს, რომ ყოველგვარ ღონეს იხმარდნენ თურქთაგან ქუთაისის ციხისა და იმერეთის გასათავისუფლებლად. 1701 წელს ოდიშის გამგებელმა ლიპარტიანმა ფიცით აღუთქვა კათალიკოსს ტყვის ყიდვის „გადაგდება“ (ჩხარტიშვილი 1973:484-485).

მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლს 1701 წლის სექტემბერში ეპისტოლე გამოუგზავნა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა<sup>2</sup> (კარბელაშვილი 1900: 209). გრიგოლ II დაუცხრომლად იბრძოდა დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ, რომლის ოფიციალურად აკრძალვის მიზნით საეკლესიო კრების მოწვევას ურჩევდა მას იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (ქორიძე 2021: 254). თედო ჟორდანიას კათალიკოს გრიგოლის შესახებ აღნიშნავს: „ამის დროსვე შესდგა კრება, რომელმაც აღკრძალა ტყვეთა გაყიდვა“ (ჟორდანიას 1913: 262).

1707-1710 წლებში იმერეთის საკათალიკოსო ყმებს კათალიკოსმა ფიცი დაადებინა, რომ ისინი ტყვის ყიდვის საქმეში არ გაერეოდნენ. 1709 წელს თავადმა ჩიჩუებმა კათალიკოსს აღუთქვეს, რომ მათ მამულში ტყვის მყიდველი არ გაეჩრებინათ. 1717 წელს კათალიკოსი ბეჟან დადიანს ოდიშში მღვდელმსახურების შეწყვეტით დაემუქრა და ფიცი დაადებინა, რომ მის სამფლობელოში ტყვის ყიდვას აკრძალავდა. გრიგოლ კათალიკოსი კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობის აღდგენასაც ცდილობდა (ჩხარტიშვილი 1973: 484-485).

გრიგოლ II-მ ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა სამიტროპოლიტოდ აქცია და მისი მღვდელმთავარი მიტროპოლიტის პატივში აიყვანა. 1714 წელს მან ჭყონდიდელ ევდემონს (ლოლობერიძე) მიტროპოლიტობა მიანიჭა (ქორიძე 2021: 254).

ქართულ ხელნაწერებში შემონახულია ერთგულების წიგნი ევდემონ ჭყონდიდელისა კათალიკოს გრიგოლისადმი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ქ. ნებითა და წყალობითა ღმრთისათა და ყოველთა მისთა წმიდათა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა, ესე საბოლოოდ გასათავებელი პირი და წიგნი მოგართვით თქუენ, ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზს პატრონს გრიგოლს ჩუენ, ჭყონდიდელმან ლოლობერიძემან ევდემონ, ასრე და ამა პირსა ზედან, რომ: ბატონის დადიანის ბეჟანის სიტყვით და ბრძანებით მიტროპოლიტად კურთხევას შემოგეხვეწეთ და მოგახსენეთ. სხუას ჟამს ჭყონდიდელი მიტროპოლიტად კურთხეულნი არ ყოფილან.“

<sup>2</sup> იგულისხმება დოსითეოს II ნოტარა, რომელიც იყო იერუსალიმის პატრიარქი 1669-1707 წლებში. იგი ორჯერ 1658-1659 და 1681-1683 წლებში იმყოფებოდა საქართველოში (თაყაიშვილი 1913:28-29).

და მერმე სხუანი ებისკოპოსნი, რომელიცა მიტრ[ო]პოლიტად თქუენგან იკურთხნენ, მართებულად ვერც სათნო გეყვენ და ვერც მცნება და სამსახური თქუენი მართებულად აღასრულნეს.

ჩუენ წინანდელნი ჭყონდელნი ძველთა და დიდთა ჯელმწიფეთაგან დიდად პატივცემულნი ყოფილან მონასტრითაც, სიმდიდრითაც და მამულითაც, მაგრამ მიტრ[ო]პოლიტად კურთხევა არ ჰქონიათ.

აწ, რადგან ჯერ ღმრთის ბრძანებით და მერმე ბატონის დადიანის წყალობით ჩუენზედ მიტრ[ო]პოლიტობის კურთხევა მოიღეთ...“ (დოლიძე 1970: 763-764).

ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და კათოლიკე მღვდლის, მიხეილ თამარაშვილის ცნობით, რომის პაპმა კლიმენტი XI-მ სულხან-საბასა და აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს წერილობით აცნობა [აფხაზეთში] მისიონერების დანიშვნის შესახებ და თხოვა მათ დახმარება აღმოეჩინათ პატრებისათვის (გამახარია 2005: 302).



1715 წლის 7 მაისით დათარიღებულ რომის პაპის, კლიმენტი XI-ის<sup>3</sup> მიერ აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლისადმი (ლორთქიფანიძე) გამოგზავნილ ეპისტოლეში ვკითხულობთ:

„პატივცემულ ჩვენს ძმასა, სამეგრელოს პატრიარქს, პაპი კლიმენტი XI.

„პატივცემულო ძმაო, მშვიდობა და ღვთის ნათელი!

„ვინაიდან ჩვენის მწყემსებრის ვალდებულების გამო, მოვალე ვართ მამობრივი მზრუნველობა ვიქონიოთ მთელი ქვეყნის ყველა ქრისტიანებისათვის, ამიტომ სხვას არას ვნატრობთ, მის უმეტეს, რომ ყველა თვითეული მათგანი შეუდგეს ჭეშმარიტ საუკუნო ცხოვრების გზას... გულმოდგინეთ გვედრებით, რათა მოციქულებრივი მისიონერები, რომლებიც... უნდა გამოგზავნოთ, გულკეთილად დაიფაროთ და თქვენის მფარველობით შეეწიოთ მათ...“

დაგვარწმუნეს თქვენს პატიოსნებასა და სიმართლის მოყვარეობაზედ...

აწ მხურვალედ ვევედრებით ყოვლის სიკეთის მომნიჭებელ უფალსა, რათა თქვენს ძმობას მიჰმადლოს ყოველი ბედნიერება და ჰყოს თვისის მოწყალებით, რომ სანთელი ფერხთა შენთა იყოს სიტყვა შენი და ნათელი ადგილთა შენთა.

რომი. 7 მაისისა, 1715“ (თამარაშვილი 2011: 332-333).

გრიგოლმა აღადგინა საკათალიკოსოს დაცემული მეურნეობა, დაიბრუნა ოდიშის, გურიის სამთავროებსა და რაჭის საერისთავოში ფეოდალებისაგან მიტაცებული ზოგიერთი საკათალიკოსო მამული; საკათალიკოსოს შემოსავლის გაზრდის მიზნით ადრე გაუქმებული ფულადი ბეგრის ნაცვლად შემოიღო სანთლის ბეგარა, ამითვე შეცვალა ნატურალური საკომლო ბეგრის ნაწილიც. მონაწილეობდა იმერეთის

<sup>3</sup>. რომის პაპი - 1700-1721 წლებში - <https://www.vatican.va/content/vatican/en/holy-father/clemente-xi.html>- დამოწმება: 25.01.2023

სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკავა ლეგიტიმისტური პოზიცია (ლომინაძე 1978: 267). დიდ როლს თამაშობდა აფხაზეთის საკათალიკოსო გრიგოლ ლორთქიფანიძის მეთაურობით. ეკლესია რჩებოდა დასავლეთ საქართველოს ერთადერთ გამაერთიანებელ ძალად; იმ უმძიმეს ყამს მთელი ეს რეგიონი მან გამუსლიმანებას გადაარჩინა (გამახარია 2005: 297).

### შესაწირი ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი

აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და სასოება გააჩნდა, რასაც ადასტურებს ერთ-ერთი სიგელი: „...ყოველი არსება ხორცთა ჩემთა გიძღვენ და შემოგწირე შენ, ცათა და ქვეყანისა დედოფალო, ანგელოზთა და კაცთა შემაერთებელო მამისაგან დაუსაბამოსა სძლად გამორჩეულო და ძისა მხოლოდშობილისა უბიწოდ მშობელო ბიჭვინთისა ღვთისმშობელო, შენ შეგვედრებ ყოველსა ცხოვრებასა ჩემსა და სასოებასა და მოგახსენებ ამ აგარაკთა, სოფელთა, გლებთა, სასახლეთა და ეკლესიათა, რამოდენიცა სახელდებით სიგელითა ამით სამკვიდროდ დაგვიდგვია და შემოგვიწირავს, ზოგი თავით ჩემით ნაშოები და ზოგი რომელიმე საყდრისა მამული სხვათაგან დაჭერილი მრავლის გარჯით ამომიხსნია...“ (კაკაბაძე 1921: 140).



კათალიკოსმა გრიგოლმა ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის შეაწირვინა ყმამამული იმერეთის მეფეებს გიორგი VI-სა (1703-1711, 1713; 1716-1720 წლებში) და ალექსანდრე V-ს (1720-1740, 1741-1752 წლებში), ოდიშის გამგებელს გიორგი ლიპარიტიანს, დიდ ფეოდალებს ხახუ ჩიჩუას, ფირან მხეიძეს, ქაიხოსრო იაშვილსა და სხვ. (მეტრეველი 2010: 142). კათალიკოსმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ ბიჭვინთის ღვთისმშობელს ცოლშვილიანად შესწირა ბიბია ბოლქვაძე, რომელიც „აფხაზს ცოლშვილიანად წაეყვანა“ (გამახარია 2005: 282).


გრიგოლ II-მ აღადგინა საკათალიკოსოს დაცემული მეურნეობა, დაიბრუნა ოდიშისა და გურიის სამთავროებში, აგრეთვე, რაჭის საერისთავოში ფეოდალებისაგან მიტაცებული ზოგიერთი საკათალიკოსო ყმები და ბიჭვინთის ღვთისმშობელს შესწირა (მეტრეველი 2010: 142).

### ტიტული

გრიგოლ II (ლორთქიფანიძე), როგორც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაური, იხსენიება როგორც კათალიკოსად, ასევე პატრიარქად.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში, ხელნაწერთა განყოფილებაში, დაცულია XVII საუკუნის ტიპიკონი. ხელნაწერზე იკითხება შემდეგი

წარწერა: „ღ[მერ]თო და წმინდაო ბიჭვინტისა ღ[ვ]თისმშობელო, შეიწყალე და დაიცვე ორსავე შინა ცხოვრებასა კ[ათოლიკო]ში ლორთქიფანიძე ბატ[ო]ნი გრიგოლ“ (ქიმ. K-11). ამავე ტიპიკონზე სხვა ხელით უფრო გვიანდელ წარწერაში მოხსენიებულია კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი (ტყეშელაშვილი 2017: 56).



XVII ს. ტიპიკონი, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი - K-11

აფხაზეთის კათალიკოსები დავითი (ნემსაძე) და გრიგოლი (ლორთქიფანიძე) მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში: „მოიკსენე, უფალო, ყოველნი იმერელნი მართლმადიდებელნი აფხაზეთის კ-ში დავით, აფხაზეთის კ-ში ლორთქიფანიძე გრიგოლის“ (Mappუ 1914: 22).

1715 წელს რომის პაპის კლიმენტი XI-ის მიერ გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი გამოგზავნილ ეპისტოლეში იგი მოხსენიებულია პატრიარქად: „პატივცემულ ჩვენს ძმასა, სამეგრელოს პატრიარქს, პაპი კლიმენტი XI“ (თამარაშვილი 2011: 332).

პატრიარქად გრიგოლ II მოხსენიებულია 1730 წლის ახლო ხანებში ქუთათელ მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილის მიერ დახატულ რუკაზეც, რომელიც იმერეთის მეფეს რუსეთში გაუგზავნია. რუკის შუა ნაწილში გამოსახული იყო „ქუთაისის ციხე“, რომლის ქვეშაც შემდეგი წარწერაა: „მეფე მელეთინწკისა: ალექსანდრე: მართლმადიდებელი გვირგვინოსანი თანადგომითა პატრიარქისა ჩვენისა გრიგოლისათა: და ყოველთა ერთათა“ (ტყეშელაშვილი 2016: 11-12).

გრიგოლ II პატრიარქად იხსენიება 1733 წელს შედგენილ სიგელში, რომელშიც ვკითხულობთ: „...კათალიკოზი [ლორთქიფანიძე] პატრიარქი გრიგოლ მივბძმევდ წინათქმულთა კათალიკოზთა და არა დავსცხერ ძღუნის შემწირველობასა მცირედისაგან დიდად და დიდისაგან უმეტესობად სარწმუნო ვიყავ...“ (კაკაბაძე 1921: 139).

კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ შუშანიებისადმი

მიცემულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ კურთხეულმან აფხაზეთისა კუნ [კათალიკოზმან] პატრონმან გრიგოლ ესე წყალობის წიგნი გიბოძე შენ, შუშანიას, ხუცეს გაბრიელს და შენს ძმას მამისთვალს და სხვათა შვილთა და შთამომავალთა...“ (ჩიტაია 2017: 167).

#### გარდაცვალება

„ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეული ჩრდილოსა და აფხაზეთის კათალიკოზი ლორთქიფანიძე პატრონი გრიგოლი“ გარდაიცვალა 1742 წელს (ქორიძე 2021: 254). შესაძლოა იგი დაკრძალული იყოს გელათში (ტყეშელაშვილი 2007: 94).

ცნობილი მწერალი და ღვთისმეტყველი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი-რუსთველი თავის შედგენილ იამბიკოში, რომელიც კიდურწერილობით იკითხება – „ნიკოლოზ რუსთველი ვმუსიკოზ“, შემდეგნაირად წარმოაჩენს კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძის ღვაწლს:

„ნ ეტარ არს კაცი იგი, რომელსა არა ჰრწმუნეს უფროს ღმრთისა სწო რ ი გი არს საძიებელ უმეტეს ყოველთასა, რომლისა მადლი სამარადისოდ ეს უ.

კ ეთილ არს აღსარება უფლისა, რომელი ყოველთა მეუფე და უფალ არ ს

ო რღანოთა ხმა-ტკბილთა და ქნართა საღმრთოთა უბნობს დავი თ, ლ ოცვა, ვითარცა ანნას, ამისიკა ისმინა ღმერთმან, ამისთვისცა ყოველთავე ჰყო თა ვ,

ა ნგელოზებრ უცხოებს და იქმნა კათალიკოს და ნათობს, ვითარცა მზ ე, ო რხელ გაპყრობით მუხლ-მდგომი ცრემლის ჟამ ყოვე ლ,

ზ ევისა ძალნი უვის მეგობრად და წმიდა არს, ვითარცა ოქროპირ ი, რ წყავს სწავლითა იმერთა და არს მოძღურებისა ხვა ვ,

უ ვის აფხაზნი საწრთვენელად, რაი ჩრდილოისათვის არს მშრო მ,

ს ახელით გრიგოლ, რომელ ღმრთის მეტყუელიცა მსგავსად მის ვთქ უ, თ ავს იწოდს პატრიარქ, გარნა სიწმინდით უმოყუს ბასილი ს,

ვ ითარცა ნიკოლოზ, ამასცა აქვს მოწყალება, რომელი ყოვლითურთ არს მსგავს ი,

ე ს არს ლოდებრ სრულობით გალობისა, ხოლო მცენარობით მუსი კ,

ლ ოცვა მისი მომეცინ უფალმან, რათა მე, რუსთველმან, მოვიღ ო,

ი ნება ესე გუჯარი ჩემგან წერად, რომელი იამბიკოსა ამას ვმუსიკო ბ“ (ქორიძე 2021: 254-255).

2022 წელს აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს გრიგოლის (ლორთქიფანიძე) გარდაცვალებიდან 280 წელი შესრულდა. ჩვენ მიერ წარმოდგენილ სტატიაში წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შევეცადეთ მოკლედ წარმოგვეჩინა კათალიკოსის მრავალმხრივი ღვაწლი. განხილული მასალებიდან ჩანს, თუ რა დიდი იყო კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ავტორიტეტი. მის თანამედროვეთაგან, შემდგომში ისტორიკოსებისა და მკვლევრებისაგან იგი

ხასიათდება როგორც ქვეყნის გადარჩენისათვის მებრძოლი, გონიერი და სამართლიანი პიროვნება, რომლის სიტყვას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის ფარგლებს მიღმაც. კათალიკოსის ღვაწლი სათანადოდ არ არის დაფასებული და წარმოჩენილი. ვფიქრობთ, მომავალში მონოგრაფიის სახით გამოვცეთ კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ბატონიშვილი 1973: ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. IV. თბილისი, 1973.
- დოლიძე 1970: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1970.
- თაყაიშვილი 1913: ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1913.
- კაკაბაძე 1921: კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი 1. ტფილისი, 1921.
- კარბელაშვილი 1900: იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შედგენილი მღ. პოლიევკტოს კარბელაშვილის მიერ, ტფილისი, 1900.
- ლომინაძე 1978: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III. თბილისი, 1978.
- Марр 1914: Марр Н., Синодикъ Крестнаго Монастыря въ Иерусалиме, Собрание древне-армянскихъ и древне-грузинскихъ текстовъ, С.-Петербургъ, 1914.
- მეტრეველი 2010: მეტრეველი რ., საქართველოს მეფეები და პატრიარქები. თბილისი, 2010.
- ჟორდანიას 1913: ჟორდანიას თ., ბიჭვინტის სიგელ-გუჯრები, ჟურნალი „განთიადი“, №1, 1913.
- ტყეშელაშვილი 2007: ტყეშელაშვილი ლ., გელათი „მეორე იერუსალიმი სხვა ათინა“. ქუთაისი, 2007.
- ტყეშელაშვილი 2014: ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთაისი, 2014.
- ტყეშელაშვილი 2017: ტყეშელაშვილი ლ., აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ზაქარია ქვარიაძე. ქუთაისი, 2017.
- ქიმ: ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, XVII ს. ტიპიკონი, K-11.
- ქორიძე 2021: ქორიძე თ., აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ II (ლორთქიფანიძე), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია, ტ. II. თბილისი, 2021.

ჩიტაია 2017: ჩიტაია გ., ხობის სიმველენი, Khobi Antiquities. თბილისი-ხობი, 2017.

ჩხარტიშვილი 1973: ჩხარტიშვილი ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. თბილისი, 1973.

ჯაფარიძე 2015: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსო), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია, ტ. I. თბილისი, 2015.

<https://www.vatican.va/content/vatican/en/holy-father/clemente-xi.html> (დამოწმება: 25.01.2023).



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6988>

**აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა  
ციფრულ საცავებში**

**Preserving the cultural heritage of Abkhazia:  
A scientific exploration of digital archives**

**თინათინ მშვიდობაძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, გორი

**Tinatin Mshvidobadze**

Gori State University  
Georgia, Gori

**ABSTRACT**

The firm unity of our country's past, present, and future determines the peculiarities of historical events. In this paper, I discuss the invaluable wealth bestowed upon us—the cultural heritage monuments of Abkhazia—highlighting their significance and role in shaping historical events. The compilation includes a brief overview of several noteworthy sites, such as the churches and monasteries of Bichvinta, Bedia, Ilori, Komani, Dranda, Gagra, Mokvi, Likhni, as well as the Besleti Bridge, Anakofia Castle, Gantiadi Basilica, and Sharvashidze Palace, to name just a few from an extensive list.

These monuments form an integral part of Georgian culture, bearing witness to their historical narratives through the distinct architectural features characteristic of Georgian culture and the Georgian frescoes adorning their surfaces. Within the territory of modern Abkhazia, the abundance of Georgian written monuments provides rich material for historical-source-scientific research, paleographical investigations, and the study of the evolution of written culture. These written monuments encompass a wide range of artifacts, including epigraphic inscriptions and manuscripts transcribed on delicate materials.

The research draws upon the invaluable contributions of T. Kaukhchishvili, a renowned scholar specializing in Greek epigraphy in Georgia. According to Kaukhchishvili's data, the Greek epigraphic monuments discovered in modern Abkhazia predominantly date back to the pre-9th century era.

The primary objective of this paper is to emphasize the importance of showcasing the cultural heritage monuments of Abkhazia in digital repositories and platforms, aimed at facilitating their widespread popularization. To achieve this, I propose the development of a mobile application that collects information about the cultural heritage in Georgian, Abkhazian, and English languages, providing insights into its cultural-historical significance and current state of preservation. Utilizing digital technologies, these heritage treasures can be shared

across various internet platforms, ensuring their accessibility and preservation for future generations.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის ისტორიული ძეგლები, აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა, აფხაზეთის ციფრული საცავები.

Keywords: Historical monuments of Abkhazia, cultural heritage of Abkhazia, digital repositories of Abkhazia.

აფხაზეთი, დანარჩენი საქართველოს მსგავსად, მდიდარია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით, ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი არქიტექტურითა და მათზე აღბეჭდილი ქართული ლაპიდარული და ფრესკული წარწერებით. ამ ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებზე მათი წარმომავლობის დამადასტურებელი უძველესი ქართული წარწერები და ფრესკებია შემორჩენილი. ნაშრომის სიახლეა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფართო პოპულარიზაციის მნიშვნელობა, მათი ციფრულ საცავებსა და პლატფორმაზე განთავსების საშუალებით.

XX საუკუნის მიწურულს საქართველოდან აფხაზეთში ჩასულმა ექსპერტთა ჯგუფმა, რომელთაც იქაური კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობა უნდა შეესწავლათ, სხვადასხვა მიზეზთა გამო სრული დოკუმენტის შედგენა ვერ შეძლეს. მისიამ ზოგიერთი ძეგლი მხოლოდ გარედან დაათვალიერა (<http://www.ambioni.ge/afxazetis-umnisvnelovanesi-qartuli-kulturis-zeglebi>).

მოკლედ მიმოვიხილავთ ამ ფასდაუდებელ სიმდიდრეს.

ბიჭვინთა უძველესი დროიდან ქრისტიანობის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო. მის ცენტრში დგას X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ბიჭვინთის საეპისკოპოსოს საკათედრო ტაძარი. ეს ტაძარი ისევე, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ძეგლები, ორგანულადაა ჩართული ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

ახალი ათონის ტერიტორიაზე მდებარეობს ანაკოფიის წმიდა სვიმონ კანანელის ეკლესია, რომელიც ციხის ტერიტორიაზეა აგებული, ბოლოს 1991 წელს შეკეთდა, მაგრამ არ შეკეთებულა გუმბათი, რის გამოც შენობას აწვიმს და ზიანდება ფრესკების შემორჩენილი ფრაგმენტები. ქართული წყაროების თანახმად, აქ განისვენებს საქართველოში ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი გამავრცელებელი სვიმონ კანანელი (კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში 2015).

ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ბედიის ტაძარი მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში. ტაძარი ბაგრატ III-ის დროსაა აგებული. ბაგრატის ღვაწლზე „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორიც საუბრობს. ბედიის კომპლექსი, ნგრევის მიუხედავად, თავის ხიბლს კვლავ ინარჩუნებს (ახალაძე 2015: 23).

შავიზღვისპირა დაბლობზე, გაგრის რაიონში მდებარეობს განთიადის

ბაზილიკა, რომელიც VI-VII საუკუნეებით თარიღდება. შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. ეკლესია დღეისათვის ნანგრევებშია, სადაც აღმოჩენილია თეთრი მარმარილოს საფლავის ქვის წარწერა ბერძნული ასომთავრულით.

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც გუდაუთის რაიონში მდებარეობს, ორსართულიანია. ფასადები მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ყვითელი ქვით. ინტერიერის მოხატულობა გამოირჩევა ფაქიზი კოლორიტით. იგი ქართული ეკლესიის მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია და ადრევე იპყრობდა მკვლევართა და დამთვალიერებელთა ყურადღებას (მიზჩუანი 2003: 199-200).

ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქეში მდებარეობს მოქესის საკათედრო ტაძარი. იგი ააგო აფხაზთა მეფე ლეონ III-მ დაახლოებით 957 წელს. მოქვი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა იყო. ტაძარს ჰქონდა წიგნთსაცავი, რასაც მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები. XX საუკუნის დასაწყისში რუსმა მღვდლებმა ტაძარი ქალთა მონასტრად გადააკეთეს. ამჟამად ტაძარში წაშლილია ფრესკები და მათზე არსებული ძველქართული წარწერები (ამირანაშვილი 1971: 243-245).

ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში და დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. ფასადებზე შემორჩენილია ძველი ქართული წარწერებიანი 5 ქვა. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის ციხესიმაგრის ნაშთები. ძველი თარიღდება XI საუკუნით. ეკლესია მოქმედია, იგი კონფლიქტის პერიოდში არ დაზიანებულა, მაგრამ სინესტის გამო ტაძარს დანგრევის საფრთხე მაინც ემუქრება.

აფხაზეთში სხვა უამრავი ისტორიული ძეგლიც მდებარეობს: დრანდის გუმბათოვანი ეკლესია, ბზიფის ეკლესია, თამარის ხიდი მდინარე ბესლეთზე და სხვა. ისინი სხვადასხვა ციფრულ პლატფორმაზეა განთავსებული, როგორცაა: 11 ისტორიული ძეგლი აფხაზეთში (<https://georgiantravelguide.com/ka/what-to-do/istoriuli-dzegli/in/afkhazeti>), აფხაზეთის მეციხოვნენი (<https://iberiamagazine.com>), ბედიის გულანი (<https://ica.ge/post/cultural-heritage-bediis-gulani>), აფხაზეთის უმნიშვნელოვანესი ქართული კულტურის ძეგლები (<http://www.ambioni.ge/afxazetis-umnisvnelovanesi-qartuli-kulturis-zeglebi>) და მრავალი სხვა.

„აფხაზთა“ მეფეებმა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლა რომ დაიწყეს, პირველ რიგში განსაკუთრებით საეკლესიო პოლიტიკა გაააქტიურეს. ისინი აქტიურად ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) ეკლესიაში ქართული ენის, მწიგნობრობისა და დამწერლობის დამკვიდრებას, რაც ნათლად ჩანდა მათი საქმიანობის ამსახველ ჩვენამდე შემორჩენილ წყაროებში.

ამ დროს ქრისტიანობამ, როგორც ეროვნული ანბანის განვითარებისა და გავრცელების ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა საშუალებამ, აქტიური როლი ითამაშა აფხაზთა სამეფოშიც, წარმოჩნდა ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნის გაერთიანების საქმეში.


თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში შექმნილი წერილობითი კულტურის შესწავლისას აუცილებელია იმ წერილობითი ძეგლების განხილვა, რომლებიც აღმოჩენილია ამ მხარეში.

საქართველოში ბერძნული ეპიგრაფიკის ცნობილი მკვლევრის თ. ყაუხჩიშვილის მონაცემებით, თანამედროვე აფხაზეთში ისევე, როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მოპოვებულია ასევე ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლები, ძირითადად IX საუკუნემდე შესრულებული. ისინი ეკუთვნის იმ ეპოქას, როცა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ნაწილი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის სამწყსოს ეკუთვნოდა. მათ შორის თანამედროვე აფხაზეთიდან არის 22-მდე ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლი (ყაუხჩიშვილი 2004: 59-79).

შუა საუკუნეების ქართული დამწერლობის ნიმუშები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უხვად არის აღმოჩენილი. წერილობით ძეგლებს შორის არის როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები, ასევე, რბილ მასალაზე შესრულებული ხელნაწერები. მათ შორის განსაკუთრებით ბევრია ეპიგრაფიკული ძეგლი. სულ აღრიცხულია 100-ზე მეტი ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერა (ახალამე 2005: 4).

ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში შექმნილი წერილობითი ძეგლები ადასტურებს, რომ ამ რეგიონის წერილობით კულტურაში წამყვანი ადგილი ეკავა ქართულ დამწერლობას, რომელიც წარმოდგენილია თავისი განვითარების სამივე საფეხურით: ასომთავრულით, ნუსხა-ხუცურითა და მხედრულით. ასევე, დასტურდება ყველა ის კალიგრაფიული მიმდინარეობა ან სკოლა, რომლებიც არსებობდა საქართველოს რომელიმე სხვა ისტორიულ რეგიონში.

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა მობილური აპლიკაცია „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა“ (<https://ica.ge/post/culturalheritageapp>) (ნახ.1).




სახელწოდება

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის აპლიკაცია

ნახ.1 მობილური აპლიკაცია

აპლიკაციის მთავარ ვებგვერდზე გამოსახულია ლოგო, ზედიის ოქროს ბარძიმის – ქართული ოქრომჭედლობის ძეგლის გრაფიკული გამოსახულებით (ნახ. 2).



ნახ.2 მობილური აპლიკაციის მთავარი გვერდი

ვებგვერდზე ასევე, ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე თავმოყრილია ინფორმაცია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, წარმოჩენილია მისი ისტორიული მნიშვნელობა და ამჟამინდელი მძიმე მდგომარეობა.

### დასკვნა

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ქართული წერილობითი ძეგლები მდიდარ მასალას იძლევა როგორც ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული კვლევისათვის, ისე წერილობითი კულტურის განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

კვლევების თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში შექმნილი წერილობითი ძეგლები ადასტურებს, რომ ამ რეგიონის წერილობით კულტურაში წამყვანი ადგილი ეკავა ქართულ დამწერლობას.

ამგვარად, აფხაზეთი, სადაც ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში შექმნეს უნიკალური ისტორიული ნიმუშები, იმერეთთან, სვანეთთან, მესხეთთან და საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ქმნის ქართულ ფასდაუდებელ კულტურას.

---

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

- ახალაძე 2015: ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. თბილისი, 2005.
- ახალაძე 2005: ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, ტ. I, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბილისი, 2005.
- ამირანაშვილი 1971: ამირანაშვილი მ., ქართული ხელოვნების ისტორია. კათედრალური ტაძრის არქიტექტურული დახასიათება, ტაძრის ამგებად მოხსენიებულია აფხაზეთის მეფე ლეონ III (957-967). თბილისი, 1971.
- კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში 2015: გაზეთი „კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“. თბილისი, 2015.
- მიზრუანი 2003: მიზრუანი თ., აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები: ლიხნის ტაძარი. მოკლე ცნობები სოფ. ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის დათარიღების შესახებ, აფხაზეთი, ნაწილი I. თბილისი, 2003.
- ყაუხჩიშვილი 2004: ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბილისი, 2004.

**თედო სახოკია და აფხაზეთი**

**Tedo Sakhokia and Abkhazia**

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Avtandil Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

One of the primary focal points of Tedo Sakhokia's (1868-1956) multifaceted scientific, creative, and socio-political endeavors was his proactive involvement in addressing the challenges associated with Abkhazia. He not only opposed the colonial policies enacted by the Russian government in Abkhazia through his written works but also took practical measures. This is exemplified by his pivotal role in establishing the „Georgian Party“ of Abkhazia between 1895 and 1904. This political party regarded the resolution of two key issues as essential prerequisites for fostering the national consciousness of Abkhazia's inhabitants: the official recognition of Georgian language services in churches and the implementation of Georgian-language education in schools. Tedo Sakhokia's insights about Abkhazia are of significance as they provide us with a comprehensive understanding of the ethnic makeup of the local population. Specifically, according to his information, Georgians constituted the largest segment of Abkhazia's inhabitants by the end of the 19th century. However, due to Russia's colonial policies in the region, the number of foreign settlers, primarily Russians, steadily increased. According to the writer, this ethnic division of Abkhazia's population resulted in the greatest hardships for the Abkhazians, who represented the smallest portion of the populace. While Tedo Sakhokia's association with Abkhazia extends beyond the matters discussed herein, the aforementioned details offer a substantial foundation for acknowledging the role he played in addressing the challenges of Abkhazia through his creative pursuits and active practical endeavors.

საკვანძო სიტყვები: თედო სახოკია და აფხაზეთი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში.

Keywords: Tedo Sakhokia and Abkhazia, Georgian-Abkhaz relations, Russian

## imperial policy in Abkhazia.

თედო სახოკიას (1868-1956) მრავალმხრივი სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად სამოღვაწეო ასპარეზზე მისი გამოსვლიდანვე მყარად დამკვიდრდა აქტიური ზრუნვა აფხაზეთთან დაკავშირებით არსებულ პრობლემათა მოსაგვარებლად. ყოველივე ზემოთქმულისთვის სიცხადის მისაცემად წარმოდგენილ ნაშრომში მოკლედაა გაანალიზებული ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგად შეასრულა მან ხსენებულ პრობლემათა რამდენადმე მაინც მოსაგვარებლად. კერძოდ, იგი არა მარტო თავისი ნაწერებით იბრძოდა აფხაზეთში ხელისუფლების მიერ გატარებული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, არამედ პრაქტიკულადაც.

აფხაზეთისადმი თ. სახოკიას განსაკუთრებული სიყვარული არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ამ მხარესთან. კერძოდ, როგორც მისი ავტობიოგრაფიიდან ვიგებთ, სოხუმში, სადაც მამამისი 1867 წლიდან მღვდლად იყო გამწესებული, პირველად ის სამი თუ ოთხი წლის ასაკში წაუყვანიათ (იხ.: სახოკია 1969: 201-245). აქვე მიიღო მან პირველდაწყებითი განათლება. გარდა იმისა, რომ თ. სახოკია დეტალურად მოგვითხრობს საკუთარი ცხოვრების ამბავს, იგი იმჟამინდელ აფხაზეთში არსებულ მძიმე ეროვნულ მდგომარეობაზეც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას. ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად და რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ მწერლის აქტიურ ბრძოლაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად გავიხსენებ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო რამდენიმე ეპიზოდს მისი ბიოგრაფიიდან.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის ოლქში ქართველები მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იქაურთა ეროვნული ცნობიერების დასათრგუნად. ამ თვალსაზრისით მის მთავარ სამიზნეს სკოლები წარმოადგენდა, სადაც მკაცრად იკრძალებოდა ქართულ ენაზე სწავლება. ამ აკრძალვის სიმწარე თ. სახოკიამაც იწვნია საკუთარ თავზე. კერძოდ, სოხუმში ცხოვრების პერიოდში მამამ იგი აფხაზი ბავშვებისათვის გახსნილ ე. წ. მთიელთა სკოლაში შეიყვანა, სადაც, თ. სახოკიას ინფორმაციით, „სწავლება რუსულად წარმოებდა. ქართულის ხსენებაც კი არ ყოფილა და ვერც კი წარმოედგინათ, თუ არა რუსულით, სხვა ენის საშუალებით წერა-კითხვის სწავლება შესაძლებელი ყოფილიყოს“ (სახოკია 1969: 204). მამის მონდომებას, რუსულთან ერთად მის შვილს როგორმე ქართული წერა-კითხვაც შეესწავლა, იმხანად არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამ საქმის მოგვარება მხოლოდ მოგვიანებით, მშობლიურ სოფელ ხეთაში გადმოსვლისა და მარტვილის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში, გახდა შესაძლებელი.



სოხუმს თ. სახოკია განმეორებით 1898-1900 წლებში დაბრუნებია და, როგორც თავად წერს, „მთელი ახალგაზრდულის აღფრთოვანებით და თავდავიწყებით შებრძოლებია რუსეთის იმპერიალიზმის მიერ ჩვენის ქვეყნისა და ქართველი ხალხის გამარუსებელი პოლიტიკის გატარების საქმეს“ (სახოკია 1969: 223). ამის ნათელი დადასტურებაა ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელიც მან 1895-1904 წლებში აფხაზეთის ქართული პარტიის შექმნით შეასრულა. ხსენებული პარტიის ჩამოყალიბებისა და საქმიანობის პროცესში ლიდერის როლს, პირველ ყოვლისა, თედოსახოკია ასრულებდა (აღნიშნულსაკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ: სილაგაძე... 1999; ნიკოლეიშვილი 2019: 498-539).

„ქართული პარტია“ აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების განმტკიცების უპირველეს პირობად ორი უმთავრესი პრობლემის გადაწყვეტას მიიჩნევდა აუცილებლად: ეკლესიებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე დაკანონებასა და სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას, რის შედეგადაც რეალურად გამოეცლებოდა საფუძველი იმპერიული ხელისუფლების მზაკვრულ განზრახვას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ერის ისეთ „ხალხებად“ დაშლა-დაქუცმაცებას, როგორებიცაა: „მეგრელები“, „გურულები“, „სვანები“, „იმერლები“, „აჭარლები“ და საკუთრივ „ქართველები“.

როგორც ითქვა, ქართული მოსახლეობის გასარუსებლად და ეროვნული ცნობიერების დასათრგუნად ხელისუფლება მიზანმიმართულად იყენებდა ისეთ „საუკეთესო და უებარ საშუალებას“, როგორიც სკოლაა. თ. სახოკიას ინფორმაციით, ამ მიზნის მისაღწევად „გარუსების მისიონერები“ სკოლებში სწავლების მთელ პროცესს ისე წარმართავდნენ, მოსწავლეთ არ გაეგოთ, რომ ისინი ქართველები იყვნენ. „ქართული ენა არა მარტო სკოლებიდან იყო განდევნილი, არამედ ეკლესიებიდანაც და სოხუმის საკრებულო ტაძარში სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსს სრულებით ბუნებრივად და კანონიერად მიაჩნდა სლავურის უცოდინარ ქართველობისათვის მის გასაგებ სამშობლო ქართულ ენაზე არ მოესმენინებინა წირვა-ლოცვა“. გარდა ქართული პრესისა, „ამ უმსგავსო და აღმაშფოთებელი ფაქტის“ წინააღმდეგ თ. სახოკიამ რუსულ პრესაშიც არაერთგზის აღიმადლა ხმა აქტიურად.

სოხუმელი ქართველების წინააღმდეგ შავრაზმელი რუსებისა და საოლქო ადმინისტრაციის ბრძოლას განსაკუთრებით ფართო მასშტაბი XX საუკუნის დასაწყისში შეუძენია. მწერლის ინფორმაციით, მათ „პირდაპირ მიიტანეს იერიში იმ თითო-ოროლა ქართველზე, რომელიც აქა-იქ კივივებდა სოხუმის ოლქში სხვადასხვა კუთხეს. თვალში ამოღებულთა შორის“ თედოც ყოფილა. ასეთი დევნის ობიექტებად, პირველ ყოვლისა, ის ქართველები იყვნენ ქცეულნი, რომლებიც „ადგილობრივ ადმინისტრაციას ხელს უშლიდნენ ამ ოლქის მცხოვრებთა გარუსების საქმეში“ (სახოკია, 1969: 232). ადმინისტრაციამ ყველა მათგანს ოლქიდან რუსეთის შიდა გუბერნიის რომელიმე ქალაქში გადასახლება მიუსაჯა. აღნიშნული სასჯელისაგან

თავი თ. სახოკიამ იმით დაიხსნა, რომ პარიზში მოასწრო წასვლა.

პარიზიდან მწერალი 1905 წელს დაბრუნდა. სამშობლოში მისი დაბრუნება, უპირველეს ყოვლისა, რომანტიკული ეროვნული მიზანსწრაფვით იყო განპირობებული. კერძოდ, თ. სახოკიამ და მისმა თანამებრძოლებმა გემ „სირიუსით“ საქართველოში ჩამოიტანეს ჰოლანდიაში შექმნილი იარაღი, რომელიც ქართველი პატრიოტებისათვის უნდა დაერიგებინათ. თ. სახოკიას ინფორმაციით, „გემს მიგებებულმა სანდლებმა იარაღის ნაწილი გადმოტვირთეს შავი ზღვის პირის სხვადასხვა ადგილას. გადმოტვირთული იარაღის ნაწილი მთავრობამ ჩაიგდო ხელში, სხვა ხალხს დაურიგდა“ (სახოკია 1969: 235). 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ამ პატრიოტული აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად, თ. სახოკიაც დააპატიმრეს, მაგრამ ოთხთვიანი პატიმრობის შემდეგ იგი ციხიდან გაათავისუფლეს.

თედო სახოკიას აფხაზური ციკლის ნაწერები მეტად საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ მათი მეშვეობით ნათელი წარმოდგენა გვექმნება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე. კერძოდ, მისი ინფორმაციით, XIX საუკუნის ბოლოს სამურზაყანოს მთავარ სავაჭრო ცენტრ ოჩამჩირეში სულ 608 სული ცხოვრობდა: 26 ლაზი, 3 ბერძენი, 1 სომეხი და 1 პოლონელი, დანარჩენები კი მეგრელები იყვნენ. აქედან გამომდინარე, „სალაპარაკო ენა მეგრულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცოდა“ (სახოკია 1985: 320). მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მხრივ განსხვავებული მდგომარეობა არც სამურზაყანოს სხვა დაბა-სოფლებში ყოფილა და იქაური მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობასაც ქართველები შეადგენდნენ.

თ. სახოკიას ხაზგასმით, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მხრივ საკუთრივ აფხაზეთში სამურზაყანოსაგან განსხვავებული მდგომარეობა იყო. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები (მეგრელები) იქაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ, რუსეთის მიერ ამ მხარეში გატარებული კოლონიური პოლიტიკის შედეგად დღითი დღე იზრდებოდა იქ ჩამოსახლებული უცხოელების, პირველ ყოვლისა კი რუსების, რაოდენობა.

აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური აჭრელებით გულნატკენი მწერალი იმაზეც მიგვაქცევინებს ყურადღებას, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული ამ დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად ყველაზე მეტად ამ მიწის ნამდვილი მკვიდრნი – აფხაზები დაზარალდნენ, რომელთა „სუფრასაც მათ მაგივრად სხვები მიუსხდნენ“. იმხანად რუსული ხელისუფლების აშკარა არაკეთილგანწყობითი დამოკიდებულება აფხაზთა მიმართ უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს აფხაზთა გარკვეულმა ნაწილმა თურქეთის მხარე დაიკავა და მათთან ერთად იბრძოდა რუსების წინააღმდეგ.

ამ გარემოებამ, რამაც მუჰაჯირობის (თურქეთში აფხაზთა მასობრივი გადასახლების) პროცესისგან ახლებური ძალით აღზევებასაც დიდად

შეუწყო ხელი, არსებითად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ „აფხაზები მოკლებული იყვნენ უფლებას ქალაქ სოხუმის მახლობლად (ოცი კილომეტრის მანძილზე) დასახლებულიყვნენ, როგორც არასაიმედო ელემენტი. აბჟუაში (აღმოსავლეთ აფხაზეთში) შეეძლო ყოფნა მხოლოდ მდინარე კოდორის გამოღმა; ხოლო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში) მდინარე აცწყლის იქით, გაგრამდე“ (სახოკია 1985: 381).

ამ მოვლენის გამო ფსირცხიდან (ახალი ათონი) და აფხაზეთის სხვა სოფლებიდან აყრილი აფხაზები ძირითადად გუდაუთის შემოგარენში დასახლდნენ, მათ ადგილებს კი უცხოელები დაეპატრონენ. თუმცა, თ.სახოკიას ინფორმაციით, ისინი ამ რეგიონშიც ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენდნენ. კერძოდ, გუდაუთის 1117 მცხოვრებიდან ყველაზე მეტი (356) ქართველი იყო, შემდეგ მოდიოდნენ: რუსები (242 კაცი), ბერძნები (133), სომხები (132), ლაზები (32) და სხვები. აფხაზთა რაოდენობა კი მხოლოდ 78 კაცს შეადგენდა (იქვე: 386).

აფხაზთა ყველაზე დიდი დასახლება სოფელი ლიხნი (ზოგჯერ თ.სახოკია მას ლიხნის სახელითაც მოიხსენიებს) ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ იქაურ „მოსახლეთა შორის მხოლოდ მეგრული გვარები იყო დარჩენილი, ენას აფხაზურის გარდა სხვას ვერ გაიგონებდით“ (იქვე: 389). ისტორიულად ეს სოფელი, ისევე როგორც მთელი აფხაზეთი, ქართული სახელმწიფოს დვიძლ ნაწილს რომ წარმოადგენდა, ამის უტყუარ არგუმენტად თ. სახოკია XI საუკუნეში აგებულ ლიხნის ტაძარს ასახელებს, რომელსაც მის დრომდე ჰქონდა შემორჩენილი 1066 წელს გაკეთებული ქართული წარწერები.

თ. სახოკიამ აფხაზთა იმდროინდელ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებითაც მოგვაწოდა მნიშვნელოვანი მასალები. კერძოდ, მისი ინფორმაციით, XIX საუკუნის 90-იანი წლების აფხაზური დასახლება ამგვარად გამოიყურებოდა: „სახლი აფხაზისა უმეტეს შემთხვევაში წნული ფაცხაა, ისლით ან გვიმრით დახურული, გვიმრითვე გვერდებზეშებულული სითბოსთვის, უიატაკო, უჭერო, უსარკმლო... სინათლე ასეთ ფაცხაში ჭუჭრუტანებიდან შემოდის ანდა იმ ორკარიდან, რომელიც ერთი წინიდანა აქვს და მეორეც - მის პირდაპირ, - უკანიდან... სავალალო უფრო ის გახლავთ, რომ ამ ხალხს ინტელიგენციაც არა ჰყავს, ოთხი-ხუთი განათლებული კაციც არ მოეძევა, რომ წინამძღვრობას უწევდეს თავის მოძმეთა, მათი ჭირისა და ლხინის გამომხატველი იყოს“ (იქვე: 398).

აფხაზთა ეკონომიკური გაჭირვებისა და ინტელიქტუალური ჩამორჩენილობის განმაპირობებელ უმთავრეს მიზეზად თ. სახოკია მათ სიზარმაცესა და უგერგილობას მიიჩნევდა. მისი თქმით, „აფხაზი ფიზიკურ დაღლას ერიდება. ზედმეტი, გასაყიდი სიმინდის მოწვევას გაურბის, სირცხვილად მიაჩნია ვაჭრობა, სხვისთვის მუშაობა, საზოგადოდ ფიზიკურ მუშაობას გაურბის... აფხაზს ვერსადა ჰხედავთ გარეთ გასულს, სამუშაოს საძებრად. არათუ გარეთ, აფხაზეთის მოშორებით, თავის სოფელსაც არა შორდება... უბრალო ხელოსნობა რა არის, იმასაც კი ვერა ნახავთ მათ შორის.

რისიმე ფიცრულის დადგმა რომ დასჭირდებოდა, ხუროებს სხვაგნინდან უნდა დაუძახონ. არც საქონლის მოვლამოშენებას მისდევენ. აქა-იქ თითოეულმა კომლმა თუ 5-10 თხა გაიჩინა, დიდი საქმეა. ისიც იმიტომ, რომ თხები ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშ არიან, საკვებს არა სთხოვენ“ (სახოკია 1985: 399).

აფხაზთა ეკონომიკური სიღუბეჭირისა და ჩამორჩენილობის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად თ. სახოკია მათ გაუნათლებლობასაც მიიჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ, მწერლის შეფასებით, „აფხაზი ბუნებით ნიჭიერია“, მას ამ ნიჭიერების გამოსავლენად იმხანად არავითარი პირობები არ ჰქონდა შექმნილი. თ. სახოკია უღრმეს გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ამ ხალხს საერთოდ არ ჰყავდა საკუთარი ინტელიგენცია და ოთხი-ხუთი კაციც კი არ მოეძებნებოდა ისეთი, რომელიც წინამძღვრობას გაუწევდა და მათი ჭირისა და ღვინის გამომხატველი იქნებოდა (იქვე: 398).

მართალია, ხელისუფლებამ ამ მდგომარეობის რამდენადმე მაინც გამოსასწორებლად 1893 წელს სოხუმში აფხაზებს ორკლასიანი „მთიელთა სკოლა“ გაუხსნა, მაგრამ, თ. სახოკიას შეფასებით, ამით „აფხაზთა ცხოვრებას ნირი მაინც არ შესცვლია, არაფერი დასტყობია“, რადგანაც სკოლაში სწავლება აფხაზთათვის სრულიად გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობა აფხაზეთში არსებულ არც სხვა სამრევლო სკოლებში იყო. მწერლის თქმით, „იმ უკუღმართი მიმართულების გამო, საზოგადოდ ჩვენებურ სკოლებში რომ იყო გამეფებული, აქაური სკოლები ყველაფერს ემსახურებოდნენ, ყველაფერს ასრულებდნენ, გარდა მთავარი დანიშნულებისა – ყრმათა გონებრივი და ზნეობრივი წვრთნისა. აქაურ მკვიდრთ არც ამ სკოლათა არსებობა ამატებდა რასმე და აღარც უმისობითაც დააკლდებოდათ“ (იქვე: 393).

ანალოგიური მდგომარეობა იყო თითქმის მთლიანად მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სამურზაყანოშიც. თ. სახოკიას ინფორმაციით, იქაურ სასწავლებლებშიც სწავლება მხოლოდ რუსულად წარმოებდა და ბავშვებმა ქართული წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ. ეს მაშინ, როცა იქ არსებულ სკოლებში მხოლოდ ქართველები სწავლობდნენ და „აქა-იქ თუ გაერეოდნენ აფხაზი ბავშვები“. ამას ემატებოდა ისიც, რომ იქაურ უღარიბეს წიგნთსაცავებში საერთოდ არ მოიპოვებოდა ქართული წიგნები, მიუხედავად იმისა, რომ „უმეტესი მოთხოვნილება“ სწორედ მათზე იყო (იქვე: 325).

თ. სახოკიას აფხაზურ დღიურებში ჩვენი ქვეყნის ამ მხარეში მცხოვრებ ქართველთა სოციალური ყოფის ამსახველი ეპიზოდებიცაა წარმოდგენილი. მაგალითად, აფხაზეთში მოგზაურობის დროს, სოხუმიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით, ციებ-ცხელების ბუდედ ქცეულ და ჭაობებულ ტყეებში, მწერალი სენაკის მაზრიდან უმიწობასა და ძალღუმადურ ცხოვრებას გაქცეულ მეგრელთა 25 კომლიან დასახლებაში მოხვედრილა.

მთავრობის განკარგულებით რუსი მატროსებისათვის გამოყოფილი ეს უსარგებლო მიწები მათ ქალაქის ხელისუფლებისაგან დროებით იჯარით ჰქონიათ აღებული. მაგრამ სოხუმის თავად დანიშნულმა ბერენსმა, რომელიც ქართველებს განსაკუთრებული ათვალწუნებით ეპყრობოდა, მეგრელებს იქიდან სასწრაფოდ აყრა და სხვაგან გადასახლება მოსთხოვა.

აფხაზეთა და ქართველთა ამგვარი დევნისა და შვეიწროების მაჩვენებელი მაგალითების გვერდით, თ. სახოკია გულისტკივილით იმის შესახებაც გვესაუბრება, ამ მხარეში როგორ მიზანმიმართულად მიმდინარეობდა უცხოელთა ჩამოსახლების მომაკვდინებელი პროცესი. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, აფხაზეთის ზღვისპირა ტერიტორიებისადმი ხელისუფლების ინტერესი დღით დღე იზრდებოდა და მიწასაც უფრო და უფრო მეტი ფასი ედებოდა. მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი ცდუნებას ვერ უძლებდა და „საარაკო ფასდადებულ“ სააგარაკო ადგილებს თურქეთიდან გადმოსულ სომხებსა და ბერძნებზე ყიდდა.

ხელისუფლების მიერ გატარებული კოლონიური პოლიტიკის შედეგად აფხაზეთში დამკვიდრების მსურველ უცხოელებს შორის ყველაზე პრივილეგირებული პირობები მაინც რუსებს ჰქონდათ შექმნილი. ამ მხარეში რუსული მოსახლეობის ხვედრითი წილის გასაზრდელად მთავრობა ხალხს მასობრივად ასახლებდა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი აფხაზეთის სპეციფიკურ კლიმატურ პირობებთან შეუგუებლობის გამო კვლავ უკან ბრუნდებოდა, ნაწილი კი მალარითა და ციებ-ცხელებით იღუპებოდა, ხელისუფლების თავკაცები უკან მაინც არ იხევდნენ და მიზანსწრაფული დაჟინებით ცდილობდნენ თავიანთი იმპერიული გეგმის რეალურად განხორციელებას. თ. სახოკიას თქმით, „ეს ვაჟბატონები „უმალესი მოსაზრებით“ ხელმძღვანელობდნენ: – ხელი უნდა შევუშალოთ მეგრელთა ელემენტის გამრავლებას, თუნდაც მთელი სოფლის სიცოცხლედ დაგვიჯდეს ეს ხელისშეშლაო!“ (სახოკია 1985: 385).

ხელისუფლების ასეთმა დაჟინებულმა მცდელობამ სასურველ მიზანს ნაწილობრივ მართლაც მიაღწია და, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული სირთულეებისა, აფხაზეთის შავი ზღვისპირეთში რუსთა ახალშენებიც მრავლად გაჩნდა. მართალია, ამ სოფლების მოსახლეობის დიდ ნაწილს მალარია და ციებ-ცხელება იმდენად ავლებდა მუსრს, რომ მიცვალებულთა რიცხვი დაზადებულთა ოდენობას აჭარბებდა, მაგრამ მთავრობა უკან დახევას მაინც არ აპირებდა და კვლავინდებურად განაგრძობდა დაღუპულთა ადგილზე რუსი მოსახლეობის ახალ-ახალი ნაკადების პერმანენტულად ჩამოსახლების პროცესს.

აფხაზეთის რუსიფიკაციის სახელისუფლებო გეგმას ასეთ ფართო მასშტაბს, უპირველეს ყოვლისა, ამ მხარის დიდი სამომავლო პერსპექტივის რეალური გაცნობიერება სძენდა. ამ პერსპექტივის განმსაზღვრელ უმთავრეს საფუძვლად თ. სახოკია მთელ შავი ზღვისპირეთში ბუნებრივი პირობებითა

და სილამაზით გამორჩეულ კურორტებს მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებით დიდი მომავლის მქონე კურორტად ახლადდაარსებულ გაგრას აღიარებდა. მისი შეფასებით, „სამიოდე წლის წინათ მივარდნილ და უდაბურ ადგილად ქცეული ეს კურორტი განვითარების ისეთ გზას დაადგა“, რომ სულ მალე „უთუოდ დიდ მეტოქეობას გაუწევდა დასავლეთ ევროპის დიდ კურორტებს“ (სახოკია 1985: 406).

თ. სახოკიას შემოქმედებითი მემკვიდრეობა იმ დამოკიდებულებაზეც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას, რომელსაც მისი დიდი თანამედროვენი იჩენდნენ აფხაზეთის მიმართ. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა მისი წიგნი „ჩემი საუკუნის ადამიანები.“ მემუარული ჟანრის ამ წიგნით თ. სახოკიამ კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა იმ აქტიურ საქმიანობაზე, რომელსაც XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის დიდი ქართველი მოღვაწენი ეწეოდნენ ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად. ნათქვამის დასტურად თუნდაც აფხაზეთთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების შესახებ მოთხრობილი ამბავი გავიხსენოთ. ილია აფხაზეთს პირველად და უკანასკნელად 1903 წელს სტუმრებია. თ. სახოკია დაწვრილებით იგონებს სოხუმში ილიასთან შეხვედრის ამბავს. შარვაშიძეთა სასახლის ეზოში გამართულ სადილზე ჩვეული მჭევრმეტყველებით წარმოთქმულ სადღეგრძელოში მწერალს უდიდესი კმაყოფილება გამოუხატავს იმის გამო, რომ მთელი ქალაქი ქართველების ხელში იყო და სწორედ ისინი იყვნენ იქაურობის ბატონ-პატრონი. ამ თვალსაზრისით სოხუმში არსებული მდგომარეობა ილიას თვით თბილისისთვისაც კი მიაჩნდა საუკეთესო მაგალითის მიმცემ მოვლენად.

ნანახით აღფრთოვანებულმა ილიამ თავის სამადლობელ სიტყვაში თურმე რამდენჯერმე გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ საქართველოში სინათლე, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთიდან მოდიოდა, რომ სწორედ „დასავლეთ საქართველოს ქართველობას უნდა მიეცა აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებისათვის მაგალითი სიფხიზლის, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა... ერთობლივი ძალით მამაპაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყნის შენარჩუნებისა, რომ სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოლებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ“ (სახოკია 1985: 26).

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთთან თედო სახოკიას დამოკიდებულება გაცილებით ფართო მასშტაბებს მოიცავს და მხოლოდ ჩვენ მიერ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება, ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული მაინც იძლევა მყარ საფუძველს იმ როლის წარმოსაჩენად, რომელიც აფხაზეთთან დაკავშირებულ პრობლემათა მოგვარების პროცესში აქვს მას შესრულებული თავისი შემოქმედებითაც და პრაქტიკული საქმიანობითაც.

---

**გამოყენებული ლიტერატურა**

ნიკოლეიშვილი 2014: ნიკოლეიშვილი ა., ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, ტ. II. ქუთაისი, 2014.

ნიკოლეიშვილი 2019: ნიკოლეიშვილი ა., ქართველოლოგიური ეტიუდები, ტ. V. ქუთაისი, 2019.

სახოკია 1969: სახოკია თ., [შრომათა] კრებული (ეთნოგრაფიის, ლექსიკოლოგიის და ფოლკლორის დარგში. აგრეთვე: მოგონებანი თედო სახოკიაზე). თბილისი, 1969.

სახოკია 1985: სახოკია თ., მოგზაურობანი. ბათუმი, 1985.

სილაგაძე... 1999: სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს განუყოფელობისათვის ზრძოლის ისტორიიდან, ნაკვეთი II, თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904 წწ.). თბილისი, 1999.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6990>

**XIX საუკუნის ამერიკული წყარო  
აფხაზეთის შესახებ**

**A 19th Century American Source  
on Abkhazia**

**ოთარ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Otar Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

Among the notable individuals who explored Georgia during the 19th century, it is imperative to highlight the American ethnographer, folklorist, and translator, Jeremiah Curtin. From 1864 to 1869, he served as a secretary at the US Embassy in St. Petersburg, during which time he embarked on his journey to the Caucasus. Upon his return to the United States, J. Curtin frequently delivered lectures on Russia and the Caucasus. His final visit to the Russian Empire occurred in 1900.

J. Curtin's memoirs were meticulously prepared for publication by his widow, Alma Cardell, based on his notes as an American diplomat and writer. The book was initially published in America in 1940 by the Wisconsin State Historical Society. Within these memoirs, the author narrates various accounts of his endeavors and recounts his impressions of his trip to Georgia. Notably, J. Curtin captivantly describes numerous regions and cities of the country. This specific work exclusively focuses on episodes involving Abkhazia and the Abkhazian people. Its value is heightened by the author's firsthand experience, as he traveled to the region in the early 1870s.

In conclusion, it is fair to assert that despite some inaccuracies, Jeremiah Curtin's memoirs must be regarded as a multifaceted and significant foreign source for studying the history of Abkhazia and Georgia as a whole.

**საკვანძო სიტყვები:** XIX საუკუნის ამერიკული წყარო აფხაზეთის შესახებ, იერემია კერტინის მემუარები.



**Keywords:** A 19th-century American source on Abkhazia, the memoirs of Jeremiah Curtin.

XIX საუკუნეში საქართველოში ვიზიტად ნამყოფ ცნობილ პიროვნებათა შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ამერიკელი ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და მთარგმნელი იერემია კერტინი (Jeremiah Curtin – 1835–1906). მისი პიროვნული პორტრეტის ნათელსაყოფად თავდაპირველად მინდა მკითხველს მივაწოდო უმთავრესი მონაცემები მისი ბიოგრაფიიდან. იგი დაიბადა 1835 წელს ამერიკაში, ირლანდიური წარმოშობის მშობელთა ოჯახში. 1863 წელს წარმატებით დაასრულა ბაკალავრიატი ჰარვარდის უნივერსიტეტში და შეისწავლა რამდენიმე უცხო ენა, რის შემდეგაც 1864–1869 წლებში პეტერბურგში განაგრძო მოღვაწეობა აშშ-ის საელჩოში, რომელსაც კასიუს მარცელიუს კლეი (Cassius Marcellus Clay) ედგა სათავეში. ამერიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ი. კერტინი მდივნის თანამდებობას იკავებდა. სწორედ ამ პერიოდში იმოგზაურა მან პირველად კავკასიაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ი. კერტინი ლექციებს კითხულობდა რუსეთისა და კავკასიის შესახებ. იგი, როგორც გამორჩეული პროფესიონალი, 1883–1891 წლებში აქტიურად იყო ჩართული ამერიკული ეთნოლოგიის ბიუროს საქმიანობაში. 1892 წლიდან ი. კერტინი კვლავ განაგრძობს მოგზაურობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. 1900 წელს იგი უკანასკნელად იმყოფებოდა რუსეთის იმპერიაში. ი. კერტინის ბიოგრაფიის ძალზე მნიშვნელოვან ეპიზოდს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი, როგორც რუსეთის საკითხებში საფუძვლიანად გაცნობიერებული პიროვნება, ამერიკის პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის (Theodore Roosevelt 1901–1909) თხოვნით ჩართულ იქნა რუსეთ-იაპონიის 1904–1905 წლების ომის დასრულების მიზნით მოწვეული პორტსმუთის სამშვიდობო მოლაპარაკებების ორგანიზებაში (Curtin 1940:).

რაც შეეხება ჩემს ნაშრომში წარმოდგენილ მემუარებს, იგი ი. კერტინის ქვრივმა ალმა კარდელმა (Alma M. Cardell) მოამზადა გამოსაცემად ამერიკელი დიპლომატის პირად ჩანაწერებზე დაყრდნობით. წიგნი პირველად 1940 გამოიცა ვისკონსინის შტატის საისტორიო საზოგადოების მიერ. აღსანიშნავია ისიც, რომ ი. კერტინი ხსენებულ წიგნში ჩვენი ქვეყნის არაერთ რეგიონსა და ქალაქზეც მოგვითხრობს ძალზე საინტერესოდ. ამჯერად კი ნაშრომის მხოლოდ იმ მონაკვეთზე გავამახვილებ ყურადღებას, სადაც აფხაზეთისა და აფხაზების შესახებაა საუბარი. წიგნში მონათხრობს განსაკუთრებულად ფასეულს ხდის ის გარემოება, რომ ავტორი არა მხოლოდ სხვათა მონათხრობს ეყრდნობა აღნიშნულ რეგიონზე საუბრის დროს, არამედ საკუთარ შთაბეჭდილებებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის აფხაზეთშიც, მისი იმჟამინდელი მოგზაურობა დიპლომატიური სტატუსის მომცველი

არ ყოფილა, ეს ვიზიტი მაინც ქცეულა მნიშვნელოვან მოვლენად და მას არაერთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელისგან მიუღია აუდიენციებსა და ოფიციალურ ნადიმებზე მიპატიჟება.

სამწუხაროდ, ი. კერტინის ხსენებულ წიგნში მოხსენიებულ პიროვნებათა დიდი ნაწილის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება. მაგალითად, აფხაზეთში ჩასვლისა და იქ გამართული შეხვედრების შესახებ საუბრის დროს იგი ასახელებს გენერალ კრაფკეჰინკერს (Krafkehinkers), რომელსაც სოხუმის გუბერნატორად მოიხსენიებს. რეალურად კი ასეთი თანამდებობა იმ დროისათვის არ არსებობდა. როგორც ამერიკელი მწერალი გერმანული გვარის მქონე ზემოხსენებულ გენერალზე საუბრის დროს დასძენს, იგი ადგილობრივი მოსახლეობისთვის სრულიად უცხო ადამიანს წარმოადგენდა. იმის გამო, რომ მას აფხაზური ენა არ სცოდნია, რეგიონის იმჟამინდელი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კი – რუსული ენა, მათ ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარება მხოლოდ თარჯიმნის საშუალებით შეეძლოთ. აი, როგორ აღწერს თავად წიგნის ავტორი სოხუმის გუბერნატორად მოხსენიებულ ზემოთქმულ პიროვნებასთან თავის შეხვედრას:

„ბიჭვინთაში ჩასვლისთანავე გუბერნატორმა ჯარისკაცებს უბრძანა ჩემი ცხენებით უზრუნველყოფა და ტყეებში გაყოლა... გაიგეს რა ბიჭვინთაში გუბერნატორის ყოფნა, ყველა ადგილობრივი მასთან შეხვედრას ცდილობდა, რათა თავისი გასაჭირი მოეხსენებინა. რადგანაც აფხაზური ენა არ იცოდა, ხალხთან საუბარი მას თარჯიმნის საშუალებით უხდებოდა, რაც ხანგრძლივ და დამქანცველ საქმეს წარმოადგენდა. საბოლოოდ ყველაფერი დასრულდა და ჩვენც გავთავისუფლდით. როდესაც უკან დავბრუნდით და ქალაქს მივუახლოვდით, ჩვენ წინ სოხუმის დიდებული ხედი გადაიშალა“ (Curtin 1940: 238-239).

აფხაზეთში ყოფნის დროს ი. კერტინს ინტერესით დაუთვალიერებია იქაური ღირსშესანიშნაობანი. იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს ბიჭვინთის საკათედრო ტაძრისა და ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს დროს აგებული ციხე-სიმაგრის მშენიერებისადმი. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ ფრაგმენტს ავტორისეული მონათხრობიდან:

„ბიჭვინთაში (კერტინი ამ დასახლებულ პუნქტს პიცუნდის სახელით მოიხსენიებს – ო. ნ.) ჩასვლისთანავე... მე და ჩემი ცოლი ძველი ეკლესიისა და ციხე-სიმაგრისკენ გავემართეთ, რომლებიც თხუთმეტი წუთის ფეხით სავალზე იყო სანაპიროდან... ციხე-სიმაგრე ოთხკუთხა ფორმის, დაახლოებით თოთხმეტი ფუტის სიმაღლის, ქვისა და აგურის კედლებითაა გარშემორტყმული. თითქმის მის შუაში ათას წელზე მეტი ხნის ეკლესია დგას. იგი ბერძნების მიერ იქნა აგებული იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობის ხანაში, იმ დროს, როდესაც კავკასიის მთელი სანაპირო ზოლი აღმოსავლეთ იმპერიას ეკუთვნოდა. ის იმდენად კარგადაა ნაგები, რომ მისი წარმოდგენლად სქელიკედლები კიდევ ათასწლეულებს გაუძლებს.

ეკლესიის საპირისპირო მხარეს სამი შენობა დგას. პირველი მათგანი მონასტრის წინამძღვრისა და სამი თუ ოთხი იქ მყოფი ბერის საცხოვრებელია; მეორე შენობაში მათი სამზარეულო და სასადილო ოთახებია განთავსებული; მესამე ნაგებობა კი, რომელიც სკოლისათვის იყო გათვალისწინებული, იმ დროისათვის გრაფინია რუსპოლის მფლობელობაში იმყოფებოდა, რომელიც ავსტრიიდან იყო ემიგრირებული. მთელს კავკასიაში არავინ, მათ შორის არც გუბერნატორმა არ იცოდა გრაფინიას პირადი ისტორია; ცნობილი გახლდათ მხოლოდ ის, რომ იგი დიდგვაროვანთა ოჯახის წევრი იყო“ (Curtin 1940: 255-256).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოში ყოფნის პერიოდში ი. კერტინი, მაღალი რანგის სახელისუფლებო პირების გარდა, არაერთ საინტერესო სასულიერო მოღვაწესაც შეხვედრია. ერთ-ერთი მათგანი იყო ბიჭვინთის საკათედრო ტაძრის იმჟამინდელი წინამძღვარი. მართალია, ავტორი მისი ვინაობის შესახებ უფრო კონკრეტულს აღარაფერს ამბობს, მაგრამ მემუარებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი საკმაოდ განათლებული და საინტერესო წარსულის მქონე ადამიანი ყოფილა და საქართველოში ჩამოსვლამდე ალასკაზე ახორციელებდა ღვთისმსახურებას. მეტი სიცხადისათვის, დავიმოწმებ თავად ციტატას:

გრაფინია რუსპოლისთან „ჩაის მირთმევის შემდეგ ჩვენ დილის მსახურებას დავესწართ ეკლესიაში. გალობა იყო საოცრად კარგი და მოსასმენად დიდებული. მანამდე არსად არასოდეს ვყოფილვარ ისეთ შენობაში, სადაც ადამიანის ხმას ასეთი ეფექტი მოეხდინოს ჩემზე. ეკლესიაში ბევრი მომლოცველი არ იყო: მხოლოდ რამდენიმე კაზაკი და სოფლის მცხოვრები. ეკლესიის კარებთან ტაძრის წინამძღვარს შევხვდი, თეთრწვერა, პატივსაცემ კაცს, რომელიც ძალზე გულთბილად მომესალმა და მითხრა, რომ უკვე იცოდა ჩემი სახელი. მან ჩვენ საუბრეზე მიგვიპატიჟა და ეს ისეთი კეთილშობილური ფორმით გააკეთა, რომ უარის თქმა შეუძლებელი იყო. ტაძრის წინამძღვარმა რამდენიმე წელი ალასკაზე გაატარა და ბევრი საინტერესო ამბავიც მოგვიყვა თავის მოგზაურობათა და ინდიელთა თავგადასავლებზე. იგი ახლახან ჩამოვიდა ბიჭვინთაში; მაგიდებსა და სკამებზე ბევრი წიგნი იყო დახვავებული, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ის ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე მორგებული ახალ საცხოვრებელს“ (იქვე: 257-258).

ი. კერტინის ხსენებულ წიგნში ასევე საინტერესოაა მოთხრობილი როგორც აფხაზთა საცხოვრისის, ისე მათი ყოფითი კულტურის შესახებ. ამ კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია ის როლი, რომელიც, ავტორის აზრით, ქალებს ეკავათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ნიშანდობილია ის პარალელიც, რომელსაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავლებს ი. კერტინი გერმანიასთან. მისი აზრით, გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველოში ქალებს გაცილებით უფრო მსუბუქი, თუმცა ამასთანავე ძალზე საპასუხისმგებლო საქმის გაკეთება უხდებოდათ. მეტი სიცხადისათვის მოვიყვან შესაბამის ადგილს წიგნიდან:

„მეორე დღეს... ჩვენ ვეწვიეთ პატარა სოფელ ლიზას (აქ, შესაძლოა, იგულისხმებოდეს სოფელი ლიხნი – ო. ნ.) და ერთი აფხაზის, სახელად აზიჯის, სახლს. აფხაზური სახლი ძალზე მარტივი აგებულებისაა. მაქსიმალურად მარტივია მისი ინტერიერიც. ერთადერთი ავეჯი ესაა დაბალი, ფართო, მერხისებრი დასაჯდომი, ბაქანი, რომელიც ოთახის სამ კუთხესაა შემოყოლებული... იმ შემთხვევაში, თუკი სტუმარი მთელი ღამით დარჩებოდა, საწოლებად სწორედ ამ რბილ დასაჯდომებს იყენებდნენ... ოთახში იატაკი მიწისაა. გარდა ერთოთახიანი მთავარი სახლისა, კიდევ არის უფრო მომცრო ზომის, მრგვალი ფორმის ანალოგი. იგი სამზარეულოდ და სათავსოდ გამოიყენება... აფხაზეთში ცხოვრება მარტივია. ამ ზომიერი კლიმატის პირობებში მცირე ძალისხმევაც კი საკმარისია საარსებო წყაროს მისაღებად.

ქალები აფხაზეთში, ისევე როგორც კავკასიის სხვა ადგილებში, მინდორში არ მუშაობენ, განსხვავებით გერმანიისგან, სადაც ეს ჩვეულებრივი ამბავია. გერმანიაში ქალები და ძროხები მინდვრის მუშებად მიიჩნევიან. აფხაზი ქალები თავად რთავენ და კერავენ ტანსაცმელს, რომელიც მათი ოჯახის წევრების და თავად მათ შესამოსადაა საჭირო“ (Curtin 1940: 259-261).

უალრესად საინტერესოა ამერიკელი ავტორის დამოკიდებულება აფხაზთა შორის წიგნიერების კუთხით არსებული სიტუაციის შესახებ. ი. კერტინი გაოცებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ რეგიონში რუსული მმართველობის დამყარებამდე აფხაზურ ენაზე არათუ არანაირი წიგნი არ ყოფილა გამოცემული, არამედ მათ იმ დრომდე საკუთარი ანბანიც კი არ ჰქონიათ. ამ კუთხით, წიგნის ავტორი არ ითვალისწინებს იმ ისტორიულ გარემოებას, რომ აფხაზები არასოდეს ყოფილან წიგნიერებას მოწყვეტილნი და მათთვის, საუკუნეების განმავლობაში, ქართული წარმოადგენდა როგორც ძირითად საკომუნიკაციო, ისე სადამწერლო ენას. რუსების მიერ აფხაზური ანბანის შექმნის მცდელობა უფრო მეტად პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა, ვიდრე მეცნიერულად გათვლილ-გააზრებულ ნაბიჯს. წიგნში ასევე ძალიან საინტერესოაა გააზრებული და შეფასებული როგორც აფხაზთა ყოფითი კულტურა და ხასიათი, ისე აფხაზეთის სანაპირო ზოლზე იმჟამად არსებული სიტუაცია. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ადგილს წიგნიდან:

„რუსეთის ოკუპაციამდე აფხაზებს თავიანთი ანბანი არ გააჩნდათ. იგი 1862 წელს თბილისის მიერ ამ მიზნით დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა. მათი მუშაობის შედეგი 1865 წელს გახდა ცნობილი, როდესაც „აფხაზური მაგალითი“ ერთტომეული გამოიცა. იგი 188 გვერდიანია და მასში მოცემულია დამწერლობის 52 ასო; აფხაზური, რუსული და ქართული სიტყვები; ასევე დიალოგები, მოთხრობები და ანდაზები სამივე ენაზე. „მაგალითი“ არის პირველი და დაუეჭვებლად შეიძლება ითქვას უკანასკნელი წიგნი, რომელიც აფხაზურ ენაზე იქნა გამოცემული.

გასაოცარია, რომ ხალხი, რომელიც არა მთების ციხე-სიმაგრეებში,

არამედ ზღვის ლამაზ და მდიდარ სანაპიროზე საუკუნეებია ცხოვრობს, ყოველგვარი წიგნის გარეშე არსებობდა. მათ ანბანიც კი არ ჰქონდათ თავიანთ საკუთარ ენაზე. აფხაზებს შავი ზღვის სანაპირო ზოლი, დაახლოებით 120 მილი, გაგრიდან მდინარე ენგურამდე ჰქონდათ ათვისებული. მათი საერთო რაოდენობა 60 ათასს არ აჭარბებს. ძნელი იქნება, მოძებნო სხვა ხალხი, რომელიც ისე პრიმიტიულად ცხოვრობდეს, როგორც ისინი. როგორც ჩანს, მათი ცხოვრების წესია, იმუშაონ შეძლებისდაგვარად ცოტა და შესაბამისად, იცხოვრონ მაქსიმალურად კარგად, რის საშუალებასაც მათ მიერ გაწეული არასასურველი სამუშაოს შედეგები მისცემთ. აფხაზობა არ არის ავი და ბოროტი ხალხი; დანაშაული აქ ძალიან იშვიათია“ (Curtin 1940: 268).

ამერიკელი მოგზაური და მწერალი ალფრთოვანებას ვერ მალავს ქართული სტუმარმასპინძლობის გამო. წიგნში აღმატებული ეპითეტებით არის გადმოცემული ის ყურადღება და კეთილგანწყობა, რომელიც იმჟამინდელ აფხაზეთში მცხოვრებლებს გამოუხატავთ ამერიკელ სტუმართან შეხვედრების დროს. ეს ყოველივე კი წიგნში შემდეგნაირადაა გადმოცემული:

„... იგი (ივან აგერბაევი - ო. ნ.) სოფელ ლიზაში ცხოვრობდა, სადაც მას სამოცი აკრი მიწა ეკუთვნოდა. მასთან მისვლისას ჩვენ აღმოვაჩინეთ დროებითი სახლი, რომელიც მწვანე ტოტებისგან იყო ნაგები, იატაკი კი ხის იყო. შუაში მაგიდა იდგა, ოთახს ორი მხრიდან მერხისებრი დასაჯდომი ჰქონდა შემოყოლებული... დიასახლისი თავის მოდრეკით მოგვესალმა და რამდენიმე სიტყვა აფხაზურადაც გვითხრა იმის ნიშნად, რომ იგი მოხარული იყო ჩვენი სტუმრობით. არც ის და არც ივანი სუფრასთან არ დამსხდარან, რადგან აფხაზთა ჩვეულების თანახმად, მასპინძლები თავიანთ სტუმრებთან ერთად საჭმელად არ სხდებიან. როგორც სახლის პატრონის, ასევე დიასახლისის მთავარი მოვალეობაა, ყურადღება მიაქციოს სუფრას, რათა არც საჭმელი და არც სასმელი არ შეაკლდეს. ეს ყველაფერი გაცილებით უფრო თავაზიანი და ზრდილობიანია, ვიდრე იმ ადამიანთა ტრადიციები, რომლებიც აფხაზებს ველურებად მიიჩნევენ. მაგალითად, ინგლისელი მმართველი საკმარისად უხეშია იმისთვის, რომ აიძულოს მსახურები, მოემსახურონ მას და მის მეუღლეს, სანამ სტუმრებზე იზრუნებენ. ეს ტრადიცია საერთოა ინგლისისა და კანადისათვის“ (იქვე: 264-265).

ი. კერტინი ასევე საინტერესოდ აღწერს როგორც სოფელ ფსხუში ვიზიტს, ისე მის მიერ ბერძნული დასახლების მონახულებას, რა დროსაც ადგილობრივებისგან არაერთი საინტერესო ლეგენდის შესახებაც მიუღია ინფორმაცია. ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მიუხედავად იმ შეხვედრებისა, რომელთაც ამერიკელი დიპლომატი ადგილობრივი მმართველობის არცთუ დაბალი რანგის პირებთან მართავდა, საიმპერიო ხელისუფლების მხრიდან ჩვენს ქვეყანაში მისი ვიზიტისადმი ეჭვი მაინც არსებობდა და, შესაბამისად, მისი თითოეული ნაბიჯიც განსაკუთრებული

ყურადღებით კონტროლდებოდა. დავიმოწმებ თავად ავტორის მონათხრობს:

„ექვსი საათისათვის უკვე პსკოში ვიყავით და კომფორტულად დავბინავდით კაპიტან პეტინის სახლში, რომელმაც ძალზე გულთბილად მიგვიღო და თავის საცხოვრებლის ნახევარი დაგვითმო. ძალიან მალე კურიერი მოვიდა, რათა ჩვენი პასპორტების შემოწმებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გადმოეცა... როგორც სოხუმიდან უკან დაბრუნებულმა კურიერმა გადმოგვცა, პასპორტის ჩვენება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, ან არადა ხელმძღვანელობისთვის უნდა წარგვედგინა რაიმე სხვა საბუთი ჩვენი ვინაობის შესახებ. მე დავწერე და მათ უფროსებთან გავაგზავნე ცნობა, სადაც ჩემი ვინაობა და ყველა საჭირო ინფორმაცია იყო დატანილი. ამის შემდეგ მას რაიონშიც მოუხდა ჩამოსვლა, რა დროსაც გავიხსენეთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე გავიცანით ერთმანეთი პროვინციის გუბერნატორის მეშვეობით. მან რამდენჯერმე მომიბოდიშა მომხდარის გამო...“

პსკოში ერთი კვირა დავრჩი. ჩვენ თითოეულ დღეს ფეხით ან ცხენით ექსკურსიას ვაწყობდით. ერთ მშვენიერ დილას ჩვენ ბერძნული დასახლებისკენ გავემართეთ და უზარმაზარი მუხის ქვეშ ვისადილეთ. დასახლება მოიცავდა ოცამდე პატარა ქოხს... მისი მეთაური ბერძნულად გამესაუბრა და ამავე ენაზე შესრულებული ბიბლია გამომიტანა...

პსკოში ყოფნის დროს ბევრი საინტერესო ლეგენდის შეგროვება შევძელი. თითოეულ მთასა და ველს საკუთარი მითითური ისტორია გააჩნია. ბევრი მათგანი კი მას შემდეგ დაიკარგა, როდესაც მთის მოსახლეობა იძულებით გადაასახლეს თავიანთი ადგილებიდან. მიუხედავად ამისა, მე მაინც შევძელი მომეძია და გადაამერჩინა რამდენიმე მათგანი“ (Curtin 1940: 276-277).

ი. კერტინი საქართველოში ყოფნის დროს აფხაზეთის ყოფილ მთავარსაც სწვევია სახლში. სამწუხაროდ, უფრო კონკრეტულად თუ ვინ გაუწია მასპინძლობა ამერიკელ დიპლომატს, უცნობია და ტექსტში იგი მხოლოდ „პრინცი შერვაშიძის“ სახელით არის მოხსენიებული. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი მმართველი არ უნდა იგულისხმებოდეს, რადგან, როგორც ცნობილია, სამთავროს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შემდგომ, „1864 წლის 7 ნოემბერს მიხეილ შარვაშიძე (1806-1866) ოჩამჩირეში ჩაიყვანეს და იმავე დღეს გემ „სოკოლით“ ნოვოროსიისაკენ გაისტუმრეს. კავკასიის მეფისნაცვალმა აღძრა შუამდგომლობა, რომ მიხეილ შარვაშიძე საცხოვრებლად სამხრეთ რუსეთის რომელიმე გუბერნიაში გაეგზავნათ. საბოლოოდ, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი ვორონეჟში დასახლდა“ (გურული 2017: 604). ხსენებულ ქალაქში დასახლებიდან მალევე მიხეილ შარვაშიძის ჯანმრთელობა საბოლოოდ გაუარესდა, რის შედეგადაც 1866 წელს იგი გარდაიცვალა. დაკრძალულია აფხაზეთში, მოქვის მონასტერში. აღსანიშნავია ისიც, რომ მის საფლავზე ეპიტაფია ამოკვეთილია ქართული ასომთავრულით (<http://www.nplg.gov>).

ge/bios/ka/00005940/).

რაც შეეხება მიხეილ შარვაშიძის შვილებს, მისი უფროსი ვაჟი გიორგი (1846-1918) სამთავროს გაუქმებისთანავე აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1866 წლის აჯანყების მეთაურებმა იგი აფხაზეთის მთავრად კი გამოაცხადეს, თუმცა რუსეთის იმპერიის მიერ ამზოხის ჩახშობიდან მალევე იგი ორენბურგში გადაასახლეს კავკასიაში დაბრუნების უფლების გარეშე. აღნიშნული სასჯელი მოგვიანებით შემსუბუქდა და რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი ჯერ ქუთაისში დასახლდა, 1905 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი მან სოხუმში განაგრძო ცხოვრება. გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა 1918 წელს. დაკრძალულია მოქვის მონასტერში (<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00005940/>).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკელ დიპლომატს მასპინძლობა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის უმცროსმა ვაჟმა მიხეილ (არზაყან) შარვაშიძემ (1854-1900) გაუწია. როგორც წიგნიდან ცხადლივ ჩანს, შეხვედრა ძალზე მეგობრულ გარემოში წარმართულა და სტუმარზე მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. ეს ყველაფერი წიგნში შემდეგნაირადაა გადმოცემული:

„ჩვენი დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პრინც შერვაშიძეს ვესტუმრე... მოხუცი პრინცი მშვენიერი გარეგნობის, თავაზიანი და განათლებული კაცი გახლდათ, რომელიც ძალიან ამაყობდა თავისი ქართული სამეფო შთამომავლობით, მიუხედავად იმისა, რომ მას არც ტახტი და აღარც რაიმე ძალაუფლება შერჩა. მისი ოჯახი, როგორც ვნახე, კალათისებრი ფორმის კეთილმოწყობილ სახლში ცხოვრობდა, რომლის სტრუქტურაც ადგილობრივ კლიმატთან იყო ადაპტირებული... საერთო აფხაზური ტრადიციის თანახმად, პრინცმა ჩვენთან დახვედრის შემდგომ მსახური გაგზავნა, რათა თხა და ქათმები დაეკლა და საზეიმო სადილი მოემზადებინა... გვიანი ვახშმის შემდგომ საწოლები, მათი საცხოვრისის მეზობლად მდგარ კალათისებრი ფორმის სახლში, მერხისებრ დასაჯდომებზე გაგვიშალეს, თუმცა უაღრესად დადლილებს, ესეც ძალიან კომფორტული გვეჩვენა. ეს ვიზიტი სასიამოვნო და სასარგებლო გამოცდილების მომცემი იყო. მე შესანიშნავი შესაძლებლობა მომეცა, უკეთ გამეცნო მეგრელთა საოჯახო ცხოვრება. პრინცს შეეძლო რუსულად საუბარი, განსხვავებით მისი ოჯახის სხვა წევრებისგან, რომლებიც მხოლოდ მეგრულად, ან აფხაზურად ლაპარაკობდნენ“ (Curtin 1940: 281-282).

აღსანიშნავია, რომ ი. კერტინს საქართველოში ყოფნის პერიოდში არა მხოლოდ ყოფილ და იმჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაუმყარებია ახლო მეგობრული ურთიერთობა, არამედ რიგით მცხოვრებლებთანაც. მაგალითად, ერთ-ერთ ოჯახს მისთვის აფხაზი ბიჭის მონათვლაც კი შეუთავაზებია, რაზეც ამერიკელ სტუმარს დიდი სიამოვნებით განუცხადებია თანხმობა. აღნიშნული ეპიზოდი წიგნში ძალზე ემოციურადაა მოთხრობილი:

„მარტის თვეში ჩაბათს ვესტუმრე, რათა როგორც ნათლიას, აფხაზი

ბიჭი მომენათლა. მე სამგზის შემოვუარე ნათლობის ემბაზს შიშველი ჩვილი ბავშვით ხელში და პირობა დავდე, რომ ბავშვი აღიზრდებოდა ჭეშმარიტ ქრისტიანად. ნათლობის შემდეგ ნადიმი გაიმართა. ბავშვის მამამ დაბეჯითებით მითხრა, რომ ამის შემდეგ მისი სახლი ჩემი სახლიც იყო და რომ მე მისი ოჯახის წევრი ვიყავი“ (Curtin 1940: 297).

ამგვარად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად წიგნში არსებული გარკვეული უზუსტობებისა, ი. კერტინის მემუარები აუცილებლად უნდა იქნეს მიჩნეული მრავალმხრივ მნიშვნელოვან უცხოურ წყაროდ შესაბამისი პერიოდის აფხაზეთისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გურული 2017: გურული ვ., საქართველოს ახალი ისტორია, წიგნი I. თბილისი, 2017.

მიხეილ შარვაშიძე: საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00017218/> (დამოწმება 30.01.2023).

გიორგი შარვაშიძე: საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00005940/> (დამოწმება 30.01.2023).

Curtin 1940: Curtin J., *Memoirs of Jeremiah Curtin*. Madison, 1940.

<https://www.dib.ie/biography/curtin-jeremiah-a2329> (დამოწმება 30.01.2023).



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.7007>

**დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის)  
ეპიგრაფიკის ენობრივ-პალეოგრაფიული  
თავისებურებანი**

**Epigraphy of Western Georgia (Abkhazia).  
Linguistic-paleographic peculiarities**

**ნიკოლოზ ოთინაშვილი**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, გორი

**Nikoloz Otinashvili**  
Gori State University  
Georgia, Gori

**ABSTRACT**

As indicated by historical documents, Abkhazia has consistently been an inseparable part of the Georgian kingdom, with its population being Georgian. The existence of a unified civilization in the region is evidenced by inscriptions, manuscripts, and historical records. It is important to emphasize that the Adyghe (Abazines) tribe, who lacked literacy and a written alphabet, could not have fostered the remarkable culture that thrived in Abkhazia.

The animosity exhibited by Apsua separatists towards Georgians was nurtured under the influence of Russia, as they sought a common ground to rally around. The Apsua people, presenting Russian script and language as their own, pretended to develop the Apsua language—an endeavor that remains unfounded and unacceptable. There was never a Georgian issue in Abkhazia, nor were there any significant scholarly investigations being conducted.

In his essay, Vakhushti highlights three names for the country: Egris, Abkhazia, and Imereti. The term „Egris“ originated from Targamos› son, while „Abkhazia“ is linked to Levan, who eventually ruled over Abkhazia following the reigns of the first Leon and the second Levan. After Leon Khosrovani›s demise, he claimed full authority over both Egris and Abkhazia, renaming the entire territory his kingdom. During that period, they had conquered all of Abkhazia, and the broader Georgian region was referred to as Kartli Amereti, with Abkhazia specifically denoted as Imereti or Imerni. This integration was primarily aimed at unification (Vakhushti Bagrationi, 1997, p. 145).

The epigraphic monuments in Abkhazia primarily date back to the 8th-10th centuries. The study of these monuments holds great significance for the understanding of the Georgian language and the broader historical context. Epigraphic artifacts are scattered throughout the entirety of Abkhazia.

The inscriptions frequently employ the karagma, a symbol representing the abbreviation of words. A small cross symbol (†) is a prevalent feature in most inscriptions. Furthermore, descending diphthongs formed by the letter *α* (iota) can be observed. Additionally, non-syllabic /u/ is confirmed after a consonant, while the sound *ჰ* (khari) has been incorporated into the word roots. Numerous phonetic and morphological elements are also discernible. The epigraphy of Abkhazia stands as a remarkable testament to the rich Georgian culture, crafted by skilled hands.

**Main findings:** As indicated by the research, the Apsua separatists, who are deemed hostile by the central power, are residents of the northern part of the Caucasus and have no written language. They were unable to create or establish written texts and compile any manuscripts and build churches. Their settlement occurred later, but they remained in the minority. They adopted the Georgian alphabet, while Abkhazia, on the other hand, sought to differentiate itself, but all of this proved to be merely fictional.

**საკვანძო სიტყვები:** დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეპიგრაფიკა, ქართული წარწერები აფხაზეთში, აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ენა.

**Keywords:** Epigraphy of Western Georgia (Abkhazia), Georgian inscriptions in Abkhazia, language of epigraphic monuments of Abkhazia.

როგორც ისტორიული დოკუმენტები გვამცნობს, აფხაზეთი ყოველთვის იყო ქართული სამეფოს განუყოფელი ნაწილი და მოსახლეობა ქართული იყო. მხარეში ერთიანი ცივილიზაციის კვალი თვალსაჩინოა, რაც დასტურდება წარწერებში, ხელნაწერებში, საისტორიო დოკუმენტებში.

ცნობილი სწავლულების – ს. ჯანაშიას, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ინგოროყვას და სხვების დამსახურება მხარის შესახებ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ყოველთვის დარჩება როგორც გზამკვლევი მომავალი თაობებისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში ჩამოსახლებული გაუნათლებელი, ანბანის არმქონე ადიღური ტომი ამ დიდ კულტურას ვერ შექმნიდა. ისინი შეერწყნენ ქართველებს (მეგრელებს) და ჩამოაყალიბეს რაღაც ენა, რომელიც არავითარ შემთხვევაში აფხაზური არ არის.

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს აფხაზეთის ეპიგრაფიკის, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ენობრივი და პალეოგრაფიული მახასიათებლების; აჩვენოს რუსეთის ანტიქართული ენობრივი პოლიტიკა და აფსუა სეპარატისტების

დამოკიდებულება ქართული ენისა და ქართული ანბანის მიმართ. აფსუბმა რუსული გრაფიკა და ენა გაიხადეს მშობლიურად და ვითომ აფსუური ენის განვითარებისთვის იღვწოდნენ, რაც მიუღებელი იყო ყოველთვის. აფხაზეთში ქართული პრობლემა არ იდგა და არც მიმდინარეობდა რაიმე კვლევა. საინტერესო წერილს აქვეყნებს გურამ ფანჯიკიძე გაზეთ „სახალხო გაზეთში“, რომელშიც ავტორი ასეთ კითხვებს სვამს:

1. შეიძლება არსებობდეს მძლავრი სახელმწიფო (აფსუური) და მას არ ჰქონდეს დამწერლობა?

2. თურმე აფსუებს ევროპაში პირველებს მიუღიათ ქრისტიანობა და აუგიათ უმნიშვნელოვანესი ტაძრები და არ გააჩნდათ დამწერლობა?

3. როგორ აგებდნენ ამ ხუროთმოძღვრულ პროექტებს?

4. იცოდნენ პროექტების შედგენა და ანბანი არ ჰქონდათ?

5. რა ენაზე ლოცულობდნენ და თუ ჰქონდათ აფსუა ენაზე ძველი და ახალი აღთქმა, სახარება?

6. როგორ თარგმნიდნენ ბიბლიას, როცა წერა-კითხვა არ იცოდნენ? (სახალხო გაზეთი 1996, №7). აქ უკვე რაიმე კომენტარი ზედმეტია.

მოგუხმით ისტორიულ მასალებს:

აფხაზები, იგივე მეგრელები, ქართული წარმოშობის ტომებია, რომლებიც სვანის, ლაზის, კლარჯისა და სხვათა მონათესავენი არიან.

აფხაზეთის, როგორც ტერმინის მნიშვნელობა გაფართოვდა მე-8 საუკუნის დამლევის, როცა გაერთიანდა აფხაზეთი და ეგრისი.

მე-8 საუკუნის ბოლოს აფხაზთა ერისთავმა ლეონ მეორემ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მისი ძალაუფლება გავრცელდა ეგრისისა და არგვეთზე, სატახტო ქალაქი გახდა ქუთაისი.

მე-18 საუკუნის დიდი ქართველი სწავლულის ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში აღნიშნულია: „ხოლო ანაკოფიის დასავლით არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრისი, ვინათგან წილი ეგრისისა არს ზღვამდე. ბერძენთა უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი“.

„...ქვეყანისა სახელნი არიან სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი. ეგრისი ეწოდების ეგრისის გამო, მისა თარგამოსისა, ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელ შემდგომად პირველსა ლეონისა, მეორე ლევან ერისთავობდა აფხაზეთს. შემდგომად ლეონ ხოსროვანთა გარდაცვალებისა გამეფდა და სრულად ეგრისი და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვისსა. რამეთუ რაჟამს დაიპყრეს სრულად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი უმეტესად შეერთებისათვის“.

„...ხოლო კაცნი და ქალნი ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, ფიცხნი ბრძოლასა, შემმართველნი და ძლიერნი და არა სულ გრძელნი, სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართველთა თანა აღმსარებელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი“ (ვახუშტი ბაგრატიონი 1997: 145, 147, 171).

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერს, აფხაზეთში ქართული ენა დომინირებდა და ხალხის სალაპარაკო ენა იყო ქართული, მეგრული.

როდესაც მე-17 საუკუნეში მხარეში შემოიჭრნენ აფსუები, მათ ადგილობრივ მოსახლეობას თავს მოახვიეს აბაზური ენა, რომელიც ენციკლოპედიაში აფხაზურის სახელით არის შეტანილი. დღევანდელი აფსუების ენა არის დამახინჯებული აბაზური, რომელსაც აფხაზურს უწოდებენ.

აფხაზეთის ეპიგრაფიკაზე გამოქვეყნებულია მთელი რიგი ნაშრომები, მათ შორის აღსანიშნავია: ლ. მარუაშვილი, მღვიმეთმცოდნეობა, 1973; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, 1980; ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, 2005; ვ. სილოგავა, ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, 1980; ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, 2004 და სხვები.

აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები ძირითადად შესრულებულია VIII-XIX საუკუნეებში, რომელთა შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენისა და ზოგადად ისტორიისათვის. აღნიშნული წარწერების ენობრივ-პალეოგრაფიული საკითხების კვლევა მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს როგორც ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ისე ლექსიკური და ცოცხალი მეტყველების მხრივ.

ეპიგრაფიკული ძეგლები განლაგებულია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე: ოჩამჩირის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის რაიონების სოფლებში: ბედიაში, ილორში, წკელიკარში, ხუაფში, წებელდაში, მსიგხუაში, ანუხვაში, დიხაზურგაში...

წარწერებში ხშირად არის გამოყენებული ქარაგმა (სიტყვათა შემოკლების ნიშანი), შემოკლებულ სიტყვას თავზე სწორი ხაზი აქვს ან კლაკნილს უკეთებდნენ, რასაც ქარაგმა ეწოდებოდა. როგორც წარწერებიდან ჩანს, აქ გამოყენებულია დაქარაგმების რამდენიმე სახეობა:

1. დაქარაგმება ხდება პირველ ასოზე;

2. შუაკვეცილობით დაქარაგმება, როცა იწერება პირველი და უკანასკნელი ასოზგერები;

3. როცა სიტყვაში გამოტოვებულია ზოგიერთი ასო;

მსიგხუას ასომთავრული წარწერა მოთავსებულია ეკლესიის კრამიტის ანტიფიქსებზე. ყველა არის ერთ ყალიბში დამზადებული. წარწერების ნაწილი ინახება ბიჭვინთის ტაძარში, ორი წარწერა – კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

წარწერების უმრავლესობის დასაწყისში ხშირია სიმბოლო პატარა ჯვარი (†).

წარწერა არის მხოლოდ ასოიანი:

შეიწყალე მიქელ აწ (ამენ).

შეიწყალე წმ (წმიდა) დემეტრე.

დიხაზურგას (გალი) ასომთავრული წარწერა:

გრიგოლ გალატოსთუხუცესის წარწერა:

ქარაგმა: გრგ ოლს: გლ ოსთ უხუცესს შ ოს ლ მა

გრიგოლ გალატოსთუხუცესს შეუნდოს ღმერთმა.

ასომთავრული წარწერა: ქ ე შეიწყალე მ ლ აწ.

ქრისტე შეიწყალე მიქელ ამენ.

აქ ქარაგმა არის სწორი, ჰორიზონტალური ხაზი.

არის დამავალი დიფთონგი, რომელსაც ქმნის ა (იოტა).

გრიგოლ ბასილის ძის ასომთავრული წარწერა (კიდურწაისრული) აღმოჩენილია სოფელ ანუხვაში (გუდაუთა) ეკლესიის ნანგრევების სიახლოვეს. დაცულია აფხაზეთის მუზეუმში.

ათსტრიქონიანი წარწერა: სახელითა ღმრთისაჲთა აღ ე ჯუარი ესე სახელსა ზედა ღმრთისა ძისა სულისა წმიდისა მე გიორგი ბასილის ძემან.

აწ ვინცა ევედრებოდეთ ჩუენგ~ნივე ძმანი ლოცვასა მოგუესენენით ამენ იყავნ.

1. პირველ სტრიქონში არის დამავალი დიფთონგი, რომელსაც ა (იოტა) ქმნის.

2. სტრიქონში არის უმარცვლო უ, რომელიც თანხმოვნების შემდეგ დასტურდება. ამ დროისათვის იშლება უმარცვლო უ-სა და ჯ-ს პოზიცია, რაზეც მიუთითებს მათი ურთიერთმონაცვლეობის ფაქტები: უნდა იკითხებოდეს როგორც „ჯჯარი“.

3. სტრიქონში გვხვდება თანდებული ძველი ქართულის ფორმით – ზედა, ასევე, ძველი ზმნისწინიანი ზმნის ფორმა აღ-ვაშენე.

4. სავრცობი ა ძირითადად გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში: ღმრთის-ა, მამის-ა, ძის-ა, სულის-ა წმიდის-ა. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, ემფატიკური ა დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს (ძოწენიძე 1956: 218).

5. ჯ ბგერა შედიოდა სიტყვის ძირში და გაჰყვებოდა ამ ძირისაგან ნაწარმოებ ყველა სიტყვას: მოგუესენენით. ამჟამად ჯ დაემთხვა ხ-ს. აღნიშნული ბგერა ამჟამად ძირითადად გამოყენებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, ასევე ინგილოურში, ფერეიდნულში.

ხუაფის (გუდაუთა) ასომთავრული სამშენებლო წარწერა (1156-1178) ამოკვეთილია კირქვის ფილაზე. არის კიდურწაისრული დამწერლობა. ასოთა კიდურებსა და ქარაგმებში დასმულია ისრები და წაწვეტებული სამკუთხედები. წარწერა აღმოჩენილია ეკლესიის გაწმენდისას:

† აღაშენა წმიდა ა ესე ეკლესია ა მამათმთავარმან მეფობასა გიორგისსა, ოდეს დაიბადა ... მისსა ...

წმიდაო ნიკოლოზ მეოხ ეყავ წინაშე ქრისტისა.

გვხვდება სავრცობი ა: მეფობასა, გიორგისსა, ორივე მიცემით ბრუნვაშია. ძველი გრაფემიდან დასტურდება ზ – ე+ა (ეა), ანუ ე მერვე, რომელიც ძველ ქართულში სხვადასხვა შემთხვევაში დასტურდება, კერძოდ, საკუთარ და საზოგადო სახელებთან, ე ხმოვანფუძიან უკვეცილ სახელებთან სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში.

ბედიის (ოჩამჩირე) XIII საუკუნის ასომთავრული წარწერები მოთავსებულია ბედიის ტაძარზე. დღეისათვის ოთხი ასეთი წარწერაა ცნობილი, ნაწილი დაკარგულია (ენციკლოპედია 2008: 72).

1. წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ექმენ წმიდასა ამის საყდრისა ამშენებელს გალატოსთაუხუცესს სჯიმეონს.

2. ღმერთო შეიწყალე სული ამის მაშენებელისა ნიკოლოზ

კათალიკოზისა და სოფრომ ბედიელისა – გონგლიზადსძეთასა: შეიწყალენ ღმერთმან~.

3. წარწერა სამრეკლოს კედელზე ჩასმულ ქვის ფილაზე:

„ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე კონსტანტინე ძე დავითისი ამენ“.

წარწერა თარიღდება 1293-1327 წლებით (ენციკლოპედია 2008: 79).

საკუთარ სახელთან ვ (სვიმეონი) მიღებულია უ-სა და ი-ს შეერთების შედეგად.

წარწერაში გვხვდება მოთხრობითი ბრუნვის ძველი ფორმები:

შეიწყალენ ღმერთმან

ადიდენ ღმერთმან.

ნიშანი არის -მან, განურჩევლად იმისა, თუ რით ბოლოვდება სახელი. ყველა წარწერაში აღმშენებელია აღნიშნული, მხოლოდ ბედიის წარწერაში გვხვდება გამარტივებული სახით: ამშენებელს.

ილორის (ოჩამჩირე) წარწერები ამოკვეთილია წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩასმულ ქვის ფილებზე. შესრულებულია ნუსხურით, ასომთავრულით და მხედრულით.

1. წმიდაო გიორგი ილორისაო შეიწყალე გალატოზი (ნუსხური);

2. წმიდაო გიორგი შეიწყალე გიორგი (მხედრული);

3. წმიდაო გიორგი ილორისაო შეიწყალე გიორგი გურგენის ძე (ასომთავრული);

4. წმიდაო გიორგი შეიწყალე მიქაელ (ნუსხური);

5. წმიდაო გიორგი შეიწყალე გიორგი ქოჩოლავა, მღვდელი. წმიდაო გიორგი მფარველ მექმენ დიდსა მას დღესა~ (სილოგავა 2008: 246).

წარწერებში საკუთარი სახელები ძირითადად წარმოდგენილია წრფელობით ბრუნვაში, რომელთაც მრავალი ფუნქცია გააჩნიათ. როგორც ჩანს, ამ დროისათვის (XIII საუკუნის II ნახევარი) წრფელობითი და სახელობითი ბრუნვის ფორმები თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს, რის გამოც მათი ფუნქცია ერთნაირია.

აღსანიშნავია, რომ წარწერაში გვხვდება დასავლური გაფორმების გვარსახელი გიორგი ქოჩოლავა.

ჭლოუს წარწერა (1445-1452, ოჩამჩირე). ასომთავრული, რელიეფური წარწერა მოთავსებულია დიდი ზომის ქვის ფილაზე, აღმოჩენილია 1955 წელს სოფელ ჭლოუში ეკლესიასთან. ტექსტი ასეთია:

„ერისთავთა ერისთავი, მანდატურთუხუცესი და დიანოზ ბეგს შეუნდვენ ღმერთმან“.

წარწერაში მოხსენებული პირის სახელი და თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

მანდატურთუხუცესს ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში ვეზირთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა. მისი სამოქმედო ასპარეზი ფართოა, იგი ძირითადად საპოლიციო აპარატის მოხელეა (სურგულაძე 1952: 265).

აფხაზეთის ეპიგრაფიკა, რომლის მხოლოდ ნაწილი წარმოვადგინეთ, დიდი ქართული კულტურის ხელთუქმნელი ძეგლებია.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ახალაძე 2005: ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. თბილისი, 2005.
- ბაგრატიონი 1997: ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია. თბილისი, 1997.
- დანელია... 1980: დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია. თბილისი, 1980.
- ენციკლოპედია 2008: ენციკლოპედია, ქართული ენა. თბილისი, 2008.
- მარუაშვილი 1973: მარუაშვილი ლ., მღვიმეთმცოდნეობა. თბილისი, 1973.
- საღინაძე 2008: საღინაძე რ., ძველი ქართული ენა (V-XII). თბილისი, 2008.
- სილოგავა 1980: სილოგავა ვ., ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II. თბილისი, 1980.
- სილოგავა 2004: სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბილისი, 2004.
- სურგულაძე 1952: სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I. თბილისი, 1952.
- ფანჯიკიძე 1996: ფანჯიკიძე გ., გაზეთი „სახალხო გაზეთი“, №7. თბილისი, 1996.
- შანიძე 1975: შანიძე აკ., ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა). თბილისი, 1975.
- ძოწენიძე 1956: ძოწენიძე ქ., ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. თბილისი, 1956.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6991>

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში  
აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის ისტორიიდან  
(1918–1921 წწ.)**

**The Political Status of Abkhazia  
in the Democratic Republic of Georgia  
(1918–1921)**

**ლელა სარალიძე**

რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

Lela Saralidze  
Regionalism Research Institute  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The political status of Abkhazia during the collapse of the old Russian statehood and the subsequent formation of national republics in the South Caucasus region remains a contentious subject in modern historical research. While the historical connection of Abkhazia to Georgia as an integral part is indisputable, various works in foreign languages have presented this issue through the lens of Soviet propaganda. The government of the Democratic Republic of Georgia faced formidable challenges from its inception, as it sought to establish an independent Georgia within its historical borders, including the territory of modern Abkhazia, currently under foreign occupation. Hence, an examination of the political status of Abkhazia in the Democratic Republic of Georgia remains highly relevant today. The purpose of this research is to investigate the status of Abkhazia during the period of the Democratic Republic of Georgia by conducting an objective analysis of archival documents.

Based on objective scrutiny, the following conclusions can be drawn: a) During the existence of the Democratic Republic, it was possible to restructure the administrative unit of the Sokhumi district of the Russian Empire into an autonomous Abkhazia; b) On June 11, 1918, the „People’s Council of Abkhazia“ signed an agreement that granted autonomy to Abkhazia as a part of the Democratic Republic of Georgia; c) On October 16, 1920, the draft constitution of Abkhazia



was adopted during the People's Council meeting and subsequently submitted to the Constituent Assembly for approval. The „Statute on the Management of Autonomous Abkhazia“ was prepared based on this document and received approval from the founding assembly on February 21, 1921. From 1919 onwards, Abkhazia enjoyed de facto powers in agreement with the Government of Georgia. The extent of autonomy granted to Abkhazia through this provision exceeded any previous rights bestowed upon the region, as it encompassed complete self-governance and full autonomy in domestic affairs. On February 21, 1921, the constitution of the Democratic Republic of Georgia, approved by the Constituent Assembly, officially recognized and legalized the autonomous status of Abkhazia within the unified Georgian state. The participation of Abkhazia's representatives in the creation of this constitution further cemented the autonomous status of Abkhazia.

Through an objective analysis of archival materials and historical documents, this research sheds light on the complex and nuanced political developments surrounding the status of Abkhazia in the Democratic Republic of Georgia. By providing an unbiased examination of the subject matter, this study contributes to a more comprehensive understanding of the historical and political dynamics of Abkhazia during this pivotal period.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის ისტორია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), აკაკი ჩხენკელის მოგზაურობა აფხაზეთში.

**Keywords:** History of the political status of Abkhazia, administrative-territorial changes in the Democratic Republic of Georgia (1918-1921), Akaki Chkhenkeli's trip to Abkhazia.

სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მიმდინარეობს სიცრუის ტირაჟირება აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით. ისმის უსამართლო პოლიტიკური ბრალდებები იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ადგილი ჰქონდა ქართული შეიარაღებული ფორმირებების მიერ აფხაზეთის დაპყრობას და აფხაზი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ საქართველოს შემადგენლობაში მათ იძულებით გაერთიანებას. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე ნაჩვენებია ობიექტური ისტორია. აფხაზეთი, როგორც მანამდე, ასევე, დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო. პოლიტიკური მოსაზრებით, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების, იქ რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ტერმინი აფხაზეთი საერთოდ ამოიღო ხმარებიდან. აფხაზეთი, წებელდა და სამურზაყანო ერთიან ადმინისტრაციულ

ერთეულში, სოხუმის სამხედრო განყოფილებაში, მოგვიანებით კი სოხუმის ოკრუგში (ოლქი) მოაქცია, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუქვემდებარა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რასაც შედეგად რუსეთის იმპერიის ნგრევა მოჰყვა, ამიერკავკასიაში პოლიტიკური ვითარება ძირეულად შეიცვალა. აღნიშნული მოვლენების ფონზე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის პრობლემა დღემდე მეცნიერული ინტერესის საგანია. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხად რჩება. შეიქმნა უამრავი ნაშრომი, სადაც ისტორია საბჭოური პროპაგანდის ჭრილშია გადმოცემული. ამ მხრივ, გამონაკლისი არც სომეხი ისტორიკოსი მაილიან ბენიამინი არის. თავის ერთ-ერთ ნაშრომში ის წერს: „აფხაზი ისტორიკოსების მთავარი დასკვნა საქართველოს მიერ მათი სამშობლოს ოკუპაციისა და ანექსიის შესახებ პრობლემის ზედაპირული შეხედვით არც ისე შორს ჩანს სიმართლისგან. თუმცა ამ კონცეფციის გაზიარება ნიშნავს არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტისა და ფენომენის იგნორირებას, რომელიც ამ პრობლემას აუცილებელ მრავალფეროვნებას ანიჭებს, რომლის გარეშეც, როგორც ჩანს, შეუძლებელია ამ საკითხის არსის ღრმად გააზრება. აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების (იგულისხმება დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება – ლ. ს.) დომინანტონობის დამყარებას ხელი შეუწყო რუსეთში სამოქალაქო ომმა, თურქულმა საფრთხემ და აფხაზი ნაციონალისტების ხელყოფამ ამ მხარის არამკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალურმა ფაქტორმაც, განსაკუთრებით მიწის რეფორმის საკითხმა. სოხუმის ოლქის უმწეო გლეხობის, განსაკუთრებით კი მოიჯარეების (მეგრელები, სომხები და ბერძნები) მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება მათ საკუთარ წილებს დაჰპირდა. საქართველოს ეგიდით დაქვემდებარებული დამოუკიდებელი და სუვერენული აფხაზეთის პროექტი ზოგადად ჩაიშალა თვით აფხაზურ საზოგადოებაში განხეთქილების გამო და, შედეგად, აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ რეგიონის სრული მართვის უუნარობის გამო, აფხაზეთის სახალხო საბჭოს არ შეეძლო (სამართლიანობისთვის, აღვნიშნავთ, რომ არ შეეძლო) სწორად ორიენტირება რთულ პოლიტიკურ პირობებში, რათა ნაკლებად დამოკიდებული ყოფილიყო საქართველოს ხელისუფლებაზე“ (Маилян 2009: 44).

პატივცემულ ავტორს ავიწყდება, რომ აფხაზეთი 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის აზრით: „აფხაზეთი (და შესაბამისად „აფხაზი“) არ არის ერთმნიშვნელოვანი ცნება, ის საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა ცვლილებას, გაფართოებიდან დავიწროვებამდე და პირიქით, რაც რთულ ისტორიულ მოვლენებთან იყო დაკავშირებული. ყველაზე ვიწრო და თავდაპირველი მნიშვნელობით, აფხაზეთი იყო საქართველოს უკიდურესი

ჩრდილო-დასავლეთი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი (გაგრა-ანაკოფია), რომელიც დასავლურქართულ (კოლხურ) კულტურულ წრეში შედიოდა, ხოლო კოლხეთის – დასავლურქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ (მგ. წ. I ათასწლეული) – კოლხეთის სამეფოში, როგორც მისი ერთ-ერთი საერისთავო (ადმინისტრაციული) ერთეული... ამგვარად, აფხაზეთი არასდროს არ არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ის ყოველთვის სხვადასხვა სტატუსით, საერისთავო თუ სამთავრო, სახელშეკრულებო თუ ავტონომიური უფლებით ქართულ სახელმწიფოში შედიოდა. ამ რეგიონის უძველესი მოსახლეობა ქართველები იყვნენ, რომელნიც ყოველთვის მცხოვრებთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ. რაც შეეხება აფსუებს (ჩვენ რომ აფხაზებს ვუწოდებთ), რადროიდანაც არ უნდა ცხოვრობდნენ აფხაზეთში და ვინც არ უნდა იყვნენ წარმოშობით, იქ ცხოვრების და საკუთარი კულტურის განვითარების უფლება აქვთ, მაგრამ არა აქვთ ამ რეგიონის საქართველოდან გამოყოფის უფლება“ (ლორთქიფანიძე, 2016: 190).

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1918 წლის 4-9 მარტს, სოხუმის ოკრუგის გლეხთა II ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „აფხაზეთი შედის ამიერკავკასიის ხალხების საერთო შემადგენლობაში, როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი, რათა მან თავისი უკეთესი მომავალი დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჰედოს“ (Гамахария... 1997: 408).

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აფხაზეთმა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მნიშვნელობა კვლავ შეიძინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთი წებელდის მხარისა და სამურზაყანოს ჩათვლით ერთიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად სცნო. ამასთანავე, ავტონომიის სტატუსი მიანიჭა. 1918 წლის 28 მაისს სოხუმის საოლქო სასამართლოს განყოფილებამ საგანგებოდ განიხილა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და აფხაზეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობის საკითხი. აფხაზეთი იურიდიულად ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ხოლო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამიერიდან იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილია (ჩიტაია 2006: 169).

1918 წლის ზაფხულში ადგილი ჰქონდა აფხაზეთზე ორმხრივ შეტევას – რუსულ-ბოლშევიკურს და თურქულს. ქართული ჯარის გმირულმა თავდადებამ არა მხოლოდ აფხაზეთი გაათავისუფლა, არამედ 1918 წლის 26 ივლისს ტუაფსეც კი დაიკავა. რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ ქართველებთან ერთად 300 აფხაზი მხედარიც იბრძოდა (ჩაჩხიანი 2014: 258).

1918 წლის 11 ივნისს, საქართველოს მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთი

სამართლებრივი საფუძველი გახდა. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მიხედვით, „საგარეო პოლიტიკის საკითხებში საქართველო, რომელიც შეთანხმების მონაწილე ორივე მხარის ოფიციალური წარმომადგენელია, ფაქტობრივად აფხაზეთთან ერთად მოქმედებს“ (Диасамидзе 2004: 22).

1918 წლის 27 ივნისს, საღამოს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სოხუმიდან მიიღო ცნობა სოხუმის სამხრეთით, მდინარე კოდორის მახლობლად ოსმალების მიერ დესანტის გადმოსხმის შესახებ, რიცხვით 8000 კაცამდე. რაზმის მეთაური თავადი ალექსანდრე შარვაშიძე იყო. მან განაცხადა, რომ ოსმალეთის მთავრობამ მას გამოაყოლა ჯარი აფხაზეთის ბოლშევიკებისგან დასაცავად. აფხაზეთა სახალხო საბჭომ სასტიკი პროტესტი განაცხადა მტრის დესანტის გადმოსხმის გამო და ოსმალთა სარდალს განუცხადა, რომ სოხუმის ოლქში ბოლშევიკები არ არიან და რომ აფხაზეთა ტერიტორიაზე აფხაზეთა რაზმები საქართველოს რესპუბლიკის ჯარებთან ერთად მოქმედებენ. აფხაზეთის სახალხო საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დახმარებისთვის თხოვნით მიმართა. საქართველოს ხელისუფლებამ გერმანიის დიპლომატიის წარმომადგენლებს აცნობა მათი მოკავშირე ოსმალეთის ჯარის მიერ საქართველოს საზღვრების გადმოლახვის უკანონობასთან დაკავშირებით. გერმანიის წარმომადგენლებმა მათ ოსმალეთის სარდლობასთან შუამდგომლობა აღუთქვეს (საქართველო 1918: 2).

1918 წლის აგვისტოში დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა, შავი ზღვის განაპირა ადგილების მონახულების შემდეგ სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ სოხუმის, სოჭისა და სხვა ოლქებში წესრიგი მყარდება. აფხაზეთის სახალხო საბჭოს იეთპოზიციას დაადგა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასთან დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე ხელის აღებას გულისხმობდა, რაც ოსმალთა აგენტების აგიტაციით იყო გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთმა დესანტი ოფიციალურად უკან გაიწვია, იქ მაინც დარჩა ჯარის ნაწილები, რომლებიც ჩუმად მოქმედებდნენ. გარდა ამისა, ოსმალთა აგენტებმა სოხუმის ოლქში თურქების მობილიზაცია გამოაცხადეს. მათი მთავარი შტაბი ცნობილ მემამულე ტატაშ მარშანიასთან იყო, რომლის მამულში მუსლიმთა შეიარაღებული ნაწილები თავს აფარებდნენ. ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ (საქართველოს რესპუბლიკა 1918: 5).

აფხაზეთის საბჭოს დემოკრატიულმა ელემენტებმა სათანადო ზომები მიიღეს, რათა მათი მოძრაობისთვის ხელი შეეშალათ. 1918 წლის 4 აგვისტოს, როცა აფხაზეთის სახალხო საბჭომ საპროტესტო რეზოლუცია გამოიტანა საქართველოს მთავრობის დადგენილების შესახებ, რომელიც სოხუმის ოლქიდან თამბაქოს გამოტანას ითვალისწინებდა, ოპოზიციის საბჭოს თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის მეთაურობით საბჭოს შემადგენლობიდან გამოვიდა, რადგან იგი აფხაზეთის საბჭოს

უმრავლესობის მოქმედებას აფხაზეთის დემოკრატიული ინტერესების დამლუპველად მიიჩნევდა. უმრავლესობა მუშაობას ძველებურად აგრძელებდა, 1918 წლის 15 აგვისტოს ოპოზიციამ, რომელიც აფხაზეთის შეიარაღებულ ძალას ეყრდნობოდა, ძველი საბჭო გარეკა და საკუთარი თავი აფხაზეთის დროებით სახალხო საბჭოდ გამოაცხადა. საბჭოში აფხაზეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები შეიყვანეს, ხოლო თურქოფილთა ნაწილს აფხაზეთში ცხოვრება აკრძალა (საქართველოს რესპუბლიკა №21: 5). ახალმა დროებითმა საბჭომ აფხაზეთის მცხოვრებთ შემდეგი მოწოდებით მიმართა: „აფხაზთა სახალხო საბჭო იმ შემადგენლობით, რომელიც ხელოვნურად იყო შექმნილი ოსმალთა აგენტების მიერ, დაეცა. აფხაზეთის დემოკრატიამ მოიშორა გზიდან თავისი მტრები და შექმნა აფხაზეთის დროებითი სახალხო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს დაუყოვნებლივ შექმნას სრულყოფილიანი ორგანო, რომელიც გამომხატველი იქნება აფხაზეთში მცხოვრებ ერთა ინტერესების, განურჩევლად ეროვნებისა... აფხაზეთის ტერიტორიაზე დასაშვები არ არის არავითარი წოდებრივი და ეროვნული სხვადასხვაობა და ეროვნებათა უფლების შეზღუდვა. რაც შეეხება არაქვეშევრდომთ, აფხაზთა სახალხო საბჭო შეძლებს მიიღოს ისინი როგორც სტუმრები და დაიცვას მათი პირადი ინტერესები და ქონებრივი უზრუნველყოფა... აფხაზეთის დემოკრატიამ კავშირი შეკრა საქართველოს რესპუბლიკასთან, ჩვენ ჩვენს მუშაობაში დავდგებით ამ დროებით შეთანხმების ნიადაგზე. უბედურება, რომელიც მოელის როგორც შიგნიდან, ისე გარედან აფხაზეთისა და საქართველოს დემოკრატიას საერთოა და თავის გამოსვლებში ჩვენ საქართველოს მთავრობასთან ერთად შევებრძოლებით ამ საერთო უბედურებას. მომავალში ჩვენს დამოკიდებულებას საქართველოსთან და აფხაზეთის პოლიტიკურ ბედს განსაზღვრავს აფხაზეთის ხალხის მიერ საყოველთაო კენჭისყრით არჩეული საბჭო. საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობამ საინიციატივო ჯგუფის დადგენილება მოიწონა და დროებითი სახალხო საბჭო შექმნა, რომელიც მუშაობას შეუდგა (საქართველოს რესპუბლიკა 1918: 5).

აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, არჩეულმა საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო სამართლის საფუძველზე, თავის 1919 წლის 20 მარტის სხდომაზე აფხაზეთის ავტონომიის აქტის მიღებით საერთო ქართულ სახელმწიფო სტრუქტურაში შემდგომი ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა (Папасквჩი 2010: 209). საბჭომ აფხაზეთის ხალხების სახელით დაადგინა, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც უნდა ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას (დიასამიძე 2004: 41).

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტის სხდომაზე განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით მოისმინა აქტი

აფხაზეთის ავტონომიის თაობაზე, რომელიც აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე ლომთათიძემ განაცხადა: „დღეიდან მყარი საფუძველი შეექმნა აფხაზი ხალხის თავისუფალ ცხოვრებას თავისუფალი საქართველოს შემადგენლობაში. ამიერიდან შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ მთელი სამყაროს წინაშე, რომ დემოკრატიული საქართველო განახორციელებს იმას, რისი განხორციელებაც აქამდე ვერ შესძლეს ზოგიერთმა ძლიერმა სახელმწიფოებმაც კი. გაერთიანდა ისტორიული, ბუნებრივი ერთობა ორი დასაბამიდან მოძმე და მონათესავე ხალხისა, დემოკრატიის მტერთა სავალალოდ და მის მეგობართა სასიკეთოდ და საბედნიეროდ“ (სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, 52: 16).

სოხუმის ოლქის (აფხაზეთის) მოსახლეობის შემადგენლობა 1917 წელს ასეთი იყო. მოსახლეობის რაოდენობა 167.832 სულს შეადგენდა, აქედან ქართველები (უპირატესად მეგრელები და სვანები) – 74.846 (42.1 %); აფსუა (აფხაზები) – 28.121 (21.4 %), რუსები და უკრაინელები – 20.893 (11.7%); ბერძნები – 20.673 (11.7%); სომხები – 18.212 (10.2%); სხვები (ესტონელები, გერმანელები და სხვა) – 5.087 (2.9%) (ანდერსენი 2016: 13).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. მთავარი მიზანი ქვეყნის ტერიტორიული საზღვრების აღდგენა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება იმავდროულად ტერიტორიული მოწყობის საკითხი იყო. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, გაზეთი „ერთობა“ წერს: „განაპირა კუთხეების მოწყობა, მეტადრე როდესაც ისინი სხვადასხვა ეროვნებებით არიან დასახლებულნი, ერთი ძნელ საკითხთაგანია თანამედროვე სახელმწიფოთა ცხოვრებაში. ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს წინაშე მრავალი ამნაირი განაპირა კუთხის საკითხია აღმართული და თავის გადაჭრას ელოდება. განაპირა ადგილებს შორის დღესდღეობით სხვებზე უფრო დიდმნიშვნელოვანი და ყურადღება მისაქცევი იქნება სოხუმის ოლქი. აქ არის ჩვენი უმთავრესი ფრონტი, ეს ალაგია გადაქცეული ბრძოლის ველად, მის საზღვრებს მოსდგომია ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე საშიშარი მტერი. მარტო ეს გარემოებაც კმარა იმის გასათვალისწინებლად, თუ რა ყოფილა სოხუმის ოლქი ჩვენი რესპუბლიკისთვის და ყურადღებას და სიფრთხილეს მოითხოვს ამ ადგილის წესიერად მოწყობა და მოვლა-პატრონობა. ამ საქმის სიმძნელე უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ძნელად თუ შეხვდებით ისეთ მხარეს, რომელიც ეროვნულად ისე აჭრელებული იყოს, როგორც სოხუმის ოლქია. საკმარისია რუკას დახედოთ და მაშინვე მიხვდებით, რომ ამ ოლქის საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია ნაციონალურ-ტერიტორიულ ნიადაგზე. აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ რომ გააყოლოთ თვალი, დაინახავთ, რომ მეგრელებით დასახლებულ სამურზაყანოს სცვლის აფხაზების მოსახლეობა, რომელსაც მოსდევს ისევ მეგრელებით დასახლებული რაიონი. თუნდაც ყურადღება არ მიაქციოთ იმ

გარემოებას, რომ ყველა ამ რაიონებშიც ერები ერთმანეთში არეულნი არიან, რომ აფხაზებს შორის მრავალი მეგრელები, ბერძნები, სომხები ცხოვრობენ და მეგრელებს შორის აფხაზები და ისევ ის სომეხ ბერძნები, რუსები, ესტონელები და სხვა, თუნდაც ამას არ მიაქციოთ ყურადღება, მაინც სოხუმის ოლქის ერთ ტერიტორიალურ ეროვნულ ერთეულად გადაქცევა აშკარა უსამართლობა იქნება მცხოვრებთა უმეტესობის მიმართ. სოხუმის ოლქის მცხოვრებთა 30 პროცენტამდე აფხაზებია, 50 პროცენტამდე მეგრელები, 20 პროცენტამდე დანარჩენი სხვადასხვა ეროვნება. რომელ ეროვნებას მისცემთ აქ უპირატესობას, ეროვნულ-ტერიტორიულ პრინციპზე რომ მოინდომოთ სოხუმის ოლქის მოწყობა? აშკარაა, ეს პრინციპი აქ სრულიად მიუღებელია. ჩვენი რესპუბლიკა აშკარა ანგარიშს უწევს განსაკუთრებულ თვისებებს, რომელიც სოხუმის ოლქს აქვს რესპუბლიკის სხვა ადგილებთან შედარებით, რესპუბლიკისთვისაც და თვით სოხუმის ოლქისთვისაც ხელსაყრელი იქნება, თუ ეს განაპირა ადგილი თავისებურ კულტურული განვითარების გზას დაადგება და რაკი ამ კუთხის მოწყობა არ მოხერხდება ნაციონალური პრინციპის საფუძველზე, უნდა ვიპოვოთ სხვა რამ პრინციპი, რომელიც სახელმწიფოსთვისაც იქნება მისაღები და თვით სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვისაც იქნება სასარგებლო. სოხუმის ოლქი დღეს უკვე ფაქტიურად განსხვავდება რესპუბლიკის ყველა სხვა ადგილებიდან თავისებური წესებით. აქ არსებობს „აფხაზეთის ეროვნული საბჭო“, რომელთანაც ჩვენს რესპუბლიკას ჯერჯერობით არ გამოურკვევია ურთიერთობა, მაგრამ რომელიც უჭველად სახელმწიფო ორგანოს ფუნქციებს ასრულებს, მაგრამ ამ „აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს“ ქვემოთ არსებობენ ჩვეულებრივი ადგილობრივი თვითმმართველობები, ოთხი სამაზრო ერობა და სამიც ქალაქის თვითმმართველობა. „აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს“ არა აქვს გამიჯნული თავისი უფლება-მოვალეობების ფარგლები არა მარტო რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებასთან, არამედ ამ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთანაც. აფხაზთა საბჭოს უკანასკნელ ნაბიჯებს, ორი აშკარა ლტოლვა ემჩნევა: ერთის მხრით, მას სურს მითვისოს ზოგიერთი ისეთი ფუნქციები, რომლებიც ყოველ სახელმწიფოს ნიშანდობლივ კუთვნილებას შეადგენს და რომლებიც სახელმწიფოს სუვერენიტეტის, უზენაესობის ელემენტებად უნდა ჩაითვალოს. მეორე მხრით, იგი აბიჯებს იმ საზღვარს, რომლიდანაც იწყება დემოკრატიულ თვითმმართველობის უფლებათა ფარგლები. სახელმწიფომ უნდა მტკიცედ განსაზღვროს „აფხაზეთის საბჭოს“ მოქმედების მანძილი, როგორც ერთის, ისე მეორე მხრით: დაუშვებელია, რომ რესპუბლიკა არიგებდეს თავის სუვერენობის ელემენტებს, მაგრამ არანაკლებ დაუშვებელია, რომ ამ რესპუბლიკაში, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის სამირკველზეა აშენებული, რომლის ცენტრალური დაწესებულება ადგილობრივ თვითმმართველობათა დადგენილებას უნდა წარმოადგენდეს, რომ ასეთს რესპუბლიკაში ადგილობრივ თვითმმართველობათა მოქმედების ფარგლები ვიწროვდებოდეს და მისი

უფლებები იზღუდებოდა. აი, მაშასადამე, ორი საზღვარი, რომლებითაც უნდა შემოიფარგლოს „აფხაზეთის ეროვნული საბჭო“-ს უფლებები: ზევიდან, რესპუბლიკის ცენტრალური დაწესებულებებიდან, მას საზღვრავს ის ხაზი, რომლებიც სახელმწიფოს სუვერენობის გარეთ უნდა იყოს გავლებული; ქვემოდან მისი საზღვარი უნდა ისე გაეგლოს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის უფლებები ხელშეუხებელი დარჩნენ (ერთობა 1919: 1).

დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთა სახალხო საბჭოს წევრმა ვასილ გურჯულამ დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე აკრიტიკებდა რა ეროვნულ-დემოკრატიებს (ნ. თავდგირიძეს და სხვებს), რომლებიც, მისი აზრით, აფხაზეთში არსებულ ვითარებას ამახინჯებდნენ, განაცხადა: „ჩვენ გვესმის, რომ აფხაზეთის ინტერესები მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკასთან და ჩვენ ამ რესპუბლიკაში გერებათ კი არ ვსთვლით თავს, არამედ თანასწორ მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად. რამდენიც უნდა დაგვწამონ ცილი ბატონებმა თავდგირიძეებმა, ჩვენ სწორი გზიდან მაინც არ აგვაშორებენ. გზა კი არის შემდეგი: ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთი სახელმწიფოებრივი კანონი ყოველ საქართველოს ნაწილისთვის. აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, მაგრამ ნაწილი ამ საქართველოსა, მხოლოდ თავის შინაურ საქმეში იქნება დამოუკიდებელი. ჩვენ მიერ გამომუშავებული კონსტიტუცია თქვენ უნდა მიიღოთ და მოიწონოთ. თქვენ მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი კანონები ჩვენთვისაც იქნება სავალდებულო. ჩვენ მეტს არაფერს არ ვთხოვლობთ... გაუმარჯოს დემოკრატიულად დარაზმულ ავტონომიურ აფხაზეთს, ამ საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919: 16-17).

1919 წლის 18 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე სკოლებში ქართული ენის შემოღებასთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა. საბჭოს წევრმა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან ვიანორ ანჩაბაძემ (ცნობილი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის მამა – ლ. ს.), რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ერთად საკონსტიტუციო საკითხებზეც მუშაობდა, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „...ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო სამართლის ანბანს წარმოადგენს სახელმწიფო ენის შესწავლა, თუ არა სწავლება მასზე. აქ ყველა თანახმა იყო, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, როგორც ეს აღიარებულია 20 მარტს, მაგრამ რატომღაც არ უნდა ანგარიშის გაწევა იმისათვის, რომ აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ქართული ენის სწავლების აუცილებლობა. რატომღაც ზოგიერთ დეპუტატს, როგორც კი ეს საკითხი ამოტივტივდება, ეშლება საღერღელი. მართალია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ აფხაზეთი ინტერნაციონალური ქვეყანაა მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით, მაგრამ ქართული ენის გაბატონება სამართლიანად უნდა იქნეს აღიარებული. ამ საკითხს პრაქტიკული მხარე აქვს. ისწავლება რუსული, გერმანული და სხვა



ენები. რატომ? იმიტომ, რომ მეზობელი ერის ენის ცოდნა აუცილებელია კულტურულ-ეკონომიკური ინტერესით. გერმანული ენის წინააღმდეგნი არ არიან. მაშინ, რომელი ენა უნდა ისწავლებოდეს, თუ არა ქართული ენა, ენა მეზობელი ხალხისა, რომელსაც აფხაზეთმა თავისი ბედი დაუკავშირა. აი, როდესაც თქვენ ამ ენის წინააღმდეგ გამოდიხართ, უბრალოდ არ გესმით სახელმწიფო სამართლის ანბანი. მაგრამ, ვინაიდან თქვენ წინააღმდეგნი არ ხართ ამ ენის შემოღების, ჩვენ სწორად მიგვაჩნია, რომ შემოღებულია ეს ენა, იმიტომ, რომ მისი შემოღება სკოლებში აუცილებელია. სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს – ეს აქსიომაა...” (Гаммахария...1997: 454-456).

1920 წლის იანვარში, როდესაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო (დეფაქტო) აღიარება მოიპოვა, აკაკი ჩხენკელმა დამფუძნებელი კრების წევრის რანგში აფხაზეთში იმოგზაურა სადღესასწაულო მოვლენის აღსანიშნავად, მან ოჩამჩირესა და გალში მრავალრიცხოვანი კრება ჩაატარა. სახალხო კრებამ ყველგან ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ აფხაზეთის აღნიშნული ქალაქებისა და დაბების მკვიდრნი აქტიურად ჩაებმებოდნენ მშობლიური ქვეყნის სამსახურში და დამოუკიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ ყველაფერს გააკეთებდნენ (ჭუმბურიძე, 2018: 72).

აფხაზი ხალხის ღირსეული წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ვარლამ შარვაშიძე, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, ვიანორ ანჩაბაძე, დიმიტრი გულია, გიორგი ზუხბაია, ვასილ გურჯუა და სხვები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური მოწყობის მოთხოვნით აქტიურად გამოდიოდნენ.

საქართველო-რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ისტორიული ხელშეკრულების ძალით, საზღვრების საკითხი გადაწყდა. საბჭოთა რუსეთმა სოხუმის ოლქი საქართველოს უდავო ტერიტორიად აღიარა, სახელმწიფოთაშორისი საზღვარი კი მდინარე ფსოლზე გადიოდა. ამის თაობაზე 1920 წლის 18 მაისს დ. ემუხვარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სახალხო საბჭომ სიხარულით მიიღო და დამფუძნებელ კრებას სპეციალური რეზოლუციაც გაუგზავნა (გამახარია... 2007: 302). მკვლევარი ნ. მარშანია არზაყან ემუხვარზე გამოცემულ მონოგრაფიაში წერს: „არზაყან ემუხვარის ცხოვრებაში უდიდესი როლი ითამაშა ქუთაისმა. იქაური ამხანაგებისა და ატმოსფეროს გავლენით ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია მისი მთავარი სულიერი საზრდო გახდა და მის მიერ მაშინ შემუშავებული და მეგობართა წრეში გამოთქმული დასკვნა: შეუძლებელია საქართველოსა და აფხაზეთის განცალკევებულად წარმოდგენა, ცხოვრების კრეოდ ექცა“ (მარშანია 2012: 29).

1920 წლის 16 თებერვალს კონსტანტინოპოლში საქართველოს დიპლომატიური მისიის წარმომადგენელს გრიგოლ რცხილაძეს ოსმალეთში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირები შეხვდნენ და საქართველოს ხელისუფლებას დე ფაქტო აღიარება მიულოცეს. დოკუმენტის მიხედვით, ისმითის რაიონში მათი რიცხვი 150.000-ს აღწევდა. ისინი საქართველოსთან ერთობის მომხრენი იყვნენ და ქართველ დიპლომატს საქართველოში

დასაბრუნებლად დახმარება სთხოვეს (მახარაძე 2020: 97).

მართალია, 1918-1921 წლებში აფხაზ ლიდერთა ნაწილი აფხაზეთის ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევას მხარს არ უჭერდა, თუმცა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე შესვლის წინააღმდეგ ღიად არავინ გამოსულა.

აფხაზეთის ავტონომიის სტატუსი ჩაიწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. კონსტიტუციის 107-ე მუხლის მიხედვით: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური თვითმმართველობა“ ენიჭებოდათ“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1921: 18). იმავე კონსტიტუციის 108-ე მუხლის თანახმად, დამფუძნებელმა კრებამ, ასევე, დაამტკიცა კანონი „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულების შესახებ“, რაც საშინაო საკითხების მართვა-გამგეობაში აფხაზეთის ავტონომიას ფართო უფლებებს ანიჭებდა. სამწუხაროდ, აფხაზეთის შესახებ საკონსტიტუციო კანონის ამოქმედება ვერ მოხერხდა, რადგან 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს ოკუპაცია-ანექსია მოახდინა, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში, საზღვარგარეთ წასულიყო. ცენტრსა და ავტონომიას შორის ურთიერთობის თაობაზე დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მოღვაწე აფხაზი ლიდერების მიერ ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები დღესაც აქტუალურია.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ანდერსენი ენდრიუ (ანდრეას) 2016: აფხაზეთი და სოჭი კონფლიქტის ფესვები 1918-1921, ინგლისურიდან თარგმნა მერი ბიწაძემ, Eaglehead Publishing

გამახარია... 2007: გამახარია ჯ., ახალაძე ლ., ბარამიძე მ. და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თავი XVI – აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. თბილისი, 2007.

გამახარია... 2018: ჯ. გამახარია, ლ. ახალაძე, დ. ჯოჯუა, აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები, თბილისი, 2018.

ერთობა 1919: აფხაზეთის საკითხი, გაზეთი „ერთობა“, №161, 22 ივლისი, თბილისი, 1919.

ლორთქიფანიძე 2016: ლორთქიფანიძე მ., აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის საქართველოში, წიგნში: რჩეული ნაწერები, წიგნი I, შემდგენელი და რედაქტორი ნათელა ვაჩნაძე, თბილისი, 2016.

- მარშანია 2012: მარშანია ნ., ქედუხრელი რაინდი, თბილისი, 2012.
- მახარაძე 2020: ი. მახარაძე, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი (1880-1924 წწ.), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2020.
- საქართველო 1918: ოსმალეთის დესანტი სოხუმში, გაზეთი „საქართველო“, №126, 30 ივნისი, თბილისი, 1918.
- საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), ორმოცდამეხუთე სხდომა, 2 აგვისტო, თბილისი, 1919.
- საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს: 1921, სტამბა ნ. ი. ხვინგიასი, ბათუმი.
- საქართველოს რესპუბლიკა 1918: აფხაზეთის მდგომარეობა, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №21, 21 აგვისტო, თბილისი, 1918.
- სცსა: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 52, ფურცელი 16.
- ჩაჩხიანი 2014: ჩაჩხიანი ა., 1918 წელს „ბოლშევიკური რევოლუციები“ აფხაზეთში და ამიერკავკასიის წითელი გვარდიის საბრძოლო მოქმედებები სოხუმის ზონაში, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, (2) 15, თბილისი, 2014.
- ჩიტაია 2006: ჩიტაია დ., აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზთა სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში, თბილისი, 2006.
- ჭუმბურიძე 2018: ჭუმბურიძე დ., აკაკი ჩხენკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, თბილისი, 2018.
- Гамахария...1997: Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия-историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до наших дней. Тбилиси.
- Диасамидзе 2004: Статус автономных регионов Абхазии и Юго-Осетии в составе Грузии (1917-1988 гг.), Сборник политико-правовых актов, Составитель и Главный Редактор Сборника: Тамаз Диасамидзе, Центр по Исследованию Регионализма, Сборник приготовлен и издан в рамках гранта Департамента по Международному Развитию Объединенного Королевства, Тбилиси, 2004.
- Маилян 2009: Маилян Б., К вопросу о политическом статусе Абхазии (март 1917 – февраль 1921 г. г.), Российско-Армянский (Славянский) университет, Печатается по решению Ученого Совета РАУ, (8), №2.
- Папаскири 2010: Папаскири З., Абхазия История без фальсификаций, издание второе, исправленное и дополненное, Тбилиси, 2010.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.7008>

**აფხაზეთი შუა საუკუნეების  
სპარსულ პოეზიაში**

**Abkhazia in the Persian poetry  
of the Middle Ages**

**ნათია სვინტრაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Natia Svintradze**  
Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

According to the historical sources of the Middle Ages, „Abkhazia“ is referred to as the entire territory of Georgia. As a counterpart for the Eastern region, „Abkhazi“ is ethnically the same as a Georgian, as „Abkhazi“ means „Georgia“. In written sources and historical literature, particularly in the poetry of the Middle Ages, the use of the term „Abkhazi“ is not limited to one specific context but encompasses the historical and geographical references associated with it. Authors and poets use this term to convey the history and geographical connections between Georgia and Iran. In the literary works of Shirvan, a notable representative of the literary school of Shirvan, the term „Abkhazi“ appears and is consistently used alongside its association with the heart and soul of Georgia. Based on the example of the dialect of the Khakan region, it is evident that the spoken language in Abkhazia is Georgian. The article provides examples of translations from the poetry of the Middle Ages, specifically in Georgian, to demonstrate how the term „Abkhazi“ was employed in the context of Georgian political unity.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი შუა საუკუნეების სპარსულ პოეზიაში, ნიზამი განჯელი, ხაყანი შირვანი, ფალაქი.

**Keywords:** Abkhazia in Persian poetry of the Middle Ages, Abkhazia, Nizami, Khaqani, Falaki.

შუა საუკუნეების აღმოსავლური წყაროების მიხედვით, აფხაზეთი ეწოდება მთელ საქართველოს. მახლობელი აღმოსავლეთის სამყაროსთვის „აბხაზი“ ეთნიკურად იგივე ქართველია, „აბხაზ“ – საქართველო. წერილობით წყაროებსა და აღმოსავლურ ლიტერატურაში, კერძოდ, შუა საუკუნეების სპარსულ პოეზიაში ქართველი ერის ისტორიის ამსახველი ამბების გადმოცემისას არაერთგზის გვხვდება ტერმინი „აბხაზ“, რომელსაც ისტორიულ და გეოგრაფიულ თხზულებათა ავტორები თუ პოეტები ერთი და იმავე მნიშვნელობით იყენებენ. შუა საუკუნეებში სიტყვა „აბხაზი“ სხვადასხვა მნიშვნელობის იყო და მისი შინაარსი საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა. X-XV საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის ირანში, ქართველთა და საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინი იყო აბხაზი, რომელიც გულისხმობდა მთელს საქართველოს (XI-XIII სს), ხოლო შემდეგ (XIII-XV სს.) – მის დასავლეთ ნაწილს. ტერმინით „აბხაზ“ აღნიშნებოდა საქართველოც, დასავლეთ საქართველოც და აფხაზეთის სამთავროც. იგი აღნიშნავდა ხან ქართველს, ხან იმიერქართველს და ხანაც ტომით აფხაზ ქართველს. ტერმინ „აბხაზის“ მნიშვნელობის საკითხი სპარსულ ისტორიულ წყაროებში დეტალურად აქვთ მიმოხილული ქართველ მკვლევრებს დ. კობიძეს<sup>1</sup>, კ. ტაბატაძეს<sup>2</sup>. ამიტომ ამ საკითხს არ ვეხებით და შუა საუკუნეების სპარსული პოეზიის ნიმუშების განხილვით შემოვიფარგლებით. ისტორიული რეალები, რა თქმა უნდა, ლიტერატურაშიც აისახება. საქართველოსა და ირანს შორის მჭიდრო ისტორიულმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ურთიერთობამ კვალი დატოვა სპარსულ ლიტერატურაში. განსაკუთრებით ეხება ეს შუა საუკუნეების სპარსულ პოეზიას, როდესაც მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა შირვანსა და საქართველოს შორის. XII საუკუნეში საქართველოში ისევე, როგორც შირვანში, განვითარების უმაღლეს მწვერვალს აღწევს ლიტერატურა. შირვანის შაჰების კარზე ჩამოყალიბდა მძლავრი ლიტერატურული სკოლა, რომელიც შირვანის ლიტერატურული სკოლის სახელითაა ცნობილი. ამ სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლების: ნიზამი განჯელის, ხაყანი შირვანის, ფალაქის შემოქმედებაში ხშირადაა ნახსენები აფხაზეთი.

ნიზამი თავის შემოქმედებაში არაერთხელ წერს საქართველოსა და ქართველ ხალხზე. პირველ პოემაში განთქმული „ხამსედან“, „საიდუმლოებათა საგანძურში“, მეათე თავში – در مدح ملک فخرالدین بهرامشاه بن داود (მეფე ფახრედდინ ბაჰრამშაჰ ბენ დაუდის სადიდებლად) „პოეტი გაკვრით ახსენებს საქართველოს. წინასიტყვაობაში ის ადიდებს ბაჰრამ-შაჰს, მას მიაწერს არჩადენილ გმირობებს და უწოდებს „რუმისა და აბხაზეთის დამპყრობს“. ეს, როგორც ჩანს, უმაღლეს ქებას წარმოადგენდა (გვახარია 1995: 6).

<sup>1</sup> კობიძე დ., ტერმინი „აბაზის მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით, ჟურნ. „მნათობი“, N2, 1957.

<sup>2</sup> ტაბატაძე კ., საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X- XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით, კრებული: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993.

روم ستاننده ابخاز گیر سلطنت اورنگ خلافت سریر (Nezami 1947: 48).

პწკარედული თარგმანი<sup>3</sup>: „მისი მეფობა მსგავსია სახალიფოს გვირგვინოსნისა, რუმის ამღებია და აფხაზეთის დამპყრობი“.

საინტერესოა ნიზამის მეორე პოემა „ხოსროვი და შირინი“. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ დაბადება, აღზრდა და ბავშვობა ხოსროსი ამ რომანით ძალიან გვაგონებს ტარიელის დაბადების, აღზრდისა და ბავშვობის ამბავს. ურთიერთობა ხოსროვისა და მისი მეგობარი შაფურისა წააგავს ტარიელისა და ავთანდილის მეგობრულ ურთიერთობას. სამიჯნურო განცდანი ფარჰადისა, რომელსაც შირინი უყვარს, ზედმიწევნით ჰგავს ტარიელის სამიჯნურო განცდებსა და ტანჯვას (კეკელიძე 1971: 157).

პოემის დასაწყისში შამს-ად-დინ ელლეზიდისადმი მიძღვნილ სტრიქონებში მზრძანებლის საქებრად პოეტი ამბობს:

شبهخونش بخوارزم و سمرقند شکارستان او آبخاز و دربند (Nezami 1960: 41).

„მისი სანადირო ადგილებია აფხაზეთი და დერბენდი.

ლამქრობების კი – ხორეზმი და სამარყანდი“.

პოემის ერთ-ერთ ბოლო თავში – طلب کردن طغرل شاه حکیم نظامی را – (თოღრულ-შაჰი თავისთან იხმობს სწავლულ ნიზამის) პოეტი ახსენებს თავის ერთ მოშურნეს, რომელსაც იოსების სახე მიუღია და ქილიკობს მამულზე, რომელიც ნიზამის შაჰმა უბოძა.

دهی و آنگه چه ده چون کوره تنگ  
که باشد طول و عرضش نیم فرسنگ  
ندارد نخل و خرچی کیسه پرداز  
سوادش نیم کار ملک ابخاز

(იქვე: 794).

„სოფელი და რა სოფელი, ვიწრო და მიყრუებული.

მისი სიგრძე და სიგანე იქნება ნახევარი ფარსანგი.

არ აქვს გადასახადის ქისას გასავალი და შემოსავალი.

მისი შემოგარენი აფხაზისთვის ნახევარი საქმეა“.

როგორც პოემიდან ჩანს, ნიზამი მიიწვია ყიზილ-არსლანმა, რომელმაც უწყალობა აფხაზეთის (ე.ი. საქართველოს) მოსაზღვრე ერთი ლატაკი სოფელი ჰამდუნიანი, რომელსაც სანახევროდ აფხაზები ამუშავებდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით დ. კობიძე აღნიშნავს, რომ „განჯაში მცხოვრები ნიზამი სოფელს აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებთან ახლოს მიიღებდა და არა დასავლეთ საქართველოში, ან შავი ზღვის სანაპიროსთან“ (კობიძე 1957: 127). აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ იმ პერიოდის აღმოსავლეთის ქვეყნებში აფხაზეთად მოიხსენიებდნენ სრულიად საქართველოს, ქართველებს – აფხაზებად.

პოემაში „ისქანდერ-ნამე“ ნიზამი საუბრობს საქართველოსა და თბილისზე. იგი აღტაცებით გვიხატავს საქართველოს ბუნებას, ხოლო მის დედაქალაქს პოეტი უწოდებს „სიუხვისა და ნაყოფიერების ქვეყანას“. ნიზამი ამბობს, რომ ამ ქვეყნის დიდებულ სანახაობას მოუხიბლავს ალექსანდრე

<sup>3</sup> პწკარედული თარგმანი აქაც და შემდგომშიც ჩვენია.

მაკედონელი და მას კიდევ უფრო დაუმშვენებია ქალაქი თბილისი. ხოლო სამოთხესავით მორთულ აფხაზეთში მხოლოდ და მხოლოდ სიკეთეს თესავდაო.

چنین گفت با پور دهقان پیر / که تغلیس ازو شد عمارت پذیر  
 در آن بوم آراسته چون بهشت / شب و روز جز تخم نیکی نکشت (Nezami 1960: 247).

„ასე უთხრა შვილს მოხუცმა გლეხმა,  
 რომ თბილისი მისგან აშენდა.

იმ სამოთხესავით მორთულ ქვეყანაში  
 დღე და ღამ სიკეთის თესლს თესავდა“.

ამავე თხზულებაში გამოყვანილია აფხაზეთის მმართველი ვიღაც დუალი. პოეტი აგვიწერს მას როგორც არაჩვეულებრივი ძალის პატრონს, მამაც, უშიშარ რაინდს და ადარებს მას აღმოსავლეთის ლეგენდარულ გმირს, როსტომს.

در ابخاز کردیست عادی نژاد / که از رزم رستم نیارد بیاد  
 دوالی بنام آن سوار دلیر / بر آرد دوال از تن تند شیر (იქვე: 245).

„აფხაზეთში ერთი გმირია, უბრალო წარმომავლობის.  
 როსტომის ბრძოლა არ მოგაგონდებათ (მის ბრძოლასთან).

დვალი არის ამ მამაცი მხედრის სახელი.  
 სხეულით სწრაფ ლომს შეედრება“.

იგი თავგამოდებით ებრძვის მტერს არა მარტო აფხაზეთის დასაცავად, არამედ დარუბანდისა და ბარდავის სამეფოსთვისაც, საიდანაც მტრებს მოუტაცებიათ ბრძენი და ულამაზესი დედოფალი ნუშაბე. ნიზამი აღნიშნავს, რომ ნუშაბეს აქვს გვირგვინოსნობის უფლება, მაგრამ თვით უგვირგვინოა (იქვე: 245). აქ ნათლად ჩანს ნუშაბეს მხატვრული სახის კავშირი თამარ მეფესთან. როგორც აღვნიშნეთ, მელიქ დუალი იბრძვის დედოფლის გასათავისუფლებლად. ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ თამარი თავისი სურვილის წინააღმდეგ მიათხოვეს რუს ბატონიშვილ გიორგის, რომელიც მალევე გააძევეს საქართველოდან. გიორგის კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლას კი თამარ მეფის მეუღლე, დავით სოსლანი. მელიქ დუალის სახით ნიზამიმ დაგვიხატა თამარ მეფის მეუღლე - დავით სოსლანი. იგი, როგორც ქმარი თამარისა, იწოდებოდა მეფედ (მელიქი). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თვით სახელი დუალი – დვალი. დვალი ხომ ქართულად იგივე ოსია; ცნობილია, რომ თამარის ქმარი დავით სოსლანი ოსთა მეფისწული იყო. აღსანიშნავია, რომ სიტყვას „დუალი“ ნიზამი ხმარობს სახელობით ბრუნვაში, წმინდა ქართული ფორმით, ი დაბოლოებით. ეს გარემოება აფიქრებინებს შ. ნუცუბიძეს, რომ ნიზამიმ იცოდა ქართული ენა (ნუცუბიძე 1973: 397).

შირვანის ლიტერატურული სკოლის შემდეგი წარმომადგენლის – ხაყანის შემოქმედებაში ხშირადაა ნახსენები ტერმინი „აბხაზ“. ხაყანის პოეზიის უმეტეს ნაწილს ხოტბები წარმოადგენს, რომლებიც შირვანელ, ქართველ, აზერბაიჯანელ, ირანელ მეფეებსა და დიდებულებს ეძღვნება. პოეტი ხშირად ჩამოდიოდა აფხაზეთში. მას კარგად სცოდნია ქართული ენა

და თავის ლექსებში ქართული სიტყვები და ტერმინები ხშირად შეჰქონდა (სვინტრაძე 2011: 206). ქართველი ირანისტებისათვის კარგადაა ცნობილი ხაყანის ერთი რობაი, რომელშიც პოეტი აფხაზეთს ახსენებს. პირველი მკვლევარი, რომელმაც სწორად ამოკითხა აქ ნახსენები ქართული სიტყვა და ნათელი გახადა მთელი რობაის შინაარსი, იყო იური მარი (Mapp 1936:10).

از عشق صلیب موی روسی رویی  
 ابخاز نشین گشتم و گر جی گوئی  
 از بس بگفتمش که موی مویی  
 شد موی زبانم و زبان هم مویی  
 (Khāqānī 1364: 504).

„ხუჭუჭთმიანისა და ნათელსახიანის სიყვარულის გამო,  
 აფხაზეთის მცხოვრები გაეხდი და ქართულად მოლაპარაკე,  
 იმდენჯერ ვუთხარი მე მას: „მოი, მოი“,  
 რომ ჩემი ენა თმად გადაიქცა და თმა კი – ენად“.

აქ სარიტმო სიტყვებად აღებულია ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა: ერთია ქართული „მოი“ (მოდი), ხოლო მეორე სპარსული „მოი“ (თმა). ზოგმა მკვლევარმა შეიძლება იფიქროს, რომ ხაყანის დიალექტური ფორმა აქვს გამოყენებული და ეს პოეტის მხრივ დასავლეთ საქართველოს ნაცნობობით აიხსნებოდეს, მაგრამ ასეთი ფიქრი უსარგებლო იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სპარსული „მოი“ ხაყანის ეპოქაში წაიკითხებოდა არა როგორც მოი, არამედ როგორც მოე (მოდის) მნიშვნელობით. აღნიშნული ფორმა დასტურდება ქართული ლიტერატურის კლასიკური ხანის ძეგლებში („ვისრამიანი“ და სხვა) (კობიძე 1975: 239). ე.ი. ხაყანის სპარსული სიტყვის „მოი“-ს სარიტმო სიტყვად გამოუყენებია წმინდა ლიტერატურული ფორმა.

ხაყანის შემოქმედებიდან ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ე.წ. „ქრისტიანული ყასიდა“. შესანიშნავ მეცნიერსა და მთარგმნელს მ. თოდუას ლექსის ქართული თარგმანი ასე დაუსათაურებია – „ციხის ელეგია“ (თოდუა 1992: 16). ხაყანის დივანის მიხედვით, ლექსის სახელწოდება ასეთია:

„საჩივარი პატიმრობისა და ტყვეობის გამო და რუმის დიდებული კეისრის ქებათა ქება“. ამ ყასიდაში შირვანშაჰების მიერ განაწყენებული პოეტი თავის გულისწყრომასა და უკმაყოფილებას გამოთქვამს და ამბობს, რომ თუ მაჰმადიანები არ დააფასებენ და ღირსეულ პატივს არ მიაგებენ მას და მის შემოქმედებას, მიატოვებს რჯულს და აფხაზეთისკენ გაემურება, სადაც ქრისტიანობას მიიღებს. პოეტი ახსენებს ქართველი მეფეების რეზიდენციებს: ნაჭარმაგევს, მუხრანს და ამბობს, რომ ზაგრატიონებს სთხოვს თავშესაფარს. „در ابخازیان اینک گشاده“ (აფხაზების კარი ჩემთვის ღიაა) – ამბობს პოეტი.

پلاسی پوشم اندر سنگ خارا چو آن عود الصلیب اندر بر طفل  
 صلیب آویزم اندر حلق عمدا وگر حرمت ندارندم به ابخاز  
 (Khāqānī 1364: 17).

„ფლასს ჩავიცვამ ძვირფასი აბრეშუმის ქვეშ,  
 როგორც იორდასალამში ზავში (თესლი).“



ჯვარს დავიკიდებ, თავს უფლებას მივცემ,  
თუ პატივს არ მომაგებენ აფხაზეთში გავიქცევი“.

საყურადღებოა, რომ პოეტს, რომელიც თავს კარგად ვერ გრძნობს თავის სამშობლოში, შირვანში, სადაც ის შირვანშაჰებს ციხეშიც ჩაუსვამთ, იმედი აქვს, რომ ქართველი მეფეები მიიღებენ და მფარველობას გაუწევენ. თავის შემოქმედებაში ხაყანი დიდი სიყვარულით საუბრობს საქართველოზე. ერთ-ერთ ყასიდაში მოგვითხრობს, თუ, როგორ დაბრუნდა თბილისში, აფხაზეთში და რომ ძალიან ბედნიერია ამ ქვეყანაში ყოფნით. გამხდარმა და დაბეჩავებულმა აფხაზეთში ახალი ძალა მოიკრიბა:

حال تن خاقانی و اندیشهٔ ابخاز  
این است و چنین به مثل مرد خردمند  
ابخاز حد مغرب و درگاه ملک بحر  
مسکین تن نالانش به مویی شده مانند (Khāqānī 1364: 593).

„ხაყანის სხეულის მდგომარეობა და აფხაზეთზე ფიქრი,  
ეს მსგავსად იმ ბრძენი კაცის ამბისა.

დასავლეთის საზღვარი აფხაზეთია და მეფის სასახლე ზღვაა.

ჩემი საბრალო სხეული თმას დაემსგავსა (დაწვრილდა)“.

საქართველომ მას მშობლიური მხარეც კი გადაავიწყა და არ აპირებს აქედან წასვლას თუნდაც მთელი რეის მხარე აჩუქონ თავისი სამეფო კართა და სიმდიდრით. ლექსი ასე მთავრდება:

خاقانی و خانان و کنار کر و تغلجس  
جیحون شده آب کرو تغلجس سمرقند (იქვე: 593).

„ხაყანი და ხაყანი, მტკვრის ნაპირი და თბილისი,

მტკვრის წყალი ჯეიჰუნად მექცა და თბილისი სამარყანდად“.

ამ ყასიდაში ხაყანი ასახელებს აფხაზეთს და მის დედაქალაქ თბილისს. დასავლეთის საზღვარში კი, რომელსაც პოეტი აფხაზეთს უწოდებს, რა თქმა უნდა, საქართველოს გულისხმობს.

ხაყანი ლექსში დავით აღმაშენებლის შვილიშვილის, შირვანშაჰ აღსართან პირველის შესახებ წერს, თუ როგორ უბრძანა მუსლიმებს ეკლესიაში წასვლა.

چون شاه بازگشت ز ابخاز روز عید  
فرمود چاشتگاه گذری بر کلیسیا  
من بانگ برکشیدم و گفتم که ای دریغ  
اسلامیان به کعبه و مادر کلیسیا (იქვე: 17).

„როდესაც მეფე დაბრუნდა დღესასწაულზე აფხაზეთიდან ბრძანა,  
რომ დილა ეკლესიაში გაატარონ.

მე აღმომხდა (ვიყვირე) და ვთქვი: „ ეჰ, დასანანია,

მუსლიმები ქაბაში არიან და ჩვენ – ეკლესიაში“.

ხაყანის შემოქმედებაში მსგავსი ფაქტები კიდევ მრავლად დაიძებნება. პოეტი ყველა შემთხვევაში, სადაც ახსენებს ტერმინ „აბხაზს“, გულისხმობს ქართველს ან საქართველოს.

XII საუკუნის აზერბაიჯანული სკოლის წარმომადგენელთა შორის ცნობილია ფალაქი შირვანის სახელი. ჩვენამდე მოღწეული მისი დივანი შინაარსით ისეთივეა, როგორც სხვა მეხოტბეებისა ქესრანიდების კარზე. იგი მდიდარი შინაარსით არ გამოირჩევა და წარმოადგენს ტრადიციული ოდების კრებულს. ჩვენთვის მისი შემოქმედება განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ფაქტის გამო; მას დაუწერია უნიკალური ყასიდა მეფე დემეტრე I-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. 1156 წელს გარდაიცვალა დიდი ხელმწიფე დემეტრე I, რომლის დასატირებლად მთელი კავკასიიდან დაიძრნენ სხვადასხვა სარწმუნოების მთავრები, დიდებულები, სწავლულები, პოეტები. სხვებთან ერთად, დიდი სპარსულენოვანი აზერბაიჯანელი პოეტი მუჰამედ ფალაქი შირვანიც ჩამოსულა თბილისში და სამგლოვიარო ოდა მიუძღვნა ქართველი მეფისადმი.

საბედნიეროდ, ყასიდა შემორჩენილია და ის მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ქართველი მეფის შესახებ. კერძოდ, გვამცნობს გარდაცვალებისას მის ასაკს: „63 წლის განმავლობაში, თავისი ნიჭით, ცოდნით და ვაჟკაცობით, ყოველდღიურად ქვეყანაზე ახალ-ახალ ბუნებას ქმნიდა“ (<https://el.ge/articles/20001>). აღნიშნულ ნაწარმოებს არაერთი კვლევა მიუძღვნეს ცნობილმა უცხოელმა და ქართველმა მეცნიერებმა. ტექსტი პროზაულად თარგმნა და გამოაქვეყნა ისტორიკოსმა ჯემალ სტეფნაძემ (სტეფნაძე 1977).

ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე გ. ბერაძე სტატიაში „ფალაქი შირვანის ერთი უნიკალური კასიდის შესწავლის ისტორიიდან“, სადაც ამ საკითხის მკვლევრის, პროფესორ ჰადი ჰასანის ღვაწლის გახსენება-დაფასებას ისახავს მიზნად, გვთავაზობს ყასიდის როგორც ლიტერატურული ფაქტის ჰადი ჰასანისეულ შეფასებას: „იგი არა მარტო ერთადერთი ამგვარი ნაწარმოებია თვით ფალაქი შირვანის შემოქმედებაში, არამედ, შესაძლოა წარმოადგენდეს საზოგადოდ ერთადერთ სამგლოვიარო ლექსს (მოთქმას), რომელიც კი ოდესმე დაწერილა სპარსულად მუსლიმი პოეტის მიერ ქრისტიანი ხელმწიფის სიკვდილზე“. შუასაუკუნოვან სპარსულ ლიტერატურაში ღრმად ჩახედული მკვლევარის ასეთი დასკვნა, ვფიქრობთ, საყურადღებო უნდა იყოს“ (ბერაძე 1975: 170).

ფალაქი შირვანიც, სხვა აღმოსავლელი პოეტების მსგავსად, „აბხაზს“ უწოდებს საქართველოს, ხოლო საქართველოს მეფეს ასე მოიხსენიებს: „აფხაზეთისა და შაქის მეფეთ მეფე, სამყაროს მბრძანებელი, ვისაც ხარკი აღმოსავლეთიდან დასავლეთში მოჰქონდა“ (<https://el.ge/articles/20001>).

XII საუკუნის კლასიკურ სპარსულ სამიჯნურო ეპოსში, გორგანის „ვისი და რამინში“ ასევე ნახსენებია „აბხაზ“, რომელიც პოეტური შედარებისთვისაა გამოყენებული და თვალების, წამწამების სილამაზის დასახატადაა გამოყენებული.

به چشم آورده تیر افگن ز ابخاز

به زلف آورده جراره ز اهواز <https://ganjoor.net/asad/> (Gorgani)

„თვალთ მოყვანა მოისარი აფხაზეთიდან,  
ზილფით მოყვანა მორიელი აჰვაზიდან“.

ამონარიდიდან ჩანს, რომ ავტორი ამ ხატოვანი გამოთქმით „აბხაზს“ საქართველოს მნიშვნელობით იყენებს. ეს პოეტური მეტაფორა ასე გაიხსნება: „თვალთ მოყვანა“ (გულს) მოისრე აბხაზით ნიშნავს: გულს თვალეში თიქოს მოისრე აბხაზი ჰყავდა, ისე სტყორცნიდა (წამწამთა) ისრებს (რამინს). „ზილფით მოყვანა მორიელი აჰვაზიდან“ ნიშნავს: გულს აჰვაზის მორიელივით დახვეული თმები მქონდაო. აჰვაზის მორიელი ცნობილი ყოფილა თავისი დახვეულობით, დაგრეხილობით. ამ მაგალითებიდან დასტურდება, XI საუკუნის სპარსულენოვან სამყაროში იმდენად საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი აბხაზი ანუ ქართველი და აბხაზური ანუ ქართული ისარი, რომ ისინი იმ დროის სპარსულ მხატვრულ აზროვნებაში მეტაფორადაც კი ქცეულა (ბართაია 2005: 90).

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა დ. კობიძემ. მისი აზრით, გორგანელს, რომელიც ნაწარმოების შექმნისას მის ფალაურ, VI საუკუნის ვერსიას ეყრდნობოდა, საეჭვოა, რომ რაიმე ცნება სიტყვით „აბხაზ“ შეეცვალა და მკვლევარმა ეს უკანასკნელი ორიგინალის ძირეულ სიტყვად მიიჩნია (კობიძე 1957: 126). მართლაც, თუკი VI საუკუნის „ვისრამიანის“ ტექსტში არსებობდა „აბხაზ“ და არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ასე არ ვიფიქროთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ VI საუკუნის აღმოსავლეთში „აბხაზ“ ქართულ პოლიტიკურ ერთეულად აღიქმება“ (ჯაველიძე 2014: 199).

სპარსულ პოეზიაში მსგავსი ფაქტები მრავლად შეიძლება დაიძებნოს. ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა საინტერესოა როგორც ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით, ასევე, მთელი ამიერკავკასიის ლიტერატურის ისტორიისა თუ ისტორიული საკითხების კვლევის კუთხით. ჩვენ მიერ მოტანილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ შუა საუკუნეების სპარსულ პოეზიაში „აბხაზ“ ქართულ პოლიტიკურ ერთეულად აღიქმება, გამოიყენება ქართველის და საქართველოს მნიშვნელობით.

### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

- ბართაია 2005: ქართველები და ირანელები ერთმანეთის წარმოდგენაში, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, [http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/leqcia\\_v\\_oqros\\_xana\\_](http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/leqcia_v_oqros_xana_)
- ბერაძე 1975: ბერაძე გ., ფალაქი შირვანის ერთი უნიკალური კასიდის შესწავლის ისტორიიდან, ცნობები და შენიშვნები, მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია). თბილისი, 1975.
- გვახარია 1995: გვახარია ალ., ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, I. თბილისი, 1995.
- თოდუა 1992: თოდუა მ., შირაზული ვარდები. ქუთაისი, 1992.
- კეკელიძე 1971: კეკელიძე კ., რუსთველოლოგიური ნარკვევები. თბილისი, 1971.

- კობიძე 1957: კობიძე დ., ტერმინი „აბაზის მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით, ჟურნალი „მნათობი“, №2, 1957.
- კობიძე 1975: კობიძე დ., სპარსული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1975.
- ნუცუბიძე 1976: ნუცუბიძე შ., შრომები, ტ. IV, რუსთველი და აღმოსავლური რენესანსი. თბილისი, 1976.
- სვინტრაძე 2011: სვინტრაძე ნ., ხაყანი და საქართველო, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწადი. III, ქუთაისი, 2011.
- სტეფნაძე 1977: სტეფნაძე ჯ., მეთორმეტე საუკუნის შირვანელი პოეტები დემეტრე I-ის შესახებ. მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანახი, საუნჯე №5, 1977. <https://el.ge/articles/20001>
- ტაბატაძე 1993: ტაბატაძე კ., საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით. კრებული საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993.
- ჯაველიძე 2014: ჯაველიძე ნ., შუა საუკუნის აღმოსავლური წყაროები ცნებების „აბზაზ“ და „აბზაზი“ (აბაზა) გაგებისათვის. საიუბილეო კრებული „ელიზბარ ჯაველიძე 75“. თბილისი, 2014.
- Март 1936: Март Ю.Н., К вопросу о позднейших толкованиях Хакани (сб. Хакани, Незами, Руставели), I, 1936.
- Khāqānī 1364: Khāqānī Shirvānī, Divān, Tehran, 1364. *سوانی، سوانی اورش یاناقاخ، ۱۳۶۴*
- Gorgani: Fakhraddin, Vis o ramin, Ganjoor. *و سوانی، سوانی اورش یاناقاخ*. <https://ganjoor.net/asad/veysoramini/sh54>
- Nezami 1947: Nezami Ganjavi, Makhzan-ol-Asrār, Baku, 1947. *سوانی، سوانی اورش یاناقاخ*. *م. 1947، وکاب، رارسال انزخم*
- Nezami 1960: Nezami Ganjavi, Eskandar-Nāmeḥ, Baku, 1960. *سوانی، سوانی اورش یاناقاخ*. *م. 1960، وکاب، هم اندردن کاس*
- Nezami 1960: Nezami Ganjavi, Khosrow o Shirin, Baku, 1960. *سوانی، سوانی اورش یاناقاخ*. *م. 1960، وکاب، سوانی اورش و ورسخ*

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6992>

**აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს)  
კათალიკოსთა ეთნიკური წარმოშობა**

**Ethnic Origin of Catholicoses  
of Western Georgia - Abkhazia**

**ლევან ტყეშელაშვილი**

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია  
საქართველო, ქუთაისი

**Levan Tkeshelashvili**

Gelati Theological Academy and Seminary  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

The Catholicate of Abkhazia has played a significant role in the religious and political landscape of Georgia for nearly a millennium. Its establishment dates back to the reign of the Kingdom of Abkhazia in Western Georgia during the 9th and 10th centuries. The Catholicate continued to exist throughout the era of the unified Georgian monarchy from the 11th to the 15th centuries, as well as during the formation of the Kingdom of Imereti from the 16th to the 18th centuries. Encompassing the entire of Western Georgia, the Catholicate of Abkhazeti held its seat in Bichvinta until 1565.

However, due to the complex political circumstances arising from Ottoman invasions and migrations from the North Caucasus, King Bagrat III of Imereti (1510-1565) and Catholicos Evdemon Chkhetidze (1557-1578) relocated the Catholic center from Bichvinta to Gelati in 1565. The Catholicate persisted until 1814.

It is crucial to emphasize that a wealth of sources, documents, cultural and artistic works, including frescoes, manuscripts, legal monuments, and church inventory, as well as descriptive icons that have survived, unequivocally affirm the founding and existence of the Catholicate of Abkhazia within the Georgian reality. Furthermore, the Catholicoses themselves were of ethnic Georgian origin and conducted religious services in the Georgian language. The abundance of spiritual and cultural monuments created during the Catholicate's existence was exclusively composed in Georgian, providing indisputable evidence of its formation and existence within the Georgian context.

Any attempt by contemporary „researchers“ or ill-founded publications to challenge this historical fact will undoubtedly fail. In the future, it is imperative to produce a dedicated monograph on the Catholicos of Abkhazia, available in multiple

languages, to provide an accurate account of the true history of the Catholicos of Abkhazia (Western Georgia) and disseminate this knowledge to a wider audience.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსები, აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია, ქართული ეკლესია-მონასტრები აფხაზეთში.

**Keywords:** Catholicos of Abkhazia (Western Georgia), history of Catholicos of Abkhazia, Georgian churches-monasteries in Abkhazia.

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო დაარსდა დაახლოებით IX-X საუკუნეთა მიჯნაზე და იარსება XIX საუკუნის დამდეგამდე. ქართული და უცხოური წყაროებით ნათლად დასტურდება, რომ საკათალიკოსოს მმართველები იყვნენ ეთნიკურად ქართველები. აფხაზეთი უძველესი დროიდან არის ქართველთა განსახლების არეალი, შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საკულტო ნაგებობების, ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების (ხატები, ფრესკები) შემოქმედი არის ქართველი ხალხი და ნებისმიერი სხვაგვარი განმარტება იქნება რეალობის უხეში დარღვევა. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა მნიშვნელოვანი ტაძარი აგებულია ქართველთა მიერ. ეს ყოველივე დასტურდება ქართული წყაროებით, აღნიშნულ ტაძრებზე ქტიტორთა წარწერები ქართული (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური) დამწერლობის ნიმუშებს წარმოადგენს, რითაც ნათელი ხდება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილი კულტურის სამართალმემკვიდრე ქართველები არიან.

თანამედროვე პერიოდში აფხაზეთის ოკუპაციის პირობებში ზოგიერთი ავტორი (ე. აჯინჯალი, დ. დბარი და სხვები) თავიანთ ნაშრომებში არაერთ ტენდენციურ მოსაზრებასა და ისტორიულ სიყალბეს აჟღერებენ. მათი უსუსური მცდელობა მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება – ფაქტების გაყალბებით როგორმე წარმოაჩინონ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულად ორ საკათალიკოსოს (მცხეთისა და აფხაზეთის) ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ და ისინი თითქოს სხვადასხვა ხალხის მიერ იყო დაარსებული. მათი „მოსაზრებები“ აბსურდამდეც მიდის ხოლმე და ცდილობენ სინამდვილე შეგნებულად დამალონ.

აფხაზეთის საკათალიკოსომ დაახლოებით 1000 წლის განმავლობაში იარსება და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკათალიკოსო დაარსდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს არსებობის პერიოდში (IX-X სს.), არსებობდა ერთიანი საქართველოს მონარქიის დროს (XI-XV სს.) და საქართველოს დაშლის შემდეგ, როდესაც შეიქმნა იმერეთის სამეფო (XVI-XVIII სს.). აფხაზეთის საკათალიკოსო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს და საკათალიკოსოს ცენტრი ბიჭვინთა იყო 1565 წლამდე. პოლიტიკური

სიტუაციის გართულების გამო იმერეთის მეფე ბაგრატ მესამემ (1510-1565) და აფხაზეთის კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ (1557-1578) 1565 წლის ახლო ხანებში საკათალიკოსო ცენტრი ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს. საკათალიკოსომ იარსება 1814 წლამდე. სწორედ ეს ორი ტადარი ითვლება ისტორიულად საკათალიკოსო ტადრებად, რომელთაგან უფრო ძველი ბიჭვინთაა. I საუკუნეში ბიჭვინთასა და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ასევე სამხრეთ საქართველოშიც) ქრისტეს გამორჩეულმა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა. აქედან გამომდინარე, ქვემო ივერიის ეკლესიის მეთაურები – კათალიკოსები თავიანთ თავს წმ. ანდრიას საყდარზე მჯდომ კათალიკოსებს უწოდებდნენ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბრისას აფხუა სასულიერო პირი დოროთე დბარი ეხება ქართულ წყაროებს და ვერ გაურბის ისტორიულ რეალობას, როდესაც აღნიშნავს, რომ მრავალი ავტორის ნაშრომი, რომლებშიც მოიპოვება ცნობები ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, წარმოშობით ქართველები იყვნენ, თუმცა ისინი დაიბადნენ და ცხოვრობდნენ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდებოდა „აფხაზეთის სამეფო“, აქედან გამომდინარე, ძნელია გაიგო, რომელი ეკლესიის ავტოკეფალიას გულისხმობენ – ქართულს თუ აფხაზურს. მას მაგალითად მოჰყავს წმინდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, რომელშიც ქართველი მამა გარკვევით აუწყებს ანტიოქიის პატრიარქს, რომ სვიმონ კანანელი დაკრძალულია „ქვეყანასა ჩუენსა, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. დბარი იმოწმებს თ. ჟორდანიას მოსაზრებას, რომელიც ფიქრობდა, რომ გიორგი მთაწმინდელი აღნიშნული კამათის დროს იცავდა აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიას და არა ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიას (Дбар 2015: 252). სასულიერო პირს კარგად მოეხსენება, რომ გიორგი მთაწმინდელი „ქუეყანასა ჩუენსა“ როცა წარმოთქვამს, აქ იგულისხმება საქართველო, მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები, ორივენი ქართული წარმოშობისა იყო და ნიკოფსია საქართველოს ტერიტორია იყო.

არქიმანდრიტი დბარი თავის ნაშრომში История Христианства в Абхазии в первом тысячелетий ყოველნაირად ცდილობს „დაამტკიცოს“, რომ პირველ ათასწლეულში არავითარი „საქართველო“ და „საქართველოს ეკლესია“ არ არსებობდა. იყო მხოლოდ ქართლი, იგივე ივერია, იყო ლაზიკა, ანუ ეგრისი (დას. საქართველო) და იყო აფხაზეთი. ათასწლეულის ბოლოს ყველა ეს ერთეული გაერთიანებულ იქმნა აფხაზეთის ერთიან სამეფოში (იქვე: 251). დასახელებული სამეფოები გაერთიანდა ერთ სამეფოში, რომელსაც საქართველო ეწოდებოდა და სამეფოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი ეკლესია – მცხეთისა და ბიჭვინთის საკათალიკოსოები, ორივე საკათალიკოსო იყო ქართული და მათი მეთაურებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ.

კიდევ უფრო შორს მიდის ე. აჯინჯალი, რომელიც თავის ტენდენციურ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ცნობილი კამათის დროს გიორგი მთაწმინდელი იცავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას სწორედ ანტიოქიის პატრიარქის და არა კონსტანტინეპოლის პატრიარქის წინაშე. ეს ფაქტი

კარგად მოწმობს, რომ, მისი შეხედულებით, იმ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას (მცხეთისას) არ ჰქონდა მინიჭებული ავტოკეფალია (Аджинжал 2000: 99). აქედან გამომდინარე, მისი ვარაუდით, აფხაზეთის ეკლესია XI საუკუნეში ექვემდებარებოდა მძლავრ ქრისტიანულ ცენტრს – კონსტანტინეპოლის ეკლესიას და არა მცხეთის ეკლესიას, როგორც ამას წერენ ქართველი ისტორიკოსები. რაც შეეხება გიორგი მთაწმინდელის სიტყვებს, რომელიც წარმოთქვა მან კამათისას, რომ სვიმონ კანანელი „ქუეყანასა ჩუენსა“ მარხია, არ შეიძლება მოვიყვანოთ არგუმენტად იმისა, რომ აფხაზეთის ეკლესია ექვემდებარებოდა მცხეთას (იქვე: 101). მკვლევარი კიდევ უფრო შორს მიდის, რადგან ურცხვად უარყოფს ისეთ მნიშვნელოვან ცნობას, როდესაც კამათის დროს გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქს მოახსენებს, რომ სვიმონ კანანელი დაკრძალულია „ქუეყანასა ჩუენსა“ აფხაზეთს. რადგან ეს არ შეიძლება იყოს არგუმენტი იმის სასარგებლოდ, თითქოს აფხაზეთის ეკლესია ექვემდებარებოდა მცხეთას (იქვე: 102). თავისი მოსაზრების გასამყარებლად იგი იმოწმებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთ მონაკვეთს, როდესაც გრიგოლმა ეკლესია ააგო უბისაში, რომელიც მდებარეობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს ადასტურებს იმას, რომ აფხაზეთის ეკლესია არ ექვემდებარებოდა მცხეთის ეკლესიას.

ე. აჯინჯალის ფანტაზია ამოუწურავია, რადგან უარყოფს კიდევ ერთი ქართული წყაროს – „მატიანე ქართლისას“ ცნობას, რომლის მიხედვითაც ბაგრატ მეორემ (უნდა იყოს ბაგრატ მესამე) გააუქმა ბერძნული კათედრა გუდაყვა-ზიგანეოსისა და მის ნაცვლად დააარსა ქართული ბედია (იქვე: 102). ბაგრატ მესამის მიერ ბერძნულის ნაცვლად ქართული საეპისკოპოსო კათედრალის დაარსება ნათლად ადასტურებს, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მონარქი აფუძნებს ახალ ტამარს, რომელიც სამომავლოდ მისი საძვალე გახდება.

საქმე ისაა, რომ XI საუკუნეში საქართველო გაერთიანებული ქრისტიანული სამეფოა, რომლის ტერიტორიაზე არსებობს ორი საკათალიკოსო, აქედან უპირატესი მცხეთის საკათალიკოსოა, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ორივე საკათალიკოსო ქართულია და ზემოთ გამოთქმულ აბსურდულ მოსაზრებებს მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. ზოგი მეცნიერი ცდილობს, სიტუაცია დახატოს ისე, თითქოს აფხაზეთის ეკლესია სხვა ეთნოსმა შექმნა და აფხაზეთში არსებულ ეკლესია-მონასტრებს საქართველოსთან შეხება არ აქვს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს დღესდღეობით, რადგან ოკუპირებულ აფხაზეთში გამაღებით მიმდინარეობს ქართული ძეგლების გადაკეთება-დამახინჯება და იქ არსებული ქართული წარწერების მიზანმიმართული განადგურება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: ვინ იყვნენ ეთნიკურად აფხაზეთის კათალიკოსები? ანდა ვინ შექმნა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრები და სულიერი კულტურის სხვა ნიმუშები? იყო კი ნამდვილად აფხაზეთის საკათალიკოსო ქართული



და რას გვეუბნება ჩვენ ქართული წყაროები აღნიშნულთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის სამეფოს დაარსების (VIII საუკუნე) შემდეგ „აფხაზთა“ მეფეებმა ზღვისპირა ტერიტორიაზე არსებული ბერძნული კათედრების გადატანა ქვეყნის შიგნით დაიწყეს, სადაც ახალი ქართული საეკლესიო კათედრები შექმნეს. სწორედ ამ მოვლენას უწოდებენ „კათედრების მოცვლას“. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ ჭყონდიდის, მოქვის, ბედიისა და ქუთაისის ქართული საეპისკოპოსო კათედრები. აფხაზეთის საკათალიკოსო ეთნიკურად ქართველთა ეკლესია იყო. ამას მოწმობს დასახელებულ საკათედრო ტაძრებზე არსებული ეპიგრაფიკული და ფრესკული წარწერები, რომლებიც ქართულ ენაზეა შედგენილი. ამასთანავე აფხაზეთის ეკლესიის წარმომადგენლები: კათალიკოსები, მღვდელმთავრები და მოღვაწეები გვხვდება მხოლოდ ქართულ წერილობით ძეგლებში.

მათ შორის უნდა დავასახელოთ XI-XII საუკუნის „ახალციხური ტყავის სახარება“, რომელშიც მოხსენიებულია სვიმეონი, აფხაზეთის კათალიკოსი: „გამზრდელნი ჩემნი სვიმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი და მოძღუარი ჩემი დიმიტრი... და თ-თ მე საწყალობელი [გიორგი]“ (ქრონიკები 1897: 90). ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მოხსენიებულია აფხაზეთის კათალიკოსი თავისი სახელით და აშკარაა, რომ ის ქართველია.

აფხაზეთის კათალიკოსი იხსენიება XIII საუკუნის ისეთ მნიშვნელოვან ქართულ სამართლებრივ ძეგლში, როგორცაა „მეფედ კურთხევის წესი“. აფხაზეთის კათალიკოსი მცხეთის კათალიკოსთან ერთად მონაწილეობას იღებდა ქართველი მეფის კურთხევაში. ეს ფაქტიც ნათლად მოწმობს, რომ აფხაზეთის კათალიკოსი როგორც უმაღლესი იერარქი კანონიკურად საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელია. აფხაზეთის კათალიკოსი ქართველი მეფის მაკურთხებელია: „თაყვანისცეს მეფემან მდაბლად კათალიკოზსა, დაუპყრას ხელი მარჯუენე კათალიკოზმან, უკეთუ აფხაზეთისა კათალიკოსი არა იყოს: იშხნელმან: ანუ მთავარეპისკოპოსმან... მარჯვენე ხელი კათალიკოზსა ეჭიროს: ხოლო მარცხენა ხელი აფხაზეთის კათალიკოზსა“ (კაკაბაძე 1913: 7). ქართველ კათალიკოსებს შორის მცხეთის კათალიკოსი უპირატესია, მაგრამ აფხაზეთის კათალიკოსი მცხეთელთან ერთად იღებს მონაწილეობას მეფის კურთხევაში, თუმცა მისი მონაწილეობის გარეშე შესაძლებელი იყო მეფის კურთხევა. აფხაზეთის კათალიკოსი იყო მცხეთის კათალიკოსთან ერთად საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქია და ამიტომაც მონაწილეობდა მეფის კურთხევაში, ეს კონკრეტული შემთხვევაც ნათლად ადასტურებს, რომ აფხაზეთის კათალიკოსები ქართველები იყვნენ.

აფხაზეთის კათალიკოსი იხსენიება ასევე მეორე ქართულ უმნიშვნელოვანეს ძეგლში, როგორცაა „ხელმწიფის კარის გარიგება“. აფხაზეთის კათალიკოსი დარბაზობის დროს მეფესთან ახლოს, მცხეთის კათალიკოსსა და მოძღვართმოდღვრის გვერდით, ზის: „აწ ესე მოძღვართმოდღვარი, კათალიკოზნი და ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი იქვე დგანან თავის ადგილსა“ (ქართული სამართლის

მეგლები 1965: 93). ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ მცხეთის კათალიკოსი მეფის მარჯვენა, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი მარცხენა მხარეს იჯდა: „მოზრძანდეს კათალიკოსი საქართველოსა და დაჯდეს მეფისა ტახტსა ზედა მოკიდებით ნატიითა და ბალიშითა, მოზრძანდეს კათალიკოსი აფხაზეთისა და დაჯდეს ნატიითა და ბალიშითა“ (თაყაიშვილი 1907: 78). აფხაზეთის კათალიკოსი დარბაზობის დროს მეფესთან შედიოდა მცხეთის კათალიკოსის შემდეგ და მეფის ტახტთან ახლოს ჯდებოდა. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის კათალიკოსი ქართულ სამეფო კარზე არსებულ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას და, შესაბამისად, ის უმაღლესი საეკლესიო იერარქი იყო. აფხაზეთის კათალიკოსები ეთნიკურად ქართველები იყვნენ და მათი საქმიანობა აისახა ისეთ უმნიშვნელოვან ქართულ სამართლებრივ მეგლებში, როგორებიცაა „მეფედ კურთხევის წესი“ და „ხელმწიფის კარის გარიგება“.

ქართველ კათალიკოსებს შორის, როგორც ვთქვით, უპირატესი მცხეთის კათალიკოსი იყო. 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მეგლისწერაში კათალიკოსი იოვანე VI იხსენიება როგორც „კათალიკოსი და ყოვლისა საქართველომსა დიდი მამათმთავარი“ (ქორიძე 2003: 15). მცხეთისა და აფხაზეთის კათალიკოსები ერთად იხსენიებიან არაერთ ქართულ სამართლებრივ მეგლსა და ისტორიულ საბუთში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ორივე საკათალიკოსო ქართული იყო.

აქვე გვინდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს მივაქციოთ ყურადღება; აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს, მღვდელმთავრები ერთდროულად იყვნენ ორი სამღვდელმთავრო კათედრის მმართველები, რომელთაგან ერთი დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, ხოლო მეორე – აღმოსავლეთ საქართველოში. შეგვიძლია, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ. ასეთი იყო ბედიელ-ალავერდელი მღვდელმთავარი სვიმეონი, რომელიც დავით აღმაშენებლის ანდერძში არის მოხსენიებული, იყვნენ, ასევე, ჭყონდიდელ-მაწყვერელი, ჭყონდიდელ-სამთავნელი და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით ისტორიკოსი თ. ქორიძე აღნიშნავს, რომ XII-XIII სს-ში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაერთიანებული საეკლესიო კათედრების არსებობა აშკარად მიუთითებს, რომ მცხეთის ტახტის იურისდიქცია მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა (იქვე: 17). აშკარაა, რომ საქართველოს ეკლესია ერთიანია და მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში მოღვაწე საეკლესიო პირები ქართველები არიან, აფხაზეთის ყველა კათალიკოსი ეთნიკურად ქართველი იყო. აღნიშნულს ადასტურებს გვიანი პერიოდის ქართული წყაროებიც.

აღნიშნულთან დაკავშირებით აფხაზი მკვლევარი მიხეილ თარნავა 1917 წელს გამოქვეყნებულ ტენდენციურ ნაშრომში – *Краткий очерк Историй Абхазской Церкви* – შეგნებულად მაღავეს აფხაზეთის კათალიკოსთა ეთნიკურობას. ჩამოთვლის რა აფხაზეთის კათალიკოსებს, ის მიზანმიმართულად არ უთითებს მათ გვარებს. მან მშვენივრად იცოდა კათალიკოსთა წარმომავლობა, მაგრამ მათი გვარების დაწერა ავტორის

გეგმებში არ შედიოდა. მ. თარნავას მიერ ჩამოთვლილ კათალიკოსებს ჩვენ ფრჩხილებში მივუთითეთ გვარები.

1. მალაქია I, 1533 წ. (აბაშიძე)
2. ევდემონ II, 1582 წ. (ჩხეტიძე)
3. ექვთიმე (საყვარელიძე)
4. მალაქია II, 1628 წ. (გურიელი)
5. მაქსიმე I (მაჭუტაძე)
6. გრიგოლი I, 1631 წ.
7. ზაქარია, 1658 წ. (ქვარიანი)
8. სვიმეონი, 1666 წ. (ჩხეტიძე)
9. ევდემონ III, 1667 წ. (ჩხეტიძე)
10. დავითი, 1680 წ. (ნემსაძე)
11. ნიკოლოზი, 1710 წ.
12. გრიგოლი, 1731 წ. (ლორთქიფანიძე)
13. გერმანე, 1742 წ. (წულუკიძე)
14. ნიკოლოზი
15. იოსები, 1770 წ. (ზაგრატიონი)
16. მაქსიმე II, 1795 წ. (აბაშიძე)

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) დასახელებული კათალიკოსები, ცხადია, რომ ქართველები იყვნენ, თუმცა ავტორი ცდილობს მათი წარმომავლობა დამალოს და საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო აფხაზეთში შექმნეს XIV საუკუნეში, რაც სრული აბსურდია. აფხაზეთი და აფხაზეთის ეკლესია დაარსებიდან XIX საუკუნემდე და შემდგომშიც, 1992 წლამდე, იყო სუფთა ქართული წარმომავლობის და ამ ეკლესიას მართავდნენ ეთნიკურად ქართველი სასულიერო პირები (ტყეშელაშვილი 2014: 373).

თარნავა ვერ გაურბის რეალობას, როცა აღნიშნავს, რომ აფხაზეთის სამეფოს დაარსების შემდეგ (786,) ქართული წყაროების მიხედვით, ჩვენთვის ცნობილია დამოუკიდებელ მეფეთა რიგი: ლეონ I, ლეონ II (806 წ., ქუთაისისა და მისი ციხესიმაგრის მამულებელი), თეოდოსი I (845 წ., ხონის ამშენებელი, რომლის დროსაც დაწესდა აფხაზეთის კათალიკოსობა, რომელიც გამოყოფილი იყო ქართლიდან). აფხაზეთი მეფეებმა აფხაზეთში ააგეს მრავალი ქრისტიანული ტაძარი, მათ შორის ბიჭვინთაში, ანაკოფიაში, დრანდაში, ილორში, მოქეში, ბეღიაში (Тарнава 1917: 11). ბიჭვინთაში 1000 წელზე მეტხანს ცხოვრობდნენ აფხაზეთის კათალიკოსები, რომელთა სულიერი მმართველობა ვრცელდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოზე (დღევანდელი იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და აფხაზეთი) (იქვე: 110). აქაც დავაზუსტებთ: აფხაზეთის კათალიკოსები დაარსებიდან XVI საუკუნის შუახანებამდე ცხოვრობდნენ ბიჭვინთაში, საიდანაც პოლიტიკური სიტუაციის გაუარესების გამო გადავიდნენ ქვეყნის სიღრმეში, გელათის ტაძარში და საკათალიკოსოს გაუქმებამდე, 1814 წლამდე, იქ ცხოვრობდნენ. თუმცა მთავარს მ. თარნავა კვლავ არ ამბობს: აფხაზეთის საკათალიკოსო ქართული საკათალიკოსო იყო და კათალიკოსი

სულიერ მმართველობას ახორციელებდა სწორედ ეთნიკურ ქართველებზე, იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ჩამოთვლის ავტორი.

საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დავადგინოთ, თუ ვინ არიან წარმომავლობით დღევანდელი აფსუები (აფხაზები), რომლებიც გვიან პერიოდში მოსული ხალხია. გ. გასვიანი აღნიშნავს, რომ XVII საუკუნის ბოლოდან ჩამოსახლებული აფსუები ქრისტიანები არასოდეს ყოფილან, რასაც არა მხოლოდ სწავლული აფხაზები ს. ბასარია და დ. გულია ადასტურებენ, არამედ აფსუების მიერ დასანგრევად მიტოვებული 100-მდე ქრისტიანული ეკლესია-მონასტერი, რომელიც აფხაზეთის ყოველ თემსა და სოფელში იდგა, აგრეთვე საკათალიკოსო და რამდენიმე საეპისკოპოსო ცენტრის მოსპობა, 100-მდე სასულიერო პირის დახოცვა XVII საუკუნის 80-იან წლებში (გასვიანი 2008: 21). აღნიშნულ საკითხზე არაერთმა მეცნიერმა იმსჯელა და აღარ გავაგრძელებთ. XVI-XVII საუკუნეებში აფხაზეთში სერიოზული საფრთხეები შეიქმნა: პირველი, ოსმალეთის იმპერიის უშუალოდ ახორციელებდა დაპყრობით პოლიტიკას ქართულ ტერიტორიებზე (სამხრეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო). ბუნებრივია, ოსმალეთს ყურადღების მიღმა არ დარჩენია აფხაზეთი. ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის წარმოებამ საერთოდ დაასუსტა ქართული სამეფო-სამთავროები. ამას დაემატა ახალი საფრთხე, კერძოდ, აფხაზეთში ჩამოსახლება დაიწყო ჩრდილო-კავკასიელმა ტომებმა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია აფხაზეთიდან ძირძველი მოსახლეობის გადასახლება შიდა მხარეებში.

ქრისტიანული ცხოვრება აფხაზეთში ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუახანებში გაჭირდა, რამაც გამოიწვია ბიჭვინთიდან საკათალიკოსო ცენტრის გელათში გადატანა. იმერეთის ცნობილმა მეფემ ბაგრატ მესამემ (1510-1565) აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს ედემონ ჩხეტიძესთან ერთად საკათალიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში გადაიტანა. თავად ეს ფაქტიც კარგად მოწმობს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო ქართულია, ანუ ბიჭვინთა და გელათი ერთი სამეფოს და, შესაბამისად, ერთი ეკლესიის მნიშვნელოვანი ტაძრებია. ეს იყო იძულებითი ღონისძიება, რამაც საკათალიკოსოს გადარჩენა გამოიწვია. გადარჩა ასევე საკათალიკოსოს ქონება.

აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ეპიგრაფიკული წარწერები ნათლად მოწმობს, რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართველებმა არაერთი გამორჩეული სულიერებისა და კულტურის სავანე შექმნეს და იქ მოღვაწე იერარქებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ. ბედიის ტაძარი, რომელიც ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ მესამემ (978-1004) ააგო და სადაც ბოლო პერიოდამდე არსებობდა მეფის ფრესკა (სამწუხაროდ, ოკუპაციის პერიოდში ფრესკა მიზანმიმართულად გაანადგურეს). ამავე ტაძრისთვის დამზადდა ბედიის ბრწყინვალე ბარძიმი, რომლის ქართული წარწერაც ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას. ბედიის ტაძრის სამრეკლოს აღმოსავლეთის შესასვლელის თავზე მოთავსებული იყო ფილა ასომთავრული წარწერით. პირველად

წარწერა გამოაქვეყნა მ. ბროსემ. ვ. სილოგავას წაკითხვით: „ღმერთო, შეიწყალე სული ამის] მ(ა)შენ(ე)ზლისა ნ(ი)კ(ოლო)ზ კ(ათ)ალიკოზ(ისა) და ს(ო)ფრ(ონ) ბ(ე)დიელისა გ(ო)ნგლი(ზ)ა(ა)ს ძ(ე)თ(ა)სა“ (ახალაძე 2006: 36). დასახელებულ წარწერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. წარწერის შინაარსით ნათელი ხდება, რომ XIII საუკუნის დამლევს ბედიის ტაძრის სამრეკლო აუგია ქართველ იერარქებს, ძმებს, მათგან პირველი აფხაზეთის კათალიკოსი იყო, ხოლო მეორე – ბედიელი მღვდელმთავარი. წარწერაც ქართულია, ანუ ორივე მოღვაწე ეთნიკურად ქართველები არიან და ბედიაც ქართული სულიერებისა და კულტურის ძეგლია. ნიკოლოზ კათალიკოსი იხსენიება კიდევ ერთ მნიშვნელოვან ქართულ დოკუმენტში. კათალიკოსი წინათ ბედიელი მღვდელმთავარი ყოფილა და ის იხსენიება იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის აღაპებში. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIII საუკუნის დამლევს, ერთიანი საქართველოს პერიოდში, აფხაზეთის კათალიკოსი ნიკოლოზი ქართველი იერარქია, რომელიც იხსენიება ბედიის სამრეკლოს წარწერასა და ჯვრის ქართველთა მონასტრის აღაპებში.

საქართველოს პოლიტიკურ დაშლას თან მოჰყვა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების გაყოფა, 1470-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი, რომელმაც იოვაკიმე აკურთხა კათალიკოსად, ამასთან დაკავშირებით მიიღეს კანონიკური დოკუმენტი „მცნებაჲ სასჯულო“. დოკუმენტი კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ აფხაზეთის კათალიკოსები ეთნიკურად ყოველთვის ქართველები იყვნენ და აფხაზეთი რელიგიურად და ეკლესიურად მუდამ საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. „მცნებაჲ სასჯულო“ შედგენილია ქართულ ენაზე, მასში მოხსენიებული ყველა პირი – მეფე, კათალიკოსი, დიდებულები ქართველები არიან. „მცნებაჲ სასჯულო“-მ დაადგინა აფხაზეთის საკათალიკოსოს, როგორც დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის, სამწყსოს საზღვრები, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას „ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუნტისა საზღვარი მოაწევს“ (ქორიძე 2003: 20). ნათლად ვხედავთ, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო მოიცავს ძირძველ ქართულ ტერიტორიებს დასავლეთ საქართველოში და ბიჭვინთაც, როგორც საკათალიკოსო ცენტრი, მის შემადგენლობაშია, აღნიშნულ ტერიტორიებზე აფხაზეთის კათალიკოსი აკურთხებდა ეთნიკურად ქართველ მღვდელმთავრებს და იგი ახორციელებდა ყველა საეკლესიო წეს-განგებას. ამას ადასტურებს არაერთი ქართული დოკუმენტი, ფრესკული მხატვრობის ნიმუში, ეპიგრაფიკული ძეგლი, ხატი და საეკლესიო ინვენტარი და სხვა.

აღნიშნული თვალსაზრისით შეგვიძლია დავასახელოთ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც გამორჩეული სიწმინდე და იშვიათი ხელოვნების ნიმუშია. ხატი საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა გელათის მონასტერში, საიდანაც გადაიტანეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ხატი დამზადდა აფხაზეთის ცნობილი კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის დაკვეთით. მასზე არის ქართული ასომთავრული წარწერა

ოთხგვარი დათარიღებით. ქართველმა კათალიკოსმა გადაწყვიტა, სიწმინდე კათალიკოსის უძველეს რეზიდენციაში, ბიჭვინთის ტაძარში, დაებრძანებინა. ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი არაერთი თვალსაზრისითაა საინტერესო. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ხატის წარწერის შინაარსზე. ქართული ასომთავრული წარწერა გვამცნობს აფხაზეთის კათალიკოსის ტიტულატურას: 1. „...მე ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმან“, 2. კათალიკოსის ვინაობას და ეთნიკურობასაც: „ევდემონ ჩხეტიძემან მოვაჭედინე და შევამკვე ხატი ესე“, 3. ხატი განკუთვნილია საკათალიკოსო ტაძრისთვის, აფხაზეთის კათალიკოსი თავისი სულის საოხად სწირავს ტაძარს ხატს: „დავასვენე ტაძრისა წმიდისა ღვთისმშობლისასა ბიჭუინტას, სალოცველად და საუკუნოდ მოსახსენებლად და შესანდობელად და სალხინებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა“ (ლომინაძე 1960: 101). ხატის წარწერაში იხსენიება, ასევე, მამია დადიანი და მისი ვაჟი – ლეონი, კათალიკოსი მამის – მამიას სულის შეწყალებასა და ლეონის დიდებას ევედრება ღმერთს. დადიანი იყო სამეგრელოს მთავარი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ბიჭვინთა და აფხაზეთი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1568 წელისათვის ბიჭვინთა, მიუხედავად იმისა, რომ ტახტი გელათში გადაიტანეს, მაინც საკათალიკოსო ტაძრად ითვლებოდა, აფხაზეთის კათალიკოსი ეროვნებით ქართველი ევდემონ ჩხეტიძეა და აფხაზეთს განაგებენ დადიანები, რომლებიც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდნენ იმერეთის მეფეს. ყველა სამართლის მეფე, რომლებიც აფხაზეთის საკათალიკოსოს ეხება, არის ქართულ ენაზე შედგენილი, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: „მცნებაჲ სასჯულო“ (1470), „სამართალი კათალიკოსთა“ (1550-იანი წლები), ქუთაისის 1759 წლის საეკლესიო კრების საბუთები და სხვა.

აფხაზეთის კათალიკოსების ეთნიკურ წარმომავლობას ადასტურებს, ასევე, ჩვენამდე მოღწეული კათალიკოსთა საფლავის ქვების წარწერები და ფრესკული მხატვრობის ნიმუშები. გელათის ტაძარში შემონახულია რამდენიმე კათალიკოსის საფლავის ქვა, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ აფხაზეთის ცნობილი კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი (1657-1660). მის საფლავს ამშვენებს ქართული წარწერა. კათალიკოსთა ეთნიკურ წარმომავლობას ადასტურებს, ასევე, საეკლესიო ინვენტარი, გარდამოხსნები. ჩვენამდე მოაღწია ზაქარია ქვარიანის დაკვეთით მოქარგულმა გარდამოხსნამ, რომელიც დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. აფხაზეთის კათალიკოს ილარიონის ფრესკა შემონახულია ხობის ტაძარში. „ხობში ცენტრალური კვადრატის ჩრდილოეთ-დასაღეთ ბურჯზე, აღმოსავლეთის მხრივ კიდევ ერთი სასულიერო პირია დახატული. [კათა]ლიკოზ[ი] ილარიონ“ (ბერიძე 1973: 83). ეს ყოველივე ნათლად მოწმობს, რომ აფხაზეთის კათალიკოსები ეთნიკურად ქართველები იყვნენ, მათი კვალი არაერთ ტაძარშია შემონახული.

ხაზგასმით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსში კარგად არის შემონახული აფხაზეთის კათალიკოსთა მოღვაწეობის დამადასტურებელი ფაქტები – ფრესკები და საფლავები,

რაც სრულიად ლოგიკურია. გელათის წმინდა გიორგის ტაძარი დაახლოებით 1565 წლიდან იყო აფხაზეთის კათალიკოსთა რეზიდენცია და გელათის ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ტაძრებში რამდენიმე კათალიკოსის ფრესკა და საფლავია შემორჩენილი. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: ევდემონ ჩხეტიძე – პირველი კათალიკოსი ბიჭვინთიდან ტახტის გადმოტანის შემდეგ, ზაქარია ქვარიანი, იოსებ კათალიკოსი და სხვები. გელათი უფრო დაცული იყო მტრის თავდასხმებისგან და, აქედან გამომდინარე, აფხაზეთის კათალიკოსებმა სწორედ გელათში გააგრძელეს მოღვაწეობა, რითაც ფიზიკურად გადარჩა საკათალიკოსო. მათ გელათში გააგრძელეს მთარგმნელობითი საქმიანობა, კათალიკოსთა ნებართვითა და დაკვეთით არაერთი მეტაფრასული თხზულება გადაიწერა გელათის მონასტერში, ყველა მათგანი შედგენილია ქართულ ენაზე. აღნიშნული ხელნაწერები დღემდეა შემონახული ქართულ სიძველეთსაცავებსა და მუზეუმებში, რაც კიდევ ერთი პირდაპირი დასტურია, რომ კათალიკოსები ქართველები იყვნენ. ბიჭვინთიდან რეზიდენციის გელათში გადატანაც აშკარა მოწმობაა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო ქართული იყო და მას ეთნიკურად ქართველი იერარქები ედგნენ სათავეში. შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ აფხაზეთის ყველა კათალიკოსი ეთნიკურად ქართველი იყო.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს ბოლო იერარქი წმინდანთა დასში ირაცხება. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს უკანასკნელი გამგებელი დოსითეოს წერეთელი, ქუთათელი მღვდელმთავარი, რომელიც მოწამებრივად აღესრულა და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა (ტყეშელაშვილი 2005: 20-36). რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, 1814 წელს, გააუქმეს აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესიის ავტოკეფალია. 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების ჩახშობისა და საკათალიკოსოს გამგებლის გადასახლების შემდეგ 1822 წლის 22 მარტს, აღწერილ იქნა საკათალიკოზო ნივთები. აღწერას დაესწრო მთავარეპისკოპოსი სოფრონი (იქვე: 35). ამრიგად, საკათალიკოსომ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა, ხოლო მისი ქონება ძირითადად განადგურდა. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, აფხაზეთის ეკლესია კანონიკურად დღესაც ექვემდებარება საქართველოს ეკლესიის მეთაურს. 2010 წელს კათალიკოს-პატრიარქის ტიტულატურაში განხორციელდა ცვლილება: კათალიკოს-პატრიარქი არის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთის საკათალიკოსომ იარსება თითქმის 1000 წელი. საკათალიკოსო დაარსდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ტერიტორიაზე და განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საკათალიკოსომ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველა წყარო, დოკუმენტი, ჩვენამდე მოღწეული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები ნათლად მოწმობს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო დაარსდა და არსებობდა ქართულ რეალობაში, კათალიკოსები ეთნიკურად იყვნენ ქართველები.

ისინი წირვა-ლოცვას ადასრულებდნენ ქართულ ენაზე, საკათალიკოსოს არსებობის განმავლობაში შექმნილი უამრავი სულიერ-კულტურული ღირებულების ძეგლი ქართულად არის დაწერილი და შექმნილი, რაც უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ საკათალიკოსო შეიქმნა და არსებობდა ქართულ სივრცეში. ვერცერთი ტენდენციური „ნაშრომი“ თუ საქმეში ჩაუხედავი „მკვლევარი“ ვერ შეძლებს გააქარწყლოს რეალობა. სამომავლოდ აუცილებელია, აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ შეიქმნას სპეციალური მონოგრაფია, რომელიც გამოქვეყნდება სხვადასხვა ენაზე და ყველას ამცნობს ისტორიულ რეალობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ახალაძე 2006: ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, I. (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბილისი, 2006.
- ბერიძე 1973: ბერიძე ვ., ხობის ტაძრის ისტორიისათვის, მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია), №2. თბილისი, 1973.
- გასვიანი 2008: გასვიანი გ., აფხაზები და აფხაზეთი, მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული დახასიათება. წიგნში: აფხაზების ანთროპოლოგიური ისტორია. თბილისი, 2008.
- თაყაიშვილი 1907: თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი. ტფილისი, 1907.
- კაკაბაძე 1913: კაკაბაძე ს., მეფის კურთხევის წესი, მე-XIII საუკ. დასაწყისის შედგენილი. ტფილისი, 1913.
- ლომინაძე 1960: ლომინაძე ბ., ბიჭვინთის ხატის 1568 წლის წარწერა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33. თბილისი, 1960.
- ტყეშელაშვილი 2005: ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი. დოსითეოსი და ეფთვიმე. 1820 წ. თბილისი, 2005.
- ტყეშელაშვილი 2014: ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთაისი, 2014.
- ქართული სამართლის ძეგლები 1965: ქართული სამართლის ძეგლები. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1965.
- ქორიძე 2003: ქორიძე თ., აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია (IX-XVI სს.), ავტორეფერატი, თბილისი, 2003.
- ქრონიკები... 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი 2. ტფილისი, 1897.
- Аджинджал 2000: Аджинджал Е., Из Историй Христианства Абхазий. Сухум, 2000.
- Дбар 2015: Архимандрит Дорофей Дбар, История Христианства в Абхазий в первом тысячелетий. Новый Афон, 2015.
- Тарнава 1917: Тарнава М. И., Краткий очерк Историй Абхазской Церкви. Сухум, 1917.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6993>

**თმით ვერძლეული ჰუმანიზმი**  
(შორენა ლებანიძის რომანის  
„მანანა ანუა. 52 დღე“ მიხედვით)

**Not Overcame Humanism**  
(According to the Novel by Shorena Lebanidze  
„Manana Anua. 52 Days of the Slavery“)

**ნესტან ფიფია**

შოთა მესხიას ზუგდიდის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველო, ზუგდიდი

**თეონა ხუფენია**

შოთა მესხიას ზუგდიდის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველო, ზუგდიდი

**Nestan Pipia**

Shota Meskhia State Teaching University  
Georgia, Zugdidi

**Teona Khupenia**

Shota Meskhia State Teaching University  
Georgia, Zugdidi

#### ABSTRACT

The book „Manana Anua. 52 Days of the Slavery“ by Shorena Lebanidze reflects the tragedy of war and thoroughly describes the 52-day captivity of Yuri Anua’s wife, Zoia Adamia (now Mother Mariami), and his daughter, Manana. Yuri Anua was a subdeacon in the Koman church named after John Chrysostom and the restorer of Vasilisko spring. Outside the church, only bullets and death awaited the people inside.

In the novel, common sense and spiritual strength stand against the cruelty of war. Yuri Anua and Father Andria (Kurashvili) sacrificed themselves. Yuri Anua, an Abkhazian by ethnicity, had no choice between Georgians and Abkhazians. His

choice, desire, and spiritual longing were for reconciliation.

Father Andria was not forgiven for his answer: «This is the Lord's land!» to the question, „Whose land is it?“

The work is a first-person narrative, and the feelings expressed are intense. A mystical harmony is created, where „the deceased (Father Andria - N.P.) lying near the icons is saved from the destructive force of death“. Manana Anua, dressed in the priest's robe, and the women entrusted to God's grace, pray. Impressive and convincing is the short but spiritually deep episode of how „a pious person with a special mission was born from 27-year-old Manana Anua from Koman“.

The story, narrated by a real person, has been transformed into a novel by the writer. The driving force of the action is war; it shows the true face of the people without a mask. There are lazy, cowardly, and cruel people, as well as those who express kindness and have not become callous, like Rafik Achba. The Georgians had saved Rafik Achba's brother from the cruelty of the Mkhedrioni members during the military coup in Georgia that had taken place before the war in Abkhazia started. The kind-hearted brave man accepted grace and promised himself: „I will forget the hostility toward the Georgians, and I will not forget the saving of my brother. I will save everybody God allows me to save“. He was the person who protected Manana Anua and her mother from hatred and death, sending them safely to Tbilisi. This book had its continuation in real life: it was published twice, in 2015 and 2019, and translated into Abkhazian (Translator - Irma Osia) and Turkish (Translator - Hasan Celik) languages. After the Abkhazian edition, one of the protagonists, Rafik Achba, the same as Rafik Aiba, familiarized himself with the book. He expressed his willingness to have his real name in the book, and his wish was fulfilled in the second edition. Rafik Aiba holds an important position in Abkhazia.

The title of the article, „Book about Hope and Tragedy“, refers not only to the discussed novel but also to the daily reality of Abkhazia, especially in Samurzaqano, where there are still Georgians living with the document „Temporary Right to Live“. Students from Shota Meskhia Zugdidi State Teaching University have dedicated a small volume of stories to the great hope and huge tragedy of Georgians living under this „right“. In general, the subject of our research is the role of public diplomacy in Georgian-Abkhazian relations and the strengthening of ancestral and general human values. The novel is one part of the victory of words and it also encompasses hope and tragedy. Each episode can be transferred into each plot.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში, შორენა ლებანიძის რომანი „მანანა ანუა. ტყვეობის 52 დღე“.

**Keywords:** Abkhazia in modern fiction, Shoren Lebanidze's novel „Manana Anua. 52 Days of the Slavery“.

„თუ მტრობასა და სიძულვილს სიყვარულით მოვსპობთ, ჩვენ შორის მშვიდობა ერთობა, სიწმინდე და ბედნიერება დაისადგურებს“

/წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი/

აფხაზეთის, უსაქართველოდ „მკერდმოჭრილი ამორძალის“, დაბრუნების გზა გულისმიერი ურთიერთობები – სახალხო დიპლომატიას (რომელიც ნელა, მაგრამ მაინც იკრებს ძალას). აქ უმთავრესი მისია სიტყვას ეკისრება, მისი არსისმიერი ძალა კი ლიტერატურაში უფრო მჟღავნდება, ამიტომ შეიძლება ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ვისაუბროთ. მხატვრული სიტყვა და ქართულ-აფხაზური სატკივარი რომ შორიშორს არ არის, ამის დასტურია მრავალი ავტორის თხზულება. საინტერესოდ არის შედგენილი კრებული „ვილაპარაკოთ – 33 ამბავი აფხაზეთზე“ (იდეისა და კონცეფციის ავტორი ირაკლი შამათავა), ამონარიდები 33 ავტორის ნაწარმოებიდან. ერთ-ერთი „ამბავი“ მათ შორის არის ბექა ქურხულის მოთხრობა „მკვლეელი“. შურისძიების მიზნით ძმის მკვლელთა დახოცვის შემდეგ გაიქცა ეზუხბაიას სულიერ მდგომარეობას რომ საოცარი ტკივილით ხატავს: „არსადაც არწასულმა სიბრალულმა, სხეულმაც კი იგრძნო, ისე ჩაეხია სული. თითქოს ცივი, ძალიან გალესილი სამართებელი დაუსვეს მკერდზე შიგნიდან. ჩახრეწვის ხმაც კი გაიგო“ (ვილაპარაკოთ... 2020: 79). აქვე არის მონაკვეთი შორენა ლებანიძის წიგნიდან „მანანა ანუა ტყვეობის 52 დღე“. ნაწარმოებში ასახულია ზოგადად ომის ტრაგედია, რასაც მთელი სისავსით გადმოსცემს კომანის იოანე ოქროპირის სახელობის ტაძრის, ვასილისკოს წყაროს აღმდგენის, იპოდიაკონ იური ანუას მეუღლის – ზოია ადამიასა (უკვე დედა მარიამის) და ქალიშვილის – მანანას ტყვეობის 52 დღე.

თხრობა იწყება 1993 წლის 6 ივლისს იმით, რომ მანანა ანუა მოძღვრის სამოსლით იმოსება; ტაძარში განგმირული მამა ანდრიას (ყურაშვილი) ცხედარი ასვენია. „ივლისის პაპანაქებამ მიცვალებულს ვერაფერი დააკლო. სხეული არ იხრწნება. ცვილის ფიგურას დაემსგავსა. სისხლი არ დედდება; უწყვეტ ნედლ ნაკადად მოედინება პირმოუკრავი ჭრილობიდან... ხატებთან დასვენებული მიცვალებული გადარჩენია კვდომის გამანადგურებელ ძალას“ (ლებანიძე 2015: 7). ომის სისასტიკის მძვინვარებაში გადარჩენის იმედად შთენილ ტაძარსა და მოძღვრის ცხედარს, უფლისა და მამა ანდრიას სულისმიერ მადლს მინდობილი ქალებისათვის ეს ხილული სასწაულია.

წიგნი აიგო მწერლისა და მთავარი პერსონაჟის ურთიერთობის, მანანა ანუას მოგონებების საფუძველზე, ამიტომაც არის თითოეული ფრაზა სიცოცხლისუნარიანი, გამოცდილების ფსიქოლოგიური კოდით დატვირთული. არსებისმომცველი განცდაა მანანა ანუას გადაწყვეტილების გადმოცემა: მოძღვრის შესამოსლით შემოსილმა, მოძღვრისავე მოწამებრივ სისხლში ამოავლო ჯვარი და გულსაკიდი ხატი, შემდეგ ლოცვა-ვედრების შეუწყვეტლად სისხლიან ხელებს ისვამს სახეზე. ღრმად აქვს

გაცნობიერებული გადარჩენის ძალა: „ღვთიური მადლი, რომელმაც უნდა მომიცვას, სიწმინდე, რომელიც მთელი არსებით უნდა შევიგრძნო“ (იქვე). ეს წუთები ალბათ მარადისობის დამტვეი იყო. მხოლოდ ამ რამდენიმე წუთსაც შეიძლება მიეძღვნას ცალკე წიგნი. ეს მთელი ჟამია წუთისოფლის ამოვების, ომის სისასტიკის, ხელდასხმული მოძღვრის ნათლიერების, ხილულად დაშვებული სასწაულის ძალის ხაზგამსმელი. ამ წუთებში ნამდვილად იშვა მადლისმიერი ძალით, უფლისა და მოძღვრის კურთხევით უმძიმესი განსაცდელის დამტვეი, ჩვეულებრივობის სიბრტყეს გარიდებული ქალი – მხევალი ღვთისა მანანა. მწერალი თანმიმდევრულ თხრობაში გამოკვეთს ამ სულიერ ძალმოსილებას და პერსონაჟს ათქმევინებს, რომ მოძღვრის ცხედრის თაყვანისცემის, მის სულსა და სისხლთან მიახლების შემდეგ ფეხზე გაცილებით ძლიერი დგება: „არამქვეყნიურ, ზღვარგადასულ მდგომარეობას ნაზიარები, ხელახლა დაბადებული, ოცდაშვიდი წლის ჩვეულებრივი კომანელი გოგო, მანანა ანუა კი არა, განსაკუთრებული მისიის მქონე ღვთისმოსავი“ (ლებანიძე 2015: 7). კომანის ეკლესიის კედლებში იმ 52 დღის განმავლობაში მისტიკური ჰარმონია სუფევდა. ეს არის ის, რასაც ადამიანის გონება ვერ შესწვდება და ბოროტი გასანადგურებლად ვერ მოიხელთებს. უფლის ნებასა და მინდობასთან, მამა ანდრიას სულთან, ომის ქარცეცხლთან პირისპირ დგომით იშვა მანანა ანუა უფალთან თანამყოფობაში: „ის, რაც კურთხეულია, დგას და არ ინგრევა“ (მამა პაისი მთაწმინდელი (ენციკლოპედია 2007: 191). მოძღვრის ცხედართან ქრისტეს მხევლად და მხედრად (სულიერ მეზრძოლად) გარდასახული მანანას შემოყვანის შემდეგ ავტორი ბუნებრივად აგრძელებს თხრობას მამა ანდრიას სულიერ ცხოვრებაზე, გამორჩეულობაზე, სულიერი წვრთნის მისეულ გზაზე, ასკეტური ცხოვრებისადმი სწრაფვაზე, რომ „განდევლის ასკეტურ ღვაწლსა და ღმერთთან მისასვლელი გზის მამიებელი მარტოკაცის თვითჩაღრმავებაზე ოცნებობდა“ (ლებანიძე 2015: 8). ნაწარმოებში მამა ანდრიას (ყურაშვილი) ბერული ცხოვრების სათნოებანი ძირითადად ასახულია მორჩილი გაბრიელის თხრობით.

დოკუმენტური რომანის მეორე თავში არის თხრობა იური ანუას შესახებ. ამ ადამიანისათვის ქველმოქმედება, ღვთის სადიდებელი ღვაწლი ცხოვრების წესი იყო. მან მიზნად დაისახა „კომანის იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი საეკლესიო-ეროვნული სიმდიდრეების შემკრებ ადგილად, საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ ექცია“ (ლებანიძე 2015: 20). არა მარტო კომანი... იური ანუა ცდილობდა ყველგან შეშველებოდა სიწმინდეების გადარჩენას, სარწმუნეობის განმტკიცებას. ამქვეყნად უფლის სათნოდ იცხოვრა და მოძმის ტყვეობით გამეტებული მოწამეთა დასს შეუერთდა. ომის უმძიმეს დღეებში მისი ოჯახი ცილისწამების ბინძური ნიაღვრის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა ქართულ-აფხაზური ოჯახი ვერ შეარყია ამ განსაცდელმა. ანუებისთვის არ არსებობდა სხვადასხვა მხარე; ეს მესამე ძალის მიერ პროვოცირებული ძმათა ომი იყო.

შორენა ლებანიძე დოკუმენტურ რომანში ქმნის რეალურ-კერძოდან გარდასახულ შთამბეჭდავ მხატვრულ სახეს – გულით,

სულით, გონებით, სისხლით, რომ აფხაზ-ქართველის განსხვავებული ჰარმონიული მთლიანობაა, მას მესამე ძალა წეწს და ხლეჩს. იური ანუას მხატვრულ-რეალური სახის განზოგადება არის პასუხი იმ ომის ხასიათის სახელდებისთვის. „რომც მოინდომოს, ვის ან რას დაუპირისპირდეს?.. სისხლის რომელ უჯრედს და აზრის რომელ გაელვებას? რომც მოინდომოს, შეძლებს კი მჭიდროდ გადახლართული აფხაზურ-ქართული ფესვებიდან ერთ-ერთის გამოორჩევას, გამოცალკავებას, ამოძირკვას? რა თქმა უნდა, ვერა!..

და თუ მაინც გაინტერესებთ, რას ირჩევს იური ანუა, გიპასუხებთ: „ქართველებისა და აფხაზების შერიგებას!“ (ლებანიძე 2015: 57). დიახ, ამ ზოგადადამიანური, ქრისტიანული, ისტორიულად გამართლებული მრწამსის ერთგულებისათვის ანუებმა ჯოჯოხეთი გამოიარეს, სულის ზეობა შეიცნეს და განიმტკიცეს.

იური ანუა კომანის მიწას მიეზარა. უერთგულესი ადამიანი სამშობლოს ღრმად გაცნობიერებული სიყვარულისთვის, ომის კანონებს დაუმორჩილებლობისთვის დახვრიტეს.

ზოია ანუა-ადამია უფლის მხევლად – დედა მარიამად ეკურთხა. იმ ტრაგედიის ქარცეცხლში ნაწრთობი მონაზვნის ლოცვა, იმედია, შეეწევა ქართველებსა და აფხაზებს შორის აღმართული უბედურების კედლის ჩამოშლას.

მანანა ანუა ცოცხალი მემატიანეა, მთარული დასტურია ომის არაკანონზომიერების, აფხაზებსა და ქართველებს შორის ხელოვნურად დათესილი შუღლის ტრაგედიისა, ომის წყვედადში სულისმიერი ნათლის გამარჯვებისა. 52-დღიანი ტყვეობის საშინელებაში უფლისმიერი წყალობა იყო აფხაზი ვაჟკაცების: დიოდოტის, რაფიკ აჩბას, ქვაჩალა ამიჩბას, ბათალ ტარბასგამოჩენა. მათუქომაგეს, უპატრონეს ცოდვის კალოდ ქცეულ კომანში ღვთის ანაზარა დარჩენილ იური ანუას ოჯახს. ამ ადამიანების ურთიერთობა ომის მძევალ ქალებთან რაინდული ღირსების, ქართველებისა და აფხაზების ძალისძალად დაშორიშორების, თუმცა წინაპრებისმიერი და ზოგად ადამიანური მადლის გადარჩენის დასტურიცაა.

მანანა ანუას თხრობა და მწერლის დისკურსი რეალობას სიუჟეტურ-იდუური გვირისტით ემთლიანება. განსხვავებული ექსპოზიცია ვერც გვექნებოდა. რეალური პერსონაჟის მონაყოლი მწერალმა მხატვრულად შემოსა. 52-დღიანი უმძიმესი ამბავი შემოქმედებით ქურაში გამოატარა. ნაწარმოებში მოქმედების განვითარებასთან ერთად იკვეთება და ერთმანეთს ებმის ზოგადადამიანური ღირებულებები, მოქმედების წარმმართველი ძალა კი ომია, ის ადამიანებს თავისი ნამდვილი სახით ავლენს, ნიღბის გარეშე. ამ ასპარეზზე არიან ომით სულიერად განადგურებული, მშიშარა, ლაჩარი, სასტიკი ადამიანებიც და ისინიც, ვისთვისაც ომი სულის წრთობის ასპარეზი აღმოჩნდა და უფრო განმტკიცდა არსისმიერ ნათლიერებაში. ბოროტებამ კი არ გააბოროტა, სიკეთით მისი დამარცხების წყურვილით აანთო. სიკეთე ადამიანური გულისძახილით ამსხმოიარა, ამრავლა. ასეთი პერსონაჟია რაფიკ აჩბა. მისი ძმა ომის

დაწყებამდე განვითარებული მოვლენების ჟამს მხედრიონელებს ისევ ქართველებმა გამოსტაცეს, გადაარჩინეს. ამის გამო აფხაზმა ჭაბუკმა ომის ცეცხლის ვარვარებაში საკუთარ თავს კანონად დაუდო: „ქართველებთან მტრობას დავივიწყებ, ძმის გადარჩენის ამბავს კი – არასოდეს. ყველას დავეხმარები, ვისი ხსნის საშუალებასაც ღმერთი მომცემს“ (ლებანიძე 2015: 152).

გამძვინვარებულ, სიძულვილმორეულ ომის ველს მანანა ანუა და დედამისი რაფიკ აჩბამ გამოარადა. დატოვეს ცოდვის კალოდ ქცეული აფხაზეთი და დედა-შვილმა ეკლესიის წიაღს მიაშურა. დედა შეიმოსა მონაზვნად, ქალიშვილი (მანანა) 12 წელი ცხოვრობდა დედათა მონასტერში. დღეს ის პატრიარქის კურთხევით სიტყვით, ტანჯვით ნაწრთობი სულით, მძიმე გამოცდილებით ემსახურება მამის გზას, მიზანს, რწმენას: „ვლოცულობ ქართველებისა და აფხაზებისთვის, იმიტომ რომ ძმები ვართ“.

ვფიქრობთ, ეს არის მისია, რაც მამა ანდრიას სისხლთან, შემდგომ დღეებში კი ზომბების ზათქსა თუ გავეშებული მოძალადის შემოვარდნის მოლოდინის უმძიმეს წუთებში გაიცნობიერა მან. შიშის, სიკვდილის, უბედურების, წვის, ნგრევის, კვლის, გამეტების, არგამეტების პირისპირ დგომის 52 დღის შემდეგ მთხრობელი (მანანა ანუა) ამბობს: „თითქოს ბეწვის ხიდზე ვიდექი, დაბლა უფსკრულს დაეღო პირი, თუმცა მზერის ჩაცდენის, უძირო ბნელეთში დანთქმის ცდუნება ვერ მერეოდა“ (ლებანიძე 2015: 171). ეს არის სულიერი გადარჩენის მდგომარეობა.

აუცილებელია მოვუსმინოთ მანანა ანუას, თუ როგორი ერთნაირად წრფელი სიყვარულით საუბრობს აფხაზებსა და ქართველებზე და შერიგების როგორი ცოცხალი იმედი ღვივის მის ლამაზ, სევდიან თვალებში.

საგულისხმოა, რომ ტყვეობა იყო 52-დღიანი. ვფიქრობთ, დაშვებულია სიმბოლური მინიშნება სულიერი აღზევებისა. 5 და 2 არის შვიდი. ეს რიცხვი სრულყოფილების სიმბოლოდ ითვლება; სახისმეტყველებითი აზროვნების მიხედვით, „რიცხვები მარტო რაოდენობას როდი აღნიშნავენ, მათ თვისებებიც გააჩნიათ“ (რ. სირაძე). ნაწარმოებში გვხვდება უამრავი სახე თუ პასაჟი, პერსონაჟი, რომლებზეც ცალკე გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს. მამა ანდრიას (ყურაშვილი) ბერრაინდული ხატი ამ ნაწარმოებშიც ბუნებრივად სიცოცხლისუნარიანია. მანანა ანუას მონაყოლით მწერალი ქმნის მხატვრულ-რეალურ-სულიერ სივრცეს, რაც ჭეშმარიტი მოძღვრის ნათელს წიგნის ფურცლებიდანაც განგაცდევინებს.

დოკუმენტურ რომანში „მანანა ანუა. ტყვეობის 52 დღე“ გვერდიგვერდ დააბიჯებენ გულგრილობა, უნდობლობა, სამშვინველისეული ემოციები, ერთგულება, ქველმოქმედება, სულიერი წონასწორობა, სიძულვილი და სიყვარული, შიში და იმედი. ეს ნაწარმოები ყურადღებას იქცევს თხრობითი სტრუქტურის თვალსაზრისითაც. საინტერესოა სიუჟეტი და ფაბულა, როგორც ორი ნარატიული ინსტანცია. ფაბულა-მოვლენათა თანმიმდევრობით, როგორც სინამდვილეში მომხდარი ფაქტი, სიუჟეტი – ავტორის შემოქმედებითი სამყარო.

ლიტერატურულ სივრცეში ფაბულასა და სიუჟეტს შორის განსხვავებული ურთიერთმიმართება გვხვდება. ზოგჯერ ერთი და იგივე ფაბულა შეიძლება სხვადასხვა მხატვრული სახით განსხეულდეს. კონკრეტულ შემთხვევაში ქრონოტოპულ გამთლიანებას, მთავარი სათქმელის გახმიანებას, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის შეკვრას ემსახურება თანმიმდევრობა ანუ ბირთვული ფუნქციების ჯგუფი, რაც გვიხსნის პერსონაჟთა მოქმედების ლოგიკას. ჭარბობს თხრობის შინაგანი ფოკუსი (მოვლენები პერსონაჟის თვალით აღიქმება), რაც აძლიერებს რეალობის, დამაჯერებლობის განცდას მკითხველში.

საგულისხმო და მძიმეა რეალობა, რომ წიგნი იმედსა და ტრაგედიაზე ყოველდღე იწერება ოკუპირებულ სამურზაყანოში, სადაც ჯერ კიდევ არის ქართული მოსახლეობა (დოკუმენტით: დროებით ცხოვრების უფლება) ეს ხორცშეუსხმელი წიგნი იწერება ენგურის ფონით დეფაქტო საზღვრის ნამალევად გადმოლაზვისას, არაერთი სიცოცხლე რომ შეეწირა, დღეების განმავლობაში ენგურის ტალღები რომ მიატივტივებს მგლოვიარე ყვავილებს, ის იწერება სკოლის კედლებში: 2015 წელს პირველი-მეოთხე კლასის ჩათვლით რომ გახადეს რუსულენოვანი, ამჯერად კი სრულად რუსულენოვანია სწავლება. დამახინჯებული, ცრუ „აფხაზეთის ისტორიის“ სწავლასა და სწავლებაზე უარისთვის რომ ისჯებიან. ამ წიგნს წერს შიში გადამალული ქართული ლიტერატურის გამო, „მესაზღვრეებს“ გამოქცეული აბიტურიენტების მავთულხლართებზე დასერილი ხელებით იწერება მომავლის იმედი, გამთლიანების წყურვილი.

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ენგურგაღმელმა სტუდენტებმა კრებული შექმნეს სახელწოდებით „ამბები ენგურს გაღმიდან“. აქ ტრაგედიასა და ტკივილთან ერთად იმედი ცოცხლობს, იმედი აფხაზეთისა და ქართველების ერთმანეთთან დაბრუნების. აქ რეალური ამბებია: „ბოევიკების“ თარეშისა, უსაფრთხოებისათვის ქართული პასპორტების მიწაში დაფვლისა, ქართულის გაკვეთილების მკაცრად გაკონტროლებისა, ასევე: აფხაზეთისა და ქართველების თანაზიარობისა განსაცდელის ჟამს. დღეს სამურზაყანოში რისკის ფასად ასწავლიან ქართულ ლიტერატურას, „ნებადართული ზღვარის“ მიღმა, ხმის კანკალით გალობენ ქართულად და ენგურს გამოღმა გვაწვდიან ხმას, რომ სჯერათ სახალხო დიპლომატიის, სიყვარულის, სიტყვის ძალის. მოქმედებას, მღვიძარებას, განუწყვეტელ ხსოვნას მოითხოვს აფხაზეთელი თინეიჯერის სიტყვები:

„– შენ შეიძინე საათის განმავლობაში უღრან ტყეში გივლია, რომ ეროვნული გამოცდებისთვის მიგესწრო?

- მე მივლია.
- შენ გადაღებილი ეკლესია-მონასტრები მოგივლია?
- მე მომივლია...
- შენ გიტირია, რადგან ქართულად ლაპარაკს გიკრძალავდნენ?
- მე მიტირია...“ (სალომე გამისონია. სტუდენტი).

კიდევ დაიწერება წიგნები... სიყვარულის ძალმოსილებაზე დამკვიდრებულმა სიტყვამ, დიპლომატიამ იქნებ შეაძლებინოს აფხაზეთს, საქართველოს „ლაშარის გორზე შადგომა“. ერთ-ერთი ღონიერი წიგნი ამ თვალსაზრისით არის შორენა ლებანიძის „მანანა ანუა – ტყვეობის 52 დღე“. წიგნის სიცოცხლისუნარიანობას მკითხველი განსაზღვრავს, რამდენად სჭირდებათ, აინტერესებთ იგი. ამ შემთხვევაში გვაქვს ორი გამოცემა: პირველი – 2015 წელს და მეორე – 2019 წელს. ნაწარმოები ითარგმნა აფხაზურად (მთარგმნელი – ირმა ოსია) და თურქულად (მთარგმნელი ჰასან ჩელიქი). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტი – აფხაზური თარგმანი წაიკითხა ერთ-ერთმა მთავარმა პერსონაჟმა რაფიკ აჩბამ და შემოუთვალა ავტორს: ისურვებდა საკუთარი სახელით, რაფიკ აიბა, ყოფილიყო ნაწარმოებში (მეორე გამოცემისას მას ეს სურვილი შეუსრულდა. რაფიკ აიბას აფხაზეთში აქვს სეროზული სამსახური). წიგნისა და პერსონაჟის, ქართველი მწერლისა და აფხაზი მკითხველ-პერსონაჟის საერთო ველი მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ამ წიგნმა უკვე შეასრულა მშვიდობის ელჩის მისია.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- ვილაპარაკოთ 2020: ვილაპარაკოთ – 33 ამბავი აფხაზეთზე. იდეისა და კონცეფციის ავტორი ირაკლი შამათავა. თბილისი, 2020.  
 ლებანიძე 2015: ლებანიძე, შ., მანანა ანუა ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე. თბილისი, 2015.  
 სირაძე 2000: სირაძე რ., სახისმეტყველება. თბილისი, 2000.  
 ენციკლოპედია 2007: ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია. თბილისი, 2007.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6994>

## აფხაზური ოჯახები ქემალფაშაში

### Abkhazian families in Kemalpasha

**მეჰმეთ ალი ქესქინი**

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი  
თურქეთი, ართვინი

**Mehmet Ali Keskin**  
Artvin Chorokhi University  
Turkey, Artvin

#### ABSTRACT

The lack of research on Abkhazian families residing in the Artvin region of the Republic of Turkey, both within Georgian and Turkish academia, highlights the novelty of this paper. Specifically focusing on the Abkhazian families in Kemal Pasha district of Artvin province, this study offers valuable insights. Situated near the border of Georgia, Kemal Pasha district (Ilche) is a coastal area along the Black Sea, with the city of Kemal Pasha serving as its administrative center. The district predominantly consists of Laz and Hemsins populations.

Of particular interest is the presence of two Abkhazian families residing in the city of Kemal Pasha, as there are no concentrated settlements of Abkhazian descendants in Artvin province. However, traces of Ab-khazian ancestral memory can be observed among the contemporary population. The primary reason behind individual cases of Abkhazian settlement in the region can be attributed to emigration. It is noteworthy that during the era of emigration, Artvin served as a significant transit point for North Caucasian migrants en route to Erzurum, a major collection and distribution center.

The timeliness of this topic is further emphasized by the fact that the brothers under examination are descendants of Abkhazians who settled in the Batumi district in the mid to late 19th century before they emigrated from Abkhazia. The study of Caucasian migration is an important area within modern scientific re-search, and part of this research involves observing the faint traces of these migrations within Artvin province.

An essential aspect of this study is the recognition that Kemal Pasha is a coastal settlement where the first-generation Abkhazians were engaged in seafaring activities. They transported cargo within the vicinity, with their sailing routes encompassing Khofa, Batumi, and occasionally Trabzon under favorable weather conditions. This

maritime activity persisted until the 1920s. Despite the limited available information regarding the memory of Abkhazians in Kemal Pasha, this paper aims to analyze their family history within the context of Caucasian migrations.

It is worth noting that the closest concentration of Abkhazians to Kemal Pasha can be found in Georgia, particularly in Batumi and neighboring villages such as Angisa, Adlia, Feria, Sameba, Kakhaberi, and Charnali. Against this backdrop, it can be inferred that individual families of the first generation of Abkhazian emigrants settled further south, not only in Kemal Pasha but possibly in other locations as well.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზი მუჰაჯირები თურქეთში, აფხაზთა ოჯახები ქემალფაშაში.

**Keywords:** Abkhaz immigrants in Turkey, Abkhaz families in Kemalpasha.

ქემალფაშას რაიონი (ილჩე) მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს საზღვართან. რაიონული ცენტრია ქალაქი ქემალფაშა (1928 წლამდე – მაკრიალი (ნოდედი). წინათ საზღვრისპირა დასახლებები ხოფის ილჩეში შედიოდა. 1987 წელს ქემალფაშამ ქალაქის სტატუსი მიიღო. 2017 წელს ეს ტერიტორია ცალკე რაიონად (ილჩედ) გამოიყო. რაიონის მოსახლეობა შეადგენს 9537 სულს. მათგან ქალაქში ცხოვრობს 5832 (Kemalpaşa 2022).

უმეფლეს დროში მაკრიალი ისტორიული კოლხეთის ნაწილი იყო. შესაბამისად, თანამედროვე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ იმ ძველი კოლხების შთამომავლებია. ნაწილი მოსახლეობისა ჰემშინებია. საინტერესოა, რომ ქემალფაშაში ორი აფხაზური ოჯახი ცხოვრობს. ისინი აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან.

აფხაზთა მუჰაჯირობა, ისევე, როგორც კავკასიის სხვა ხალხების მასობრივი გადასახლება, ოსმალეთ-რუსეთის ომების ერთ-ერთი ტრაგიკული შედეგია. მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული აფხაზეთს მუჰაჯირობის რამდენიმე მასშტაბურმა ტალღამ გადაუარა. სწორედ ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიის შიდა თუ განაპირა რეგიონში რამდენიმე ათეული ათასი აფხაზური ოჯახი გადასახლდა. მუჰაჯირთა განსახლების სტრატეგია არ იყო ერთგვაროვანი ოსმალეთისთვის. იგი ითვალისწინებდა მიგრანტთა დასახლებას, ერთი მხრივ, რუსეთის მიერ დაკავებული ტერიტორიების ახლომახლო, მეორე მხრივ, შიდა პროვინციებში. რუსეთისთვის კი მიუღებელი იყო მუჰაჯირთა დასახლება თავის საზღვრებთან ახლოს. შედეგად, რუსეთის იმპერიის მახლობელ რეგიონებში ჩერქეზ და აფხაზ ემიგრანტთა კომპაქტურად დასახლების შესაძლებლობა გარკვეულ პერიოდში არსებობდა, მაგრამ მალევე აღიკვეთა (Asan 2016: 41).

კავკასიელთა მუჰაჯირობის ხსოვნის ფრაგმენტები თანამედროვე ართვინის მოსახლეობაშიც შემორჩა. აქა-იქ დასტურდება ზეპირი

ისტორიები აფხაზ წინაპართა შესახებაც, ხოლო რეგიონში აფხაზთა დასახლების ცალკეული შემთხვევების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში სწორედ მუჰაჯირობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სწორედ ართვინზე გადიოდა არზრუმისკენ მიმავალი კავკასიელი მუჰაჯირების სახმელეთო გზა, არზრუმი კი მუჰაჯირობის ეპოქაში წარმოადგენდა ერთ-ერთ მსხვილ შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტს (Aydm 2021: 231).

კავკასიელთა მუჰაჯირობის ეპოქაში (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში) ერთ-ერთი შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტი იყო, აგრეთვე, ბათუმი. მიგრანტები იქ ჩადიოდნენ როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზით. მრავალი აფხაზური ოჯახი იქვე დარჩა და დასახლდა. აფხაზები კომპაქტურად ცხოვრობენ ბათუმსა და ახლომდებარე სოფლებში (ანგისა, ადლია, ფერია, სამეზა, კახაბერი, ჭარნალი და სხვ.). უფრო სამხრეთით, დღევანდელი ართვინის პროვინციაში, აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების კომპაქტური დასახლებები არ არის. სწორედ ამ ფონზე საინტერესოდ მივიჩნიეთ ქემალფაშაში აფხაზური ოჯახების არსებობა და, მიუხედავად იმისა, რომ ქემალფაშელ აფხაზთა მეხსიერებას მეტად მწირი ინფორმაცია შემოუნახავს, ნაშრომში ვცადეთ მათი ოჯახური ისტორიის გაანალიზება.

როგორც აღვნიშნეთ, ქემალფაშაში ამჟამად ორი აფხაზური ოჯახი ცხოვრობს. ეს ძმათა ოჯახებია. ამჟამად სანათესაო წრე შეადგენს 50-მდე ადამიანს. ისინი ძირითადად ცხოვრობენ ქემალფაშაში, ხოფაში და, იშვიათად, თურქეთის შიდა პროვინციებშიც. ძმებს ერთობლივი ბიზნესი აქვთ ქემალფაშაში. ერთი 52 წლისაა, ყოფილი მასწავლებელი, ამჟამად პენსიონერი. მეორე 57 წლისაა და მისი საქმიანობა თავიდანვე საოჯახო ბიზნესთან იყო დაკავშირებული. მათ არ იციან წინაპართა ენა, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავიანთი ვინაობის და, საზოგადოდ, აფხაზეთის, შესახებ; მეხსიერებას აღარ შემოუნახავს ქემალფაშაში წინაპართა დასახლების ისტორიაც. იციან მხოლოდ ის, რომ ისინი მათს მიწაზე შესეულ რუსებს გამოქცევებიან და აქ მოსულან რუსეთ-ოსმალეთის რომელიღაცა ომის შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ ძმები წარსულზე ლაპარაკისას ფრთხილობდნენ და ეჭვით ეკიდებოდნენ ჩვენს ინტერესს მამაპაპათა ვინაობის მიმართ.

ყურადღებას იმსახურებს მნიშვნელოვანი დეტალი თაობათა მეხსიერების ფრაგმენტებიდან: ძმები ამბობენ, რომ მათი წინაპარი აფხაზეთიდან წამოსულა „სხვა ბევრ აფხაზთან ერთად“ (თურქ. „Diğer birçok Abhaz ile birlikte“). მუჰაჯირობის შესახებ ბევრი არაფერი იციან, მაგრამ ძველებიდან დარჩენილი ეს ბუნდოვანი ამბავიც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ის წინაპარი ბათუმის ოლქში მუჰაჯირთა რომელიღაცა ტალღას მოჰყვა.

ქემალფაშაში დასახლებულა ძმების ბაბუა, ან ბაბუის მამა. ეს შეიძლება მომხდარიყო სადღაც მე-19–მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე. ძნელი სათქმელია, ქემალფაშა მიგრანტთა პირველი სამოსახლო იყო თუ მეორე. უფრო ეს

უკანასკნელია მოსალოდნელი. ყოველ შემთხვევაში, არ გამოირიცხეს შესაძლებლობა, რომ „დედეი“ აფხაზეთიდან ბათუმში ჩასულიყო და იქიდან მოსულიყო აქ. ძმებს ბათუმელ აფხაზებთან ურთიერთობა არ აქვთ, მიაჩნიათ, რომ აჭარაში მათი ნათესავები არ ცხოვრობენ. თუმცა ამავე დროს ახსოვთ, რომ „დედეები“ თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული იყვნენ ბათუმთან.

საინტერესოა აღნიშნული საქმიანობის რაობაც და ქრონოლოგიაც. საგულისხმოა ისიც, რომ ძმები საუბრისას იყენებდნენ არა „dede-ს“ – მხოლოდით რიცხვში, არამედ „Dedeier“ – მრავლობითში. ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მათი მეხსიერების წყვეტილი და გაფანტული ისტორიებიდანაა შეიძლება დავასკვნათ, რომ სულ ცოტა, ორი თაობის წინ ქემალფაშაში ცხოვრობდა სანათესაო წრის რამდენიმე ოჯახი მაინც.

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ამ დედების ძირითადი საქმიანობა ნაოსნობა იყო. მათ ტვირთი გადაჰქონდათ ძირითადად ხოფიდან ბათუმში, ზოგჯერ, შესაბამისი სანაოსნო ამინდის პირობებში – ტრაპიზონიდან ბათუმშიც. „შესაბამისი სანაოსნო ამინდი“ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. მათი ნავი არ იყო დიდი ზომის და ყოველთვის ნაპირთან ახლოს დაგურავდა. მიუხედავად ამისა, ეს იყო ძალიან რთული და ხიფათით სავსე საქმიანობა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სავარაუდოდ, პირველი მსოფლიო ომის დროს, გადაჰქონდათ დენთი. ერთხელაც დენთით დატვირთული ნავი აფეთქებულა და ამ აფეთქებას მსხვერპლი მოჰყოლია. დაღუპულა რამდენიმე კაცი, სავარაუდოდ, „დედე-ს“ ძმები ან სხვა ნათესავები. ჩვენი რესპონდენტების ბაბუა გადარჩენილა, თუმცა უცნობია, ბედმა გაუღიმა, თუ აფეთქებისას ნავზე არ იმყოფებოდა. მას ამ ტრაგედიის შემდეგაც გაუგრძელებია ჩვეული საქმიანობა და შეუწყვეტია სადღაც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როცა საზღვარი საბოლოოდ ჩაიკეტა თავისუფალი მიმოსვლისთვისაც და კონტრაბანდისთვისაც.

ჩვენი რესპონდენტების თქმით, ბაბუამ აფხაზური ენა იცოდა, თუმცა ოჯახში საკომუნიკაციო ენა, იმ დროის განმავლობაში, რასაც მათი მეხსიერება ინახავს, თურქული იყო. შესაბამისად, მამამ აფხაზური არ იცოდა, ან, თუ იცოდა – ცუდად, არასრულყოფილად. ქემალფაშელებს ახსოვთ აფხაზური გვარი, თუმცა ვერ აზუსტებენ. გამოთქვამენ, როგორც „აჯიბა“. აჯიბები ცხოვრობენ ბათუმშიც, კერძოდ, ურეხში (აფხაზები... 2018: 60), თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ძმები მიიჩნევენ, რომ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა შორის ნათესავები არ ჰყავთ. ძმათაგან უფროსი რამდენიმე წლის წინ აფხაზეთშიც ყოფილა. მოიარა სოხუმი, გაგრა, ბიჭვინთა, გუდაუთა და ძალიან მოეწონა. მისი თქმით, გაგრაში სტუმრობდა ნათესავებს, თუმცა მათთან ინტენსიური კონტაქტი არც სტუმრობამდე ჰქონია და არც მას შემდეგ.

ქემალფაშას აფხაზი ძმების მეხსიერების პრობლემებს ქმნის უპირველესად ის გარემოება, რომ ისინი მოწყვეტილი არიან თურქეთის

აფხაზურ დასახლებებს. შესაბამისად, ხსენებული დასახლებების მცხოვრებთა კოლექტიური მეხსიერების დეტალები მათთვის მიუწვდომელია. მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქემაღფაშა, გარკვეული თვალსაზრისით, სპეციფიკური რაიონია. მოსახლეობის ძირითად ნაწილს აქ შეადგენენ ლაზები და ჰემშინები. მათ შორის ერთგვარი ჯიბრიც არ არის უცხო და, შესაბამისად, წარმომავლობაზე, წინაპართა ვინაობაზე ხაზგასმა ამ ჯიბრის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. ამ გარემოში საკუთარი იდენტობა ძალაუვნებურად მუდმივი ყურადღების ქვეშ რჩება... თუმცა უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ახალ თაობაში ამ „ყურადღებიდანაც“ ბევრი აღარაფერი დარჩა.

### გამოყენებული ლიტერატურა

აფხაზები... 2018: აფხაზები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა, მონოგრაფია, ავტორები: ჯემალ კარალიძე, მალხაზ ჩოხარაძე, რევაზ დიასამიძე, ნატალია ლაზბა, მარინე შალიკავა, რამაზ სურმანიძე, ქეთევან შოთაძე, მანანა თავდგირიძე, მარიამ ჩოხარაძე, თენგიზ თავდგირიძე. ბათუმი, 2018.

Asan 2016: Asan H., „Devlet, Aşiret ve Eşkıya Bağlamında Osmanlı Muhacir İskân Siyaseti (1860-1914)“, Göç Araştırmaları Dergisi (The Journal of Migration Studies Cilt), 2, Sayı 3. Ankara, 2016.

Aydın 2021: Aydın N., Handan Kaya, „Kafkasya’dan Osmanlı Devletine Yapılan Çerkez Göçleri“, Atatürk ve Türkiye Cumhuriyeti Tarihi Dergisi (Journal of Atatürk and the History of Turkish Republic Sayı), 9. İzmir, 2021.

Kemalpaşa 2022: [https://tr.wikipedia.org/wiki/Kemalpa%C5%9Fa,\\_Artvin](https://tr.wikipedia.org/wiki/Kemalpa%C5%9Fa,_Artvin) (დამოწმება 30.01.2023).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6995>

**აფხაზეთთან დაკავშირებული  
ზოგი საკითხისთვის**

**On some issues  
about Abkhazia**

**რევაზ შეროზია**

ზუგდიდის შოთა მესხიას  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველო, ზუგდიდი

**Revaz Sherozia**

Zugdidi Shota Meskhia State Teaching University  
Georgia, Zugdidi

**ABSTRACT**

1. The Significance of the Bichvinta Church in the Early Spread of Christianity in Georgia.

According to historical sources, the Church of Bichvinta played a crucial role in the initial phases of Christianity's dissemination in Georgia. The involvement of its leader in the activities of the early ecumenical council is a clear indication of the rapid establishment of Christianity in the early centuries (Sherozia, 2014). It is important to note that the head of the Bichvinta church should not have been of Greek or any other foreign nationality (=language) for two primary reasons. Firstly, preaching and prayers were likely conducted in the local language to ensure understanding among the congregation, as the purpose of the worship service would otherwise be lost. Secondly, the Bichvinta Church, possibly referring to the Bedia Cathedral, appears to have been active even before Christianity was declared the state religion of Georgia. However, Christians were still facing persecution in the Greco-Roman world during this time.

2. Noteworthy church documents of the 17 -18th centuries associated with the Bichvinta Church

Church documents from the 17th and 18th centuries provide interesting insights into the Bichvinta church and its benefactors from various parts of Megrelia. For instance, records from 1628 mention a resident of Ghalidzga (present-day Beslakhuba) who donated Paraksia to the Bichvinta church. Similarly, an 18th-century document indicates that Ganisha Barkalaya of Ghalidzga, Bigwa Jwebe of Bia in the first

half of the 18th century, Levan Dadiani donated Gvichia, a fisherman, to Bichvinta Church in 1628, and Gatanjia Gvichia of Bashi to Mtatsminda in 1642. This list can be further expanded using P. Tskhadaya's work "Surnames and Surnames Settled in Samegrelo" (2000). The princes of Megrelia paid close attention to the affairs of the Bichvinta church, as it was a part of their domain from the beginning. Notably, Levan II Dadiani, along with his sister, the queen of Kartli, showed great interest and support for Georgian culture (see the history of „Vepkhistaosani's“ oldest manuscripts), particularly for churches and monasteries

Noteworthy examples include the restoration of the Jerusalem Cross Monastery together with the Bichvinta Church and the construction of a new Church in the Uriat district of Jerusalem (Gabashvili, 1956), among many others.

3. Of particular interest are the Agapes at the Cross Monastery in Jerusalem (Metreveli, 1967). The inscriptions here mention individuals such as „Markozi of Bedia“, „Former Nikoloz Catholicos of Bedia“, „Melikzedeli of Bedia“, „Yovakim the Catholicos of Tsaishi-Bedia and Abkhazia“, „Catholicos of Abkhazia Daniel and his son Giorgi of Chkhondi“, „Bishop Grigoli of Dranda“, „Mikael Abkhazi“, and „Eudemon of Dranda, son Jaiani of Tsalenjikha“. The timeframe for the individuals listed in the Agape inscriptions spans from the 11th to the 18th centuries.

Together with the church documents, the Agape inscriptions from the Cross Monastery provide valuable historical information about Abkhazia (=Egris, Samegrelo) and Georgia as a whole.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ეკლესია-მონასტრები აფხაზეთში, ბიჭვინთის ეკლესია.

**Keywords:** Georgian churches-monasteries in Abkhazia, Bichvinti church.

1. ბიჭვინთის ეკლესია, როგორც ცნობილია საისტორიო წყაროების მიხედვით, მნიშვნელოვანი საყრდენი იყო საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე. ამ ეკლესიის მეთაურის მონაწილეობა პირველივე მსოფლიო კრების საქმიანობაში აშკარად მიუთითებს ქრისტიანობის სწრაფ დამკვიდრებაზე პირველივე საუკუნეებში (შეროზია 2014). ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ბიჭვინთის ეკლესიის მეთაური ბერძენი ან სხვა ეროვნების (=ენოვნების) არ უნდა ყოფილიყო ორი მთავარი მიზეზის გამო: 1. ადგილობრივი მრევლისთვის (მოსახლეობისთვის) გასაგებ, მშობლიურ ენაზე თუ მოხდებოდა ქადაგებ-ლოცვები, თორემ სხვანაირად აზრი დაეკარგებოდა ღვთისმსახურების ჩატარებას; 2. ბიჭვინთის ეკლესია (სავარაუდოდ, ბედიის კათედრალი) კარგა ხნით ადრე მოქმედი ჩანს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე. ამასთან, ბერძნულ-რომაულ სამყაროში ამ დროს ჯერ კიდევ იდევნებოდნენ ქრისტიანები...

2. ბიჭვინთის ეკლესიასთან დაკავშირებით საინტერესოა XVII-XVIII საუკუნეების საეკლესიო საბუთები, რომლებიც სამეგრელოს სხვადასხვა კუთხიდან ამ ეკლესიასათვის შეწირულ პირებს ეხება. ასე მაგალითად: 1628 წლის საბუთების მიხედვით, ლალიძგის (ამჟამინდელი ბესლახუბა) მცხოვრები პარაქსია შეუწირავთ ბიჭვინთის ეკლესიისთვის; ასევე, XVIII საუკუნის საბუთით ლალიძგას მცხოვრები განიშა ბარკალაია; XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ბიას მცხოვრები ზიგვავა ჯგებე; 1628 წელს ლევან დადიანს ფოთელი მეთევზე გვიჩია ბიჭვინთისთვის შეუწირავს, ხოლო 1642 წელს – მთაწმინდისთვის ბაშის მცხოვრები გატანჯია გვიჩია...

ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება (ვსარგებლობ პ. ცხადაიას ნაშრომით: გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, 2000). მთავარი კი ის არის, რომ, ჩანს, სამეგრელოს მთავრები ყურადღებით ეკიდებოდნენ ბიჭვინთის ეკლესიის ცხოვრება-საქმიანობას, რადგან ეს ეკლესია თავიდანვე მათ სამფლობელოში შედიოდა, ხოლო ლევან II დადიანის (ასევე მისი დის, ქართლის დედოფლის) დიდი ინტერესი და გულისხმიერება ქართველური კულტურის (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერის ისტორია) და განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრების მიმართ ცნობილია, – ბიჭვინთის ეკლესიასთან ერთად იერუსალიმის ჯვრის მონასტრის რესტავრაციის თუ იმავე იერუსალიმში ახალი ტაძრის მშენებლობა ურიათ უბანში (გაბაშვილი 1956) და სხვა მრავალი.

3. ყურადღებას იქცევს იერუსალიმში ჯვრის მონასტრის აღაპები (მეტრეველი 1967). აქ მოხსენებული არიან: „ბედიელი მარკოზი“, „ბედიელ-ყოფილი ნიკოლოზ კათალიკოსი“, „ბედიელი მელიქზედეკი“, „ჩაისელ(=ცაიშელ)-ბედიელის და აფხაზეთის კათალიკოზი იოვაკიმი“, „აფხაზეთის კათალიკოზი დანიელი და მისი შვილი ჭყონდიდელი გიორგი“, „გრიგოლი დრანდელი ეპისკოპოსი“, „მიქაელ აფხაზი“, „ევდემონ დრანდელყოფილი წალენჯიხელი ჯაიანის ძე“...

აღაპებში მოხსენებულ პირთა ქრონოლოგიური არეალი XI-XVIII საუკუნეებს მოიცავს. საეკლესიო საბუთებთან ერთად ჯვრის მონასტრის აღაპებში აფხაზეთის (=ეგრისის, სამეგრელოს) და, საერთოდ, საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან.

#### გამოყენებული ლიტერატურა

გაბაშვილი 1956: გაბაშვილი ტ., მიმოსვლა. თბილისი, 1956.

მეტრეველი 1967: მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბილისი, 1967.

შეროზია 2014: შეროზია რ., ზოგი რელიგიური ტერმინისათვის. წელიწდეული, VI. თბილისი, 2014.

ცხადაია 2000: ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი, 2000.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6996>

**აფხაზთა მუჰაჯირობა და  
ზღვით მგზავრობის ნარატივები  
გვირ ისტორიებსა და მხატვრულ ლიტერატურაში**

**Abkhaz Migration and  
Sea Travel Stories  
in the Oral History and Fiction**

**მალხაზ ჩოხარაძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

**მარიამ ჩოხარაძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

**Malkhaz Chokharadze**

Shota Rustaveli State University  
Georgia, Batumi

**Mariam Chokharadze**

Shota Rustaveli State University  
Georgia, Batumi

**ABSTRACT**

Together with the scientific literature and fictional texts of Georgian and Abkhazian writers, this work primarily relies on oral histories gathered from descendants of Abkhaz emigrants (muhajir) during field expeditions conducted from 2014 to 2022. As a result, it offers novel insights into both the general phenomenon of Abkhaz emigration and the specific experiences of Abkhazians residing in Adjara from the perspective of studying Abkhazian relations. Abkhaz migration was intertwined with the ongoing processes in the Caucasus region and the Russian-Ottoman wars, which inflicted significant pain on Abkhazia. The history of mass migrations can be traced back to the mid-19th century, featuring several major waves in the 1860s, 1870s, and 1880s, with isolated cases of emigration documented until the 1920s and 1930s. Emigrant Abkhazians settled both within the Ottoman Empire and near their homeland. Before the Russo-Ottoman War of 1877-78, Adjara was part of the

Ottoman Empire, and a portion of Abkhazian refugees settled there, driven by hopes of eventual return and the resemblance of natural conditions. This paper examines narratives related to the journeys undertaken by emigrants, whether by sea or land, utilizing various modes of transportation such as ships, boats, carts, horses, or on foot. The central focus of the research revolves around the challenges associated with sea travel, which is extensively depicted in press materials, oral histories from descendants of emigrants (including Abkhazians living in Adjara), and in artistic works, such as Bagrat Shinkuba's „The Last Ubikh“, Ilhan Akin's „Silent Cry“, Anzor Kudba's „The Road“, and others discussed within the paper. The relevance of this topic stems from the significant interest in emigration as a mass population movement not only in the Caucasus but also beyond, as well as the importance of studying the history and cultural heritage of emigrant descendants, particularly Abkhazians residing in Adjara, within the complex context of contemporary Georgian-Abkhazian relations. The objective of this paper is to explore the oral histories of Abkhaz emigrant descendants, including those living in Adjara, alongside artistic texts, sources, and relevant scientific literature specifically about Abkhazian emigration, particularly concerning sea travel. The findings of this research lead to the conclusion that the sea route left a lasting, more poignant imprint on collective memory. It is worth noting that the tragic layer of oral histories predominantly centers on the experiences of exiles within the depths of the Ottoman Empire. While the challenges of migration were not unfamiliar to families settled in Batumi, the accounts of those who ventured further away often contain indescribable pains... pains that have become indelibly etched in the memory and soul of Abkhazians.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზთა მუჰაჯირობა, ზეპირი ისტორიები მუჰაჯირობის შესახებ, მუჰაჯირობის თემა მხატვრულ ლიტერატურაში.

**Keywords:** Abkhaz emigration, verbal histories of emigration, theme of emigration in fiction.

მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ნაწილია. კავკასიელთა, მათ შორის ქართველებისა და აფხაზების, მასობრივი მიგრაცია იყო შედეგი ძირითადად რუსეთ-ოსმალეთის ომებისა, რუსეთის კოლონიალური პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის შეურიგებელი ნაწილის აყრა-გადასახლებას და, საბოლოოდ, დაპყრობილი ტერიტორიების შერწყმას იმპერიასთან (ხორავა 2004: 5). არანაკლები იყო ძალისხმევა ოსმალეთისა, რომელიც მუჰაჯირებს თავისი ინტერესებისთვის იყენებდა.

აფხაზთა მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან იწყება და რამდენიმე მასშტაბურ ტალღას მოიცავს. მასობრივი გადასახლებები იყო 1859-64 წლებში. პირველმა ტალღამ ძირითადად ჩრდილო კავკასიას გადაუარა. უშუალოდ აფხაზეთის ტერიტორიას უფრო არსებითად და

ფართოდ შეეხო კავკასიელთა მუჰაჯირობის მეორე დიდი ტალღა 1866-67 წლებში. კიდევ უფრო მასშტაბური იყო აფხაზთათვის რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდგომი მუჰაჯირობის ტალღა (აჩუგბა 1988: 12; ხორავა 2004: 7). აფხაზ მუჰაჯირთა არაერთი ოჯახი დასახლდა აჭარაში, რომელიც მაშინ ოსმალეთის შემადგენლობაში იყო. 1877-78 წლების შემდგომ მათი გარკვეული ნაწილი კიდევ ერთხელ აიყარა, შეუერთდა ახალი მუჰაჯირობის ტალღას და აჭარლებთან, შავშებსა თუ კლარჯებთან, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, აფხაზეთიდან დაძრულ თანატომელებთან ერთად თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლდა. არაერთი ოჯახი აფხაზეთის აჭარაშივე დარჩა; კიდევ ერთი (თუმცა ნაკლებად ინტენსიური) გადაჯგუფება მოხდა მე-20 საუკუნის ათიან წლებში, პირველი მსოფლიო ომის დროს. ცალკეულ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულებსა და, შესაძლოა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც.

მუჰაჯირობა, განსაკუთრებით 70-იანი და შემდგომი წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცხოვრების ეს ტრაგიკული ფურცლები, ფართოდაა წარმოდგენილი თანადროულ პრესასა და მოგზაურთა ჩანაწერებში, ასევე, მხატვრულ ლიტერატურაში. ბუნებრივია, აფხაზთა მუჰაჯირობასთან დაკავშირებული მრავალი დეტალი ხალხის მეხსიერებამ შემოინახა. უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ დღემდე ცხოვლად და ხშირად ხატოვანი ინტერპრეტაციებით არის შემონახული. შესაბამისად, ხალხურ ნარატივებზე დაკვირვება უაღრესად საინტერესო სურათებს აცოცხლებს ხოლმე.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ნარატივების ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თემაა მიგრანტთა მგზავრობის პრობლემები. მუჰაჯირები მიემგზავრობდნენ საზღვაო, ან სახმელეთო გზით: გემებით, ნავებით, ურმებით, ცხენებით, ფეხით... როგორც ჩანს, საზღვაო გზამ უფრო მტკივნეული კვალი დააჩნია თაობათა მეხსიერებას. ეს კვალი მკაფიოდ ჩანს პრესის მასალებშიც, მხატვრულ ტექსტებშიც და, ასევე, რასაკვირველია, მუჰაჯირთა შთამომავლების, მათ შორის, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ნარატივებშიც.

თანამედროვეთა ზეპირი ისტორიები ზოგჯერ თაობათა მეხსიერებაში გამოტარებული ნარატივებია, ზოგჯერ კი საისტორიო ან სულაც მხატვრული ლიტერატურისა თუ XIX საუკუნის ავტორთა ჩანაწერების გამოძახილი. თ. აჩუგბა, მაგალითად, იმოწმებს რა XIX საუკუნის 70-იანი წლების პრესის მასალებს, აღნიშნავს: „გარდა იმისა, რომ შიმშილი და ეპიდემია მუსრს ავლებდა სამშობლოდან მოწყვეტილ ტყვეებს, ოსმალს ჯარისკაცები არ ერიდებოდნენ გემების გათავისუფლებას „უსარგებლო ტვირთისაგან“... თურქებს გემებით მიჰყავდათ მოხუცებიც, ახალგაზრდებიც, ბავშვებიც, მაგრამ როგორც კი გემი ზღვის სიღრმეში გაუჩინარდებოდა, იწყებოდა აფხაზი ტყვეების დახარისხება, ყველა მოხუც მამაკაცს, რომლებსაც იარაღის ტარება არ შეეძლო, მოხუც ქალებს... ასევე მცირეწლოვან ბავშვებს,

რომლებსაც დედის მზრუნველობა ესაჭიროებოდათ, გემებიდან ზღვაში ჰყრიდნენ. დიდძალი ხალხი იხოცებოდა როგორც გემით გადაყვანისას, ისე ფეხით მგზავრობის დროს“ (აჩუგბა 1988: 17)...

ამავე განწყობისაა ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერიც: „ამ გადასახლებით დაილუპა აფხაზეთი, ამით მიწაზედ გასწორდნენ იგინი, ამით გათახსირდნენ იგინი. რამდენს ამის გამო სული ამოუვიდა უღვთოდ, რამდენი კაცი და ქალი დაიხრჩო ზღვაში და მდინარეებში, რამდენი გაწყდა მოგზაურობისაგან, რამდენი რა სხვა უბედურება გამოსცადას ამ გადასახლების დროს, ამას კაცი ვერ მოსთვლის“ (ჭიჭინაძე 2012: 146).

ზეპირი ისტორიების ტრაგიკული შრე უფრო ოსმალეთის სიღრმეში გადასახლებულთა მგზავრობას ეხება. მართალია, მიგრაციის სირთულეები ბათუმში დასახლებული ოჯახებისთვისაც არ იყო უცხო, მაგრამ შორს წასულთა თავგადასავალი ზოგჯერ ენით აუწერელი ტკივილებითაა სავსე, რაც ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის ჩანაწერში ტრაგიკული ექსპრესიით აისახა: „გემზე დაიწყეს ლტოლვილთა დახარისხება. მოხუცები, ავადმყოფები და ბავშვები, შიმშილისგან ქანცგამოცლილები, სასიკვდილოდ გაწირეს... მგზავრებს თურქეთის ნაპირებისკენ მიაქანებდნენ, ისევე, როგორც ერთ დროს ამერიკის გზაზე აფრიკელ მონებს უსწორდებოდნენ გემზე...“

ქალები, რომლებსაც ცოტა ხნის წინ ხელებიდან მიცვალეული ბავშვები გამოჰგლიჯეს და უმოწყალოდ ზღვაში თევზებს გადაუყარეს, მოსთქვამდნენ... ზღვაში გადავარდნას ლამობდნენ“ (აფხაზები... 2018: 197)...

როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთიდან ბათუმამდე მგზავრობის ერთ-ერთი საშუალება იყო ნაგები. მათ შორის, მეთევზეთა ჩვეულებრივი ნაგები, რომლებიც სულაც არ იყო გათვალისწინებული შორ მანძილზე მგზავრობისთვის. ნაგებს უმეტესწილად ქირობდნენ. მუჰაჯირობის ეპოქაში ზღვისპირას უამრავი მიგრანტი იყრიდა თავს: მთიელები, კავკასიის შორეული ხეობებიდან, თუ ბარის მოსახლეობა. დიდი უმრავლესობისთვის, რომლებიც სულაც არ გეგმავდნენ აქ დარჩენას და ოსმალეთის შიდა პროვინციებისკენ ეშურებოდნენ, ეს სანავსადგურო ქალაქი ერთგვარ გამანაწილებელ პუნქტსაც წარმოადგენდა. ნავის მფლობელებს შემოსავლის ახალი წყარო გაუჩნდათ და, ამასთან, ყველა მათგანი როდი გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით. მგზავრთა უმრავლესობა გამოცდილ მენავეთა ძალისხმევით მშვიდობიანად აღწევდა ბათუმამდე, თუმცა აფხაზები დღემდე ყვებიან, ერთი მხრივ, უბედური შემთხვევების (განსაკუთრებით, უამინდობისას), მეორე მხრივ, მენავეთა მიერ ანგარების გამო განწირული მგზავრების შესახებ...

მუჰაჯირები საფრთხისგან არც გემით მგზავრობისას იყვნენ დაზღვეული. ზღვას უჩვევი მგზავრების განცდებსა და ზღვის ავადმყოფობაზე რომ არაფერი ვთქვათ, სამგზავრო გემები თითქმის ყოველთვის მეტის მეტად გადატვირთული იყო ხოლმე, რაც,

განსაკუთრებით უამინდობისას, ეჭვქვეშ აყენებდა უსაფრთხოდ ცურვის შესაძლებლობას და, ამასთან, ხშირად სხვადასხვა ინფექციური დაავადება ვრცელდებოდა. ზოგჯერ დაავადებული მგზავრებით სავსე გემის მიღებაზე ნავსადგურები უარს ამბობდნენ და ბედის ანაბარა მიტოვებული მუჰაჯირები ჯოჯოხეთურ პირობებში იტანჯებოდნენ. დღემდე შემორჩენილია ამგვარ შემთხვევათა არაერთი ისტორია და კონკრეტულ შემთხვევათა მრავალი ვარიანტი. მაგალითად, ბათუმელ აფხაზთა მეხსიერება ინახავს მუჰაჯირთა ოჯახებით გადავსებული პატარა თურქული გემის ამბავს, რომელსაც შტორმი წამოეწია. გემმა ჯერ ფოთში სცადა ნავსადგურთან მიახლოება, მაგრამ სანაპირო დაცვამ ცეცხლი გაუხსნა. საბედნიეროდ, ღამე ქარი ჩადგა და მიგრანტებმა ბათუმამდე მოაღწიეს, მაგრამ არც აქ შეუშვეს ნავსადგურში. გემი იმდენად დაზიანებული იყო, გზას ვეღარ გააგრძელებდა (სხვა ვერსიით გემმა თურქეთის სიდრემისკენ გააგრძელა გზა და რაკილა იქაც არ მიიღეს, უკან დაბრუნდა...). მგზავრები ღამით გადასხეს ნაპირზე სადღაც გონიოს ახლო-მახლო და ბედის ანაბარა მიატოვეს. აფხაზები მხოლოდ ადგილობრივთა დახმარებით გადაურჩნენ შიმშილს და სხვა უბედურებებს. აქვე შევნიშნავთ, რომ აჭარის მოსახლეობის თანადგომის მოტივი საზოგადოდ არის დამახასიათებელი აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირი ისტორიებისთვის (აფხაზები... 2018: 200).

სწორედ ტრაგიკული რეალობით ნასაზრდოები ზეპირი თუ წერილობითი ისტორიების გამოძახილია არაერთი მხატვრული ტექსტი და მათ შორის ბაგრატ შინქუბას რომანის („უკანასკნელი უბიხი“) ერთ-ერთი საზღვაო ეპიზოდიც:

„ქარი ისე როდი ქრის, როგორც შენ გინდა. აფრიანი გემებითაც მოემგზავრებოდნენ უბიხეები აქეთკენ. ერთი ასეთი გემი ქარიშხალმა შორს გაიტაცა, დასავლეთისკენ. დიდხანს იყო გემი ზღვაში; წყლის მარაგი გამოეღიათ, სიბინძურეც დაგროვდა ზედ და მუცლის ტიფმაც იფეთქა. სიკვდილი ცელავდა ხალხს. როცა გემი სამსუნის ნავსადგურს მიუახლოვდა, ერთი მუჭა ცოცხალი ადამიანებიღა იყო ზედ. ნაპირზე ჩამოსვლის ნება არავის მისცეს, იმის შიშით, რომ სენმა ქალაქში არ შეაღწიოსო, გემმა ღუზა ჩაუშვა. საწყალი მუჰაჯირები! ნაპირზე ჩოხიანი ხალხი რომ დაინახეს, საშველად უხმობდნენ. რა უნდა გვექნა? მივცურდებოდით გემით და ჩამოშვებულ თოკებზე წყლიან სურებს მივაბამდით, ეს იყო და ეს. სანაპირო დაცვა ამისთვის გვაგინებდა, ტყვიის დაშენით გვემუქრებოდა (შინქუბა 2017: 84).

„უხმო ქვითინი“ 2014 წელს დაიბეჭდა სტამბულში და იგი ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლის, დუზჯელი ილჰან აქინის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაწარმოებია. რომანის თემა არის ქართველთა მუჰაჯირობა და ჩვენებურთა ცხოვრება თურქეთში. დუზჯეს პროვინციაში მუჰაჯირთა შთამომავლების მრავალი დასახლებაა. ავტორიც ამ წრეშია გაზრდილი და შესაბამისად, თხზულების ფაქტოლოგიური ფონის საფუძველი არა მხოლოდ საისტორიო ლიტერატურაა, არამედ,

უპირველესად, თავად მწერლის მიერ გაგონილი, ნანახ-ნაგრძნობი და განცდილი.

თხზულება მგზავრობის აღწერით იწყება. ძველისძველი, დახავსებული გემი რის ვაივაგლახით უმკლავდება შავი ზღვის ბობოქარ ტალღებს. ქარიშხალს თავიდანვე მოჰყვა მსხვერპლი. თითქოს უმნიშვნელო კომპოზიციური დეტალია, მაგრამ ავტორი ახერხებს თავიდანვე მთელი სიმძაფრით დახატოს მდგომარეობის ტრაგიზმი და მუჰაჯირთა უიმედო მდგომარეობა, გაურკვეველი მომავალი. „განადგურება გარდაუვალი იყო შავ ზღვაში... ვინ იცის, იქნებ შავი ზღვა ნიშნავდა განადგურებას?“ (Akin 2014: 92<sup>1</sup>) – წერს ავტორი. გემი გადატვირთულია. იგი ბათუმიდან გირესუნისკენ მიცურავს, მაგრამ ყველას ეპარება ეჭვი, რომ დანიშნულების პუნქტამდე ჩააღწევს. მუჰაჯირთა უმრავლესობას ენატრება ლუკმაპური და სათანადო ტანსაცმელიც კი. გემბანზე თუ ტრიუმფში უსისტემოდ მიმოფანტული ოჯახები, მართალია, ერთმანეთის თანადგომის ძალასაც პოულობენ, მაგრამ მათი შესაძლებლობები უკიდურესად არის შეზღუდული. „უკუნეთ სიბნელებში არაფერი არ მოჩანდა, მხოლოდ იმას გრძნობდნენ რომ გემი სადაცაა უნდა დანაწევრებულიყო, ტალღების მძვინვარე ხმები, ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის შეძახილები, ყურებს აყრუებდა თანდათანობით. შავი ზღვა გემიდან გათავისუფლებულ უხასიათო ცხენივით ჭიხვინებდა, ზემოდან რაც ჰქონდა, ცდილობდა, ქვემოთ ჩაეტანა, ქვეყნის დასასრულს აჩვენებდა გემზე მყოფებს“ (Akin 2014: 59).

მწერლის მიერ წარმოდგენილია უკიდურესი გასაჭირის სურათი. შიმშილისგან, წყურვილისა და უძილობისგან განადგურებულ ხალხს, ყვირილისა და მოთქმის ძალა აღარ ჰქონდა.

„მიგრაცია ასეთი რამ იყო...

სიცოცხლეს რაც შეიძლება მალე სიკვდილი ერჩინათ...

ან სიხარული, გარდაცვლილის გამო დამწუხრების და მოთქმის ადგილას ...

ან გარდაცვლილის ადგილას ყოფნა, რაც შეიძლება მალე სიკვდილის სურვილი...“ – წერს ავტორი (იქვე: 89).

როცა მოხუცი ქალი აუტანელი პირობებისა და ზამთრის სუსხის გამო გარდაიცვალა, გვამი წყალში გადააგდეს... სხვა შესაძლებლობა გემზე არ იყო. მწერალი ორიოდვე მხატვრული დეტალით წარმოაჩენს ცოცხლად დარჩენილ მგზავრთა სულის მოძრაობას: – „მოგზაურობის დასაწყისშივე მოხუცმა ქალმა ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა, შესაძლოა, ყველაზე სწორი რამ გააკეთა... შეიძლება სწორედ ის იყო იღბლიანი – სიკვდილის შანსი გამოიყენა... ვინ იცის, იქნებ გემზე ყველაზე მეტად ამ გარდაცვლილს გაუმართლა“ (იქვე: 43) – ეს მხოლოდ საშინელი მგზავრობის გამოძახილი როდია. გაურკვეველი მომავლის შიშიცაა. ვინ იცის, რა ელით ახალ და უცხო გარემოში მუჰაჯირებს, ვინ იქნება მათი პატრონი, შეძლებენ კი

<sup>1</sup> ციტირებულია რომანის თურქული გამოცემიდან (თარგმანი მალვინა ფუტკარადისა); რომანის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა 2020 წელს (თარგმანი ნანა კაჭარავასი).

დამკვიდრებას და თავის გატანას? გადასახლება თამაში როდია... და თუ თამაშია, „ვაითუ ამ თამაშს სიკვდილი ჰქვია“ და სხვა გზაც აღარ რჩება – „სიკვდილი ან გადარჩენა“. გემზე (და მერეც, დიდი ხნის განმავლობაში) ისეთი ვითარება სუფევდა, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ზღვარი წაშლილიყო... გემზე სიკვდილიც სხვანაირი იყო და დაკრძალვაც... არც საფლავის გათხრა, არც ნიჩაბი და არც მიწა... შავი ზღვის გაყინული წყალი მხოლოდ... (Akin 2014: 62).

პირველი მსხვერპლი ზემოხსენებული მოხუცი ქალი იყო, მეორე – პატარა ბავშვი, რომლის ცხედარიც, დედის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, „შავი ზღვის ყინულივით წყალს გააყოლეს“. რომანში მუჰაჯირობის ამ კონკრეტული ფრაგმენტის საბოლოო სურათიცაა წარმოდგენილი: ბათუმის პორტიდან სხვადასხვა ეროვნების დაახლოებით 800 მუჰაჯირით დაწყებული სიმწიფეებით სავსე მგზავრობა მე-7 დღის ბოლოს 70 მუჰაჯირის სიკვდილით დასრულდა (ჩოხარაძე... 2018: 124).

როგორც ვთქვით, ილჰან აქინი თანამედროვე ავტორია. მისი რომანი ძირითადად ქართველთა გადასახლებას ეხება და მუჰაჯირთა განცდილს და გაგონილს, თაობიდან თაობაზე გადაცემულ ისტორიათა მხატვრულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ცხადია, რომანი მხოლოდ ქართველთა უბედურებას როდი წარმოაჩენს. მგზავრობის სურათებთან ერთად რომანში მოცემულია მუჰაჯირთა ახალ მიწაზე დამკვიდრების და თაობათა ურთულესი ცხოვრების მხატვრული რეალობა.

და რაკილა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების შემოქმედებას ვეხებით, ისიც ვთქვათ, რომ საზღვაო მოტივი და ხსენებული თემის ტრაგიკული შინაარსი გაიელვებს დუზუჯელი აბდულაჰ ჩელებიოღლუს საოცარი ემოციით აღბეჭდილ ლექსში:

„შენ იცი რა არის მუჰაჯირობა?

უმისამართო გემებში ჩასხდომაა,

წყალში ჩაძირვაა, დახრჩობაა მუჰაჯირობა“... (ფრაგმენტი მოტანილია ნანა კაჭარავას თარგმანიდან).

ზემოთ უკვე ვახსენეთ ბაგრატ შინქუბას რომანი, რომელიც სხვა ეპოქასა და სხვა იდეოლოგიურ გარემოში, სხვა ქვეყანაში – საბჭოთა კავშირში დაიწერა. „უკანასკნელი უბიხი“ მრავალპლანიანი რომანია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ გემით მგზავრობის ეპიზოდს შევეხებით კიდევ ერთხელ და ზაურყანის ნაამბობს გავიხსენებთ:

„...საძების პატარა სოფელი ჩვენსკვალს გამოჰყვა თეთრი იალქნიანი გემით. ამოვარდნილი ქარიშხალი პატარა გემს კაკლის ნაჭუჭივით ისროდა აქეთ-იქით. აზვირთებული ტალღები ხმელეთთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. წყურვილისგან გონდაკარგული ხალხი ზღვის წყალს დაეწაფა. პირველად ბავშვებს დაერია სიკვდილი. ისე იხოცებოდნენ, როგორც ფარვანები ავდრიან ღამეში. მეზღვაურები პირდაპირ ზღვაში ყრიდნენ პაწია გვამებს. გემზე ერთი ქვრივი ქალი იყო. დედამიწის ზურგზე არაფერი გააჩნდა ერთი პატარა ბიჭის გარდა. ამ საცოდავის ბიჭიც ავად

გახდა და მალე სულიც განუტევა. დედას კი ისევ გულში ჰყავდა ჩაკრული და უნანავებდა. მეზღვაურები რომ მიუახლოვდებოდნენ, იავნანას სიმღერას იწყებდა: „დაიძინე ჩემო ბიჭო, იავ ნანინაო“. დაშორდებოდნენ თუ არა მეზღვაურები, სიმღერა გოდებად იქცეოდა. ხალხმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. მესამე დღეს მეზღვაურებმა ცხედრის სუნი იყნოსეს, ხელიდან გამოგლიჯეს დედას მკვდარი ბავშვი და ზღვაში მოისროლეს. გონდაკარგული დედის შეჩერება ვერავინ მოასწრო და ის საცოდავიც ზღვაში გადაეშვა“ (შინქუბა 2017: 84-85).

მეხსიერების ტკივილიანი ნაჭდევია ისიც, რომ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები დღემდე ერიდებიან თევზის ჭამას – იმხანად ხომ ბევრი იქცა თევზების ლუკმად შავ ზღვაში... ამ სულისშემძვრელ ამბავს ბათუმელ აფხაზთა 21-ე საუკუნის თაობაც ინახავს (აფხაზები... 2018: 135) და არა მხოლოდ ბათუმელ აფხაზთა: 2018 წელს ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციის წევრებს ქართველთა სოფელ კოზლოუქში (ქოჯაალის რაიონი, საქარიას პროვინცია) გვიამბეს მახლობელი სოფლის – ჯაფერიეს შესახებ: იქ აფხაზები ცხოვრობენ და გემით მგზავრობის ეპიზოდები იმხელა ტკივილად მოჰყვებათ, თევზს დღემდე პირს არ აკარებენო... ჯაფერიეში მისვლა მაშინ ვერ მოვახერხეთ, თუმცა დავაზუსტეთ, რომ ამ სოფლის ძირითადი მოსახლეობა აფხაზებია. პირველი ოჯახები აქ მე-19 საუკუნის შუა ხანებში დასახლდნენ. 70-იანი წლების ბოლოს მუჰაჯირთა ახალი ტალღა გამოჩნდა. ეს ისტორია ჯაფერ აზბას უკავშირდება, სწორედ მის პატივსაცემად დაერქვა სოფელს ჯაფერიე. აზბების გარდა ჯაფერიელ აფხაზთა გვარებია აბულბა, აიოზბა, არგუნი და სხვ.

ეს სულისშემძვრელი სურათები ქართველთა, აფხაზთა, ჩერქეზთა და სხვა ხალხთა მუჰაჯირობის ისტორიის ნაწილია. დრომ ბევრი რამ წაშალა მეხსიერებიდან, თუმცა არა ყველაფერი და მუჰაჯირთა შთამომავლები დღემდე მიაგებენ პატივს დაღუპულთა ხსოვნას. აქ უნდა გავიხსენოთ ბათუმელი აფხაზის ანზორ კუდბას მოთხრობა „გზა“, რომელიც რეალობიდან ფაქიზად ამოკრეფილი მარცვლებისგან შედგება და აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების, მათ შორის ბათუმელი აფხაზების, სულის მოძრაობის არაერთ შთამბეჭდავ დეტალს ეხება. მოთხრობაში კუდბათა მუჰაჯირობის ისტორიაცაა წარმოდგენილი: აფხაზეთიდან მიგრირებული სამი ძმიდან ორი აჭარაში დარჩა, ერთი, ქერიმი, თურქეთის სიღრმეში გაჰყვა მუჰაჯირთა ნაკადს და საქარიას პროვინციის ერთ-ერთ სოფელში (ყარადერეში) დასახლდა. თხზულების ერთ ფრაგმენტში სწორედ ქერიმის შთამომავლები სტუმრობენ ბათუმს და მუჰაჯირობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ესწრებიან. სწორედ ამ დღეს (მაისის მიწურულს) აფხაზები და ქართველები კატარღით გადიან ზღვაში და დაღუპულთა სულების მოსახსენებლად ყვავილების თაიგულს ჩაუშვებენ ზღვაში: „ასე მოვიხადეთ ჩვენ ჩვენი ვალი სვეგამწარებული ჩვენი წინაპრების წინაშე“, – წერს ავტორი (კუდბა 2015: 19).



ძნელი სათქმელია, პირველად ვინ და როდის ჩაუშვა ყვავილი ზღვაში დაღუპულ მუჰაჯირთა ხსოვნის პატივისცემის ნიშნად, მაგრამ აშკარაა, რომ ტრადიციად ქცეული ეს აქტი თაობათა ტკივილის გამოხატულებაა, იმ ტკივილისა, სამუდამო ნაჭდევად რომ შერჩა აფხაზთა მეხსიერებას და სულს...

**დასკვნა:**

მუჰაჯირთა მგზავრობასთან დაკავშირებული პრობლემები გადასახლებათა ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. კონკრეტული დეტალები ფართოდაა წარმოდგენილი თანადროულ პრესასა და მოგზაურთა ჩანაწერებში, ასევე, მხატვრულ ლიტერატურაში და მუჰაჯირთა შთამომავლების ნარატივებში. მუჰაჯირები სამშობლოდან შორს მიემგზავრებოდნენ საზღვაო ან სახმელეთო გზით. განსაკუთრებით მტკივნეული კვალი დააჩნია თაობათა მეხსიერებას საზღვაო გზამ. უპირატესად აქ იგულისხმება ის მიგრანტები, რომლებიც გემით მიემგზავრებოდნენ ოსმალეთის იმპერიის სიღრმეში. უფრო ახლოს, მაგალთად, ბათუმამდე მგზავრობისთვის აფხაზი მუჰაჯირები მეთევზეთა ჩვეულებრივ ნავებსაც იყენებდნენ. ამგვარი მოგზაურობა, უმეტეს შემთხვევაში, მშვიდობიანად მთავრდებოდა, თუმცა ბათუმელი აფხაზები დღემდე ჰყვებიან უბედური შემთხვევებისა თუ მძარცველ მენავეთა ამბებსაც. გემით მიმავალთა ჯოჯოხეთურ ისტორიებს ინახავს როგორც საქართველოში (აჭარაში), ასევე, განსაკუთრებით, თურქეთში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერება, გარდა ამისა, ქართველ თუ აფხაზ მწერალთა მხატვრული ტექსტები. უამრავი ადამიანი შეეწირა უამინდობას, ეკიპაჟის უსულგულობას, სიხარბეს, სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობას, დაუდევრობას და ა.შ. მეხსიერების ამ ტრაგიკული შრის ანარეკლია თაობიდან თაობაზე გადასული ტრადიცია: აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები 21-ე საუკუნეშიც ყოველწლიურად პატივს მიაგებენ ზღვაში დაღუპულთა ხსოვნას.

### გამოყენებული ლიტერატურა

აფხაზები... 2018: აფხაზები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა, მონოგრაფია, ავტორები: ჯემალ კარალიძე, მალხაზ ჩოხარაძე, რევაზ დიასამიძე, ნატალია ლაზბა, მარინე შალიკავა, რამაზ სურმანიძე, ქეთევან შოთაძე, მანანა თავდგირიძე, მარიამ ჩოხარაძე, თენგიზ თავდგირიძე. ბათუმი, 2018.

აჩუგბა 1988: აჩუგბა თ., აფხაზთა დასახლება აჭარაში. ბათუმი, 1988.

კუდბა 2015: კუდბა ა., დიდი წვიმის სიმფონია. ბათუმი, 2015.

შინქუბა 2017: შინქუბა ზ., უკანასკნელი უბიხი. თბილისი, 2017.

---

**ჩოხარაძე... 2018:** ჩოხარაძე მ., ფუტკარაძე მ., თურქულენოვანი მხატვრული ტექსტები ქართველთა მუჰაჯირობის შესახებ: ილჰან აქინის „უხმო ქვითინი“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, №12. ბათუმი, 2018.

**ჭიჭინაძე 1912:** ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია. თბილისი, 1912.

**ხორავა 2004:** ხორავა ბ., აფხაზთა მუჰაჯირობა. თბილისი, 2004.

**Akın 2014:** Akın İ., Sessiz feryat (Gürcü Göçü). İstanbul, 2014.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6997>

სათჯახო არქივიდან –  
აკაკი ჯობავას ჩანაწერები  
„ფიქრები აფხაზებზე“

**Archival insights: Exploring Akaki Jobava's records  
on „Thoughts about Abkhazians“**

**მაია ტერტსვაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Maia Tsertsvadze**  
Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

This paper, presented at the conference, discusses the records of Akaki Jobava (1893-1969), a native of Abkhazia and an ethnically Abkhazian individual, focusing on his work titled „Thoughts about Abkhazians“. These recordings, written in Russian and dated 1961, have been preserved within the author's family archive and handed down to us by his descendants. Before the revolution, Akaki Jobava served in the Russian army, holding a military rank. After the revolution, he returned to his homeland, settling in Sukhumi, and assuming the role of Chief Accountant in the Ministry of Finance of the Autonomous Republic of Abkhazia for several years. Akaki Jobava was a highly educated and literate person, deeply connected to Abkhazian culture and devoted to his homeland. He was fluent in Abkhazian, Megrelian, and Russian languages.

Akaki Jobava was married to Zinaida Karichashvili (1905-1981), a Georgian woman, daughter of Ni-koloz Karichashvili, and the niece of Davit Karichashvili (1862-1927) a renowned Georgian public man. Zinaida's mother Mariam was a sister of Leonide (1861-1921), Catholicos-Patriarch of All Georgia, during 1919-1921. After graduating from the Pedagogical Faculty of Tbilisi State University in 1927, Zinaida was assigned to work as a teacher of Georgian language and literature in Sokhumi, where she met her future husband. Later, the couple relocated to Tbilisi, and they had a son named Leonide (Leo) Jobava (1937-1993), who earned a candidate

of technical sciences degree and served as an assistant professor at the Polytechnic Institute of Georgia. Influenced by his mother and the Georgian environment he grew up in, Akaki Jobava's son identified himself solely as Georgian and was an ardent patriot of Georgia. This sentiment extends to Akaki Jobava's grandchildren as well, who have a Georgian mother and currently reside in exile. Akaki Jobava, his wife, and his son rest in peace at the Digomi cemetery in Tbilisi.

Akaki Jobava's notes reflect his perspectives and opinions on the legal status of Abkhazians during the pre-revolutionary and Soviet periods. They were written with deep affection for Abkhazia and its people, accompanied by anguish caused by Russia's colonial policy in Abkhazia, the mistreatment and harassment of compatriots, the erosion of Abkhazian traditions, and the decline of the Abkhazian language. Even today, Russian policy continues to exert negative consequences in Abkhazia, which remains de facto separated from Georgia, leading to the ongoing degeneration and destruction of the Abkhazian people. Given this context, Akaki Jobava's notes, as presented at the conference, hold significant importance and deserve special attention.

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, აკაკი ჯობავას ჩანაწერები აფხაზეთზე, რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში.

**Keywords:** Georgian-Abkhaz relations, Akaki Jobava's notes on Abkhazia, Russia's colonial policy in Abkhazia.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენება ეძღვნება აფხაზეთის მკვიდრის, ეთნიკურად აფხაზი აკაკი ლუკას ძე ჯობავას (1893-1969) ჩანაწერებს, რომლის სათაურია „ფიქრები აფხაზეთზე“. რუსულ ენაზე შესრულებული ეს ჩანაწერები, რომლებიც 1961 წლით არის დათარიღებული, დაცულია ავტორის საოჯახო არქივში და იგი გასაცნობად მისმა შთამომავლებმა გადმოგვცეს.

თავდაპირველად, ვფიქრობთ, მართებული იქნება გავცნოთ ჩანაწერების ავტორის ბიოგრაფიულ ცნობებს.

აკაკი ჯობავა აფხაზი მამისა და ქართველი დედის შვილია. მამამისი, ლუკა ჯობავა, სამურზაყანოს სასწავლო ოლქის მზრუნველი („პოპეჩიტელი“) იყო. მას ცოლად ჰყავდა მეგრელი ქალი სალომე ჭანტურია. აკაკის გარდა ცოლ-ქმარს ჰყავდა ქალიშვილი ვერაც.

აკაკი ჯობავა რევოლუციამდელ პერიოდში მსახურობდა რუსეთში, მეფის არმიაში, ჰქონდა სამხედრო ჩინი, ხოლო რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, დასახლდა სოხუმში და წლების მანძილზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში მთავარი ბუღალტრის თანამდებობას იკავებდა. იყო მეტად განათლებული, წიგნიერი ადამიანი და სულით და გულით აფხაზი, აფხაზეთის ერთგული შვილი. ფლობდა მეგრულს, აფხაზურ და რუსულ ენებს.

აკაკი ჯობავას ჰყავდა ქართველი მეუღლე – ზინაიდა ნიკოლოზის ასული კარიჭაშვილი (1905-1981), რომელიც იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის დავით კარიჭაშვილის (1862-1927) ძმისშვილი და 1919-1921 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (1861-1921) დის მარიამის ქალიშვილი. ქალბატონი ზინაიდა 1927 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილების დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაანაწილეს სოხუმში, სადაც ის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა და სადაც მან თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო.

წლების შემდეგ ცოლ-ქმარი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. მათ ჰყავდათ ერთი ვაჟი – ლეონიდე (ლეო) ჯობავა (1937-1993), ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის დოცენტი.

დედისა და მისი უაღრესად ქართული გარემოცვის გავლენით აკაკი ჯობავას შვილი აღიზარდა ქართულად, თავს მიიჩნევდა მხოლოდ ქართველად და იყო საქართველოს გულმხურვალე პატრიოტი. იგივე ითქმის აკაკი ჯობავას შვილიშვილებზეც, რომელთაც ასევე ქართველი დედა ჰყავთ. ისინი ამჟამად ემიგრაციაში ცხოვრობენ: აკაკი (დაბ. 1982), პროგრამისტი, ნორვეგიაში და ნიკოლოზი (დაბ. 1985), ინჟინერი, აშშ-ში.

აკაკი ჯობავა მეუღლესა და ვაჟიშვილთან ერთად დაკრძალულია თბილისში, დიდმის სასაფლაოზე.

აკაკი ჯობავას ჩანაწერები წარმოადგენს მის შეხედულებებსა და გააზრებას აფხაზთა უფლებრივ მდგომარეობაზე რევოლუციამდელ და საბჭოთა პერიოდებში. იგი დაწერილია აფხაზეთისა და აფხაზეთის დიდი სიყვარულით და იმ გულისტკივილით, რომელიც გამოწვეულია რუსეთის მიერ აფხაზეთში კოლონიური პოლიტიკის გატარებით, თანამემამულეთა გარუსებითა და შევიწროებით, აფხაზური ტრადიციებისა და აფხაზური ენის დაკნინების ფაქტების გაცნობიერებით.

რუსული დანაშაულებრივი პოლიტიკა დღესაც გრძელდება საქართველოსგან დე ფაქტო მოწყვეტილ აფხაზეთში, რის გამოც აფხაზი ხალხი კვლავ გადაგვარებისა და განადგურების წინაშე დამდგარი. ამ კონტექსტის გათვალისწინებით აკაკი ჯობავას ჩანაწერები განსაკუთრებით საყურადღებოდ გვესახება.

მივეყვით ქართულ თარგმანს წარმოდგენილი ტექსტისა, რომელიც სასკოლო რვეულის ფურცლებზეა ჩაწერილი.

„აკაკი ჯობავას ჩანაწერები „ფიქრები აფხაზებზე“

სოხუმი, 16/X-1961 წ.

რუსულიდან თარგმნა მაია ცერცვაძემ

თანამედროვე აფხაზების შორეულმა წინაპრებმა დასასახლებლად აირჩიეს მეტად მოსახერხებელი ადგილი სიმდიდრისა და გეოგრაფიული

ადგილმდებარეობის თვალსაზრისით. ქვეყანა მართლაც ზღაპრულად მდიდარი იყო, ბუნება და კლიმატიც – ასევე შესანიშნავი. ეს კარგიც იყო და ცუდიც. კარგი იმიტომ, რომ ასეთ მაღლიან მხარეში აფხაზებს შედარებით უადვილდებოდათ ცხოვრება: ყველაფერი, რაც მათ არსებობისათვის სჭირდებოდათ, თვითვე ჰქონდათ უხვად და საარსებო რესურსების მოსაპოვებლად განსაკუთრებული ძალისხმევა არ უწევდათ. ცუდი იყო იმიტომ, რომ იგივე სიმდიდრე და მხარის ხვავრიელი ბუნება ძველთაგანვე იზიდავდა დამპყრობლებსა და კოლონიზატორებს სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან, ერთი სიტყვით, მაშინდელი სამყაროს ყოველი მხრიდან.

არაერთხელ გადაუვლია აფხაზეთზე უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელ ტალღას, არაერთხელ მოუხდენიათ უცხოტომელებს და მათ ადგილობრივ აგენტებს აფხაზი ხალხის პროვოცირება მისი დაპყრობის მიზნით.

არასწორია იმის ფიქრი, რომ „მრავალრიცხოვან უცხოელ დამპყრობლებთან მრავალსაუკუნოვან უთანასწორო ბრძოლაში დაუძლებლობა პატარა აფხაზეთმა მხოლოდ რუსეთთან მიერთების წყალობით ჰპოვა სიმშვიდე...“ (როგორც ჩანაწერების ამ აბზაციდან ჩანს, ავტორი კომენტარს უკეთებს ბრჭყალებში ჩასმულ ციტატას რომელიმე გამოცემიდან, თუმცა, სამწუხაროდ, არ უთითებს მას და ამიტომ ძნელია გავარკვიოთ, ზუსტად საიდან იმოწმებს მას. ციტატის შინაარსი მხოლოდ იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ეს არის იმდროინდელი ოფიციალის მიერ გავრცელებული აზრი, რასაც ავტორი არ ეთანხმება და აკრიტიკებს. ვფიქრობთ, ეს არის ციტატა აფხაზი ეთნოგრაფის, ისტორიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის შალვა ინალ-იფას (1916-1995) რომელიმე ნაშრომიდან – მ. ც.).

რუსეთთან მიერთებამ აფხაზეთს არ მოუტანა არც სიმშვიდე და არც საამური ცხოვრება.

მეფის რუსეთი ასევე ანადგურებდა აფხაზეთს, დაჩქარებულად ახდენდა მხარის კოლონიზაციას.

განა რუსული თვითმპყრობელობის დროს არ იფეთქა აჯანყებამ ლიხნში, როცა მოხდა აფხაზი ხალხის ცხოვრებაში ყველაზე დიდი გადასახლება და საყვარელი სამშობლოს მასობრივი დატოვება?

კარგი ცხოვრების გამო არ მიემართებოდნენ აფხაზები ზღვით თურქეთის უდაბური ნაპირებისკენ.

აფხაზეთში უცხოელ დამპყრობთა ბატონობას და რუსული თვითმპყრობელობის კოლონიალიზმს აფხაზი ხალხისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. დაიცალა ბევრი აფხაზური სოფელი, მოსახლეობა შემცირდა ორჯერ უფრო მეტად, დაცარიელებულ ადგილებში დასახლდნენ სხვა ხალხების, სხვა ეროვნების წარმომადგენლები და აფხაზები აფხაზეთში უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

მიუხედავად ისტორიის ყველა პერიპეტისა, აფხაზმა ხალხმა

შემოინახა და ჩვენს დრომდე მოიტანა თავისი განუმეორებელი თვითმყოფადი ეროვნული ნიშნები.

ოქტომბრის რევოლუციამდე აფხაზებს თითქმის არაფერი არ ჰქონდათ, ხოლო ახლა მათ თითქმის ყველაფერი აქვთ. აქვთ თავისი ლიტერატურა, თუმცა ჯერჯერობით არც ისე ყოვლისმომცველი, აქვთ მუსიკა, ხელოვნება.

შედარებით მოკლე პერიოდის მანძილზე აფხაზმა ხალხმა საკმაოდ წინ წასწია თავისი კულტურა. საბჭოთა ხელისუფლების წლები უდავოდ წარმოადგენენ სახალხო ტალანტის გაფურჩქვნის წლებს. მხოლოდ ბრძვებსა და ყრუებს შეუძლიათ უარყონ აფხაზი ხალხის კულტურისა და ყოფის პროგრესის გასაოცარი ფაქტები. ეს ყველაფერი ასეა.

ეს ყველაფერი გამოუთქმელად გასახარია, მაგრამ... არსებობს გარემოებები, რომლებიც ფიქრებს აღგვიძრავს.

თუ ამ ფაქტებს თვალს გავუსწორებთ, ისინი ასეთია:

მოსახლეობის 1959 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით აფხაზეთის მოსახლეობა 1959 წლის 15 იანვრისთვის შეადგენდა 400 000 (399,7)-ს, მათ შორის აფხაზები იყვნენ 71 ათასი, ანუ 17,7 პროცენტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის ერთ მეექვსედს ძლივს შეადგენდნენ.

იშვიათი გამონაკლისის გარდა აფხაზები არ ცხოვრობენ კომპაქტურად და როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში შერეულნი არიან სხვა ხალხების წარმომადგენლებთან და ექვემდებარებიან მათ გავლენას, კერძოდ, მეგრელთა, ქართველთა და რუსთა ძლიერ გავლენას (სამწუხაროა, რომ ჩანაწერების უაღრესად განათლებული ავტორი მეგრელებს ქართველებად არ მიიჩნევს და ცალკე ეთნოსად გამოყოფს მათ - მ. ც.). თავად აფხაზებს კი არავისზე არ ძალუძთ გავლენის მოხდენა. განა მათ მოახდინეს გავლენა ზანგებზე, რომელთა 2-3 ოჯახი ცხოვრობს აფხაზეთში და რომელთაც შეითვისეს ყოველივე აფხაზური.

აფხაზები ხალისით ქორწინდებიან სხვა ხალხების ქალებზე. ქორწინდებიან მეგრელებზე, ქართველებზე. ინტელიგენტი აფხაზები ამჯობინებენ რუს გოგონებზე ქორწინებას და ასეთი ქორწინებანი რიცხობრივად შედარებით მეტია. ბევრი აფხაზი სტუდენტი, რომელიც მოსკოვში სწავლობს, სწავლის დამთავრების შემდეგ რუსი ცოლით ბრუნდება აფხაზეთში.

დაე, იქორწინონ, ცხადია, ამის საწინააღმდეგო არ შეიძლება რამე გვქონდეს, მაგრამ დედა აყალიბებს ბავშვს.

ხოლო რუს ქალში, დედაში, ას სამოცი ათას მილიონზე მეტში ისეთი ძალაა, რომ ის ყველაფერ უცხოს გადაიტანს თავისში და მისი ნაყოფი, რა დვრიტაც არ უნდა ედოს მას, იქნება ჭეშმარიტად უცხო ნაყოფი. დაე, რუსი ქალების აფხაზმა ქმრებმა თავად თქვან - ვინ არიან მათი შვილები - აფხაზები თუ რუსები. რუსი დედა მათგან დევნის ყოველივე აფხაზურს.

საშუალო და უმაღლეს განათლებას აფხაზი ჭაბუკები უმთავრესად

რუსულ სასწავლებლებში იღებენ. ამის გამო ისინი, უეჭველია, გარკვეულწილად კარგავენ მეტყველების თვითმყოფად, ორიგინალურ მანერას და ის კონსტრუქციები, შედარებები, შეპირისპირებანი, როგორებიც სხვაგან არსად გვხვდება, მათი მეტყველებიდან ან სრულიად ქრება, ან უფერულდება.

დღეს უკვე იშვიათად შეხვდებით კოლორიტულ მოხუც აფხაზებს, ჩაცმულთ წმინდა ნაციონალურ, ბოლომდე მოკრძალებულ კოსტიუმებში. ახალგაზრდების აფხაზური მეტყველება განსხვავდება მოხუცთა მეტყველებისაგან და განსხვავდება, ვიტყვოდი, არა იმიტომ, რომ ახალგაზრდების მეტყველება უფრო ფერადოვანი გახდა, ვიდრე მოხუცთა მეტყველებაა. ენა ვითარდება, სრულიყოფა და ივსება ახალი სიტყვებით, მაგრამ ასევე ზავდება უცხო სიტყვებით და ამასთან არცთუ განსაკუთრებული საჭიროების გამო.

არსებობენ აფხაზი მწერლები, რომლებიც წერენ რუსულ ენაზე.

რა ვთქვათ მათზე?

ჩემი აზრით, მათ თავადვე ესმით, რომ აკეთებენ ცოტას, ძალიან ცოტას აფხაზი ხალხისთვის, მათ თავადვე უნდა ესმოდეთ, რომ უცხო ენაზე ნაწარმოებების შექმნით ისინი ვერ წარმოადგენენ თავის ერს, ვერ არიან მისი გამომხატველნი.

ასე რომ, შეძლებს კი აფხაზი ხალხი ასეთ პირობებში შეინარჩუნოს თავისი ორიგინალური, განუმეორებელი ნაციონალური ფიზიონომია?

აქვე მეორე კითხვაც დაისმის: საჭიროა კი ამაზე ზრუნვა? საჭიროა კი, რომ ერები შენარჩუნდნენ და საერთოდ შესაძლებელია მათი შენარჩუნება?

ბესარიონ გრიგორის ძე ბელინსკი თავის „ლიტერატურულ ოცნებანში“ წერდა:

„ყოველი ხალხი, შესაბამისად თავისი ხასიათისა, რომელიც წარმოიქმნება ადგილმდებარეობით, იმ ელემენტების ერთიანობით ან განსხვავებულობით, რომელთაგან წარმოიშვა მისი ცხოვრება და იმ ისტორიული გარემოებებისგან, რომლებშიც ის განვითარდა, კაცობრიობის მოდგმის დიად ოჯახში ასრულებს თავის განსაკუთრებულ, განგების მიერ დაკისრებულ როლს და მისი წარმატებების საერთო საგანძურში თვითსრულყოფის ასპარეზზე თავისი წილი აქვს, შეაქვს თავისი წვლილი; სხვა სიტყვებით: ყოველი ხალხი გამოხატავს კაცობრიობის ცხოვრების ერთ რომელსამე მხარეს“.

ბელინსკის ეს გამონათქვამი ეწინააღმდეგება მარქსისტულ სწავლებას ერებზე.

მარქსიზმი, როგორც ცნობილია, იცავს სოციალისტური ერების დაახლოების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ნაციონალური განსხვავებების წაშლის პოზიციას“.

ტექსტი აქ წყდება. ვფიქრობთ, მას ექნებოდა გაგრძელებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ვერ მიაკვლიეს.

რვეულის ყდაზე გაკეთებულია შემდეგი მნიშვნელოვანი მინაწერი:




„აფხაზთათვის სახასიათო მეტყველების მანერა, აზროვნების წესი:

მეტად ლამაზი ძველებური აფხაზური სახელები, ისეთები, როგორებიცაა ხაჯარატ, შატუგ, ჩიფ, ესნატ და სხვა, დღეს იდევენებიან. ესნატის შვილს ახლა არქიმევენ ივანს, შატუგისას – ნოდარს, ხაჯარატის ვაჟს კი – შოთას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ივანიც, ნოდარიც და შოთაც კარგი სახელებია, მაგრამ არა აფხაზთათვის სახასიათო“.

ყოველი ადამიანი თავისი დროისა და ქვეყნის შვილია. მათი ჩანაწერები, აღწერილ-გადმოცემული ფაქტები და მოვლენები, მათეული აღქმა და შეფასება, თანადროული ეპოქის სულისა და ტენდენციებისა და გარემომცველი საზოგადოებისა, მრავალმხრივ არის საყურადღებო და საგულისხმო წყარო და მასალა ისტორიოგრაფიისათვის. ვფიქრობთ, აკაკი ჯობავას ეს ჩანაწერები დაეხმარება აფხაზეთის ისტორიკოსებსა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევართ შეივსონ ცოდნა, გაამდიდრონ თავიანთი კვლევები და გამოიყენონ ისინი სათანადო დასკვნებისათვის.

პუბლიკაციის დასასრულს გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ აკაკი ჯობავას რძალს – ქალბატონ თინათინ კოჭლაშვილს ამ ხელნაწერი ჩანაწერების გადმოცემისა და სათანადო ცნობებისა და ფოტომასალის მოწოდებისათვის, რამაც საშუალება მოგვცა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვეტანა ისინი.

#### ფოტომასალა




ჩანაწერების რვეულის თავფურცელი



სურ. 1. აკაკი ლუკას ძე ჯობავა



სურ. 2 მეფის არმიის ოფიცერი აკაკი ჯობავა (ზის)

სურ. 3,4,5 ლუკა ჯობავა  
სამურზაყანოს სასწავლო ოლქის მზრუნველი („პოპეჩიტელი“)



სურ. 6 ლუკა ჯობავას შვილები: ვერა და აკაკი



სურ. 7 აკაკი ჯობავა და მისი მეუღლე ზინაიდა კარიჭაშვილი



სურ. 8 აკაკი ჯობავა, მისი მეუღლე და ვაჟიშვილი ლეონიდე (ლეო)



სურ. 9 აკაკი ჯობავას მეუღლე ზინაიდა და ვაჟიშვილი ლეონიდე (ლეო)



სურ.10 აკაკი ჯობავას სიდედრი მარიამ ოქროპირიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს და



სურ. 11 აკაკი ჯობავას შვილი ლეონიდე (ლეო) ჯობავა



სურ.12 აკაკი ჯობავას რძალი თინათინ კოჭლაშვილი და შვილიშვილები: აკაკი და ნიკოლოზი (ზის)

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6998>

**ბერი იაკიმე აფხაზეთში დაცული  
ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ  
(1934 წლის საარქივო მასალების მიხედვით)**

**Monk Iakime's Account of Georgian Manuscript Books  
Preserved in Abkhazia  
(Insights from Archival Materials of 1934)**

**სოფიკო ჭაავა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Sopiko Chaava**

Sokhumi shtate University  
Georgia, Tbilisi

#### ABSTRACT

The personal fund of Academician Akaki Shanidze is preserved in the National Archives of Georgia, housing a collection of various archival documents concerning Abkhazia. Notably, among these documents, is the letter sent by Monk Iakime from the village of Tsarche in Achigvara to Ak. Shanidze on December 29, 1934, stands out, along with the previously unknown descriptions of Georgian manuscript books held in Abkhazia.

Ak. Shanidze acknowledges receiving information about these manuscripts from Akaki Dzidziguri, the brother of Academician Shota Dzidziguri. Monk Iakime's letter explicitly suggests that Ak. Shanidze was offered the opportunity to acquire these books for Tbilisi State University. Within the letter, the monk further informs Ak. Shanidze that the Georgian books he had purchased were tragically consumed by fire on August 29, 1924. Fearfully, the monk entrusted the surviving books to an undisclosed person. Following Ak. Shanidze's written response, the monk embarked on a journey on foot through the mountains of Abkhazia to locate the hidden books and provide the scientist with detailed information about them. Accompanying the letter, Monk Iakime included separate sheets containing descriptions of five Georgian handwritten books preserved in Abkhazia, which he sent to Professor Ak. Shanidze.

Thus, according to Monk Iakime's account, four of the books in his possession were written in the Khutsuri script, the medieval Georgian alphabet, while two were

written in Mkhedruli, the modern-day Georgian alphabet. Taking into consideration that the seventh book was inscribed on leather, it can be presumed that it too was written in Khutsuri. Out of the seven handwritten books, four were ecclesiastical, while two were secular. The manuscripts depict biblical figures, Georgian and Greek clerics, as well as notable Georgian laypeople.

In exchange for the transfer of these books, Monk Iakime requested that Prof. Ak. Shanidze advocates for the restoration of the then-destroyed Bedia and Bagrati Cathedrals, thereby exemplifying his profound love for his homeland, religion, and cultural heritage monuments.

Regrettably, no further information regarding Monk Iakime of Tsarche is currently available. Future research endeavors hold promise for unveiling his biography and contributions to the Georgian church and cultural domain.<sup>9</sup>

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ხელნაწერი წიგნები აფხაზეთში, აკაკი შანიძის პირად ფონდში დაცული დოკუმენტები აფხაზეთის თემატიკის შესახებ.

**Keywords:** Georgian handwritten books in Abkhazia, documents about Abkhazia kept in Akaki Shanidze's personal fund.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია აკადემიკოს აკაკი შანიძის პირადი ფონდი, სადაც ინახება რამდენიმე დოკუმენტი აფხაზეთის თემატიკაზე. მათ შორის საყურადღებოა 1934 წლის 29 დეკემბერს აჩიგვარიდან, სოფელ წარჩედან ბერ იაკიმეს მიერ აკ. შანიძისთვის გამოგზავნილი წერილი, რომელშიც მოცემულია ბერის მიერ აფხაზეთში შექმნილი და შენახული ქართული ხელნაწერი წიგნების აღწერილობა. როგორც აკ. შანიძე აღნიშნავს, ამ ხელნაწერების შესახებ ინფორმაცია მას მიუღია აკაკი ძიმიგურისგან (აკადემიკოს შოთა ძიმიგურის ძმა – ს. ჭ.): „სტუდ. აკაკი ძიმიგურმა (შოთას ძმამ) მითხრა, რომ იაკიმე ბერს, რომელიც ამჟამად აჩიგვარაში ცხოვრობს, სოფ. წარჩეში ქართული ხელნაწერები მოეპოვებაო. მე მივსწერე წერილი, რომ გადმოგზავნა ჩემთვის ეს ხელნაწერები და პასუხად ეს მივიღე. ა. შანიძე. 15/ I 1935” (სეა, ფონდი 268, ანაწერი 1, საქმე №178, ფურცელი 4ა).

ფურცელზე აღნიშნული ამ მინაწერის მეორე მხარეს წარმოდგენილია ბერი იაკიმეს წერილი ა. შანიძისადმი:

„იაკიმე ბერის პასუხი ჩემს წერილზე (აჩიგვარადან სოფ. წარჩედან, გალის რაიონში).

დიდათ პატივცემულო ბატონო ა -

მივიღე თქვენი წერილი ბოდიშს ვიხდი პასუხი დაგიგვიანეთ. მიზეზი ეს იყო ის წიგნები რომელსაც თქვენ მწერთ 1924 წლიდან ჩემთან არ არის სხვაგან მქონდა გადაგზავნილი რადგანაც ზემო თქმულ წლის



29 მარიამობისთვეში ცეცხლს რაც გადაურჩა შიშით სხვას მივაბარე როცა თქვენი წერილი მივიღე მაშინათვე განვიზრახე მომენახა და თქვენთვის პასუხი მიმეცა მაგრამ აფხაზეთ. მთიან ადგ. ფეხით მგზავრობამ დამაგვიანა იქ მოხსენებული წიგნები მოვანახე და მოკლედ გწერთ რა წიგნებია. არის კიდევ ორი წიგნი შორს გადაგზ. მოძებნა და იქ წასვლა გაზაფხულამდე გასაჭირია – ერთი ვფიქრობ ტყავზე დაწერილი. არის. როცა ვნახავ იმასაც მოგწერთ. ერთი პატარა ტანის წიგნი ლურჯ ქაღალდზე მხედრულად ნაწლამაზად დაწ. რომლის დრო და ჟამი არ არის მოხსენებული ბოლოს რამოდენიმე აკლია ეს არ იყო ეკლესიური კარგი წასაკითხავიც იყო მაგრამ როგორც თათრული მისი არ მესმოდა და სიტყვა გამომქონდა სათაურში რომელსაც განსაზღვრებს არისტოტელი ეწერა.

მერე რაღაც დახაზული იყო და ეწერა ზო ადგილზე არავინ კაცი ქვა არს, არც ქვა – ცხოველ არს. თუ რაღაცები ჩემთ. უცნაური გარემომოზომნიო სულოგიზმოვო თუ რაღაცები.

ეს წიგნი მე ლენინგრადში შოთას გადაუგზავნე რადგან ეს იამოვნებოდა ვიცოდი ძველი წიგნი. მწერთ თუ საინტერესო აღმოჩნდა უნივერს. შევაძენიებო. არა ბატონო, მე თუმც – მე ისინი ზოგი ვიყიდე და შრომით აქამდის შევიანახე, მაგრამ ეს საერთო ქონება არის. მე მაგის სასყიდელს არ ვითხოვ. ვინც ეს თქვენ მოგახსენათ იმას და მის ძმას დაუთმობ<sup>1</sup> – როცა გავიგებ თქვენ გჭირიათ ესენი და უთუოდ მიიღებთ, გთხოვთ ბედიას და ბაგრატ-მესამის ტაძარს, ნახევრად დანგ ნუ დაივიწყებთ, გახსოვდეთ, როგორც საისტორიო ძეგლს“. პატივიცემით ბ. იაკიმე. 1934 წ დეკ 29 (სუა, ფონდი 268, ანაწერი 1, საქმე №178, ფურცელი 4).

ამრიგად, ბერი იაკიმეს წერილიდან ირკვევა, რომ 1924 წელს ცეცხლს გადარჩენილი წიგნები ბერმა აფხაზეთის მთებში გადაძალა და აკ. შანიძის მიერ გაგზავნილი წერილის მერე წავიდა ამ წიგნების აღსაწერად. ბერმა იაკიმემ ცალ-ცალკე ფურცლებზე დაწერა ინფორმაციები ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ და მეცნიერს გამოუგზავნა. ამის გარდა, სასულიერო პირს აფხაზეთის მთების იქით, უფრო შორს გადაძალული ჰქონდა კიდევ ორი წიგნი, რომელთაგან ერთი ტყავზე იყო დაწერილი, ხოლო მეორე № მხედრულად ნაწერი, არასაკლესიო შინაარსისა. ეს მეორე წიგნი შესაძლოა ყოფილიყო ქართულად თარგმნილი არისტოტელეს რომელიმე ნაშრომი, რომელიც ბერმა აკაკი ძიძიგურს რუსეთში გადაუგზავნა. ჩანს, რომ ა. ძიძიგურმა ისევ დაუბრუნა აღნიშნული წიგნი მფლობელს, რადგან იაკიმე ა. შანიძეს დაჰპირდა ზემოაღნიშნული წიგნების მოძიებას გაზაფხულისთვის.

ვინაიდან ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალები პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, წარმოვადგენთ ბერის მიერ შედგენილი 5 წიგნის აღწერილობების სრულ ტექსტს:

1. „წიგნი მოდიდო ტანისა – ხუცურად ნაწერი, ძალიან თხელი და მაგარი ქაღალდზე ნაწერი.

<sup>1</sup> მე მითხრა აკაკი ძიძიგურმა. მისი ძმა არის შოთა.

თვესა სეკტენზერსა იდ წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ანდრია მთავარ ეპისკოპოსისა სიტყვა – მსოფლიო ამაღლებისათვის პატიოსნისა და ცხოველსმყოფ. ჯვარისა. მეორე მისივე ჯვარისათ. თვესა დეკემბერსა კე უწყებათაგან პირველთა დიდითა გამოწვლილვითა შეკრებილი იოანე ხუცისა და მონაზონისა დამასკელისა შობისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. თვესა თებერვალსა ბ – თქმული წმინდ. მ. ამფილქსევიკო-წელისა მიგებებისათვისა მაცხოვრისა.

თვესა მარტსა კე იოანე მთავარ ეპისკ. თესალონიკელისა განკაცებისათვის უფ. ჩ-ი-ო ქრისტესსა და ხარებისათვის ყ-დ წ-ა ლ-თს მშობ-

თვესა აგვისტოსა ვ წმ მ-ჩ ეფრემ ასურისა ფერისცვალებისათვის უფლისა.

თვესა აგვისტოსა იე მიცვალებულისათვის ყ-დ წ-ა ღვთისმშობელისა ქვეყ. ზეც. კესარიელისა ბასილისაგან თქმული თვეა აგვისტოსა კთ ნეტ ანდრიას იერუსალიმელ კრიტელ მთ-ეპ-თავის კვეთისათვის იოანე ნათლის მცემლისა.

მეხუთესა ხუთშაფათსა დიდმარხვისასა ცხოვრება ნეტარისა დედისა ჩვენისა იორდანისათა. (წინასიტყვაობა) საიდუმლოთა მეფისათა დამარხვა კეთილ არს ხოლო საქმეთა ღვთისათა ქადაგება ქებულ არს და დიდებულ რამეთუ ესრეთ რქვა ღმერთმან ტოვითს შაფათსა. ანდრია კრიტელ იერუსალიმელისა ლაზარესთვის ოთხ დღე მომკვდრისა, რომელი აღადგინა ღმერთმან. თქმული წ. მ. ჩ. ოქროპირისა საკითხავი ბზობისათვის.

მისივე

დიდსა ხუთშაფათსა განცემისათვის იუდასა და მიცემისათვის საიდუმლოთა რათა არა ვიხსენებდეთ ძვირსა.

დიდსა პარასკევს გიორგი ნიკომიდიელ მთ. ეპ. ჯვარცმისათვის. დიდსა პარასკევსა მოსახსენებელი ვნებისათვის უფლისა თქმული ანანია ებრაელისა.

და ბოლოს ხუცურად ნაწერ წიგნზე აწერია მხედრულად ადიდენ ღმერთმან მრჩობლთავე შინა ცხოვრებათა ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლ, რომლის ბრძანებითა და საფასითა აღიწერა წიგნი ესე უნდო მღვდელი ვინმე მარტვილის კანდელანთი ეგნატი - ჩყ წ.

მე ვფიქრობ შემდეგში მიწერილად ერთია და წიგნი ხუცურია და ეს კი მხედრული მეორე ცალკე ფურცელშია მიწერილი.

2. მეორე წიგნი უფრო დიდი უფრო სქელი მაგარი და უფერულ ქაღალდზე ნაწერი ხუცურად ცხოვრება და ქადაგებანი იოანე ღვთისმეტყველისა აღწ. პროხორეს მიერ მოწაფისა მისისა.

ცხოვრება ნეტარ იოანე ოქროპ. მოძღვრისა ყოვლისა მსოფლიოს კონსტანტინეპ არხ-ეპისკოპ. საკმაოდ დიდია და მაშინდელი დროის საბერძნეთის სამეფო ისტორიაც მოთხრობილია ამის ცხოვრებასთან. დასასრულს აწერია ჩართული ხელით ხუცურად:

ადიდენ ღმერთმან ორსავე შინა ცხოვრებასა

**ჰყონდიდელ მიტროპოლიტი გაბრიელი რომლის ბრძანებითა  
აღიწერა წიგნი ესა –**

და შემდეგ გარკვეული ასოებით აწერია ისევ ხუცურად გადაიწერა ბრძანებითა და საფასითა ბეჟან დადიანის ძის ჰყონდიდელ მიტროპოლიტის გაბრიელისათა პალატსავე მისსა ადგილსა წ~სა მ~თ მოწ. გიორგისსა სუჯუნას ხელითა ქართველი სალაყაია ლაზარესითა. მერე თქმული კოზმან ჯოსტიტორისა რომელი არს მეფეთ მეჭურჭლე აღმოსვლვისათვის ნაწილთა იოანესთა კომანით კონსტანტინოპოლოდ თარგმნილი ეფთიმის მიერ.

**3. მესამე წიგნი.**

საეკლესიო სადღესასწაულო ლამაზად და კარგათ ნაწერი ხუცურად სისქით დიდია ისე პატარა ტანისა არის.

ბოლოს აწერია განსრულდა სადღესასწაულო ესე ხელითა მღვდლის ოსეს გაბაონელის მოძღვრის ზაქარაიას ძისათა ქეს აქით ჩყ. კდ. ეს წიგნი მთხოვა კათალიკოს ამბროსიმ როცა აფხაზეთის ეპარქ მართავდა. რათ გინდა შენ აქ ეს მე მომეციო ვარი ვერ უთხარი და როცა ბედიდან ოჩამჩირეში მიდიოდა სოხუმში წასავალად თან ვახლდი და წასვლაზე ისევ გაიმეორა წიგნი წამოიღეო გულში მეწყინა შემატყო და მითხრა არ წაგართმევო ნუგეშინიაო ოჩამჩირემდის წამოიღეო და წავიღეთ და იქ მეორე დღეს ხელში მომცა - და მომიბრუნდა და მითხრა ეს არ დაკარგოვო საისტორო არისო. მე არ ვიცი - რა არის ვიცი საეკლესიო წიგნია - სადღესასწაულო წმინდანების საგალობელი.

**4. მეოთხე წიგნი მხედრულად ლამაზი ხელით ნაწ.**

**წინასიტყვაობა**

წინამდებარისა წიგნისა ხუთ ტაეპოვანთა სტიხთა ქმნილი გაიოსისმერახი დიაკონისა.

თითქმის შაირი სიტყვებით ყველანი ქართველი მეფეები მწერლები და წმინდანები არიან მოხსენებული. შოთა საბა ორბელიანი თამარი დიმიტრი თავდადებული ჩახრუხამე არჩილ და ლუარსაბი შიომღ. დავით გარეჯელი. ისე წილკნელი აბიბოსი ვახტანგი. და ყველანი მოკლე შაირებით კითხვა კარგათ შემიძლია და ბეური რამ არ მესმის ამ ქართული სიტყვებიდან.

ეს წიგნი არის საშვალო ტანისა შემდეგში. არის მიწერილი მხედრულადვე უშნოდ ჩყლზწ. დავით დადიანმა მაჩუქა თავად გრიგოლ წერეთელი.

5. 1843 წ დედანიდან ხუცურად ლამაზი ხელით გადმოწერილი საირმის მონასტერში გრიგოლ ბერის მიქელაძის მიერ საკითხავი ადამ და ევასი“.

წიგნი 1 წ2 წ3 წ4 წ5 წ6 წ7 წ8 წ9 წ10 წ11წ12 წ13 წ14 წ15 წ16 წ17 წ18 წ19 წ20

ცხოვრება მარკოზ განშორებული – ცხ. აღათ-ანგელოსისა, ცხ. კლიმი ანკვირიელისა“ – ესენი ერთ წიგნათ არის პატარა ტანისა. მოხსენიებული

არის თაყაიშვილის არხეოლოგიურ მოგზაურობის წიგნის ხობის მონასტრის აღწერის 160 ფ. ის წ. ჩემთან არის. კიდევ მიქელაძე ბერის ნაწერი მხედრულად. ათანასი ალექსანდრიელისა კითხვა მიგებ. არსანუფ და იოანესი“ (სეა, ფონდი 268, ანაწერი 1, საქმე №178, ფურცელი 1-3).

მაშასადამე, ბერი იაკიმეს ცნობით, მის მიერ აფხაზეთში შენახული 4 წიგნი ხუცური ასოებით იყო დაწერილი, 2 წიგნი – მხედრულად. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეშვიდე წიგნი ტყავზე იყო შესრულებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისიც ხუცურად ყოფილიყო დაწერილი. 7 ხელნაწერი წიგნიდან 4 საეკლესიო შინაარსისა იყო, 2 – საერო, ხოლო ერთის შესახებ ინფორმაცია არ არის დაზუსტებული. ხელნაწერ წიგნებში მოხსენიებულნი არიან ბიბლიური პერსონაჟები, ქართველი და ბერძენი სასულიერო პირები, ქართველი საერო პირები (დავით დადიანი<sup>2</sup>, თავადი გრიგოლ წერეთელი<sup>3</sup>, ექ. თაყაიშვილი, ბეჟან დადიანი, სალაყაია ლაზარე)...

ზოგჯერ ბერი შემოკლებით და შეცდომებით წერს სიტყვებს, ხშირად გამოტოვებული აქვს სასვენი ნიშნებიც, მაგრამ ტექსტის უმეტესი ნაწილის წაკითხვა და შინაარსის გამოტანა შესაძლებელია. სამაგალითოდ და დასაფასებელია მისი დამოკიდებულება ზემოაღნიშნული საგანძურის მიმართ. ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ბერმა თავისი სახსრებით შეიძინა წიგნები, შეინახა და უფრთხილდებოდა მათ, როგორც საქართველოსა და ქართველი ხალხის საერთო სიმდიდრეს. ბერი მზად იყო მის მიერ ნალოლიაგები წიგნები შოთა შიშველიშვილისათვის და აკაკი შანიძისთვის უსასყიდლოდ გადაეცა, რადგან იცოდა, რომ მეცნიერები ამ წიგნებს სათანადო ადგილს მიუჩენდნენ და გაუფრთხილდებოდნენ.

საარქივო მასალებში ჯერ ვერ მივაკვლიეთ ცნობას, სინამდვილეში გამოაგზავნა თუ არა ბერმა აფხაზეთიდან თბილისში ქართული ხელნაწერი წიგნები, ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ. ის ფაქტი, რომ აფხაზეთში დაცული იყო უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუშებით შედგენილი რელიგიური და საერო შინაარსის ხელნაწერი წიგნები, რომლებსაც ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც ქვეყნის ფასდაუდებელ საგანძურს, კიდევ ერთხელ, ადასტურებს იმ სინამდვილეს, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი.

წიგნების გადაცემის სანაცვლოდ, ბერმა იაკიმემ პროფ. აკ.

<sup>2</sup> დავით დადიანი – სამეგრელოს მთავარი, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი. დ. დადიანი მწიგნობრობის დიდი მოყვარული იყო. შეაგროვა ქართულ ხელნაწერ წიგნთა მდიდარი კოლექცია, რომელიც შემდეგ მისმა შვილმა ნიკო დადიანმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

<sup>3</sup> გრიგოლ წერეთელი – იმერეთის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის და თამარ დადიანის უფროსი შვილი. უყვარდა ხელნაწერების გადაწერა. შექმნა მდიდარი ბიბლიოთეკა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში შესულია გრიგოლის ნაქონი მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ბევრი გრიგოლის დაკვეთით არის ნათარგმნი და გადაწერილი.

შანიძეს სთხოვა, მიეხედა ბედიისა და ბაგრატის იმ პერიოდისთვისაც განადგურებული ტაძრებისათვის და ამ თხოვნით კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა თავისი სიყვარული სამშობლოსადმი, თავისი სარწმუნოებისადამი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისადმი.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება სხვა ცნობები წარჩელი ბერის იაკიმეს შესახებ. იმედია, მომავალი კვლევა დაადგენს მის ბიოგრაფიასა და ღვაწლს ქართული ეკლესიისა და კულტურის წინაშე.

#### გამოყენებული წყარო

სეა: საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 268, ანაწერი 1, საქმე №178.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.6999>

**დიმიტრი ყიფიანის საიდუმლო მოხსენება  
აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის  
მიხეილ შარვაშიძის შესახებ**

**Dimitri Kipiani's Confidential Report  
on the Life and Legacy of Mikheil Sharvashidze,  
the Last Prince of Abkhazia**

**მაგდა ჭიქაბერიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Magda Chikaberidze**  
Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

Dimitri Kipiani's secret report, authored on October 12, 1855, regarding Mikheil Sharvashidze, the last Prince of Abkhazia, remains highly relevant in the context of Georgia's history, particularly concerning Russia's occupation of the country. This report presents significant historical events, their analysis, and evaluation by the speaker, Dimitri Kipiani, providing intriguing insights that deserve careful consideration. The objective of this research is to revive forgotten or lesser-known aspects of Georgian history, introduce remarkable historical figures to readers, and shed light on their contributions.

During the Crimean War in 1853-1856, Abkhazia was occupied by the Turkish army, and with the aid of Prince Mikheil Sharvashidze, the Russian army successfully evacuated without any casualties. Subsequently, in May 1854, Mikheil Sharvashidze, along with his wife and children, sought refuge with his father-in-law's family in Samegrelo, only to return to still-occupied Abkhazia about a year later. This raised suspicions within the Russian government, prompting the dispatch of a secret mission to Western Georgia in September 1855, led by civilian adviser Dimitri Kipiani. Kipiani traveled through Imereti, Guria, and Samegrelo, gathering valuable information and opinions from individuals closely associated with Mikheil Sharvashidze, ultimately submitting his comprehensive report to the government.

Dimitri Kipiani's strong sympathies and a fervent desire to exonerate Mikheil Sharvashidze are evident in the document, perceptible even to Crown Prince Nikoloz Muravyov, who expressed skepticism by marking certain words, phrases, sentences, and paragraphs in red. Nevertheless, Kipiani's report played a significant role in securing the acquittal of the Prince of Abkhazia in St. Petersburg, despite the planned abolition of the Abkhazian principality in 1864. Not merely an official record, Kipiani's report also demonstrates elements of fiction, as he skillfully narrates contemporary events with artistic flair, capturing the interest of readers through vivid portrayals of historical personalities such as Mikheil Sharvashidze, Alexandra Dadiani-Sharvashidze, Giorgi Dadiani, Ivane Mukhranbatoni, Ekaterine Chavchavadze-Dadiani, and Omer-Pasha. Furthermore, the report serves as an invaluable historical source, offering intriguing insights into ongoing political events in Georgia and the Russian-Turkish war on a broader scale.

**საკვანძო სიტყვები:** რუსული მმართველობის დამყარება აფხაზეთში, აფხაზეთის სამთავრო, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ შარვაშიძე.

**Keywords:** Establishment of Russian rule in Abkhazia, Principality of Abkhazia, Dimitri Kifiani, Mikheil Sharvashidze.

„ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ყიფიანის, მოხსენება“ დათარიღებულია 1855 წლის 12 ოქტომბრით. ის, სხვა დოკუმენტურ მასალასთან ერთად, შეტანილია საქმეში, რომელიც ასეა დასათაურებული: „საქმე იმ ეჭვების შესახებ, რომლებიც აფხაზეთის მთავრისგან მართებლობის ღალატს ეხება“. საქმის შედგენა დაწყებულია 1855 წლის 20 ივნისს და დასრულებულია 1856 წლის 7 ივლისს.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: აფხაზეთის სამთავროს ისტორია XVII საუკუნის დასაწყისიდან იწყება. „საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის დროს (XV ს. II ნახ.) აფხაზეთი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში შედიოდა. XVI საუკუნის ბოლოდან აფხაზმა ფეოდალებმა შარვაშიძეების მეთაურობით იწყეს განკერძოებისათვის ბრძოლა, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში დამთავრდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს შექმნით. აფხაზეთის სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი იყო მდინარე კოდორი. აფხაზი ფეოდალები სამთავროს საზღვრების გასაფართოებლად ებრძოდნენ დადიანებს, ცდილობდნენ დაჰპატონებოდნენ სამეგრელოს მიწა-წყალს მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ბოლოს, XVII საუკუნის მიწურულს, შარვაშიძეებმა სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი მდინარე ენგურამდე გადასწიეს“ (ქსე 1977: 31-32).

დიმიტრი ყიფიანის გადმოცემით, რუსული მმართველობის

დამყარებამდე „მთელი აფხაზეთი ამ შავიზღვისპირა მხარეში განთქმული ქელემ-ბეი შარვაშიძის ხელში იყო. იგი მოკლულ იქნა საკუთარი შვილის, ასლან-ბეის, მიერ და ამის შემდეგ სამფლობელო ქელემ-ბეის სამმა კანონიერმა შვილმა გაიყო: მამის მკვლელმა ასლან-ბეიმ, ჰასან-ბეიმ და ბათალ-ბეიმ. როცა ჩვენი ხელისუფლება იქ შევიდა, აფხაზეთს სამი დაპირისპირებული პარტია გლეჯდა და წეწდა“ (ყიფიანი 2019: 67). ხელისუფლებამ ყურადღება მიაპყრო მოკლული მთავრის უკანონო შვილს – საფარ-ბეის, როგორც „შინაური შფოთისა და არეულობის აღკვეთის საშუალებას“. მოგვიანებით აფხაზეთის მფლობელი გახდა საფარ-ბეის შვილი, დიმიტრი, რომელიც მალე მოკვდა და მემკვიდრედ მისი ძმა, მიხეილ შარვაშიძე, გამოცხადდა (იქვე).

1853-1856 წლებში, ე.წ. ყირიმის ომის დროს აფხაზეთი თურქეთმა დაიკავა. რუსეთის ჯარი იძულებული გახდა, სამთავრო დაეტოვებინა. აფხაზეთის მთავრის, მიხეილ შარვაშიძის, დახმარებით ჯარმა მშვიდობიანად, უმსხვერპლოდ დატოვა აფხაზეთი. რუსეთთან დაპირისპირებული კოალიციის (ოსმალეთ-ბრიტანეთ-საფრანგეთ-სარდინია) „გეგმებში ნაგარაუდვეი იყო საქართველოს, ყირიმისა და ჩერქეზეთის ჩამოშორება რუსეთისაგან და მათი გადაცემა თურქეთისათვის“ (ჩხეტია 1963: 123). რაც შეეხება მიხეილ შარვაშიძეს, ის 1854 წლის მაისს სამეგრელოში სიმამრის, გიორგი დადიანის, ოჯახში გაიხიზნა, გარკვეული დროის შემდეგ კი აფხაზეთში დაბრუნდა, რამაც ეჭვები აღძრა, რომ აფხაზეთის მთავარი რუსეთს ღალატობდა. ვითარების შესასწავლად კავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრის, გენერალ ვასილ ბებუთოვის<sup>1</sup>, ინიციატივითა და მეფისნაცვალ ნიკოლაი მურავიოვის<sup>2</sup> თანხმობით 1855 წლის სექტემბერში ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი დიმიტრი ყიფიანი საიდუმლო მისიით დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. ქუთაისის გუბერნიაში მისი ჩასვლის რეალური მიზანი მხოლოდ სამი პირისთვის იყო ცნობილი: იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ჯარების მეთაურ გენერალ-მაიორ ივანე მუხრანბატონისათვის, აგრეთვე მთავრის მეუღლისა და სიმამრისათვის. დიმიტრი ყიფიანმა მოიარა იმერეთი, სამეგრელო და გურია. მისი გადმოცემით, მიხეილ შარვაშიძის დაბრუნება აფხაზეთში ისეთი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რომ მის შესახებ მთელ ქუთაისის გუბერნიაში იმ დრომდე ლაპარაკობდნენ. „ყველგან – იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, ვისთანაც რამე სიტყვა დამიდრავს, ყველა მაშინვე მიხეილ

<sup>1</sup> ვასილ ბებუთოვი (1791-1858) - ინფანტერიის გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, თვალსაჩინო ფიგურა ე.წ. კავკასიისა და ყირიმის ომებში, ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავმჯომარე. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სასაფლაოზე (ყიფიანი 2019: 518).

<sup>2</sup> ნიკოლაი მურავიოვი (1794-1866) - გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1854-1856). დაკრძალულია ზადონსკის (ვორონეჟის გუბერნია, ამჟამად ლიპეცკის ოლქი) მონასტერში (ყიფიანი 2019: 543).



შარვაშიძის თემაზე გადადიოდა“ (ყიფიანი 2019: 77). მან მოაგროვა საჭირო ინფორმაცია და მიხეილ შარვაშიძის გამამართლებელი მოხსენება წარადგინა. შ. ჩხეტიას აზრით, დიმიტრი ყიფიანის მოხსენებამ დადებითი გავლენა იქონია პეტერბურგში აფხაზეთის მთავრის გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა 1864 წელს აფხაზეთის სამთავრო მაინც გაუქმდა, როგორც წინასწარ იყო დაგეგმილი. მიხეილ შარვაშიძე, თხოვნის მიუხედავად, საცხოვრებლად საქართველოში (აფხაზეთში, ან იმერეთსა და რაჭაში) დაეტოვებინათ, რუსეთში გადაასახლეს. ის გარდაიცვალა 1866 წელს ვორონეჟში, დაკრძალულია მოქვის ტაძარში (აფხაზეთი, ოჩამჩირე).

კავკასიის მეფისნაცვალ ნიკოლაი მურავიოვი (1794-1866) სკეპტიკურად მოეკიდა დიმიტრი ყიფიანის მოხსენებას, ის მიხეილ შარვაშიძის გამართლების მცდელობად მიიჩნია და გამოძიება გააგრძელა. მოხსენებაში მეფისნაცვლის მიერ წითელი ფანქრით გახაზული სიტყვები, ფრაზები, წინადადებები და აზრები, ასევე, მინაწერები მის უნდობლობას გამოხატავს; მაგალითად, დიმიტრი ყიფიანის თვალსაზრისს, რომ მიხეილ შარვაშიძის დახმარების გარეშე რუსეთის ჯარი აფხაზეთიდან გამოსვლას ვერ შეძლებდა, მან მიაწერა: „არ არის სამართლიანი: მათ შეეძლოთ გამოსვლა, თუმცა, შესაძლოა, სისხლის ღვრის ფასად. აფხაზები ქურდები, მტაცებლები, საზიზღარი ლაჩრები არიან და ამიტომაც ვერ შეძლებდნენ ჩვენს შეჩერებას“ (ყიფიანი 2019: 71).

დიმიტრი ყიფიანის მცდელობას, ახსნას აფხაზების ხასიათი მათივე ცხოვრების წესით („მთელი აფხაზეთი უღრანი ტყეებითაა დაფარული და მოსახლეობაც ამ ხშირ და ოდინდელ ტყეთა ჩრდილობებშია მიმობნეული. იქაურ მკვიდრთა ურთიერთობის წესი განსხვავებულია იმ კავშირებისაგან, ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობაში რომ ვხვდებით ხოლმე. ისინი აქ როგორღაც განმარტობაში იმყოფებიან და თვითგადარჩენა თუ ოჯახისა და ქონების გადარჩენაც ამგვარ სიმარტოვეში, სხვათაგან დამოუკიდებლად უწევთ“ (იქვე: 70) ნიკოლაი მურავიოვი ასე პასუხობს: „არც ისე სწორი შეხედულებაა. აფხაზეთის დაბლობში ხალხი საკმაოდ მჭიდროდ ცხოვრობს. მართალია, არ გვხვდება დიდი სოფლები გადაბმული სახლებით, როგორც ეს ევროპაშია, მაგრამ მოსახლეობას თუნდაც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად დაშორებული სახლები რომც ედგას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი ველურ ბუნებასა და უღრან ტყეებში ცხოვრობენ... ასეთ აყვავებულ ბუნებას არ შეუძლია ადამიანს სიველურე ჩაუნერგოს. საქმე ისაა, რომ აფხაზეთში საზოგადოება ჯერ ისევ ფეოდალურ წყობაში იმყოფება. სწორედ ამაში და არა უმშვენიერესი ბუნების პირობებში უნდა გვეცადა აფხაზთა ხასიათის ამოხსნა და გარკვევა“ (იქვე: 71). მეფისნაცვლის კომენტარებიდან ჩანს, რომ კარგად იცნობს საკითხს და მიზანმიმართულად მოქმედებს.

მოხსენებაში ნათლად ჩანს დიმიტრი ყიფიანის სიმპათია მიხეილ შარვაშიძის მიმართ და მისი დიდი სურვილი, რომ ის უდანაშაულოდ ცნონ. მისი მტკიცებით, მთავარი აფხაზეთში ფარული და საიდუმლო ზრახვებით

დაბრუნდა, რათა იქ რუსეთის სასარგებლოდ ემოქმედა. დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებშიც საუბრობს მთავრობისგან დაკისრებულ საიდუმლო დავალებზე და გულწრფელად აღიარებს, რომ ამოდრავებს „პირადი გრძნობა, უანგარიშო სურვილის გრძნობა, რომ პასუხი ყოფილიყო უარყოფითი“ (ყიფიანი 1930: 47). ის მოხარულია, რომ ყველაფრიდან, რაც შეიტყო იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, მიხეილ შარვაშიძის ბედით დაინტერესებულ პირთაგან, ასევე, „იმათგანაც, რომლებიც გულგრილად უცქეროდნენ მას, და ბოლოს იმათგან, ვინც არა ჰფარავდა თავის სურვილს, რომ შარვაშიძე მოღალატე ყოფილიყო“, დარწმუნდა, რომ აფხაზეთის მთავარი „მოქმედებდა თავის მოვალეობის დიდი შეგნებით, როგორც ერთგული ქვეშევრდომი ხელმწიფე იმპერატორისა და როგორც გენერალ-ადიუტანტი მათი უდიდებულესობისა“ (ყიფიანი 1990: 435).

მოხსენებაში გადმოცემულია სხვადასხვა პირის ნაამბობი. უმეტესი მათგანი მთავრის გამამართლებელია, რაც დიმიტრი ყიფიანის სურვილს შეესაბამება. აქვე იკითხება განსხვავებული აზრიც. მაგალითად, გენერალ-ლეიტენანტ ივანე მუხრანბატონის<sup>3</sup> თქმით, აფხაზეთის მთავარი სამეგრელოში სტუმრად ყოფნისას ცდილობდა, ძველი წესის მიხედვით, ადგილობრივი თავად-აზნაურობა შემოეკრიბა, ხელისუფლებისგან ჯარი მიეღო და თურქთა წინააღმდეგ საგმირო საქმეებით სახელი მოეხვეჭა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ ეს არ დაუშვა: არც ჯარი მისცა და არც ხალხს მისცა საშუალება, მის გარშემო გაერთიანებულიყო. როცა მთავარმა დაინახა, რომ „აქ არაფერს წარმოადგენს და იქ სამფლობელოს კარგავს, დაბრუნდა აფხაზეთში და დანებდა თურქებს“.

მიხეილ შარვაშიძეზე საუბრისას ივანე მუხრანბატონის სიტყვებში ერთგვარი სიხარულიც კი გამოკრთება, როდესაც თითქოსდა ნიშნისმოგებით ამბობს: „ასე იქცა იგი კერძო პირად, არსებითად – არაფრად“ (ყიფიანი 2019: 81). მას სურს, „რაც შეიძლება მალე გაიგოს როგორ მოექცეს მიხეილს, როგორც ერთგულს, თუ როგორც მოღალატეს და იმოქმედოს მის წინააღმდეგ“ (იქვე: 82).

სრულიად საპირისპიროა გურული თავადის, მიხეილ ერისთავის<sup>4</sup> თვალსაზრისი, რომელიც მოხსენებაში დეტალურად არის გადმოცემული. მისი თქმით, მიხეილ შარვაშიძე ბეჯითად ეწეოდა რუსეთის სამსახურს, მიუხედავად იმისა, რომ „აქაური ხელისუფლებისგან ზოგჯერ გულისტკივილიც მიუღია, მაგრამ მოუთმენია და საყვედური არასოდეს წამოსცდენია“. მან აფხაზეთიდან რუსული ჯარი უსაფრთხოდ გამოიყვანა და მათთან ერთად ბედის ანაბარა დატოვა თავისი სამფლობელო. იგი

<sup>3</sup> გენერალ-ლეიტენანტი და საზოგადო მოღვაწე ივანე მუხრანბატონი (მუხრანსკი) იყო სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის დის ქმარი, შესაბამისად, სიძე დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, რომელიც მიხეილ შარვაშიძეს რუსეთის მოღალატედ მიიჩნევდა და სამეგრელოში მისი ოჯახის ყოფნით უკმაყოფილო იყო.

<sup>4</sup> მიხეილ ერისთავი (1817-1870) – გურული თავადი, ჩაის კულტურის პიონერი გურიისში, დიმიტრი ყიფიანის მძახალი. გაურკვეველი მიზეზით მოკლეს საკუთარ სახლში.

კარგავდა ყველაფერს, რაც მისთვის, როგორც მთავრისთვის, ძვირფასი იყო. მას იმედი ჰქონდა, რომ „კეთილისმყოფელი ხელმწიფის წყალობით“ ცხოვრების ახალ ასპარეზს იპოვიდა, მაგრამ ხელთ არაფერი შერჩა: არც არაფერი უბოძეს, არც არაფერი ანდეს. ისღა დარჩა, სიმამრის ოჯახში მხარეთმოზე წოლილიყო, ესვა და ეჭამა. ეჭამა სხვისი პური<sup>5</sup>. „ასეთი მდგომარეობა ისეთ ადამიანში, როგორც მიხეილ შარვაშიძეა, გაუსაძლის სევდასა და ნაღველს აღძრავს. უმოქმედობა მისთვის სიკვდილის ტოლფასია“. ამასობაში აფხაზეთში მდგომარეობა აირია. „იქ ისეთებმა წამოყვეს თავი, მანამდე მის ქუსლქვეშ რომ არსებობდნენ. გაჩნდნენ პარტიები და მას, ზედ საზღვარზე მყოფს, თითქმის რეალურად ესმოდა აწეწილი ვითარებითა და ათსგვარი მზაკვრობით დატანჯული თავისი ხალხის შემზარავი გმინვა“. მთავარს, ბუნებრივია, გაუჩნდებოდა განცდა, რომ სამეგრელოში უსარგებლოა, აფხაზეთში კი თავისი მოშლილი უფლებების აღდგენასაც შეძლებდა და ოსმალების მოგერიებით რუსეთსაც სამსახურს გაუწევდა. ამასობაში ჩერქეზები სამეგრელოში შემოსაჭრელად შეიკრიბდნენ. მოლალატე და სამეგრელოს მტერი ამით ისარგებლებდა, მაგრამ მიხეილ შარვაშიძე სხვაგვარად მოიქცა. რადგან ჩერქეზთა შორის სახელი და პირადი კავშირები ჰქონდა<sup>6</sup>, მან მოასწრო გავლენიან პირებთან მოლაპარაკება და თავმოყრილი ხალხის თავიანთ სახლებში დაბრუნება. მან აფხაზთა შორის ჩამოვარდნილი მწვავე უთანხმოებები აღმოფხვრა, პარტიები დაშალა, ხალხი ერთგულებაზე დააფიცა და ყველაფერი ჩააწყენარა. მას რომ ბოროტი განზრახვა ჰქონოდა, კარგა ხნის წინ გააჩაღებდა შფოთს სამეგრელოს საზღვართან, მაგრამ დღემდე იქ ისეთი სიმშვიდეა, თითქმის არასოდეს რომ არ ყოფილა.

მიხეილ ერისთავი აგრეთვე ახსენებს შეწირულობას (23 000 მანეთი ვერცხლით), რომელსაც მიხეილ შარვაშიძე ყოველწლიურად რუსეთის ჯარის სასარგებლოდ იღებდა (ყიფიანი 2019: 84, 85, 86).

დიმიტრი ყიფიანის მოხსენება არის მნიშვნელოვანი ისტორიული

<sup>5</sup> მოხსენებაში, ასევე, გადმოცემულია მიხეილ შარვაშიძის მეუღლის - ალექსანდრა დადიანის, მონათხრობი. დიმიტრი ყიფიანის თქმით, ის „დაწვრილებით და ხატოვანად“ აღწერდა თავის მგზავრობას თოთო ბავშვით ხელში, საშინელ ჭექა-ქუხილსა და თავსხმა წვიმაში. აზობოქრებული ენგურის გადალახვისას კინალამ დაიღუპნენ. სიმამრის ოჯახში მიხეილი უმოქმედოდ იყო. „მამა კი დღითი დღე ჩანაგდებოდა - თითქმის ერთი წლის განმავლობაში დღეში 80-დან 400-მდე სტუმრის გამასპინძლება უწევდა. ხარჯს ადვილად წარმოვიდგენთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეში 5-დან 20-მდე ცხვარი და 2-დან 10-მდე ძროხა იკვლებოდა. მიხეილი სიმამრს დახმარებას ვერ შესთავაზებდა, რადგან, ჯერ ერთი, ეს აქაური ჩვეულების მიხედვით, მასპინძლის შეურაცხყოფა იქნებოდა, და, მეორეც - გიორგი დადიანი თუნდაც იმიტომ არ მიიღებდა არავითარ დახმარებას, რომ აფხაზეთის მთავრისა და, იმავდროულად, რუსეთის წარჩინებული მოხელის შენახვით იგი სამსახურს უწევდა მთავრობას“ (ყიფიანი 2019: 98-99).

<sup>6</sup> ტრადიციის მიხედვით, მიხეილ შარვაშიძე აღზარდა მამამძუმემ, უბიხების მეთაურმა ჰაჯი ისმაილ დაგუმოყვა ბარზეგმა, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი არა მარტო უბიხთა, არამედ ჩერქეზთა შორისაც. სხვათა შორის, მიხეილ შარვაშიძე, გარდა ქართული, აფხაზური, მეგრული, რუსული, თურქული ენებისა, უბიხურსა და ჩერქეზულსაც ფლობდა (ჯანაშია 1988: 29-30).

წყარო. ის შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ (ე. წ. ყირიმის ომი).

დიმიტრი ყიფიანის მოხსენება მაღალმხატვრულად არის დაწერილი. ისტორიულ პირთა პორტრეტები დიდ ინტერესს აღძრავს მკითხველში (მიხეილ შარვაშიძე, ალექსანდრა დადიანი-შარვაშიძე, გიორგი დადიანი, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი, ომერ-ფაშა და სხვა). მაგალითად, მიხეილ შარვაშიძე დახასიათებულია, როგორც მგზნებარე, ენერგიული, ძალაუფლებისმოყვარე, შიშისმომგვრელი და იდუმალებით მოსილი ადამიანი (ყიფიანი 2019: 70, 74), მიხეილ შარვაშიძის მეუღლე – ალექსანდრა დადიანი კი წარმოგვიდგება ულამაზეს, ჭკვიან, ღვთისმოსავ და მოსიყვარულე ქალად (იქვე: 70). ასევე, შთამბეჭდავად დახატული მიხეილ შარვაშიძის სიმამრი: „გიორგი დადიანი საშუალო ასაკისაა, მოხდენილი, კეთილშობილური და ჭკვიანური შესახედაობისაა. ქართულად მჭევრმეტყველურად საუბრობს და თავაზიანობით გამოირჩევა“ (იქვე: 92).

დასკვნის სახით: აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს შეეწირა. მთავარმმართველობამ მოახერხა მიხეილ შარვაშიძის იზოლირება და უფუნქციო პოლიტიკურ ფიგურად გადაქცევა. მთავრის ყოველგვარი მცდელობა აფხაზეთის სამთავროს გადარჩენისა ფუჭი აღმოჩნდა. ასევე, ამაო გამოდგა დიმიტრი ყიფიანისგან აფხაზეთის მთავრისთვის ღირსებისა და პატივის შენარჩუნების სურვილი. მისი არგუმენტირებული მოხსენება რუსეთს აფხაზეთისა და სრულიად კავკასიის დაპყრობის გეგმებს ვერ შეაცვლევინებდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ქსე 1977: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2. თბილისი, 1977.  
 ყიფიანი 1930: ყიფიანი დ., მემუარები. რედაქცია, შენიშვნები და წინასიტყვაობა ს. ხუნდაძისა. ტფილისი, 1930.  
 ყიფიანი 2019: ყიფიანი დ., თხზულებანი, ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმე, რეცენზიები, „ახალი ქართული გრამმატიკა“, შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თამაზ ჯოლოგუამ. თბილისი, 2019.  
 ჩხეტია 1963: ჩხეტია შ., აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856), „საისტორიო მოამბე“, ტ. 15-16. თბილისი, 1963.  
 ჯანაშია 1988: ჯანაშია ს., გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. // ს. ჯანაშია, შრომები, VI. თბილისი, 1988.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.7000>

**თანამედროვე გალის რაიონის  
სულიერი კულტურა  
(გალის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)**

**Traditional Culture of the Gali District  
(Based on the ethnographic materials of Gali)**

**ნინო ხარჩილავა**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

**Nino Kharchilava**  
Batumi Art Teaching University  
Georgia, Batumi

**ABSTRACT**

Gali region, with its culture and traditions, is one of the distinguished regions of Abkhazia. It has still preserved some significant elements of traditional spiritual culture until today: beliefs, magical religious rituals, and holidays tightly connected with the traditional daily life of the people.

In general, family and social life, as well as spiritual culture, reflect all the ongoing changes in the country. The transformation of the daily life of the Gali population, caused by historical difficulties, has influenced the spiritual culture of this region. Local customs bear special viability as they have gained new traditions over centuries while also preserving old ones.

The daily life of the Gali population still preserves rituals of the New Year, spring, and autumn cycles. First-Footer or “Makuchkhuri” and “Symbolic Seeding” rituals are still observed among New Year traditions. During the New Year, the head of the family used to spread Ghomi grains in the sitting room as a symbol of abundance and fruitfulness, silently bringing water from the river in the morning and sprinkling it around the hearth, and so on. The function of these rituals was to revive the forces of nature, bring good luck in agriculture, and ensure an abundant harvest. These periods are the most important for farmers, and they all bear sacred significance.

Rituals related to viticulture are also diverse. It is also interesting to describe the prohibited activities of Tabus-Vashineri, blacksmiths’ customs preserved in the minds

of the elderly, and the former smithy places that are still modestly treated. Many beliefs and rituals have been removed from contemporary daily life; however, some rituals are still preserved in the Gali region.

Thus, the spiritual culture of the Gali population is an inseparable part of Georgian culture, which has been changing along with the development of society and adapting to a new reality. That's why it preserves values gained from various periods of social development. However, the Gali population tries to preserve old traditions. The reason for this is tense relations with Abkhazia, which have led to the isolation of the region and conditioned a conservative transformation of the spiritual culture of the population.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთის ეთნოგრაფია, აფხაზეთის (გალის) სულიერი კულტურა.

**Keywords:** Ethnography of Abkhazia, spiritual culture of Abkhazia (Gali).

გალი აფხაზეთის ერთ-ერთი გამორჩეული რაიონია თავისი კულტურითა და ტრადიციებით. აქ დღემდეა მოღწეული ტრადიციული სულიერი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი: რწმენა-წარმოდგენები, მაგიურ-რელიგიური რიტუალები და დღესასწაულები, რომლებიც ხალხის ტრადიციულ ყოფასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ზოგადად, ოჯახური და სოციალური ცხოვრება, სულიერი კულტურა ასახავს ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა ცვლილებას. ამ მხარის ისტორიული მწიგნობებით გამოწვეული ყოფის ტრანსფორმაცია თანამედროვე გალის რაიონის მოსახლეობის სულიერ კულტურაზეც აისახა. წეს-ჩვეულებებს განსაკუთრებულ სიციცხლისუნარიანობას ანიჭებდა ის, რომ მათში საუკუნეების განმავლობაში, ახალი ჩვევების გაჩენასთან ერთად, წინა ეპოქების ტრადიციებიც შენარჩუნდა. სტატიაში წარმოდგენილი მოსაზრებები გალის რაიონში 2022 წელს ინდივიდუალურად მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს ეფუძნება.

ჩვენი რესპონდენტების გადმოცემით, ახალი წელი გალის რაიონში ოჯახური დღესასწაული იყო, მისი განსაკუთრებული აღნიშვნა არა 31 დეკემბერს, არამედ 13 იანვარს ხდებოდა. ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება. ეს დღე ყველას აუცილებლად თავის ოჯახში უნდა გაეტარებინა, სადაც ოჯახის ყველა წევრს საქმე დანაწილებული ჰქონდათ. ახალი წლის წინა დღეებში იწყებოდა დიდი სამზადისი: სახლისა და კარ-მიდამოს დასუფთავება, საგანგებო საახალწლო სუფრისთვის სანოვავის მომზადება. ოჯახის დიასახლისი ღორის მუცლის ქონისგან – ცინარისგან მჭადის კვერებს გამოაცხობდა. მათ სხავადასხვა ფორმა ჰქონდათ (ცხოველების, ფრინველების, შრომის იარაღების), ხის გობზე დააწყობდნენ, სხვა სანოვავესთან ერთად მარანში შეჰქონდათ, სადაც

ლოცვას წარმოთქვამდნენ.

ახალი წლის აუცილებელი ატრიბუტი ჩიჩილაკია, რომელიც წმინდა ბასილის სახელს უკავშირდება. ჩიჩილაკის ზოგიერთი ატრიბუტი ქრისტიანობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო, თუმცა მორთული ხის სიმბოლიკა ძალიან ძველია და ნაყოფიერებას უკავშირდება. ფიქრობენ, რომ ჩიჩილაკი თავისი ბურბუშელებით მზის სხივებსაც განასახიერებდა (სურგულამე 1974: 57). ჩიჩილაკს ოჯახში თხილის ხისგან ამზადებდნენ. თავი ოთხად ჰქონდა გაყოფილი, ჭრილში ჯვარს სვამდნენ და ამ ჯვარზე ვაშლს ან ბროწეულს ჰკიდებდნენ, რომელშიც ხურდა ფულს ჩასობდნენ. ბროწეული სიმრავლის, ხოლო ვაშლი სიჯანსაღის სიმბოლოა. ახალი წლის წინა დღეს ოჯახის უფროსი მიდიოდა ტყეში, საიდანაც მოჰქონდა სუროს ფოთლები და კუნელის წითელი ნაყოფი – კურკანტელა. გალის რაიონში ძველად ახალ წელს მხოლოდ ჩიჩილაკს დგამდნენ და მასთან ერთად დებდნენ სუროს ფოთლებს, თხილის ტოტის ხვიხვილს – ყვავილს, რომელსაც ოკუჩხური – საფერხო ეწოდებოდა. მოგვიანებით ჩიჩილაკთან ერთად ნამძის ხეც ირთებოდა სხვადასხვა სათამაშოთი. ნამძი სიცოცხლის, მარადიულობის სიმბოლოა.

მეკვლეს ძველად წინასწარ ირჩევდნენ. პირველ რიგში ის ოჯახის ახლობელი და სასურველი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია ნაწილობრივ დღესაც შენარჩუნებულია. მაკუჩხური – მეკვლე ფეხბედნიერი, პატივცემული უნდა ყოფილიყო. მეკვლე, როგორც წესი, იყო შინაურიც და გარეშეც. მომავალი წლის ბედი დიდად იყო დამოკიდებული მეკვლეს პიროვნებაზე, მის ბედილბლიანობაზე. შინაური მეკვლე ოჯახის უფროსი მამაკაცი იყო. მეკვლეს ოჯახი მიიპატიჟებდა. მაკუჩხურს ხის გობი მიჰქონდა, რაზეც სუროს ფოთოლი, თხილის ხვიხვილი და ტკბილეულობა ელაგა. მის მისვლამდე ოჯახში სხვა ვერავინ შევიდოდა. იგი კარზე დააკაკუნებდა. ოჯახის უფროსი მეკვლეს გამოეპასუხებოდა. მათ შორის იმართებოდა დიალოგი:

– კარი გამიღე.

– რა მოგაქვს?

– სინთელე, ბედ, აშინება, აფშირება ორინჯიმ დო კოჩიმ, წოხლენ კიბირ, უკახალენ ჯირგილ, ჯაშ ხვიხვილ „სიმრთელე, ბედი, აშენება, გამრავლება საქონლისა და კაცის, წინა კბილი, უკანა ფესვი, ხის ყვავილი“.

ამას სამჯერ იტყოდა მეკვლე და მერე გაუღებდნენ კარს. მეკვლე ოჯახს ხვავს, ბარაქას, სიხარულსა და ბედნიერებას დაუბედებდა, ოთახში მარჯვენა ფეხს შედგამდა, შევიდოდა. მეკვლე კერასთან ჩამოჯდებოდა და ნაკვერჩხალს გაჩხრეკდა, ნაპერწკლებს ააყრევინებდა და დაილოცებოდა: „რამდენი ნაპერწკალიც ავარდა, იმდენი სიმინდი, იმდენი ოქრო-ვერცხლი, იმდენი საქონელ-ფრინველი, ხვავი და ბარაქაო“. ამ დღეს არ შეიძლებოდა ოთახის დაგვა, ხვავი და ბარაქა ოჯახიდან რომ არ გასულიყო. ბოლოს მეკვლეს სუფრასთან მიიპატიჟებდნენ და თუ მეკვლე ოჯახისათვის ფეხბედნიერი აღმოჩნდებოდა, მას მეორე წელსაც მიიწვევდნენ (ასლე 2022).

ახალი წლის მეორე დღეს დილას ადრე ოჯახის უფროსი მამაკაცი იყო შინაური მაკუჩხური – მეკვლე, რომელიც ჩიჩილაკითა და ხის სავსე გობით (სადაც ელაგა: ტკბილეულობა, სუროს ფოთოლი, თხილის ხვიხვილი, ფული (ამ ფულის გამოყენება მხოლოდ მეკვლეს შეეძლო და სასურველი იყო ფეხსაცმლის ან წინდის ყიდვა), კვერცხი (კვერცხივით სავსე რომ ყოფილიყო ოჯახი) და აუცილებლად წყალი). იგი უმძრახად, დაულაპარაკებლად წყაროზე წავიდოდა, ხელ-პირს დაიბანდა, ხის გობზე მიაკრავდა ანთებულ სანთელს და დაილოცებოდა. კარ-მიდამოს ყველა ნაგებობას – მარანს, სასიმიინდეს, ფრინველისა და საქონლის სადგომებს – მიულოცავდა ახალ წელს. ჩავიდოდა ვენახში და ვენახსაც მიულოცავდა. ყველგან ტოვებდა სუროს ფოთლებსა და თხილის ხის ხვიხვილიან ტოტს. ეზოს შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი სახლში შედიოდა სავსე ხონჩით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ კერაში ცეცხლი ჩაუქრობლად შეენახათ. კერაზე გამრავლების ნიშნად ღომის მარცვლებს მიმოაბნევდა, წყალს მიმოასხამდა და დაილოცებოდა. ამის შემდეგ ოჯახის წევრებს მიულოცავდა ახალ წელს (ასედ 2022).

ს. მაკალათიას დაკვირვებით, ახალი წლის დღესასწაულებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შინაური მეკვლე და კერასთან დაკავშირებული რიტუალები. კერძოდ, მეკვლის მიერ საახალწლოდ კერის გარშემო შემოტარება და ლოცვა, შერჩეული ფიჩხებით ცეცხლის ჩუმად ანთება, მუგუზლით ლოცვა, მომავალზე წინასწარმეტყველება და სხვა. მისი აზრით, კერის კულტის ნაშთია და მეკვლევ ოჯახის ქურუმია, მას ირჩევენ ოჯახის უხუცესთაგან, რომლის მოვალეობას შეადგენდა საახალწლო ღორის დაკვლა, თესვითა და დანამვით დალოცვა და სხვა (მაკალათია 1927: 51).

14 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით ერთმანეთთან ვიზიტისას ნედლი თხილის ან სუროს ტოტის და ტკბილეულის გარეშე ოჯახში არ შევიდოდნენ და მთელი კვირის განავლობაში ახალ წელს და კუჩხას ერთმანეთს ასე ულოცავდნენ. ოჯახს, სადაც ნაძვის ხე და ჩიჩილაკი ჰქონდა მოწყობილი, იქ დადებდნენ ოკუჩხურს – საფერხოს. ჩიჩილაკს, ნაკუჩხურსა და ნაძვის ხეს არავითარ შემთხვევაში ნათლისღების დღეს არ დაახვედრებდნენ. ამიტომ 18 იანვარს უნდა დაეწვათ. ოკუჩხურებს „სამეკვლეოს“ (კარ-მიდამოს ყველა ნაგებობაში რაც იყო) ჩიჩილაკთან ერთად აგროვებდნენ და ბოსტანში წვავდნენ. ჩიჩილაკის ღეროს იქვე ჩაფლავდნენ, რომ ბოსტანი ჭია-მატლს არ გაეფუჭებინა.

შინაური მეკვლე ფერხობისას რომელ სკამზეც დაჯდებოდა, იმ სკამზე სხვას არ ჰქონდა დაჯდომის უფლება. არც მეკვლეს შეეძლო სხვა სკამზე დამჯდარიყო რამდენიმე დღე. ახალი წლის დღეს თმას არ დაივარცხნიდნენ, რადგან ქათმები ნათესს გააფუჭებდნენ. შეშას რამდენიმე დღის სამყოფს მოიმარაგებდნენ, რადგან ამ პერიოდში ხმელი შეშის დამზადება და ოჯახში შემოტანა იკრძალებოდა.

ყველა ოჯახი ახალ წლამდე ერთი თვით ადრე ცალკე ამწყვდევდა და



ასუქებდა საქირსო ღეჯს – საშობაო ღორს, რომელიც 6 იანვარს იკვლევოდა. დაკლული ღორის თავს აუცილებლად 14 იანვრისთვის შეინახავდნენ, რომელსაც კედელზე ლურსმნით ჩამოკიდებდნენ.

ახალი წლის ღამეს იცოდნენ ტყაპობა. ოჯახის უხუცესი წევრი სიმინდის ფქვილისგან გააკეთებდა თხელ ცომს, შედგებოდა ჯორკოზე და სახლის დირეს შეასხამდა. თუ დირეზე ცომი ბევრი დარჩებოდა, ეს ყანის უხვ მოსავალს ნიშნავდა, თუ უფრო მეტი ძირში ჩამოესხმებოდა, ეს საქონლისა და ფრინველის სიმრავლეს ნიშნავდა (ასედ 2022). ს. მაკალათია ამ რიტუალს განსხვავებულად აღწერს: ეს იყო „ერთგვარი თამაში, ახალი წლის საღამოს იცოდნენ ტყაპობა. ქალ-ვაჟები ერთმანეთს სიმინდის ცომით თხუპნიდნენ. იმართებოდა მოთხუპნვაში ბრძოლა და საქმე იყო გამარჯვებამდე“ (მაკალათია 1941: 298). ვინც მოუთხუპნავი გადარჩებოდა, იმ წელიწადს გამარჯვებული და ბედნიერი იქნებოდა. ეს რიტუალი მხოლოდ უხუცესთა მეხსიერებას შემორჩა.

გალში ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, შობა უდიდესი დღესასწაულია და მას თავისებური რიტუალი ახლდა – კარდაკარ სიარული და „ალილოს“ სიმღერა. ქირსემო სერს – შობის ღამეს სოფელში იკრიბებოდა გოგო-ბიჭების რამდენიმე ჯგუფი, სოფლის სხვადასხვა უბნებს ინაწილებდნენ, და სიმღერით ულოცავდნენ ყველა ოჯახს შობას. ოჯახები კი გიმბირეფს – სიმღერით მოსიარულეებს ტკბილეულით ასაჩუქრებდნენ. მღეროდნენ „ალილოდა ვორიალი ალილოდა, მიგახვამანქ ქირსეს, ღორონთქ გოგითანუას, ჯარს მითინ ქორსუნსუდა ღორონთ ქუგოჭარუნს, ენა ჯვეში, შხვა ახალი ჯგირობუათ გეხარ, აღუცია კალუცია, ხორც მუკობუ კალუსია“ – ალილოდა ვორიალი ალილოდა, მოგილოცავ შობას, ღმერთმა გაგითენოს, ჯარში თუ ვინმე გყავს, ღმერთმა დაგიბრუნოს, ეს ძველი, სხვა ახალი, კარგით გაიხარე, პატარა კაუჭი, ხორცი ჰკიდია კაუჭზე“.

13 იანვრის ღამეს მღეროდნენ „კირიალესას“. ამ ჯგუფებს სოფლის უბნები დაყოფილი ჰქონდათ და ერთი და იმავე ოჯახში ორი ჯგუფი ერთმანეთს არ უნდა შეხვედროდა (ასედ 2022). წეს-ჩვეულება თითქმის ერთნაირად ტარდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ახალი წლის მეორე დღეს გამოაცხობდნენ ყურძნის მტევნების სახის პურს და ოჯახის უფროსი ვენახს ახალ წელს ულოცავდა. ეს წესი დასტურდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც (მაკალათია 1941: 298; სახოკია 1956: 42; თოფურია 1984: 41). ასევე, საახალწლო რიტუალის პრაქტიკის ნაწილი იყო მარანში ლოცვა. მარანი გალის რაიონში რიტუალური დანიშნულების იყო; ახალი წლის დილას ოჯახის მეკვლე – მაკუჩხური მარანში ხონჩით მიდიოდა, ახალ წელს მიულოცავდა და ხვავსა და ბარაქას უსურვებდა. ეს ხონჩა მარანში ნათლისღებამდე უნდა ყოფილიყო. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მარანს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის გარდა საუკუნეების განმავლობაში სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც უდიდესი დატვირთვა გააჩნდა. მარანში სხვადასხვა სალოცავის სახელზე ღვინით სავსე ქვევრები იყო

ჩაფლული, რომელიც მხოლოდ გარკვეულ დღესასწაულზე და ღვთაების ლოცვის დროს გამოიყენებოდა. ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილს, ნადუდას –პირველ ნაწურ ღვინოს ხატს სწირავდნენ. ნადუდა – ზედაშე პირველი ნაწური შესაწირავი ღვინოა, რომელსაც ოხვამერს უწოდებენ. მარნის მარჯვენა კუთხეში აღმოსავლეთით მოთავსებული იყო საზედაშე ქვევრები (ზედაშეები), სადაც სრულდებოდა საოჯახო დღეობების ძირითადი რიტუალები. ამ სალოცავებს ყველას თავისი ლაგვანი ჰქონდა მიჩენილი და მისი მოვლა-პატრონობა ოჯახის ან გვარის უფროსს ევალებოდა. ყოველი საზედაშე ქვევრი მარანში თავისი რიგისა და წესის მიხედვით იყო ჩაფლული. სახეხუჯო ქვევრი შეიძლება როგორც მარანში, ისე სამჭედლოშიც ყოფილიყო ჩაფლული. სხვადასხვა ტიპის წერილობით წყაროებში დაცულია არაერთი ცნობა მარანში ჯვრისწერის თაობაზე (სახოკია 1937: 620; ლამბერტი 1938: 85, მაკალათია 1941: 226). ასევე, ოჯახის წევრები ახალი წლის დილას მარანში საწნახელის წინ დადგებოდნენ, საწნახელს ჯოხს ურტყამდნენ და მღეროდნენ: ჯუჯელია, ჯუჯელია, ჩქიმ მამულს ცურმენი დო შხვამ მამულს ფურცელია (Киндия 1903: 95) „ჯუჯელია, ჯუჯელია, ჩემს მამულში ყურმენი და სხვის მამულში ფურცელია“. ეს რიტუალი ოჯახის ბარაქიანობისაკენ იყო მიმართული.

გალის რაიონის ეთნოგრაფიულ მასალებში გამოიკვეთა ზოგადქართული საახალწლო რიტუალის მთავარი თავისებურებები: საშინაო მეკვლის არსებობა (საშინაო მეკვლე დღეს ოჯახის უზუცესი წევრია; არა აქვს მნიშვნელობა სქესს); ახალი წლის მილოცვა სამეურნეო ნაგებობებისა და ეზო-კარ-მიდამოსათვის, მათ შორის შინაური საქონლისა და პირუტყვისათვის; საგარეო მეკვლის მოწვევა. ოჯახში საგარეო მეკვლის ფერხობის შემდეგ სოფლის მოსახლეობა იწყებდა მეზობლებსა და ნათესავებთან გადასვლას. ერიდებოდნენ ისეთ ოჯახში შესვლას, სადაც მეკვლე არ იყო ნამყოფი. მსგავსი რიტუალები საქართველოს ყველა კუთხისთვისაც არის დამახასიათებელი (სახოკია 1956: 44-48; მაკალათია 1927: 21-28).

საინტერესოა ახალი წლისა და სამჭედლოს კავშირი. ყველა საგვარეულოში იყო სამჭედლო, რომელიც წმინდა ადგილს წარმოადგენდა და სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალიც სრულდებოდა. სამჭედლოს მფარველი ღვთაების სახელზე ახალი წლის დადგომამდე ოჯახის წევრები იკრიბებოდნენ სამჭედლოში, სადაც მოთავსებული იყო საზედაშე ქვევრი. ამზადებდნენ რიტუალურ კვერებს, რომელთაც ხოზოკვარს ეძახდნენ. თავს ხდიდნენ საზედაშე ქვევრს და სრულდებოდა ოჰკადირემ ხვამა – სამჭედლო ლოცვის რიტუალი.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ წინათ შობის მეორე დღეს, 8 იანვარს, მიცვალებულების სახელზე ოჯახში მიცვალებულთა სულების მოსაგონებლად ტაბაკი იმართებოდა. დღეს ზოგი გულისწყრომას გამოთქვამს, რომ ახალი წლის მეორე დღეს რატომ უნდა გააკეთოს მიცვალებულებისთვის საკურთხი, მაგრამ თუ ოჯახში ხანდაზმული

ადამიანი ცხოვრობს, აუცილებლად მიმართავენ ამ წესს (ასედ 2022).

ახალი წლის რიტუალებიდან შემორჩენილია „სიმბოლური თესვის“ რიტუალი. ახალი წლის დილას შინაური მეკვლე ოთახში შესვლისას მოაბნევედა ღომის მარცვლებს – სიმრავლე და ბარაქა იყოსო, ასევე, ოთახის კუთხეებში წყალს მოაპკურებდა (ეს წყალი უმძრახად ჰქონდა მდინარიდან მოტანილი). ეს რიტუალი შეიძლება დავუკავშიროთ სიმბოლური თესვის რიტუალს. საზაფხულო რიტუალების დანიშნულება ბუნების ძალების აღორძინება, სამეურნეო საქმიანობაში იღბლიანობა და მოსავლის სიუხვის უზრუნველყოფა იყო. პირველი კვალი (ხნული) გაჰქონდა კაცს, რომელიც საზოგადოებაში ცნობილი იყო დოვლათიანობით, რათა მის მიერ მოხსულ მიწას მოსავლიანობა დაჰბედებოდა. ბოლო პერიოდში რიტუალური კვალის გაყვანა ხდებოდა ბოსტანში ან ეზოში საყანე მიწაში. ამ რიტუალის შესრულება შეემლო როგორც ოჯახის უფროს მამაკაცს, ისე დედაკაცსაც. მიწის პატარა მონაკვეთს გაწმენდნენ, კვალს ხელით გაიყვანდნენ და ყოველგვარ თესლს სიმბოლურად მიმოაბნევენ. ასევე, თანამედროვე ყოფაში დაფიქსირდა ვნების კვირის დიდ ხუთშაბათს ოჯახის დიასახლისის მიერ, აუცილებლად დღის მეორე ნახევარში, ბოსტანში გოგრის დათესვა, რისთვისაც მიწას წინასწარ ამზადებენ (ასედ 2022).

აღდგომის მომდევნო კვირას გალის რაიონში აღინიშნება ოსურეფიშ თანაფა – ქალების აღდგომა, რომელსაც ჭიჭე თანაფასაც – პატარა აღდგომას ეძახიან. ამ დღეს ქალები იკრიბებიან ერთად და აღნიშნავენ დღესასწაულს.

გალის რაიონში ჭეჭეთობა – ჭიაკოკონობა ტარდება მარიამობის წინა ღამეს, 27 აგვისტოს. იგი ავი სულების განსადევნად წმ. ელიასა და მარიამობის დღესასწაულების წინა ღამით ტარდებოდა (ყიფშიძე 1914: 387; ჭარაია 1997: 185). ჭეჭეთობას მაზაკვალეფიშ სერს – მზაკვრების ღამეს უწოდებდნენ, რომელიც მიზნად ისახავდა ავი სულების განდევნას. ძველად ჭიაკოკონობა ელიობის წინა ღამეს, 20 ივლისს, ტარდებოდა (სახოკია 1956: 19). ეთნოგრაფიული მასალებით, რიტუალის მსვლელობა დიდად არაა შეცვლილი (ასედ 2022), მაგრამ როდის და რატომ შეიცვალა ეს თარიღი, უცნობია. ელიობაზე ვენახებში, ყანებში, ბოსტნებში ჯვარს ასობდნენ, ბავშვებს თმაზე თაფლის სანთელს აწებებდნენ, რათა არ გაეთვალა მზაკვარს. ასევე, ჭიაკოკონობის ღამეს კოცონი უნდა დანთებულიყო ყველა ოჯახის ჭიშკართან, რადგან, ხალხის წარმოდგენით, ამ საღამოს მაღალ მთაზე ეშმაკები ქორწილს მართავდნენ, მერე კი სოფელში გამოფრინდებოდნენ და რომელ ოჯახშიც ცეცხლს არ დაინახავდნენ, იქ შედიოდნენ. ტრადიცია გულისხმობდა კოცონის დანთებას და თმაზე მიწებებული ცვილის (დღეს თმაზე ცვილის მიწებება არ ფიქსირდება) სანთლით ცეცხლზე გადახტომას ეშმაკის განდევნის მიზნით. კოცონზე გადახტომა ეშმაკეულის განრიდების, ცეცხლით განწმენდის რიტუალს წარმოადგენდა.

ჭიაკოკონობის ღამეს მთავარი იყო გინორჩქილა – მოსმენა. ამისათვის სპეციალურად გამოყოფდნენ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც უნდა გასულიყვნენ კოცონიდან შორს, რათა მოესმინათ მძინარე ოჯახებისათვის.

თუ რომელიმე ოჯახიდან გაიგონებდნენ შეშის პობის ხმას, თითქოს იმ წელს იმ ოჯახში მამაკაცი მოკვდებოდა, ხოლო თუ თეფშების ხმას გაიგონებდნენ, დედაკაცი მოკვდებოდა (ჯალალონია 2011: 6).

გალის რაიონში სამეურნეო საქმიანობის ტრადიციულ დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა. საქონლის გამრავლება-მფარველობას ჟინიშ ორთას და გალენიშ ორთას შესთხოვდნენ. ორივე ღვთაება შინაური საქონლის გამრავლებას და გარეული ნადირისგან მათ დაცვას ემსახურებოდა. ჟინიშ ორთას საქონლის გამრავლება ევალეობდა, გალენიშს კი ნადირისაგან დაცვა (Кипшидзе 1914: 294; მაკალათია 1941: 398). სამურზაყანოელი (დღევანდელი გალის რაიონი) მწყემსების ყველაზე დიდი მფარველი მთავარანგელოზი მიქამგარიო იყო, რომელიც მთების, ცის მნათობების, მზის ბატონ-პატრონი იყო და მას დარი, ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა ემორჩილებოდა. XVIII საუკუნეში მეგრელი და აფხაზი მწყემსები სამურზაყანოს სამოვრებზე ერთად მწყემსავდნენ საქონელს და მიქამგარიოსაც სიმღერით ერთად ადიდებდნენ (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 171). გალენიშ ორთას და ჟინიშ ორთას, გარდა საქონლის დაცვისა, სთხოვდნენ ოჯახის ბარაქას, ჯანმრთელობას, სასურველ ამინდს. გალენიშ ორთას სალოცავი გარდაცვლილთა სამყაროსთან იყო დაკავშირებული. ნ. აბაკელიას აზრით, „ღვთაება გალენიშ ორთას სახელწოდებაში ეპითეტი გალენიში მიაწინებს ღვთაება ორთას სამყოფელზე, რომელიც სივრცული თვალსაზრისით იმყოფება სახლის, ეზოს, სოციუმის გარეთ და სამყაროს საერთო მითოლოგიურ სურათში უკავია არა მარტო ვერტიკალური, ტრადიციული ადგილი, არამედ ჰორიზინტალურიც, რომელშიც შედიან: ტყე-ღრეები, კლდეები, აუთვისებელი, უცნობი იდუმალებით მოსილი ადგილები თავიანთი ბინადრებითა და პატრონებით“ (აბაკელია 2000: 13). გალენიშ ორთა აღიქმება, როგორც საქონლის მფარველი ღვთაება, ხან საიქიოს ღვთაება, რომელსაც ამ სტატუსში შეუძლია მოუვლინოს ხალხს და საქონელს ავადმყოფობა და გასაჭირი ან, პირიქით, შეუძლია მათი დაცვა ყველაფრისგან.

ჩვილ ბავშვს ოჯახში ორმოცამდე, ან უკიდურეს შემთხვევაში ერთ წლამდე, ულოცავდნენ გალენიშს. გალენიშის ლოცვის გარეშე ჩვილს ეზოს გარეთ არ გაიყვანდნენ. მაგრამ თუ გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნებოდა, ბავშვს შუბლზე ნახშირით ჯვარს გამოუსახავდნენ (ასედ 2022). შაბათ დღეს ბებიაქალი დაკლავდა გოჭს და ბავშვს გალენიშს – გარეთას ულოცებდა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დღესაც სრულდება გალენიშის ლოცვა, რასაც უკვე ოჯახის ბებია აღასრულებს. ასე რომ, ღვთაება გალენიშ ორთას როლი განსაკუთრებული იყო ადამიანისა და საქონლის დაცვაში.

გალში ეზოში შესასვლელ ჭიშკარს ცხენის თავს და ეკალს ჩამოჰკიდებდნენ. ფიქრობენ, რომ ისინი ოჯახს ავი თვალისაგან იცავენ. ცხენის თავს იმიტომ, რომ იგი ძლიერი ცხოველი და თანაც გამწევი ძალა იყო. ეკალს თვალსაჩინოდ აკეთებდა ოჯახის უფროსი კაცი. ამისათვის დღე

არ იყო გამოყოფილი, არც შელოცვა არ იყო წესად. მხოლოდ ჩამოჰკიდებდნენ. თანამედროვეობაში დასტურდება შესასველელ ჭიშკარზე ჯვრისა და ნალის გამოსახვა.

გალში ფართოდ იყო გავრცელებული განრიდების ჩვეულება, როცა რძალი ქმარს და ნათესავებს არ მიმართავს სახელით, რძალს სახელსაც კი უცვლიდნენ. ამ ჩვეულებას უხუცესთა უმრავლესობა დღესაც მიმართავს. ბოლო დრომდეა შემონახული სტუმართმოყვარეობისა და უფროსების პატივისცემის ტრადიცია. განსაკუთრებულად ემსახურებიან სტუმარს. დღესაც სრულდება მასპინძლის მიერ სტუმრის ხელის დაბანის ჩვეულება, თუ ის წყალს მოითხოვს, ფეხზე დამდგარი ელოდებიან, სანამ ჭიქას დაცლის, ფეხზე დგებიან უფროსების შემოსვლისას და სხვა. საოჯახო ყოფამ შემოგვინახა ტაბუირების თითქმის ყველა ისტორიულად ცნობილი სახეობა. გამოიყოფა ტაბუირების რამდენიმე სახე: საკუთარი სახელების, ასევე ცხოველთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა სახელების ტაბუ და სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებული ტაბუ – ვაშინერს. გალის რაიონში დღესაც ფუნქციურია აკრძალვებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ვაშინერს სიტყვასიტყვით არხსენებულს, ანუ უთქმელს, უხსენებელს ნიშნავს. ვაშინერს არა მარტო აკრძალვაა, არამედ ნიშნავს, რომ ქმედების თუ საგნის სახელის ხსენებაც შეუძლებელია (გამსახურდია 1959: 261; ჩიქობავა 1983: 216; ქაჯაია 2009: 236, გერსამია 2010: 178; Шмелев 1964: 57). ამ წესს განსაკუთრებით ხანდაზმულები იცავენ. უხუცესები ჩვენთან საუბრის დროსაც ერიდებოდნენ ქმრის, მისი ნათესავების სახელით მოხსენიებას, რითაც ადრესატების მიმართ პატივისცემასა და მორიდებას გამოხატავდნენ (ხარჩილავა 2016: 150-151). საინტერესოა გალის მცხოვრებთა რწმენა-წარმოდგენებში ბუნების სასიცოცხლო ძალისა და ნაყოფიერების საწყისის – წყლის კულტის თაყვანისცემა, რომელიც ინოვაციური სახით ეთნოგრაფიულ ყოფას დღემდე შემორჩა.

ამრიგად, გალის მოსახლეობის სულიერი კულტურა ზოგადქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და ეგუებოდა ახალ რეალობას, ამიტომაც იგი ინახავს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შექმნილ ფასეულობებს, თუმცა მოსახლეობა გარკვეულწილად ინარჩუნებს ძველ ტრადიციებს. ამის მიზეზად ასახელებენ აფხაზეთში შექმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებს, რამაც გამოიწვია რაიონის ჩაკეტილობა და მოსახლეობის სულიერი კულტურის კონსერვატიული ფორმით ჩამოყალიბება.

### გამოყენებული ლიტერატურა

ასედა 2022: ავტორის საველე ეთნოგრაფიული დღიური, 2022.

აბაკელია 1999: აბაკელია ნ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში.

კრებული: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები. თბილისი, 1999.

აბაკელია 2000: აბაკელია ნ., ციური სიმბოლიზმი და დაკრძალვისა და გლოვის ტრადიციები დასავლურ-ქართულ ტრადიციაში. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, ტ. IV, ქუთაისი, 2000.

ლამბერტი 1938: არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938.

ზახია-ოქრუაშვილი 2011: ზახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზეთა ეთნოლოგია, თბილისი, 2011.

გამსახურდია, 1959: გამსახურდია კ., ტაბუ. რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. III. თბილისი, 1959.

გერსამია, 2010: გერსამია რ., მეგრული ვაშინერს (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი). ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი, 2010.

თოფურია 1984: თოფურია ნ., ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბილისი, 1984.

მაკალათია 1927: მაკალათია ს., ახალწელიწადი საქართველოში. თბილისი, 1927.

მაკალათია 1941: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1941.

სახოკია 1937: სახოკია თ., ქორწილი სამეგრელოში. საქართველოს მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში დაცული არქივი, M<sup>1</sup>, 3. თბილისი, 1937.

სახოკია 1956: სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956.

სურგულაძე 1974: სურგულაძე ი., ქართული ხალხური ჩიჩილაკი. კრებული: ძეგლის მეგობარი, №36. თბილისი, 1974.

ქაჯაია, 2009: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV. თბილისი, 2009.

ჩიქობავა, 1983: ჩიქობავა ა., ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბილისი, 1983.

ჭარაია 1997: ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1997.

ხარჩილავა 2016: ხარჩილავა ნ., საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში. თბილისი, 2016.

ჯალაღონია 2011: ჯალაღონია მ., სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში. გაზეთი „ილორი“, №129, 26 ივლისი – 2 აგვისტო, 2011.

Кипшидзе 1914: Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С-Пб, Тбилиси, 1914.

Кобалия 1903: Кобалия И., Из мифической Колхиды, СМОМК. Т. XXXII, 1903.

Шмелев, 1964: Шмелев Д. Н., Слово и образ, Москва, 1964.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.7001>

**თეიმურაზ გვანცელაძე და აფხაზეთი**

**Teimuraz Gvantseladze and Abkhazia**

**ლუიზა ხაჭაპურიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Luiza Khachapuridze**

Akaki Tsereteli shtate University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

The paper discusses the scientific and public activities of Professor Teimuraz Gvantseladze, a linguist, a recognized researcher of the Abkhazian language and Georgian-Abkhazian relations, a deputy of the Supreme Council who signed the Act of Independence of Georgia.

Prof. Gvantseladze's scholarly pursuits encompass an extensive study of the Abkhaz, Abaz, and Georgian languages, along with investigations into broader issues within theoretical linguistics. he is the founder of the linguistics of historiography as a new scientific direction in Georgia. Furthermore, he actively engages in numerous scientific grant programs and projects, assuming key positions such as editor of a prominent scientific publication and esteemed member of editorial boards.

Under his guidance, several candidates and doctoral scholars successfully defended their theses in the specialized fields of Abkhazology and Georgian studies. Prof. Gvantseladze has amassed an impressive publication record, 384 scholarly works, including 33 comprehensive books, published in languages such as Georgian, Abkhazian, Russian, Ukrainian, French, and English.

His significant contributions to the field have not gone unnoticed, as evidenced by his distinction as a laureate of the esteemed Giorgi Sharvashidze State Prize.

During his tenure at the theater institute, Prof. Gvantseladze played a pivotal role in guiding and supporting his Abkhaz students, leading them to lend their voices to the feature film "Ugubziara." This film, produced by Georgian cinematographers in the 1930s, explored themes rooted in Abkhazian culture during the 1980s.

It is worth noting that Prof. Teimuraz Gvantseladze enjoys profound admiration and respect, not only from the Abkhazian community but also from people across the Caucasus region. He is actively against the so-called Apsua school, which in essence

is a weapon of russification of Abkhazians. Collecting his Facebook posts related to the mentioned issues and publishing them in a book, I think, will be very useful for the Georgian cause.

**საკვანძო სიტყვები:** თეიმურაზ გვანცელაძე, აფხაზური ენის მკვლევრები, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, კავკასიელ ხალხთა ენა და კულტურა.

**Keywords:** Teimuraz Gvantseladze, researchers of the Abkhazian language, Georgian-Abkhazian relations, the Act of Independence of Georgia, the language and culture of Caucasian peoples.

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 2009 წლიდან ატარებს თემატურ კონფერენციებს, მიმდინილს საქართველოს სხვადასხვა კუთხისადმი. წელს ის საქართველოს ტკივილს – აფხაზეთს ეხება. გადაწყვეტიტე, ჩემი პატივისცემა გამომეხატა სახელოვანი ქუთაისელის, ენათმეცნიერის, აფხაზური ენის, ფოლკლორის, ლიტერატურისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღიარებული მკვლევრის, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის თეიმურაზ გვანცელაძისადმი.

აქვე დავძენ, რომ საანალიზო მასალად გამოვიყენე ინტერნეტ-საიტები და ბატონი თეიმურაზის საფეისბუკო ჩანაწერები. ეს მასალა, ავტორის პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, იმდენად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის პრობლემებზე, ვფიქრობ, მისი შეკრება და წიგნად გამოცემა მეტად წაადგება ქართულ საქმეს.

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თეიმურაზ გვანცელაძე დაიბადა 1951 წლის 27 სექტემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანში. დაამთავრა ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლა. 1969-1974 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე, 1974-1978 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტი კავკასიური ენების სპეციალობით (სამეცნიერო ხელმძღვანელი – აკად. ქეთევან ლომთათიძე). 1982 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1997 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია და გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 2000 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1974-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჯერ სახელმეცნიერო სამუშაოს შემსრულებლად, შემდეგ – უმცროს, უფროს და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. 2018 წლიდან არის ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

1998-2006 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის მიწვეულ პროფესორად, ხოლო 2006-2009 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის



ინსტიტუტის სრული პროფესორი. 2010 წელს მუშაობდა საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პრორექტორად, შემდეგ კი – რექტორად, ხოლო 2014-2017 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევარი.

1998 წლიდან დღემდე მუშაობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილი თსუ სოხუმის ფილიალი) ჯერ მიწვეულ პროფესორად, 2018 წლიდან კი არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. 2008 წელს მისი ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა აფხაზური ენისა და კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც თვითონვე იყო. 2018 წლიდან არის უნივერსიტეტის სამშვიდობო განათლების ცენტრის აფხაზეთის კვლევის მიმართულების ხელმძღვანელი.

იკვლევს აფხაზურ, აბაზურ და ქართულ ენებს, ზოგადი (თეორიული) ენათმეცნიერების პრობლემებს. არის საქართველოში ისტორიოგრაფიული ენათმეცნიერების, ანუ ისტორიოგრაფიის ლინგვისტიკის, როგორც ახალი სამეცნიერო მიმართულების დამფუძნებელი.

არის არაერთი სამეცნიერო საგრანტო პროგრამისა და პროექტის ხელმძღვანელი და მონაწილე:

2022 წლის ივლისი – 2023 წლის ივლისი. – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი. პროექტი: „ენათა ფუნქციონირება აფხაზეთის ასსრ-ში საბჭოთა პოლიტიკის კონტექსტში (XX საუკუნის 30-იანი წლები)“ (პროექტის შიფრი: OTG-I-22-232). პროექტის ხელმძღვანელი.

2020-2021 წწ. – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი. პროექტი „თანამედროვე აფხაზური ენის ეკოლინგვისტური ანალიზი“ (პროექტის შიფრი: OTG-I-19-1128). პროექტის ხელმძღვანელი.

2018 წ. – აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტი „აფხაზური ენა დამწყებთათვის“. პროექტის ხელმძღვანელი.

2017-2018 წწ. – Stiftelsen Marcus och Amalia Wallenbergs Minnesfond-ისა და Crafordka Stiftelsen-ის გრანტი (შვედეთი). ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) ბაზაზე მოქმედი პროექტი: „კავკასიის ენათა ოჯახების ფილოგენეტიკა“. აფხაზური ნაწილის შემსრულებელი.

2014-2016 წწ. – Stiftelsen Mrcus och Amalia Wallenbergs Minnesfond-ისა და Crafordka Stiftelsen-ის გრანტი (შვედეთი). ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) ბაზაზე მოქმედი პროექტი: „შედარებითი ენათმეცნიერების

დიაქრონული ატლასი“ (DIACL) (Lundic/Diachronic Atlas of Comparative Linguistics (<https://diac.ht.lu.se/>)). აფხაზური ნაწილის შემსრულებელი.

2014-2015 წწ. – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაკვეთა. თემა: „მოქვის სახარების პირველი გამოცემისათვის აფხაზურ ენაზე რეზიუმეს თარგმნა“.

2014-2015 წწ. – აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაკვეთა. თემა: „აფხაზური ენის ელექტრონული ინტერაქტიული სასწავლო პროგრამის მეორე დონის შექმნა“. ხელშეკრულება №379. პროექტის ხელმძღვანელი.

2014-2015 წწ. – გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროსაბჭოს ერთობლივი საერთაშორისო ინიციატივის „ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმის“ (COBERM-ის) გრანტი. თემა: „აფხაზოლოგიის ელექტრონული ბიბლიოთეკა“. სარეგისტრაციო №306. პროექტის ხელმძღვანელი.

2012 წ. – კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტი. თემა: „დიმიტრი გულიას ორიგინალური აფხაზური ლექსების პირველი კრებულის რეპრინტული გამოცემა“. პროექტის ხელმძღვანელი.

2011 წ. – გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროსაბჭოს ერთობლივი საერთაშორისო ინიციატივის „ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმის“ (COBERM-ის) გრანტი. თემა: „აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობის კვლევა. 1“. სარეგისტრაციო №112. პროექტის ხელმძღვანელი.

2004-2005 წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი. თემა №21.3.02: „მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სინოფსისი“.

2002-2003 წწ. – იუნესკოს გრანტი. თემა: „შედგენა და გამოცემა ორტომეულისა „აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის“, კონტრაქტი №4500005265.

2002-2003 წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი. თემა: №21.4.02: „მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“.

2000-2001 წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი. თემა №21.4: „მთის კავკასიურ-ქართული ლექსიკონების შედგენა“.

1998-1999 წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი. თემა №21.5: „იბერიულ-კავკასიური ენების ფუნქციურ-გრამატიკული კატეგორიების თეორიული და ტიპოლოგიური შესწავლა თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით“, ნაწილი II.

1998 წ. – შვედეთის სამეფო აკადემიის გრანტი. თემა: „უმცირესობათა ენები საქართველოში“, აფხაზური ნაწილის შემსრულებელი;

1996-1997 წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი. თემა №21.5: „იბერიულ-კავკასიური ენების ფუნქციურ-გრამატიკული კატეგორიების თეორიული და ტიპოლოგიური შესწავლა თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით“, ნაწილი I.

არის არაერთი სამეცნიერო გამოცემის რედაქტორი და რედკოლეგიის წევრი.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები აფხაზოლოგიასა და ქართველოლოგიაში. ქართულ, აფხაზურ, რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 384 ნაშრომი, მათ შორის 33 წიგნი.

არის გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2013 წ.).

თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობის დროს ბატონი თეიმურაზის ხელშეწყობითა და ხელმძღვანელობით მისმა აფხაზმა სტუდენტებმა 80-იან წლებში გაახმოვანეს აფხაზურ თემაზე ქართველი კინემატოგრაფისტების მიერ 30-იან წლებში გადაღებული მხატვრული ფილმი „უგუზბიარა“.

1990 წელს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად (ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“). 1990-1992 წლებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (ეროვნული ერთიანობისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა ქვეკომისიის წევრი). 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

1991 წელს იყო საქართველოს პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუროს აფხაზეთის კურატორი...

შეიძლება ვთქვათ, რომ თეიმურაზ გვანცელაძეს ღმერთმა თავიდანვე გადაუწყვიტა კავკასიელი ერების მსახურება, როცა მასწავლებლად არნოლდ ჩიქობავა და ქეთევან ლომთათიძე შეახვედრა. 70-80-იან წლებში იგი სისტემატურად ჩადიოდა აფხაზეთში, თვეობით ცხოვრობდა აფხაზურ სოფლებში, სწავლობდა ენას და კრებდა ენობრივ-ფოლკლორულ და ეთნოლოგიურ მასალას. მკვლევარი თავის საფეისბუკო გვერდზე არაერთხელ მადლიერებით, სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს თავის მასპინძელ ოჯახებს აფხაზეთში, განსაკუთრებით პირველ აფხაზ მასპინძლებს სივარნა და ბაბუსია წვიჯბებს, რომელთა ოჯახთანაც ურთიერთობა დღემდე არ გაუწყვეტია.

ბ-ნი თეიმურაზი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს არა მხოლოდ აფხაზთა, არამედ ჩრდილოეთკავკასიელ ხალხთა წარმომადგენლებს შორის.

გაგაცნობთ მის რამდენიმე მოგონებას:

„როდესაც 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რასაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა მთელ კავკასიაში, ქალბატონ ქეთევანის [იგულისხმება გამოჩენილი კავკასიოლოგი, აკად. ქეთევან ლომთათიძე – ლ.ხ.] ერთ-ერთმა საუკეთესო მოწაფემ, ყარაჩაი-ჩერქეზეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ჩერქეზული და აზაზური ფილოლოგიის კათედრის გამგემ, კეთილშობილმა კაცმა, დოცენტმა რაუფ კლიჩევმა (1934-1994 წწ.) დამირეკა და მომილოცა ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა და მითხრა, ვეცდები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ჩემი ქართველი მასწავლებლის იუბილე მალე აღვნიშნო და ამის დამადასტურებელ საბუთსაც გამოგიგზავნიო.

ვუთხარი, ხომ იცი, პოლიტიკურ ღონისძიებას არ გაპატიებენ და კავკასიოლოგიის საქმეს თქვენთან საფრთხე შეექმნება-მეთქი.

ეგ ვიცი, მაგრამ ირიბად მაინც მიგანიშნებთ ჩვენს ძმებს ქართველებს, რომ ჩვენ, აბაზებმა მასწავლებლების ღვაწლის დაფასებაც ვიცით და საქართველოს იურიდიულად განთავისუფლებაც გვახარებსო.

მართლაც, რაუფის ინიციატივით 9 აპრილიდან ერთი კვირის თავზე, 16 აპრილს ქალაქ კარაჩაევსკში გაიმართა პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ქართველი მეცნიერის, აკად. ქეთევან ლომთათიძის იუბილეს [80 წლისთავი – ლ.ხ.].

პროგრამას, რომელიც აბაზებმა გამოგზავნეს, გამოკვეთილად დიდი ასოებით ეწერა, ეძღვნება საქართველოს რესპუბლიკის (და არა „საქართველოს სსრ-ს“) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ქეთევან ლომთათიძეს. ამ მცირე ნიუანსით რაუფმა მკითხველს მიანიშნა, საქართველო დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ა ო. ამით მან ჩვენ, ქართველებს მოგვილოცა დამოუკიდებლობის აღდგენა.

შეიძლება ვინმემ თქვას, ეს რა მილოცვააო და ძალიანაც შეცდება, ვინაიდან მათთვის, ვინც იცის, როგორ მკაცრად აკონტროლებდა და დღესაც აკონტროლებს მოსკოვი ჩრდილოეთ კავკასიას და რა ძნელი იყო სიმართლის მეტი დოზით თქმა, ის დააფასებს რაუფ კლიჩევის, ამ დიდებული კაცის გამბედაობას!“

2011 წელს, ქალბატონი ქეთევანის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, ქალბატონი ქეთევანის ორმა ნამოწაფარმა ქართულიდან აფხაზურ ენაზე თარგმნა და გამოსცა მასწავლებლის ერთ-ერთი მონოგრაფია, ამჟამად კი მისი მეორე წიგნის თარგმანზე მუშაობენ.

„1991 წლის 21 მაისს, ადიღე-ჩერქეზების ტრაგედიის დღეს, ნალჩიკის ფეხბურთის სტადიონზე საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ ჩერქეზთა ენაზე სიტყვა უთხრა ადგილობრივებს და კინალამ დაინგრა სტადიონი ოვაციებისაგან... მათი რესპუბლიკის მესვეურმა და სხვებმა, მშობლიურის უცოდინარობის გამო, რუსულად მიმართეს ხალხს, ქართველმა კი – მათ ენაზე“ – იგონებს საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს წევრი, ბატონი ბიმურზა დადეშქელიანი-აფრასიძე ([http://psnews.ge/index.php?m=68&news\\_id=14614](http://psnews.ge/index.php?m=68&news_id=14614)).

1991 წლის 23 თებერვალს ინგუშურ სოფელ კანტიშევოსა და ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში ჩატარდა მიტინგები ჩეჩენ-ინგუშთა სამშობლოდან მასობრივი გასახლების 47 წლისთავის აღსანიშნად. 23 თებერვალს საქართველოდან უზენაესი საბჭოს საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია ჩაფრინდა გროზნოში, ძნელია აღწერო, რა საოცარი რეაქცია ჰქონდათ ჩეჩნებს ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართვაზე ჩეჩენი და ინგუში ხალხებისადმი, რომელიც გროზნოში ბატონმა თეიმურაზ გვანცელაძემ წაიკითხა.

თეიმურაზ გვანცელაძე აქტიურად გამოდის ე.წ. აფსუური სკოლის

წინააღმდეგ, რომელიც სინამდვილეში გარუსების იარაღია და ყალბ ისტორიას უნერგავს მოსწავლეებს 1921 წლიდან დღემდე. მეცნიერი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ ერთმანეთთან დაპირისპირების გამო ვერ მოვიცალეთ საიმისოდ, რომ დავეხმაროთ აფხაზ ხალხს თავისი ენისა და თვითმყოფადობის გადარჩენაში...

წერილს დავასრულებ ჩემი მასწავლებლის, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის თეიმურაზ გვანცელაძისადმი მოძღვნილი სიტყვებით:

„ძმაო, თემურ, შენ ჯვართამაღლების დღესა ხარ დაბადებული და 27 სექტემბერს ნამდვილად ჰგავს შენი ცხოვრება:

სიმართლისათვის (დევნილი!), ქვეყნისათვის, რწმენისათვის, ნამდვილი მეცნიერებისათვის იბრძვი მთელი ცხოვრება, მაგრამ მარცხიც (კანონიერი ხელისუფლების დამხობა, სოხუმის დაცემა, უნივერსიტეტიდან იძულებით გამოშვება...) იწვნიე...

გამარჯვებული ისაა, ვინც მართალი ცხოვრებით ცხოვრობს და თავის სიმართლეს საბოლოოდ მაინც ანახვებს ქვეყანას.

მიუხედავად ყველაფრისა, ღირსეულად დგახარ ფეხზე და დღესაც იბრძვი საქართველოსათვის, სიმართლისათვის, იბერიელ-კავკასიელთა ერთიანობის საფუძვლის წარმოჩენისათვის, აფხაზთა ნაწილის თვალის ახელისათვის (იმ ნაწილისათვის, რუსებმა თავიანთი ცულის ტარად რომ აქციეს საქართველოს, კავკასიის წინააღმდეგ!)...

ჩემო თემურ, პატიოსანი და დიდი მეცნიერი ხარ, დიდებული ლექტორი ხარ (ზუსტად ვიცი, როგორ უყვარხარ ყველა სტუდენტს!), აწი მხოლოდ იმას გისურვებ, ჯანმრთელობას გაუფრთხილდე, კიდეც დიდხანს აკეთო შენი ღირსეული საქმეები და ზოგჯერ დატკბე ამქვეყნიური ცხოვრებითაც!“

### გამოყენებული წყაროები

თ. გვანცელაძის საფეისბუკო ჩანაწერები  
[psnews.ge/index.php?m=68&news\\_id=14614](https://psnews.ge/index.php?m=68&news_id=14614)  
[abkhazology.wordpress.com/2014/01/11](https://abkhazology.wordpress.com/2014/01/11)  
[wikipedia.org](https://wikipedia.org)  
[diac1.ht.lu.se](https://diac1.ht.lu.se)

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.7002>

**თვალხილული ჯოჯობეთი გურამ ოდიშარიას  
„დეჰნილთა უღელბეხილის“ მიხედვით**

**A Visible Hell according  
to Guram Odisharia's „Pass of the IDPs“**

**მანანა ხვინგია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Manana Khvingia**

Sokhumi shtate University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The tragic events that unfolded during the Georgian-Abkhazian conflict of 1992-1993, which can be more accurately characterized as a Georgian-Russian war, continue to hold significant relevance today, particularly in light of the ongoing Russia-Ukraine war. This conflict resulted in the occupation of 20% of Georgia's territory by Russia, making it imperative to examine the facts, events, and objective reality surrounding this period. This research aims to convey to readers the harrowing chronicles of the 20th century's recent past, ensuring that future generations understand the immense suffering endured by their parents and grandparents, and recognize Abkhazia as their homeland.

The story “Pass of IDPs,” written by Guram Odisharia on October 15-16, 1993, just three weeks after Abkhazia's fall, remains a poignant account that vividly captures the ongoing turmoil and unhealed wounds of that time. The authenticity and raw emotions conveyed within the narrative reflect its immediate proximity to the unfolding events. Notably, Odisharia dedicated the story to his daughter, Salome Odisharia, emphasizing the importance of transmitting history to future generations.

“Passage of the IDPs” aptly describes Odisharia's documentary-artistic account, reflecting the harsh reality faced by displaced individuals along their arduous journey. The pass itself had no previous name and was christened after the destitute population, who had no alternative but to traverse this treacherous route to save their lives. Reading Odisharia's skillfully penned truth evokes an overwhelming sense of

sorrow. The story unveils the relentless struggles and hunger endured by the doomed population, exacerbated by the merciless forces of nature. Freezing conditions plagued their arduous journey, where pausing for respite meant certain death, and the prospect of relief remained elusive. Odisharia does not shy away from depicting the grim reality of the road, exposing not only acts of kindness, support, and love, but also instances of robbery, betrayal, pain, and tears.

Despite the profound tragedy and anguish, the story imparts a glimmer of hope - the belief that, sooner or later, everyone will return to their homes. Moreover, the significance of this narrative lies in its capacity as a historical source, with the characters representing real people who directly experienced this unfathomable tragedy.

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთი მხატვრულ ლიტერატურაში, გურამ ოდიშარიას მოთხრობა „დევნილთა უღელტეხილი“.

**Keywords:** Abkhazia in fiction, Guram Odisharia's short story „The Pass of the Deportees“.

გურამ ოდიშარიას მოთხრობა „დევნილთა უღელტეხილი“ დაიწერა 1993 წლის 15-27 ოქტომბერს, აფხაზეთის დაცემიდან სამ კვირაში, როდესაც მოვლენები ჯერ ისევ დუღდა, ღია ჭრილობას სისხლი ჯერ კიდევ სდიოდა. ამიტომაც თხზულებაში აღწერილი მოვლენები და ფაქტები ახალია, ყველაფერი ნამდვილი და ტკივილით გადმოცემული. მიუხედავად სულიერი სიმძიმისა და ფიზიკური ტკივილისა, გურამ ოდიშარიამ, როგორც მწერალმა, სასწრაფოდ ფურცლებზე გადმოიტანა გონებაში აღბეჭდილი და ნანახ-განცდილი. როცა წერდა, ალბათ, მაშინ ნაკლებად ფიქრობდა იმაზე, რომ ამას შემდეგ „ოქროს ფასი“ დაედებოდა. მოთხრობის მთავარ ღირსებად უპირველესად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მწერალმა იცის, რას წერს და რატომ. მართლაც, თაობები ამ მოთხრობით ეცნობიან იმ უმძიმეს რეალობას, რაც აფხაზეთის მკვიდრთ გადაიტანეს. სიმბოლურიცაა, რომ მწერალმა მოთხრობა თავის შვილს, სალომე ოდიშარიას, მიუძღვნა. ამით მან მთავარი სათქმელიც გამოხატა: მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს თავისი ისტორია.

გურამ ოდიშარიას „დევნილთა უღელტეხილი“ დოკუმენტურ-მხატვრული მოთხრობაა. „დევნილთა უღელტეხილი“ კი ზუსტად მიგნებული სათაურია. ამ უღელტეხილს იქამდე სახელიც კი არ ჰქონია. იგი მას შემდეგ დაერქვა, რაც განწირული მოსახლეობა, რომელსაც სხვა გამოსავალი არ დარჩენოდა, სიცოცხლის გადასარჩენად დაადგა ამ გზას. გურამ ოდიშარიას ოსტატური კალმით გადმოცემული სინამდვილის წაკითხვა ცრემლების გარეშე შეუძლებელია.

მწერალი მისთვის ჩვეული ოსტატობით, სიძინჯით, თანმიმ-

დევერულად და დალაგებულად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმოგვცემს იმ უმძიმესი დღეების რეალურ ისტორიას.

ხშირად შემოქმედთათვის ნამდვილი ამბავი ან ფაქტი გამხდარა ამა თუ იმ ნაწარმოების შთაგონების წყარო. გურამ ოდიშარია კი თავადაა ამ მოთხრობის პერსონაჟიც, რეჟისორიცა და ოპერატორიც იმ 100 000-ზე მეტ ადამიანთან ერთად, რომლებიც ერთად დაადგინეს ამ ჯოჯოხეთურ გზას.

გურამ ოდიშარია, როგორც იქაური მკვიდრი, გრძნობდა დიდი საფრთხის მოახლოებას, რომელსაც საფუძველი რუსეთმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩაუყარა, და მოთხრობაში წერს კიდევაც: „...უღელტეხილი ბევრად ადრე დაიწყო, უფალო, ვიდრე მასზე შევდგი ფეხი“... (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>) და ლოცვასავით გრძელდება: „შენ დაიფარე ყველა გაჭირვებული, მამავ ჩვენო, ნათელო დიადო, რწმენავ... – დაახლოებით ასე ვესაუბრებოდი ღმერთს ორი ოქტომბრის, ალბათ ყველაზე საშინელ ღამეს საკენ-ჭუბერის უღელტეხილის უმაღლეს მონაკვეთში, სწორედ იმ ღამეს, როდესაც ჩემს თვალწინ და ჩემს ხელებში რამდენიმე ადამიანმა ჩიტოვით დალია სული“ (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>).

ავტორი თავადაა მთხრობელი და ფოტოგრაფიული სიზუსტით აღწერს ყოველ ნაბიჯს, საათსა თუ დღეს, თუმცა ეს არ არის უბრალოდ ფირზე აღბეჭდილი უბრალო ფაქტი, არამედ ყველაფერი გაჟღერებულია ცრემლით და ტკივილით, დარდით და სევდით. ფილმის კადრებივით მიჰყვება ერთმანეთს ბარგმოკიდებული მოსახლეობა, „ნაბიჯარეული ჯარი“, ნაცნობი თუ უცნობი, რომლებიც ერთმანეთისთვის ახლობელი გამხდარან. ყველა მხოლოდ ერთზე ფიქრობს – გამოაღწიოს; დარჩენა სიკვდილს უდრის.

მოთხრობაში არაა არანაირი პათეტიკა, მხოლოდ მწარე სიმართლე – ბედის ანაბარა მიტოვებული მოსახლეობა და გზა, რომელზედაც „მოაბიჯებს ჯვრის სიმძიმით გათანგული ჯვარცმული ხალხი“ (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>). მწერალი თანაუგრძნობს უღელტეხილზე მომავალ ჯარისკაცებს: „მოდინ თავჩაქინდრული, სიამაყეშელახული მეომრები, თვალს ვერავის უსწორებენ, ზოგიერთი ნაცნობს ემალება, მზეერას არიდებს“ (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>).

ემოციურადაა გადმოცემული, როგორ იბრძვის განწირული მოსახლეობა დასძლიოს სირთულე, შიმშილი. გასასტიკებული ბუნება კი კიდევ უფრო ამძაფრებდა ისედაც გაუსაძლის ყოფას. ხალხი გზადაგზა იყინებოდა, გაჩერება სიკვდილს ნიშნავდა – გზას კი დასასრული არ უჩანდა – იწყება სიკვდილ-სიცოცხლის გზა – უღელტეხილის ალპური ზონა.

ზღვისპირელებმა მთის ერთი კანონი უკვე ვიცით – არ შეიძლება მწვერვალზე შეჩერება, იქ მხოლოდ ბალახი და ედელვაისი ხარობს, წამლად ერთი ხეც არ დგას – ცეცხლს ვერ დაანთებ. მწვერვალზე გაჩერება სიკვდილია (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>).



მწერალი შეულამაზებლად, გადამეტების გარეშე აღწერს უღელტეხილზე არსებულ რეალობას: თანადგომასთან, სიყვარულთან, დახმარებასთან ერთად იყო ყაჩაღობაც, გაუტანლობაც, სისასტიკეცა და ღალატიც. იგი გულისტკივილით წერს ისეთ ადამიანებზე, რომელთაც მხოლოდ „თავიანთი თავი“ უჭირდათ და ასკვნის: „ომმა და უღელტეხილმა მათ ვერაფერი ასწავლა“.

ტრაგიკული რეალობა მხატვრულად ძალიან ძნელი გადმოსაცემია და მხოლოდ მწერლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. გურამ ოდიშარიამ, მიუხედავად ფსიქოლოგიური და ემოციური ფონისა, შეძლო შეენარჩუნებინა წერის მისეული მანერა: „წვანან ისინი მშვიდად, ხელში ქალაღდის ნაგლეჯი უპყრიათ თავიანთი სახელითა და გვართ, ზუსტად ისე, ვით ახალშობილებს სამშობიარო სახლში. დამთავრდა სრბოლა მათი, დამთავრდა დევნა, მაგრამ... ისინი მაინც განარძობენ თავიანთ სვლას, თავიანთ ლტოლვას უკეთესი საქართველოსკენ, სადაც ყველაფერი რიგზეა, სადაც ადამიანები პატრონობენ ერთმანეთს, სადაც კაცი ქვეყნის ერთგულია და ქვეყანა – კაცის, და არავინ კლავს ერთმანეთს არც იარაღით და არც დევნიით“ (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>.).

მთა მარტო სიმაღლე არაა. იგი ადამიანის სულისა და ცხოვრების განმსაზღვრელია და ერთგვარად ადამიანის ლუსტრაციასაც ახდენს: „მთა დიდი სიყვარულივითაა, დიდი სიყვარული კეთილს უფრო აკეთილშობილებს, ბოდმიანს უფრო მატებს ბოდმას, ხარბს – სიხარბეს, ძუნწს – სიძუნწეს, გულუბრყვილოს – გულუბრყვილობას... მთა ომივითაა, რენტგენის სხივებით ამჟღავნებს ყველას. ტამარივითაა მთა – ვისაც ცოტათი მაინც სწამს ღმერთის და ცოტათი მაინც უყვარს ადამიანი, აქ განიწმინდება“ (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>.).

მოთხრობაში ერთ-ერთი ეპიზოდი ხართან შეხვედრას და მწერლის ყურადღების ობიექტი ხდება ეს მშვიდი, წყნარი, ადამიანისათვის ერთგული და ჭაპანგამწე პირუტყვი. თითქოს რა უნდა იყოს გასაკვირი, რომ ვიღაცა ამ გაჭირვების ჟამს სწორედ მისი დახმარებით ცდილობს დააღწიოს თავი ჯოჯოხეთს?! გურამ ოდიშარია მწერალია, მის მიერ მოვლენებისადმი ხედვა და აღქმა განსხვავებულია; ამიტომაც ხარი ამ შემთხვევაში არა დამხმარე ძალა, არამედ თანამოზიარე ადამიანთა გაუსაძლისი მდგომარეობისა: „საკუთარ ქანდაკებას დამსგავსებული ხარი გაოგნებული დაჰყურებს აღმართზე ამომავალ, ტალახში ამოთხვრილ კაცთა მოდგმას“ (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>.). მათ შორის რაღაც ღვთიური, უხილავი კავშირი იბმება: „მეჩვენება სანთლებივით ანათებენ ხარის რქები“ (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>.). სანთელი ხომ რწმენა, იმედი და ძალაა. არა მგონია, მწერალს იმ წუთებში შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ხარი“ მოჰგონებოდა, მაგრამ საოცარი მსგავსებაა ამ უფლისგან დალოცვილი პირუტყვის შეფასება-დახასიათებაში. ორივე მაღლობასთან ერთად ბოდიშსაც იხდის მის წინაშე, რადგან საბოლოოდ იმეტებენ მას.

„აგრემც ვალმოხდილ, ნაჯაფარ ბებერ ქედს ვენაცვალეზი,  
სულ ნალვლიანი რადა გაქვს ჯილა, საცერა თვალეზი!..

...

ოფლში და პაპანებაში ერთად ვართ გამონახარში.  
ფეხზე მაცმევედი ქალამანს, ყანწს მომაწვდიდი ნადიმში,  
დაგკლავდით დიდ ზამთრობისას, – მაძლრად გვყოლოდა ზადიში.  
ძეობა იყო – გლეხკაცი ისევ შენ გდებდა იმედებს,  
ღრეობა იყო, ვაიმე, ისევ შენ გამოგიმეტეთ.  
ქორწილი იყო... ვაიმე, მტკიოდა გული საღადრე,  
წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგაღადრეთ.  
ცხედარიც მიპატიოსნე ალაპ-ქელეხის წესებით...  
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე ტირილით ვწერე ლექსები...

(ნიშნინიძე 1985: 281).

გურამ ოდიშარია კი ასე ემშვიდობება ხარს: „აბა, ჩემო წიქარავ,  
კარგად იყავი, ძმაო, მხსნელო ჩვენო და დამპურებელო. გვაპატიე  
ადამიანებს სისასტიკე, შეგვინდე ცოდვები. ხომ ხედავ, სანამდე მოგვიყვანა  
ყოველივე ამან. გგონია, ვერ ვგრძნობ, თუ როგორ გეკუმშება ფუთიანი  
გული სიბრალულისაგან. ვიცი, გეცოდებით ძლიერ. ვერ გექცეოდით,  
წიქარავ, კაცურად, გვაჭმევდი და გვასმევდი, წაიფორთხილებდი და...  
გაკვდინებდით ჩვენ – სიძულვილს ადევნებულეზი, აგრესიული, მოჩხუბარი  
არსებები. გიღირდა კი ჩვენი ერთგულება?.. ნეტავ ვინ გამოგზავნა,  
დალოცვილო, ჩვენდა პატრონად, ძმაო ჩვენო და ღვთაებავ“ (<https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm>)?!

მოვლენების სწრაფი აღქმა, გააზრება, ობიექტური დასკვნების  
გამოტანა ემოციის ფონზე ადვილი არ იყო, მაგრამ მწერალმა ცივი  
გონებით ნამდვილი ისტორია დაწერა, რომელიც ბევრი ამ საკითხით  
დაინტერესებული ისტორიკოსის, ლიტერატორის, მეცნიერისა თუ  
რეჟისორისათვის მსუყე მასალაა. პერსონაჟები რეალური პიროვნებები  
არიან, მათთვის, აფხაზეთელთათვის დამახასიათებელი მეტყველებით,  
სილალით, გაჭირვების დროსაც რომ არ კარგავენ იმედს.

მიუხედავად უმძიმესი ტრაგედიისა და ტკივილისა, მოთხრობაში  
მაინც არის იმედი, იმედი იმისა, რომ ადრე თუ გვიან ყველა დაუბრუნდება  
თავის კერას.

### გამოყენებული ლიტერატურა

ნიშნინიძე 1989: ნიშნინიძე შ., ლირიკა, ნაწყვეტები პოემიდან. თბილისი,  
1989.

ოდიშარია 1993: ოდიშარია გ., „დევნილთა უღელტეხილი“ <https://www.orthodoxy.ge/istoria/apkhazeti/odisharia.htm> (დამოწმება: 15.10.2022).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.7003>

სამურზაყანოს  
აფხაზური და ქართველური ტოპონიმების  
მორფოლოგიური სტრუქტურა

**Morphological structure of Abkhazian and  
Georgian place names of Samurzhakho**

**მონიკა ხობელია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Monika Khobelia**  
Sokhumi shtate University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The article undertakes an analysis of the morphological structure of Georgian and Abkhazian toponyms in the region of Samurzhakho. The relevance of this topic is evident in the significant changes observed in the toponymic landscape following the events of 1993. At that time, all Kartvelian-origin toponyms were prohibited, and artificially created Abkhazian names introduced by separatists became prevalent. These newly introduced place names either had no historical basis or represented unofficial variations of Kartvelian topo-nyms adapted to the Abkhazian language. Our objective is to conduct a comprehensive morphological analysis of the Georgian and Abkhazian toponyms in the Samurzhakho region before the occupation. The study is based on the toponyms documented by Paata Tskhadaia and Villena Jojua.

The analysis revealed that the majority of micro toponyms in the research area exhibit a distinctly Georgian morphological structure. These toponyms employ Georgian or Megrelian roots, bases, and affixes as productive elements. The second category comprises exclusively Abkhazian toponyms, which display a varied morphological landscape. This includes both simple-based Abkhazian toponyms and complex-based composite Abkhazian toponyms that preserve morphological and syntactic features specific to the border regions of Ab-khazia. The third group comprises what can be termed hybrid or bilingual toponyms. These geographical names employ elements from one language as roots and bases while incorporating morphological features from the second language as affixes. Alternatively, the composite toponym may have one constituent word in Georgian and the other in Abkhazian.

It is noteworthy that within the neighboring Tsalenjikha municipality, which shares an eastern border with Samurzaqano, the majority of Megrelian toponyms in Samurzakhand are confirmed to be of Kartvelian origin. Their structure, including the root, base, and affix, are all derived from Kartvelian elements, specifically Megrelian, rather than Abkhazian. Examples include Tkhumloni, Zakalon, Ubado Mikol, Ucha Toba (meaning “violet lake”), Oskhapue Sumgal, and others. The analyzed material clearly illustrates the diversity of morphological and semantic groups within the territory of Samurzaqano. Notably, Megrelian toponyms and productive affixes exhibit a dominant presence, and even within the Abkhazian bases themselves, Megrelian productive affixes are frequently observed.<sup>9</sup>

**საკვანძო სიტყვები:** სამურზაყანოს აფხაზური ტოპონიმები, სამურზაყანოს ქართველური ტოპონიმები, ჰიბრიდული/ორენოვანი ტოპონიმები სამურზაყანოში, ტოპონიმთა მორფოლოგიური სტრუქტურა

**Keywords:** Abkhazian toponyms of Samurzakhand, Georgian toponyms of Samurzakhand, hybrid/bilingual toponyms in Samurzakhand, morphological structure of toponyms.

სამურზაყანო, ე.ი. გალის რაიონი მთლიანად და ოჩამჩირის რაიონის ნაწილი ენობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა. აქ, განსაკუთრებით გალისა და ოჩამჩირის რაიონების მიჯნაზე, აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) მეზობლობამ შექმნა ერთგვარი ენობრივ-დიალექტური და ეთნიკური გარდამავალი ზონა, რაც გამოიხატა ბუნებრივ ორენოვნებაში, ორმხრივ ლექსიკურ ნასესხობებსა და ჰიბრიდულ ტოპონიმებში. აფხაზეთის ომის შემდგომ აქ ტოპონიმიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა: აიკრძალა ქართველური წარმომავლობის ყველა ტოპონიმი და გაბატონდა სეპარატისტ მეცნიერთა, განსაკუთრებით აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ვალერი კვარჭიას მიერ გამოგონილი, ადრე არარსებული აფხაზური დასახელებანი. იმისათვის, რომ სამომავლოდ დაცულ იქნეს ჭეშმარიტება და ისტორიული სამართლიანობა, დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ოკუპაციამდე არსებული ტოპონიმიკური ვითარების დეტალურ კვლევას.

საკვლევ ზონაში ტოპონიმთა უმრავლესობა ენობრივად მთლიანად ქართველურია: ნაწარმოებია ქართული სამწიგნობრო ენის ან მეგრულის ძირ-ფუძეებისა და აფიქსების გამოყენებით.

ტოპონიმთა მეორე ნაწილი აფხაზურენოვანია და მიღებულია ამ ენის „საშენი მასალის“ საფუძველზე.

მესამე ჯგუფს ქმნიან ის ჰიბრიდული, ანუ ორენოვანი ტოპონიმები, რომლებიც ძირ-ფუძეებად იყენებენ ერთ-ერთი ენის მასალას, აფიქსებად კი გამოყენებულია მეორე ენის მორფოლოგიური ინვენტარი, ანდა

რთულფუძიანი (კომპოზიტური) ტოპონიმის შემადგენელი ერთი სიტყვა (ფუძე) ქართველურია, მეორე კი – აფხაზური.

გავრცელების სიხშირის მიხედვით ყველაზე პროდუქტიულია კუთვნილების გამომხატველი რთული მეგრული ტოპონიმები, რომლებიც წარმოდგენილია სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის სახით და გაფორმებულია ნათესაობითი ბრუნვის -იშ/-შ სუფიქსით. მსაზღვრელად ძირითადად გამოყენებულია არსებითი სახელები, ადამიანის საკუთარი სახელი და გვარი, ეთნონიმი და სხვა, რომელთა ფუძეები ქართულ-მეგრული წარმომავლობისაა, ან დიდიხნის ნასესხებია აღმოსავლური ენებიდან:

აბრაგიშ ტახტი – ფართო ქვა, შესასვენებელი ადგილი ოჭაკის გზაზე (მთა) (ცხადაია 2003: 1). აბრაგი – ავაზაკი, ტახტი (მეგრ.) – ფართო ბრტყელი ლოდი, რომელზეც დაჯდომა, ან სულაც წამოწოლა და დასვენება მოსახერხებელი.

ტერენტიშ გოჭოფილი – სამოვარი სატორუოში (ს. ღვაშგვერდი) (ცხადაია 2003: 176). ტერენტი საკუთარი სახელია, გოჭოფილი (მეგრ.) „შემოკავებული“.

უბილეფიშ ღალ – უჩა ღალის ზემო წელი (ს. ზემო ბარღები) (ცხადაია 2003: 178). უბილავა გვარია, ღალ (მეგრ.) – ღელე.

ტკილიშ ტომბა – მორევი რეჩხიწყარზე (ს. რეჩხი) (ცხადაია 2003: 176). ტკილი (მეგრ.) „მერგელის ქანი“, ტომბა (მეგრ.) – ღრმა გუბე.

რუსიშ ნაშქიდა – „სადაც რუსი დაიხრჩო“, მორევი ალენ-ხუმუშქურის შესართავთან. სიტყვა რუსი ამავე ზონაში აწარმოებს შემდეგ ტოპონიმებს: რუსეფიშ ხუტორი „რუსის ხუტორი, განცალკევებით მყოფი სამოსახლო“, რუსეფიშ ნოხორი „რუსების ნასახლარი“, რუსიშ შარა „რუსის გზა“ (ცხადაია 2003: 146), რესიშ ფონი „რუსის ფონი“ (იქვე: 148) და ა.შ.

თურქიშ ნაწისქვილ – თურქის ნაწისქვილარი ბაბაშიაზე (ს. ჭყონხუმლა). თურქი ყოფილა მეტსახელი თურქეთიდან დაბრუნებული მუჰაჯირისა – ალექსანდრე დაუშაძისა (ცხადაია 2003: 74).

ამავე ტიპის აფხაზური ტოპონიმებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

აგრუაკვარა „მეგრელის ღელე“ – ბობოშიაკვარის მარჯვენა შენაკადი (ცხადაია 2003: 12). აგრუა – მეგრელი, აკვარა – ღელე.

ამუშკვარა „დათვის ღელე“ – ნიშონის მარჯვენა შენაკადი (ს. ლეკუმხარა) (იქვე: 20). ა-შშგ „დათვი“.

(ა)შანწაკვარა „კაჟის ღელე“ (ტყვარჩელის თემი). ა- შანწა „კაჟი“, აკვარა „ღელე“.

აშანა იბოხ – „შანავას ბორცვი“ (ს. საჩაჩხალია) (ცხადაია 2003: 28). აშანა – ვინმე შანავა, აბოხვ „კლდე“.

დასახელებული აფხაზური ტოპონიმებიც მსაზღვრელ-საზღვრულია და კუთვნილებას გამოხატავენ, ოღონდ ზემოთ დასახელებული მეგრული ფორმებისაგან პირველი სამი დასახელება იმით განსხვავდება, რომ ისინი უკვე ერთ სიტყვადაა შერწყმული. ამოსავალი ორსიტყვიანი სახეობები ცოცხალ აფხაზურ მეტყველებაშივე გავრცელებული. მაგალითად:

აგრუაკვარა მომდინარეობს ორსიტყვიანი აგრუა იკვარა შესიტყვებისაგან. კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასის ი- თავსართის რედუცირებისა და ორი სიტყვის გაერთისიტყვიანება ტოპონიმიზაციის ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია აფხაზურ ენაში.

საკვლევ ზონაში ხშირია საკუთრივ აფხაზური წარმოშობის მარტივფუძიანი ტოპონიმები:

აჭდრა – ტყე ალაშარის აღმოსავლეთით (ცხადაია 2003: 25). აუდ (აფხ.) განიმარტება როგორც დუდგულასნაირი მცენარე.

აფთგრა – მინდორი ყვაშინჯარის კალთაზე (რეჩხი) (ცხადაია 2003: 26). მკვლევარ მანანა ბუკიას მიხედვით, აფხაზური აფთგრა „მწყემსების საზამთრო სადგომი ბარში“ შესულია მეგრულში აფთარა, აფთურა, ავთარა ფორმებით და ზოგადად აღნიშნავს მწყემსის სადგომს (ბუკია 2013: 73).

აღდარა „ეკლიანი ადგილი“ – ბორცვი პატრახუწის საზღვართან (ცხადაია 2003: 27).

ჰიბრიდულ ტოპონიმთა ჯგუფიდან აღსანიშნავია შემდეგი ფორმები:

აბაზჟარაშდული – ტყე-ფერდობი აბაზჟარაში (ცხადაია 2003: 9). იგი ჰიბრიდულია: აფხაზურენოვან ტოპონიმ აბაზჟარა-ს ერთვის მეგრული დული „თავი“ ინდიკატორი, ამასთან აფხაზური ფუძე გაფორმებულია -შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით და გამოხატავს კუთვნილებას.

აბანაპ „აბანოს წყალი“ – სააბაზანო-სამკურნალო წყალი (ს. აყვარაში) (ცხადაია 2003: 10). ჰიბრიდული მეგრულ-აფხაზური ჰიდრონიმია: აბანა (მეგრ.) „აბანო“, ა-ძგ (აფხ.) „წყალი“, ფუძეები ერთმანეთთან თითქოს ლექსიკურად არიან დაკავშირებულნი და არა აფიქსურად, მაგრამ რეალურად მეორე სიტყვის პირველი ა- ხმოვანი ნივთთა გრამატიკული კლასის პრეფიქსია: აბანა ა-ძგ „აბანოს წყალი“.

აბაცუნარა „ზღმარტლის ფერდობი“ (ჩხორთოლი) (ცხადაია 2003: 10). ტოპონიმის პირველი ნაწილი აფხაზურში შესული მეგრული ბაცვი „ზღმარტი“ სიტყვაა, ხოლო ანარა ფერდობის აფხაზური დასახელებაა. შესაბამისად, ეს ტოპონიმი ჰიბრიდულია.

პეპი(შ)აჰაფუ „პეპის გამოქვაბული“, მღვიმე ოქუმბასთასა და დიდ აცღლმუას შუა, სადაც პეპის საქონელი ჰყოლია (ცხადაია 2003: 140). აფხაზურ-მეგრული ტოპონიმია, პირველი ნაწილი მამაკაცის მეგრული პეპი სახელია, მეორე ნაწილი კი მიღებულია აფხაზური აჰაფუ „გამოქვაბული“ სიტყვისაგან. ტოპონიმი გაფორმებულია ნათესაობითი ბრუნვის მეგრული -შ სუფიქსით, რომელიც ზოგი მთქმელის მეტყველებაში არ გამოითქმის.

კამბეშთა (ჰართა) „კამეჩის ჩასავარდნი/ჩანავარდნი“, მორევი მორინჯზე (სოფელი აგვავერა) (ცხადაია 2003: 79). სახელის პირველი კომპონენტი კამბეშ მეგრული არსებითი სახელია (შდრ., აფხაზ. აკამბაშ), ხოლო მეორე კომპონენტი აფხაზური ნაზმნარი სახელია: ა-თაჰარა „ჩავარდნა“, -რთა კი სათავსოს, სივრცის აღმნიშვნელი აფხაზური სუფიქსია.

ტოპონიმთა ცალკე ჯგუფს ქმნის მოდელი ატრიბუტული მსაზღვრელი + საზღვრული. ეს მოდელი იყოფა ქვემოდელეებად:

ა) მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელი: უჩატომბა

„შავი მორევი“ (ს. დიხაზურგა) (ცხადაია 2003: 180). უბადო მიკოლ „ცუდი გასასვლელი“ (მთა ოქუმბასთაში) (იქვე: 178), ჭითა ახრა „წითელი კლდე“ (იქვე: 211), ტოპონიმის პირველი ნაწილი მეგრული ფუძეა, მეორე კი – აფხაზური;

ბ) ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულია ქართული რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელებიდან მხოლოდ სუმ „სამი“, ჟირ//ჟერ „ორი“, სამწიგნობრო ქართულის სიტყვა-ფორმა ოთხი და პირველი: ოთხი შარა ეიორთუ „ოთხი გზის გასაყარი“ (ს. რეჩხი) (ბუკია 2013: 125); სუმგვალა „სამი გორი“ (ს. ზემო ღუმურიში) (ცხადაია 2003: 174); სუმდალ „სამი დელე“ (ს. თხინაშკარი) (იქვე: 174); ჟირპიჯი „ორპირი“ – მდინარეთა შესართავის აღმნიშვნელი ჰიდროგრაფიული ნომენი (იქვე: 142); ჟირდალშქა „ორდელესშუა“ (ს. საბერიო) (იქვე: 143); ჟეროფუჯეშქა „ორ ოფუჯეს შუა“ (მთის სახელწოდება) (იქვე: 143); პირველი გალი – თემი გალის რაიონში (იქვე: 141). საინტერესო და საყურადღებოა ტოპონიმი – აკა ჭყონი „ერთადერთი მუხა“ (გინძე ეწერი) (იქვე: 16), აკვ „ერთი; რამე“ აფხაზური რიცხვითი სახელის ფუძეა და განუსაზღვრელ რაოდენობასაც აღნიშნავს მეგრულშიც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკუთრივ აფხაზური რიცხვითი სახელების შემცველი ტოპონიმები სამურზაყანოში არ იძებნება.

ცალკე მოდელია კომპოზიტური წარმოების გეოგრაფიული სახელები: ლუგელაწყარი – წყარო ოქუმბასთაში (ცხადაია 2003: 91); კუჩხიობონუ „ფეხსაბანი“, წყალმარჩხი ოჯოლორეზე (იქვე: 86); კაფრონსუკი – სერი ოხურეის მარცხენა მხარეს (იქვე: 80), სახელწოდების საფუძველია კაფრაჯა, კაფარი (ჯონჯოლის ხე). ეს მოდელები ნაგენეტივარი სახელები ჩანს. მათ პირველ კომპონენტს უნდა ჰქონოდა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -იმ/-ში, რომელიც გამოხატავს კუთვნილებას. სუფიქსი სიტყვაწარმოებითი ფუნქციით არის აღჭურვილი.

საკვლევ ზონაში ხშირია დანიშნულების სახელები, რომლებშიც გამოყენებულია ო-ე კონფიქსი: ომაღაზე – ტყე აკარმარაში (იქვე: 127), მაღაზა – სასიმინდე, ნალია; ონემე – კაკლნარი (იქვე: 128), ნემი – ნიგოზი; ოსხაპუე – მორევი დიდ ერისწყალზე (იქვე: 129), სხაპუა – ცეკვა; ხტუნვა.

სამწიგნობრო ენიდან ან დასავლურქართული დიალექტებიდანაა შესული მეგრულში დანიშნულების სახელთა სა-ო კონფიქსი, რომელიც ტოპონიმიაში გვარებისგან აწარმოებს ახალ ადგილის სახელებს. აქ ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

1. -ვა დაბოლოების შემცველი გვარებისაგან მომდინარე ტოპონიმები: სააფშილო/სააფშილა, შდრ.: გვარი აბშილაგა, აფშილაგა; სალემონჯო – გვარი ლემონჯაგა; სალაგვილო – გვარი ლაგვილაგა; საუბილო – გვარი უბილაგა; სალეჟო – გვარი ლეჟაგა; სახარჩილო / სახარჩილაო – გვარი ხარჩილაგა. ასეთი ტოპონიმების საფუძვლად გამოყენებულია არა გვარსახელთა სამწიგნობრო -ვა დაბოლოებიანი ვარიანტები, არამედ მეგრული უსუფიქსო სახეობები: აბშილა, ლემონჯა, ლაგვილა, უბილა, ხარჩილა.

2. რაც შეეხება ოიკონიმებს: სა-აქხარდი-ო, შდრ.: გვარი აქუხარდია;

საგოგობიო, შდრ.: გოგობია; საგვაგვალიო – გვაგვალია. ისინი აშკარად ემყარება შესაბამის გვარსახელთა -ია სუფიქსიან ფორმებს, შდრ: გვარები აქ[უ]ბარდია, გოგობია, გვაგვალია. ტოპონიმების წარმოებისას სამწიგნობრო ენის ნორმების მიხედვით გვარის ბოლოკიდურა ა ხმოვანი მოკვეცილა.

-ონ სუფიქსიც პროდუქტიულია ტოპონიმებში და ძირითადად დაერთვის მცენარეთა სახელწოდებებს. იგი აღნიშნავს ადგილს, სადაც რომელიმე მცენარე ხარობს და მიუთითებს ერთგვაროვან მცენარეთა სიმრავლეზე, კრებითობაზე. ამ მოდელის ტოპონიმებია: ოთხირონი „თხილნარი [სათხილნარე]“ ტყე ოსგრეში (ცხადაია 2003: 125). ზაკალონი „ზანარი“ – ტყე ოყორანის მახლობლად (იქვე: 70), თხუმლონი „თხმელნარი“ – ტყე რეჩხში (იქვე: 75).

აფხაზურში მცენარეთა კრებითობას გამოხატავს აფიქსი -რა, სამურზაყანოს ზონაში წარმოდგენილია -რა სუფიქსიანი შემდეგი ტოპონიმები: არაჭარა – ნორჩი კაკლნარი; არაჭარა – ტყე ოხურეის მარცხენა მხარეს (საჩინო) (იქვე: 23). აშვრა //აშური – წიფლნარი (მთა; ტყვარჩელის თემი) (იქვე: 29). აშვრა – ზანარი (ფოქვეში) (იქვე: 29), აწვაშჰარა – ხშირი ვაშლნარი (სოფელი პატრახუწა) (იქვე: 33). აჭაჭარა – სუროვანი (წარჩის (იქვე: 34), ახეცარა – რცხილნარი (ჩხორთოლი) (იქვე: 36), აჯრა – მუხნარი (იქვე: 38) და ა.შ.

აფხაზურში ადგილის აღმნიშვნელია რთული სუფიქსი -რთა// -თრა, რომელიც დასტურდება აფხაზურ ტოპონიმებში: აჰაყეთრა – ოხოჯის მარჯვენა შენაკადი (ცხადაია 2003: 38), ა-ჰაყა (აფხ.) შუაში ამოღრმავებული სანაყი ქვა. ბოშიაგლართა//ბოშინგლართა//ბოშლაგართა – ვაკე-სახნავები ლეკუხონაში (იქვე: 46), აგლართა „სადგომი“; ბოშლაფართა – აბდახარის მარჯვენა შენაკადი.

როგორც უკვე ითქვა, სამურზაყანოში ტოპონიმთა ერთი ნაწილი ქართველური, კერძოდ, მეგრულია. მათგან ზოგი სახელი ზუსტად იმავე ფორმით გვხვდება ენგურის გამოღმაც, წალენჯიხის რაიონში, საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმეს:

თხუმლონი „თხმელნარი“ ტყის სახელწოდება დაბა ჯვარში (ცხადაია 2004: 44);

ზაკალონი – ფერდობის სახელწოდება სოფელ მაზანდარაში (იქვე: 40);

უჩა(ია) ტობა „შავანა მორევი“ – მორევი ოლორზე, ჭველეს უბანი (ს. ფახულანი) (იქვე: 168);

უბადო მიკოლ „ცუდი აღმართი“ – კლდის სახელწოდება ჯალრაში (იქვე: 165);

ოსხაპუე – 1. სერი ნაპერტუღალისა და ლაჩახვის სათავეებთან სამიქაოში; 2. მორევი ინწირაზე, სადაც მაღალი კლდის ბაქნიდან ხტებოდნენ (საჩინო) (ცხადაია 2003:130);



სუმდალ „სამი ღელე“ – 1. უბანი, ხეობა რეკის მარჯვენა მხარეს. (ეწერი); 2. ტყე-სამოვარი ბოგაშის კალთაზე, სადაც სამი უსახელო ღელე ერთდება (ნაგურუ). ყველა მათგანის ძირი, ფუძე და აფიქსები, რა თქმა უნდა, მეგრულია და არა აფხაზური (ცხადაია 2004: 158).

ამრიგად, განხილული მაგალითები გვიჩვენებენ, რომ სამურზაყანოს ტერიტორიაზე საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ტოპონიმთა მორფოლოგიურ-სემანტიკური ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ დომინანტობს საკუთრივ მეგრული სიტყვაწარმოებითი საშუალებები.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბუკია 2013: ბუკია მ., ნარკვევები ქართულ-აფხაზური ლინგო-კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ნაწილი I. თბილისი, 2013.
- ცხადაია 2003: ცხადაია პ., სამურზაყანოს გეოგრაფიული დასახელებანი. თბილისი, 2003.
- ცხადაია 2004: ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, წალენჯიხის რაიონი. თბილისი, 2004.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.14.2022.7004>

**დაპირისპირება  
ქართვალთა და აფხაზთა შორის –  
საზოგადოებაზე სპეცპროპაგანდის გავლენის შედეგი**

**The Confrontation between Georgians and Abkhazians –  
Examining the Impact  
of Propaganda on Societal Dynamics**

**მზია ხოსიტაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Mzia Khositashvili**

Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

This article examines the role of propaganda in shaping the confrontation between the Georgian and Abkhazian populations during the late 1980s. With the emergence of the national liberation movement in Georgia, various non-governmental organizations, historians, scientists, and writers with separatist leanings became influential voices in Abkhazia. These actors capitalized on the nascent theories of mass media effects, including framing, persuasion, and conflict, to shape public opinion. Additionally, Russian military special propaganda tactics were employed successfully to exacerbate divisions between the Georgian and Abkhazian communities, employing manipulative tactics and disseminating disinformation among both combatants and civilians. The primary objective was to incite mutual hatred and discord. In the pursuit of promoting separatism in Abkhazia, „Black propaganda“ was deployed, allowing for the complete distortion of reality to achieve propaganda goals. Falsification and manipulation of history, repeated dissemination of fabricated narratives, and the portrayal of unknown heroes were common strategies employed. Publications such as „Бзибъ“ in Russian and Abkhaz languages, „Aidgilara“ in Abkhazian, and „Единение“ (edinenie) in Russian were utilized by „Aidgilara“ to propagate its message to the Russian-speaking and Abkhazian-speaking populations. The articles published in these newspapers depicted Abkhazians as oppressed and Georgians as oppressors, focusing on specific themes that intensified over time, fostering animosity

towards Georgians through propa-ganda techniques. These themes encompassed the settlement of Georgians in Abkhazian territories, the dis-placement of the Abkhazian language by Georgian, the closure of Abkhazian schools, the substitution of Abkhazian toponyms with Georgian names, preferential appointments of Georgians to leadership positions, bi-ased interpretations of the events of April 9, 1989, and the partial coverage of the tragedy of July 15-16, 1989. The Georgian-language press in the Autonomous Republic of Abkhazia, including „Voice of Abkha-zia“, „Golden Fleece“, „Kolkhetian Diadem“, and „Apsni Kapsh“, responded to the fabricated information published in Abkhazian newspapers by disseminating materials supported by factual evidence and documen-tary sources. However, these efforts were insufficient and inaccessible to the non-Georgian population. The article sheds light on the changed behaviors and heightened aggression among the population, manipulated through propaganda methods, press releases, and speeches delivered by „Aidgilara“, ultimately leading to a deepening confrontation between the Georgian and Abkhazian communities.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში, რუსეთის სამხედრო პროპაგანდა აფხაზეთში, ფსიქოლოგიური ომი აფხაზეთში, სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთში.

**Keywords:** Russian policy in Abkhazia, Russian military propaganda in Abkhazia, psychological war in Abkhazia, separatist movement in Abkhazia.

გასული საუკუნის 80-ანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პროცესების შეფასებისას მკაფიოდ ჩანს მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზეწოლისა და პროპაგანდისტული ხერხების გავლენა და მისი ლოგიკური შედეგი – ქართულ-აფხაზური დაპირისპირება. იმ დროისათვის (1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით) ქართველები აფხაზეთში შეადგენდნენ მოსახლეობის 45,7 %-ს, აფხაზები – 17,7 %-ს, სომხები – 14,6 %-ს, რუსები – 14,3 %-ს, დანარჩენს – ბერძენი, ბელორუსი, უკრაინელი და სხვ. ხალხის წარმომადგენლები (<http://www.abkhazia.gov.ge/page/>).

ვინ და რა გზით შეძლო იმ დროს საზოგადოებაზე ზემოქმედება, ცნობიერების მანიპულირება და დიდი ხნის მანძილზე ნათესაური კავშირებითა და კეთილმეზობლური ურთიერთობებით მცხოვრები ხალხის ერთმანეთის მტრად გადაკიდება? როგორი იყო იმდროინდელი საზოგადოება? ვინ იქცა საზოგადოებრივი აზრის ლიდერად? როგორ იცვლება საზოგადოებრივი აზრი პროპაგანდისტული ხერხებით? როგორ უნდა აეღოთ მართვის სადავეები ხელში რიცხოვრივად მცირე ერის წარმომადგენლებს ან მათ დაჯგუფებებს, თუ არ გამოიყენებდნენ მასებზე

ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და პროპაგანდის ნაცად ხერხებს.

ხელისუფლებისთვის ბრძოლას საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ მოვლენათა სფეროს მიაკუთვნებენ, რადგან მას თან სდევს ადამიანებზე სხვადასხვაგვარი სახის ფსიქოლოგიური ზემოქმედება. ფსიქოლოგიური ომი სხვადასხვა ფორმების, მეთოდებისა და ადამიანებზე ზემოქმედების საშუალებების ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს მათი ფსიქოლოგიური მახასიათებლების (განწყობების, შეხედულებების, აზრების, მოტივების) შეცვლას. ფსიქოლოგიური ომი ასახავს ერთი სახელმწიფოს სპეციალური ორგანოების საქმიანობის შინაარსს, რომელიც ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სხვა სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურეებზე თავისი პოლიტიკური და სხვა სამხედრო მიზნების მისაღწევად (Крысько 1999: 4).

ზოგ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური ქვედანაყოფები საკადრო პერსონალით, რომელიც კარგადაა განსწავლული, აღჭურვილია და მზადაა ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს პრაქტიკული მოქმედებისთვის. ეს ქვედანაყოფები შედიან სახელმწიფოს შეიარაღებულ ქვედანაყოფებში ან მისი სპეცსამსახურების შემადგენლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში, მშვიდობიან დროსაც, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგაც ხდება მათი გამოყენება. ასეთი მიდგომა გავრცელებული იყო აშშ-ში, სსრკ-ში, გერმანიაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში (იქვე).

ჯერ კიდევ ძველი ჩინელი ფილოსოფოსი და სამხედრო მოღვაწე სუნ ძი (VI ს. წ. აღ-მდე) აღწერდა ომში გამოსაყენებელ წესებს, რომელშიც მოწინააღმდეგეზე ზემოქმედებისთვის ჯაშუშების გამოყენება და ტყუილის გავრცელებაც შედიოდა, რაც, თავის მხრივ, დასაჩუქრებისა და მოსყიდვისთვის გულუხვობის გამოჩენასაც გულისხმობდა (სუნ ძი 2007: 221).

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა კრემლის ჩარევის გარეშე, რომელსაც მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ომის წარმოებისა და საზოგადოების მანიპულაციისთვის ჰქონდა კარგად დამუშავებული პროპაგანდისტული მეთოდები. პროპაგანდა ინფორმაციის გარკვეული მიზნით გადაცემაა. სწორედ დასახული მიზანი აქცევს ინფორმაციას პროპაგანდად და არა მისი უტყუარობა. კარგად ორგანიზებული პროპაგანდის წარმართვისთვის აუცილებელია: 1. საფრთხეების ხელოვნურად შექმნა; 2. დემოკრატიული და სხვა ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის დათესვა; 3. საფრთხეებისა და უიმედობის დაძლევის ალტერნატივის შეთავაზება. პროპაგანდისთვის დამახასიათებელია: შეცდომაში შეყვანა და ცნობიერებაზე ზემოქმედება; ზიანის მიყენების განზრახვა; მიზანმიმართულობა; სისტემატურობა (<http://www.Millab.ge/ka>).

არსებობს საომარი მოქმედებებისთვის განკუთვნილი ე.წ. სპეც-პროპაგანდა, რომელიც გულისხმობს მოწინააღმდეგის რიგებში დეზინფორმაციის გავრცელებითა და ცნობიერების მანიპულაციით უთანხმოების დათესვას. როგორც წესი, მას მშვიდობიან მოსახლეობაზე ზემოქმედებისთვისაც ადვილად იყენებენ. მიზანი ერთია: ურთიერთ-

სიძულვილისა და შუღლის გაღვივება. საომარი მოქმედებებისგან განსხვავებით მისი გამოყენება უფრო ეფექტურია, რადგან მშვიდობიან მოსახლეობას არ შეუძლია თავის დაცვა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პროპაგანდას, როგორც კომუნიკაციის ფორმას, სჭირდება როგორც გამავრცელებელი, ასევე მიმღებიც. რაც უფრო ნაკლებად განსწავლულია აუდიტორია, დაბალია მისი განათლების დონე, მით უფრო ადვილია მისით მანიპულირება. ამავე დროს, მსგავსი საზოგადოების ნდობის მოპოვებაც უფრო მარტივია, თუ ლიდერად წარმოდგენილი იქნება განათლებული და ყველასთვის ცნობილი ადამიანები.

როგორც წესი, საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებლად გვევლინებიან ადამიანები, რომლებიც ფლობენ ცოდნას და მკაფიოდ აყალიბებენ სათქმელს. სოციოლოგების აზრით, საზოგადოებრივი აზრის ლიდერები შეიძლება იყვნენ ისინი, ვინც მოცემული საკითხებით უფრო მეტად იქნება დაინტერესებული; საკითხის შესახებ საშუალო ადამიანზე უკეთესად არის ინფორმირებული; ლიდერები განსაკუთრებული თვისებების წყალობით ზემოქმედებენ მათთან საერთო იდენტობის მქონე ადამიანებზე (უილკოქსი... 2011: 216).

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისა და გააქტიურების ფონზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასპარეზზე გამოჩნდა სეპარატისტულად განწყობილი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, ასევე, ისტორიკოსები, მეცნიერები და მწერლები. სწორედ ამ დროს, 1988 წლის 13 დეკემბერს, შეიქმნა ანტიქართული მიმართულებით გამორჩეული აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“ (თანადგომა). შესაძლოა, ამ სოციალური ფონის გათვალისწინებით მოხდა „აიდგილარას“ წარდგენა არაპოლიტიკურ გარემოში, აფხაზეთის მწერალთა კავშირში, რომელიც თავიდანვე ჩამოყალიბდა აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიურ ცენტრად და მის ხელმძღვანელადაც მოსახლეობისთვის ცნობილი აფხაზი მწერალი ალექსი გოგუა იქნა შერჩეული (<http://www.kvira.ge/606264>).

„აიდგილარას“ – აფხაზი ხალხის ეთნო-ნაციონალისტური სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელშიც ასევე გაერთიანდნენ სომხები, ბერძნები და რუსები. სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ: მწერალი ალექსი გოგუა (1988), სერგეი შამბა (1989), ზურაბ აჩბა (1990-1992), რაუფ ებუხოუ (1992-1993) (<http://www.abkhazia.gov.ge/page>).

ფსიქოლოგიური ომის საწარმოებლად აუცილებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. როგორც წესი, ისინი კონტროლდება ამა თუ იმ პოლიტიკური ან ფინანსური ჯგუფების მიერ. „აიდგილარა“ თავისი პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოსცემდა გაზეთებს» რუსულ და აფხაზურ ენებზე – „Бзирн“, აფხაზურ ენაზე – „აიდგილარა“, რუსულად – „Единение“.

აფხაზეთში სეპარატიზმის გასაღვივებლად გამოყენებულ იქნა ე.წ.

„შავი პროპაგანდა“, რომლისთვისაც დამახასიათებელია პროპაგანდისტული მიზნების მისაღწევად რეალობის აბსოლუტური დამახინჯების დაშვება. რაც უფრო უტიფარია პროპაგანდა, მით უფრო ძლიერია მისი ზემოქმედება აუდიტორიაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეცპროპაგანდა მშვიდობიან მოსახლეობაზე იყენებს საომარი მოქმედებების განკუთვნილი დეზინფორმაციის გავრცელებას და მისი საშუალებით უთანხმოების დათესვას.

სპეცპროპაგანდის მეთოდებში ყველაზე გავრცელებულია „დიდი ტყუილის მეთოდი“. მისი არსი შემდეგშია: აუდიტორიას მაქსიმალურად მაღალი ხარისხის დამარწმუნებელ, იმდენად გლობალურ და უსირცხვილო ტყუილს მიაწვდიან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება ამგვარი ტყუილის გამოგონების შესაძლებლობის დაჯერება. აბსოლუტურად ცრუ ინფორმაციით უნდა შეიქმნას შოკური ეფექტი, გამოიწვიოს მკითხველში, მსმენელსა თუ მაყურებელში ძლიერი შიში, რაც შემდგომ დიდი ხნით განსაზღვრავს მის შეხედულებებს. კლასიკური მაგალითებია მოწინააღმდეგის ბილწი და საშინელი ზრახვების აღწერა.

ისტორიის გაყალბება პროპაგანდის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია, რა დროსაც დაინტერესებული მხარე პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ისტორიული ფაქტების უარყოფას და წარსულის რევიზიას ახდენს. ამ მიზნით ისტორიული დოკუმენტების, სტატისტიკის, წყაროების გაყალბება, ხოლო არასანდო წყაროების ლეგიტიმურად წარმოჩენა ხდება. ისტორიით მანიპულირება მეტწილად პოლიტიკურ მიზნებს ისახავს – საზოგადოების მობილიზება, მტრის ხატის შექმნა, მოწინააღმდეგის დემონიზება, ძლიერების ილუზიის შექმნა და სხვ. (<http://millab.ge/ka/mil-resources/any/16/any>).

გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო საიმედო შედეგს იძლევა „აბსოლუტური ჭეშმარიტების მეთოდი“. ამ დროს აუდიტორიას სისტემატურად მიეწოდება ის ინფორმაცია, რაშიც სურთ მისი დარწმუნება, მიეწოდება როგორც რაღაც თავისთავად ცხადი და ამიტომაც მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არის მხარდაჭერილი. მიუხედავად თავისი ერთი შეხედვით უბრალოებისა, ეს მეთოდი მეტად ეფექტურია, რადგან ადამიანური ფსიქიკა ავტომატურად რეაგირებს უმრავლესობის შეხედულებაზე და მიილტვის, შეუერთდეს მას, გახდეს მისი ნაწილი. მანიპულატორისთვის ცნობილია, რომ უმრავლესობა უნდა არსებობდეს და მისი მხარდაჭერაც უპირობო უნდა იყოს – სხვა შემთხვევაში ერთობის (გაერთიანების) ეფექტი არ წარმოიშობა. „აბსოლუტური ჭეშმარიტების“ გამოყენების ერთ-ერთი კლასიკური და გავრცელებული მაგალითია სხვადასხვა სახის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების დაბეჭდვა, რომელიც ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოების აბსოლუტური ერთიანობის დემონსტრირებას ახდენს; „შავი პროპაგანდის“ მეთოდები, ბუნებრივია, არ მოითხოვს, რომ ამ ანგარიშებს რეალობასთან რაღაც კავშირი მაინც ჰქონდეთ. ამის მაგალითებია თვითმხილველებისა და ცრუ მოწმეების

ინტერვიუების გავრცელება პრესაში.

მრავალგზის გამეორების მეთოდი – ე. წ. ჰებელსის მეთოდი. გარკვეული სახის ინფორმაციის მიწოდება ხდება ადამიანთა გონებაში მუდმივი შთაგონებით. აქ მოქმედებს პრინციპი: „ათასჯერ გამეორებული ტყუილი უკვე სიმართლეა“. მას გულმოდგინედ იყენებენ მასმედიის წარმომადგენლები.

„უცნობი გმირის მეთოდი“. მისი არსი ცრუ პეროიზაციაშია. ომის დროს ის ადამიანის ფსიქიკაში იწვევს დიდ წინააღმდეგობას და მას უპირისპირებენ სხვა სახის ემოციებს – ადამიანს უქმნიან მაღალი მორალური ღირებულებებისათვის ბრძოლის ილუზიას. მაგ., აფხაზი ხალხის „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ ბრძოლა „მჩაგვრელი“ ქართველების წინააღმდეგ და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ასსრ-ში ქართულ ენაზე გამოდიოდა რამდენიმე გაზეთი: „აფხაზეთის ხმა“, „ოქროს საწმისი“, „კოლხური დიადემა“ და ა.შ., ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ სხვა ეროვნების მოსახლეობის ინფორმირებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლითაც „აიდგილარა“ არაქართული მოსახლეობის ცნობიერების მანიპულირებას ახდენდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „აიდგილარა“ რუსულენოვანი და აფხაზურ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობისთვის გამოსცემდა გაზეთებს, რომელთა სტატიებშიც ხდებოდა აფხაზების ჩაგრულად და ქართველების მჩაგვრელებად წარმოჩენა. გამოიყო რამდენიმე თემა, რომელიც პერიოდულად ღრმავდებოდა და პროპაგანდის ხერხების გამოყენებით აფხაზებში სიძულვილის დათესვას უწყობდა ხელს. ესენია:

1. აფხაზთა განსახლების არეალზე ქართველთა ჩამოსახლება;
2. აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე აფხაზური ენის ჩანაცვლება ქართული ენით;
3. აფხაზური სკოლების დახურვა;
4. აფხაზური ტოპონიმების ჩანაცვლება ქართული სახელწოდებებით;
5. ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქართველების ვითომ უპირატესი დანიშვნა;
6. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ინტერპრეტაცია;
7. 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგედიის მიკერძოებულად გაშუქება.

დავუბრუნდეთ სპეცპროპაგანდის მეთოდებს. „დიდი ტყუილის მეთოდი“ თავიდანვე გამოიყენეს სეპარატისტებმა, როდესაც ცდილობდნენ აფხაზი მოსახლეობის დარწმუნებას, რომ აფხაზებს ჩაგრავენ და პერიოდულად უწყობდნენ გენოციდს. „აიდგილარას“ ლიდერი ა. გოგუა მწერალთა კავშირის პლენუმზე გამოსვლისას აცხადებდა, თითქოს ლ. ბერიამ აფხაზეთში 100 ათასი ქართველი ჩამოსახლა და მეორე 100 ათასი კი – მისმა შთამომავლებმა (აღსანიშნავია, რომ 1990 წლის მონაცემებით აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობა შეადგენდა 239 872-ს) (ოქროს საწმისი 1990: 16).

ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილის, არაბი და ევროპელი მოგზაურების ჩანაწერებში აფხაზებს საქართველოს ნაწილად მოიხსენებდნენ, არ წარმოადგენდა აფხაზთა ლიდერებისთვის ჭეშმარიტებას. არაბი მოგზაური და ისტორიკოსი ალ-კალკაშანდი წერდა: „ქართველებს ჰყავდათ ორი მეფე, ერთი... თბილისის გამგებელი... და მეორე „სოხუმისა და აზხასის განმგებელი... მაშინ მის გამგებელს ეწოდებოდა დადიანი...“ და შემდგომ მის მეფურ უდიდებულესობას ამგვარად მოიხსენიებდა: „...ავანისა ქრისტიანულ სარწმუნოების დიდებისა, ჯვრის რელიგიური საზოგადოების განძისა, ქრისტიანობის სიამაყისა, აზხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა მეფისა, მეფეთა და სულთანთა მეგობარი, ყოველ მათგანს ეწოდებოდა ქართველთა მეფე“ (ალ-უმარი... 1988: 56). ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „...ანაკოფიის დასავლეთით არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი... არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აზასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი“ (ქართლის ცხოვრება 1973: 784).

ცხადია, აფხაზ სეპარატისტ ლიდერთაგან მიტინგებსა და გამოსვლებში მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკაზე XIX საუკუნის 60-90-იანი წლების პერიოდზე არავინ საუბრობდა. იმ დროს რუსული ადმინისტრაციის მიერ ხდებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე გერმანელების, ესტონელების, სომხების, რუსებისა თუ ბერძენების დასახლება და ამით აფხაზებისა და ქართველების შევიწროება (სახოკია 1969: 65). სეპარატისტული იდეების გასაცრცელებლად გამოყენებული იყო 1907 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე დაბეჭდილი ლ. ვორონოვის ბროშურა „აფხაზეთი საქართველო არ არის“.

ასევე დაარწმუნეს მოსახლეობა, რომ საბჭოთა კავშირში დატრიალებული რეპრესიების მოთავე და ორგანიზატორი ქართველი ერი იყო. ამ თეზისს ავრცელებდა ზურაბ აჩბა, რომელიც საზოგადოებას გააცნეს, როგორც საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფო მოწყობის თვალსაჩინო სპეციალისტი. ბუნებრივია, ამგვარი რეგალიებით წარდგენილი ერთ-ერთი ლიდერისაგან აფხაზთა „მუჰაჯირობის“ ქართველი ერისათვის მიწერაც უფრო სარწმუნო იქნებოდა. „მისი თქმით, „მუჰაჯირობის“ შემდეგაც კი, 1880 წელს, აფხაზეთის მოსახლეობის მოსახლეობის 90 პროცენტს აფხაზები შეადგენდნენ. ეს მაშინ, როდესაც სოხუმში იმხანად სულ სამიოდე აფხაზური ოჯახი იყო. ზ. აჩბა აშკარად მოქმედებდა პრინციპით: „რაც უფრო დიდ ტყუილს იტყვი, მით უფრო დამაჯერებელია იგი“ (ოქროს საწმისი 1991: 3).

პროპაგანდის თემატიკიდან მრავალგზის გამეორების მეთოდით არწმუნებდნენ მოსახლეობას, რომ ქართველებმა აფხაზებს ენა წაართვეს, აფხაზური სკოლები დახურეს და აფხაზური ენა საოჯახო ენად აქციეს.

ჯერ კიდევ 1862 წელს აფხაზური დამწერლობის შემქმნელი რუსი მეცნიერი პეტრე უსლარი მიიჩნევდა, რომ რუსული დამწერლობის გავრცელების პროცესი კავკასიაში გართულდებოდა, თუ აფხაზური



დამწერლობა ქართული გრაფიკის საფუძველზე შეიქმნებოდა (Ушап 1887: 1-80). ცნობილია, რომ აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა დაიგეგმა და განხორციელდა მოსკოვის ზედამხედველობით. 1937 წლის 4-5 დეკემბერს ქ. სოხუმში, ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის ინსტიტუტში გამართულ საგანგებო თათბირზე განხილულა აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის ანბანის 4 ვარიანტი. თათბირმა 1937 წლის 5 დეკემბერს დაამტკიცა შემთანხმებელი კომისიის მიერ შედგენილი პროექტი ქართულ გრაფიკაზე დაფუძნებული აფხაზური დამწერლობისა. სიმონ ჯანაშიას პირად არქივში დაცულია იმ საგანგებო თათბირის ოქმები. „აფხაზური ენისათვის ყველაზე მეტად შესაფერისი სწორედ ქართული საანბანო სისტემაა, ვინაიდან აფხაზური და ქართული ენები ერთმანეთის მონათესავე ენებია და ბგერითი შემადგენლობაც მსგავსი აქვთ, თუმცა ბგერათა რაოდენობაში საკმაოდ დიდი სხვაობაა (აფხაზურ სამწიგნობრო ენაში 64 ბგერაა, ქართულში კი – 33). მაგრამ ქართული გრაფიკის არჩევას ეს სხვაობა ადვილად დაიძლია“ (<http://www.amsi.ge/istoria/div/gvanc.html>).

ასევე ხდებოდა ნახევრად სიმართლის მიწოდება აფხაზურ სკოლებთან დაკავშირებით, თითქოს აფხაზური სკოლების რეორგანიზაცია და სწავლების გადაყვანა ქართულ ენაზე ქართველების ხელით მოხდა. აფხაზები მე-5 კლასამდე სწავლობდნენ აფხაზურ ენას და შემდეგ სწავლას აგრძელებდნენ რუსულ ენაზე. გასული საუკუნის 40-იან წლებში შეუძლებელი იყო აფხაზური სკოლების კვალიფიციური კადრებითა და სახელმძღვანელოებით სათანადო უზრუნველყოფა, დაბალი მომზადების შედეგად მოსწავლეები სკოლის დამთავრების შემდეგ ვერ ეწყობოდნენ უმაღლეს სასწავლებელში; „40-იანი წლების ბოლოს პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაბარებული სტუდენტების რაოდენობა ქართველების შეადგენდა 294, აფხაზების – 27-ს. მათგან 58 ქართველი ამთავრებდა, ხოლო აფხაზი – 1“ (ოქროს საწმისი 1990, №5: 15).

„აფხაზურ ენაზე სწავლება ვერ აეწყო უმთავრესად იმის გამო, რომ არ არსებობდა სპეციალური აფხაზური ტერმინოლოგია და საკმარისად არ იყვნენ აფხაზური ენის მცოდნე კომპეტენტური სპეციალისტები. გამონაკლისი იყო პედაგოგიური ტექნიკუმი და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ფილოლოგიისა და ისტორიის სპეციალობები, სადაც ლექციები აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა, თუმცა ზოგადი დისციპლინები ამ სპეციალობებზეც რუსულად იკითხებოდა“ (გვანცელაძე... 2021: 117).

სინამდვილეში, სპეციალისტები თვლიდნენ და საქართველოს კპ(ზ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს მიმართავდნენ განცხადებებითა და წერილებით, სადაც ასაბუთებდნენ ქართული და აფხაზური ენების ფონეტიკურ და მნიშვნელოვანწილად ლექსიკურ ერთიანობას, რაც გააადვილებდა აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანას. 1945 წლის 13 მარტს საქართველოს კპ (ზ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის დადგენილების პრეამბულაში ეწერა: „ქართული და აფხაზური ენების

საზიარო დამწერლობისა და ლექსიკური მსგავსების, ასევე აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ქართული ენის ცოდნის, მონათესავე ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო მატერიალური და სულიერი კულტურის არსებობის გათვალისწინებით, 1945-1946 სასწავლო წლიდან აფხაზურ სკოლებში სწავლება გადაყვანილ იქნეს ქართულ ენაზე“. (გვანცელაძე... 2021: 110).

საქართველოს კპ (ზ) ცკ-ის ბიურომ თავის 1945 წლის 12 ივნისის სხდომაზე კომისიის წევრთა თანდასწრებით განიხილა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წინადადება, დაამტკიცა საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის შესახებ და დასახა ზომები ამ მნიშვნელოვანი და კარგა ხნის მომწიფებული ღონისძიების განსახორციელებლად“ (კოლხური დიადემა 1991: 5-7).

აფხაზეთში 1989 წლიდან დაწყებულ ქართველთა ეთნიკური წმენდის მოსამზადებელ პერიოდს წინ საბჭოთა კავშირში შემუშავებული პროპაგანდისტული მეთოდები უსწრებდა. რუსმა მკვლევრებმა და ავტორებმა – ლ. ვორონოვმა, ი. მარხუბამ, გ. ტურჩანინოვმა, აფხაზეთთან დაახლოებულმა ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯორჯ ჰიუიტმა – ისტორიული დოკუმენტების გაყალბებით და ისტორიული ფაქტების უარყოფით, არასანდო წყაროების ლეგიტიმურად წარმოჩენითა და სუბიექტური მიდგომებით „აიდგილარას“, „კრუნქს“, „სოიუზს“ შეუქმნეს ქართველთა მიმართ შუღლის გაღვივების საფუძველი.

რაც შეეხება ტოპონიმებს, თითქოს საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზური ტოპონიმები ქართულით შეიცვალა, სწორი არ იყო. როგორც გეოლოგი და მეცნიერი ვ. ზუხუბაია განმარტავს (მან გამოიკვლია და დაადგინა 4000-მდე აფხაზური ტოპონიმი), ქართულით შეიცვალა აფხაზეთის რუსული ტოპონიმები, რომლებმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შეცვალეს ზოგიერთი აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდება. „ამ ტოპონიმების ისევ აფხაზურით შეცვლას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ აქ ჩამოთვლილი სოფლების აფხაზური სახელწოდებანი ხალხშიც და ისტორიულ წყაროებშიც მცირე გამონაკლისის გარდა დაკარგულია, არავის ახსოვს, აფხაზურად რა ერქვა ამ სოფლებს“ (ოქროს საწმისი 1990, №2: 13).

ტოპონიმიკურ ომებთან დაკავშირებით თ. გვანცელაძე წერს: „1938-1953 წლებში აფხაზეთში მიმდინარეობდა სოფლებისათვის სახელის მასობრივად გადარქმევის ახალი ეტაპი, რომელსაც აფხაზი ავტორები „ქართველიზაციის ეტაპად“ მოიხსენიებენ. ამ პერიოდში უმთავრესად ქართული სახელებით შეიცვალა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის კოლონიზაციის დროს წარმოქმნილი რუსული, თურქული და გერმანული ტოპონიმები“ (გვანცელაძე... 2021: 182). სეპარატისტებს არ სურთ იმის დანახვაც, რომ ამავე 1938-1953 წლებში გაუქმებული რუსული გეოგრაფიული სახელების ადგილი აფხაზურმა ტოპონიმებმაც დაიჭირეს, ხოლო აფხაზური ეტიმოლოგიის მქონე კომონიმები თითქმის არ შეცვლილა ქართული ტოპონიმებით (იქვე:

183).

დიდი ტყუილისა და მრავალგზის გამეორების მეთოდებიდან იყო მოსახლეობასთან ქართველთა პრივილეგირებულ მდგომარეობაზე საუბრებიც. აფხაზეთის ასსრ-ის მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან 57 აფხაზი იყო, ეს მაშინ, როცა აფხაზები მოსახლეობის დაახლოებით 17%-ს შეადგენენ, აფხაზეთის 44% ქართველი მოსახლეობიდან მხოლოდ 53 დეპუტატი იყო ქართველი. აფხაზეთის ასსრ-ის 11 მინისტრთაგან: 8 აფხაზი იყო, 3 – ქართველი. სახელმწიფო კომიტეტის 8 თავმჯდომარიდან: 5 აფხაზი, 3 – ქართველი. პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტის 8 პირველი მდივნიდან: 4 – აფხაზი იყო, 3 – ქართველი, 1 – რუსი. პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე, იუსტიციის მინისტრი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი – ყველა აფხაზია. „რაიონის და ქალაქის 8 პროკურორიდან: 5 აფხაზია, აფხაზეთის სატრანსპორტო პროკურორი – აფხაზი. ყველა შემოქმედებითი კავშირისა და საზოგადოების თავმჯდომარე და ხელმძღვანელი აფხაზია“. ცალკე განხილვის თემაა აფხაზეთის მწერალთა კავშირისა და მხატვართა კავშირის ქართველი წევრების სავალალო მდგომარეობა“ (ოქროს საწმისი 1989: 3).

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე და საყოველთაო ზეიმი „აიდგილარას“ თავმჯდომარის ს. შამბასთვის აფხაზეთისთვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მოპოვების წინაპირობად იქნა აღქმული. ამის საფუძვლად ის მიიჩნეოდა, რომ „1918 წლის ივნისში აფხაზებმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას როგორც თანასწორუფლებიანმა სუბიექტებმა“ (აფხაზეთის ხმა 1991: 1).

თუმცა სეპარატისტები არ ახსენებდნენ 1918 წლის 11 ივნისის ქართულ-აფხაზურ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის არსებობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში. „აფხაზეთის შიდა საქმეებს უნდა გასძლოლოდა სახალხო კრება, რომელიც ფინანსდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან. საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ გვარდიას უნდა ეზრუნა აფხაზეთის უსაფრთხოებაზე“ (პაპასქირი 2004: 16).

მიუხედავად იმისა, რომ ამ შეთანხმების საფუძველზე გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით ქართულმა გვარდიამ აფხაზებთან ერთად გაგრის ჩრდილოეთი გაათავისუფლა ბოლშევიკებისგან, სეპარატისტი ავტორის სტანისლავ ლაკობასთვის ეს მოვლენები ქართული ეროვნული გვარდიის მიერ აფხაზეთის ოკუპაციად იყო წარმოჩენილი. ისტორიული ფაქტების ამგვარი ინტერპრეტაცია მისაღები აღმოჩნდა სხვა სეპარატისტებისთვის, რომლებმაც მრავალგზის გამეორებით დაარწმუნეს აფხაზი მოსახლეობა ამ ამბის აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში.

სეპარატისტებმა ამგვარი მეთოდების გამოყენებით შეძლეს და აფხაზებს მიაღებინეს ცნობილი „ლიხნის მიმართვა“, რომელსაც შედეგად

მოჰყვა 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგედია – ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დარბევა და სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალზე თავდასხმა. ამ ამბებს წინ უსწრებდა არაქართულ სკოლებში ქართული ჯგუფების დახურვა, 2 ათეული წლის მანძილზე ანულირებული იყო განათლების განყოფილების ქართული ენის ინსტრუქტორის შტატი. როგორც 1990 წელს გამოქვეყნებულ წერილშია ნათქვამი, „ქალაქში არ არსებობს არცერთი ქართული ორგანიზაცია (არც რუსთაველის საზოგადოება, არც სახალხო ფრონტის გაერთიანება, არც რაიმე ასოციაცია), „აიდგილარა“ მძვინვარებს თავისი ანტიქართული ტერორით, ებრძვის 9 აპრილის ხსოვნას, რუსთაველის საზოგადოებას, სახალხო ფრონტს, ქართულ დროშას, გამსახურდიას ნათესაობასა თუ თანამოაზრეებს (ოქროს საწმისი 1991: 4).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროპაგანდის მეთოდები, რომელიც გულისხმობს საკომუნიკაციო ფორმების გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით, სეპარატისტების მიერ წარმატებით იქნა გამოყენებული, დაპირისპირა და აფხაზს იარაღი ააღებინა ქართველთა წინააღმდეგ.

### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

აიდგილარა, როგორც კრემლის ძველი და რეანიმირებული პროექტი – ამზადებს თუ არა კიდევ ერთხელ მოსკოვი აფხაზებს ქართველების წინააღმდეგ?! <http://kvira.ge/606264> დამოწმება: 28.01.2023.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა <http://www.abkhazia.gov.ge/page/demografia>

ალ-უმარი... 1988: ალ-უმარი, ალ-მუჰიბი, ალ-კალკაშანდი, XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ: მთარგმნელი დიტო გოჩალეიშვილი. თბილისი, 1988.

აფხაზეთის ხმა 1991: „აიდგილარას“ ლიდერის აზრი. გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 1991, 12 აპრილი, №65 (13431).

გვანცელაძე... 2021: გვანცელაძე თ., ჭაავა ს., აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და... (ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზი). თბილისი, 2021.

გვანცელაძე: გვანცელაძე თ., აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიიდან <http://www.amsi.ge/istoria/div/gvanc.html> დამოწმება: 28.01.2023.

კოლხური დიადემა 1991: „აფხაზური წერილის“ წინამორბედი. გაზეთი „კოლხური დიადემა“, 1991, ივნისი, №4.

ოქროს საწმისი 1989: აფხაზეთი იყო, არის და იქნება საქართველო. ამონარიდები. გაზეთი „ოქროს საწმისი“, 1989, დეკემბერი, №1.

ოქროს საწმისი 1990: ნდობა რომ აღდგეს. გამოხმაურება ა. მიქაძის წერილზე. გაზეთი „ოქროს საწმისი“, 1990, ოქტომბერი, №5.

ოქროს საწმისი 1990: გაგუას გამოსვლა აფხაზეთის მწერალთა კავშირის პლენუმზე. გაზეთი „ოქროს საწმისი“, 1990, ოქტომბერი, №5.

ოქროს საწმისი 1990: ძველი ტოპონიმები აღვადგინოთ. გაზეთი „ოქროს საწმისი“, 1990, თებერვალი, №2.

ოქროს საწმისი 1991: აგუძერა. საღამოს 6-დან 8 საათამდე, ანუ ერთნახევარი კაცი. გაზეთი „ოქროს საწმისი“, 1991, ივლისი, №6 (11).

პაპასქირი 2004: პაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი II. 2004.

სახოკია 1969: სახოკია თ., კრებული, რედ. ა. აფაქიძე. შ. მესხია, გ. ჩიტაია, მ.ჩიქოვანი, კ. ჯანაშია. თბილისი, 1969.

უილკოქსი... 2011: უილკოქსი დ., კამერონი გ., საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა. თბილისი, 2011.

ქართლის ცხოვრება 1973: ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი): აღწერა სამეფოსი საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973.

Крысько 1999: Крысько В. Г., Секреты психологической войны (цели, задачи, методы, формы, опыт). Мн, 1999.

Яковлев: Яковлев В., 4 метода обмана. <https://paszekpielawski.livejournal.com/1169132.html> დამოწმება: 28.01.2023.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წლიწდუი**  
**ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

---

XIV

2022

**ავტორთა მონაცემები**  
**CONTRIBUTORS**

---

## ავტორთა მონაცემები

**ნანა აბულაძე**

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 336 067.

ელ.ფოსტა: abuladze777@gmail.com

**ომარ არდაშელია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 593 354 373.

ელ.ფოსტა: omarardashelia@yahoo.com

**ლია ახალაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 170 723.

ელ.ფოსტა: liaakhaladze@sou.edu.ge

**დალი ბეთხოშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 488 129.

ელ.ფოსტა: dali.betkoshvili@yahoo.com

**კესო გეჯუა**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 557 706 705.

ელ.ფოსტა: keso.gejua90@gmail.com

**გვანცა გვანცელაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 365 000.

ელ.ფოსტა: gvantsagvantseladze@gmail.com

**თეიმურაზ გვანცელაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ტელ.: +995 599 531 634.

ელ.ფოსტა: gvantseladzet@gmail.com

**თამარ გოგოლაძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი.

ტელ.: +995 577 251 272.

ელ.ფოსტა: tamilagogoladze@gmail.com

**ეკა დადიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი, ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 598 101 472.

ელ.ფოსტა: dadianiekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

**ლაშა დეისაძე-შარვაშიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,  
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 980 369.

ელ.ფოსტა: deisadzesharvashidze@mail.ru

**რევაზ დიასამიძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 141 031.

ელ.ფოსტა: Revaz.diasamidze@bsu.edu.ge

**იამზე ვაშაკიძე**

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის  
დოქტორი.

ტელ.: +995 591 986 405.

ელ.ფოსტა: iamzevashakidze@gmail.com

**ნინო ვახანია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ტელ.: +995 577 963 810.

ელ.ფოსტა: vakhanianino@yahoo.com

**ეთერ ინჭკირველი**

კავკასიის უნივერსიტეტი. ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 595 778 558.

ელ.ფოსტა: e\_intskirveli@yahoo.com



**სალომე კაპანაძე**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 555 020.

ელ.ფოსტა: salomesokhumi@yahoo.com

**ჯემალ კარალიძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 179 770.

ელ.ფოსტა: Jemal.karalidze@bsu.edu.ge

**რუსუდან კაშია**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 189 644.

ელ.ფოსტა: rusudankashia1@gmail.com

**მერაბ კეზევაძე**

ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 340 571.

ელ.ფოსტა: mkezevadze@archives.gov.ge

**სოფიო კეკუა**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 272 667.

ელ.ფოსტა: sofokekua@gmail.com

**მარიამ კობერიძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 251 275.

ელ.ფოსტა: maikoberidze@gmail.com

**ირაკლი ლორთქიფანიძე**

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკის გამგე და სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 557 943 435.

ელ.ფოსტა: irakli-lortkipanidze@mail.ru

**ციალა მესხია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 963 822.

ელ.ფოსტა: Tsiala.meskhia@gmail.com

**თინათინ მშვიდლობაძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი.

ტელ.: +995 555 118 379.

ელ.ფოსტა: tinikomshvidobadze@gmail.com

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ფილოლოგიის  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 577 282 861.

ელ.ფოსტა: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

**ოთარ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 689 899.

ელ.ფოსტა: otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

**ნიკოლოზ ოთინაშვილი**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 327 210.

ელ.ფოსტა: nikolozotinashvili873@gmail.com; nikootinashvili@gmail.com

**ლელა სარალიძე**

რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის მთავარი მკვლევარ-  
თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 668 217.

ელ.ფოსტა: lelasaralidze@yahoo.com

**ნათია სვინტრაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 151 752.

ელ.ფოსტა: Natia.svintradze@atsu.edu.ge; Svintradze75@mail.ru

**ლევან ტყეშელაშვილი**

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია, ისტორიის და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 276 533.

ელ.ფოსტა: tkeshelashvililevani564@gmail.com

**მადინა უგლავა-ჯინჯიხაძე**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების გამგე.

ტელ.: +995 592 801 454.

ელ.ფოსტა: madinauglava@gmail.com

**ნესტან ფიფია**

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 595 096 550.

ელ.ფოსტა: nest100a@gmail.com

**მეჰმედ ალი ქესქინი**

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

ტელ.: +905 337 636 018.

ელ.ფოსტა: m\_alikeskin@artvin.edu.tr

**რევაზ შეროზია**

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 274 592.

ელ.ფოსტა: rezosherozia@rambler.ru

**მალხაზ ჩოხარაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 722 202.

ელ.ფოსტა: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge

**მარიამ ჩოხარაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 141 005.

ელ.ფოსტა: Choxaradzemariam@gmail.com

**მაია ცერცვაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 191 257.

ელ.ფოსტა: maiatsertsvadze@yahoo.com

**სოფიკო ჭაავა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 689 078.

ელ.ფოსტა: geosofikotchaava@gmail.com

**მაგდა ჭიქაბერიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 342 553.

ელ.ფოსტა: mchikaberidze@gmail.com

**ნინო ხარჩილავა**

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიის  
დოქტორი.

ტელ.: +995 593 428 486.

ელ.ფოსტა: kharchilavanin@gmail.com

**ლუიზა ხაჭაპურიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 668 601.

ელ.ფოსტა: luizakhachapuridze@yahoo.com; luiza.kjachapuridze@atsu.edu.ge

**მანანა ხვინგია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ტელ.: +995 577 175 005.

ელ.ფოსტა: mananakhvingia@gmail.com

**მონიკა ხობელია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ტელ.: +995 591 454 383.

ელ.ფოსტა: monikakhobelia4@gmail.com

---

**მზია ხოსიტაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა  
დოქტორი.

ტელ.: +995 599 796 264.

ელ.ფოსტა: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu

**თეონა ხუფენია**

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორი, პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 419 041.

ელ.ფოსტა: teonakhupenia@zssu.edu.ge

---

**CONTRIBUTORS****Nana Abuladze**

Dadiani Palaces History and Architectural Museum. Doctor of Philology.

Tel.: +995 593 336 067.

Email: abuladze777@gmail.com

**Lia Akhaladze**

Sokhumi State University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 577 170 723.

Email: liaakhaladze@sou.edu.ge

**Omar Ardashelia**

Sokhumi State University. Professor, Head of International Relations Department, Doctor of History.

Tel.: +995 593 354 373.

Email: omarardashelia@yahoo.com

**Dali Betkhoshvili**

Samtskhe-Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 488 129.

Email: dali.betkhoshvili@yahoo.com

**Sopiko Chaava**

Sokhumi State University. Invited lecturer, researcher, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 689 078.

Email: geosofikotchaava@gmail.com

**Magda Chikaberidze**

Georgian Technical University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 342 553.

Email: mchikaberidze@gmail.com

**Malkhaz Chokharadze**

Batumi Shota Rustaveli State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 722 202.

Email: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge

**Mariam Chokharadze**

Batumi Shota Rustaveli State University. Doctor of Philology.

Tel.: +995 577 141 005.

Email: Choxaradzemariam@gmail.com

**Eka Dadiani**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology, Head of the Scientific-Research Center of Kartvelology.

Tel.: +995 598 101 472.

Email: [dadianekaa@gmail.com](mailto:dadianekaa@gmail.com); [eka.dadiani@atsu.edu.ge](mailto:eka.dadiani@atsu.edu.ge)

**Lasha Deisadze-Sharvashidze**

Akaki Tsereteli State University. Invited lecturer, Doctor of History.

Tel.: +995 555 118 379.

Email: [lasha.deisadze1@atsu.edu.ge](mailto:lasha.deisadze1@atsu.edu.ge)

**Revaz Diasamidze**

Batumi Shota Rustaveli State University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 577 141 031.

Email: [Revaz.diasamidze@bsu.edu.ge](mailto:Revaz.diasamidze@bsu.edu.ge)

**Keso Gejua**

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia. Doctor of Philology.

Tel.: +599 557 706 705

Email: [keso.gejua90@gmail.com](mailto:keso.gejua90@gmail.com)

**Tamar Gogoladze**

Gori State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 251 272.

Email: [tamilagogoladze@gmail.com](mailto:tamilagogoladze@gmail.com)

**Gvantsa Gvantseladze**

Sokhumi State University. Assistant-Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 599 365 000.

Email: [gvantsagvantseladze@gmail.com](mailto:gvantsagvantseladze@gmail.com)

**Teimuraz Gvantseladze**

Sokhumi State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +599 531 634

Email: [gvantsagvantseladze@gmail.com](mailto:gvantsagvantseladze@gmail.com)

**Eter Intskirveli**

Caucasus University. Doctor of Philology.

Tel.: +995 595 778 558.

Email: [e\\_intskirveli@yahoo.com](mailto:e_intskirveli@yahoo.com)

**Salome Kapanadze**

Grigol Robakidze University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 599 555 020.

Email: salomesokhumi@yahoo.com

**Jemal Karalidze**

Batumi Shota Rustaveli State University. Head of the Department of History, Archeology and Ethnology, Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 577 179 770.

Email: Jemal.karalidze@bsu.edu.ge

**Rusudan Kashia**

Kutaisi Iliia Chavchavadze Public Library. Doctor of History.

Tel.: +995 599 189 644.

Email: rusudankashia1@gmail.com

**Sophio Kekua**

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Doctor of Philology.

Tel.: +995 599 272 667.

Email: sofokekua@gmail.com

**Mehmet Ali Keskin**

Artvin Chorokhi University. Assistant-Professor.

Tel.: +905337636018.

Email: m\_alikeskin@artvin.edu.tr

**Merab Kezevadze**

Kutaisi Central Archive. Doctor of History.

Tel.: +995 577 340 571.

Email: mkezevadze@archives.gov.ge

**Nino Kharchilava**

LEPL - Batumi Art Teaching University. Doctor of History.

Tel.: +995 593 428 486.

Email:kharchilavanin@gmail.com

**Luiza Khachapuridze**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 66 86 01.

Email: Luizakhachapuridze@yahoo.com; Luiza.kjachapuridze@atsu.edu.ge



---

**Monika Khobelia**

Sokhumi State University. PhD student.

Tel.: +995 591 454 383.

Email: monikakhobelia4@gmail.com

**Mzia Khositashvili**

Georgian Technical University. Doctor of Social Sciences.

Tel.: +995 599 79 62 64.

Email: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

**Teona Khupenia**

Zugdidi Shota Meskhia State Teaching University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 419 041.

Email: teonakhupenia@zssu.edu.ge

**Manana Khvingia**

Sokhumi State University. PhD student.

Tel.: +995 577 175 005.

Email: mananakhvingia@gmail.com

**Mariam Koberidze**

Gori State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 251 275.

Email: maikoberidze@gmail.com

**Irakli Lordkipanidze**

Gelati Theological Academy and Seminary. Head of the library and scientific supervisor, Professor, Doctor of History.

Tel.: +995 557 943 435.

Email: lortirakli@gmail.com

**Tsiala Meskhia**

Sokhumi State University. Visiting Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 963 822.

Email: Tsiala.meskhia@gmail.com

**Tinatin Mshvidobadze**

Gori State University. Associate Professor, Doctor of Engineering Sciences.

Tel.: +995 555 118 379

Email: tinikomshvidobadze@gmail.com

**Avtandil Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University. Professor, Doctor of Philology, Head of the Department of Georgian Philology.

Tel.: +995 577 282 861.

Email: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

**Otar Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 555 689 899.

Email: Otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

**Nikoloz Otinashvili**

Gori State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 599 327 210.

Email: nikolozotinashvili873@gmail.com; nikootinashvili@gmail.com

**Nestan Pipia**

Zugdidi Shota Meskhia State Teaching University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 595 096 550.

Email: nest100a@gmail.com

**Lela Saralidze**

Regionalism Research Institute. Doctor of History, Chief scientist-collaborator.

Tel.: +995 593 339 497.

Email: lelasaralidze@yahoo.com

**Revaz Sherozia**

Zugdidi Shota Meskhia State Teaching University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 599 274 592.

Email: rezosherozia@rambler.ru

**Natia Svintradze**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 593 151 752.

Email: Natia.svintradze@atsu.edu.ge; Svintradze75@mail.ru

**Maia Tsertsvadze**

Georgian Technical University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 599 191 257.

Email: maiatsertsvadze@yahoo.com

---

**Levan Tkeshelashvili**

Gelati Theological Academy and Seminary. Head of the Department of History and Art Studies, Professor, Doctor of History.

Tel.: +995 593 276 533.

Email: tkeshelashvililevani564@gmail.com

**Madina Uglava-Jinjikhadze**

Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library. Head of department Electronic.

Tel.: +995 592 801 454.

Email: madinauglava@gmail.com

**Nino Vakhania**

Sokhumi State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 963 810.

Email: vakhanianino@yahoo.com

**Iamze Vashakidze**

Caucasus University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 986 405.

Email: iamzevashakidze@gmail.com

**კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
ეპატერინე ბარბაძე**

**გარეკანის დიზაინი -  
გელა ღაჭავაძე**